# მნათობი

9

1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 52-ე №9 სექტემბერი, 1976 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

## შინაარსი

ირაკლი აბაშიძე — აული ცადა. რასულ გამზათოვს. ლექსი . . . . . 3
ნიკო კეცხოველი — კიდევაც დაიზრდებიან... მოთხრობა გაგრძელება . . 5
ვახტანგ ჯავახაძე — ლექსები . . . . . . 26
სოლომონ სამხარაული — ბექა. მოთხრობა . . . . . . . 37
ნიკოლოზ ბაბაონი — აივნიანი ქალაქი. რომანი. გაგრძელება . . . . 47
ნანა ჯერენაშვილი — წუხილი. მოთხრობა . . . . . . . 105
გურამ პეტრიაშვილი — ლექსები . . . . . . 109
კარლო ტაბატაძე — რად გაუჩინარდა მდინარე... მოთხრობა . . . . 113
უილიამ შექსპირი — ტროილოსი და კრესიდა. პიესა ინგლისურიდან თარგმნა გივი გაჩეჩილაძემ . . . . . 129

### ნარკვევები ხუთწლედის დღეებზე

გიორგი სანადირაძე — ერთი მეხილესაც მოვკითხოთ . . . . . . . 140

### კრიტიკა და პუბლიცისტიკა

შალვა ფორჩხიძე — ილო მოსაშვილის პოეზია . . . . . . . 152
პროკოფი რატიანი — ალექსანდრე წულუკიძე როგორც მოაზროვნე . . 163
ლუიზა ბოჩკოვა — პოეზია ნამდვილი ცხოვრებისა . . . . . . 178
ვ. კოტეტიშვილი — ჰუმანიზმისა და ადამიანის ხელშეუვალობის იდეალი 182

### ფაქტები, მოგონებანი

სერგი დურმიშიძე — საპატიო პრეზიდენტის პირველი დღე აკადემიაში . 189

### წიგნების მიმოხილვა

ა. აროშიძე — პოეტის პირველი წიგნი . . . . . . . . 191

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

**სარედაქციო კოლეგია:**

ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (პ/მგ მდივანი), ს. ბერულავა, ო. ბიბინეიშვილი, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ბ. ჟღენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ნ. წულეისკირი, ვ. წულუკიძე, ო. ჭილაძე, ბ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ჩაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11. პ/მგ. მდივნის — 93-55-18, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 30/VIII-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 16/IX-76 წ. ანაწყობის ზომა $7^1/_4 \times 12$, ქაღალდის ფორმატი $70 \times 108^1/_{16}$ ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12 პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღ-საგამომცემლო თაბახი 16,58

უე 09968. ტირაჟი 11.650. შეკვ. № 2642
საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა, 1976

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირაკლი აბაშიძე

## აული ცადა. რასულ გამზათოვს!

ვერ დავაღწიე.
ვერ მოვაღწიე.
ვერ დაგამშვენე,
ვერ დაგესწარი...
სიზმარი ცხადად კვლავ ვერ ვაქციე —
კვლავ ნისლში დამრჩა
მე დაღესტანი.

ჩემი ყაზბეგი,
ჩემი გერგეტი
ვერ გადმოვლახე,
ვერ გადავლახე...
კვლავ შორს, შორს დამრჩა
შენი ლეკეთი,
შენ ასე ახლოს რომ დაგვანახვე.

სულით, ბუნებით,
გულით, გონებით
მე ფეხზე ვიდექ,
როგორც ჩახმახი;
კვლავ ვერ ავიღე შენი ღუნიბი,
შენი ხუნძახი, შენი ახვახი.

კვლავ ვერ მოვადექ
შენს თეთრ მწვერვალებს,
დღეს რომ შენს ლექსში
ენა აიბეს,
შენს ძველ აულებს,
შენს ძველ სერალებს,
შენი დაღესტნის ახალ ნაიბებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენს მთებს,
შენს ქედებს,
შენს ძველ საფიცრებს,
კვლავ რომ თავს გადგას,
როგორც იმედი;
კვლავ ვერ შევიპყარ,
ვერ ვიმასპინძლე
შენი ფატიმა და ამინეთი.

ისევ ვერ შევხვდი
შენს ლურჯ შორეთში,
მთებში, ძველ კაცთა
მაღალ ყრილობას...
ო, როგორ მხიბლავს
შენს სტრიქონებში
მე მათი ბრძნული გულუბრყვილობა.

მათი სიმართლე
და ინტერესი,
გული ბალღური, სული მდიდრული;
ო, როგორ მხიბლავს
შენს სიმღერებში
მთების ხმა წმინდა, ხმა რაინდული.

ეს ხმა, ეს უხმობს
ჩემს გულს და სინდისს;
მე ეს ხმა რეკვად
სულში ჩამესმის...
ო, არის მზისქვეშ ქვეყანა დიდი
და არის კიდევ მთები დაღესტნის.

ალალ თქვენს სიბრძნეს,
ალალ გულს ტაში;
მე დღეს არ მოგდევთ
იმ ძველ ბრალდებით —
საკუთარ ფეხით ამოვალ მთაში
და ჩემის ნებით თქვენ ჩაგბარდებით

1974.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო კეცხოველი

# კიდევაც დაიზრდებიან...

მოთხრობა

## საბას ნასახლარი

დიდო მოხუცო, სამშობლოსათვის
იბრძოდი სულის ამოხდომამდი.

გ. ლეონიძე

სანამდე ქვეშში შევიდოდნენ, მთავარი გზა გადაჰკვეთეს და ლუკუნის ქედის გვერდით სასოფლო გზას აჰყვნენ, გაუარეს ძველ ქვეშს და სულხან-საბა ორბელიანის მშობლიურ სოფელ ტანძიაში შევიდნენ.

პატარა ბაზილიკის ახლოს, საბას მარმარილოს ძეგლის წინ მოიხადეს ქუდი და ერთხელ კიდევ პატივი სცეს წარსულის დიდ მოჭირნახულეს, მოამაგეს, მუხლჩაუდგამ მოღვაწეს, საქართველოს მამად წოდებულ დიდ მოქალაქეს.

— ხომ გვყავდა მრავალი დიდი მოღვაწე, მაგრამ საბასთანა თუ იყო ვინმე?

— რომ გადაავლო თვალი ჩვენს წარსულს, უეჭველად ნახავ. ყველას თავის დრო აქვს.

— იცით რა, ბიჭებო! დავით გურამიშვილიც მიმაჩნია უდიდეს მოქალაქედ. წარმოგიდგენიათ, ორმოც წელზე მეტი იცხოვრა უცხოეთში, არც სამშობლო დაივიწყა, არც ქართული ენა; პირიქით, გაამდიდრა იგი, განვითარების ახალ საფეხურზე აიყვანა და სამშობლოს დაუტოვა შეუდარებელი „დავითიანი".

— ვაჟა ტყუილად არ იტყოდა, — ჩაურთო ვახტანგიმ:

— შენ ჩემო წინამორბედო,
უძვირფასესო პაპაო...
— მიშველეთ შენ და შოთამა,
მგოსნობა გამიძრახაო.
— დაჩოქილი ვარ თქვენ წინა,
ვით ერთი ვინმე გლახაო.

არ აცლიდნენ ერთმანეთს.

შალვამ მინდიას გადახედა.

მინდიას მითითებით, სოფლის ორღობით თემურმა მანქანა ჩრდილოეთით გაიყვანა, გორის ფხაზე დადგა, აქედან დაანახვა თანამგზავრებს ქციის ხეობა. დაჰპირდა სამუშაოს, რომ მოათავებდნენ, ამ გზით დაბრუნდებოდნენ. აქვე იყო ხულუტის ციხე; ორბელიანთა ერთ-ერთი საძვალე — შეუდარებელი ფიტარეთი აქედან, ქციის აღმა, ხუთ კილომეტრზეა.

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 8.

სოფ. დარბაზზე ჩამოივლის გეტის ხევი და სოფ. ქვეშთან მიერთვის მაშავერას. მოვუსმინოთ ვახუშტის:

„დაბანის ქვევით არს ჩრდილოეთ კერძ ხინწის ხევი, მას ქვეით დაბა აბულმუგი. აქ ითხრების ლითონი რკინისა, სპილენძისა და ლაჟვარდისა. ამას ქვევით სამხრიდამ მაშავერს ერთვის ბალიჭის ხევი, ლოქიდამ გამომდინარე, არს ვენახოვანი, ხილიანი და ყოვლითა ნაყოფიერი, არამედ ლოჭის კერძოთ ვითარცა დაბანის ხევი. მას ქვეით ერთვის გეტინ ხევი და ქვეშის ხევი; გამოსდის ლუკუნს, ერთვის ჩრდილოდამ მაშავერს, ეგრეთვე ნაყოფიერებითა; ქვეშის ციხე არს მაღალს კლდესა ზედა მდგომი, ჰავითა თვალთათვის მშვენი, წყარო კეთილი, მას ქვეშოთ ხეობა, კაზრეთისა. სამხრიდან მიერთვის მაშავერს, გამომდინარე ლოჭსავე, ესეცა აგრეთვე ვითარცა ხეობა ბალიჭისა“...

— აგერ კაზრეთი, მაშავერს გაღმა, ახლა მას ვეღარც იცნობთ, დღეს იქ სპილენძის საბადოს გამამდიდრებელი ქარხანა აშენდა. იქმნება ახალი ინდუსტრიული ცენტრი. მისი ისტორია ათიოდე წლის წინათ დაიწყო.

ამ მხარის დღევანდელი საფარი ფრიად საინტერესოა. იმ ლავებმა, რომლითაც დაფარულია ზურტაკეტი და წალკა, აქაც ჩამოაღწია.

მაშავერის ხეობით ბალიჭებამდე ჩამოსულია ანდეზიტებისა და ბაზალტების ლავური ნაკადი, მეორე ასეთი ლავური ნაკადი, თრიალეთიდან წამოსული, ქვემო ქართლის ჩრდილოეთით მდებარეობს და ქციის ორივე ნაპირით ვაკემდეა ჩამოსული; ამ ლავებითაა შექმნილი თაფანისა და დურნუკ-წინწყაროს პლატოები. ქვემო დუმანის სამხრით გვხვდება ქვიშაქვები, კონგლომერატები და კირქვები. ცენტრალურ ნაწილში გავრცელებულია ზედა ცარცი (კირქვები, მერგელები, ტუფები, ტუფო-ქვა-ქვიშები).

მდინარის ხეობებში და გავაკებულ ადგილებში ჩვეულებრივია მეოთხეულის და თანამედროვე ნალექები. ვაკეზე გავრცელებულია ალუვიური ნიადაგები. ზოგან ბიცობი და მლაშობიც შეიძლება შეგვხვდეს. გვერდის ძირისკენ იგი შეინაცვლება წაბლა ნიადაგებით, მთების შუა სარტყელზე კი ტყის სხვადასხვა ტიპია გავრცელებული. უმთავრესად ყომრალი, ზეგნებზე დეგრადირებული შავმიწა ნიადაგებია. მთის მწვერვალებზე ალპიური ხირხატიანი და ნახევრად ტორფიანი ნიადაგებია ჩვეულებრივი.

აქ აღარ დაყოვნებულან, წამოვიდნენ ქვევით, მთავარ გზაზე გამოვიდნენ თუ არა, მათ წინ ქვეშის ციხე აიმართა, რომელიც მიწიდან ამოზიდულ კლდეზეა აშენებული. ეს კლდე თავისებური მთის ქიმია, კვარციანი ქანი, მოწითალო, სამხრეთით სრულიად შვეულად დაკიდული კლდეა.

## თეთრი გვირილა

ალავერდამ[1] დაიძახა:
გავაჩერებ გუთანსაო,
კამეჩებმა გამოსძახეს
გვენ გიტირებთ დედასაო.
**ხალხური**

სოფელ ქვეშში მანქანა ერთ კაკლის ჩრდილში დააყენეს. მაღაზიის წინ რამდენიმე უქმადმყოფი იდგა და წყნარად საუბრობდა, სამი თუ ოთხი დედაკაცი კოკებით ხევისკენ მიდიოდა.

— თქვენ რა, წყარო ისევ ხევში გაქვთ?

შეეკითხა, ცოტა არ იყოს მკვახედ, მინდია იქვე მდგომთ.

— არა, რადა? ხევიდან ზევით ამოვიყვანეთ!

— მერე სოფელში ვერ გაიყვანეთ?

— ხომ მოგეხსენებათ, ჩვენს დროში მზაჭამია კაცი ცოტა არ არის. მე თუ შენაო, ეს ჯერ ვერ მოვიშალეთ, წყარო კი ისევ მაინც ძირს დარჩა.

— ხომ მოგეხსენებათ, სოფელი რამ მოინარიკლა და მზაჭამიამაო. ახლა კა-

1 ალავერდა — ძლიერფესვიანი სარეველაა.

ცი მგელიფლითე უნდა იყოს, რომ იოლად მაინც გავიდეს.

— ნუ იცი, კაცო, მკვახე ლაპარაკი, — შეუტია ახალგაზრდამ.

— რადა კაცო, ცოტაა რომ მარტო მუცელს ჩასტირის?

— იქნება არის, ვინ ამბობს, და ისიც ხომ ბევრია, ვისაც ნამუსის ქუდი კიდევ ხურავს.

— კიდევ კარგი, — თქვა მინდიამ და გაიღიმა.

— შენ სოსანა არა ხარ? — მიმართა საფეთქელგათეთრებულ კაცს.

— განა არა, გიცქერდი და არ მჯეროდა. მთა მთას არ შეხვდება, თორემ კაცი კაცს უეჭველადო. მინდია ბრძანდებით, გამარჯობათ, კიდევ ბალახებს ეძებთ?

— ისე გამოდის, ჩემო სოსანა!

— კაცო, ისე არსად უნდა ჩაიმუხლო ძმა და მეგობარი არ ნახო? — წამოიძახა ერეკლემ.

— ასეა შვილის სწორო, კარგ კაცობა ასი წელიწადი ქვაზე რომ იდოს, არც დაჭკნება და არც ფერს დაკარგავს, — უპასუხა სოსანამ მინდიას მაგივრად, — ბოლოს მომკალად წესია, რაც წინათ დაგითესია.

— ვაი ჩემო თავო, თქვენზე ნანატრი სტუმარი ვიღა მეყოლება, წამობრძანდით, შინ ვისაუბროთ.

— თქვენ სახლს ვეღარ ვხედავ.

— აგერ, ის სახლია ჩემი, — მიუთითა ორსართულიან სახლზე, — ძმამ კი ხევისკენ აიშენა.

— ჩემო სოსანა, დღეს ვერ გეწვევი, აი ამ ბიჭებს და ლელას მამა ელის დმანისში... ისე კი ციხეზე ავიდლით.

— თქვენ რომ აქ ჩამობრძანდით, თორმეტ-ცამეტი წლის ბიჭი ვიქნებოდი, თქვენ მაშინ დალვინებული ვაჟკაცი იყავით და დღესაც ისევ მგლის მუხლი შეგრჩენიათ... მაგრამ მაინც უნდა მეწვიოთ. გულადსა კაცზე პურადი, სამის გაქცევით მეტიაო.

— არც შენა გაქვს დასამდურავი, — და შეათვალიერა მინდიამ, მაგრამ უცბად წყენის ღრუბელმა გადაუარა სახეზე. ახლა ღა შეამჩნია, რომ სოსანას მარცხენა ხელზე სამი თითი აკლდა, სოსანა მიხვდა და გაეღიმა.

— რას იზამთ, მინდიავ ბატონო, ომმა ბევრი ცოდო-ბრალი დაატრიალა, მარტო ჩვენ სოფლიდან ორმოცამდე ვაჟკაცი არ დაბრუნებულა, მაგრამ იცოცხლეთ, უკრაინიდან, რომ დავბარით, მწევარ გამოკიდებული კურდღელივით მოცოცხეს. მადლობა ღმერთს, ცოცხალი დავბრუნდი. მაკლია თითები, მაგრამ არა უშავს რა, ვმუშაობ.

სახლს რომ დაუპირისპირდნენ, სოსანა შედგა.

— არა, უნდა შემობრძანდეთ!.. თორემ ისე გამოვა, მაღალი არ მოდრკა, დაბალი ვერ შესწვდაო.

— სოსანა, ვერ შევძლებთ. დიდი მადლობელი ვარ.

— პელო!.. — გასძახა აივნისაკენ, სანდომიანი პირისახის ქალი გამოვიდა, სოსანა ჩქარი ნაბიჯით წავიდა მისკენ, რაღაც უთხრა და დაბრუნდა წინ წასულებისაკენ.

— მინდიავ, ნუ იცი ასეთი გულითადი ხალხის გაწბილება!

— ერეკლე! მე რომ ყველა ნაცნობთან თითო საათი მაინც გავჩერდე, გუგულის თოვლიც კი მომეწევა; სანამ შეხვიდოდე, გამოსვლაზეც უნდა იფიქრო.

— შენ არც გუგული გამოგელევა და არც ტოროლა... — თითქოს საყვედურით ჩაერია ვახტანგი, — სალამი მტერსაც არ დაეჭირება!

ორბელიანთა ქვეშის ციხეში შევიდნენ. საქონელი ჰყოლიათ შიგ. ბიჭებმა შუბლი შეიკრეს და სოსანამ თითქოს ბოდიშობსო, ისე დაიწყო:

— ბუზს ერიდებიან, თორემ კაცმა რომ თქვას, ხელუხლებლივ უნდა შევინახოთ, მამაპაპათა სისხლითაა ნაბანი, მაშინაც ამბობდი, მაგრამ რა გამოვიდა?

სამხრეთით იშლებოდა დაცემული დიდი მინდორი, იქვე სოფელი კიანეთი თითქოს ხელისგულზეაო. კიანეთის გა-

ბიბლიოთეკა

დაღმა უზარმაზარი თეთრი მინდორი მოჩანდა. თითქოს თოვლი მოსულაო.

— ეს რა, თოვლია? — იკითხა გივიძ.

— თოვლი კი არა, ჯანდაბაა, — ვერ მოითმინა სოსანამ, — შარშანწინ კიანათელებმა ესპარცეტი დათესეს. შარშან ცოტა გამოერია გვირილა. წელს კი ისე მოედო, რომ ესპარცეტი აღარ ჩანს. აქეთაც მოიწევს, მაგრამ მაგის წამალი თოხია, მიწამ ცოტა თუ დაიყამირა, მორჩა. არ ვიცი რა ქარმა გადმოაგდო, თორემ, მანდ ისეთი ყანები იცოდა, მტრის თვალს არ ენახვებოდა.

— ეს მართლა არ არის კარგი საქმე. ეგ ალბათ დმანისური გვირილაა.

— სწორედ ისაა. აი ახლა იმ მინდორზე ერთ ბულულ თივას ვერ გათიბავენ.

უკან წამოსვლისას სახლს რომ დაუპირდაპირდნენ, სოსანა შედგა და მინდიას შეხედა.

ერეკლემ აღარ დაუცადა და სოსანას მიმართა.

— შეგვიძეხ, ფეხზედვე დავილოცებით, ისე ნეფე რომ გაინადირებს[1] ხოლმე...

— მაშინ ნეფე რომელი ხართ...

— აქ არც პატარძალია და არც ნეფე! — ჩაერია მინდია, — ჩემი შვილიშვილებია, სოსანა ჩემო.

— გიცოცხლოთ და გიბედნიეროთ!

აივანზე სახელდახელო სუფრა იყო გაშლილი, ფიჩხაურით ღვინო იდგა, ახალი კიტრები, მწვანილი, პური, ყველი, დიასახლისს თავაზიანად მიესალმნენ.

— რძალო და დაო, ნატვრის თვალი ხომ არ გქონდა, რომ სუფრა ასე აგიყვავებია!

— ცოტა რომ შეგესვენათ, ნატვრის თვალი იქნებ მართლა მეპოვა, ჩემო ბატონო. — უპასუხა დიასახლისმა.

პური გატეხეს, დაილოცნენ.

— რატომ არ ამბობ, მინდიავ ბატონო, ბერი კაცი თვრესო, ბიჭებს ერთი ხვდესო?

მინდიას გაეცინა.

— მინდოდა აქაური ღვინო გაგესინჯათ. ხომ კარგია?!

— შესანიშნავი!

— რომ არ შემოსულიყავით, მთელი ღამე ნაკვერცხალზე ვიწვებოდი...

— იცოდე, ჩემო სოსანავ, მაშინვე გეტყობოდა, რომ კაი ვაჟკაცი დადგებოდი. შვილები?

— შვილები? ახლანდელი შვილები ხომ დედმამისა არაა, მყვანან, კარგები არიან, მაგრამ სხვასა ჰყვანან, ერთი ქალაქს არის, ინჟინერია, მეორე რუსთავშია, გოგო გათხოვილია. ჩემთან მაინც დარჩა ერთი, სკოლაში ასწავლის. როგორ ინანებს, რომ იყავი და ვერ გნახა. შორიდან გიცნობს. შენი წიგნები უყვარს. აგერ, იქ ულაგია, — და კარადისკენ გაახედა.

სიყვარულით დასცილდნენ ერთი-მეორეს.

მათმა მანქანამ აირბინა გეტის ხევი და კიანეთის გვირილიან მინდორთან დადგა.

გადავიდნენ. მავთულხლართი გადალახეს და გვირილიან ნათესში შევიდნენ. თუმცა გვირილიანი კი არ იყო, ისე მოსდებოდა, რომ ძირითადი ნათესი აღარ ჩანდა.

— ეს წმინდა გვირილა არაა, მას ლეუკანთემუმს უწოდებენ, — აუხსნა ბიჭებს შალვამ.

დღეს პირველად გაიგეს ამ მცენარის სახელწოდება.

— მთაბორჩალო, ზურტაკეტი, დღევანდელი დმანისის რაიონის დიდი ნაწილიც, ორბელიანებს ეკუთვნოდათ. სწორედ აქაური ორბელიანები აღმოჩნდნენ ბედოვლათები. მთელი მიწა-წყა-

---

1 ნეფის განადირება — ძველად გლეხის ქორწილი სამი დღე იცოდნენ. მესამე დღეს ნეფე თავის მაყრებით სოფელში გავიდოდა, ჯერ, თუ მამა მკვდარი ჰყავდა, იმის საფლავზე მივიდოდა, ახარებდა, ოჯახში კერა არ ჩაქრებაო. ყველა მეზობელი სახელდახელო საუზმით და ღვინით კარზე დახვდებოდა, დიასახლისი ნეფის წინ ქათამს ააფრენდა, ჰაერში აისროდა, მაყრები ჯოხით მოკლავდნენ ან დაიჭერდნენ და ნეფის სახლში წაიღებდნენ.

ლი ჩალის ფასად გადაყარეს. დმანისელი დუხობორი მიამბობდა: „ერთხელ საშიკო ორბელიანი ხუთი ეტლით ამოვიდა. ერთში წაღები ეწყო, მეორეში ქუდი, ერთში თვითონ იჯდა, წინ ეტლი მიუძღოდა მეზურნეებით, უკან კი ჩაჩნები ისხდნენო, თევზი მონდომებია, სწორედ ყარაბულაღის კალმახი. ეს გასეირნება ორასი დესეტინა[1] დაუჯდა; დესეტინა მანეთად მისცა თავის თბილისელ მოვახშეს თურმე. შედეგად ასეთი ბედოვლათობისა მთელი მამულები დაკარგეს და ხელში ჩაუვარდა საუფლისწულო მმართველობას, ახვერდოვებს, სერებრიაკოვებს და სხვათა.

სწორედ ამ ადგილას დაადგა თვალი გრაფმა კუჩენბახმა და მამუდლოში ჯერ იჯარით აიღო 2500 ჰექტარი სათიბ-საძოვარი და შემდეგ იყიდა კიდეც. გამართა ყველის სახარში ქარხანა.

— ხომ არ დაიღალეთ!..

— ჯერ რა დროს დაღლაა?

— დაღლას ვგულისხმობ ასეთი ამბების მოსმენით.

— აჰ, არა!

— მაშ როგორ გაჩნდნენ ამ მხარეში გრაფი კუჩენბახი, ამეტერები და სხვები გინდათ მოისმინოთ?

— უეჭველად.

## ყორნები დასუქებულან

ჯერი თქვენია ახლებო,
ხელის დადება ხმალზედა,
ყორნები დასუქებულან
პაპათა ნაომარზედა.

**ხალხური.**

კუჩენბახი პირველ ხანებში ხარშავდა სამოც-ოთხმოც ცენტნერ ყველს, შემდეგში უკვე სამასზე მეტს.

პირველად საკუთარი ფერმისთვის შეიძინა ადგილობრივი ჯიშის ძროხა (ოსური, ხევსურული, თარაქამული), შემდეგში ძირითადად მეტისები ჰყავდა. შვეიცარიიდან გამოიწერა შვიცის ჯიშის მწარმოებელნი და მალე მთელი ნახირი მეტისებით შეცვალა, რითაც თავისებური ჯიში ჩამოყალიბდა. ზოგჯერი მისი ძროხა ოთხას კილოგრამამდე იწონიდა და ზოგი რძეს ოთხიათას ლიტრამდე იძლეოდა. ეს იმ ხანად კარგი წველადობა იყო.

კუჩენბახი საკმარისად უკმეხი კაცი ჩანდა, თავის მეურნეობაში, მწყემსების გარდა, ადგილობრივ მოსახლეობას არ უშვებდა; ძაღლებიც კი ისე ჰყავდა გაწვრთნილი, რომ მის კარმიდამოზე ადგილობრივ მოსახლეს დაინახავდა თუ არა, დაესეოდნენ და რომ არ გასცლოდნენ შეიძლება სიკვდილის პირამდეც კი მიეყვანათ. არის ცნობები, რომ ერთხელ ვორონცოვკელი (ლორელი) მოლოკნები მისულან მასთან, რომ გაცნობოდნენ მეურნეობას; კუჩენბახს ისინი კისრის კვრით გამოურეკია. მასთან მომუშავე შვეიცარელ ყველისმკეთებელ ოსტატებს ხელშეკრულებაში უწერდა, მასთან მუშაობის ვადის გასვლის შემდეგ, აუცილებლად შვეიცარიაში დაბრუნებულიყვნენ; წუნდებულ ხბოებს ადგილობრივ მოსახლეობას არ ესაყიდებდა, პირდაპირ სასაკლაოში აბარებდა, მაგრამ ლორელი მოლოკნებიც და ბორჩალოელებიც სწორედ სასაკლაოში ყიდულობდნენ და გაიჩინეს კუჩენბახის მეტისური ძროხები.

საქმე, თუ საკეთილოა, ის თავისთავს მაინც გაიტანს. 1872 წელს შავწყალზე თბილისელმა ხუდადოვმა გამართა ყველის სახარში ქარხანა. რძეს მოსახლეობისაგან ყიდულობდა, მაგრამ როგორც ჩანს, წარმოებამ იზარალა და გაყიდა, და 1879 წელს შავწყალზე (ყარაბულაღი) უკვე ჩანან შვეიცარული ყველის მწარმოებელი ძმები ამეტერები, ქრისტიან და პეტერი. ეს ამეტერები სწორედ კუჩენბახის ყველის მხარშავები იყვნენ, მათ არ დაუჯერეს კუჩენბახის მითითებას, წასულიყვნენ საქართველოდან და 1929 წლამდე აქ დარჩნენ. შექმნეს დიდი ფერმა, სადაც 500-600 მეწველი ფური ჰყავდათ. ყარაბულაღში ქრისტიან ამეტერი

---

1 დესეტინა ძველი, რუსული მიწის ზომის ერთეული, 1, 0925 ჰ.

დარჩა, მეორე ძმა, პეტერი კი — მუსაყალაში, სადაც უმთავრესად სემენტალის მეტისი ძროხები ჰყავდა.

სემენტალებიც შვეიცარული ჯიშია, მაგრამ ამ მხარეში ვერც მათ გასძლეს, ამიტომ მუსაყალას ამეტერმაც მეტისებს მიმართა. სემენტალების მწარმოებელის და ადგილობრივი ძროხის მეტისი მიიღო.

თუ ყარაბულაღში (შავწყალზე) ფერმა ოთხმოციან წლებიდან ჰქონდათ, მუსაყალელი ამეტერი აქ გვიან დასახლებულა.

წინათ ეს ფერმა ნიკოლოზ კეზელს ეკუთვნოდა.

აი რასა სწერს ერთი ჩვენი ხალხოსანი მწერალი ზაქარია გულისაშვილი 1900 წელს:

„დაბა ყარაბულაღს ზევიდან არის მუსა ყალას ციხე, აშენებული საკვირველ მთაზე, რომლის კონწოხზე[1], შუაგულ ციხისა, ამოჩუხჩუხებს მშვენიერი წყარო. ახლა ციხე მინგრეულ-მონგრეულია. ვახუშტის დროს კი მთელი იყო თურმე. წყარო უწესურად არის, ახალი პატრონი ამ ისტორიულ ნაშთისა, ნ. კეზელი, უპირებს ამ ალაგს გამშვენიერებასა და წყაროს შეკეთებას. როცა ამ ციხის ნანგრევებს და მის სანგლებს[2] ათვალიერებ, პირდაპირ უმზერ მაღლობ თრიალეთის ფერდობებს და გრძნობ, რომ იქიდან დაწყებულსა და ამ სიმაღლეზე ამოსულ წყაროს გაძლევს იმ ფერდობებიდან შადრევანის კანონის[3] მსგავსი ძალა და მანქანა აწარმოებს“.

საქმე იმაშია, რომ 1894 წელს ნიკოლოზ კეზელმა გოტლიბ გრაფთან ერთად, აქ დააარსა ფერმა. შემდეგ, როგორც ჩანს, ეს ფერმა ერთ-ერთ ამეტერს შეუძენია. ხოლო ორთაშუაში ნ. კეზელს ახალი ფერმა მოუწყვია, რომელიც საბოლოოდ მეცხვარე გუგუთიშვილის ხელში ჩანს.

საერთოდ კი შვეიცარული ყველის სახარში ქარხნები ოთხმოცდაათიან წლიდან მომრავლდნენ. შვეიცარული ყველის ხარშვა ისწავლეს ლორელმა მოლოკნებმა და სხვა ადგილობრივმა მოსახლეობის წარმომადგენლებმა. შვეიცარული ყველის სახარში ქარხნები და ახალი ტიპის ფერმები დაარსდა ლორეში, ჯავახეთში, ყარსის ოლქში, ართვინში და სხვაგან.

1913 წლისათვის ამიერ კავკასიაში უკვე 81 შვეიცარული ყველის სახარში ქარხანა არსებობდა; აქაური ყველი იგზავნებოდა მოსკოვში, პეტერბურგში, კიევში და ეწოდებოდა „კავკასიური შვეიცარული ყველი“, იგი ფრიად მაღალხარისხოვანი იყო და ექიშპებოდა ნამდვილ შვეიცარულს. ასეთი ამბავიც კი მოხდა. კუჩენბახმა 1888 წელს მოსკოვის გამოფენაზე წარადგინა მამუდლოს ქარხნის ყველი. საექსპორტო კომისიამ არ დაიჯერა, რომ ასეთი მაღალხარისხოვანი ყველი შეიძლებოდა დაემზადებინათ მამუდლოში და კუჩენბახს მოსთხოვა, თუ მეორეს ასეთივე კვერს[1] წარმოადგენთ, ოქროს მედლით დაჯილდოვდებითო.

ჩვენებურმა ყველის კეთებამ, რასაკვირველია, გავლენა მოახდინა ექსპორტზე. თუ 1899 წელს რუსეთში შემოიტანეს 3015 ცენტნერი შვეიცარული ყველი, 1906 წელს—ნაკლები (1430 ც.). პირველი მსოფლიო ომისა და შემდეგ სამოქალაქო ომის დროს, მესაქონლეობაც უკან-უკან წავიდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, კუჩენბახისა, ამეტერების და გუგუთიშვილის ფერმებში ძროხების ძირითადი ნახირი მაინც დარჩა.

[1] კონწოხი — მწვერვალი.

[2] სანგალი — სანგარი

[3] ამ კანონის საფუძველზე ყოფილა აგებული თეთრწყაროსთან არსებული თამარ მეფის სახხლის წყაროც.

[1] კვერი, თავი — ყველი-უკვე ამოყვანილი.

## ცხვრის დიდი მადლი

ცხვარმა ღარიბი კაცის სახლში შეიხედა და სიღარიბეს შეუტია, კარში გადი, მე უნდა დავ-დგეო.

ხალხური.

—- კეზელის მეტი ჩვენებური არავინ გამოჩნდა?

— როგორ არა, აკი გითხარით კეზე-ლის ქარხანა და ფერმა ბოლო დროს გუგუთიშვილის ხელში ჩანს.

ცოტა თავისებურ კაცს ამბობენ ამ გუგუთიშვილს.

იგი ფშაველი ყოფილა, ერწოს მაგრა-ნეთელი, უბირი მეცხვარე. თხუთმეტ-ათასამდე ცხვარი ჰყოლია, ასე ამბობენ ძველი მეცხვარენი, თორემ მე არ შევხ-ვედრივარ.

— მთელი მისი ბუღალტერია ერთი უზნის[1] ჯოხი ყოფილა. ზედ ჰქონდა რაღაც ნიშნები. დახედავდა ჯოხს, გა-დაატრიალ-გადმოატრიალებდა და იტ-ყოდა, სად რამდენი ცხვარი ეყენა, ვის რა ემართა, ან ვისი რა ევალებო-და. პატარა კაცმა დიდი გორი გადაია-რაო. გულუხვი იყო, არა, გულუხვი კი არა, საზრიანი, ანგარიშიანი. მეპურეს ერთი პურით მეტი მიეცით და კაი პუ-რი გამოაცხობინეო, იტყოდა ხშირად. მწყემსს არ მოამშევდა, კოხტად უნდა სცმოდა, ერთი შეხედვით უნდა თქვან გუგუთიშვილისააო. მისი ცხვარი თურ-მე შამბიანზე სძოვდა, ფარები უკვე ერთი კვირის წასული იყო ბარისკენ, ბაშკიჩეთელი დუხობორები ხედავენ, რომ ერთი კაი დიდი ნოტო ცხვარი სა-ღამოზე ბინაზე მოდის, დილით საძო-ვარზე გადის. გაგზავნეს ცხენოსნები და რას ხედავენ, ორასორმოცდაათი ცხვარის მეცხვარე — უზარმაზარი თო-ლიაა. ცხადი იყო, დარჩენოდათ ცხვა-რი. უხუცესების მითითებით ახალგაზ-რდებმა გაირეკეს ეს ცხვარი და თბი-ლისის მიდამოებში დაეწივნენ, ჯეირან-მინდორზე, იქ, სადაც თრიალეთის მეცხვარენი ჩაიმუხლებდნენ ხოლმე; გასასყიდ ცხვარს არჩევდნენ, დანარ-ჩენს პარსავდნენ.

— შვილებო! რად შეწუხდით? იპო-ვეთ! ალალი იყოს, მაგრამ რაკი ჩამო-მირეკეთ, მოვიქცეთ ძველი წესით: ნა-ხევარი მპოვნელს, ნახევარი დამკარგ-ველსო. მაგრამ დამკარგავმა გადიხა-დოს საპოვნელაც[1] და ათი ცხვარი ჩემი წილიდან ფეშქაში.

კიდევ ბევრს ამბობენ, მაგრამ ამაზე შემდეგ.

1929 წელს, რომ ამოვედი აქ, ფერ-მა მაშინ ჩააბარა კოლმეურნეობას.

— დაიცათ, ერთიც მე უნდა გიამ-ბოთ, — დაიწყო შალვამ. ძველად მამა-ჩემი ერწოში მსახურობდა; ჩვენ, ე. ი. ოჯახი, გარეკახეთში ვცხოვრობდით. მაინც და მაინც არ მანებივრებდა ხოლ-მე მამაჩემი, არსად დავყავდი და ერთ დღეს მეუბნება, ერწოში წავიდეთო. გამოიყვანა თავისი ბეხრეკი და კარგი უნაგირი დაადგა.

— კაცო, სად გაგონილა ბერი კაცის ჭრელი უნაგირი, — გამოსძახა დედა-ჩემმა.

— ქალო, შენ რა იცი, ვინა ჯდება მაგ ცხენზეო.

შებრუნდა თავლაში და ჩვენი ახ-ლად გახედნილი სადარი გამოიყვანა, გადააფარა თექალთო, მოუჭირა მოსარ-თავი, უნაგირიან ცხენს ხილით სავსე ხურჯინი აჰკიდა და მომიბრუნდა.

— შეჯექ მაგ ბედაურზე, ამ კვიცს კი მე მოვუვლიო.

პირველი მსოფლიო ომი ახალი დაწ-ყებული იყო ასე, თხუთმეტიოდე წლის ვიყავი და ცხენზე ჯდომა არ მე-ჩოთირა.

ხაშმის პირდაპირ გავიარეთ ვერხვ-ტირიფანი ჭალა, მაშინ იორზე კარგი აყრილი ჭალები იყო, გამოვტოპეთ იორი, ერთი კი დამაბორიალა, როცა ცხენს მკერდზე დაჰკრა წყალმა და ტალღას დავუწყე ცქერა.

1 უზანი — ბუჩქია, მისგან კარგი ჯოხი კეთ-დება.

1 საპოვნელა — ნახევარის გარდა, პოვნის ჯილდო.

— ასწიე თავი მაღლა! — დაიძახა მამამ და მეც სწრაფად გავხედე მუხროვანის მთას. მამამ ცხენს აღვირში ჩასჭიდა ხელი, ცხენმაც მალე დაიქნია თავი და წინა ფეხები რიყიან ნაპირს დაჰკრა.

— წყალს თავის დღეში არ უნდა უყურო, ეგ იცოდე ჩემგან...

მე თავი დავუქნიე, მეტი რა მეთქმოდა. გავუარეთ მუხროვანის სამარილეებს, აქ, ივრის მარჯვენა ნაპირას, წალმიანის ჩრდილოეთით, ხაშმის პირდაპირ, სამი პატარა ტბაა, ნაპირები თეთრადაა დაფარული. ეს სოდაა, მაშინ სწორედ ამ მარილს აგროვებდნენ და ამუშავებდნენ.

გავყევით მუხროვანის გვერდის ძირს, გავიარეთ უჯარმა და მალე სოფ. პალდოსთან ისევ ივრის ჭალებში მოვხვდით, კვლავ გავედით იორი და სოფლის სასადილოდან გადავუხვიეთ თიანეთის გზაზე ტყის პირას ჩამოვხტით, ცხენებს მოსართავები მოვუშვით, აღვირები წავყარეთ, თოკები დავუგრძელეთ და მივუშვით ბალახზე. ჩვენ მშვენიერ წყაროზე ხელპირი დავიბანეთ და ცოტა წავისაუზმეთ.

სად დადგამ ფეხს ჩვენ დალოცვილ ქვეყანაში, რომ წარსულის ისტორია თავზე არ დაგცქეროდეს.

პალდომდე უჯარმის დიდი ციხე-ქალაქი მოსდგომია გზას. გზიდან თითქოს არაფერი, მაგრამ საკმარისია აიარო ფერდო, შეხვიდე გალავანში, რომ შენს წინაშე გადიშლება გრანდიოზული ქალაქის ნანგრევები, რომელიც ივრის პირამდე ჩადის. ამბობენ ვახტანგ გორგასალი სამგორის ბრძოლაში შინაყმის ღალატით რომ დასჭრეს, აქ მოუყვანიათ, აქ გარდაცვლილა.

ჩრდილოეთით ჩვენ წინ, ლამაზ მწვერვალზე აღიმართა არა ნაკლები სახელოვანი ციხე-ქალაქი, ბოჭორმა, ესეც ვახტანგის სახელთან არის დაკავშირებული.

გზადაგზა სამზერი კოშკები გვხვდებოდა, სოფელ სიონის ქვემოთ იორი გაშლილი იყო და მამაჩემმა სწორედ ის აირჩია. ზევით ჩქერიანია და ვაი თუ შენმა მერანმა ვერ გაუძლოსო.

მალე გავედით თქვენთვის ნაცნობ ერწოს დაბლობზე.

გავიარეთ სოფელი დორეულები და ცეზი სოფელ მარგანეთისაკენ ავიღეთ.

— აქ ერთი ძმაკაცი მყავს, გუგუთაანთ გიგო, აი ეს კვიცი იმას უნდა დავუტოვო, — მითხრა მამაჩემმა, როდესაც მარგანეთს მივუახლოვდით. ეს რომ მითხრა, გული გადამიქანდა, ჩემი ქურანა, ასე ვეძახდი კვიცს, ხელიდან გამომეცალა. ვოცნებობდი როგორ დავადგამდი უნაგირს, შევჯდებოდი და თავს მოვიწონებდი. მაგრამ ღარიბ კაცს ეგრე ადვილად როდის ახდენია ნატვრა.

გრძელი ფშაური სახლები იყო, კრამიტით დახურული... ერთ დიდს, ორსართულიან სახლს მივაშურეთ. დიდი ეზოც ტყუშულით შემოღობილი, ცხენიდან მთელი ეზო ხელის გულივით, ჩანს, გამაოცა ძაღლების სიმრავლემ — თოლია, ყურშა, მურა, სულ აქ იყვნენ მოგროვილნი, ერთი ლეკამდე მაინც აქ ნებოდა.

ზოგმა კი მოიხედა ჩვენსკენ და თავი ისევ ზანტად მიიბრუნა. ერთი თოლია გამოენთო ყეფით ჩვენსკენ. ჭარმაგი მოხუცი გადმოდგა აივანზე.

— ასარა, იყუჩე! — ისე დაიგრუხუნა გეგონება, ცა ელვამ გააპოო.

— მობრძანდი გიორგი! — და კიბე ჩამოირბინა. მალე ჩვენ წინ აიმართა ტყაპუჭიანი, ხანში შესული ვაჟკაცი წვერი წმინდათ ჰქონდა მოპარსული, გრძელსა და ხშირ ულვაშებში ვერცხლის ძაფები გაბმულიყო, ხშირი წარბები მკვირცხლსა და ცოცხალ თვალებს ჩარდახივით გადმოხურავდა. სახე მზით დამწვარი ჰქონდა, გეგონება მთლიანად სპილენძისაგან არის ჩამოსხმულიო.

— ძაან კი მომისწარ, დილით თრიალეთზე უნდა წავსულიყავ.

— კაცო, ხომ მოგესწრო ძმა და ძმისწული. ისევ შენ დადიხარ?

მასპინძელს გაეღიმა.

— აქლემმა სთქვა: ორმოცი კოზაკი ვავზარდე, მაგრამ ტვირთი არავინ ჩამომხადაო. ჩემი საქმე მაინც ასეა. ერთი არის მთოხნელიო, ოცდახუთი მცოხნელიო.

ლექსაობდა თან ჭიშკარს აღებდა. ცხენებს სწვდა და წინ გაუძღვა.

— ეს კაი ულაყია, გიორგი!

— მოგეწონა და მოგიყვანე კიდეც. შემოდგომაზე იმდენი ცხვარი მომიგდე კარზე, რამდენადაც ეგ ულაყი ეღირება.

გუგუთიშვილი შედგა, კვიცი აათვალიერ-ჩაათვალიერა, კბილი გაუსინჯა, გაეღიმა.

— ხათრიჯანად იყავი, სახლში მოტანილი ქვაც ქადააო, კარზე მოყვანილი ასეთი კვიცი ხომ მერანთა მერანია, იცოცხლე!

— ვიცი, კაი ცხენი გიყვარს და იმიტომ გამოვწიე შენსკენ.

— ჩემო გიორგი, პატარა თუ არ გაიზარდა, დიდი როგორ იქნება.

ძაღლები კი იწვნენ და ჩვენ ყურადღებასაც არ გვაქცევდნენ. მე გაკვირვებული გავცქეროდი.

— რაო შვილის ტოლო, გიკვირს? ეგენი პენსიაზე გადავიყვანე, კარგად იმსახურეს და ხომ არ დავხოცავდი? ერთი რძალი ყოველდღე სალაფავს უკეთებს და ეგენიც თვლიან ამ წუთისოფლის დღეებს.

ცხენები ბალღს გადააბარა, ბზე და ქერი დაუყარეთო, დაავალა.

ღამე კარგა მოგვასვენა.

რომ გამოვედით, სამი ცხენიება. ერთი ჩვენი და ორი კარგად გამართული, აღვირ-უნაგირით, ვერცხლის მოსართავებით დამშვენებული.

— ჩვენი ბიჭი ჩამოგვყვება სოფლამდე და აბა შენ იცი, ხურჯინით ხილი კიდევ გამოატანე.

შევხედე ჩვენს ხურჯინს, გაჭიკნული იყო, კვერის თავები იხატებოდა შიგ.

ეს იყო ის გუგუთიშვილი, რომლის ცხვარიცა სძოვდა შამბიანზე.

— ძაან კაცი ყოფილა! — მოიწონა ჯახტანგმა.

— ამაზე დიდი მეცხვარე იყო ვინმე?

— იყო, ისიც ამას გავდა — ჭყოპიშვილს ამბობდნენ. გიამბოთ? — და დაიწყო.

— გუგუთიშვილზე ნაკლები ჭყოპიშვილი არა ყოფილა, — დაიწყო შალვამ, — გუგუთიშვილი თუ თრიალეთზე აძოვებდა, ჭყოპიტაშვილი მთათუშეთში.

ერთი კარზე მოხეტებული მწყემსი ჰყავდა, გაურიგდა, წელიწადში ოცი ცხვარიო, იმის ნამატიც შენაო. ჩაგაცმევ და ქუმელსაც არ მოგაკლებო; პირველად ბატკანში ჰყავდა, როცა დახედა კარგი, სარისტანიანი ბიჭი იყო, მეწველ ცხვარში გადმოიყვანა.

გავიდა შვიდი თუ რვა წელიწადი, ჭყოპიშვილმა დაუძახა ამ ბიჭს და ეკითხება:

— იცი რამდენი ცხვარი გყავს?

— აბა რავიცი.

— დაიცა შვილო, შვიდი წელია ჩემთან ხარ. აი ჯოხი რას ამბობს (ჯოხზე ჰქონდა ჭდეულები. ამისათვისაც ჯოხი იყო საბუღალტრო წიგნები). პირველ წელს ოცი ცხვარი გადაგიკვეთე წლის ბოლოს ოცდაათი გასულს მეორე წლის შემოდგომისათვის ორმოცდახუთი გახდა, მესამეს — სამოცდარვა, მეოთხე წელს ასორი გახდა. ყოველ წელს შენ თავნს ნახევარი ემატებოდა და მერვე წლის ბოლოს შვიდასამდე გახდება.

— რა ჭირად მინდა მაგდენი?

ჭყოპიშვილს გაეცინა.

დაიბარა სარქალი და დაავალა: „ჩადი, ახმეტას, მიიკითხე-მოიკითხეთ, თუ არის ვინმე ობოლი გოგო, ან შიგ ახმეტაში ან ბაბანეურში, ან სხვაგან ახლო-მახლო, წაასხით ერთი ორასი ცხვარი, ორი თვალი წაბლის სახლი დადგან შემოდგომამდე, ქალი დანიშნეთ, ნიშანის მაგივრად ორმოცი ცხვარი დაუტოვეთ, გაპარსონ, მატყლით ლოგინები გააკეთონ, ცხვარი გაყიდონ, თეთრეული და სხვა ჩითეულობა იყიდონ, ჯამ-ჭურჭელი, დანარჩენს მერე უყიდით.

მართლაც, ახმეტაში ნახეს ერთი ობოლი, მამიდასთან შეხიზნული შეღერებული გოგო. კარმიდამოც ჰქონდა. დანიშნეს, მოურიგდნენ ხუროებს, რომ მარიამობა დღისათვის (მაშინ აგვისტოს 15-16) ორი გამართული ოთახი დაეხვედრებინათ.

გოგოს მამიდა სულ დაფრინავდა თურმე სიხარულით — ჩემი გაზრდილიც ბედს ეწიაო.

ცხვარი სანამდე ბარისკენ დაიძროდა, ჭყოპიშვილმა სარჩალი და ეს მწყემსი თელავში გამოგზავნა. ორი ხელი ტანისამოსი შეუკერეთ, გაპარსეთ, აბანოში აბანავეთ (აბანო იმ დროს იმ მხარეში მარტო თელავში იყო), მორთეთ, მოკაზმეთ და ბირკიანში დაგვხვდითო. მართლაც დაიწყო ჭყოპიშვილის ცხვარმა მთიდან ბარად ჩამოსვლა, მოდიოდა და აღარ თავდებოდა ალაზანივით.

ახმეტაში უკვე მექორწილენი ტრიალებდნენ, ცხვარზე იყიდეს ღვინო, პური, მწვანილი და სხვა ხორაგი. ერთ კვირა დღეს ჭყოპიშვილის მეთაურობით მაყრიონმა ახმეტაში სიმღერით კინაღამ ცა ახსნა.

სანეფე ჭყოპიშვილის გვერდით თამამ ულაყზე იჯდა და ერეკლეს მეომარსა ჰგავდა. ბიჭი ჩანდა, მტრის თვალს არ ენახვებოდა. ჭყოპიშვილი მალიმალ მიიწევდა თავის მწყემსისაკენ და ყურში რაღაცას უჩურჩულებდა მაჰმადის მტრედივით. ბიჭსაც მეზვრის ყურები ჰქონდა გამობმული, ოდნავი ჩურჩულიც კი ესმოდა.

— რა ვქნა, რომ მარტოხელა ბიჭი ხარ, სამაგიეროდ ალალი და მართალი. შენი ექვსასი ცხვრიდან ოთხას-ხუთასი სახლსა, ლოგინსა და ქორწილს მოუნდა, ასზე მეტი კიდევ გყავს... ერთ-ორ წელიწადში კიდევ იმრავლებს. ობლის კვერი ხომ იცი, გვიან ცხვება, მაგრამ ერთხელ თუ გამოცხვა, კარგად გამოცხვება.

ერთი სიტყვით, კაი ქორწილი გადიხადეს, პატარძალსაც მოეწონა ჯანიანი ნეფე და ნეფე ხომ ცხრა ნაბადზე ხტოდა.

ლხინი რომ გაიმართა და ტაშფანდური გაჩაღდა, დედოფლის — მაყრები ატყდნენ — ნეფემ ითამაშოსო.

ნეფემ ჯერ კი ფეხი უკან დადგა, მაგრამ რომ ჩამოუარა, მის ამხანაგებსაც გაუკვირდათ, სულ ცაში დაფრინავდა და კინაღამ თან პატარძალიც აიტაცა.

— შეგერგოს ძმაო, კაი ვაჟკაცი ყოფილხარ, — თქვეს ახალმა ნათესავებმა.

— ბიჭო, სად ისწავლე ასეთი კარგი თამაშობა? — ეკითხებოდნენ ამხანაგები.

— ცხვარი რო იცოხნიდა მე ლეკურსა და ჩაჩნურს ჩამოუვლიდი ხოლმე — გაიცინა.

— კარგი, მაგრამ ეგ ქართული? — არ შეიმჩნიეს გადაკრული ლაპარაკი

— ქართული? ქართველი ვარ და მაგას რაღა სწავლა უნდაო.

— ახა, ღმერთო ჩემო, ჩვენ დღემდე არა გვცნობიხარ და ეგაა.

— რომ გცოდნოდით, ცოლსაც ხომ ადრე შემრთავდით, — უპასუხა.

— ასე კი იყო ეს ამბავი, — დაამთავრა შალვამ.

— ეხლა თუა ცოცხალი.

— როგორ არა, ახმეტაშია, კარგი ჭარმაგი მოხუცია, ხუთი წელია მთაში სიარულისთვის დაუნებებია თავი. სამაგიეროდ...

— რა? — ვერ მოითმინა ვახტანგმა.

— მისი შვილია ბრიგადირი, უმაღლესი დაუმთავრებია, სავეტერინარო. მეორე ბიჭი ექიმი ყოფილა.

— ესეც შენი მოჯამაგირე.

— არა, მოჯამაგირე ყოფილი. ხოლო რაც შეეხება ჭყოპიშვილის ამბავს, უნდა გითხრათ, რომ მაგნაირი ხალხი, იმ კლასობრივი ბრძოლის პირობებში, იშვიათი გამონაკლისები იყვნენ.

— ბარემ ისიც გვითხარი, ჩვენში სად იყო უფრო მეცხვარეობა.

— მაგას რა ბევრი ლარი და ხაზი უნდა. ნამდვილი პროფესიული მეცხვარეები იყვნენ თუშები, ზემო და ქვემო ალვანელები: ბუქურაულები, ცისკარაშვილები, აბაშიძენი, თხელიშვი-

ლები... კარგი მეცხვარეები იყვნენ ქიზიყელები — ზემო მაჩხაანელები, ბოდბელები, ბოდბისხეველები. ქართლში კარგი მეცხვარის სახელი ჰქონდათ წყნეთელებს. როგორც დაინახეთ, ფშაველები, ქსნიელები, მოხევეები, ოსებიც კარგი მეცხვარენი ყოფილან. მაშინ იმდენი ცხვარი ჰყოლიათ, რომ როგორც ახლა, არც ზაფხულის საძოვარი ჰყოფნიდათ, და განსაკუთრებით არც ზამთრისა. ზამთარში ჩვენი ცხვარი შირვანსა და სალიანს უწევდა. ზაფხულში არტაანისა და არტანუჯის მთებშიც სძოვდა. ამ გზაზე მხოლოდ გამბედავი ხალხი დადიოდა, კარგი ვაჟკაცები, ამიტომ მწყემსს ყოველთვის პატივისცემით ექცეოდნენ.

ამ გრძელმა გზამ ცხვარიც თავისებური დააყენა, გამძლე, ჩლიქმაგარი თუშური ცხვარი, მას თან ახლდა კარგი თუშური ცხენიც. — ბარგის მზიდველი, ფეხმაგარი.

ცხვარი ხელს უწყობდა ერის ერთიანობასაც; თუშის ცხვარს მთიდან კახეთი და ქიზიყი უნდა გაევლო, ან ქართლი, თრიალეთი, ჯავახეთი, მესხეთი და ისე უნდა ჩასულიყო არტაანისა და არტანუჯის მთებში. გზადაგზა ეცნობოდნენ ერთმანეთს, ადგილობრივ მცხოვრებთ გზა უნდა დაეთმოთ, შეღავათი მიეცათ. ეკონომიური ერთიანობის საფუძველი იქმნებოდა.

მესაქონლენი, მეცხვარენი, როგორც ჩანს, პიონერები იყვნენ ტომთა შორის ძმობისა, სიყვარულისა და ეროვნული ერთიანობის თვითშეგნებისა.

ძველი ქართული კანონმდებლობა მეცხვარე-მესაქონლის ინტერესს იცავდა, რადგან მასში ხედავდა სახელმწიფოს ეკონომიკის ერთ-ერთ ბურჯს. აი ეს როგორ არის გამოხატული ვახტანგ მეექვსის კანონებში: „ქვეყანაზე ეს სამი არ დაეჭირვის კაცსა და ხელმწიფისა არის: წყალი, შეშა და ბალახი, და შემდეგი მუხლები იძლევიან თითქმის ამომწურავ განმარტებას.

„ბალახი მთასა და ბარსა კაცს კაცისაგან იმიტომ არ დაუჭირვის, რომ ხელმწიფეს[1] ცხვრის საბალახე ეძლევის და ძროხის ნახირის თავი; და თუ ერთი მეორეს ბალახს დაუჭერს, ესენი ხელმწიფეს დააკლდების".

„მთა და შეშა ამისთვის არ დაეჭირვის, თუ ბარის კაცი არ ააშენებს და შეშით არ დარჩების ქვეყანაზე, შენობა მოაკლდების და ხელმწიფეს ლაშქარ-ნადირობა დააკლდების, მაგრამ იქნების, მთის პატრონს ერთი სანადირო ალაგი ყორულად ქონდეს და იქ არ მოაჭრევინოს".

სახელმწიფოს ჰყავდა თანამდებობის პირნი, რომელნიც თვალყურს ადევნებდნენ ტყეს — მეტყევენი (დავით აღმაშენებელის სიგელი), მეყორულენი (სვიმონ მეფის დროს), მებალახენი და სხვა.

— მაშ სახელმწიფო მეურნეობის საქმიანობაში აქტიურად ერეოდა?

— მაშ როგორ?

## ორი დარდი

წავა-წამოვა ღრუბელი
თავთავქვე დაეკიდება,
რაც კაცი თავის თავს უზამს,
მტერი არ მოეკიდება.

ხალხური.

მამუდლოელი კუჩენბახი საერთოდ კომერსანტი ყოფილა, ქვევით, ფინაზაურის ნაპირას, შუშის ქარხანაც აუშენებია.

ამით არ დაკმაყოფილდა და მოინდომა სხვა შემოსავალიც გაეჩინა, მიწა ბევრი ჰქონდა და განიზრახა სამკურნალო მცენარეების თესვა-მოყვანა. გამოიწერა სამკურნალო გვირილა, როგორც ამბობენ, დალმაცური გვირილა. დათესა, აღმოცენდა და გამოდგა ლეუკანთემუმი[2] და არა ის გვირილა რაც გამოიწერა, არავინ იცის მეთესლეობის ფირმა შესცდა, თუ ფირ-

---

[1] სახელმწიფოს.

[2] გვირილას ხალხში სამ მცენარეს მაინც უწოდებენ: ნამდვილ გვირილას (მეცნ. სახელწოდება პირეტრუმ), ანაგვირილას (ანთჰემის) და მდელოს გვირილას (ლეუკანთემუს).

მამ განზრახ გამოუგზავნა. ამ ცრუ გვირილამ მალე დაასარევლიანა მისი ჯერ მინდორი და მერე სათიბ-საძოვარი, მალე გაიჭრა მის ნაკვეთებს გარეთ, ახლო-მახლო მდელოებზე. მე-19 საუკუნის ოციანი წლებისათვის რამდენიმე ათასი ჰექტარი მდელო ჰქონდა დასარევლიანებული; 1925 წელს პროფესორმა ნიკოლოზ ტროიცკიმ გამოაქვეყნა წერილი „ბორჩალოს მაზრის სათიბ-საძოვრების კატასტროფული დასარევლიანება“. ამ წერილში მითითებული იყო ამ მცენარის დიდი მავნებლობა, ბიოლოგია და აგრეთვე ბრძოლის ღონისძიებანი. მაშინ ეს ამბავი ყურად არავინ იღო.

შემდეგ, 1935 წელსაც დაიწერა, ამის თაობაზე, მაგრამ არა გამოვიდა რა.

და აი, დღეს ეს მოუსვენარი მტერი ბარშიც ჩამოსულა, ყამირი ადგილები ბევრი დაუჭერია. ასევეა ბეთანიის მიდამოებში, ქართლისაკენაც გაჭრილა, და ჭერეთხევით კორბოულისაკენ, ზემო იმერეთისაკენ აპირებს გადასვლას.

— ავიდეთ მთაში, მამათქვენი იქაა, ამ საქმეს დასდევს, ჩვენც მივეშველებით და მეტსაც გავიგებთ.

— ისე კი, უნდა ვთქვა, — დაუმატა მინდიამ, — ესეც ისეთივე მტერია ხალხისა, როგორც შემოსული ურდო, რომელიც ქუდზე კაცის გამოსვლას მოითხოვს. მტერიც ლუკმას ართმევდა ხალხს და ესეც; ესეც ისე იავარ ჰყოფს მთა და ბარს, ვით იავარჰყვეს დმანისის ციხე და ქალაქი, აგერ, შორს რომ მოჩანს, — ხელი გაიშვირა მინდიამ სამხრეთისაკენ.

ზემო ყანის პირიდან ვახტანგი ჰკიოდა.

— ამოდით აქ, ჩქარა...

ყველა იქითკენ გაეშურა.

ვახტანგი გაუძღვა, ბუჩქებში გაატარა და უცბად მათ თვალწინ აიმართა ერთნავიანი ბაზილიკა, მაგრამ გაძარცული, თლილი ქვის პერანგი მთლიანად ჩამოცლილი ჰქონდა, მხოლოდ დუღაბი და ჩანდა, გარეთა მორთულობიდან კარების შესანიშნავად მოჩუქურთმებული ქვებიდა ამოჩენილიყვნენ აღმოსავლეთიდან და პერანგის ორადორი ქვა.

— აი. უყურადღებობის იშვიათი ნიმუში.

— თბილისიდან სამოცდამეთოთხმეტე კილომეტრზე ისტორიული ძეგლის ასეთი განადგურება?!

მალე სოფ. დიდი დმანისში (დუმანისში) იყვნენ, მებოძირზე თემურმა მიწქიას ჰკითხა საითო?

— აგერ, ის მანქანა რაღაც მეცნობა! — სთქვა თვალებგაბრწყინებულმა ლელამ.

მართლაც სოფლისაკენ, გზის პირას მანქანა იდგა, რომლიდანაც გაღიმებული გიორგი გადმოვიდა.

— სადა ხართ აქამდე, აგერ გუთნის გამოშვების[1] ხანია უკვე.

ლელა ყელზე ჩამოეკიდა.

— დმანისის ნანგრევები არ ვნახოთ?

— მაშ, უმაგისობა როგორ იქნება? ჩაქრო — მიმართა მძღოლს, — ადი ზევით, დმანისში, ჩემი და შენი საძილე ტომარა წამოიღე. აქ გავათენებთ, თან საწვავდეებიც წამოიღე, ამათთვის რომ ვქონდა.

— ამაზე უკეთესს სოლომონ ბრძენიც ვერ იფიქრებდა. მაშავერის დაყამირებულ რიყეზე ლეუკანთემუმი გაპატონებულიყო, გზის პირზეც ცოტა როდი იყო. ვახტანგმა რამდენიმე მოწყვიტა.

— ისაა, — თქვა მინდიამ.

გადასჭრეს მჩქეფარე მაშავერას ხიდი და ფინეზარის ხრამში შევიდნენ. ხრამი, რომელიც შექმნილია მეოთხეულის ლავებისაგან, მალე გათავდა და ქვემო დუმანისთან ხეობა ისევ გაგანიერდა; ფოლადაურის მარჯვენა მხარეს, ორი ქედის უბეში ამართულია ისეთივე კლდე, როგორც ქვეშის ციხის კლდეა და ზედ აგებულია ბერდიკის ციხე; ბერდიკის ციხე — ეს სახელი

[1] გუთნის გამოშვების ხანი მაის-ივნისში, საღამოს 4-5 საათი.

ეწოდა იმ სოფლის სახელის გამო, რომელიც აქ იყო; დღეს მის მახლობლად სოფელი ფოლადაურია.

ფოლადაურის ხეობით ლორესკენ მგლის ზეკარით უმოკლესი გზა გადიოდა და სწორედ ამ გზას დარაჯობდა იგი. ამ კლდის ფერდონი მუხითა და აკაკით არის დაფარული, აკაკი სჭარბობს. ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთი კედელი ჩამონგრეულია, ჩამონგრეულია გორაკის ფერდოც და საკმაოდ მაღალ ალესილსა ჰქმნის; მაღლა, სოფელ გორას მიდამოებში, ისტორიულ ძეგლებიდან აღსანიშნავია თაღოვანი ხიდი, რომელიც თავის არქიტექტურით უახლოვდება რკონის და აჭარის წყლის ხიდებს. პატარა სოფლის პირდაპირ მანქანამ მხარმარჯვნივ აუხვია და აჰყვა ღორღიან გზას. გახსნეს ლასტისაგან გაკეთებული გალავნის კარი და დმანისის ნაქალაქარში აღმოჩნდნენ.

ჩანდა იყო ქალაქი, ჰყვაოდა, ცოცხლობდა, იყო ლოცვებიც დიდ ტაძარში და დღეობაც ტაძრის წინა მოედანზე.

ყოფილა სასახლეებიც, მაგრამ დღეს ივარქმნილია. სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ჩანს. არა, თუმცა ნათიბია, ზულულები დგას. ეს, ალბათ, ტაძრის დარაჯის მიერაა გათიბული.

ისე წყნარად, ისე ჩუმად და დაფიქრებულნი ადგამდნენ ფეხს, გეგონებოდათ დიდი ადამიანის ცხედრის საპატივცემულოდ ყოფილიყვნენ მოსულები.

ეზოში ჰაღაროსანი, წმინდად გაპარსული და სუფთად ჩაცმული კაცი დახვდათ.

— ტაძრის მცველი გახლავართ, გვარად მაღრაძე — უპასუხა გიორგის და მინდიას თვალებით შეკითხვას.

— მაღრაძე! სადაური?

— აქაური, აგერ ფინეზაურის პირას, რომ პატარა სოფელია, იქაური. ჩვენც მოსულები ვართ. პაპის პაპა გადმოსულა იმერეთიდან. ჩვენი სოფელიც ამ ციხე-ქალაქს ეკუთვნის. მობრძანდით, — და კბოდესკენ გასწია, ფინეზაურისკენ გადაახედა, — აგერ წყლის პირას ნანგრევებია, ეგენიო აბანოებიაო. ახლა აქეთ მობრძანდით, — და წაიყვანა მაშავერის კბოდისაკენ.

მათ წინაშე, ლუკუნის მთის (2.225 მ. სიმაღლის) დაფენილ კალთაზე გადიშალა გაღმა მხარის სოფლები. პირდაპირ — დმანისი, ვარდისუბანი, განთიადი, მიჯა; მთისკენ — კაკლიანი; ქვევით, მაშავერის მარჯვენა ნაპირზე — ბალიჭი, კაზრეთი. — „საამო იყო საცქერლად“ სწორედ.

— აგერ, მაშავერის ნაპირს რომ აჰყვეთ, ნახავთ წყაროებს, რომლითაც არჩენენ მუწუკს.

— თქვენ ბრძანეთ, რომ პატარა დუმანისელი ხართ. ხომ არ გაგეგონებათ სად იყო შუშის ქარხანა?

— როგორ არ გამეგონება, ჩვენი სოფლიდან ხუთ-ექვს კილომეტრს ზევით... ეხლა ნანგრევიც კი არ ეტყობა, ისე კი იტყვიან ამ ალაგზე, შუშის ქარხანა იყოო.

— ქვახვრეტილს რომელ ადგილს უწოდებენ?

— სოფელ კიანეთს ზემოთ არის ერთი ადგილი, წისქვილის ქვებს აკეთებდნენ. ახლა კი ამის ოსტატი აღარავინ ჩანს...

ამის შემდეგ ჩამავალ მზის სხივებზე დაათვალიერეს ციხე-ქალაქი.

ეზოში, პირველ რიგში, ყურადღებას იპყრობს ორი ტაძარი: დიდი ბაზილიკა, სიონი და მომცრო, მარინეს ეკლესია.

სიონი სამნავიანი ბაზილიკაა და ჩვენი მეცნიერნი მას მე-7 საუკუნის ძეგლად მიიჩნევენ, თუმცა, თორმეტი საუკუნის გრძელ გზაზე ბევრჯერ დანგრეულა და გადაუკეთებიათ. კედლების ამოსაყვანად ნახმარია ნამსხვრევი[1] კლდე, ქართული აგური, რიყის ქვა.

კედლებზე მრავლად არის ამოსული

[1] უცნაურია, ამ ბოლო დროს ტექნიკურ ლიტერატურაში დამკვიდრდა „ნაფლეთი“, „დაფლეთილი“ ქვა. ქვის დამტვრევა ან დამსხვრევა შეიძლება, დაფლეთა
ქსოვილის, ხორცის და სხ

სახ. სახ. რესპუბ.

ბალახი, განსაკუთრებით პარიეტარია ანუ კედლისპირა.

კედლებში რამდენიმე ბოლნისური ჯვარია დატანებული.

დასავლეთის მხრიდან სიონს მოშენებული აქვს არქიტექტურულად სრულიად განსხვავებული კარიბჭე. პირველი შეხედვით თვალში ეცემა კაცს, რომ კარიბჭე ამ ტაძარს არ შეეფერება; კედლები, მართალია, ნაშენია ნამსხვრევი ქვით, მაგრამ სამაგიეროდ კარიბჭის ყველა ნაწილი, სვეტი და კედლები მოპირკეთებულია ღია ფერის მომწვანო ფილებით. ეს ქანი დმანისამდე გზის პირასაც კარგად ჩანს და, ეტყობა, ქვაც იქიდან უზიდიათ.

გარედან მთელი კარიბჭე მორთულია მე-12-13 საუკუნის ტაძრისათვის დამახასიათებელი ჩუქურთმებით (ბეთანია, ფიტარეთი), კედელზე არსებული წარწერებით ირკვევა, რომ იგი აშენებულია გიორგი ლაშას დროს.

სიონზე მიდგმულ სამრეკლოს კიბე ასდევს, რომელიც მალე კარგად ნაგებ თაღში გადადის; მშენებლობის მიხედვით იგი იმ თაღოვან ხიდებს წააგავს, რომელიც ამ მხარეში იშვიათი არ არის; გარდა სიონისა და მარინეს ეკლესიისა, ეზოში კიდევ ორი პატარა ეკლესიის ნანგრევია, მაგრამ რას ვამბობ, განა მარტო ეკლესიისა!

ადამიანს აკვირვებს აბანოთა სიმრავლე, რომელნიც კარგად ნაგები და მოწყობილია; იქნებ ამ აბანოებში გამოყვანილი იყო სამკურნალო წყარონი, რომელთა შესახებ ვახუშტი ბაგრატიონი თავის გეოგრაფიაში წერს: „ხოლო დმანისს უდის ჩრდილოთ მაშავერი, სამხრეთი ფინეზაური. არს აქა წყარო, რომელი ჰკურნებს მუწუკთა. აქავ არს წყარო, რომელი დაამსხვრევს ქვასა შირიმისასა[1] და დააყრევინებს სმითა".

გივი წააწყდა მარნებს, რომელშიც ოცდათამდე ქვევრი დაითვალა; ეს „წაწყდომა" შემთხვევითი არ იყო, თითქმის ორმოცი წლის წინათ, რუსთაველის იუბილეს მოახლოების გამო, დაიწყეს აქ გათხრები, რომელსაც შესანიშნავი ადამიანი და ღრმად განათლებული მეცნიერი ლევან მუსხელიშვილი ხელმძღვანელობდა.

დმანისს თავიდან ბედი არ ეწერა; ჯერ კიდევ 853 წელს ბუღა თურქმა მოაოხრა ქვემო ქართლი, „დარიელით გამოიყვანა ოვსნი, ვითარ სახლი სამი ათასი და დასხნა დმანისს". მეთერთმეტე საუკუნეში დმანისი არაბთა ამირებს უპყრიათ. რაკი იგი დიდ გზაზე არსებობდა, ვაჭრობის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო. დმანისი თავიდანვე ჭრელი მოსახლეობით ყოფილა სავსე, შემდეგაც სიჭრელე არ შემცირებულა. თამარისა და ლაშა გიორგის დროს დმანისის განვითარებას თითქოს არა უშლიდა რა ხელს და მისი ცხოვრებაც ერთი შეხედვით კარგად მიდიოდა, მაგრამ მალე ჯერ მეთორმეტე საუკუნის დამლევს ლენგ-თემურმა დალაშქრა საქართველო, პირველ რიგში გზად დახვედრილი ქართველების პირველი დიდი ქალაქი, დმანისი.

— უჰ, აღარ მინდა... — წამოიძახა ვახტანგმა და ჩრდილოეთის კედლისკენ გასწია.

— რა აღარ გინდა ბიჭო? — დაედევნა ერეკლე.

— რა და სულ გვანგრევენ, გვიკლებენ, არ გვასვენებენ...

— შენც რას აიჩემე — გვანგრევენ, გვანგრევენო. გაიგე ეს წარსულში იყო, შეეჩვიე, — უთხრა და გასწია ჩრდილოეთით. ძირს, ღრმა ხევში მშვენიერი მაშავერა მიიკლაკნებოდა.

— ვახტანგ, გვირაბი!

გამოსძახა ლელამ, რომელიც მართლა გვირაბის ზემო კართან იდგა. გვირაბს კიბეები ჩასდევდა. ნაშენი ყოფილა მაგარი ქვითკირით, საშენად ნახმარია დიდრონი ლოდები. სიგანე ორ მეტრს უდრის, სიმაღლეც ისეთია, რომ კაცი კარგად გაიმართება. ხრამი დაკიდულია, ძნელად მისადგომია, არც

---

[1] შირიმი — ბუშტისა და თირკმლის ქვა. (საბა).

ვარედან ემჩნევა და გინდ შეემჩნიათ და განეზრახათ მისკენ წასვლა, ციხის მოისარნი არ გაუშვებდნენ ცოცხალს.

გვირაბს ზევიდან ჩახედეს.

— მგლისგან შეშინებული ტურას ერიდებოდაო — სთქვა მინდიამ, რომელიც მიუახლოვდა მათ და ამით თითქოს უფლისციხე მოაგონა.

— არა, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს.

ერთხელ კიდევ დატკბნენ ლუკუნის მთაზე და ლოქის მთაზე შეფენილ სოფლებით და გასწიეს ბანაკისაკენ.

ლაშა გიორგის კარიბჭის წინ თემურს და შაქროს კარავები გაეშალა, შიშინ-ახლო ცეცხლიც ენთო.

— ეს რა დამემართა, კაცო აქ რა გინდათ, ჩამობრძანდით სოფელში, კარგად მოგასვენებთ.

— ნაჩვევები ვართ, არაგვიშავსრა.

და მოეწყვნენ ძირს გაშლილ ნაბდებზე.

### ᲛᲧᲔᲤᲐᲠᲘᲡ ᲒᲚᲝᲕᲐ

ოი, რა ძნელი ყოფილა,
მინდორ სიკვდილი ცხენისა,
აღება, წამოკიდება,
იმ ხმელი უნაგირისა.

**ხალხური.**

დილაადრიან გზა გააგრძელეს. აღმართი სოფლის პირშივე იწყებოდა; აათავეს თუ არა დიდი დმანისი (დუმანისი), გზა შესწორდა და დაიწყო ახალი სოფელი ვარდისუბანი. გზა ხორბლის ყანებში მიდიოდა, ყანას კაი პირი უჩანდა, ადგილ-ადგილ სისხლის წვეთებივით ენთო ყაყაჩოს ყვავილი. ზოგან ჩანდა თეთრი ნარით დაჩაგრული ყანაც. თეთრი ნარის გვერდით გამოჩნდა მინდვრის ნარიც, რომელიც თეთრი ნარისგან მხოლოდ იმითი განსხვავდება, რომ ფოთლის ქვედა მხარეც მწვანეა. თეთრი ნარის ფოთოლი ქვევიდან თეთრი ქეჩისებრივი ბუსუსითაა დაფარული. მინდვრის ნარი ჩვენში თეთრ ნარს მთაში შეენაცვლის 1.000=1.200 მეტრიდან და ისეთივე მავნე სარეველაა.

მანქანა განთიადში შევიდა, ძველად რომ ყალიმშა ეწოდებოდა.

უცნაური ბედი აქვთ ამ ოთხ სოფელს: ვარდისუბანს, განთიადს, მიჯას, მაშავერას. ჯავახეთში, მაშინ, როდესაც შუა ოსმალეთიდან გადმოსახლებული ლტოლვილები მკვიდრდებოდნენ, თვითონ ჯავახები ზოგი სოფლიდან, სადაც კიდევ იყო შემორჩენილი ქართული მოსახლეობა, აყრილან და მაშავერის ხეობის ნასოფლარებში დასახლებულან.

— სოფ. ჯავახსაც ხომ მაგნაირი თავგადასავალი აქვს.

— არა, ვახუშტის სიაში სოფელი ჯავახი ნახსენები არ არის, — უპასუხა გიორგიმ.

მანქანა განთიადის სწორი გზით მიდიოდა. მათი ანეროდი 1.100 მეტრს უჩვენებდა. სახლების წინ და გვერდით ბაღ-ბოსტნები იყო გამართული. ბაღში ჭერამიც ჩანდა, კაკლებიც იდგნენ, მაგრამ წვერები წამხმარი ჰქონდა, მაშ ეს ამ მხარისათვის თავისებური საზღვარია. აქამდე ყველა არა, მაგრამ ზოგი ვაზიც კარგად იხარებს. მთელი ამ დიდ ზეგანისათვის ხომ შესაძლებელია შეირჩეს აუარებელი კურკოვანი ხილი (ბალი, ალუბალი, ქლიავი, ჭანჭური, ტყემალი), თესლოვანები (განსაკუთრებით ვაშლები).

სანამდე დმანისში შევიდოდნენ, მანქანა დააყენეს. ავიდნენ პატარა ბორცვზე, გაშალეს ვახუშტი და მხარის აღწერილობა წაიკითხეს.

— აგერ ემლიკლი, არყიანი, შამბიანი, გულთოვლის მთები, შორს დალიდალი, არა?

— აბა, რას გვეტყვის ვახუშტი!

— გვინდა ამ ნაწილის მთლიანად წაკითხვა? — ეჭვი გამოთქვა ერეკლემ, — გზა და გზა ხომ ვიმოწმებთ?

— გაგვეგონებათ, გამეორება ცოდნის წყაროაო, — თქვა გიორგიმ და თვითონვე გაეცინა ამ ცხრაჯერ ნათქვამ „სიბრძნეზე“.

ვახტანგმა გადაშალა წიგნი და თითქმის ათი გვერდი წაიკითხა.

დრო და დრო ისვენებდა და რუკებს სინჯავდნენ.

ირგვლივ მთის მშრალი მდელო უვლიდა, საკმარისად ქსეროფიტული მცენარეებით.

— შენ აქ მუშაობდი ხომ? — მიმართა ვახტანგმა მინდიას.

— კი.

— აბა გვიამბე რამ, რაც იმ დროიდან დაგახსომდა.

— ეე! ორმოც წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ. მაგრამ ცოტა რამეს მაინც გეტყვით. მაშინ დიდი ექსპედიცია გვქონდა. თხუთმეტნი ვიყავით, შუადღე იყო, როდესაც ბაშკიჩეთში (ახლანდელის რაიონის ცენტრი — დმანისი) ამოვედით. ამ მხარეში პირველად ვიყავი და ამიტომ პირველ რიგში აღმასკომის თავმჯდომარეს მივმართე.

გაკვირვებით ამათვალ-ჩამათვალიერა. „ეს რა ჩიტი მოფრენილაო“, გაივლო ალბათ გუნებაში და შემეკითხა:

— ვინა ხარ და რა გინდა?

მე ავიღე რუკა, ჩემი მანდატი და წინ დავუდე.

— დავალებული მაქვს ამ მხარის გამოკვლევა, სათიბსაძოვრების შესწავლა და მე მირჩევნია აი აქ, ამ მხარის ცენტრში, დავბანაკდე, ყარაბულაღში!

— არ გამოვა.

— რატომ?

— თბილისში უნდა დაბრუნდეთ.

— რად?

— ეე... რად, რად?... იმიტომ რომ უნდა დაბრუნდე!

— ვისი განკარგულებაა?

— ჩემი.

ცოტა გული მომეცა.

— რა საფუძველით?

— იცი, ამხანაგო, ჩვენს რაიონში ყაჩაღია, ჩოფურ-ალი, მოგკლავს და პასუხი მე უნდა ვაგო.

მე გამეღიმა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ უცნაური აქცენტით ლაპარაკობდა. აღგილობრივი მცხოვრები, მუსულმანი[1] იყო, მეორეც იმიტომ, რომ თუ ყაჩაღი ჩოფურ-ალი მომკლავდა, პასუხს ის რად აგებდა.

— ოჰ, რას იცინი, ეგრეა! — თითქოს გაჯავრდა კიდეც.

— შენ ნუ გეშინიან, მე არავინ მომკლავს, თბილისში ახლა თოთხმეტ კაცს უკან ვერ წავიყვან. რა ვუთხრა? ყაჩაღები არიან და ვერ ვიმუშავებთო? საბჭოთა კაცს ყაჩაღისა რომ არ ეშინია, არ იცი? შენ ერთი ისეთი კაცი მოგვეცი, რომელიც ყაჩაღობისათვის და ქურდობისათვის ციხეში იყო და მერე მე ვიცი.

სახე გაუნათდა. — ეგრეთი კაცი სწორედ ყარაბულაღშია. იქ წადით, ფერმაზე იცხოვრეთ. გაგატან კაცს და ის მიგიყვანთ ფერმაზე და იმ კაცსაც ჩვენი კაცი გაჩვენებთ...

მართლაც ერთი საათის შემდეგ ჩემი ორი ფორანით ყარაბულაღისაკენ მივდიოდით, მთის მდელოზე გაკვერილი გზით. ეს ადგილი ზღვის დონიდან 1 400-1 500 მეტრია. გაზაფხული იყო, მაისის ბოლო.

გაზაფხულ იყო მაშინა,
ახლად ყოოდნენ იანი,
მწვანის ქათიბით კოხტაობს
მთების კალთები ტყიანი;
ბექ-ბუქში თოვლი დამდნარა
მიწა გამხდარა წვნიანი...

მომაგონდა ვაჟას მადლიანი სტრიქონები. მართლაც ახლად აბიბინებული იყო მდელო, საღამოვდებოდა, მზე შამბიანის და გულთოვლის მთებისკენ ეშვებოდა.

დაღლილები ვიყავით და ჯერ მთლიანად ვერ ვგრძნობდით ზურტაკეტის დიდი მინდორის სიმშვენიერეს, მით უფრო აღმასკომის თავმჯდომარემაც ცოტა არ იყოს შეგვაფიქრიანა, „უნდა დაბრუნდეთო“, რომ გვითხრა. ყველა ფიქრმა წაგვიღო და ვერც კი შევნიშნეთ, როგორ შევედით სოფელში.

ბაშკიჩეთიდან გამოყოლილი კაცის

---

[1] მუსულმანს ვხმარობ იმიტომ, რომ აქ არიან აზერბაიჯანელებიც და ელებიც, ე. ი. სპარსელები, შაჰაბაზის დროს ჩამოყვანილნი. პირობითად მათ „თათრებს“ ვუწოდებ, როგორც აქ უწოდებდნენ მაშინ.

მითითებით ფორნები დავაყენეთ სოფლის თავში, შვეიცარიის მთის სოფლებისათვის დამახასიათებელი სახლების წინ. უსეინი, ასე ერქვა ჩვენს თანამხლებელს, სადღაც წავიდა და ათიოდე წუთის შემდეგ მოიყვანა ხანში შესული გერმანელი. მან კოპებშეკრულმა დაგვიქნია თავი. ერთი გადარაზული კარები გაგვიღო და მომმართა მე: „ეს თქვენ"... ჩვენს წინ ანკარა წყალი ჩამოდიოდა, ოთხთვალიან წისქვილს დაატრიალებდა, ხის ხიდით გადიარა, ასეთივე სახლის სამი კარი გააღო და — „ესენიც თქვენო". კართან იქავ ძაღლი იწვა, ვეებერთელა, მეცხვარული, იმასაც რაღაც უთხრა, აგვიწია ხელი და ასევე უხმოდ წავიდა.

— აბა ბიჭებო!..

და დავიწყეთ ბარგის შეზიდვა.

ყოველი სახლი რვა ბინისაგან შედგებოდა, ოთხი ცალმხარეს, ოთხი მეორეს. თვით ბინაში ერთი დიდი ოთახი და სამზარეულო იყო. ოთახში სამზარეულოს გავლით შევდიოდით. სამზარეულოდან კიბე სხვენზე ადიოდა. ამ კიბით შეიძლებოდა გადასვლა სხვა ოთახებში მცხოვრებლებთან. ბარგი რომ შევზიდეთ, ჩვენი გამყოლი დაგვემშვიდობა. „თქვენ რომ კაცი გინდათ, ხვალ დილით მოვა, დღეს შინდლიარზე წასულაო".

ჩვენს კარებთან უზარმაზარი ძაღლი იწვა. მურა-მეთქი შევეხმიანე და ხბოსოდენა დადგა ფეხზე. ეს იყო ნამდვილი მეცხვარული ძაღლი, ჩვენი, ქართული ცხვრის ძაღლი. ხშირად ვჩივით, ცხვარი გადაშენდა, თუშური ცხენიც, მეგრული ძროხაც და აბა თუ ვინმე კრინტი დაუძრავს „მეცხვარულ ძაღლზე"; სამწუხაროდ, ესეც გადაშენების გზაზეა შემდგარი. მასაც მიხედვა უნდა.

უწყინარი მეგონა, წყალგაღმა „თათრის" ბიჭი დაინახა და კისერი აეჯაგრა. შედგა წინა თათებით ხიდზე და ისე დაიღრინა, რომ შემეშინდა, თუ გადუხტა, დაგლეჯს მეთქი — ვიფიქრე; შემდეგ მითხრეს, ეზოს გარეთ არავის ერჩის; ევროპულად ჩაცმულს ეზოში შეუშვებს, მაგრამ სახლში არა, ყეფით პატრონს გააგებინებს გამოჩნდიო, თუ პატრონი მეგობრულად შეხვდა, ძაღლიც არას ერჩისო.

თითო ასეთი ძაღლი ყველას კარის წინ იწვა.

ჩვენი ოთახების პატრონები, ქრისტიან აშეტერის შვილები, კანადაში ყოფილან წასულები, იქ ეძებენ მიწას, შეიძენენ და როცა შეატყობინებენ, ესენიც გაყიდიან, რაც გაუყიდავი დარჩათ, მთელ თავის ავლადიდებიდან, წავლენ ბათუმში და გემით გაემგზავრებიან კანადაში. ჩვენში დარჩენა არ ინდომეს. შვეიცარელი გერმანელები არიან. შვეიცარიაში აღარა აქვთ რა და დასასახლებლად კანადა არჩიეს.

ჩვენი ბინა იყო სოფ. შავწყაროში.

ჩვენს კარს წინ მიდიოდა და მიჩქეფდა წყალუხვი ნაკადული.

„ხოლო არს ღაბა ველსა ზედა შავი-წყარო-ყარაბულახი, ამიერ და იმიერ ძლიდეს წყაროსაგან მდინარენი სავსე კალმახითა არამედ სამხრეთის კალმახი არს შავი და ჩრდილოსი თეთრი და უკეთუ ჩასვა ჩრდილოსი სამხრეთით, გაშავდების და სამხრეთის ჩრდილოთ ჩასმული განსპეტაკდებისო" — ამბობს ვახუშტი.

ამაში მეორე დღესვე დავრწმუნდით. დილით ხუთიოდე ბიჭი მოგვადგა კარს: „თევზი თუ გინდათ, დაგიჭერთო"; თანხმობა მივეცით თუ არა, ჩახტნენ წყალში და დაიწყეს ხელაობა, მცირე ხნის შემდეგ ნაპირზე მსხვილი მოშავო კალმახები ფართხალებდნენ: დილა იყო და მთის სუსხი ჯერ საკმაოდ ძლიერი იყო, ბიჭები გალურჯდნენ ვთხოვე, გეყოფათ-მეთქი და არაო, ჩვენ ასე ვიცითო. ამოხტნენ წყლიდან, დაიწყეს სირბილი. ამის შემდეგ სამი ბიჭი მეორე მდინარისაკენ გავგზავნე და მართლაც მალე მომირბენინეს თითქმის თეთრი კალმახები. ერთის მხრივ, კირქვები და, მეორე მხრივ, ბაზალტები და მიმიკრიის კანონი მაინც თავის საქმეს აკეთებს. ბი-

ქებს შეუთანხმდი ყოველ დილით მოეტანათ 20-30 კალმახი. მეძვირენი იყვნენ, მაგრამ ცოცხალი კალმახიც არ იყო ცუდი! ხელაობის ასეთი წესი წინათაც მენახა, მთა-თუშეთში. ბარად კი ჩვეულებრივად ხელაობენ — ხელით იჭერენ, მაშინ, როდესაც მდინარეს ან მის ტოტს დასწყვეტენ და კალაპოტში წყალი მცირედა მიედინება.

ის იყო ვისაუზმეთ, რომ წყალგაღმიდან ძახილი შემოგვესმა, იქვე კართან კი ჩვენი მურა იღრინებოდა, გამოვიხედე კარში და ხიდთან ხანში შესული ხეხელა კაცი იდგა. მივხვდი, რომ ეს ჩემი მომავალი მეგზური იყო.

— ოჰ, სალამალეიქუმ მამედ-ალი!

— საიდან ჩემი სახელი?

— ალაჰმა მითხრა.

გაიცინა, გადმოვიდა. მორზე ჩამოვსხედით, მალე მოვრიგდით, სიამოვნებით იკისრა მეგზურობა. მით უმეტეს იმ დროისათვის საკმარისად კარგი ჯამაგირი დავუნიშნე. ცოტა ქართული იცოდა, სულ ცოტა რუსული, მეც — ორიოდე თურქული სიტყვა, შემდეგ მას კიდევ მივუმატე და გავდიოდით იოლად.

დავავალე ხვალისათვის ექვსი ცხენი ეშოვა, მომავალი კვლევის ადგილების დავლა მინდოდა ექსპედიციის ზოგ წევრთან ერთად.

— ჩოხ იახშიო[1] — მითხრა. ერთი სიტყვით, მე და მამედ-ალი მალე დავძმობრდით.

ერთხელ მე და მამედ-ალი ცხენებით წავედით გულთოვლის მთებისაკენ. ვიფიქრე, ცხვარს, რომ დავბრუნდებით, მამედ-ალი დაკლავს მეთქი (მუსულმანები სხვის დაკლულს არ ჭამენ). ცოტა შევაგვიანდა და რომ დავბრუნდით, ცხვარი დაკლული დაგვხვდა.

ცოტა არ იყოს უკმეხად ვკითხე, რად დაკალით-მეთქი, თავი იმართლეს, დაიგვიანეთ და გვინდოდა მშვირებისათვის სადილი მზად დაგვეხვედრებინაო. ვგონებ კი მამედ-ალის უჯიბრეს.

[1] ჩოხ იახში — ძალიან კარგი.

მამედ-ალის სახე ჩამოსტიროდა, წელში მოიხარა. მოხადა უნაგირები, დააბინავა ცხენები და გაქრა.

ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა.

— ბაშ დოხტურ![1] მოლა ალაჰს შეეკითხა და ალაჰმა უთხრა, მინდია გულით სთავაზობს ცხვრის ხორცს მამედ-ალის და შეუძლიან შეექცესო.

იცოცხლეთ რომ მოულხინა, ხუმრობა ხომ არ იყო, „ალაჰმა დართო ნება", სამაგიეროდ დაკვლის ინიციატორს ჩამოსტიროდა სახე.

არცერთი ამეტერი არ მოგვეკარა. დადიოდნენ დაღვრემილები. რვაასი ძროხიდან მცირე ღა ჰყავდათ, ჰყიდიდნენ. თავისებური მეტისები იყვნენ, შვიცის ჯიში ნაჯვარი ადგილობრივთან. თითქმის სამოცი წელი აუმჯობესებდნენ. ზოგი ფური 400 კილოს იწონიდა. ჰყიდიდნენ ას-ასორმოცდაათ მანეთად, მენანებოდა, იფანტებოდა დიდი ხნის ნაღვაწი, სასწრაფოდ ჩამოვედი თბილისში, კომისარიატში მივედი, კომისართან შემიყვანეს. მოვახსენე, იქნებ მაგარი სიტყვები ვიხმარე. კოპები შეიკრა და მოკლედ მიპასუხა, შენ შენი საქმე აკეთეო, მაგას ჩვენ მოუვლითო; ვიგრძენი, რომ ეს საქმე მასაც აწუხებდა.

დავბრუნდი დაღონებული. საქმე ისაა, რომ მეორე ფერმა ბუსუკალაში, სადაც სემენტალის ჯიშის მეტისები იდგა, ისიც იყიდებოდა. მიწსახკომმა კი კუჩენბახის მეურნეობა მთლიანად დაიტოვა. ამეტერების ფერმებიდან სულადობის მცირე ნაწილი შეიძინა. საქმე იმაში იყო, რომ ამეტერები ისევ შვეიცარის ქვეშევრდომები იყვნენ, ყიდვის დროს კი ვალიუტით უნდა გვეყიდა. აქედენი ვალიუტა კი მაშინ ძნელი საშოვარი იყო.

ივნისის შუა რიცხვებამდე ყველაფერი მიყიდ-მოყიდეს, გარდა ოცი-ოცდაათი ცხენისა.

ივნისის ერთ დილას დიდი და პატარა (თუმცა პატარა აღარავინ ჰყავდათ,

[1] ბაშ დოხტურ — მთავარო ექიმო.

რადგან წინათ რძალიც შვეიცარიიდან მოჰყავდათ, ქალსაც მხოლოდ „წმინდა გერმანელს“ აძლევდნენ; ჩვენებურ გერმანელებს — შვაბებს, ისინი გერმანელებად არ სთვლიდნენ და მსოფლიო ომის გამო, 1914 წლიდან ქალებიც გაუთხოვარი დარჩათ და ვაჟებიც უცოლშვილო) ერთად თავმოყრილი დავინახეთ. იმ დროს ქრისტიან ამტერის ოჯახში 40 კაცამდე იყო, ყველაზე ახალგაზრდა 35 წლისა, ყველაზე მოხუცი, თვითონ ქრისტიან ამერტერი იყო — 80-90 წლისა. სამოცდაათი წლის განმავლობაში სამი სული დაეკარგათ: უფროსის მეუღლე, პატარა შვილი და შვილიშვილი. აი ამ სამის საფლავზე ავიდნენ, იგალობეს დაახლოებით ერთი საათი, საფლავებს დააყარეს მინდვრის ყვავილები და ჩუმად დაეშვნენ სოფლისკენ.

ვიდექით სოფლის გარეთ, მთის ღიღილოებით მოხატულ მდელოზე და გავცქეროდი სასაფლაოს, სადაც ორმოცი ადამიანი უკანასკნელად იდგა და ეთხოვებოდა თავის მიცვალებულთ, იმ მიწა-წყალს, რომელსაც შეაბერდნენ, სადაც დაიბადნენ.

უფროს ამტერს მხრებში სიყრმის შვილები შესდგომოდნენ და ისე მოჰყავდათ. ჩამოვიდნენ ფორნებთან, რომელზედაც ბარგი უკვე დაეწყოთ, ცხენები შეებათ.

სახლში აღარ შესულან, ერთი ხუთი წუთი იდგნენ. ქრისტიანს მიუახლოვდი, ხელი გავუწოდე, მანაც გამომიწოდა, თუმცა გაუჭირდა.

დაიძრნენ ფორნები. აიარეს აღმართი და თვალს მიეფარნენ. ორი ძაღლი წამოვარდა, გაიქცა გზისკენ, უმალ დაბრუნდნენ და დაწვნენ კართან.

და აი ამ დროს გაისმა გულამოსკვნილი გაბმული ყმუილი; არა, ეს ყმუილი არ იყო, ეს იყო ტირილი დაკარგულ პატრონზე და დღესაც მესმის იმ ძაღლების ეს უცნაური გლოვა. სახლის კარიდან ფეხი არ მოუცვლიათ. სახლები ყარა-ბულაღის ახალგაზრდა კოლმეურნეობამ გამოიყენა. ძაღლებიც თავის ბედს შეურიგდნენ.

## ᲑᲐᲨ ᲓᲝᲮᲢᲣᲠ

კაცი უნდა ხერხი იყოს,
გაჰქონდეს და გამოჰქონდეს,
განა კაცი ეჩო არი,
სულ თავისკენ მიითლიდეს.

**ხალხური.**

— ძაან ადიუტანტი გყოლია ეგ მამედ-ალი.

— უჰ, ნუღარ იტყვი! როგორ ამეხსნა რად ვაგროვებდით ბალახებს? ძირფესვიანად მოვთხარე კატაბალახა, გავსრისე ერთი ფესვი და ვასუნებინე, შემდეგ ჯიბიდან ამოვიღე პატარა შუშით ვალერიანის წვეთები და ისიც ვასუნებინე. თვალები გაუბრწყინდა, გაიქცა ბუჩქებისკენ, მონახა კატაბალახა და ამოთხარა. სუნავდა და იძახოდა „ბაშ ღოხტურო“. ე. ი. მთავარი ექიმი ხარო. მით უმეტეს, რომ თან წამოღებული მქონდა საკმარისად დიდი საველე აფთიაქი და პირველი დახმარების წამლები ბევრი მქონდა; ერთს გატეხილი თავი მოვბანე, იოდი წავუსვი და შევუხვიე, მეორეს ნაღრძობი ფეხი ჩაუდგი თავის ალაგას.

მამედ-ალი მეხვეწა და პატარა შუშით ვალერიანის წვეთები გამომართვა. იმ დღეს დამეკარგა. მთელი ყარა-ბულაღი კარდაკარ მოიარა თურმე, ყველას აჩვენებდა „თავის ბაშ-დოხტურის“ წამალს, ორთაშუაშიც კი ასულიყო.

მეორე დღეს სოფელში უფრო მოწიწებით მიცქეროდნენ. საღამოს, როდესაც სამუშაოდან ჩამოვედით, კარზე სამი ავადმყოფი დამხვდა.

ორს მუცელი სტკიოდა. ინოზემცევის წვეთები დავალევინე. მესამეს — თვალები. ცივი წყლით დავბანე, „სუფთა ტილოთი შეიხვიე და ორ დღეს მზეზე ნუ გამოხვალ-მეთქი“, სამივე მორჩა თურმე. ჩვენს ინოზემცევის წვეთებს ბალახის თიბვის დროს დაედო ფასი, მთიბავებად საბჭოთა მეურნეობამ წალკელი ბერძნები ჩამოიყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დალოცვილებს დღეში სამი-ოთხი კილოგრამი პური არ ჰყოფნიდათ. საკმარისი იყო ინოზემცევის წვეთები მიგვეცა, რომ სიამოვნებით დაისვამდა მუცელზე ხელს „და აღარა მტკივაო“. მაგრამ გამოილია წვეთები, მოვიდა ხუთი მთიბავი, ვეუბნები — „არ არის“, მაგრამ არ მიდიან. უცბათ ჩვენი კვიმატი ამხანაგი მეუბნება: „ერთი ბოთლი კიდევ არისო“, შევიდა ოთახში და გამოიტანა სავსე ბოთლი, ჩაუწვეთა რაც საჭირო იყო და დაალევინა ხუთივეს: ჩვენი პაციენტები ნასიამოვნები წავიდნენ.

— ეგ რა არის?

— ნუ გეშინიათ, არ დახოცავს. ჩაის ნაყენია.

— ეგ როგორ შეიძლება?

— ხომ მორჩნენ და წამალს მეტიც არ მოეთხოვება.

გამივარდა ექიმის სახელი. მართლაც ვისაც რა ასტკივდა, წამალი მივაწოდე, დავარიგე და ყველა მორჩა.

საქმე იმაშია, რომ იმ დროს ამ სოფლებში ექიმები არ იყვნენ. პატარა საავადმყოფო იყო ბაშკირეთში, ამ მხარეში ვეტექიმს უფრო ადვილად ნახავდი, ვიდრე ექიმს.

სადაც მივიდოდით, მამედ-ალი პირველად წარმადგენდა ხოლმე, როგორც „ბაშ დოხტურს“... შამბიანზე ერთ ბინაზე მივედით. ეს მამედ-ალის ტრადიცია იყო, ბინას გვერდს ვერ აუვლიდა, მაწვნით უმასპინძლდებოდნენ და როგორ აიცდენდა!

ამ ბინაზე ჩემი ყურადღება უნებურად მიიპყრო ერთმა ჩაფსკვნილმა, სახე დაკენკილმა კაცმა, რომელიც თვალებს ქორივით ატრიალებდა. იგი წინათ შემხვედრია, ისევ ბინაზე, მაგრამ მაშინ გულისყურში არ ჩავვარდნილვარ. გამომცდელი თვალით შევხედე, მან თვალი ამარიდა. მამედ-ალის რაღაც უთხრა.

— იოხ, ბაშ დოხტურ, იახში, ჩოხ იახში.[1]

[1] არა, მთავარი ექიმი კარგია, ძალიან კარგია.

სოფელში და ბაშკირეთში რამდენჯერმე მკითხეს, ჩოფურ-ალი ხომ არ გინახავთო. რა მეთქვა? არც ერთხელ არ უქვამთ, რომ ეს ჩოფურ-ალიაო. ის იყო თუ არა, ვერ ვიტყოდი, არც ნამდვილად მიცვნია.

საღამოობით ავადმყოფები ისევ მოდიოდნენ, ამას ჯერ ანგარიშს არ ვუწევდი, მაგრამ ერთ დღეს სოფ. ახადან ურმით, რომ მძიმე ავადმყოფი მომიყვანეს, შევფიქრიანდი, ძლივს დავარწმუნე, რომ ექიმი არ ვიყავი.

— რა ვი? დიდი პატარა კი იმას ამბობს დიდი ექიმიაო... — მითხრა ავადმყოფის პატრონმა.

გამეცინა.

წერილი დავწერე ბაშკირეთის საავადმყოფოს ექიმთან და გავატანე.

ისე კი ის დრო, კარგად მაგონდება:

— ჰო, ბებერი მოგონებითა, ჭაბუკი მოლოდინითა, — არ დააყოვნა ვახტანგმა. ლელამ კი თავში წამოუცაცუნა.

— გამოცდილება კაი საქმეა; ახალგაზრდობით მოგებული, სიბერის დროს ხმალიაო.

სთქვა გიორგიმ და ტბის ნაპირისაკენ წავიდა, ერთ ნესტიან მდელოზე გაიარ-გამოიარა და რაღაც მცენარე მოთხარა.

## ეკლიანი სუმბული

ისევ აყვავდა გული ვარდივით,
და ისევ მინდა შენზე დავწერო...
ლარიალიდან გადავარდნილი
ხაზარეთისკენ მისცურავს წერო.

გ. ლეონიძე

გიორგიმ ღერომოკლე, სპილოს ძვლისფერი, ყვავილებიანი და ფოთოლეკლიანი მცენარე მოიტანა.

— აბა უსუნეთ!

— მართლაც შესანიშნავია!

— ვიცი რაც არის, — აყვირდა ვახტანგი.

„აქ არს ყვავილი სუმბული, ფერით სპეტაკი, მსგავსი ნარისა, და მიწისა ზედა გართხმული, სურნელი ვითარცა ამბარი, და უმეტეს ფშოსანი და ეკლოვანი. 94 მეფემან ვახტანგ მოიღო

სავარდესა შინა, არამედ არა ჰყო ნაყოფი“.

— „მსგავსი ნარისაო“, ეს მართლაც ნარია, რომელსაც „ცირზიუმ ესკულენტუმს“ უწოდებენ, მაგრამ რასაკვირველია, სუმბული არაა, ხოლო სუნი კი სუმბულისა აქვს.

აქ საინტერესოა „მოიღო სავარდესაშინა“. ეს არის თავისივე ქვეყნის მცენარეების ინტროდუქცია, გადმონერგვა. ვახტანგის სავარდე იყო იქ, სადაც დღეს ბოტანიკური ბაღია; ვახტანგ მეექვსისთანა განათლებული, მშრომელი მეფე ბევრი არ გვყოლია. იგი იყო: პოეტიც, ისტორიკოსიც, მესტამბეც და მეფე-მოღვაწეც.

ერთ-ერთ ქიმიის ტრაქტატში სწერს: მე მივიღე ქაფური ორნაირი, ხსნარი და კრისტალურიო, ამის ხე მე მაქვს ბაღში, ინდოეთში მოდისო. მაგრამ დავუგდოთ ყური თვით ვახტანგს:

„ქ ა ფ უ რ ი ს ა მ ბ ა ვ ი“. ქაფური ხის ფისია. თვითონ ამისი ხე მეც მქონდა, რომ ზედ ესხა. ინდოეთიდან მოვა, ორი რიგის მეტი არ იქნება, ერთი — წამალში რომ ხმარობენ ის არის, ჯოვდანას ეძახიან, უფრო ბევრია, მარილის თვალსავით გასჭვირს, წვრილი იქნება“.

ეს ცნობები მოთავსებულია წიგნში, რომელიც ვახტანგს ალბათ მოსკოვპეტერბურგში დაუწერია. წიგნს ეწოდება: — „წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიის ქმნისა, შეკრებილი მეფის ვახტანგისაგან“. ამით დასტურდება, რომ ინტროდუქცია შორეულ ქვეყნებიდანაც ხდებოდა. მაშასადამე, დღევანდელი ბოტანიკური ბაღი ვახტანგ მე-6 დროსაც (1710—1724) არსებულა. მარტო ამ დროიდანაც კი რომ ვიანგარიშოთ, თბილისის ბოტანიკური ბაღი 266 წლისაა; მაშასადამე, უხუცესია საბჭოთა კავშირში, მით უმეტეს, ვახტანგამდე იგი ადრეც არსებობდა. ვახტანგი ხომ თავის ცნობილ ტრაქტატში წერს, რომ ქაფურის ხე ჩემს ბაღში მსხმოიარე იყოო.

ეს ადამიანი ერთი წუთით არ ისვენებდა, ირანის შაჰს რომ ჰყავდა ტყვედ, მაშინ „ქილილა და დამანას“ თარგმნიდა, სარდალი იყო ჯარში და ხელში წიგნები ეჭირა. გარდა იმისა, რომ შექმნა კომისია „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერთა შესაჯერებლად, ასეთივე განათლებულ კაცთ დაავალა კარაბადინების შეჯერება და გამართვა „ჩამომავალთათვის კეთილ სახმარად“.

ირანიდან საქართველოში შემობრუნდა ჯერ მმართველად, შემდეგ მეფედ, დააარსა სტამბა, კომენტარებით გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“, შეადგინა სამართლის კოდექსი, რომელიც იმ ხანის შესაბამისად საკმაოდ წინაა სხვა ასეთ კრებულებთან შედარებით, გაიყვანა არხები, „დაატრიალა წისქვილი“ და გაამაგრა საზღვრები, განსაკუთრებით ოსმალეთისკენ.

— მაინც დიდი შეცდომა დაუშვა.

— !!?

— დატოვა საქართველო და დააცარიელა, ჭკვიანი და გამოცდილი ხალხითან წარიტანა.

— ზოგი შეცდომა კაცს უნდა შეუნდოთ.

— მე კი, მაგრამ ისტორია?

მზე რომ კეჩუთის ქედს დაუახლოვდა, შინისკენ მაშინ გამოსწიეს.

დაღმართზე რომ მოდიოდნენ, ერეკლემ თქვა:

— რა ესუმბულებოდა იმ მძიმე დროში?

— საქმეც სწორედ მაგაშია, კაცმა ყოველ დროს ყველაფერს საჭიროს ადგილი უჩვენოს.

□ გაგრძელება იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ჯავახაძე

# წიგნიდან: „მარტი, აპრილი, მაისი“

## ქეთევან წამებული

— დიდსულოვნება ჩვენი
დიდი და დიადია,
ოღონდ დასტური მოგვეც, დასტურის სიტყვა!
— არა!

— რაც ქვეყნად გაბადია,
და რაც არ გაბადია,
გიბოძებთ ყოველივეს, ოღონდ ინებე!
— არა!

— არ არი დიდი ცოდვა
და დიდი ტრაგედია,
იზრუნო მომავალზე, და სიცოცხლეზეც...
— არა!

— თუ გსურს,
ქართული ხმა და ქართული მელოდია
ოდესმე მოისმინო, უარს ნუ იტყვი!
— არა!

— თუ გსურს,
გახედო კვლავაც ალაზანსა და ლიახვს,
თანხმობის ერთადერთი სიტყვა გვაღირსე!
— არა!

— თუ გსურს,
დაბრუნდე კვლავაც მთათა მაღალთა წიაღ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუღა წარმოსთქვამ — არას, წარმოსთქვი ოდენ...
— არა!

— მაშასადამე,
რჩევამ ამაოდ ჩაიარა,
აღარც მუდარამ გასჭრა, აღარც მუქარამ...
— დიაღ!

## დეკაბრისტები

ებრძოდნენ ცბიერ მესაჭეს,
გული ეწვოდათ უცეცხლოდ...
ზოგი სიკვდილით დასაჯეს,
ზოგი დასაჯეს... სიცოცხლით.

* * *

სიტყვების ქალაქში ვცხოვრობ,
სიტყვების ქუჩებში დავდივარ,
სიტყვების ოთახში მძინავს...

როცა ძალიან გამიჭირდება,
თავს შევაფარებ სიტყვების სანგარს,
როცა ძალიან გამიხარდება,
სიტყვების ბარიკადებზე ავყიჟინდები...

თუნდაც მთვარეზე გადამასახლონ,
იქაც მეყოფა სიტყვის ჟანგბადი...

მაგრამ...

როგორც კი კალამს დავწვდები
და სუფთა ქაღალდს დავაცქერდები, —
მოულოდნელი შიში ამიტანს:

მე ისე ადრე მასწავლეს წერა,
სიტყვები
წისქვილის
ქვასავით
გავცვითე,

და ახლა
ყოველ
დაწერილ სიტყვას
ისე შევყურებ,
როგორც ბებერი შტანგისტი შტანგას.

* * *

დამესიზმრა:
ჩემი იყო ლუვრი და
ჩემს სიმდიდრეს თვითონ ღმერთი უვლიდა,
მეფე ვიყავ არქიმილიარდერთა, —
მაგრამ უცებ გავღარიბდი:
გათენდა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

. . .
მე ვიქნები ლუვრის ღამის დარაჯი,
სხვა სურვილებს ფრთებს და ფესვებს დავაჭრი,
მზიან დღეზე —
ჩემს უმთვარო ღამესაც
არ გავუცვლი კეისარს და ყაენსა.

## ბარათაშვილი

არა, ბატონო,
არავის არ უსროლია ტყვია,
უცნობ ასულზე ეჭვებიც ნამდვილად ზედმეტია.
არა,
ჭიქაში მალულად არვის ჩაუსხამს შხამი,
არც სახლში მუხანათურად არ მიხტომიან ღამით.
არც თავს დასხმიან აშკარად,
სადმე,
დღისით და მზისით,
არ დაუღვრიათ,
ბატონო,
არცერთი წვეთი სისხლი.
ახლოს არ გაკარებია ბოროტი ვიგინდარა,
არც სიტყვა უკადრებიათ,
არა, ბატონო, არა.
ღმერთმანი,
გავიმეორებ,
თუ გნებავთ,
მეათასედ,
ფარულად არ მიპარვიან,
არც დახვედრიან გზაზე.
არც მოსყიდული მკვლელები მიუგზავნია ვინმეს,
არც წინაპრების სისხლი და ცოდვები აზღვევინეს.
არა,
დუელში არავის გაუწვევია იგი,
თვითმკვლელობაზე,
მით უფრო,
არ შეიძლება ფიქრი.
ღმერთი და რჯული, ბატონო,
რა საჭიროა დავა?!
თვითონ, ბატონო, თვითონვე... თავისით...
თავისთავად...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

იუბილარის სავარძელს ცალკე დაუდგეს კარავი
და ყვავილების კარავში დასვეს —
ბატონი არავინ.
ზოგმა ადრესი მიართვა,
ზოგმა ზეპირად ინება,
აქებდნენ ბატონ არავის —
ბატონი არავინები.
ერთმა ექსპრომტიც მიუძღვნა,
სახუმრო და საქილიკო,
ქალბატონ არავინას და
პატარა არავინიკოს.
ბოლოს,
როდესაც დაწყნარდნენ
და ტაშიც დაცხრა ცოტათი,
ადგა ბატონი არავინ —
დუმილის დიდი ოსტატი,
ღიმილით დაადასტურა თავისი დარდიმანდობა
და სავსე დარბაზს აჩუქა სამმარცვლიანი:

მა-დლო-ბა!

. . . დირექტორი კი ფიქრობდა დღევანდელ შემოსავალზე
და თვალებს ვერ აშორებდა —
ორგზის ცარიელ სავარძელს.

* * *

გზის ნაპირას,
კაკლის ჩრდილში,
იდგა ოთხი სკამი
/არასოდეს არ ყოფილა ორჯერ ორი — სამი/.
ჩრდილში მგზავრმა შეისვენა მხოლოდ ოთხი წუთით
/არასოდეს არ ყოფილა ორჯერ ორი — ხუთი/.
ქალაქამდე დარჩენოდა ოთხიოდე ვერსი
/არასოდეს არ ყოფილა ორჯერ ორი — ექვსი/.
ოთხშაბათი ღამდებოდა,
მშიანი და მშვიდი
/არასოდეს არ ყოფილა ორჯერ ორი — შვიდი/.
შორიახლო ოთხად ოთხი გლეხი ვენახს რწყავდა
და მიწაზე ოთხად ოთხი ჩრდილი იწვა მათი
/არასოდეს არ ყოფილა ორჯერ ორი — ცხრა და
არასოდეს არ იქნება ორჯერ ორი — ათი/.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მიასვენებდა საზამთროს,
ზედ ყური ისე მიედო
და ისე ფრთხილად უსმენდა —
თითქოს მეორე ოთახში
ფიცს სდებდა ორი შეთქმული...
უსიტყვოდ,
უჭირისუფლოდ,
მიასვენებდა საზამთროს.

* * *

მეორემ უთხრა მესამე —
        შენ გჯობიაო მეშვიდე!..
როცა მეშვიდე გამოჩნდა,
        შეიცხადეს და შეშინდნენ.
მეოთხე იმას იმკიდა,
რაც არ ეხნა და ეთესა,
არანაკლები წყურვილი ახრჩობდა მეცამეტესაც.
მეშვიდე ცისკენ იწევდა,
როგორც დაჭრილი ფრინველი,
მერვე და მეცხრე დაობდნენ, —
            არა,
            მე ვარო პირველი!..
ნახევარ ხმაზე კვნესოდა,
როგორც უცნობი მეტისი, —
მაგრამ არავის ესმოდა წუხილი მეცამეტესი.
ორპირს ორგული კიცხავდა,
ყვებოდა ტურა-მელებზე,
რაღაცას ანგარიშობდა გაორებული მეექვსე.
მეხუთე მიჰყვა მეათეს,
მეთევზემ იცნო მეთევზე...
ისევ არავინ ზრუნავდა დაქანცულ მეცამეტეზე.
დასდევდნენ ერთიმეორეს,
ბევრი ნახტომიც მოზომეს,
პირველი იმას ნატრობდა,
            რაც არ მოსწონდა მესამეს.
დაქროდნენ,
თითოეული ემსგავსებოდა მეტეორს,
რომელიღაცამ შესძახა —
            შევრისხოთ მეცამეტეო!..
აჰყვნენ,
აყვირდნენ,
აკივლდნენ,
და როცა კარგად შეხურდნენ,
ღმერთივით გამოეცხადათ სამასსამოცდამეხუთე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

გ. ტაბიძეს

მილიონიან ქალაქში დადის ათასი ნიღაბი:
გაქვავებული შუბლი და
გაქვავებული ნიკაპი.
დაფარულია ნიშნები სიყალბისა და სიხარბის,
ყველაფერს აერთნაირებს შემრიგებელი
ნიღაბი.
კვალიც არა ჩანს წარსულის —
სისხლით და ცრემლით ნაღები —
და ორაზროვნად გვიღიმის გაოცებული ნიღაბი.
ქსოვენ უარეს სუდარას მაცდური ყაისნაღები...
მაგრამ მე ვიცი:
არსებობს შენი ალალი ნიღაბი.
არ ვიცი:
როდის გამოხვალ
და როდის დაგვენახვები,
ისვენებს და თავს იფასებს
შენი ალალი ნიღაბი.
ერთმანეთს ედავებიან ამპარტავანი ნიხრები
და ნელა გიახლოვდება შენი ალალი ნიღაბი.
გამოდის აუქციონზე მთელი ქალაქის ნაღები,
მაგრამ ჯერ ფასი არ იცის...
. . .
ილვიძებს შენი ნიღაბი.

* * *

ვან გოგი: „მწუხარე ბერიკაცი".

თავი ხელებში ჩაურგავს
და არ გვიჩვენებს სახეს,
თვალებს არასდროს ახელს და
სახელს არასდროს ამხელს.
ვარამმა ისე მოდრიკა
და მხრებზე ისე აწევს,
ვერასდროს გაიმართება
და თავს ვერასდროს აწევს.
როგორც არ უნდა ვეცადოთ,
ვეღარ გავიგებთ აწი,
ვინ არი
ანუ ვინ იყო —
მწუხარე ბერიკაცი.
ვინც ამ ბერიკაცს იცნობდა —
ჩიას და პაწაწინას,
პარიზის ახლოს,
ოვერის სასაფლაოზე სძინავს.

* * *

მაგონდება ბარი —
არა მთა და ბარი,
არც თოხი და ბარი —
მხოლოდ ღამის ბარი:
ორი მეგობარი...
ტკბილი საუბარი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

მღეროდნენ...
და თორმეტივე —
ისე მღეროდა მეტივე,
წამომყვა მათი მოტივი
და დღემდე არ მიმატოვა.

* * *

გამასამართლეს:
გადაქექეს ყველა კოდექსი,
აწონ-დაწონეს მუხლები და პარაგრაფები.
მიუხედავად ჩემი მკაცრი პროტესტისა და
მიუხედავად ყოველივესი, —
მცნეს დამნაშავედ
და მომისაჯეს:
სამი წლით უშენობა.

* * *

ტრიალებს და ტრიალებს
წუთისოფლის კორიდა,
წლების მერიდიანებს
ითვლის:
ერთი,
ორი და...
საკენკს გვიყრის — წიწილებს,
შეგვიტყუა შორიდან,
საათივით ციმციმებს
გული:
ერთი,
ორი და...
მაჩუმებს და მარჯულებს
ეჭვითა და ჭორითა,
უხილავი მსაჯული
დამდევს:
ერთი,
ორი და...
თავზე მადგას უფალი,
ჩემი ჯერიც მოვიდა,
ჩემი წუთისოფელიც
ჩქარობს:
ერთი,
ორი და...

* * *

უყვარდა სიტყვის დაბეტონება:
— ქალ-ბა-ტო-ნე-ბო
და ბა-ტო-ნე-ბო!!!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

მიდის,
        ისე ნელა მიდის,
გეგონება,
        არ მიდის,
მიდის,
ასწრებს ყველა მითის
არმიას და არმადას.
შემართება არტემიდის
და სიმშვიდე დავითის —
ასე დგას და
        ასე მიდის,
ასე მიდის
        და მიდის.
როგორც ჩრდილი პირამიდის,
არ ირხევა წამითაც,
მაინც მიდის,
ფრთხილად მიდის,
        მიდის,
            მიდის...
                წავიდა.

* * *

კარგად არ მახსოვს, არ ვიცი,
როგორ ბრწყინავდა სამყარო,
მარტი იდგა თუ მაისი,
დილა იყო თუ საღამო;
ვისხედით ჩამქრალ კოცონთან
თუ გიზგიზებდა მიხაკი,
ისევ და ისევ მომწონდი,
თუ უკვე აღარ მიყვარდი;
რომელი ათასწლეული
გვიკაკუნებდა კარებზე,
სული მთხოვდა თუ სხეული,
შინაური თუ გარეშე.
ზღვარი ჩანდა თუ საზღვარი —
ზღვისფერი სანაპიროთი,
ცხადი იყო თუ სიზმარი,
ვიცინოდი თუ ვტიროდი...

* * *

ერთხელ
ასეთი
უცნაური
სიზმარი ვნახე:
იდგა ოთხმოცდათოთხმეტი წლის ბერნანდ შოუ და
თავს იმართლებდა ჯონ კიტსის და ღმერთის წინაშე.

* * *

ერთხელ უფალი გენიოსებს გაეთამაშა,
მაღლა ასწია დანომრილი წლების თამასა.
ოთხმოცდაერთზე ასპარეზი ოთხმა დატოვა:
ვერ გადალახა ვერც თაგორმა
                    და ვერც პლატონმა;
თაგორს და პლატონს მიემატა დონატელო და
შარდენსაც
        თურმე
            დონატელოს ბედი ელოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე ტოლსტოის
და გოიას ჯერიც მოვიდა —
ოთხმოცდასამზე გამოაკლდათ კიდევ ორი და
ერთი წლის შემდეგ ერთად მიჰყვნენ,
გაგიხარია:
დეგა,
გოეთე,
ჰიუგო და
ომარ ხაიამ...
და შემდეგ,
თუმცა მოედანი მოასუფთავეს,
არ გაუმართლდა არც ვოლტერს და
აღარც რუსთაველს.
ოთხმოცდაშვიდმა სხვებს მოუხმო ხალისიანად
და მონეს ხვედრი ტიციანმაც გაიზიარა.
მომდევნო ცდაზე კვლავ აღსრულდა ნება ღმერთისა:
გურამიშვილიც პაექრობას გამოეთიშა;
დამარცხებულთა სავარძელზე იჯდა საადიც,
და,
როცა დაფას დაეწერა —
ოთხმოცდაათი,
ხოკუსაისთან ერთად გაჰყვა მთავარანგელოზს
მიქელანჯელოც,
დაქანცული მიქელანჯელოც.
ოთხი შემორჩა
და ნერვები მაგრად მოთოკეს,
ორი წლის შემდეგ გამოაკლდათ მაინც სოფოკლე.
დანარჩენებსაც განსაცდელი მძიმე ელოდათ:
ოთხმოცდაცამეტს მხოლოდ ერთი გადაევლო და,
ორმა სიმაღლე თუმცა ერთი ასჯერ გაზომა,
მოემმაც ხელი ჩაიქნია
და პიკასომაც.
და დარჩა ერთი,
სარბიელის ბატონ-პატრონი,
მან ერთი წელიც წაუმატა,
ერთი ნახტომიც...
და,
როცა უფალს მიაწოდეს სავსე ფიალა,
და,
როცა ზარმა ერთხელ კიდევ დაიწკრიალა,
ადგა ღმერთი და
ეამბორა,
შოუს კი არა —
მიქელანჯელოს,
დამარცხებულ მიქელანჯელოს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

ასი ათას
ცხრა მილიონ
ოთხი მილიარდი
კაცი ქვეყნად დაჩალიჩობს,
                    დამღერის და
                        დადის.

მეც დავდივარ —
        რვა თვისა და ორმოცი წლის კაცი,
დღეში ვფარავ —
    ას მეტრსა და ათ კილომეტრ მანძილს.
ნოლ წუთსა და ცხრა საათზე —
                    წასაკითხად მელის
ოცდახუთი მეასედი და თერთმეტი მთელი
ანაბეჭდი, —
წელიწადში რამაც აიწონა:
ასი გრამი,
        ოცი კილო
                და თორმეტი ტონა;
და რაც ყოველ თვეში მაძლევს,
                    ზუსტად,
                        უყოყმანოდ:
ორმოცდაათ კაპიკსა და ორასორმოც მანეთს.
ზოგჯერ დღეა უცნაური,
სიცხე იშვიათი
ხუთ ხაზსა და ოცდაცამეტ გრადუსამდე ადის.
მაშინ უფრო მავიწყდება ალაჰი და ღმერთი
და ვკითხულობ არაბულად:
                    სამი,
                        ორი,
                            ერთი.

* * *

მე გადავწიე ფარდა და დავინახე თოვლი!
მე გადმოვწიე ფარდა და დაგიმალე თოვლი.
დილამდე შეგინახე ასე პირველი თოვლი,
და როცა გაგეღვიძა,
უპირველესად ყოვლის,
კვლავ გადავწიე ფარდა,
მაგრამ არ დამხვდა თოვლი, —
მიწამ მომპარა,
            მიწამ,
მოწამე არი ზეცა!

* * *

მხიარული ექსპერიმენტი: ბედურა — აქლემი

აჴდურტულდა, აჴდურტულდა ბედურა,
წამოიწყო ძველი ხასანბეგურა.
გაიხსენა ძველი ხასანბეგურა,
დაივიწყა ვალები და ბეგარა.
დაივიწყა ვალები და ბეგარა,
დაივიწყა ბაწარი და ბაგირი.
დაივიწყა ბაწარი და ბაგირი,
მოითხოვა ცხენი და უნაგირი.
მოუყვანეს ცხენი და უნაგირი,
დაპატიჟა რამდენიმე ნადირი.
დაპატიჟა რამდენიმე ნადირი,
ლომს და მელას გაუმართა ნადიმი.
ლომს და მელას გაუმართა ნადიმი,
მოიწვია ადამი და აქიმი.
ერთად დასვა ადამი და აქიმი,
ცალკე დასხა იქ — მელა და აქ — ლომი.
ცალკე დასხა იქ — მელა და აქ — ლომი
და თამადად აირჩია აქლემი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**სოლომონ სამხარაული**

# ბ ე ქ ა

მოთხრობა

ჰიშკართან ბექას როხროხა ხმა გაისმა, ალექსი იკითხა, მერე ეზოში ბავშვები ააყრიამულა, ელაზღანდარავებოდა, რაღაცას ეკითხებოდა და თან გულიანად ხითხითებდა. ალექსიმ სუფრასთან მოიწვია. ბექას თავპატიჟი არ დაუდია, მკვირცხლად ამოათავა კიბე და, სახეგაბადრულმა, დიდსა და პატარას ხელი ჩამოგვართვა. ალექსიმ კახურით გალიპლიპებული ნიამორის რქა შეაგება და ყურში უჩურჩულა:

— თუ ალაჰისა არ გეშინია, მოიყუდე!

— რჯულის მადლმა, არაფრისაც არ მეშინია. — ეშმაკურად გაიღიმა ბექამ, — უსმელობისა უფრო მეშინია. ალაჰს შარბათი უყვარს ქრისტეს — ღვინო. მე თავმდაბალი კაცი ვარ, ერთსაც გეახლებით, მეორესაც, ან ერთი მიმიღებს სამოთხეში, ან მეორე.

ყანწი ზევით შემართა, დაგვლოცა და ნიშნად დიდი პატივისცემისა, უკანასკნელ წვეთამდე გამოწრუპა. ულვაში პეშვით მოიწურა, ალექსის გვერდით მიუჯდა და ქისტურად რაღაცის მტკიცება დაუწყო. ალექსი გულდასმით უსმენდა, ზოგჯერ რაღაცას გაიკვირვებდა და სინანულით თავს გაიქნევდა. ბოლოს კი, ეტყობოდა, რაღაცაში ეჭვი შეეპარა. ჯერ ქისტურად შეედავა, მერე ქართულად უთხრა:

— აიუფას თუ დათვის მოკვლა უნდა, თვითონ მოუვლის. მოპატიჟეებს არავის გაუგზავნის.

— კაცო, რატო არა გჯერა, მიტოსთვის დაუბარებია, ამოდით თორე საქონელი დაანელაო. მარტო კაცი, ვინ იცის, როდის გადაეჭრება, თანაც ის ოხერი, ისე ყოფილა გაწუნკალებული, დღეს რომ ურანის მთაზეა, სამიოთხი დღის შემდეგ ბაწარაზე ნახულობენ. ორი დღის წინ კი მატნელების ძროხა ილტოს ხეობაში გაუფაშვნია.

ალექსი ერთხანს მდუმარედ იჯდა, მერე მე მომიბრუნდა და გადაჭრით მითხრა:

— წავიდეთ.

— ეს იმ ჩემი ძმაკაცის სადღეგრძელო იყოს, — ყანწს დაავლო ხელი ბექამ, — ვენაცვალე. თუ შემხვდა, ტუჩებში უნდა ვაკოცო.

— ეცადე არ მოგეფეროს, თორე ვაი შენს ნეკნებს, — ჩაიცინა ძია ვანომ.

— ჩემი ძმაა, არ გამიმეტებს. ალექ-

სის უნდა მივუსიო. მერე ნახე მაგის ჰენება.

— ბეგთაზარ, ლაზღანდარობის დრო აღარ არის, — უთხრა ალექსიმ, — სტუმრისთვის ცხენი მიშოვე და შენც დროზე გაემზადე.

— ჩემს წაბლას დავუთმობ, — წამოიძახა ბექამ, მხარზე ხელი მომითათუნა და დამაჯერებლად მითხრა: — კლდეებზე ჩიტივით დაფრინავს, რჯულის მადლმა, მაგისთანა ცხენი პანკისის ხეობაში არ არის.

— შენი ჯაგლაგი შენსავით დამთხვეულია, — ცივი წყალი გადაასხა ძიავანომ, — სტუმარი ჩემი იაბოთი წამოვა, დინჯია და იორღა.

ქალები საგზალის გასამზადებლად აფუსფუსდნენ. შუაღამის დამდეგს ძიავანომ ცხენები შეგვიკაზმა და ცისიერზე ბაწარას გზას დავადექით. ბექა სოფლის ბოლოში წამოგვეწია. მართლაც მოხდენილ თოხარიკზე ამხედრებულიყო. თავზე ბატკნის ხუჰუჰმატყლიანი, წოწოლა ფაფახი წამოედო, ტყავის ახალი ქურქი ჩაეცვა. თოფი მხარიღლივ გადაეკიდა. წელში გაჰართული, უზანგებს მსუბუქად ეყრდნობოდა და ცხენის რხევას ციმციმ ასდევდა.

— ბექა საზეიმოდ გამოწყობილა. — გადავულაპარაკე ალექსის.

— ჰო, ბეგთაზარი თეატრში მიდის, — ხმამაღლა თქვა ალექსიმ.

— რა მინდა თეატრში. იქ სხვა წავიდეს. ღმერთის მადლმა, მე მთაში მირჩევნია.

— ეს ტყავ-კაბა არის ამის სამთო და სამკვდრო, — თქვა ალექსიმ, — სოფელში არ იცმევს, უფრთხილდება. მთაში კი აუცილებლად მაგაში გამოპრანჭული წავა.

— სწორედ ნადირობისას უნდა გამოეწყო კოხტად. ჩამოძენძილი მონადირე ნადირსაც ეჯავრება.

— თუ როდისმე დათვმა შემოგახია, რას ვიცინებ!

— არხეინად იყავი, დათვი დათვის ტყავს არ დახევს.

მეტყევეების სახლთან ძაღლები ღავღავით გამოგვეგებნენ. ბექა მათ შინაურულად შეეხმაურა. ცოტა რომ დააშოშმინა, პირში თითები გაიჩარა და სახლის მიმართულებით გაუსტვინა. პასუხადაც ნელი სტვენა გაისმა. ბექამ მოპასუხეს რაღაცა ჩაუქისტურა და გზა ხეობის აყოლებით განვაგრძეთ. ტანაყრილ ტევრში ღამე უფრო ჩაბნელდა, მდინარის შხუილში ყრუდ ისმოდა ცხენების ფლოქვებთა კაკუნი ჩქარა აიუფაც წამოგვეწია. ჩემი იაბო ზლაზვნით მიაბიჯებდა. წინ დაწალიკებით მიმიძღოდნენ მდუმარე ლანდები. ცას შუქი რომ შეეპარა, ტყე გამოცოცხლდა. ფრინველები აფუსფუსდნენ. მრავალხმიანი სტვენა-გალობით აივსო მთელი ხეობა. დრო და დრო ლიხიანში რომელიღაც დამფრთხალი ცხოველი გაიშლიგინებდა. მაშინ ცხენები ფრთხებოდნენ, ყურებს წინ წაიყრიდნენ, და თვალებად ქცეულები ფრუტუნებდნენ. მრავალჯერ გადავჭერით ბაწარის წყალი. ალიონამდე ძლივს ვუწიეთ ძიბახევს. გზა და გზა ხშირად გვხვდებოდა დათვის ნაკვალევი. ზოგს ტალახში ჩაებეჭდა თათი. ზოგსაც ნორჩი ცაცხვის ტანზე დაემჩნია ნაკბილარი. კბილატკიებული თუ განაწყენებული დათვი ხშირად რბილი მერქნის მოღრღნით იოხებს გულს. ბევრგან გადამტვრევამდე იყო გაფატრული ბარძაყის სისქე შიმელი.

„წყაროების“ თავში, ველობზე, შევისვენეთ, დავნაყრდით და სანადირო გეგმაც დავსახეთ. ალექსი და ბექა ნოსარეკში წავიდნენ. მე და აიუფას კი ურანის მთასთან უნდა გვეყელა. ქედს რომ მივაღწიეთ, ცხენებს ბარგი მოვხსენით, ბორკილები დავადეთ და საბალახოდ გავუშვით. თოფები შევამზადეთ, სავაზნეები შემოვირტყით და საყუჩებში ჩასადგომად სერს გავყევით. წინ აიუფა მიდიოდა, იგი თავისი ცნობისმოყვარეობით მაკვირვებდა. ცდილობდა, ტყის ყველა საიდუმლოება ამოეხსნა. გულდასმით სინ-

ჯავდა ნადირთა კვალს, მის გეზსა თუ ხნოვანებას. ყოველ ღარტაფს თუ ქარაფს უჩუმრად გადახედავდა, კუთხის კუთხად მოათვალიერებდა და, სმენადქცეული, დიდხანს იდგა ხოლმე ჩქამის მოლოდინში. ზოზინით მივიწევდით, მაგრამ უნაგირზე ჯდომით დახუთული ფეხები აღმართშიც მღალატობდა და დაღმართშიც.

სავალი დიდი გვქონდა და შესვენებაც ხშირად გვიწევდა. ტყე მდუმარედ იყო, სულიერის ჭაჭანება არსად ჩანდა. გულაცრუებულს, აიუფას საქციელი გადამეტებულ ცნობისმოყვარეობად მიმაჩნდა. ალექსი და ბექა „ნაშალ ხევს“ უნდა ამოჰყოლოდნენ და ნადირის გამოჩენას მის გადასასვლელშიღა მოველოდი. თუმცა, სიმართლე რომ ვთქვა, ესეც მეეჭვებოდა.

აყუდებულ აღმართს შევუდექით. თავს ძალას ვატანდი, მაგრამ ნახევრამდე ძლივს მივაღწიე და, სუნთქვაშეხუთული, დაკოჟრილი წიფლის ძირში ჩამოვჯექი. აიუფამ აღმართი აათავა, ხექცეულს ამოეფარა და ხევს ჩააცქერდა. მეც დიდხანს ვაცეცებდი აქეთ-იქით თვალებს და ვნატრობდი „გულნიკორას“ გამოჩენას, მაგრამ ჩამიჩუმი არსაიდან არ ისმოდა.

უცბათ აიუფას ხმა შემომესმა. ტუჩების ტკაპუნით რაღაც პა-პა-პას მსგავს ბგერებს გამოსცემდა. მიწაზე გაწოლილიყო და თოფის ლულით ფერდაზე რაღაცას მანიშნებდა. ფრთხილად ავიწიე და მინიშნებული ადგილი მოვათვალიერე. დიდხანს ვაკვირდებოდი იქაურობას, მაგრამ საგულისხმო ვერაფერი შევამჩნიე. გაუვალ შამბნარში სულიერი არ ჩანდა. ბალახიც კი არსად ტოკავდა. ვიფიქრე, ალბათ რაიმე გასართობი ნახა და ჩემი თავშექცევაც უნდა-მეთქი, ისევ ჩავცუცქდი და ხეს მივეყუდე. ვანიშნე, ვერაფერს ვხედავ-მეთქი. ის კვლავ დაჟინებით მითითებდა და თან მიწას ეკვროდა. ქედის გადაღმა გადავიპარე, უჩუმრად ავიარე აღმართი და ახლოს მივუცოცდი. ყურში ჩამჩურჩულა: ის არისო და თოფის ლულა ფუტურორცხილისაკენ გაიშვირა. მოულოდნელობისაგან გავშრი. გული მიფართხალებდა, სუნთქვა მიჭირდა. ბუჩქს ამოვეფარე, ტოტები ხელის კანკალით გადავწიე და თვალებად ვიქეცი. როგორც იქნა, გამოჩნდა. რცხილის გვერდით ჯერ ბალახი შეირხა, მერე მათ კენწეროებს დათვის დრუნჩი ამოსცდა. ნესტოების ცახცახით ჰაერი რამდენიმეჯერ დაყნოსა და ისევ გაუჩინარდა. ეჭვი არ იყო, ნიავი ხევიდან ჩვენსკენ უბერავდა. მთელი ტანით ვთრთოდი, მაგრამ ეს არ იყო შიში, მოულოდნელი შეხვედრის სიხარული გახლდათ.

— მოარტყამ? — ჩამჩურჩულა აიუფამ.

თანხმობის ნიშნად თავი დავუქნიე. დათვი ჩვენგან დაახლოებით ორმოცდაათ ნაბიჯზე იყო. მე კი ჩემი თორმეტყალიბიანი თვითდამტენით ას ნაბიჯზე მუშტა-ქვებს ვამსხვრევდი ხოლმე.

დათვი რაღაცას ბუდარაობდა და ფერდას ნელა-ნელა ალმაცერად შემოსდევდა. ლულაში კარტეჩით დატენილი ვაზნა მქონდა. თოფის შემზადებისას ვფიქრობდი: მოსარეკიდან დამფრთხალი დათვი მოულოდნელად წამოგვეფეთება-მეთქი. ამიტომ კარტეჩის სროლა ვამჯობინე. სავაზნეში კი ერთმანეთის მონაცვლეობით იაკანები და კარტეჩები ჩავაწყე. ახლა საშუალო სასროლ მანძილზე გაჩერებული დათვისათვის უნდა მესროლა. ამ მანძილზე კარტეჩის ძალა რატომღაც საეჭვოდ მივიჩნიე, ნადირი ადგილზევე რომ გამეციებინა, გადავწყვიტე, კარტეჩი იაკანით შემეცვალა. გორაკის უკან გადავბობღდი. ჩახმახი უხმაუროდ გამოვწიე. ლულიდან ვაზნა გამოვიღე და ხელის მიყოლებით ნელნელა შევაცურე იაკანიანი ვაზნა. უკან რომ დავბრუნდი, დათვი შემბნარიდან გამოსულიყო. ვეება მურა მკერდზე თეთრი ხალი მოუჩანდა. ფოთლებს კორტნიდა, ზოგჯერ მცენარეს თა-

თით ფესვებიანად ამოგლეჯდა, დაბერტყავდა და ზანტად ილეჭებოდა. დრო და დრო ცხვირს ზევით აასავსავებდა და ჰაერს ყნოსავდა. უკვე მშვიდად ვიყავი. იდაყვებით მიწას დავეყრდენი, ფეხები განზე გავჩაჩხე, დინჯად დავუმარჯვე ილლიის ძირში და სასხლეტს მოვწიე. ლითონის ჩხაკანი გაისმა. დათვი ელდანაცემივით შებრუნდა უკან და შეშფოთებულმა ჩახედა ხეობას. ჩახმახს გამოვკარ ხელი და ყალბი ვაზნა გამოვცვალე, მაგრამ თოფის აწევაც ველარ მოვასწარი. დათვი ადგილიდან მოსწყდა და შამბნარში გაუჩინარდა. უკანასკნელ წამს აიუფამ მოასწრო სროლა. წამოვხტით, ფერდა ჩავირბინეთ და დათვის ნაკვალევს მივდიეთ. ისეთი ნახტომები გაეკეთებინა, გავოცდი. შამბნარი ჩაეთელა, ნაშალი მიწა გროვა-გროვად იყო ჩახვეტილი. აიუფა სისხლის კვალს ეძებდა — სინჯავდა მიწას, სინჯავდა ბალახებს, მაგრამ მისი ნასახი არსად ჩანდა. დაახლოებით ასი ნაბიჯის გავლის შემდეგ დათვის ნაკვალევი ერთბაშად გაქრა.

— მარჯვედ იყავი, — გამაფრთხილა აიუფამ, — თუ დაჭრილია, აქ სადმე ჩაიმალებოდა და მოულოდნელად თავს დაგვესხმის.

იქაურობა გულდასმით გადავსინჯეთ, მაგრამ ვერავითარი კვალი ველარ ვნახეთ. ჩვენს ხმაურზე ალექსი და ბექაც მოვარდნენ. სროლის ხმაზე ადგილზევე ჩასაფრებულიყვნენ, მაგრამ, ოი, უცნაურობავ, დათვისთვის ვერც თვალი დაეკრათ, და ვერც მისი ფეხის ხმა გაეგოთ. არა და, დათვის კვალი ზედ იმათ საფართან იკარგებოდა.

— ეჰე-ჰე-ჰე, — სინანულით თავს იქნევდა ბექა, — გვიყნოსა მაგ მუდრეგმა და, ხედავთ, თვალსა და ხელს შუა გაგვეპარა.

— ის იყო? — იკითხა ალექსიმ.

— ის იყო, — ის! — დაბეჯითებით თქვა აიუფამ, — კამეჩივით დიდი და გულთეთრა.

საქციელწამხდარი ვიდექი, რით უნდა მემართლებინა თავი! ჩემი დაუდევრობით ყველაფერი წყალში ჩავყარე. რამდენი მწყემსი ჰყავს გამწარებული და ვინ იცის, კიდევ რამდენს გაამწარებს. ვაი, შენ ჩემო თავო, როგორ გავაწბილე ამდენი ხალხი! ჩემი თავი მძულდა. თოფზედაც გული ავიყარე. ზიზლით დავყურებდი იმ იარალს, რომლის ხელში დაჭერაც კი მეამაყებოდა ხოლმე.

— როგორ მოხდა? — მკითხა ალექსიმ.

— არ გავარდა.

გაკვირვებულმა შემომხედა. ალბათ ფიქრობდა, საეჭვო ვაზნებით რამ გააბედინა დათვზე სანადიროდ წამოსვლაო.

ბექზე ავბრუნდით და როცა ის მანძილი თვალით გაზომეს ბიჭებმა, გაოცდნენ.

— ეჰე-ჰე-ჰე, — თავი გადააქნია ბექამ, — ეგრე ახლოს იყო და მაინც წაგივიდათ?

— რომ გავარდნილიყო, არ ააცდენდა, — თქვა ალექსიმ.

აიუფა ხმას არ იღებდა. ალბათ ნანობდა, ამას რად ვასროლინეო. იქნებ ამაზე არც ფიქრობდა, მაგრამ მე ასე მეჩვენებოდა და გული სინანულით მეკუმშებოდა.

— იღბალი ჰქონია გულთეთრას, — თქვა ბოლოს, — მაინც რა ვაზნა გედო ეგეთი?

ვაზნა იქვე, ბალახში ეგდო. დავხედეთ და აი საოცრება, ფისტონს ნემსას ნარტყამი არ ემჩნეოდა. ერთმანეთს მდუმარედ გადავხედეთ.

— ღმერთის მადლმა, აქ რაღაც სასწაულია, — ირწმუნებოდა აიუფა.

— გადარჩენა თუ ეწერა, — დაუდასტურა ბექამ.

ვაზნა ხელახლა ჩავდე, ისევე ფრთხილად დავუშვი ჩახმახი და მექანიზმი დავათვალიერეთ. მარცხის მიზეზი უბრალო გამოდგა. ჩახმახის ნელი დაშვებისას, ინერციის უქონლობის გამო, ვაზნის გამომგდები კავი ქუსლის წიბოს ზედ ვერ ახტებოდა.

ამიტომ ჩახმახსა და ვაზნას შორის თითქმის ორი მილიმეტრი ღრიჭო რჩებოდა და, რაღა თქმა უნდა, ნემსა ფისტონამდე ველარ აღწევდა.

— აი, რა ყოფილა დათვის იღბალი! — სინანულით თქვა ალექსიმ.

ნადირობა ჩაიშალა, უძაღლოდ დათვის დევნას აზრი აღარა ჰქონდა.

— ამაღამ ჩვენს ბინაზე გავათიოთ, — გვირჩია აიუფამ, — ილტოს ხეობაში გამოვიჭერთ მაგას.

ცხენები მოვრეკეთ, ბარგი გადავკიდეთ და აღმა ავუყევით ხავერდოვან ფერდობს. ცა თანდათან იქუფრებოდა. შავი ხუჭუჭა ღრუბლები ძირს ეშვებოდნენ. ღამისსათევს დაისის ჟამს მივაღწიეთ. ღოლომორეულ ვაკობზე ორი ქოხი იდგა. ქოხის წინკართან კომბალზე ორთავე ხელით დაყუდებული ვამხდარი, გრძელცხვირა კაცი დავინახეთ.

— ოჰ, გამარჯობა, ხვთისო! — მიესალმა ალექსი.

— ღმერთმა გაღღეგრძელოთ, — ღიმილით წინ წამოდგა დამხვდური, — აქ საიდან გაჩნდით. ბარში ხომ მშვიდობაა?

— მშვიდობაა. დიდი ხანია, შინ არ ყოფილხარ?

— ბარე ერთი თვეა, ფეხი არ ჩამიდგამს. რა ქარმა გადმოგაგდოთ, კაცს ნახვა დამნატრულდა.

— გავიგეთ, მოიწყინაო და კონცერტი უნდა გაგიმართოთ! — იღიმებოდა ბექა.

— შენა ხუმრობ, მაგრამ ძალიან გამახარეთ.

— მაშ ამაღამისთვის სამწვადეს გააჩენ.

— ოღონდაც მიირთვით და, რომელ ბურვაკსაც თითს დაადებთ, იმას გამოვჭრი ყელს.

ბექას ღორის ხსენება არ ეამა. უკმაყოფილოდ მოავლო თვალი იქაურობას და ბურვაკზედაც დამადებინა თითიო — წაიბუზღუნა.

— ხვასტაგზე გარყვნილი დათვის ასავალ-დასავალი ხომ არაფერი იცი? — ჰკითხა ალექსიმ.

— გაგვანადგურა მაგ სატიალომ და ეგ არის. ამ თვეში სამი ღორი მარტო ჩვენი ფერმისა შეჭამა. ოღონდაც ეგ მოგვაშორეთ და მეტი სიკეთე რა გინდათ.

ბექამ ზურგჩანთები ქოხში შეიტანა. უმალვე უკან გამობრუნდა და ხვთისოს დაჰყვირა: — ეს რა გიქნია, კაცო, ჭკუაზე ხომ არ შემცდარხარ!

ხვთისომ მხრები აიჩეჩა. გაკვირვებულმა, ჩვენ შემოგვხედა, თითქოს გვეკითხებოდა, რა დავაშავე ასეთიო.

— ბინა საღორედ გადაგიქცევია, არა გრცხვენიან, კაცი არა ხარ? — ცხარობდა ბექა.

ყველანი ქოხთან მივედით. იქაურობა ღორებს აექოთებინათ, კედლები ტალახიანი ბეჭების ქექვით დაეთხვარათ. აჩიჩქნილ იატაკზე ქუჩ-ქუჩად მტვრის გროვა იდგა. არაფრად გვეჭაშნიკებოდა ასეთ ქოხში ღამის გათევა. აიუფას სიბრაზისაგან ქვედა ყბა აუცახცახდა და კრინტი ველარ დაძრა.

— აქ დაძინება შეიძლება? — იკითხა ალექსიმ.

ხვთისომ მორცხვად ჩაჰკიდა თავი.

— შე კაი კაცო, ქისტები ვართ, ჩვენს ბინაში ღორი რომ შეგყავს, ძაღლად აღარ გვაგდებ? ამის დადგმაზე მთელი კვირა ვიწვალე. საიდან მასალა ვზიდე, ყავარი ვხეთქე, ვიშრომე. შენ კი მოხვედი და ღორებსააკლებინე, სირცხვილი არ არის? — ბრაზობდა ბექა.

— არ ვიცოდი, ადამიანობას გეფიცებით, არ ვიცოდი, თუ თქვენი იყო, — მოიბოდიშა ხვთისომ, — მიტოვებული მეგონა. ამწინაზე სეტყვამ მომასწრო. შემეცოდნენ, პირუტყვები და.. მაშინ შევრეკე, კარგ ამინდში ღორს აბა ბინა რად უნდა.

— მაშ ახლა რაღად მოგირეკია?

— ახლაა? აგე, ავდარი მოდის და...

— ავდარი მოდის! — გამოაჯავრა აიუფამ, — ავდარი რო მოდის, წინასწარ უნდა იფიქრო ბინაზე.

— ადამიანობას გეფიცებით, მიტოვებული მეგონა. ამ ორ დღეში ტბათანაზე უნდა გადავრეკო და იმიტომ აღარაფერი ვიზრუნე.

— არ ვიცი, ახლავე მოაშორე აქედან. ქოხთან მოსული არა ვნახო, თორემ ერთიანად ამოგიჟლეტავ.

დასავლეთის ნიავი მწარედ ისუსხებოდა. ღია ცის ქვეშ ყოფნა გაგვიჭირდებოდა, ამიტომ ქოხი შეძლებისდაგვარად დავასუფთავეთ, ტახტი გავაწყეთ, იატაკზე წიფლის კეწერები დავფინეთ, შეშა მოვიმარაგეთ და ვახშმის მზადებას შევუდექით. შებინდებისას კარზე ხალებიანი დედა ღორი მოგვადგა, გარს ძუძუმონატრებული თორმეტი თოთო გოჭი ეხვია. ზღურბლთან დინგი შემოყო და მძივისმაგვარი თვალებით მოგვაშტერდა.

— ქსა, შე სამგლევ! — კომბალა წაჰკრა ხვთისომ.

ღორი განზე გადგა და ტრუხ-ტრუხით გოჭებიც თავისკენ გაირეკა. სუფრა გავშალეთ. ალექსიმ ტიკჭორას სახვევი მოხსნა და ნიამორის ყანწით კახური ჩამოარიგა.

— ჩემმა მზემ, მთაში ღვინო არვარგა, ძალა არა აქვს, — ირწმუნებოდა ბექა, — მაგას ჩემი „ქიპ-ცამეტი“ სჯობია, — ზურგჩანთაში ხელები აფათურა, ლიტრიანი ბოთლები ამოაცოცა და წინ ჩამოგვიმწკრივა.

„ეს რა არის?“ — თვალებით ვკითხე ალექსის.

— ქიპიტაური, ცამეტ გრადუსიანი.

— ვიცი, წატუსული იქნება, — ტუჩაკვრით თქვა ალექსიმ.

ჩქარა ცარიელი ტიკჭორაც და ბოთლებიც კუთხეში მივაწყეთ, მაგრამ მთის სიგრილემ და სუფთა ჰაერმა ზარხოში სიახლოვეს არ გაგვაკარა.

ანწლის ორნახადმა კი საკმაოდ შეგვახურა, გაგვაბრუა და სუსხიან ნიავსაც კბილები მოსჭრა.

— ფშაველები ამ კეთილშობილი ხითხითა ხართ პატივსაცემი, თორემ რაც გაგვიკეთე, ამას არავინ გაპატიებდა, — შეახსენა ბექამ.

— სასმელს თუ გაეკარენით, ღორებიც შეიყვარევით, — წაუკაფიავა ხვთისომ.

— რჯულის მადლმა, — თუ მაჩვში არ შემეშალა, იგრე ღორის ხორცს კბილს არ დავაკარებ, — ახარხარდა ბექა.

დედა-ღორი ფეხზე წამოდგა: ღრუტუნ-ღრუტუნით მოგვიახლოვდა. მარლი თვალებით უაზროდ მოგვაშტერდა. თითქოს გვეკითხებოდა, დიდხანს აპირებთ თუ არა ჩემს ბინაში ღრეობის გაგრძელებასო; ხვთისომ ისევ გააგდო, მაგრამ ღორი შორს არ წასულა, ორიოდე ნაბიჯი გადადგა უკან და ისევ ჭინ წამოვიდა.

— რას იწევს ეს ოხერი! — დაჰყვირა ბექამ.

— ნამეტანი მოსწონხარ, თვალი შენზე რჩება! — უთხრა ალექსიმ.

— გაავდრდება! — ცას შეხედა ხვთისომ.

— ჰო, გამიგონია, სინოპტიკოსი ყოფილა შენი ჭირკოდილა, — იცინის ბექა.

— საკვირველია, დილიდანვე გრძნობს საღამოს ავდარს!

— ხვთისგან წყეულია, ბინძურია, — ბექამ კომბალს დაავლო ხელი. ღორს ბეჭებში დასცხო და თან დასძყივლა, — აღარ მოგვშორდები, შე მგლის კერძო!

ღორმა შეიყვირა, კუდის ბზრიალით განზე გაძუნძულდა, ისევ მოტრიალდა და წინ წამოყრილი ყურებით სმენად იქცა.

— ჰაიტ! — ფეხები დაუბრაცუნა ბექამ. ღორი არ განძრეულა, გაკვირვებული გვიყურებდა. ბექამ ეშმაკურად გაიღიმა, ხვთისოს გეკოს დაავლო ხელი და ღორს ესროლა. ღორმა ყრუდ შეიჭყმუტუნა და ყურების პარტყუნი დაიწყო. ბექა ახარხარდა.

— რას ჩადი! — გაუჯავრდა ალექსი.

სიცილისაგან მუხლებმოკვეთილი

ბექა ზურგჩანთებზე გულაღმა გადავარდა. ისევ სწრაფად წამოდგა და ვეკოს ლულაში ვაზნა მისცა.

— ცოდოა, მოეშვი, — თოფზე ხელი აუკრა ალექსიმ.

— დამაცადე, დამაცადე, — ხითხითებდა ბექა, — ბარემ მეორე ყურსაც გავუჩვრეტავ, შენ კი საყურეები მოუმზადე, — უთხრა ხვთისოს, — კეკლუცი სიდედრი იქნება.

— გეყოფა ახლა! — შეუტია ალექსიმ.

— ჩემმა მზემ, ცალ ყურზე არ მოუხდება. მაცალეთ, მეორეც გავუჩვრიტო, — აიყინა ბექამ, ღორი წარამარა თავს იქნევდა, ყურებს აპარტყუნებდა, ქეჩო წითლად ელებებოდა, ხვთისო გამტკნარებული იჯდა, ვერ მიმხვდარიყო, გაეცინა თუ გაბრაზებულიყო.

— რას უზიხარ, ალე, ძაფი გაუყარე და ხშირ-ხშირად შეუტრიალე, რომ არ გაუმთელდეს, — ურჩევდა სიცილით გაგუდული ბექა. ხვთისოს ხმა არ ამოუღია, ყანწში ცოტაოდენი ქიპიტაური ჩაასხა და გადაჰკრა.

ჩვენამდე ელჭექის შორეული გრუხუნი აღწევდა. შავმა ღრუბელმა საქისტოს მთა ჩაყლაპა და სვეტებად დაეშვა ილტოს ხეობაზე. წვიმის პირველი წვეთები ჩქარა ჩვენთანაც აშხაპუნდნენ, ქარი გაძლიერდა, განუწყვეტლივ ქუხდა და ირგვლივ ელვის აბლაბუდები იქარგებოდა. ცა ერთნაირად ჩამოიქუფრა, ქარიშხალი გამძვინვარდა და სეტყვა წამოგვიშინა, ჯერ კანტიკუნტად აკაკუნებდა ყავარზე, მერე ხრიალით წამოვიდა და იქაურობა გადაათეთრა.

გოჭები გულისწამღებად აჭყვიტინდნენ, დედას ფეხებში უძვრებოდნენ. ზოგი ისევ ძუძუზე ეკიდებოდა, ზოგს კი სეტყვამ აუწვა გვერდები და, ღედის მკერდს ამოფარებული, გაკვირვებული, დაჰყურებდა წყალში მოტივტივე ყინულის კაკლებს. ღორი იდგა და ქოხის კარს უყურებდა. სეტყვის ხორკლიანი კაკლები განუწყვეტლად უკაკუნებდნენ. გათოშილი წყალი გოჭებს მუცელზე შემოადგათ, აწუწუნდნენ, დედას შესტიროდნენ. ხვთისო გაფითრებული შეჰყურებდა. ვეღარც შველას ახერხებდა, ვერც ხმას იღებდა. ღორი აწრიალდა, ჯერ ადგილზე დატრიალდა, მერე ერთბაშად ჩვენსკენ გამოიქცა და ქოხში შემოვარდა.

— ქსა, სად მოხვალ! — დაჰყვირა აიუფამ და წიხლი აზილა დინგში.

— ქსა, ქსა! — ყვიროდა ბექაც. ღორი აღარავის არ შეეპუა.

— ერთი უყურეთ, როგორ იწევს! — ბექამ საჩხრეკს დაავლო ხელი და ღორს ბეჭებში დასცხო. ღორი გამწარდა, აჭყივლდა, მაგრამ უკან მაინც არ დაუწევია. ხვთისო გულზე დადებულ მარჯვენა ხელს ნიკაპზე შემოდებულ მარცხენა ხელის იდაყვით იმაგრებდა და გაოგნებული იდგა.

დედა-ღორმა თავისი გაიტანა. აქეთიქით ეცა, ზურგჩანთები გადათელა, ქოხის სიღრმეში გაიჭრა და ტახტის ქვეშ შეძვრა. გოჭებიც შემოცვივდნენ, კუთხეებში გაისხმარტალეს და ღედის გარშემო აიყუჟნენ.

— მომსისხლა, მომსისხლა ამ უწმინდურმა! — აღრიალდა ბექა, — რჯულის მადლმა, ამას არ ვაპატიებ, — დაავლო თოფს ხელი და ჩახმახი ფეხზე შეაყენა.

— არ გაბედო! — კბილებში გამოსცრა ხვთისომ და ბექას წინ აეღობა.

ღრმად ჩაცვივნული თვალები თითქოს გაეყინა. გამხდარ ყბებზე კუნთები დაებურცა, თხელი ტუჩები გაუთეთრდა, მუშტებმომუჭული იდგა და თავით-ფეხებამდე თახთახებდა.

— აა, შე უმადურო, — დაჰყვირა ბექამ, — ბინა წამიბილწე, ამიქოთე, და კიდევ წინ მიდგები? განზე გაიწიე თორემ, ჩემმა მზემ, შენც ზედ მიგაყოლებ.

— არ გაბედო!

— გაიწი-მეთქი! — ბექამ ხელი ჰკრა ხვთისოს. ხვთისო დაბარგანავდა. დედა-ბოძს მიაწყდა, მკვირცხლად მო-

ტრიალდა და თოფზე უტაცა ხელი. დაძიძგილავდნენ. თოფის წასართმევად ერთმანეთს მკლავებს უგრეხდნენ. ამასობაში კონდახი ტახტის ქიმს მოხვდა და ლულა შუბლში ეხეთქა ბექას.

— არ შენი დედა ვატირე, მირტყავს კიდეც, — ბექამ ხვთისოს მუცელზე ფეხი მიაჭირა და თოფი ორივე ხელით თავისკენ მოქაჩა.

— რას სულელობთ! — სახეალეწილი ალექსი შუაში ჩაუდგათ.

— თავი გამიხეთქა, არ შევარჩენ,— ყვიროდა ბექა და შუბლზე ხელს ისვამდა. ალექსიმ თოფი წაართვათ და გან-განზე გაყარა.

— ბავშვებივით იქცევით, არა გრცხვენიათ!

— გამარტყა, ამ შობელძაღლმა, ჩემი ანაწერა ხარ, სულ ერთია.

— თუ გამერტყა, მაგრე ვეღარ იჭიკჭიკებდი.

მოჩხუბრებს ალექსისათვის წინააღმდეგობა აღარ გაუწევიათ, თუმცა აღგზნების ცეცხლი ჯერაც არ ჩაქრობოდათ — დაძაბულები იდგნენ და თვალებს უბრიალებდნენ ერთმანეთს.

—ბედი შენი, რომ ჩემს ბინაში ხარ! — კბილებს უკრაჭუნებდა ბექა, — თუ სადმე შეგხვდი, ნადირის საჯიჯგნს გაგხდით შენცა და შენს ღორებსაც.

— სადაც ვიწრო იყოს, იქ დამხვდი!

— სწორედ ვიწროებში დაგვხვდები და ფეხით ჩაგკიდებ უფსკრულში. დამაცადე!

— მორჩით ლაყბობას, — შეუტია ალექსიმ, — გირჩევნიათ სახურავს მიხედოთ, ბინა წყლით გვევსება.

ყავრის ღრიჭოებიდან ყინულ-წყალი მოჩხრიალებდა. ყველა ავფაცურდით, ღრიჭოებში ყავრის ნაჭრები შევუფინეთ, გუბურებს კეწერები გადავაფინეთ. ჩქარა ქარიშხალიც მიწყნარდა. დაწრეტილი ღრუბლები ალმაცერად დაცურავდნენ ქაჩალ გორებზე.

ხვთისომ კომბალი აიღო და ტახტის ქვეშ გამხლართული დედა ღორი რისვაი-ვაგლახით მეორე ქოხისკენ გააგდო. გათენებამდე არ შეწყვეტილა შევიწროებული ღორების ჭყმუტუნი.

დილაბინდზე წამოვდექით. სახელდახელოდ დავიბანეთ ხელპირი იქვე წყაროზე და სანადიროდ ავიკაზმეთ. ხვთისომაც აშალა თავისი კოლტი და ტყიანისკენ გაილალა. ალექსი და აიუფა ხეობისკენ დაეშვნენ მე და ბექა კი სერს გავყევით.

— ძაან უნდა ვიფრთხილოთ, — გზადაგზა მარიგებდა ბექა, — ჩქამი არ უნდა გავიღოთ, თორემ იგრე გაგვეპარება, წკიმალს არ გატეხავს.

ციცაბო ფერდობს გავუყევით. ბექა ფოცხვერივით მიიპარებოდა.

— კენჭებს ნუ აგორებ, ჩემს ნაფეხურებზე დააბიჯე, წკიმალი არ გატეხო.

ფეხის გადადგმა მიჭირდა. კოჭები მემტვრეოდა ცალმხარეს გადაღრეცილი სიარულისაგან. ნაშალზე ფეხი რომ არ გამცურებოდა, ხეებს ვებღაუჭებოდი.

— პატარა ხეს არ ჩაეჭიდო, თორე გატოკდება და შორიდანვე შეგვამჩნევს.

ცალკე სიარული მიჭირდა, ცალკე — ამდენი სიფრთხილე.

ბექა ოცდაათი-ორმოცი ნაბიჯით დაწინაურდებოდა, მორს აეფარებოდა და თვალსაწიერს მოათვალიერებდა; როდესაც წამოვეწეოდი, წავიდოდა, ახლა მე ვჩერდებოდი და აქეთ-იქით ვაცეცებდი თვალებს.

ხეობიდან რაღაც უცნაური ყეფა ვაისმა. ბექა ადგილზევე ჩაჯდა და გაიტრუნა. მეც ჩავიმალე. „ალბათ დათვია“, — გავიფიქრე და გული ამიჩქროლდა, ლავლავი დიდხანს გრძელდებოდა, ხან მიყუჩდებოდა, მერე კი ისევ მკვეთრად ისმოდა. „ალბათ ალყაში მოვაქცევთ“, — ვფიქრობდი და ბექას ნიშანს ველოდებოდი. ბექა ჯირკვივით იჯდა. თვალსაც კი არ ახამხამებდა. ჩემი აზრით, სასწრაფოდ წა-

მოსვლა იყო საჭირო, ის კი არ ჩქარობდა.

„ის არის?“ — ვანიშნე ხელებით. არა — თავი გაიქნია, გამიკვირდა — თუ ის არ იყო, მაშ რაღას ვუცდიდით. ლოდინით გული გადამელია, როგორც იქნა, ბექამ აიწია და მეც მანიშნა, მომყევი. ტაფობის თავზე ხექცეულს ამოვეფარეთ.

— რა იყო, ბექა?

— შველი.

მე ხუმრობა მეგონა და ჩავიცინე.

— ხედავ, რამსიშორედან ისმენს?

— რას მასხრობ, მაშ ის დათვი არ იყო?

— დათვი კი არა, ვაცი იყო. ადამიანის ფეხის ხმაზე იცის როყინი. ჯერ დაღრთხება, მერე ისევ უკან მობრუნდება, რომ ხმაურის მიმართულება გაიგოს. ეგრე დარბის წინ და უკან, სანამ გულს არ დააჯერებს. მერე კი გაიპარება და თავს უშველის.

— შიშით მოსდის თუ ჩვენი შეშინება უნდა?

— აბა რა ვიცი.

— მაშ რაღას ველოდებოდით.

— ჰეჰე, — ჩაიქირქილა ბექამ, — დათვმა ჩვენზე უკეთ იცის მაგისი ჩვევა.

ერთბაშად ღორის ჭყივილმა შესძრა მთელი ხეობა. ბექა შეშფოთდა, ყური მიუგდო. აბა ჩქარაო — მოძახა და უკან გაიქცა. რაც შეგვეძლო, მივრბოდით. აღარც ქვების დაგორება გვეწაღვლებოდა და აღარც ტოტების რხევა. წვრილიანი გორაკი გადავირბინეთ და ქარაფის თავზე გავედით.

— შენ ამ ღელეს ჩაჰყე და ბილიკზე დაუდექი, მე ზევიდან დავუვლი, — მომაძახა და ფოფხვით აჰყვა კლდის თავს. ღელეში ჩავედი, ორმოცდაათი ნაბიჯი მექნებოდა გავლილი, წავარნაზე რომ გავედი; ბილიკი ღელეს განივად კვეთდა, ქარაფზე მიიკლაკნებოდა და თანდათანობით ხეობისკენ ეშვებოდა. გადასახედამდე ჩავირბინე კლდეს ამოვეფარე, დურბინდი თვალებზე მოვირგე და ღორი მოვძებნე. მოზრდილ ტახს დათვი ზევიდან გადაჰფაფროდა. წინა თათები მის ბეჭებში აქეთ-იქიდან ჩაეკლანჭნა. ზურგზე დასცხრომოდა და ღოჯებით ქეჩოს უგლეჯდა. გამწარებული ტახი სულმოუთქმელად ჭყიოდა, დათვს ქვევით-ქვევით მიათრევდა, ცდილობდა, როგორმე გასხლტომოდა, ან უფსკრულისკენ გაეტაცა, მაგრამ დათვი უკანა ფეხებს უთრევდა, ზედ აწვებოდა და, გაცხარებული, ხერხემალს უტიტვლებდა. ღორის ცოდვას ველარ გავუძელი, საფარიდან გამოვედი და მათკენ დავეშვი. ღორი მთელი ხმით გაჰკიოდა, ხეობა აავსო მისმა ჭყივილმა. წავარნა ხან იკარგებოდა, ხან ქვაყრილზე გადადიოდა. წინ მივიწევდი, რაც შემეძლო, მაგრამ სასროლი მანძილი ჯერ კიდევ შორს იყო, ღორის ხმაში ბედს შერიგებულის ყრუ კვნესა გაისმა. დათვი კი ცხარობდა და გაფოთებული უფლეთდა ჯაგრიან ქეჩოს. ღორს თანდათან ძალა გამოელია. წინ ველარ მიიწევდა, ხმაც მიუსუსტდა. სასოწარკვეთილმა, რამდენჯერმე კიდევ შეიკივლა — ნადირმა ნეკნები ამოულეწა და ღოჯები ფილტვებში ჩაუყარა. ღორი ახრიალდა, კვლავ გაიბრძოლა და უკანა ფეხებით ადგილზევე ჩაიკეცა.

მოპირდაპირე მხრიდან ხვთისო გამოჩნდა. ყვიროდა, გეკოს ჰაერში იქნევდა და, თავქუდმოგლეჯილი, ღორის მოსაშველებლად მორბოდა, მომაკვდავი ტახი უკვე ყრუდ ხრიალებდა. დათვს ჭრილობაში ჩაეყო დინგი და, გაშმაგებული, ჯიგარს უჯიჯგნიდა.

ქარაფის თავზე ბექა ბორიალობდა. ეტყობოდა, მასაც სასროლი მანძილი ეშორებოდა. ჩამოსასვლელს ეძებდა და ვერ პოულობდა.

ხვთისომ გორაკი გადმოირბინა და დათვს ზედ წაადგა, ტყვიამ გაიშხუილა და იქვე მიყუჩდა. ნადირმა ხვთისოს შეხედა, მან კი მეორედ დაუმიზნა, დათვი აღრიალდა და ხვთისოსკენ გაქანდა.

— მიშველეთ! — იყვირა ხვთისომ.

— მიშველეთ! მიშველეთ! — აგუგუნდნენ შეშფოთებული მთები. თოფი ავწიე და ხუთივე ვაზნა ზეცას ვაქუხე. რისხვით აგუგუნდა ხეობა, ეტყობოდა, ყველა ჩვენთაგანი ისროდა, დათვმა ხვთისოს „გექო" გამოსტაცა, უფსკრულში ისროლა და, გააფთრებული, ზედ ეცა.

— მიშველეთ! — გაისმა ხვთისოს განწირული ძახილი.

— ჰე, ჰე-ჰე, ნუ გეშინიან! — იყვირა ბექამ და ფლატეზე ისკუპა.

— ნუ გეშინიაა, ნუ გეშინიაა, — იმედს იძლეოდნენ მთები. ბექა კლდეზე დაცურდა, ლოდების შვერილებს ეჭანებოდა, თავს ვეღარ იკავებდა. როგორც იქნა, გოხიანზე მოიკიდა ფეხი, წელში გაიმართა და პიტალო განივად გადაირბინა, ხრამზე გადახტა, მაგრამ მეორე კიდეს ვერ მიაღწია, ისევ დაცურდა. ფრიალოსკენ მიქროდა. შიშისაგან თვალები დავხუჭე. ფრიალოს თავთან იმარჯვა. ორთავე ხელით ობლად დაკიდებულ ქუჩის ბელტს ჩაეკრა, თოფი რახრახით ჩაეშვა უფსკრულში. ერთხანს გაუნძრევლად ეკიდა. მერე ჰაერში ფეხები აასავსავა. ფესვები წყდებოდა, ბელტი იშლებოდა, როგორც იქნა, წონასწორობა აღადგინა, ცალი ხელი გაინთავისუფლა და კლდის ქიმზე გადაცოცდა. დათვს და ხვთისოს ზედაგორა ჰქონდათ. ხვთისო ყურებში ჩაჰფრენოდა, დათვს კი ბარძაყში ჩაევლო პირი და უღვთოდ უღრღნიდა. ბექამ ხანჯალი გაიძრო. სამთავემ დაიწყეს კოტრიალი და ხრამში ჩაეფარნენ; ბექა ჩქარა გამოჩხდა, აიუფას რაღაცას ეძახდა, ეტყობოდა, ცხენებს თხოულობდა სასწრაფოდ.

ნეკნებში ხანჯალგაყრილი დათვი გულაღმა ეგდო, თათებს ჰაერში უაზროდ ასავსავებდა, რაღაცის ჩაბღუჯვას ლამობდა.

ბექას თავისი პერანგი დაეფლითა და ხვთისოს ბარძაყს უხვევდა. ხვთისოს თვალები დაეხუჭა, სიმწრისაგან კბილებს აღრჭიალებდა; ბექას შუბლზე კანი გახეთქოდა, დაქექილი სისხლი ოფლიან სახეზე ჩამოსდიოდა.

მან ხვთისო თავის სამკვდრო და სამთო ქურქში გაახვია, თოკით გამოიბა და ფრთხილად დააცურა მდინარისაკენ.

ფრიალოს ფერდობზე მართლაცდა უსაშველო სივიწროვე იყო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ გაბაონი

# აივნიანი ქალაქი

რომანი

## კარი ოცდამეოთხე

### I ბერთუბნელი ნათლია

ნახვა ცოდნას ნიშნავს.
**ონორე დე ბალზაკი**

გრიგოლ ზანდაროვი მხიარულად დაეშვა გერმანოზიშვილების სახლის კიბეზე. ხელში მაღალ, პრიალა ქუდს ათამაშებდა და პირზე კმაყოფილი ღიმილი დასთამაშებდა. წინ ფეხშიშველი დედაბერი შეეფეთა. დედაბერმა მას ცნობისმოყვარეობით და დაკვირვებით ამოხედა, გზა რიდით დაუთმო და, დაღლილი, კიბის რიკულს დაებჯინა.

ზანდაროვმა დედაბერს არავითარი ყურადღება არ მიაქცია და გვერდით არხეინად ჩაუარა. დედაბერმა განცვიფრებული თვალი გამოაყოლა და სანამ ის სადარბაზო კარს მიაღწევდა, გაკვირვებულმა დაუძახა:

— იოსებ!

ზანდაროვი გველნაკბენივით მოტრიალდა.

დედაბერი გაშტერებული დაჰყურებდა და თან პირჯვარს იწერდა.

— რანაირათ გამოცვლილხარ, ბიჭო?! რაღა ბატონი, რაღა შენ!

ზანდაროვმა მყისვე იცნო გერმანოზიშვილების ძიძა და საკუთარი ნათლია.

იცნო და რეტდასხმული, გაჩერდა.

ნამდვილად ის იყო, მისი ნათლია. ძნელი არ იყო მისი ცნობა. ეს სოფლელი დედაკაცი უბერებელივით გამოიყურებოდა. ხალხის წიაღში გაზრდილი, ღარსა და ავდარს შეჩვეული, ჯერ ისევ ჯანღონით იყო სავსე. მას მხოლოდ მისი სახელი არ აგონდებოდა, რადგან წარსულზე არასოდეს არ ფიქრობდა (ამიტომ მანანა გერმანოზიშვილზე დაქორწინება პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად სჭირდებოდა, შურისძიების გრძნობა კი მის გულს ახლოს არ ეკარებოდა). ზანდაროვს თვალი არ ატყუებდა. კიბეზე, მის წინ მისი ნათლია იდგა, მასზე შეყვარებული და გადაგებულ-გადაფაფრებული. მიუხედავად ამისა, მაინც შიში ეუფლებოდა. არ უნდოდა უბრალოდ გაფუჭებულიყო. გაკვირ-

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 8.

ვებულის იერი მიიღო, დედაბერს კიბეზე გულგრილად აუგდო:

— დედი, შენ ვიღაცას მიმამსგავსე. მე გრიგოლი მქვიან.

— არვისაც არ მიგამსგავსე. — ეწყინა დეაბერს, — შენ გერმანოზიშვილების ყმა ხარ, ფანდურაანთ იოსება.

— გაგიჟდი, დედაკაცო?

— თავს რათ იკატუნებ?

— შენ იცი მე ვინა ვარ?

— ვიცი.

— მე გრიგოლ ზანდაროვი ვარ.

— ბიჭო, ვის ატყუებ?

— ვისაც გინდა ჰკითხე ჩემი სახელი და ვინაობა.

— ეგ არის დაგიჯერე! ტიტლიკანა ხელში მეჭირე, როცა მღვდელმა იოსება დაგარქვა. ეგ სახელი სადღა იშოვნე?

— რას ლაპარაკობ, დედაკაცო? თუმცა, რა უნდა გელაპარაკო? ისედაც ბევრი დრო დავკარგე.

— სად მიგეჩქარება? ჯერ ხომ პოლიცია არ მოსულა. თუ გაიქცევი, დავიყვირებ და დავითიც აქ გაჩნდება.

ზანდაროვი ერთი ნახტომით გაჩნდა დედაბერთან.

— სუ! არავინ გაგვიგონოს.

უნებურად წამოსცდა ზანდაროვს და შეშფოთებით ზევით გაიხედა.

— გამოტყდი? — ჩაიცინა დედაბერმა.

— ნათლი, შენი მუხლების ჭირიმე! — ტეტიურად მოუქცია ზანდაროვმა.

გაიანემ კაბის სახელოთი შუბლიდან ჭირის ოფლი მოსწმინდა.

— ბიჭო, სოსიკო, შენ რომ შიში არ იცოდი, ეგრე რამ წაგახდინა?

— ნათლი, ჩემსავით შენ არავინ გიყვარდა. ჩემთვისაც შენი დანახვა და გახარება ერთი იყო.

— ჰო. ჰო. ეგრე იყო, ნამდვილად ეგრე იყო.

— მერე შენს ნათლულს შენვე უნდა გამოჭრა ყელი?

— ეგ რომ მდომოდა, ლაპარაკს რათ გაგიბავდი? ჩურჩულით იმიტომ გელაპარაკები, რომ ბატონებმა არ გაგვიგონონ.

— მაშ ჩემგან რა გინდა?

— შენი ბედნიერება, სხვა რა უნდა მინდოდეს?

გრიგოლს გული საგულეში ჩაუდგა. დედაბერი სიყვარულით შეათვალიერა.

— ვიცოდი, რომ არ გამწირავდი.

— რას ამბობ, ბიჭო! შენი დანახვა ქრისტეს დაბადებასავით გამეხარდა.

— მეც, მეც, ნათლი. რამდენი წელიწადია ჩვენიანი არავინ მინახავს. არც შემხვედრია.

გაიანე გაჩუმებული აშტერდებოდა ზანდაროვს. სიხარულის ღიმილი ბებრულ ტუჩებზე პირწყალივით ადგებოდა. ეტყობოდა, მისგან კიდევ რაღაცის თქმას თუ ვიღაცის ხსენებას მოელოდა, მაგრამ ზანდაროვი მხოლოდ თავის თავზე ფიქრობდა. მოულოდნელად ნაპოვნ ნათლიას ერთხელ კიდევ ჰკითხა:

— მაშ, ბატონებთან არაფერი წამოგცდება?

— არაფერი. ოღონდ ერთი პირობა უნდა მომცე.

— რა პირობა?

— ამ ქალაქიდან სადმე გადაიკარგე.

— რათა? რას მერჩი?

— მეშინიან დავითმა არ გიცნოს და არ წაგახდინოს.

გულაჩუყებულმა ზანდაროვმა ნათლიას ლოყაზე აკოცა. გაიანეს იმათვალებიდან ცრემლი ჩამოეწურა. თვითონაც მოეხვია ფანდურაანთ იოსებას.

— ბიჭო, სოსიკო, შენს გაზრდაზე მეც დავყარე ჯიგარი. არც დამვიწყებიხარ, ჩემს ლოცვებში ყოველთვის გახსენებდი და გიგონებდი შენცა და ნათიასაც.

ამ სახელის ხსენებამ ზანდაროვზე არავითარი შთაბეჭდილება არ მოახდინა. ისევ შეშფოთებით გაიხედა ზევითკენ.

— ბატონები რომ თავზე წამოგვადგნენ, რას იფიქრებენ?

— ფიქრი ნუ გაქვს. რაღაცას ვიტყვი, რამეს მოვიგონებ.

— შენი ჭირიმე, ნათლი!

ზანდაროვი ახლა უფრო თამამად მოეხვია მას, რადგან გერმანოზიშვილების აღარ ეშინოდა. უცებ მან დედაბრის შიშველ, დატალახიანებულ ფეხებს დაადგა თვალი, გაკვირვებულმა იკითხა:

— ფეხშიშველა რათა ხარ, ნათლი?

— ბიჭო, სოსიკო, შენ ძალიან მიყვარდი, მაგრამ მანანასავით არავინ მყვარებია. იმას აღუთქვი. იმის დაქორწინებამდე ფეხშიშველმა უნდა ვიარო.

ამ სიტყვებში ზანდაროვმა ახალი საფრთხე აღმოაჩინა, ახალი შიში შემოენთო. მთავარი მაინც ის იყო, რომ მისი მანანა გერმანოზიშვილზე დაქორწინება შეუძლებელი ხდებოდა.

— რათ ჩაფიქრდი, იოსებ?

— მარტო ერთი ფიქრი მაქვს, ნათლი. რითი გადაგიხადო სამაგიერო?

— შენი კარგად ყოფნით. მე მეტი არაფერი მინდა.

— სიმდიდრით ქალაქში ბევრი არავინა მჯობიან. რასაც ხელს დაადებ, შენი ჭირის სანაცვლო იყოს.

— მერე ეგრე რამ გაგამდიდრა, ბიჭო?

ზანდაროვმა გაიღიმა.

— ჭკუამ და გამჭრიახობამ.

— ლამაზი იყავი და უფრო გალამაზებულხარ. მაგრამ სულ გამოცვლილხარ. ძლივს გიცანი.

ზანდაროვი დაინტერესდა.

— მაინც, როგორ მიცანი? სად ტეტია და სად მე?

დედაბერმა გაიცინა.

— ტუჩის მაგ პატარა ნაჭრილობევით, რა მალამო არ დაგადე, რომ მოგშუშებოდა. ახლა ძლივს გაჩნია, ჩემს მეტი ვერავინ შეგამჩნევდა. მე მიმადლოდე, თორემ ქალები დაგიწუნებდნენ.

უცებ დედაბერი ცნობისმოყვარეობით მიუბრუნდა ზანდაროვს.

— ცოლიანი ხარ, სოსიკო?

— არა, ნათლი.

— საწყალი...

გაიანემ დაწყებული სიტყვა ველარ გააგრძელა, ხმა გაიკმინდა. ზემოთ, გერმანოზიშვილების ოთახებში, ხმამაღალი ლაპარაკი გაისმა. კარებმა გაიჭრიალა და კიბის ფოლორცზე დავით გერმანოზიშვილი გამოჩნდა. ზანდაროვს ფერმა გადაჰკრა. მთელი მისი ცხოვრება დედაბრის ერთ სიტყვაზე იყო შეგდებული. დედაბერმა დავითის გასაგონად ხმას აუმაღლა:

— სად მითხარი, გრიგოლ? სად უნდა მოვიდე?

— სოლოლაკში, სოლოლაკში, — საჩქაროდ მიუგო ზანდაროვმა, რომელსაც ისევ დაასხდა შუბლზე ოფლის მსხვილი კოკრები, — ზანდაროვი იკითხე და ჩემს სახლს ყველა მოგასწავლის.

დავით გერმანოზიშვილი თვალებდაჭყეტილი იყურებოდა მათკენ.

— გაიანე, შენ ზანდაროვს საიდან იცნობ? — ჰკითხა მან მანანას გამდელს, როცა ზანდაროვის ზურგს უკან სადარბაზო კარი დაიხურა.

— ძველი ნაცნობის შვილია, — უპასუხა კიბეზე ხვნეშით ამავალმა გაიანემ, — მაგის მამა ჩვენს სოფელში მოდიოდა, იარალის სამღებროს იჯარით აღება უნდოდა. კარგი აზნაური იყო ცხონებული.

— ჰოო.

თავადმა ცას გახედა, უკმაყოფილოდ დაბუხუნა:

— კაცო, ამ თოვლმა აღარ უნდა გადაიღოს!

— მაშ, მაშ! — დაიწუწუნა დედაბერმა, — შეშის დაჭრას ველარ ავუვედი.

თქვა და მხრებიდან თოვლის ჩამობერტყვა მხოლოდ ახლა მოაგონდა.

## 2. არ ვიცის დედა იცინის, ვიცის დედა სტირის

რაც იცით, იმას კლიტე დაადეთ.

მ. ლერმონტოვი, „ტამანი“.

გამდელს მანანა ფანჯარასთან დახვდა. ვიღაცას რაღაცას ანიშნებდა და უღიმოდა. ზანდაროვი იყო. მარხილში იდგა და მაღალ ქუდს ჰაერში გამოსამშვიდობებლად ატრიალებდა. გაიანეს დანახვისთანავე მანანას თავი დაუკრა და მარხილიც საჩქაროდ თავდაღმართში დაეშვა. მანანამ თვალი გააყოლა. მერე გამდელს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— იცი, ვინ არის ეგ კაცი?

— ვიცი. — უკმეხად უპასუხა გამდელმა.

— მოგწონს?

— რა უჭირს. თვალტანადი კაცია.

— მდიდარიც არის.

— ეგ ძალიან მიკვირს.

— რათა?

გამდელმა ხმა არ ამოიღო. დაფიქრებული გასცქეროდა თოვლის ბარდნას.

გაიანეს ქალბატონის მიამიტობა არ უკვირდა, მაგრამ ბატონის გულუბრყვილობა აკვირვებდა: „რა ვქნა, როგორ ვერ იცნო დავითმა ფანდურაანთ იოსება? რამ დაუბრმავა თვალები? თუმცაღა, ესეც არის, ეგ ალექსანდრეს დასდევდა და სოფელში ღამ-ღამობით შემოდიოდა. სად ნახავდა ახლად ულვაშამლილ ბიჭს? მანანაც ღობის იქით ან წყაროსთან თუ მოჰკრავდა თვალს. მე კი მაშინვე ვიცანი. გასაკვირველი რა არის? ჩემს ხელში დაიბადა, მე მოვნათლე, მე ვურწევდი აკვანს, ჩემს წინ აწოვებდა ძუძუს მაგის ლამაზი და თვალჟუჟუნა დედა. დედ-მამა ჟამიანობაში რომ დაეხოცა, ობოლ-ოხერს მე მოვკიდე ხელი, ჩემს თვალწინ წამოჩიტდა, გაიზარდა და დავაჟკაცდა. უქმრომ და უშვილომ გული მაგაზე დავყარე. მანანას გარდა მაგის სიყვარულში სხვა არავინ შემომეცილება. ვახმე! რამდენი ცრემლი დავღვარე, როცა იმ სულძაღლმა იარაღმა ეგეც გააუბედურა და საცოდავი ნათიაც! მაგის სახეს ან თვალიდან აწ გონებიდან როგორ მოვიშორებდი?! ვიშ, რა გამახარა სოსიკოს ხელახლა ნახვამ! ჩემი ნათელ-მირონი ახლაც ზედ დაჰნათის და უკეთესიც გამხდარა. რაღა ბატონი და რაღა ეგ! მაგის ყურებას არაფერი სჯობს! მამის ახოვნება აქვს და დედის სილამაზე. მაშ, გლეხის შვილებსაც შეგვიძლია ბატონებს დავემსგავსნეთ? მაშ, ღმერთის განაჩენი მარტო ბატონებისთვის არ არის დადებული? მაგის გვერდით დავითი ალარაფრად გამოჩნდა. ენაცვალოს გაიანე! ვიშ, რა ლამაზი იყო, ვიშ, რა მშვენიერი! იფ! იფ! არა, გაიანე, არა, ჯერ არ დაბერებულხარ, რაკი ფანდურაანთ იოსებას ნახვამ ამნაირად გაგახარა“.

— რაზე ფიქრობ და გეღიმება, ჩემო საყვარელო გამდელო?

ალერსით ჰკითხა მანანამ და ყელზე მოეხვია. გაიანეს მისი მოხვევა ისევე იამა, როგორც ფანდურაანთ იოსებას ლოყაზე კოცნა, მაგრამ თვითონ მოხვევა ვერ გაუბედა. მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ ბატონ-კაცად გადაქცეული გლეხის ბიჭი მის გულთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე თავადის ასული.

გამდელი დედაბრულად ატიტინდა:

— ვისზე უნდა ვფიქრობდე, შემოგევლოს გაიანე? განა არ იცი? ცხადშიაც და სიზმარშიც სულ შენ მაგონდები, მტლად დაგედე!

— შენ ვინ გითხრა, რომ ვთხოვდები?

— თხოვდები? ეს რა ესმის ჩემს ყურებსა? ვისზე თხოვდები, ჩემო სულის დგმავ?

— რა ვქნა, წელან არ მითხარი, ვიციო?

— როდის გითხარი, მტლად დაგედე?

— წელან.

— როდის წელან, შემოგევლე?

მანანამ განცვიფრებით შეათვალიერა თავისი ბებერი გამდელი.

— რა ვქნა? ხატის ღვინო ხომ არა გაქვს დალეული?

— არ მახსოვს და რა ვქნა, მტლად დაგედე!

— ფანჯარასთან რომ ვიდექით, განა მაშინ არ მითხარი?

გაიანე გაფითრდა.

სული შეუგუბდა.

ძლივს ამოთქვა:

— იმ კაცზე?

— ჰო. იმ კაცზე.

— ზანდაროვზე?

— ჰო. ზანდაროვზე.

— უიმე და ვაგლახი! — შეჰყვირა გამდელმა და მკვდრის ფერი დაედო.

მანანამ კიდევ უფრო გაკვირვებით შეათვალიერა.

— რაო? საქმროს მიწუნებ?

— მანანო... მანანო...

მუხლებში ჩაკეცილ დედაბერს ხმა აუკანკალდა, სიტყვის თქმა გაუჭირდა.

— რა ვქნა, რა გემართება?

— მანანო... მანანო...

— დედაკაცო, ჭკუა ხომ არ დაჰკარგე?

— ჰო... ჰო... მანანო, ჭკუაცა და თავიც... ცოხცალი რაღათა ვარ? პირში ენა რაღათ მიდგას? რატომ თვალები არ დამიბრმავდება?

— დედაკაცო!

— გონს მოდი, მანანო, გონს მოდი. ის შენი შესაფერისი არ არის. ის...

— ხმა ჩაიწყვიტე! — დაუტატანა გულმოსულმა თავადის ასულმა, — ჩემი საქმრო შენი სათრეველი არ არის.

დედაბერმა ტირილი მორთო.

მანანა უარესად გაბრაზდა, ტახტის მუთაქებში მოკეცილმა ფეხიდან ქოში გაიძრო და იქვე ჩაცუცქულ, გულსაკლავად ატირებულ გამდელს ესროლა.

— ბებერო ძაღლო! ბაიყუშივით რას დამჩხავი?

— მანანო... მანანო...

— მე ბედნიერება და სიხარული მწყურია, შენ ცრემლებით მილოცავ გზასა?

— ოჰ, ჩემო სულის ნუგეშო! არ იცი, რა სირცხვილს უმზადებ თავსა!

მანანა ფეხზე წამოიჭრა. თვალები გაუგანიერდა. განრისხებულმა შესძახა:

— უტვინო ბებრუხუნავ! შენ მარიგებ ჭკუასა?

— მანანო...

— კრინტი აღარ დასძრა!

გამდელი გაჩუმდა. თავისთვის სლუკუნებდა და რაღაცაზე ფიქრობდა. ბოლოს თავი ასწია, მანანას მორიდებით ჰკითხა:

— ღავითმა რაღა პასუხი გასცა?

— გრიგოლი რომ გაისტუმრა, ჩემთან შემოვიდა, შუბლზე მაკოცა და ბედნიერება მომილოცა.

— უიმე და ვაგლახი!

მუხლებზე ხელები შემოიკრა გამდელმა, მანანას ფეხებში ჩაუვარდა, კაბის კალთები დაუკოცნა, შეჰღაღადა:

— მანანო... თვალი გატყუებს... თვალი... შენცა და დავითსაც...

— რას მიჰქარავ, დედაკაცო?

— უარი სთქვი, შემოგევლე!

— შენსას არ იშლი, ბაიყუშო?! თავი გინდა მაცემინო?

— მცემე, ჩამქოლე, მომკალი, შენი ძაღლი ვარ... ოღონდ იმას უარი უთხარი. შენი ტოლი არ არის. შენს ფეხის მტვრადაც არა ღირს.

— ჰო, ის თავადი არ არის.

ნაღვლიანად თქვა მანანა გერმანოზიშვილმა.

— მაშ რათ მიჰყვები?

— მდიდარია. — წამოსცდა თავადის ასულს.

— შენც იქნები მდიდარი! — რაღაცნაირის აღფრთოვანებით შეჰყვირა დედაბერმა, — სულ ცოტა დამაცადე, სული მომათქმევინე. გაგამდიდრებ და ისეთ იარაღალს შეგრთავ ქმრადა, იმის ჯვარ-მენდლებზე ყველას თვალი რჩებოდეს.

— შენსავით ბებრუხუნა იარაღალს

იშოვნიდი. — დასცინა თავადის ასულმა.

— არა, შემოგევლე! ყმაწვილ იარანალსა, ულვაშ კოკორასა, ლამაზსა და პირბადრსა, ნამესტნიკთან მიღებულსა და ომებში განთქმულსა.

— ჯადო ხომ არავის გაუკეთე, დედაკაცო? წლოვანსა და ცარიელ-ტარიელს ვინ გიჟი მითხოვს, გარდა წითელქარებიანი ბებრისა?

— მაშ ზანდაროვი რაღათ გთხოულობს? — ისიც ახალგაზრდა არ არის? იმას თავადობისა და იარანალობის მეტი სხვა ყველაფერი ჰქონია.

მანანა ჩაფიქრდა.

ასეთ კითხვას ის თავის თავს რატომღაც არ უსვამდა.

დაიბნა.

ვერაფერი თქვა.

მართლაც, ძნელი სათქმელი იყო, თუ რატომ თხოულობდა ოცდარვა წლის ქალს ჯერ ისევ ახალგაზრდა ზანდაროვი.

გამდელი თვალებში შესცქეროდა, მის პასუხს უცდიდა.

— იმიტომ, რომ ლამაზი ვარ და მოვწონვარ. — თქვა ბოლოს მან.

— სხვებსაც მოსწონხარ, შემოგევლე!

— შეიძლება. მაგრამ სხვები სიმდიდრეს ეძებენ. გრიგოლს კი სიმდიდრე არ სჭირდება და ამით ბევრი ვერ გაუტოლდება. ღმერთს ეგ კაცი ჩემთვის შეუნახია უცოლოდ.

გამდელმა გამდელურ ხერხს მიმართა, ქალბატონს ყურში შხამი ჩააწვეთა:

— მაგას ისეთი ქალი უყვარდა, სხვას არავის შეიყვარებს. ამიტომ გეხვეწები და გემუდარები, მტლად დაგედე!

მანანა ჯერ გაფითრდა, მერე ეჭვს მოერია, გამდელთან ახლოს მიჩოჩდა, ნიაზით ჰკითხა:

— ზანდაროვს საიდან იცნობ?

გამდელი შეყოყმანდა.

გრიგოლ ზანდაროვის ბედი ისევ ბეწვზე დაეკიდა.

დედაბერი სათქმელად მოემზადა, რათა თავისი საყვარელი ქალბატონი ერთბაშად გამოეფხიზლებინა, მაგრამ ამის შედეგიც სწრაფად მოისაზრა და გაითვალისწინა, ენას კბილი დააჭირა. ყველას ის სჯობდა, ზანდაროვისთვის დიდი თანხა გამოერთმია, მანანა გაემზითვებინა და თვითონ სამუდამოდ პირზე კლიტე დაედო. ამიტომ მან სულ სხვა რამ თქვა, ვიდრე ერთი წამის წინ აპირებდა.

— მაგის მამას ვიცნობდი. კარგი აზნაური იყო ცხონებული.

მანანა გერმანოზიშვილს ზანდაროვის აზნაურად ხსენება ახლა განსაკუთრებით ესიამოვნა. ალბათ იმიტომ, რომ თავისი დასტურით ბებერი გამდელი ყოველგვარ ეჭვს უქარწყლებდა.

— ის ქალი ვიღაა?

მოაგონდა მანანას გამდელის გადაკვრულად ნათქვამი სიტყვა.

— ვინ ქალი?

— წეღან რომ სთქვი.

გამდელმა თავი ჩაღუნა.

— ვერ გეტყვი, შემოგევლე!

— კნეინა გოსტაშაბიშვილია? — ჩააცივდა ქალბატონი.

— ეგ ვინ არის?

— მაია სავარსამიძეა, სენატორის რძალი?

— ეგ ვიღაა?

— მაიკო კურტანიძეა?

— არც ეგ ვიცი.

მანანამ სხვა ვერავინ გაიხსენა.

დედაბერმა ცნობისმოყვარეობით ჰკითხა:

— ეგ კნეინები იმის საყვარლები არიან, მტლად დაგედე?

— ამბობენ...

გადმოუგდო ოდნავ გაღიზიანებულმა ქალბატონმა.

— მერე მაგისთანა გულარძნილ კაცს რაღ მიჰყვები, შემოგევლე?

— კანონიერი ცოლის უფლება სულ

სხვა არის! — ოცნებით წარმოთქვა შინაბერამ.

გამდელმა ქალბატონს თავისი პირობა გაახსენა.

— შენც მალე სჯულიერი ცოლი გახდები, მტლად დაგედე! სიმდიდრესაც და მზითვსაც მე გაგიჩენ, შემოგევლე!

— შენა? განძი ხომ არ იპოვნე? ან იქნებ სასაცილოდ მიგდებ?

— მე, შემოგევლე, მე გაგამდიდრებ!

მანანა გაბრაზდა. გაკაპასდა. გამდელს დაუყვირა და შეუტია:

— აქედან დამეკარგე და თვალით აღარ დამენახო.

— მართალს გეუბნები, მტლად დაგედე! სულ ცოტა დამაცადე, შემოგევლე. შენ არა გჯერა, მაგრამ მალე დაგაჯერებ, ჩემი სულის ნუგეშო!

გამდელი ისეთი ღრმა რწმენით ლაპარაკობდა, რომ მანანა შეფიქრიანდა: „ჩემს საწყალ გამდელს, უეჭველად, მწუხარებამ ჭკუა წაართვა და გააგიჟაო“, შეეცოდა, დაყვავებით უთხრა:

— კარგი, კარგი. წადი, ილოცე, დაწყნარდები.

გამდელი ფართფატით გავიდა ოთახიდან. ხატებს სანთლები დაუნთო და ლოცვად დადგა. ღმერთს ფანდურაანთ იოსებსაც ავედრებდა და გერმანოზიშვილების ასულსაც. ორივეს გადარჩენა უნდოდა და ამის ღონესა და წამალს ეძებდა.

### 3. არჩევანი

„...არის ვინმე ისეთი, რომელიც არჩევანს არ მოახდენდა ჰოსა და არას შორის?

**ჩარლზ დიკენსი, „ჩვენი საერთო მეგობარი“**

დედაბერი დიდხანს ლოცულობდა, მუხლებზე დაჩოქილი და ზეცაში ხელებაპყრობილი.

უცებ თვალი შეავლო წმ. მარინეს და წმ. გერასიმეს ხატებს. ორივე ხატი მარგალიტებისა და ფირუზებისაგან იყო გაძარცული, ხოლო მარგალიტები და ფირუზები ჯერ დაგირავებული, ხოლო შემდეგ გაყიდული. გაიანეს ფირუზა ზანდაროვი გაახსენდა, რომელთანაც, როგორც ჩანდა, ფანდურაანთ იოსები რაღაცნაირად იყო დაკავშირებული. ვინ იცის, ფირუზა ზანდაროვთან გერმანოზიშვილების რამდენი თვალ-მარგალიტი ჰქონდა გაიანეს მიტანილი. მხოლოდ ახლა დგებოდა მათი უკან დაბრუნების შესაძლებლობა.

გაიანე დიდხანს ლოცულობდა, ღმერთს თავის უიღბლო აღზრდილსა და ქალბატონს ავედრებდა, თან ცრემლებად იღვრებოდა.

ვაინაჩრობით წამოდგა. მოსახვევის ბოლოებით ცრემლები შეიშრო. ძველისძველი ჯუბა ჩაიცვა, თავშალი მოიხვია და ზანდაროვთან წასასვლელად მოემზადა, რათა ღვთისა და ადამიანების შეურაცხმყოფელი ქორწინება ჩაეშალა.

კიბეები ფეხაკრებით ჩაიარა, მაგრამ მოულოდნელად თავზე ქალბატონი წამოადგა. კიბის ფოლორცის მოაჯირზე გადმოეყუდა და გამდელს გადმოსძახა:

— სად მიდიხარ, გაიანე?

— მეზობლებში, შემოგევლე. — იცრუა გამდელმა.

— მეზობლებში რა გინდა?

— დამიძახეს. ვიღაცას ბავშვი ბატონებით ავათ გახდომია, ბატონების სიმღერა უნდა ვუმღერო.

— მე ბატონების მეშინია.

— შენ წითელა მოხდილი გაქვს, მტლად დაგედე!

— გაიანე, შენ მეზობლებში არ მიდიხარ. გინდა მოლასთან გაიქცე თათრის მოედანზე, ავგაროზი გამოართო და თათრული ჯადოთი გრიგოლი შემაძულო!

— არა, შემოგევლე, ეგ რამ გაფიქრებინა?

— ახლავე მაღლა ამოდი და მაგ ოინებს თავი გაანებე.

— ვაი ჩემი ბრალი!

ამოიოხრა გაიანემ და ბუზღუნბურტყუნით უკან დაბრუნდა. ჯუბა

გაიხადა. თავშალი მოიხსნა და მუთაქებში ტახტზე მოკეცილ ქალბატონს ფერხთით დაუჯდა. ფიქრებით თავი უსკდებოდა. ხალისიანად ვეღარ უმღერა „ძილისპირული“ ქალბატონს, რომელსაც ძილი არ ეკარებოდა და ფართოდ გახელილი თვალებით ჭერს შესცქეროდა.

გაიანე უფრო დუდუნებდა, ვიდრე მღეროდა.

— დამტირი თუ დამმღერი? — გაუწყრა ქალბატონი.

გამდელმა ცრემლები მოიწმინდა თვალებიდან და გულში უთხრა: „დაგტირი, შემოგევლე, დაგტირი. დაგტირი, რადგან ბედი დაგცინის და გათამაშებს. მაგრამ ღვთის მადლით ის არ მოხდება, რაც ეშმაკს გაუჩარხნია“. ხელები მაღლა აღაპყრო და ღმერთს შეჰღაღადა:

— რამდენი ხანია შენს გზაზე ფეხშიშველა დავდივარ, სიკვდილამდე ასე ვივლი, ოღონდ ჩემი სულისნეტარება გააბედნიერე!

მანანას შეეცოდა გამდელი. გული აუჩუყდა. მიესიყვარულა:

— ჩემო კარგო გამდელო! გული მწყდება, რომ შენი ოცნება ვერ შევასრულე. მაგრამ რა ვქნა: თავადთაგანი არავინ მთხოულობს, ყველა ქონებას და სიმდიდრეს უყურებს და ნელ-ნელა ხელში შემოგაბერდი. გინდა მონასტერში წავიდე?

— არა, შემოგევლე, უწინ დღეც გამქრობია!

— მაშ, შენი ტირილით და ვიშვიშით ბედს ნუ შემიკრავ!

— ჩემი ნატვრა ის არის, მტლად დაგედე, შენ გვირგვინ ქვეშ გნახო!

— მალე მნახავ.

— ჰო. ჰო. შემოგევლე. სულ მალე. იარანალის პატარძლად...

— კარგი, გეყოფა, მეძინება.

— აღარაფერს გეტყვი, მტლად დაგედე, ოღონდ ნება მომეცი ამაღამ შენს ფერხთით დავეგდო.

— არა. მე მარტო ყოფნა მინდა.

გამდელმა მანანას პირჯვარი გადასწერა და შეფრფვინვით წარმოთქვა:

— შენ შემოგევლე, ჩემო ლამაზო ანგელოზო!

— წადი... წადი...

ძლივს ამოსთქვა მანანამ და ცრემლები ყელში მოებჯინა.

— სიყვარულზე ძლიერი სხვა არაფერი არის, — ფიქრობდა მარტო დარჩენილი თავადის ასული, — მომაკვდინებელიც არის და მაცოცხლებელიც. სიყვარული ადამიანს ყველაფერს ჩაადენინებს. ამიტომ ჩემს გამდელზე თვალი უნდა დავიჭირო. ვინ იცის, თათრის მოლის ავგაროზს რამდენი ქორწილი ჩაუშლია ან რამდენი ცოლ-ქმარი გაუყრია?!

ცრუმორწმუნე მანანა თავის გამდელს სახლიდან გარეთ არ უშვებდა.

იმ დღეს გაიანემ უკანასკნელად ნახა ფანდურაანთ იოსები.

გერმანოზიშვილები, როცა სახლიდან მიდიოდნენ, გამდელს კარებს უკეტავდნენ და მარტოდმარტოს ტოვებდნენ. არც მეზობლებში უშვებდნენ, არც მეზობელს აკარებდნენ. დავითს თილისმების არ სწამდა, მაგრამ დის ყველა კაპრიზს უსიტყვოდ ასრულებდა. გულში კი გაიანეს დრტვინვა და ვაგლახი მოსწონდა, რადგან თვითონაც გულაღრენილი იყო და ცუდ გუნებაზე ბრძანდებოდა. თავადის ასულის სოვდაგარზე დაქორწინებას ვერ ურიგდებოდა.

სურსათ-სანოვაგეს კვლავინდებურად დავითის დენშჩიკი ეზიდებოდა, საღამოთი კი ყაზარმაში ბრუნდებოდა. გაღარიბებულ თავადს ქურდების და მძარცველების არ ეშინოდა. ამიტომ თავის დენშჩიკს დასაძინებლად ყაზარმაში ისტუმრებდა. გერმანოზიშვილები ისედაც ვიწროდ იყვნენ, სამი ოთახი არ ჰყოფნიდათ და დენშჩიკს მათთან ერთად ცხოვრება არ შეეძლო.

დღისით გაიანე სადილს ამზადებდა. ღამ-ღამობით კი, თუ მისი ბატონები სტუმრად იყვნენ წასულნი, დავეტილ სახლში იჯდა. სახლის გასაღები, დის რჩევით, დავითს ედო ჯიბეში.

გაიანე დარეტიანებული დაფარფატებდა ოთახებში, ცხოვრების ჩარხის ტრიალით გაოცებული და გაშტერებული.

ადგილს ველარ პოულობდა. არ იცოდა რა ექნა, რა გადაეწყვიტა. სიყვარულს მაინც თავისი გაჰქონდა. ფანდურაანთ იოსები გასაფუჭებლად არ ემეტებოდა, მასზე უფრო საყვარელი მანანა გერმანოზიშვილი შესარცხვენად და თავლაფის დასასხმელად.

ფანდურაანთ იოსების გაწირვას გლეხკაცური სულისკვეთება და ნათელმირონი არ ანებებდა, მანანა გერმანოზიშვილის გაწირვას აღმზრდელის სიყვარული და ღვთის შიში.

ნაამაგარი, ყოველ ხუთშაბათს მამადავითში ბატონებისათვის მლოცველი, აუცილებელი არჩევანის წინაშე დგებოდა.

მაგრამ ფანდურაანთ იოსები ახლაც ისევე უყვარდა, როგორც მაშინ, ბერთუბანში.

— რა კარგი ბიჭი იყო სოსიკო, ჰა? თავაუღებლივ ფიქრობდა გაიანე.

სანამ პატარა იყო, თავის ნათლიას ყელზე ეხვეოდა, როცა დავაჰკაცდა, სულ პირს უკოცნიდა. ღარიბი ეცოდებოდა და სუსტს ექომაგებოდა. სოფლის თვალი იყო და ბევრი ლამაზი გოგოს სანატრელი. მაგრამ იმას ერთი უყვარდა, მხოლოდ ერთი...

ხატების წინ მუხლის ჩოქვით, ლოცვებით, შუბლის იატაკზე დაკვრით და პირჯვრის წერით დაღლილი გაიანე განუწყვეტლივ ფიქრობდა ფანდურაანთ იოსებზე. უკვირდა მისი გამოჩენაც და გადიდკაცებაც. თან მტანჯველი აზრი უჩნდებოდა მის მიმართ, რადგან, რაკი იარალ გერმანოზიშვილის ქალს ირთავდა, ნათია, რაღა თქმა უნდა, სულ არ აგონდებოდა და, ალბათ, აღარც ახსოვდა.

ვერაფრით ვერ აეხსნა მისი ღვთისგამარისხებელი გადაწყვეტილება. უბირო, სოფელელი დედაკაცი მხოლოდ გუმანით ხვდებოდა, რომ პატიოსანი კაცი გულშიაც არ გაივლებდა იმას, რაც გრიგოლ ზანდაროვად გადაქცეულ მის ნათლულს განეზრახა და ჩანდა, ასრულებდა კიდეც.

მაშ, ფანდურაანთ იოსებიც იარალივით იყო წამხდარი? მაშ, თავისი თავდავიწყებული სიყვარული აღარც მას ახსოვდა? სამაგიეროდ ბებერ გაიანეს არ შეეძლო იმის დავიწყება, რაც იმ საბედისწერო ღამეს ბერთუბანში მოხდა.

ამიტომ, თუ საქმე მოითხოვდა, გაიანე გულარძნილ, გალაღებულ და გაამპარტავნებულ გრიგოლ ზანდაროვს გასწირავდა და არა ღვთის უბეში გაზრდილ, ყოვლად უცოდველ მანანა გერმანოზიშვილს.

მაგრამ განა გერმანოზიშვილებმა არ დააყენეს ცოდვის გზაზე ფანდურაანთ იოსები?

გაიანეს კვლავ გაუძნელდა არჩევანი.

იოსების სიყვარული გლეხი ქალის გულიდან მოდიოდა, მანანას სიყვარული — ყმის ერთგულებიდან, მისთვის დიდიხნის მანძილზე გაწეული ამაგიდან.

ყმის ერთგულება, გაიანეს ღრმა რწმენით, მამაზეციერის მიერ იყო დაკანონებული.

აუცდენელი.

გარდუვალი.

ხელშეუხებელი.

ამიტომ ღვთის გმობა თავიდან რომ აეცდინა, ეს საოცარი ქორწინება როგორმე უნდა ჩაეშალა.

ამ აზრს გაჰყვა და მყისვე ხელები ჩამოსცვივდა.

თუ იოსებს უარს ათქმევინებდა, განწირული მაინც მანანა გერმანოზიშვილი აღმოჩნდებოდა.

თავშერცხვენილი მონასტერში აღიკვეცებოდა.

გამდელი კარგად იცნობდა თავის აღზრდილს.

გულდახურული იყო, მაგრამ კეთილი.

ლმობიერი.

ღრმად მორწმუნე და სასოებით მლოცველი.

არც იარალივით მრისხანე იყო, არც დავითივით მკაცრი, არც ანდუყაფარივით ბრიყვი, არც მზეხათუნივით პრანჭია და თარაქამა.

მაგრამ, ამავე დროს, ამაყიც იყო და თავმოყვარეც.

გაიანეს კვლავ დაებნა ანგარიში.

ერთადერთი გამოსავალიღა რჩებოდა: ფანდურაანთ იოსების გაწირვა. მხოლოდ მისი ვინაობის გამხელა გადაარჩენდა მანანა გერმანოზიშვილს სირცხვილსაც და ღვთის რისხვასაც.

მაგრამ თვითონ როგორღა მოისვენებდა?

დედაბერი უარესად აწრიალდა.

უცებ ღვთისმშობლის ხატზე გააჩერა თვალი და ერთმა აზრმა გაუნათა გონება.

ყველაფერი, რაც ახლა ხდებოდა, ღვთისგანგებულებად მოეჩვენა და იმ სულძაღლი იარალის ცოდვის საზღაურად.

ხალხის ძვალ-რბილში გამჯდარი „ურმით მდევარის“ აუცილებელი მოსაკითხიც მყისვე გაახსენდა.

თვალწინ ცხადად დაუდგა ნიბლიასავით განაბული ნათია.

ღვთისმშობლის ხატს თვალი ვეღარ მოაშორა.

თაფლის სანთლების შუქზე ღვთისმშობელს ბაგე მადლიანი ღიმილით ეხსნებოდა და ტკბილად უღიმოდა სასოწარკვეთილ დედაბერს.

„ქორწინება ზეცაში ხდება“ — მოაგონდა ეკლესიებში მოსმენილი სიტყვები ბებერ გამდელს და რამდენიმე ღამის უძინარს პირველად მოეკიდარული მის დაღლილ თვალებს.

## 4. მოტაცებული მწევარ-მეძებრები

გნებავთ კარგად მოვძებნოთ ის, რასაც ჩვენგან ბატონი მოითხოვს.

**შარლ დე ბერნარი, „იკაროსის ფრთები“.**

იმ საღამოს გერმანოზიშვილები ზანდაროვთან ვახშმად იყვნენ დაპატიჟებული. შინ გვიან დაბრუნდნენ. სანთლები რომ აანთეს, გაიანე მკვდარი იპოვეს. გამდელი ბებუთით იყო მოკლული.

დავითი სახტად დარჩა.

— ვის რათ უნდოდა გაიანეს მოკვლა?

— ქურდი მოჰკლავდა. — თქვა მანანამ, რომელსაც ზაფრანის ფერი ედო სახეზე.

თავადმა გაიცინა.

— ქურდს რა უნდოდა ჩვენს სახლში?

უცებ მწევარი და მეძებრები მოაგონდა. თავში ხელი შემოიკრა. ჯერ თავის ოთახში შევარდა, მერე ყველა ოთახს ეცა, მაგრამ ძაღლები არსად ჩანდნენ. დავითი მყისვე მიხვდა ქურდობისა და მკვლელობის მიზეზს. მან ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ გამდელი მის ოთახში იყო მოკლული, სადაც ის მხოლოდ ოთახის გამოსაგველად და მისალაგ-მოსალაგებლად შედიოდა ხოლმე. როცა მანანა შინ არ იყო, გამდელი თავის ოთახში იჯდა და მუდამ ფეხშიშველი ქალბატონს თბილ წინდებს უქსოვდა. წინდის ჩხირები და ძაფის გორგალი მისი ოთახის ლოგინზე იდო. მაშასადამე, დაასკვნა დავითმა, ხმაურზე და ძაღლების ყეფაზე გაიანე იმ ოთახიდან უნდა გამოვარდნილიყო და მაშინვე მოეკლათ, რათა მას ყვირილი არ აეტეხა და თავდამსხმელებს ძაღლების სახლიდან გაყვანა მოეხერხებინათ.

შეშინებული მანანა დავითმა კნეინა მზეხათუნის სახლში მიიყვანა, თვითონ პოლიციაში გაიქცა.

— რა წაიღეს? — ჰკითხა ბოქაულმა.

— მამასისხლად ნაყიდი ერთი მწევარი და ორი მეძებარი.

— სხვა?

თავადი გაწითლდა.

— სხვა არაფერი.

— მაშ, მარტო ძაღლები წაუყვანიათ?

— ისინი ჩემი ძაღლებისთვის იყვნენ მოსულნი. ასეთ მწევარს და მეძებრებს ადვილად ვერ იშოვნი. მთელი

ქალაქი უნდა გადააბრუნოთ და ქურდები იპოვნოთ. გასამრჯელო ჩემზე იყოს.

პოლიცია დატრიალდა, მაგრამ გაიანეს მკვლელების და ძაღლების მომტაცებლების კვალს ვერსად მიაგნეს.

დავითს დანა პირს არ უხსნიდა.

მწევარ-მეძებრებს უფრო მეტად ნაღვლობდა, ვიდრე გაიანეს.

ბებერი გამდელის კუბო ოთხმა დაქირავებულმა კურტნიანმა მუშამ გერმანოზიშვილების სახლიდან გამოიტანა და დროგზე დადგეს.

დროგს უკან შემოსილი მღვდელი, დიაკვანი და რამდენიმე დედაბერი გაჰყვა.

სანამ დროგი დაიძრებოდა, დავითი სადარბაზო კართან ქუდმოხდილი იდგა. ზანდაროვი ფანჯრიდან იყურებოდა.

მანანა ტახტზე ფეხმოკეცილი იჯდა.

— საწყალი გაიანე. — ამოიოხრა გულდაწყვეტილმა თავადის ასულმა.

ზანდაროვი არ მოტრიალებულა მისკენ. სივრცეს დაფიქრებული გასცქეროდა.

მხოლოდ მან იცოდა, რომ გერმანოზიშვილების ბებერ გამდელთან ერთად ფანდურაანთ იოსების სახსენებელიც სამუდამოდ იმარხებოდა.

## 5. ნიშნობა

— დღეს ერთი ახალი ამბავი გავიგე, თქვენც ხომ არ მოგეხსენებათ, ქალებო?

— რომელი ამბავი? — ჰკითხეს ერთად ქალებმა.

**ლ. არდაზიანი, „ხოლომონ ისაკიჩ მეჯლანუაშვილი“.**

მთელი ზამთარი გადაუღებლად თოვდა.

მტკვარი გაიყინა და უშველებელ ლურჯ სარკედ იქცა.

მოქალაქენი უშიშრად გადიოდ-გამოდიოდნენ გაყინულ მდინარეზე.

თოვლიანი ზამთრის მიუხედავად, ყველა, ვისაც შეეძლო და ჯანი და ასაკი ხელს არ უშლიდა, ღია ცის ქვეშ რელიგიურ დღესასწაულებს და სეირ-სანახაობებს არ აკლდებოდა. წყალკურთხევას დიდ-პატარა დაესწრო მტკვრის გაჭრილ ყინულში ჯვრის ჩასვენებას და მონათვლას. ყველიერში ქუჩებსა და მოედნებზე ხალხს ზიმზიმი გაჰქონდა, მხიარული ყიჟინა-ხივილი და ჟრიამული არ წყდებოდა. მოსეირნეთა შორის ხელიხელგაყრილი მაიკო კურტანიძეც და თავადი გერმანოზიშვილიც იყვნენ. სადაც სეირი იყო, ისინიც იქ ჩნდებოდნენ, ერთობოდნენ და მხიარულობდნენ, კაცი ქალის ყურებით ტკბებოდა, ქალი — სანახაობებით.

დიდმარხვის დამდეგს ახმაურებული ქალაქი დაწყნარდა, ყველა თავთავის სახლში მილაგ-მოლაგდა.

დიდმარხვიდან აღდგომამდე თავადი გერმანოზიშვილი შორიახლოდან უვლიდა იმ ქუჩას, სადაც კურტანიძეები ცხოვრობდნენ. მაიკო ქმარშვილთან ერთად მარხვას ინახავდა და სახლიდან იშვიათად გამოდიოდა. შეყვარებული თავადი სატრფოს მხოლოდ ეკლესიამდე მიცილებას და გამოცილებას ახერხებდა.

გაზაფხულზე დავით გერმანოზიშვილის ცხოვრებაში დიდი ამბები მოხდა.

მაიკო კურტანიძე ქალაქგარეთ გასეირნების შემდეგ სამუდამოდ განშორდა მას.

მარცხით გაბრუებული თავადი პოლკის ოფიცრებმა იმით გამოაფხიზლეს, რომ ცხვირწინ „ინვალიდი“ გადაუშალეს. ოფიციალურ გაზეთში თავად დავით იარალის ძე გერმანოზიშვილის მაიორის ჩინზე წარდგენისა და დამტკიცების ცნობა იყო დაბეჭდილი.

ყველას გაუკვირდა სვეშებრუნებული თავადის ბედის უეცარი შემოტრიალება.

ასეთივე გაკვირვება გამოიწვია იმან, რომ მის შინაბერა დას ხელი სთხოვა და, როგორც ამბობდნენ, თანხმობაც მიიღო, მილიონერმა გრიგოლ ზანდაროვმა.

რა თქმა უნდა, ეს ორი ამბავი ერთმანეთისათვის არავის დაუკავშირებია და არც არავინ უკავშირებდა.

ყველამ უბრალო დამთხვევად მიიღო ის, რომ ძმის სამხედრო სარბიელზე წარმატებას დაუყოვნებლივ მოჰყვა დის ბედის გახსნაც.

თვითონ დავით გერმანოზიშვილი ამ ამბებით უფრო ნაწყენი ჩანდა, ვიდრე კმაყოფილ-გახარებული. რაღაცნაირად გაბუსუნებული, ნაცნობებთან შეხვედრას აშკარად ერიდებოდა. ოფიცრისათვის შეუფერებლად კრთებოდა და ღიზიანდებოდა, როცა რომელიმე მათგანი დის მომავალ ქორწინებას უხსენებდა ხოლმე.

მისი უგუნებობა ნაცნობებმა ალაფის ლამაზი ცოლის მზაკვრულ ოინებს მიაწერეს.

ასე იყო თუ ისე, ნიშნობა სულ მალე შედგა.

მანანა გერმანოზიშვილმა და გრიგოლ ზანდაროვმა ბეჭდები გაცვალეს

მღვდელმა ალავი აკურთხა.

ლურჯ ქაღალდებში შეხვეული ორი შოწოლა შაქრიდან ერთს თავი მოამტვრია, მეორე მთელი დატოვა. თავმომტვრეული შაქარი გერმანოზიშვილებს დარჩათ, მთელი ზანდაროვს უკან დაუბრუნდა.

როცა თოთხმეტი წლის კოხტა ბიჭმა „ხელის-დასადებელი“ გერმანოზიშვილების სახლში თავმომწონედ შეიტანა და გამოიტანა, მთელი მთაწმინდა ფანჯრებზე და აივნებზე გადმოდგა.

სოვდაგარ ზანდაროვის დიდგვაროვან თავადის ოჯახთან დანათესავების ამბავი სწრაფად გავრცელდა.

ათასი ენა ალაპარაკდა, ათასი რამ ითქვა.

ჭორი და მართალი ქალაქის ყველა უბანს მოედო.

საზოგადოება ორ ნაწილად გაიყო. ზოგი ზანდაროვს არჩევანს უწონებდა, ზოგი მისი თავხედობით იყო გაკვირვებული და აღშფოთებული.

მტერ-მოყვარე არც მანანა გერმანოზიშვილს აკლდა. ერთნი თავადური ღირსების დამცირებისათვის ჰკილავდნენ, მეორენი მისი გონივრული გადაწყვეტილებით იყვნენ აღტაცებულნი. მაგრამ თვით მტრულად განწყობილნი ზურგსუკან ჰქორიკანობდნენ, რადგან მდიდარი და გავლენიანი ზანდაროვის ეშინოდათ.

მტერიც და მოყვარეც ერთ რამეს მაინც განსაკუთრებით აღნიშნავდა: მდიდარი ზანდაროვის მიერ შინაბერა, ოცდარვა წლის ქალის ცოლად შერთვის განზრახვას.

მიზეზს ყველანი მანანა გერმანოზიშვილის ღვთაებრივ სილამაზეში ნახულობდნენ, რადგან თბილისში უკვე ზედიზედ ხდებოდა „უთანასწორო“ (სოციალური თვალსაზრისით) ქორწინება. ახლა იშვიათი არ იყო სოვდაგრის ქალის კნეინად გახდომა, მაგრამ სოვდაგარს თავადად არ ხდიდა თავადის ასულზე დაქორწინება.

ამიტომ, რასაც ვაჟბატონს ცალი ქბით მაინც უწონებდნენ, ქალბატონს სირცხვილად უთვლიდნენ.

ხნიერი თავადები და კნეინები ხეებს გაოცებით შლიდნენ.

ახალგაზრდები ზანდაროვს ბედნიერებას ულოცავდნენ.

თვითონ ზანდაროვი მათთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე ყურთმაჯებიან სოვდაგრებთან.

მაღალ საზოგადოებაში თავის გამოჩენით დაინტერესებული და პატივმოყვარე მეგობრებს ახალგაზრდა თავადების წრეში იჩენდა, სოვდაგრებიდან კი მხოლოდ იმათ უწევდა ანგარიშს, რომელთა ქალები ირციპუხოვის პანსიონში ფრანგულს სწავლობდნენ, ხოლო ვაჟები „ხახვის ფრანტებისაგან“. არაფრით განსხვავდებოდნენ.

მან შეგნებულად აუხვია გვერდი ქალაქური ნიშნობის მრავალ წესს, „ერთად სხდომას“ და მისთანებს.

სამაგიეროდ თეთრი ლიზა ისეთნაირად დატრიალდა, როგორც ეს სოვდაგრის ქვრივს შეეფერებოდა.

როცა ნიშნობის შემდეგ მანანა

გერმანოზიშვილი ზანდაროვის სახლში კვლავ გამოჩნდა, თეთრი ლიზა მეზობლებში გაჰქანდა, ქალთა ჯარი შეჰყარა და სარძლოს თავზე დააყენა.

გრიგოლმა ტუჩზე იკბინა.

მანანამ წარბები აზიდა.

იმ დღიდან სამუდამოდ შეიძულა მოლეული, საოცრად გაშავებული და ზიზილ-პიპილებით მორთული „დედამთილი".

არც ის კაცი მოსწონდა, რომლის სურათი დიდი დარბაზის დიდ კედელზე ეკიდა. ანტონოვის მიერ დახატული სურათიდან ფირუზა ზანდაროვი იყურებოდა თავისი ფლიდური ღიმილით, ანჩისხატურად ჩატეხილი ქუდით და მხრებზე გადაგდებული ყურთმაჯებით.

მანანა გრიგოლთან ერთად ღია ფანჯარასთან იჯდა და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო. მას სოვდაგრების ჯალაბობა თავს უკრავდა, ის კი გაშეშებული იჯდა, ღიმგამქრალი და ამრეზილი.

დარბაზში ჩამწკრივებული თავდახურული დედაბრები და ახალგაზრდა რძლები ურცხვად ათვალიერებდნენ ახლად დანიშნულ ქალს. თავადის ასულმა კინაღამ თვალებზე ხელები აიფარა, რათა არ დაენახა მდაბიო დედაკაცები, კეკელები, ვაჭრის დედები და ცოლები, რძლები, დედამთილები, სიდედრები და მძახლები, დეიდები და მამიდები, მულები და მაზლისცოლები, დაქვრივებული და გასათხოვარი ქალები, სხვადასხვა სიმაღლისა და სისქის ტიკინები, რომელნიც ოქრო-ვერცხლით და თვალ-მარგალიტებით იყვნენ აბრჭყვიალებულნი, ფერუმარილით ლოყებდაწითლებულნი და შეღებილი თვალ-წამწამით თვალებჩაშავებულნი.

ფირუზას ქვრივი ნაქარგი ხელსახოცით თვალებიდან სიხარულის ცრემლებს იწმენდდა, ქმრის სურათს შორიდან შესციცინებდა და გულაჩუყებული გაიძახოდა:

— ნეტამც მოსწრებოდა ის სულით განათლებული!

დედაკაცები გულის მოსაგებად თავს უქნევდნენ და ხელსახოცი თვალებთან მიჰქონდათ. მერე ყველა ერთად ალაპარაკდა.

— ვაიქი! რა ლამაზები არიან, რანაირად უხდებიან ერთმანეთსა!

— აზირ, რა კარგები არიან, და!

— მაშ, მაშ! რძალი თეთრმა ლიზამ დაიკვეხოს!

— იფ, იფ! აშტრახანის ხიზილალას უგავს თვალები, მაგ ლამაზ კნიაჟნასა!

თეთრი ლიზა თავს იწონებდა.

— რძლად კნეინა მომცა ღმერთმა, ვენაცვალე იმის სამართალსა!

მდაბიო დედაკაცების ყურება თავადის ასულს გულს უწვრილებდა, აღიზიანებდა.

ბრაზმორეულმა საქმრომ ეს ადვილად შეატყო, მკლავზე სათუთად მოჰკიდა ხელი და სურათების გალერეაში შეიყვანა.

არც აქ გამოუკეთდა გუნება სარძლოს.

გალერეის ყველაზე თვალსაჩინო ადგილზე თეთრი ლიზას სურათი მოხვდა თვალში. მხატვარ ოჰანეზ ტვარდიანს მოხერხებულად აევლო გვერდი ქალაქელი მანდილოსნის შავი პირისახისათვის და მთელი თავისი ყურადღება მარმაშიანი კაბის მორთულობაზე, ჩიხტი-კოპზე, სამკაულებსა და დაბასმულ ლეჩაქზე გადაეტანა. ყველა დეტალი განმაცვიფრებელი გულმოდგინებით იყო შესრულებული. ამ მხრივ განსაკუთრებით მაინც განიერი, მოთეთრო-მონაცრისფრო, წვრილზე წვრილრგოლებიანი და ნაქარგი ზოლით კიდეშემოვლებული ლეჩაქი გამოირჩეოდა, რომელიც თეთრ ლიზას, თხელ ტუჩებში შეუმჩნევლად ჩაკეცილ ღიმილთან ერთად, ერთდროულად ცხოვრებით კმაყოფილების იერსაც ანიჭებდა და სახლის ნებიერი ქალბატონის გამომეტყველებასაც.

მანანა გერანოზიშვილი წარბშეკ-

რული დაბრუნდა თავის „ჩიტის საბუდარში“.

## 6. ქორწილი

ფული რომ ვიშოვნო, ფულზე უნდა დავქორწინდე.

**ჩარლზ დიკენსი, „ჩვენი საერთო მეგობარი“**

არისტოკრატების და ვაჭრების მითქმა-მოთქმაში ქორწილის დღეც დადგა.

სამი ეკიპაჟი და ოცი ეტლი მიადგა თავად დავით გერმანოზიშვილის სახლს.

პირველი ეკიპაჟიდან ნეფე მკვირცხლად გადმოხტა. თან მაყრები მიჰყვნენ კონა ფალავანდიშვილის მეთაურობით. ნეფის მაყრებს ილიკო ორბელიანმა პატარძლის მაყრები დაახვედრა.

ზანდაროვმა სწრაფად აირბინა ნავთის რამდენიმე ლამპით განათებული ძველი კიბე. ფოლორცზე დავითი შეეგება. ერთმანეთს გადაეხვივნენ და გადაჰკოცნეს. აღელვებული თავადი საკმაოდ გულთბილად მიესალმა სასიძოს და დის ოთახში შეიყვანა.

მაყრები დავითის ოთახში გაშლილ პატარა სუფრას ფეხზე მდგარნი შემოეხვივნენ. მალე მათ დავითიც შეუერთდა. ილიკო ორბელიანმა პირველი ყანწი ასწია ნეფე-დედოფლის დასალოცად.

მეზობელ ოთახში მანანა გერმანოზიშვილი ფანჯარასთან ზურგშექცევით იდგა და თავის ნეფეს უცდიდა. საქორწინოდ გადაკეთებული თეთრი ფრანგული ატლასის კაბა ეცვა. სწორედ ის კაბა, რომლითაც თექვსმეტი წლის ქალწული პირველად გამოჩნდა ბარონ როზენის მეჯლისზე. მან გულგრილად გაუწოდა ხელი საქმროს, რათა მისთვის ხელზე ამბორის საშუალება მიეცა, უხმოდ დაეყრდნო მის მკლავს და თავდახრილი გაჰყვა.

როცა ძმას გვერდით ჩაუარა, მის თვალებში საყვედურის მსგავსი რამ გამოკრთა. ამ იდუმალ, სევდაგადაკრულ გამოხედვას გვიან შეასწრო თვალი დავითმა, შუბლი უსიამოვნოდ შესჭმუხნა, ფეხი უხერხულად შეინაცვლა, მერე ხელი ჩაიქნია, მხედრულად შემოტრიალდა და წინ წასულ ნეფე-პატარძალს დეზების წკრიალით დაედევნა. „მე რა შუაში ვარ? რა ჩემი ბრალია? მე რას მსაყვედურობს? თვითონ „ჰო“ რომ არ ეთქვა, ჩემს თანხმობას ზანდაროვი როგორ მიიღებდა?“ ფიქრობდა თავჩაღუნული თავადი.

დავითი საქორწინო ეტლების გრძელმა რიგმა და საზეიმოდ მორთულმოკაზმულმა მექორწინეებმა კვლავ გამოაცოცხლა, უსიამოვნო ფიქრებისაგან გამოარკვია, გამოიდარა, გახალისდა და გამხიარულდა.

საყვარელი დის ქორწილი იყო! მანანა გერმანოზიშვილის ქორწილი! სანატრელად გამხდარი ქორწილი!

არც სინანულის დრო იყო, არც საყვედურის, არც ჩამოკრულების. რა დროს თითზე კბენა იყო ან თავის უკმაყოფილოდ კანტური!

ქორწილი იყო, ნამდვილი ქორწილი. ამას ღმერთიც ხედავდა და ადამიანებიც.

მანანა გერმანოზიშვილი თხოვდებოდა. ძლივს მოესწრო დავითი ნეტარების ამ ჟამს!

თავადს თვალები ცრემლებით დაენამა.

ახლა მას გულწრფელად უხაროდა დის გაბედნიერება.

მთაწმინდის თავდაღმართი ხალხით იყო გაჭედილი. დიდ-პატარა აივნებზე და ფანჯრებზე იყო გადმომდგარი. ზანდაროვის კაცები შუშხუნებს უშვებდნენ. ალტაცებული მაყურებლები ხან ეტლებში მსხდარ დიდკაცებს უყურებდნენ, ხან ზეცაში ავარდნილი შუშხუნების შხუილით გაშლილ ფერად-ფერად ვარსკვლავებს. მეეტლეები ჭენებით მიერეკებოდნენ საზეიმო ჟრიამულით გახელებულ იორღა ცხენებს. ეტლების ბორბლები გრიალით

ბრუნავდნენ მოკირწყლულ ქვაფენილზე. გიჟმაჟურ სრბოლაში ეტლების ფარნები გრძლად მწკრივდებოდნენ, ერთდებოდნენ და საერთო ციმციმში გრძელი სინათლის თოკებივით იკლაკნებოდნენ თბილისის დაკლაკნილ ქუჩებში. ქუჩების ორივე მხრიდან ვიღაც კაცები ვარდებს ესროდნენ საქორწინო კორტეჟს.

მშვენიერი ამინდი იდგა. ენამახვილნი მოსწრებულად ხუმრობდნენ: „ზანდაროვმა თვით ღმერთი მოისყიდა და ერთი ღამით ეს სავსე მთვარე და ვარსკვლავები დაიქირავაო“.

თბილისური ოქროსფერი შემოდგომის მზიან დარს თბილი, საამური და ხავერდოვანი საღამო მოჰყვა. ღამე კი მთელი ქალაქი ბადრი მთვარით იყო განათებული. იმ ღამეს არავის სძინებია. ყველანი მოედნებზე, ხეივნებში, ქუჩებში, შუკებში და ქუჩაბანდებში იყვნენ გამოფენილი.

სალაპარაკო ყველას ბლომად ჰქონდა.

ყველას ზანდაროვის სახელი ეკერა პიზე.

მის ქორწილს თითქოს მთელი ქალაქი იხდიდა.

მუდამ მხიარული და სანახაობებზე დაქიმითებული აივნიანი ქალაქი.

ნიკოლოზის მოედანზე სასახლიდან მეფისნაცვლის ლანდო გამოგრიალდა და საქორწინო კორტეჟს შეუერთდა.

ზანდაროვმა კიდევ უფრო ამაყად მოიღერა კისერი.

მანანა გერმანოზიშვილმა გულგრილობის პირბადე მყისვე სახიდან მოიხსნა და იმ ღამეს პირველად გაიღიმა ბედნიერი ქალის ღიმილით.

დავით გერმანოზიშვილს თავბრუ დაეხვა და პირი დაღებული დარჩა.

მექორწინეებმა აღტაცებული ჩურჩულით გადასცეს ერთმანეთს თავიანთი აზრი და გაკვირვება.

ბევრს შეშურდა იღბლიანი მილიონერის საკვირველი ბედი.

საქორწინო კორტეჟმა მოედნიდან ვერცხლის ქუჩისაკენ შეუხვია და სიონის ტაძრისაკენ გაემართა.

ყველგან ხალხის ჰედვა იყო. ყველა წინ დადგომას ცდილობდა რათა ნეფე-პატარძალი და ეტლში მსხდარი მექორწინენი კარგად დაენახა. აქა-იქ ამის გამო მუჯლუგუნებსაც იყენებდნენ და პატარა ჩხუბიც იმართებოდა. წესრიგს პოლიცია იცავდა. ანგალი კინტოები მაინც ახერხებდნენ შეუმჩნევლად თავში ჩაეფარებინათ რომელიმე ცხვირაპზეკილი მოხელისათვის. ბრბოში ჯიბგირები დაძვრებოდნენ და ზედმეტად პირდაღებულ მაყურებლებს ჯიბეებს არხეინად უსუფთავებდნენ.

— მოდიან! მოდიან! — ყვიროდნენ ხეებზე ამძვრალი ბიჭები.

საქორწინო კორტეჟი სიონის ტაძარს მიადგა.

ნეფე-პატარძალი იქვე გაშლილ ფიანდაზზე გადმოვიდნენ, მექორწინეთა თანხლებით ქვის პატარა კიბე ჩაიარეს და შანდლებით, კანდელებით და ჰაღებით გაჩახჩახებულ ტაძარში შევიდნენ.

მღვდელმსახურებას ჰარმაგი დეკანოზი ასრულებდა.

ძვალმსხვილი, ბეჰგანიერი, სახელაჯლაჟა და წვერნიჩბოსანი.

მას რამდენიმე მღვდელი და დიაკვანი ეხმარებოდა.

ისინი აღსავლის კარებთან და კანკელთან იყვნენ გამწკრივებულნი.

ქოროზე გუნდი გალობდა.

ოდნავ განცალკევებით მეფისნაცვალი იდგა მეუღლითურთ. მათ უკან — ყოველთვის განუყრელი შუაზელ დე გუფი.

ნეფე-პატარძლის გვირგვინები ორ ბრწყინვალე თავადს მაღლა აეწიათ და სერიოზული გამომეტყველებით ეჭირათ ხელში. ნეფის მეჯვარეს სავსებით დაავიწყდა, რომ მის წინ სოვდაგარი იდგა, რადგან იქვე, მახლობლად მეფისნაცვალი და პირწავარდნილი არისტოკრატი ვორონცოვი მის ჯვარისწერას ესწრებოდა. მეფისნაცვლის თანა-

ყოფას ყველა გრძნობდა და ყველას ამის შესაფერისად ეჭირა თავი.

ოდნავ გაფითრებული მანანა თავდახრილი იდგა.

მას ბუნდოვნად მოესმა დეკანოზის ნეფისადმი მიმართული კითხვა:

— გსურს?

— მსურს.

— გსურს?

ახლა მას მიმართა დეკანოზმა.

— მსურს...

ძლივს გაიგონა საკუთარი ხმა მანანა გერმანოზიშვილმა.

## 7. ნათიას ლანდი

მეორედ დაქორწინებულთ პირველი ქორწინება აგონდებათ.

**ხალხური ნაკვესი**

დეკანოზმა თითზე ბეჭედი სამჯერ გაუკეთა და მოხსნა პატარძალს. მანანა ფარული სიხარულით დააცქერდა ბეჭედს, რადგან ეს ოქროს რგოლი ლოდინით დაღლილ შინაბერას ცოლად ხდიდა და საკუთარი ოჯახის კარს უღებდა. მას გარკვევით მოესმა დეკანოზის მიერ გალობით წარმოთქმული „წმიდა არს ქორწილი და საწოლი შეუგინებელი". აღელდა და თვალზე ცრემლი აუკრიალდა.

მან აღტაცებით შეასრულა რიტუალი, რომლის დროსაც ახლად ჯვარდაწერილნი საკურთხეველს გარშემო უვლიან მღვდლის მიერ ხელდაჭერილნი. სწორედ ამ დროს მისი თვალები ზანდაროვის თვალებს შეხვდა და... შეკრთა. ზანდაროვი რაღაცნაირად გატეხილი, უცნაური და გაურკვეველი ღიმილით შესცქეროდა მას. მეორედ შემოვლისას უკვე მის არაჩვეულებრივად გაფითრებულ სახეს მიაქცია ყურადღება. „რა ემართება?" ფიქრობდა შეშფოთებული მანანა. თან ცდილობდა თავი ისე დაეჭირა, რათა სხვებს არაფერი შეემჩნიათ. ეშინოდა სალონებში არ ელაპარაკათ და არ გაეკილათ: „გერმანოზიშვილების ასული ეკლესიაში შინაბერასავით იქცეოდაო". მესამე შემოვლის დროს მან თავის ნეფის დაბნელებულ სახეზე რაღაც მტანჯველი შიში და ძრწოლა ამოიკითხა და სისხლი გაეყინა. ნეფეს ნახევრად ჰქონდა თვალები დახუჭული და სომნაბულასავით მოძრაობდა. „რა ემართება, — ახლა უკვე შიშით ფიქრობდა მანანა, — ან იქნებ მე მელანდება და ტაძრის ეს დიდი სინათლე ატყუებს ჩემს თვალებს?"

ზანდაროვის გაფითრებულ სახეს სხვებმაც მიაქციეს ყურადღება და ერთმანეთს გაკვირვებით გადახედეს. მათ წინ ომახიანი და თავდაჯერებული ზანდაროვი აღარ იდგა. რაღაცნაირად იყო მოშვებული, უშნოდ აწოწილი, თითქოს უმწეოდ მობუზულიც, შემკრთალი და შეშინებული. ერთბაშად გამოცვლილი ნეფის საწყალობელი გამომეტყველება ყველას ეუცხოვა, რადგან სულ რამდენიმე წამის წინ მხარგამართულს და ამაყად თავაწეულს ბაგეზე ბედნიერი ღიმილი დასთამაშებდა.

უხერხულად, რეტდასხმულივით დაბიჯებდა, რაღაც აზრით თუ ფიქრით შეპყრობილი, მექორწინეთა თანაყოფას ვეღარ ამჩნევდა. აღარც საეკლესიო გუნდის მგრგვინავი „მრავალჟამიერი" ესმოდა. მის წინ სტიქარით და ოლარით შემოსილი დეკანოზის მაგივრად ანაფორაშემოფლეთილი პავლე მღვდელი იდგა. მეორე ქორწინება მისდაუნებურად პირველ ქორწინებას ახსენებდა. ზანდაროვი ცდილობდა წარსულზე არ ეფიქრა, მაგრამ თვალწინ მაინც მოუშორებლად ედგა შიშით დამფრთხალი პატარა სოფლელი გოგო. ისე ცხადად და ნათლად, როგორც არასდროს, თვით მაშინაც კი, როცა ფირუზას საწვრილმანოში მისი სახის მეხსიერებაში აღდგენას ცდილობდა. „ნათია... ნათია"... ჩასძახოდა ვიღაც ყურში და ამ სახელის გახსენებაზე გაოცებით აშტერდებოდა ახლანდელ პატარძალს, რომელიც იმ გოგოსავით გაფითრებული და შეშინებული უყურებდა მას. საყდრის კარზე დააბრახუნეს. „ქარია!" მკაფიოდ მოესმა ზანდაროვს ფანდურაანთ იოსების ხმა. „არა, ბატონია!" მკაფიოდვე

მოესმა ნათიას მამის აღელვებული, მაგრამ ბედთან უკვე შერიგებული წამოძახილი. ზანდაროვმა ყრუდ დაიგმინა. ვილაცამ გვერდში იდაყვი გაჰკრა. ეს მანანა იყო. მეჯვარეებმა ერთმანეთს გადახედეს. ტაძარში გაკმენდილმა ჩურჩულმა გაისისინა. ზანდაროვი გამოფხიზლდა. გვირგვინიანი თავი მაღლა აიღო და გაიღიმა. ეს ზანდაროვის ღიმილი იყო. ამაყიც და ეშმაკურიც. მექორწინეთა წინ ისევ ზანდაროვი იდგა. ღონიერი, ძლიერი, თავდაჯერებული.

ყველაფერი ერთ წამში მოხდა, ერთი წამის განმავლობაში გაგრძელდა.

ბევრმა ვერაფერი შეამჩნია. ვინც შეამჩნია, იმანაც იქვე, ტაძარში დაივიწყა ზანდაროვის გაფითრებული სახეც და მისი ყრუ გმინვაც. თავმომწონე ნეფის წამიერი შეცვლა მეტად დამღლელ საქორწინო რიტუალს მიაწერეს.

მხოლოდ ერთხელ ვილაცამ იხუმრა: „ზანდაროვი ეკლესიაში ისე იქცეოდა, როგორც ქვრივი თავის მეორე ქორწილში იქცევაო“.

ახლად დაქორწინებულთ პირველად მეფისნაცვალმა მიულოცა.

ელიზავეტა ქსავერიევნას შუბლზე ამბორმა ქალბატონ ზანდაროვს წუთწინდელი მღელვარება სულ მთლად დაავიწყა, კდემამოსილად იღიმებოდა და სიხარულისაგან დაბნეული რატომღაც მხოლოდ შუაზელ დე გუფს უკრავდა თავს.

მეფისნაცვლის ლანდო საქორწინო კორტეჟს ნიკოლოზის მოედანზე გამოეყო და სასახლისაკენ გაუხვია.

ვორონცოვი მხოლოდ ოფიციალურ ნადიმებზე უჯდებოდა სუფრას ელიზავეტა ქსავერიევნასთან და შუაზელ დე გუფთან ერთად.

სალონებშიც მხოლოდ კარგი მუსაიფით და ერთი ფინჯანი ყავით კმაყოფილდებოდა.

ამიტომ მისი გამოთხოვება არავის გაჰკვირვებია.

მანანამ კმაყოფილებით გადადგა ფეხი ქმრის სახლის ზღურბლზე, მაგრამ გულში სამუდამოდ ჩარჩა ის, რომ მის ქორწილში კნეინა გოსტაშაბიშვილი არ გამოჩნდა.

## კარი ოცდამეხუთე

### 1. ახალი ქალბატონი

ის ძალიან ლამაზია და ძალიან მდიდარი.

**ონორე დე ბალზაკი, „წითელი სასტუმრო ოთახი“**

ქალბატონ ზანდაროვად გადაქცეულ გერმანოზიშვილების ასულს პირველ ხანებში მხოლოდ თავისი ახალი გვარი ეხამუშებოდა. სხვა მხრივ უკმაყოფილების საბაბი არა ჰქონდა.

მდიდრულ სახლში მდიდრულად ცხოვრობდა.

თანდათან თავის ახალ მდგომარეობასაც მიეჩვია.

ქალბატონ ზანდაროვის ხსენება ყურს აღარ სჭრიდა და აღარც ზიზღი ეხატებოდა უკვე ფოთლებდაყრილ სახეზე.

უზრუნველ ცხოვრებას თავისი გაჰქონდა.

კმაყოფილი იყო და ბედნიერი.

კმაყოფილი იყო გრიგოლ ზანდაროვიც.

იგი ცოლში ქალს არ ეძებდა და ვერც იპოვა (ქორწინების ღამეს მისი ყურადღება მხოლოდ იმან მიიპყრო, რომ მოუხერხებელმა, შეშფოთებულმა და დარცხვენილმა შინაბერამ პირჯვრის გადაწერა მოასწრო, სანამ ქმარი სარეცელში მკლავს მოხვევდა). თავადის ასულის ცოლობა მის ღირსებას ზრდიდა და მეტ ფასს სდებდა. ეს იყო და ეს. სხვა მხრივ ის მისი ვნებების, მისწრაფებების და მიდრეკილებების გარეთ რჩებოდა.

ამიტომ ზანდაროვს სულ ადვილად შეეძლო მოსიყვარულე, ყურადღებიანი და მორჩილი ქმრის როლი ეთამაშა.

ცოლისაგან იგი სხვას არაფერს მოითხოვდა, გარდა იმისა, რომ მისთვის დიდძალი ქონების მემკვიდრე გაეჩინა.

ამ რწმენასა და მოლოდინს ცოლის დაფითლილი სახე და წაწვეტებული ცხვირი უღვივებდა.

ქმარი ცოლს ყველანაირად ანებივრებდა. ყურადღებას არ აკლებდა. რასაც კი ცოლი მოინდომებდა და მოისურვებდა, მყისვე უსრულებდა. ნაირნაირ სამკაულებს გაფაციცებით ეძებდა და პოულობდა. ბლოტის და ტოლლეს მაღაზიებში ყველაზე ახალმოდურ პარიზულ ქინძისთავებს და ქალის ქუდებს გულდასმით ათვალიერებდა და ცოლისთვის ყიდულობდა. რუარის და გეიგერის სამკერვალოები ვეღარ ასდიოდნენ ქალბატონ ზანდაროვის კაბების კერვას. გილლეს საკონდიტროში, რაც ღმერთს დღე გაეჩინა, თეთრი ლიზას სიტყვით, განებივრებული ქალბატონის საყვარელი ქადა ცხვებოდა, ათასნაირი ტკბილეული და ნუგბარი მზადდებოდა. ქალაქის ქუჩებშიც ის საკუთარი ეტლით დასეირნობდა და მიწაზე ფეხს აღარ დგამდა.

— ბედნიერი ქალი ეგა ყოფილა, კარგი ქმარი მაგან დაიკვეხოს. — ამბობდა მეზობლებში თეთრი ლიზა და რძლის განებივრებით უკმაყოფილო „დედამთილობისათვის“ ემზადებოდა.

თავის მხრივ მანანაც „რძლობის“ თადარიგს იჭერდა. „დედამთილს“ ათვალწუნებით უყურებდა, მაგრამ მასთან კრინტს არა სძრავდა, თავს არ უყადრებდა. გაქვავებული უსმენდა მის ბუზღუნსაც. ჩამოკრულებსაც და საყვედურებსაც.

ქალბატონ ზანდაროვს პირმშოდ გოგო ეყოლა. პირველ გოგოს მეორეც მოაყოლა. თეთრმა ლიზამ ახლა ეს დაიხვია ხელზე და რძალს უარესად გადაეკიდა.

გრიგოლი ოჯახში ჩხუბსა და უსიამოვნებას ერიდებოდა. თეთრ ლიზას დაყვავებით მოთმინებას ურჩევდა.

— ეგ კნეინა არის, ლიზაჯან, ცოტა სხვანაირად გაზრდილი. ისევ ჩვენ უნდა მოვაწონოთ თავი.

— ქა, თავის მოსაწონებელი რა მაქვს? — ბრაზდებოდა თეთრი ლიზა, — ერთბაშად მაგის ნაყიდი რუფაკი არ მომაგონდეს, ან მაგის კარგი სიტყვა.

— მე მგონი, ეგ არც ავს გეუბნება, არც კარგს.

— ჰო, ეგეც მართალია. სარგადაყლაპულივით დადის. მთელი დღე ისე გაივლის, ერთხელ ხმას არ გამცემს.

— ეგ რა გასაჯავრებელია, ლიზაჯან, ხასიათი აქვს ეგეთი, რას იზამ?

— როცა გამოცდილი დედაკაცი ჭკუას არიგებს, უნდა დაიჯეროს!

— ჰო. ჩხუბის სათავეც მანდ არის. მაგას რაღა თქმა უნდა!

— ქა, მაშ არაფერი ვუთხრა?

— მაინც რას უწუნებ?

— ქა, რას უნდა ვუწუნებდე? როცა მოახლეს ვუჯავრდები, ეგ არ უნდა ჩაერიოს. ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ მარტო ეგ არ არის ქალბატონი ამ სახლში.

— ჰოო.

თეთრ ლიზას ჭირივით ეჯავრებოდა, როცა დედაკაცები იწირპლებოდნენ. ახლა თვითონაც მოუხშირა თვალებიდან ცრემლების გამოწურვას. რამდენიმე მსხვილი ცრემლი დამჭკნარ ლოყებზე გადმოაგორა და გრიგოლს საყვედურით უთხრა:

— თუ შენც მაგას უჭერ მხარს, გრიგოლჯან, ბარემ მტკვართან მიმიტანე და წყალში გადამაგდე.

გრიგოლმა დაუყვავა, მიეალერსა:

— მაგას რათ ამბობ, ლიზაჯან? შენზე მახლობელი ვიღა მყავს? მე იმიტომ გეუბნები, რომ თქვენი კინკლაობა დარიდივით მაწუხებს. მალე სტამბოლში უნდა წავიდე და მეშინიან თქვენი ჩხუბით მეზობლები ჩვენს სახლს სეირის საყურებლად არ მოაყენოთ.

თეთრმა ლიზამ ერთბაშად გამოიდარა.

— მაგის ფიქრი ნუ გაქვს, გრიგოლჯან, შენ არხეინად იყავი, შენ შენს საქ-

მეს მიხედე. დედაკაცები როგორმე მოვუვლით ერთმანეთს.

ზანდაროვი სტამბოლს გაემგზავრა.

მისი სახლის ქალბატონები უარესად წაეკიდნენ ერთმანეთს.

რძალ-დედამთილი ერთმანეთს ვერ ურიგდებოდა და ვერ იტანდა.

ახალი ქალბატონი ძველ ქალბატონს სტუმრებში გამოჩენას უკრძალავდა, არ კადრულობდა და თავის ღირსად არ თვლიდა. ტანზე სულ ბუწუწებს აყრიდა, როცა სტუმრიანობის დროს ეს მდაბიო დედაკაცი დიდ დარბაზში ხან ერთი კარიდან ჰყოფდა ცხვირს, ხან მეორედან.

თეთრი ლიზა რძალს არ უთმობდა, რადგან სტუმრებში გალივლივება ისევე უყვარდა, როგორც ნუღლი და ქისტაქალადბადი.

ქალბატონ ზანდაროვს არც ის მოსწონდა, რომ მთავარი დარბაზის სპარსულ ხალზე ვიღაც ფირუზას სურათი ეკიდა. ეს ყურთმაჯებიანი მდაბიო, მისი აზრით, მას კეთილშობილი სტუმრების წინაშე არცხვენდა თავისი ხეპრული გარეგნობით და სოვდაგრის ფლიდური ღიმილით.

ერთ მშვენიერ დღეს მან მთავარ დარბაზში მსახურები ფირუზას სურათის ჩამოსაღებად შეიყვანა. ამ ამბავს თეთრი ლიზა შეესწრო, გაავთრებულმა, რძალი წყევლა-კრულვით აიკლო და მსახურებს წინ გადაუდგა.

— ღმერთი არავის გაუწყრეს და ჩემი ქმრის სურათს ხელი არავინ ახლოს, — ყვიროდა გახელებული თეთრი ლიზა, — გრიგოლის მზესა ვფიცავ, სასიკვდილოდ არავის დავინდობ და მეც ზედ შევაკვდები.

თეთრი ლიზა ქმრის სურათის ქვეშ დადგა, ზედ გადაეფოფრა და ავად დაუწყო ცქერა რძალს, რომელიც მას ბრძანების კილოთი და ზიზღით ეუბნებოდა:

— აქედან დაიკარგე, დედაკაცო! ეგ მიკიტანი შენს ოთახში დაჰკიდე. მაგის ადგილი აქ არ არის, აქ ადგილი არა აქვს.

— როგორ თუ არა აქვს? მაშ ვისა აქვს? — უარესად გაცხარდა თეთრი ლიზა, — ეგ ვინ მოგახსენა? ეგ საიდან მოიტანე? იცი ვინ არის ეგ კაცი? მაგან გაზარდა შენი ქმარი, მაგან დააყენა ფეხზე, ცხოვრებაში კაცად გამოიყვანა, მაგის ჭკუითა და მოხერხებით გამდიდრდა. ეგ კაცი სალოცავი ხატი უნდა იყოს შენთვისა და შენი ქმრისთვისა. ქა, ეს რა ცოდვის კითხვაა! ლოთბაზარა კნიაზის დაი ამ პატიოსანი კაცის ნაღვაწნადაგზე უნამუსოდ დამჯდარა და, ვერ უყურებთ, იმის სურათს კედლიდან ჩამოგდებას უპირებს. ვინა ხარ? რა ხარ? რათა დიდგულობ? კნეინობით გვაწონებ თავსა? განა არ ვიცი ვინცა ბრძანდები? შენ არ იყავიი, რომ მამადავითში თაგვის სოროებში ცხოვრობდი, შიმშილი სტუმრად გყავდა, სიღარიბე ამხანაგად გეჯდა, ტანთა და ფეხთ არ გეცვა და სირცხვილით ცხვირს კარში ვერა ჰყოფდი? ვინ მოგცა ოქროები, მარგალიტები, დიკიტონის კაბები და თეთრი ფელჩატკები? ამ კაცმა მოგცა, ამ მიკიტანმა, ამანა...

მსახურების თანაყოფაში შერცხვენილ-გალანძღულმა ქალბატონმა ზანდაროვმა გააშრებულ დედაბერთან დავას ისევ გაქცევა ამჯობინა. თეთრ ლიზას დაემუქრა, თავის ოთახში გავარდა და ქმარს სტამბოლში საყვედურის წერილი მისწერა.

თეთრი ლიზა ველარ დაშოშმინდა. მუხლებს ცემით ითქვეფავდა და ხელების შლით გაიძახოდა:

— ქა, გაგონილა?! ეს რა ღვთის წყრომაა?! ეს რას მომასწრო მამაზეციერმა? ქა, რძალი მოსაკლავად აღარ მინდობს, ჩემი სახლიდან გაგდება უნდა, ფირუზას კედლიდან გადაგდება, ორთავენი თვალებში ვეჩხირებით. მიკიტნებსა და მედუქნეებს გვეძახის. ქა, მაგისი ქმარი ვილა ბრძანდება? ან კნიაზები რითი გვჯობნიან? გაწყდეს, გაწყდეს მაგათი სინსილა, აჰანდე! — თეთრი ლიზა მსახურებს მიუბრუნდა და თვალების ბრიალით გააფრთხილა — თქვენ, ეი! სინდისგარეცხილო ვირგლე-

ზო, განა არ იცით ამ სახლის პატრონი ვინ იყო? ჰოდა, ვინც პატარა ქალბატონის ბრძანებას აასრულებს და ამ სურათის ხელით ხლებას გაბედავს, მამაჩემსა ჰქონდეს ცხონება, მე ისინი აქედან დავიფრინო და კუდით ქვა ვასროლინო! შაბაშ! ყველანი თვალიდან დამეკარგენით!

თეთრი ლიზა ქმრის სურათს მცველად დაუდგა და ხელში მუდამ ჩვარი ეჭირა, რათა ფირუზას სურათის ოქროსვარაყიან ჩარჩოებს მტვერი არ გაჰკარებოდა.

გაბუტულმა რძალმა დედამთილი სუფრაზე გვერდით აღარ მოისვა. თავის ოთახში გამოკეტილ თეთრ ლიზას მსახურის ხელით უგზავნიდა კელიცის და კლოცის გამხმარ ნამცხვრებს, ცივ კატლეტებს, ბატისტ ფერარის და ლუდვიგ შერინის ძეხვების ნარჩენებს და სხვადასხვა ნასუფრალს.

ამით გაბოროტებული თეთრი ლიზა წარამარა მაიკო კურტანიძესთან გარბოდა გულიდან ჯავრის გადასაყრელად და ცრემლების დასაფრქვევად.

მაიკო შორიდან უთვალთვალებდა ყველაფერს, რაც კი ზანდაროვის სახლში ხდებოდა. თავის ძველი დოსტის წუწუნს ყურადღებით უსმენდა, თვითონ კი კრინტს არა სძრავდა.

თეთრ ლიზას კი არც წვრილმანი ავიწყდებოდა, არც მსხვილმანი. არც წაქეზება სჭირდებოდა. რძლის ავად ხსენება არა ღლიდა. თან მოსთქვამდა, თან წყევლა-კრულვის კორიანტელს აყენებდა.

მაიკო გატრუნული იჯდა. დაფიქრებულს თეთრი ლიზას თანაგრძნობა ავიწყდებოდა.

ყველაზე კარგად გრიგოლ ზანდაროვს მისი ძველი საყვარელი იცნობდა. ამიტომ ზანდაროვების ცოლქმრული ბედნიერება მას არა სჯეროდა და როცა ამ აზრს ჯიუტად ადგებოდა, მის ბრინჯაოსფრად გამუქებულ თვალებს ისევ თაფლისფერი შუქი ეფინებოდა.

## მანანას სალონი

თბილისის სალონთა ცხოვრება თითქმის არაფრით არ განირჩევა ევროპის დიდი ქალაქების სალონების ცხოვრებიდან.

**ფრიდრიხ ბოდენშტედტი, „1001 დღე“**

თბილისურ სალონებს შორის ყველაზე განთქმული მანანა ორბელიანის სალონი იყო.

ქალბატონი ზანდაროვი მანანა ორბელიანს გაეჯიბრა და თვითონაც სალონის შემოღება გადაწყვიტა. ამ მიზნით დარბაზების, ოთახების და ბუდუარების ევროპული გემოვნების მიხედვით მილაგ-მოლაგებას შეუდგა, მრჩევლად კი თავისი მამიდა კნეინა მზეხათუნი დაიყენა.

ფირუზა ზანდაროვის სურათი კედლიდან იმ დროს ჩამოიღეს, როცა თეთრი ლიზა მაიკო კურტანიძესთან იჯდა და იცრემლებოდა. შინ მობრუნებულს მოახლეებმა მომხდარი ამბავი დაუყოვნებლივ დაახვედრეს, მაგრამ თან გააფრთხილეს, რომ დიდ დარბაზში ქალბატონთან ერთად მეფისნაცვლის ცოლი და მისი მხლებელი მანდილოსნები ისხდნენ.

თეთრმა ლიზამ ვეღარაფერი აწამა. ფირუზას სურათი თავის ოთახში უსიტყვოდ ჩამოჰკიდა და იმ დღიდან დიდ დარბაზისაკენ მიმავალი გზა დაივიწყა.

ყოველ სამშაბათს თბილისის მაღალი საზოგადოება ქალბატონ ზანდაროვის სალონში იკრიბებოდა. მის სალონს მხოლოდ თითო-ოროლა დიდგვაროვანი თავადი არ ეკარებოდა. ისინი გერმანოზოშვილების ასულს დაცინვით „კუპჩიხა მანანას“ და „სოვდაგარშა მანანას“ უწოდებდნენ. ქალბატონმა ზანდაროვმა ეს იცოდა და გული უბრაზდებოდა.

ეშვიან ქალბატონს საკუთარი მოენენი ჰყავდა, რათა ყველაფერი, რაც კი მაღალ საზოგადოებაში მოხდებოდა, ადრე შეეტყო და თადარიგი დროზე დაეჭირა. მათ შორის იყო გადატაკებული, დავალიანებული და გაქაჩლებული თავად ალამემნონ კენტერაძე, რომელსაც შინაურები ფაცუნას

ეძახდნენ, ხოლო გარეულები „ქაჩალ კრასავიცას“. მას ღირსეულად უმშვენებდა გვერდს სჯულიერი მეუღლე კნეინა მაჭატა კენტერაძე, რუსულად ჩაცმულ-დახურული, ლოყებღაჟღაჟა და დამრგვალებული მანდილოსანი, ალექსანდრე I-ის დროინდელი ქუდით.

მეტიჩარა, მოურიდებელი, მატრაკვეცა და ჭორიკანა კნეინა მაჭატა სალონებში „ჭორების ბოღინიად“ იყო ცნობილი. აღამემნონ და მაჭატა კენტერაძეები ყველგან არასასურველ სტუმრებად ითვლებოდნენ, მაგრამ მათი ენის ყველას ეშინოდა და ყველა ანგარიშს უწევდა.

ამ უხეირო მშობლებს ანგელოზის მსგავსი ასული ესვათ, ზღვისფერთვალება და მუქი თავთუხისფერი თმით შემკული ოცდაექვსი წლის ანა, რომელიც კნეინა მაჭატა კენტერაძეს ყველგან თან დაჰყავდა.

კნეინა მაჭატა, ჩვეულებრივ, ყველაზე ადრე მოდიოდა ქალბატონ ზანდაროვის სალონში.

დღესაც მასთან გახლავთ „ჭორების ბოღინია“ და ყურმოკრული ჭორებით გულს უსიებს ქალბატონს, რომელსაც ვაჭრის ცოლობისა სცხვენიან და ყველგან დაცინვა ელანდება.

— წუხელ კნეინა მაიკოსთან გახლდი.

ცალი ყბით წარმოთქვა კნეინა მაჭატამ, ლორნეტის შუშები ფერადი ხელსახოცით დინჯად გაასუფთავა და თან მანანა ფრთხილი მზერით შეათვალიერა.

მანანამ წიგნი გვერდზე გადადო (ქართულად გადათარგმნილი ლესაჟის „კოჭლი ქაჯი“) და ანას შეხედა, რომელიც გაღებულ ფანჯარასთან განაბული იდგა და ცას გასცქეროდა. მაჭატა მიხვდა და ქალს გასძახა:

— ანა!

— რა გინდა, დედი? — მოკრძალებით მოტრიალდა მისკენ ანა.

— შენს გაზრდას, ერთი ბაღში ჩაისეირნე.

ანა გაწითლდა, ქალბატონ ზანდაროვს კნიქსენი გაუკეთა და ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა.

— წუხელის ვინ იყვნენ კნეინა მაიკოსთან? — ცნობისმოყვარეობით იკითხა მანანამ ანას წასვლისთანავე.

— დიდი სტუმრიანობა ჰქონდა. აუარებელი სტუმარი ჰყავდა.

— ჩამოთვალე.

— პატარა ვარანცოვიც იქ გახლდათ.

— მართლა?! კნიაზი?

— არა გხლებიათ.

— ელიზავეტა ქსავერიევნა?

— არც ისა.

— მაშ, კნიაზი თავის ცოლით იქ არ იყო? — წამოიძახა მანანამ და რაღაც აზრით აღტაცებულს თვალები გაუბრწყინდა, — გული მეუბნება, რომ ისინი ამ საღამოს ჩემს სალონში მოვლენ.

— ეგრეც მოხდება, აი ნახავ თუ არა! მაგის მახარობელი მე ვარ. წეღან კიბეებში მერცხალი დაფრინავდა, — იცრუა მაჭატამ, — რაღაც გაგეხარდება ან ქმარი ჩამოგივა, ან...

ქალბატონ ზანდაროვს ქმრის ჩამოსვლას მის სალონში მეფისნაცვლის გამოჩენა ერჩივნა, მაჭატას სიტყვა გააწყვეტინა:

— ქმარი რა შუაშია? ის მერცხალი სწორედ კნიაზის მობრძანების ნიშანია.

— მეც მანდ გახლავარ, კნეინავ! — საჩქაროდ მიუგო მაჭატამ, რომელიც მის საამებლად კნეინობით მიმართავდა ხოლმე მას, — ის ბოლოკუდრაჭა მე და ანას სულ ჭიკჭიკით დაგვეფრენდა თავზედა.

— თუ ახდა, ოქროს ფულს გაჩუქებ.

ნასიამოვნებმა, მაჭატას ანგარიშის ჩაბარება მოსთხოვა.

— კნეინა მაიკოს სტუმრების სახელები მითხარი.

— აკი მოგახსენე! სულ დიდები ჰყავდა. კურკაც ჩამოსულა ქალაქში და ნეტავი გენახა რანაირად იბერებოდა, თითქოს სტანისლავი მარტო იმას ეკიდოს ყელზე. სულ ჩუენი გვარი და ლიპარიტი ეკერა ენაზე. თავს იქებდა, ვერ მიყურებთ ვინა ვარო! შამილის და ჰაჯი-

მურატის თავების ხურჯინით ჩამოტანას იმუქრებოდა. ერისთავიანთ ელენეს ბაასი გაუბა და ლაპარაკში შენც გადმოგწვდა.

მანანა სავარძელში წამოიწია, მღელვარებით წარმოთქვა:

— რაო, რა სთქვა?

— ვერ გეტყვი, კნეინავ, ვერ გეტყვი. მომკალი და ვერ გეტყვი.

მანანამ მრისხანედ გადახედა.

— რატომ ვერ მეტყვი? მაშ რისთვის მოხვედი აქა?

— უი ჩემს თავს! გეწყინება და აღელდები.

— კურკას „წინანდლის ვარდზე“ ამოსდიოდა სული და ჩემს ქებას როგორ იტყოდა?! რაც ჩემზე სთქვა, შენ ის მითხარი.

— ავი კაცის სიტყვით რათ უნდა გეიბოროტო გული?

— ლოდინით ნუ დამღალე, სთქვი, რაც გაიგონე.

უბრძანა ქალბატონმა ზანდაროვმა.

— ძალას რათ მატან, ჭირიმე?

— მაჭატა!

სავარძელში უარესად დამრგვალებულმა „ჭორების ბოღინიამ“ შორიდან მორიდებით დაიწყო:

— განა არ ვიცი, კნეინავ, ცუდი სიტყვის მომტანი თვალში არავის მოსდის, მაგრამ რა გაეწყობა? მე ჩემი გითხარი და ეხლა ხელი დამიბანია, თუ გეწყინა, მე ნუ გამიწყრები. კურკამ ასე უთხრა ელენესა: „ორბელიანის რომელიმე ქალმა ვინმე ცალქალამანოვის ცოლობა რომ იკადროს, აზნაურობის ცხრა სიგელიც რომ ჰქონდეს ნაყიდი სიძესა, იმ ჩემი კარგი დედ-მამის ცხონებამა, ხმლით თავს გავაგდებინებდიო“. გევიგონე თუ არა ეს სიტყვები, მაშინვე მენიშნა, შენ მომაგონდი, გენია წამეკიდა, კინაღამ ყელში ვწვდი და იმის სტანისლავი ხელში შემრჩებოდა კიდეც. აპა, იჰ! მეხი კი დავაყარე მაგ ავარიის თუ ავარების ხანსა! თითონ არ იყო, შანშიევის ვალებში იხრაკებოდა და გამვლელ-გამომვლელს შველასა სთხოვდა? დიდი ხანია სული მოიდგა?!

ეს სიტყვები აღელვებული ქალის გულის მოსაგებად იყო ნათქვამი. მაგრამ ქალბატონ ზანდაროვს სულ სხვა რამ აინტერესებდა.

— კიდევ ვინ გაიგონა ეს სიტყვები?

— ვიღამ არ გეიგონა? ერთი ჩურჩული და მითქმა-მოთქმა ატყდა. ყველას ენიშნა და ბევრიც იცინეს. ყველაზე უფრო კომედიანტები იცინოდნენ.

— ვინ კომედიანტები?

— აი ისინი, გიმნაზიაში გლუხარიჩთან ერთად კომედია რომ ითამაშეს და გვაცინეს.

— ისინიც მე დამცინოდნენ? ვაი, ჩემი ბრალი!

— ის ქვეყნის მასხარები პლატონ ფილსოფოსმა კარგად გამოგვილანძღა.

კნეინა მაჭატას რაღაც მოაგონდა და მხიარულად წამოიძახა:

— მაგრამ, ეტყობა, არც ეგ არის თავის ჭკუაზე. იმასაც ამბობენ, მალე პლატონიც ითამაშებს იმათთანაო. გლუხარიჩი ვის არ გააგიჟებს!

კნეინა მაჭატას ეს სიტყვები ჯერ არ დაემთავრებინა, როცა გამოწკეპილმა და ფეხგრძელა ლაქიამ ქალბატონ ზანდაროვს პლატონ იოსელიანის მოსვლა აუწყა. მაჭატამ ტაში შემოჰკრა, ძაღლისა და ჯოხის ანდაზა ახსენა, გულიანად გაიცინა და გუნებაშეცვლილი დიასახლისიც გააცინა.

### 3. სწავლული, ბერი და ცეკვის მასწავლებელი

ერთი მჭევრმეტყველებდა, მეორე უსმენდა, მესამეს ლორნეტი დიასახლისზე ჰქონდა მიბჯენილი.

**შარლ დე ბერნარი, „იკაროსის ფრთები“**

სალონში მაღალ-მაღალი, პირხმელი და ულამაზო შეხედულების შუახნის მამაკაცი დიდის მოკრძალებით შემოვიდა. მანდილოსნებს შორიდანვე დაუკრა თავი, ევროპული წესისამებრ გამოწვდილ ხელებზე ეამბორა და შემოთავაზებული სავარძელი ქათინაურებით დაიკავა.

რუსული გაზეთის რედაქტორი და

არქეოლოგიური გამოკვლევების ავტორი, სემინარიასა და აკადემიაში იეზუიტურად აღზრდილი და განსწავლული, თავისებური სნობი და ჯიუტი კონსერვატორი პლატონ იოსელიანი სალონების დიდ მოტრფიალედ ითვლებოდა. არცერთ საღამოს არ აკლდებოდა, ხან მანანა ორბელიანის სალონში იჯდა, ხან ქალბატონ ზანდაროვის სალონში. გაბმული მუსაიფი უყვარდა და სერიოზული მსჯელობა.

ისტორიკოსი და არქეოლოგი პლატონ იოსელიანი კარგი მოსაუბრე იყო, მაგრამ მსმენელს ბერძნული და ლათინური ციტატებით ღლიდა; ახლაც პირგამშრალი ქალბატონი ზანდაროვი უხალისოდ ისმენდა მის ანტიკურ სიბრძნეს; აღშფოთებულს თვალწინ ირონიულად მომღიმარე გრიგოლ ორბელიანი ედგა, გენერალი და პოეტი, რომელსაც იმთავითვე სძულდა გერმანოზიშვილები და დავითს ბრალსა სდებდა: „ჩემი ძმა ილიკო ამ ლოთმა გარყვნა და ქაღალდის თამაში შეაყვარაო".

ლაპარაკით გატაცებული პლატონ იოსელიანი ვერ ამჩნევდა დიასახლისის უგუნებობას და მაღალი შტილით დეკანოზივით ქადაგებდა.

ყურებდაცქვეტილი და თვალებდაჭყეტილი კნეინა მაჭატა სიცილს ძლივს იკავებდა და განცვიფრებით ისმენდა ბერძენთა და რომაელთა ღმერთების, ქალღმერთების, გმირების, პოეტების, დრამატურგების, სატირიკოსების და ფილოსოფოსების სახელებს. „ჭორების ბოლინიამ" თავის დროზე მოსწრებული ხუმრობაც იცოდა. ქდაგად გადაქცეულ პლატონ იოსელიანს დააშტერდა და შეამჩნია, რომ მას მარჯვენა ბაკენბარდი ოდნავ მოთელილი ჰქონდა, კაბის კალთებზე ხელები დაიკრა და დაიყვირა:

— უი, ჩემს თვალებს! პლატონ ბატონო, ძილის დროს ბაკენბარდზე კატა ხომ არ დაგაწვა?

— რასა ბრძანებთ, კნეინავ? — შეწუხდა პლატონ იოსელიანი და უნებურად ხელი ბაკენბარდზე გადაისვა,— მაშინაც საწყალმა ტატომ მომიგონა ეგა, გამივრცელა და სასაცილოდ გამხადა.

ტატოს გახსენებაზე პლატონ იოსელიანს სახე დაუღონდა. მაჭატამ ამოიოხრა, მაგრამ მალე მოაგონდა, რომ ტატო გრიგოლ ორბელიანის ღვიძლი დისწული იყო და რათა მანანასათვის ესიამოვნებინა, ორბელიანები გათათხა და უდიერად მოიხსენა.

— ეფემიას მდიდარი და გავლენიანი ნათესავები ჰყავს, — თავის კანტურით ამბობდა კნეინა მაჭატა კენტერაძე, — იმისი ძმა გრიგოლი ავარიის ხანია და დიდკაცობასთან დაახლოებული, მაგრამ გამოუცდელი ყმაწვილი სადღაც განჯაში გადაკარგეს და უპატრონობით წუთისოფელს გამოასალმეს. ესრეთ უგულოთ მოეკიდნენ ორბელიანები ყმაწვილ ნათესავსა და სტიხების მწერალსა. მელიტონის ლხინები რათ დაავიწყდათ? თქვენგან არ მიკვირს, შეჭმულ-დალეული ვიღას ახსოვს?

— მართალი ბრძანებაა, კნეინავ! — დაეთანხმა უეცრად დანაღვლიანებული პლატონ იოსელიანი, — ნიკოლოზი ღენია იყო და ჩვენ რითი დავაფასეთ? უპატრონოდ, ღვთისანაბარად, უნუგეშოდ მივატოვეთ ბედგამწარებული ჭაბუკი. ქართველებს დიდი საყვედური გვეთქმის, მაგრამ ეგრევე მოექცნენ უფრო განათლებულნი ბრიტნი თავიანთ ღენიოსებს — შელლის და ბაირონს...

— ბრიტნი რა შუაშია, პლატონ ბატონო, ორბელიანებმა დაღუპეს ტატო.

პლატონ იოსელიანმა არაფერი თქვა და გაჩუმდა. მას მოაგონდა, რომ კნეინა მაჭატა კენტერაძეს, რომელსაც მეტსახელად „ჭორების ბოლინიას" უწოდებდნენ, ვნების მოტანა შეეძლო.

დარბაზში ესტატე ბერი გამოჩნდა. კნეინა მაჭატამ თავისთვის ჩაიფხუკუნა, ქალბატონ ზანდაროვს კი სახე შეუფაკლდა.

ბერი წარმოსადეგი, მხარბეჭიანი და ჯანღონით სავსე ორმოცი წლის მამაკაცი იყო, ძლიერი და მტკიცე გამოხედ-

ვა ჰქონდა; მისი დიდი თავი, მსხვილი პირისახის დიდრონი ნაკვთები, მხიარული და მოძრავი ჭროლა თვალები, სქელი წითელი ტუჩები, ღონიერ მხრებზე უწესრიგოდ ჩამოყრილი კუპრივით შავი თმა საერთო ყურადღებას იქცევდა. ეს ჰერკულესი ბერის ანაფორაში ბახუსივით სვამდა, რაბლეს გარგანტუასავით ჭამდა, დონ-ჟუანივით არშიყობდა, ანტონ პირველივით მწიგნობრობდა და მეფის ხუმარასავით ხუმრობდა. მას წარჩინებულთა და კეთილშობილთა წვეულებებზე უფრო ხშირად ნახულობდნენ, ვიდრე მონასტერში. ზოგიერთის მტკიცებით ესტატე ბერს ვორონცოვის დროს ისეთივე როლი ჰქონდა დაკისრებული, როგორსაც ბარონ როზენის დროს მირზაჯანა ასრულებდა. ამიტომ მას ყველგან ხელგაშლილად იღებდნენ, მაგრამ ფრთხილობდნენ და ზედმეტს არაფერს ლაპარაკობდნენ.

ყველამ იცოდა, რომ ესტატე ბერი ქალბატონ ზანდაროვს ეკურკურებოდა, თუმცა „ცივი და მიუკარებელი მზეთუნახავი“, თვითონ ესტატე ბერის განმარტებით, ამის საბაბს არც მას და არც სხვებს არასდროს არ აძლევდა.

ბერმა შინაურულად მიიხედ-მოიხედა, პლატონ იოსელიანს გვერდით მოუჯდა და თავისი ბუბუნა ხმით გამოელაპარაკა.

სახეშეფაკლულ მანანას გაბრაზება არ დასცალდა.

სალონში ნარნარი რხევით რაიმონ დე კინტელი შემოგოგმანდა.

ევროპული ცეკვების განთქმული მასწავლებელი შუა დარბაზში ბზრიალასავით დატრიალდა და თავის დაუსრულებელ დაკვრას შეუდგა.

რაიმონ დე კინტელი სენ-თომას და ირციპუხოვის ქალთა პანსიონებში მუსიკას და ცეკვას ასწავლიდა, თან რევოლუციური აზრებით კეკლუცობდა. მაგრამ ანგარიშს არავინ უწევდა. ცერცეტსა და მატაოცს მოწაფე ქალები მეტსახელად მაღმაზელ დეკინტოს ეძახდნენ. ქალაჩუნა ცეკვის მასწავლებელს შუაზელ დე გუფი მფარველობდა, ხოლო უმრწემესი ვორონცოვი მეგობრობდა. ამიტომ მისი სალონებში გამოჩენა ყოველთვის მეფისნაცვლის მობრძანების მაუწყებელი იყო.

ქალბატონ ზანდაროვს თვალები გაუბრწყინდა. მაგრამ არც ამ სიხარულის განცდა დასცალდა დიდხანს.

დავით გერმანოზიშვილი დის სალონში ნაღვინევი მოვიდა, თან ნაქეიფარი მეგობრებიც მოიყვანა: კონა ფალავანდიშვილი, დიმიტრი ონიკაშვილი და ილიკო ორბელიანი.

ქალბატონ ზანდაროვს შეზარხოშებული ძმის დანახვაზე ალმური მოეკიდა სახეზე. არც ილიკო ორბელიანის მოსვლა ეპიტნავა და სულ ერთნაირად აიმრიზა. „კურკას“ ძმას, მიუხედავად იმისა, რომ მასთან გაშინაურებული იყო, პირი არ უჩვენა და სწრაფად წამოდგა, რათა თბილისის გუბერნატორს ივანე ანდრონიკოვს შეგებებოდა.

სტუმრებმა დენა იწყეს.

კნეინა მაჭატას თავისი ქალიშვილი მოაგონდა და რაკი ანა ვერსად იპოვა, მის საძებნელად გაიქცა.

## 4. ანა კენტერაძე

წიგნები ,ყვავილები ისევე აუცილებელია, როგორც მრავალთათვის პური.

**ონორე დე ბალზაკი, ,,დეიდაშვილი ბეტტი“**

ანა კენტერაძე ზანდაროვის ბაღის ფანჩატურაში გარინდებული იჯდა. სულგანაბულს და ფიქრებით გართულს დედაც გადაავიწყდა და ქალბატონი ზანდაროვიც.

მარტომყოფობას მონატრებულს სძაგდა სალონებიც და წვეულებებიც, სადაც მის გათხოვებას მონატრებული დედა ყოველ ცისმარე დღეს დაათრევდა.

ახალგაზრდა ქალი სენ-თომას პანსიონში იყო გაზრდილი, ფრანგულადაც ლაპარაკობდა და მოხდენილადაც ცეკვავდა, საზრიანიც იყო და სერიოზულიც, მაგრამ არც სენტიმენტალობას იყო მოკლებული და ოცნებით გატაცებულს ხშირად თვალი უშტერდებოდა.

მთელი დღე გაჩუმებული ხელსაქ-

მობდა ან წვრილ-წვრილ სასულიერო წიგნებს უკითხავდა ბებია ანახანუმს (ქართლში მრავალჯერ ქმარ-გაყრილს, იმერლების ნარძლევს და ოდესღაც სპარსეთის შაჰ-ზადეს სარეცელში ნაწოლს), რომელიც ხატებით გავსებულ ოთახში კარჩაკეტილი ცხოვრობდა, კრიალოსანს ხელიდან არ უშვებდა და, როცა გუნებაზე ბრძანდებოდა, შვილიშვილს ერეკლე მეფისდროინდელ ამბებს უყვებოდა.

მიხრწნილი დედაბერი ანჩხლიც იყო და ბოროტიც. ან იწყევლებოდა, ან ეძინა. სხვა საქმე იმას არა ჰქონდა.

რძალი და ვაჟი ანახანუმს არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ, მისი დაუსრულებელი ბუტბუტი და წყევლა-კრულვა აინუნში არ მოსდიოდათ. სამაგიეროდ ნახევრად ბრმა დედაბერი შვილიშვილს გულს უწვრილებდა და მომვლელადაც ის ჰყავდა დაყენებული.

მშობლებს შნოიანი და ლამაზთვალება, მაგრამ უშნოთვო და უიღბლო ანა მხოლოდ სალონებსა და წვეულებებში დაჰყავდათ, სხვა დროს კი სულ არ აგონდებოდათ.

— ანა!

გაისმა ბაღში გულისხეთქით ჩაჭრილი კნეინა მაჭატას შეშფოთებული ძახილი.

ხმა არავინ გასცა.

— ანა! ანა!

ყვიროდა ჩაბნელებულ ხეივნებში კნეინა მაჭატა.

ხმას არავინ სცემდა.

შეფიქრიანებულ კნეინას კინაღამ გული შეუღონდა. ერთი ციცქნა, სქელი დედაკაცი უფრო დაგორავდა, ვიდრე დარბოდა, თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა და საკუთარ თავს ხმამაღლა ელაპარაკებოდა: „ღმერთო ჩემო! რა დაემართა? სად შავდება? სად დაიკარგა? ბაღში თუა, იქ რას აკეთებს?" ხან ერთ სკამთან მირბოდა, ხან მეორესთან, თითოეულ ხეს აშტერდებოდა და წამდაუწუმ იძახდა:

— ანა! ანა!

ბოლოს, ხანგრძლივი ძებნისა და ძახილის შემდეგ დაკარგული ქალი ფანჩატურში იპოვა. ანა სკამზე გარინდებული იჯდა. ფიქრითა და ოცნებით გაოგნებულს არაფერი ესმოდა. ღია ფერის კაბა რომ არ სცმოდა, დედა ვერც კი მიაგნებდა.

— აქ რა გინდა, კნიაჟნავ? — დაუყვირა გულმოსულმა მაჭატამ.

ძერასავით დაეცხრა. მკლავებში ჩაფრინდა, დასჩქმიტა, დაითრია და წყევლა-კრულვით გამოიყვანა ფანჩატურიდან. ანა ჩუმად ტიროდა. ხეივნის ბოლოში, ფარნის შუქზე, მაჭატამ ქალს ნამტირალევი თვალები შეამჩნია, გულს შემოეყარა, უარესად დაუწყო ჩქმეტა მას. თან ლანძღვასა და საყვედურებს არ აკლებდა.

— გოგო! ამ ბაღში რა დაგრჩენია? აქ რას აკეთებ? იქ იმოდენა ყმაწვილკაცობა და აფიცრობაა და შენ აქ რას ბუდურაობ?

ძალით მიიყვანა შადრევანთან, ხელსახოცით თვითონ შეუმშრალა დაწითლებული თვალები, ხელდაჭერილი შეიყვანა სახლში, ერთ-ერთ ოთახში შეაგდო, სარკის წინ დასვა და თავზე სულთამხუთავივით დაადგა. დიდხანს უყურა. ნერწყვით დასველებული ცერებით წარბები გადაუჭიმა, საულვაშეს გასწვრივ, ლოყასთან, ხალი გაუმუქა („ზოლპილი დაყარა"), თმა შეუსწორა და ქალის სახეს ისე დააცქერდა, როგორც ოქრომჭედელი მარგალიტს აცქერდება ხოლმე. ბოლოს შუა ოთახში გამოვიდა, მბრძანებლის იერით დადგა, დოინჯი შემოიყარა და ანას მკაცრი ხმით უბრძანა:

— ანა! ფეხზე აბრძანდი!

ანა მორჩილად წამოდგა.

— რევერანსი გააკეთე!

ანამ წყნარად ჩაიჩოქა. დედას მისი მოძრაობა არ მოეწონა, ლორნეტი რისხვით დაუქნია და დაუყვირა:

— ცოცხლად! ცოცხლად! გეიგონე! რეპეტე! ღმერთო ჩემო, ზედაც არავინ შემოგხედავს! რეპეტე! რეპეტე! რეპეტე!... ვინ უნდა მოხიბლო ეგრე? ფუჰ!

მაჭლაჭუნასავით იგრიხები! ეგრეთი მორცხვობა და გულნაზობა სტიხების მწერლებს უყვართ. ცოტა ცეცხლი, ცოტა ცეცხლი, რომ მდიდარმა ყმაწვილებმა მოგიწონონ. კოხტად შემობრუნდი, ყელი ესრეთ მოიღერე, დაკეცილი მარაო ანცად მომღიმარე ტუჩებთან მიიტანე, ჟუჟუნა ცისფერი თვალები კავალერს შეანათე, სიყვარულის ალი გულში ჩაუდე. კნიაჟნა, რეპეტე!

— არ მინდა... არ მინდა...

დაიჩურჩულა ანამ და აცრემლებულ თვალებზე ხელები აიფარა.

— ტირილი არ გაბედო! — მრისხანედ დაუბაკუნა ფეხები კნეინამ და შიშით შეჰყვირა, — თვალები არ გაიფუჭო ცრემლებითა. აჰხ! რატომ არ იცი, მაგ მშვენიერი თვალების ფასი? რა გიყო? რა წამალი გაჭამო, რომ აღგანთო? როგორ ჩაგიდო არშიყის ცეცხლი მაგ ლამაზ გაგრაში? ღმერთო! კარგ დედ-მამას ესრეთი ასული ვითარ დაებადა! ავან![1]

ანამ წინ წადგა ფეხი. დედა არწივივით უცქეროდა ლორნეტის შუშებიდან. მან მძიმედ ასწია თეთრხელთათმანიანი მარჯვენა ხელი, ოდნავ მოკაუჭებული საჩვენებელი თითი ქალისაკენ გაიშვირა და კვლავ ცუდი ფრანგულით დაიძახა:

— დერიერ![2]

ანა ოთახში წინ და უკან დადიოდა. დროგამოშვებით რევერანსს აკეთებდა, კაბის ბოლოებს ნელი მოძრაობით მაღლა სწევდა და დედას თავს უკრავდა. იგი ცდილობდა კარგად ეარა, მოხდენილად ჩაეჩოქა, ორაზროვანი ღიმილით მოედრიკა თავი და ნატიფი მანერები ეჩვენებინა, რათა დედას მოსწონებოდა და ამ წამებისაგან განთავისუფლებულიყო.

ოთახში წამდაუწუმ გაისმოდა ტაშის ნელი ცემა და კნეინა მაჭატას „ავან!“ „დერიერ! „დერიერ! ავან!“ და ბოლოს კმაყოფილი:

— მერსი, მადმაზელ!

კუთხეში მიკუნჭული, მოახლე გოგო წინსაფრის ქვეშ ფრუტუნებდა.

მცირე შესვენების შემდეგ კნეინამ კვლავ დაიწყო:

— რეპეტე!

ანამ მუდარით შეხდა.

დედამ არ შეიბრალა და განაგრძო:

— ავან! დერიერ! დერიერ! ავან! დერიერ...

— კნიაზისა და კნეინას წინაშე,—აუხსნა დედამ შვილს, — ყველაზე მდაბალი რევერანსი უნდა გააკეთო, თავი მოკრძალებით დაუკრა და გაწითლდე. ეს ქალწულთა წესია, მაგრამ სულ მორცხვობაც არ ვარგა, გაუთხოვარი დარჩები და დედ-მამას შეარცხვენ.

— მე გათხოვება არ მინდა... მე მონასტერში წავალ...

— არ გამაგონო, არ გამაგონო! — შეჰყვირა მაჭატამ და თეთრხელთათმანიანი მარჯვენა ხელი ისევ მაღლა ასწია, — ერთხელ კიდევ მაჩვენე რევერანსი. მონასტერში წავალო! რეპეტე!... ბიენ[1]. მონაზონი გავხდებიო! გეილიმე... რეპეტე! ღმერთო ჩემო, რა სულელი ქალი მყავს! კაბა ფრთხილად ასწიე ხელის თითებითა. რეპეტე!... ბიენ. გენაცვათ, ესრეთი გაუხედნავი ვის დაემგვანა! ანახანუმმა კაცების ლოგინში იმდენი იგორავა და შენ ვერაფერი გამოგაყოლა?! ავან... მონაზნობა მომინდომა და ხატებთან ჩოქვით სიარული. ამაში კი გამოცხადებული ანახანუმია! ბიენ. მერსი, მადმაზელ!

როდესაც დედა-შვილი კიბეებზე ადიოდნენ, ერთ-ერთ ფოლორცზე კნეინა მაჭატამ ანას მკლავში ხელი ჩაავლო და ყურში ჩასჩურჩულა:

— ესტატე ბერის გვერდით დარბაისელი გენერალი ზის, დავით სტეფანიჩი, დაქვრივებული და უშვილო. წუხელ კნეინა მაიკოსთან სახეზე მოგაცქერდა. ჰოდა, ჩემო საყვარელო, წინ რომ ჩოუვლი, განგებ ხელცახოცი დოუგდე. ღმერთი არ გაგიწყრეს და ისე

---

[1] წინ. (ფრანგ.)

[2] უკან (ფრანგ.)

[1] ცარგი (ფრანგ.)

არ მოიქცე, რომ ბერმა მოგაწოდოს. ღმერთმა დაგიფაროს ამისგანა, სალონში თავი მოგვეჭრება. ერთმა ციდა ქალმა იმისთანა ახმახი და კრასავიცა ქმარი დევითრიე, ამერეთშიც და იმერეთშიც ყველას თვალი დოუბრმავე, შენ რა გიშლის ხელსა? რიგიანად მეიქეცი, თორემ კნეინა ელისაბედმა თავისი ყვიცაინი სოფიკო მეიყვანა და მეშინიან იმა არ დაგვასწროს.

— დედი, არ გებრალები?

— ეგ რა სიტყვაა?

— ბებერი როგორ ამირჩიე ქმრადა?

— სულელო! — გაბრაზდა კნეინა, — ის მარგალიტებში ჩაგსვამს. ეკიპაჟით გატარებს. მოსკოვსა და პეტერბურღში წაგიყვანს. ქვეყნიერებას გაჩვენებს.

— ეგ მე არ მინდა, დედი.

— არ გინდა?

— არა, დედილო.

— მაშ რა გინდა? ახალგაზრდა, ყმაწვილი კაცი? მერე ვინ დაგვილაგა ჭზითვები, ფაცუნამ თუ ანახანუმმა?

ანამ ხმა არ ამოიღო. დედას მორჩილად გაჰყვა.

კნეინა მაჭატამ თავისი ასული წინ კაუშვა და პირჯვარი გადასწერა.

დედა-შვილი დიდ დაბაზში სწორედ იმ დროს შევიდნენ, როცა დავით სტეფანიჩი ონავრული ღიმილით სოფიკოს ხელსახოცს აწვდიდა. კნეინა მაჭატას პირკატა ეცა. გაშრა და გახევდა. ცოტა რომ მოსულიერდა, ჯავრი ქალზე იყარა. ჯერ მკლავზე გამეტებით უჩქმიტა, მერე ხელი ჰკრა და ახალგაზრდა ოფიცრების წრეში შეაგდო.

### 5. ᲬᲐᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲛᲐᲚᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘ

უცებ მოულოდნელად დაიბადნენ წარჩინებულნი კომიკურნი მწერალნი, რომელთა შორის ბრწყინავს თ. გიორგი ერისთავი.

**გრიგოლ რჩეულიშვილი, „შეშლილი“.**

გიორგი ერისთავი მეფისნაცვლის მობრძანების მესამე მახარობელი იყო, გაღებული ფანჯრიდან შემოფრენილი მერცხლისა და რაიმონ დე კინტელის შემდეგ.

გიორგი ერისთავი დანამდვილებით გებულობდა, თუ სად გაატარებდა საღამოს მისი დასის მფარველი ვორონცოვი და თვითონაც მსწრაფლ იქ გაჩნდებოდა ხოლმე. ამ უეჭველმა ნიშანმა ქალბატონ ზანდაროვს თავბრუც დაახვია და მღელვარე სიხარულიც განაცდევინა. მას არ უყვარდა „გლუხარიჩი“, რადგან მან ნინო ჭავჭავაძის სილამაზეს პაწაწინა ლექსი უძღვნა, ქალბატონ ზანდაროვზე კი, ბოროტი ენების თქმით, კომედიას წერდა.

ყოვლისმცოდნე მაჭატა კენტერაძე ამას იმასაც დასძენდა, რომ მანანას მაგალითით განსახიერებული როლი ტასო ორბელიანს უნდა ეთამაშნა. მიუხედავად ამისა, „სოვდაგარშა მანანამ“ გულმოწყალედ გაუწოდა ხელი პირველ ქართველ კომედიოგრაფს.

გიორგი ერისთავი არტისტულად გაცისკროვნებული ღიმილით ეამბორა დიასახლისის გრძელ თითებს, რომლის ტილოზე გადატანას იტალიელი მხატვარი კარადონი ვერაგზით ვერ ახერხებდა, სასოწარკვეთილი მხატვარი ყველას იმას უმტკიცებდა, რომ ასეთი ლამაზი ხელები ჯერ არცერთ ნახატზე არ ენახა და ერთგვარ მსგავსებას მხოლოდ ბიზანტიური ღვთისმშობლის გამოსახულების განზე გაშვერილ ხელებში პოულობდა.

სრულ ცხრა საათზე მეფისნაცვალი მობრძანდა მეუღლითურთ და ვაჟითურთ.

მას ფეხდაფეხ მოჰყვა მისი კანცელარიის უფროსი და მომავალი ბიოგრაფი ბატონი შჩერბანინი. შუაზელ დე გუფემ კი სალონში სანდომიანი გარეგნობის ახალგაზრდა ინგლისელი მოგზაური შემოიყვანა.

ქალბატონ ზანდაროვს აღტაცებისაგამ პირი გაუშრა და გაწითლდა.

ვორონცოვი ხელზე ეამბორა მას. ელიზავეტა ქსავერიევნამ ლოყაზე აკოცა.

მანანას ცათაფრენა შეუდგა.

მოხიბლული ქართველი თავადები „ჩუენს მამას“ ფეხზე ადგომით მიესა-

ლმნენ და დიდხანს იდგნენ ქვეშევრდომულად ჩავდახრილნი.

ვორონცოვი მამობრივად უღიმოდა მათ. ამ ღიმილს ბევრი ღვთის წყალობას უტოლებდა.

უმრწემესმა ვორონცოვმა, მიხეილ სიმონის ძემ, რაიმონ დე კინტელს ხელი შორიდან დაუქნია და თავისთან მიიხმო. ისიც ჩქარი გოგმანით გაქანდა მისკენ.

მეფისნაცვლის მოსვლის გამო ერთხანს აშლილი სტუმრები ნელ-ნელა მილაგ-მოლაგდნენ.

ჩინოსანი არისტოკრატები დინჯად მუსაიფობდნენ.

ოდნავ დაბნეული და თავისი იკრიბოკრო რუსულით დარცხვენილი ქალბატონი ზახდაროვი ელიზავეტა ქსავერიევნას უწყინარ შეკითხვებს მხოლოდ „ჰო“-ს და „არა“-ს უხვედრებდა.

ვორონცოვი დარბაისელ ქართველ თავადებს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დაარსებისა და მისი სარგებლობის თაობაზე ელაპარაკებოდა.

სალონის შორეულ კუთხეში ვიღაცას წამოსცდა, რომ ვორონცოვი გლეხთა განთავისუფლების მომხრე იყო, ლიბერალობდა და ზოგიერთ „გონიერ“ და „ზომიერ“ დეკაბრისტს მფარველობის ხელსა სდებდა. მის გვერდით დაუფიქრებლივ გაჩნდა ესტატე ბერი, მაგრამ რაკი მოსაუბრეებმა ხმა გაკმინდეს, ბერი პლატონ იოსელიანისაკენ გაეშურა.

დავით გერმანოზიშვილი რამდენიმე თავადთან და ბობოლასთან განმარტოებულ ოთახში ბანქოს თამაშობდა. მათ ზურგს უკან ორიოდე მაყურებელთან ერთად აღამემონ კენტერაძეც იდგა. თავტიტველა, მაგრამ ლამაზსა და ტანწერწეტა თავადს აღგზნებული თვალი ფულების გროვაზე რჩებოდა და ქვედა ტუჩი უკანკალებდა.

დავითი გაბადრული იჯდა თავის სავარძელში, რადგან სტანისლავით თავს იწონებდა და ქაღალდიც კარგი მოსდიოდა.

— რაც ფული გოუჩნდა კნიაზ გერმანოზოვს, ბატონო, ხელიც გამოუბრუნდა, — ჩუმად გადაულაპარაკა აღამემნონ კენტერაძემ მეზობლად მდგარ დოყლაპია მამაკაცს, — მუდამ ასეა იყო, ფული ფულიანს დაეძებს. აპა, ჩვენს ქუჩაზე კი არ გამეივლის. — გაიცინა წვრილმანი ოინბაზობით განთქმულმა თავადმა და დოყლაპია მეზობელიც გააცინა.

გიორგი ერისთავი ანა კენტერაძეს ელაპარაკებოდა, როცა მათ ფულის წაგებით ოდნავ გაბრუებული ილიკო ორბელიანი მიუახლოვდა.

— ნიძლავს ვსდებ, გიორგი, — თქვა მან სიცილით, — რომ კნიაჟნა ანას აქტრისობას სთავაზობ, თეატრში გინდა ათამაშო.

გიორგი ერისთავი შეიშმუშნა, ხელები გაასავსავა.

— არა, არა. კნიაჟნას იმდღევანდელი ამბავი ვუამბე.

ილიკო ორბელიანმა გულიანად გაიცინა.

გიორგი ერისთავი უარესად შეკრთა. ვორონცოვისაკენ ფრთხილად გაიხედა. ახლო მდგარნი მისკენ ცნობისმოყვარეობით მოტრიალდნენ.

— რა იყო, გიორგი? — მიაძახეს მას აქეთ-იქიდან, — ილიკოს სიცილმა რათ შეგაკრთო?

— არაფერი სამაგისო, კნიაზნო. ვიცი ჩვენი ლოთი კარგს არაფერს იტყვის. გაჩუმება ვსთხოვე.

მან ანა კენტერაძეს თვალით რაღაც ანიშნა და ტუჩზე თითი დაიდო.

— სთქვი გიორგი, — უთხრა ილიკო ორბელიანმა, — დასამალი რა არის?

— სთქვი, სთქვი. — თხოვეს სხვებმაც და მყისვე წრე შემოარტყეს.

— ვიტყვი, თუ არ გამთქვამთ.

— აბა, ეგ რა საკადრისია.

— ამას წინათ, — დაიწყო კომედიოგრაფმა, — რეპეტიცია მქონდა. ცხელოდა და ახალუხის ამარა ვიყავი. ამ დროს ჩემმა აქტიორმა დაინახა, რომ ნამესტნიკი კიბეებზე ამოდიოდა. რა უნდა მექნა? მეფისნაცვალს ახალუხში ხომ არ დავხვდებოდი? ბევრი აღარ

მიფიქრია, წალოში გადავხტი და იქ დავიმალე. საათზე მეტი იქ ვიყავი და ვერ აგიწერთ ცხრანაირად მოკეცილი რანაირად დავიტანჯე. კიდევ კარგი, ცხვირისცემინება სწორედ იმ დროს ამიტყდა, როცა ჩემი აქტიორები ნამესტნიკს კიბეებზე აცილებდნენ.

მოყოლილმა ამბავმა საერთო სიცილი გამოიწვია. სიცილმა ვორონცოვის ყურადღება მიიპყრო და ერისთავს მასთან მისვლა ანიშნა.

— დარწმუნებული ვარ, — უთხრა მან კომედიოგრაფს, — თქვენი მეგობრები თქვენი ახალი კომედიის სომეხი ვაჭრის მონოლოგმა გააცინა. ასე არ არის, თავადო?

— დიახ, თქვენო მაღალბრწყინვალებავ! — უპასუხა თავადმა და მოკრძალებით თავი დაუკრა.

— რა სათაური აქვს?

— „ძუნწი“.

— ჰმ... იმედი მაქვს, ქართველების მოლიერი არ დაგვზარდება და მაგ კომედიის შინაარსს გაგვაცნობს.

როდესაც ვორონცოვი გიორგი ერისთავს მოლიერს ადარებდა, ამით მხოლოდ ქართველი კომედიოგრაფის გამხნევებას და წახალისებას ლამობდა. ქართველი არისტოკრატები გაკვირვებული იყვნენ. მათ უკვირდათ, რომ კავკასიაში შეუზღუდველი უფლებებით აღჭურვილი მეფისნაცვალი, იმპერატორის მიერ წყალობით ავსილი, ხანდაზმული და ჭკვიანი გამგებელი კომედიანტებს და ვაჭრებს მფარველობდა და მათ ისევე ანებივრებდა, როგორც ბრწყინვალე თავადებს და ომში გამარჯვებულ გენერლებს.

მოსკოვის, პეტერბურგის და ვარშავის თეატრებში ნამყოფი გიორგი ერისთავი მონოლოგებს არა მარტო კითხულობდა, არამედ ადგენდა კიდეც. ახლაც გამოცვლილი ხმით, სასაცილოდ დამრგვალებული და მოკუნტული, კარაპეტა დაბალოვს თამაშობდა და სალონში მხიარულ სიცილს იწვევდა.

ყველაზე უფრო სანახაობათა მოყვარული ვორონცოვი იცინოდა. ამიტომ თავს შეზღუდულად არავინ გრძნობდა. ესტატე ბერი ხმამაღლა ხარხარებდა. პლატონ იოსელიანს ქვეშევრდომული აღფრთოვანების გამო პირი ფართოდ ჰქონდა დაღებული, გულში კი გიორგი ერისთავს „მაღალი შტილის“ შერყვნისათვის ლანძღავდა.

ქალბატონ ზანდაროვს ზაფრანის ფერი ედო სახეზე და ეჭვი აწვალებდა: „ნეტავი ერისთავი ჩემს ქმარს ხომ არ ამასხარავებს და ეს კომედია ჩემს დასაცინად მოაწყესო“. ექლებზე იჯდა და დაბალოვის ოქროს ხსენება პირს უწითლებდა.

ვორონცოვმა თავდაჭერილი მოძრაობით ნელა ტაში დაუკრა ნიჭიერ აქტიორს და კომედიოგრაფს, სხვებმაც არისტოკრატიული სალონის შესაფერისი ტაშით დააჯილდოვეს ისევე წელში გამართული და კმაყოფილ სახეზე ღიმილგადაფენილი თავადი.

— საუცხოო გოგოა! — თქვა ვორონცოვმა და მეუღლეს ანა კენტერაძეზე ანიშნა.

ელიზავეტა ქსავერიევნა ხანგრძლივად დააცქერდა კოხტა, ზღვისფერთვალება და მუქი თავთუხისფერი კულულებით დამშვენებულ ქალწულს. მერე თავის წყნარი დაქნევით დაეთანხმა ბებრულად, მაგრამ სანდომიანად მომღიმარე ქმარს.

ქალბატონმა ზანდაროვმაც პირველად გაუღიმა ლმობიერად კენტერაძეების ასულს.

კნეინა მაჭატას მეფისნაცვლის და მისი დარბაისელი მეუღლის ყურადღება არ გამოეპარა, ისევ გამოიდარა და შეუმჩნევლად, ზურგსუკან ქოქოლა მიაყარა ხნიერ გენერალთან მორცხვად თავდახრილ სოფიკოს, რომელიც ყოველთვის კომშივით იყო გაყვითლებული, ახლა კი ნერვიულობისაგან ყელზე წითელი ლაქები ეყარა, ხოლო ნიკაპწვეტა სახეზე მოწითალო წინწკლები.

## 6. სალონური დიალოგი

*პოლიტიკის კაცი უსალონოდ არ არსებობს, სალონი უქალოდ.*

**შარლ დე ბერნარი, „იკაროსის ფრთები“**

ანა კენტერაძეს ახალგაზრდა ინგლისელმა მოგზაურმაც დაადგა თვალი და ვეღარ მოაშორა.

— მშვენიერი გოგოა! — გულწრფელი აღტაცებით წამოიძახა მან.

შუაზელ დე გუფმა გაკვირვებით უთხრა:

— იცით, სერ, პირველად ვხედავ ინგლისელს, რომელსაც გულში ნავრძნობი სახეზე აქვს გამოხატული.

ჭაბუკი წამოწითლდა. შუაზელ დე გუფმა განცვიფრებით შესძახა:

— ო, მონ დიე,[1] თქვენ წითლდებით კიდეც?

— ჩემო ქალბატონო, — მიუგო ახალგაზრდა ინგლისელმა და თავი გრძელი მონოლოგით გაიმართლა, — ჩემი ბრალი არ არის, თუ მე ცუდი ინგლისელი ვარ. უთუოდ მოგეხსენებათ, რომ ინგლისელი ლორდები ფრანგის ქალებს თხოულობენ, რათა ლამაზი შვილები გააჩინონ. სწორედ ისე, როგორც სპარსელები და ოსმალები ქართველ ქალებს ირთავდნენ და ირთავენ. დედაჩემი ფრანგი მარკიზის ქალი გახლავთ. მისი ქმარი პარლამენტში იჯდა და „პურის კანონებს“ ქმნიდა. ცოლი წიგნების კითხვით ერთობოდა ან მოგზაურობდა, რა თქმა უნდა, იტალიასა და ესპანეთში. მას უყვარდა კეთილი ჟან-ჟაკი, იმისი მოწაფე ბერნარდენ სენ-პიერი, ავტორი „პოლ და ვირჟინისა“ და ბატონი შარტენი, რომელმაც „სოფიოს წერილები“ დაგვიწერა და სენ-პიერის ქვრივი ცოლად შეირთო. ესენი იყვნენ ჩემი მასწავლებლის მასწავლებლები. მართალია, მე ალბიონის ნისლებში დავიბადე, მაგრამ დედის გული და მგრძნობელობა გამომყვა. შესაძლებელია, ქალბატონო, ჩემი აღსარება სენტიმენტალური იყოს, მაგრამ, მერწმუნეთ, არ შემიძლია ჩემი აღტაცება დავფარო და ამას ჩემი აღზრდა არ დავუკავშირო, როცა მაგ მშვენიერ თვალადის ასულს შევყურებ. განა ჩვენ ასეთსავე რამეს არ განვიცდით, როცა იტალიელების პორტრეტებს ვუყურებთ?

— კარგადა სთქვით, სერ. მაგრამ თბილისში ყოველ მოგზაურს ორი რამ ხიბლავს: ლამაზი ქალი და აბანო. ბოდიშს ვიხდი, რომ ეს ორი სიტყვა ერთად ვახსენე. თუმცა მხოლოდ ის აღვნიშნე, რასაც მოგზაურთა წიგნებში ვკითხულობთ.

— უეჭველია თომა მურმაც, — გაიხსენა ახალგაზრდა ინგლისელმა, — თავის „ლალა რუკში“ ამიტომ დაუკავშირა ერთმანეთს ქართველი ლამაზი ქალები და აბანოები. ნუთუ, ქალბატონო, ქართველებს აბანო რომაელებივით უყვართ?

— მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გითხრათ, — გაიცინა შუაზელ დე გუფმა, — აბანოს ამ ქალაქში ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც სხვაგან კლუბსა და თეატრს.

მათ კნეინა მეხახათუნი მიუახლოვდა. შუაზელ დე გუფმა მყისვე ეს უთხრა მას:

— ეს-ეს არის ლორდმა ისეთი რამეები მითხრა, სულ აღარ მიკვირს შელლის და ბაირონის ინგლისელობა.

— აჰ! თქვენ ლიტერატურაზე საუბრობდით? — იკითხა კნეინამ, — უცხოელებს ხომ მარტო თბილისელი მექისეები აკერიათ ენაზე!

— და ქართველი ქალები, ძვირფასო ტატიანა! — სიცილით დაუმატა შუაზელ დე გუფმა.

მუდამ თამამმა კნეინა მეხახათუნმა მხრები ირონიულად შეათამაშა.

— სწორედ გითხრათ, არ მომწონს როცა ევროპელები ქართველ ქალებზე და აბანოებზე ერთნაირის აღტაცებით წერენ. აქამდე კარგად არ ვიცი, რომლით უფრო მოხიბლული არიან ბატონი გამბები და როტიერები.

სამივემ გაიცინა.

რადგან კნეინა მეხახათუნი ფრანგულად სხაპასხუპით ლაპარაკობდა და

[1] ღმერთო ჩემო! (ფრანგ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხაპასხუპით უშვებდა შეცდომებს, ტაქტიანი შუაზელ დე გუფი ისევ ახალგაზრდა ინგლისელს მიუბრუნდა.

— სერ, კნიაჟნა ანნას სილამაზის აღწერილობას ალბათ მალე წავიკითხავთ თქვენს „სენტიმენტალურ მოგზაურობაში“.

ინგლისელმა თავი დაუკრა. კნეინა მზეხათუნი დაინტერესდა.

— რომელ ანნაზეა ლაპარკი, მა შერ?

— ანნა კენტერაძეზე.

— მშვენიერი ქალია, — თქვა კნეინა მზეხათუნმა, — მაგრამ ასეთი კაფანდარა იმერლებში იშვიათი არ არის.

ახალგაზრდა ინგლისელს რაღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ყოყმანობდა. შუაზელ დე გუფი და კნეინა მზეხათუნი მას მიაჩერდნენ.

— სთქვით, — გაათამამა ახალგაზრდა ინგლისელი შუაზელ დე გუფმა, — ვგონებ ამ ლამაზმანში რაღაც ნაკლი აღმოაჩინეთ, არა?

— ჩემი შენიშვნა მხატვრისაა და არა მამაკაცის, — მორიდებით წარმოთქვა ინგლისელმა მოგზაურმა, — მაგ ქალის ზღვისფერ თვალებს და ოდნავ სევდაგადაკრულ გამომეტყველებას ფერმიხდილობა უფრო მოუხდებოდა.

კნეინა მზეხათუნმა გაიცინა.

— ეგ აქაური წამლების ბრალია, ბატონო. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მაგ გოგოს დედამ დაუწითლა ლოყები. ტახტზე მუხლმორთხმით ჯდომა და ფერუმარილის წასმა ქართველმა ქალებმა აღმოსავლეთისაგან ვისწავლეთ. მაგრამ ევროპა მაგასაც დაგვავიწყებინებს, ბევრმა დაივიწყა კიდეც.

კნეინა მზეხათუნმა თვალი შეავლო ქართველ არისტოკრატ ქალებს, რომელთა უმრავლესობა ფერუმარილს აღარ ხმარობდა, მაგრამ წარბები ისევ ძველებურად ჰქონდათ გაკეთებული და გაშავებული.

— თავისი გასაოცარი სილამაზის მიუხედავად, — თქვა გათამამებულმა ინგლისელმა, — ყველაზე ბუნებრივად მაინც სახლის დიასახლისი გამოიყურება.

კნეინა მზეხათუნს ესიამოვნა, მაგრამ არ შეიმჩნია.

— მაგრამ...

— მაგრამ? — ჰკითხა შუაზელ დე გუფმა.

— მაგ ქალის ღვთაებრივ სილამაზეს, — განაგრძო ინგლისელმა, — ძველი ბერძენი მოქანდაკის ხელი დაჰკლებია, რათა ისეთ ქვეყნებშიც გამოიწვიოს აღტაცება, როგორიც იტალია, ესპანეთი ან საფრანგეთია. ეგ სათნო სახის ქალი მხოლოდ კათოლიკურ ირლანდიაში მოეწონებოდათ და ღვთისმოსაობით აღტყინებულნი ლოცვას აღავლენდნენ, რათა მიწიერი სიხარულის დამთრგუნველნი უფრო მკაცრნი გახდარიყვნენ, ვიდრე არიან.

ახალგაზრდა ინგლისელი უცებ შეჩქვიფდა, რაც უნებურად დასცდა, იმის თქმას უკვე ნანობდა. წელანდელზე უარესად გაწითლდა. გულკეთილი შუაზელ დე გუფი ვერაფრით ვერ მიეშველა, რადგან მის გვერდით ქალბატონ ზანდაროვის ნათესავი ქალი იდგა. კნეინა მზეხათუნმა ინგლისელს უხერხულობა შეატყო თუ არა შინაურულად გაუცინა და უთხრა:

— ეგ ლამაზი ქალი ჩემი ძმისწულია. რა თქმა უნდა, ბატონო, ეს რომ გცოდნოდათ, ასეთ გულახდილობას არ გამოიჩენდით. თქვენი ახალგაზრდობის მიუხედავად, მაგ სათნო ქალს დედაკაცური ნაკლი შენიშნეთ, ვნების იმ ცეცხლის უქონლობა, რასაც გარეგნულად მდუმარე იტალიელი ქალები, გაგონილი მაქვს, ასე მოხერხებულად ჰფარავენ. ამ ნაკლს ყველა გამოცდილი მამაკაცი ადვილად შეამჩნევს და ნება მომეცით დაგეთანხმოთ კიდეც. მაგრამ განა თქვენს ნათქვამში აღტაცებაც არ იყო გამოხატული? განა ჩემი ძმისწულის ღვთაებრივ სილამაზეში ბუნებრივი სისადავე არ აღმოაჩინეთ? ყველაფერი ის, რაც ჩვენს ყურადღებას იპყრობს, ღირსებებისა და ნაკლის მიუხედავად, აღმაფრენას თუ არა, მოწონებას მაინც უტოლდება (სიტყვა „მოწნება“ კნეინა მზეხათუნმა თვა-

ლების აყუჟუნებით წარმოთქვა). თქვენც, ჩანს, ამ სახლის დიასახლისი ამიტომ მოგეწონათ, თუმცა არ ვიცი კათოლიკე ირლანდიელი ბრძანდებით თუ არა. რას იზამთ? გულახდილად რომ ვთქვათ, მიწიერი მაინც უფრო ძლიერია, ვიდრე ზეციური. ეს იმდენად ადამიანურია, რომ თვით ღმერთქალი შეიძლება ზეციდან დედამიწაზე ჩამოვიყვანოთ. ზოგჯერ მიწიერ სიხარულს ისეთნაირად ვეწაფებით, რომ გამოფხიზლებულნი გაოცებულნი ვრჩებით.

მზეხათუნმა ფრანგულად ერთბაშად რამდენიმე შეცდომა დაუშვა, მაგრამ თავის აზრი ისე სხარტად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა, რომ გაოცებული შუაზელ დე გუფი ყურადღებად გადაიქცა.

არც შუაზელ დე გუფს და არც ახალგაზრდა ინგლისელს, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა სცოდნოდათ, რომ მზეხათუნი მაგდა გოსტაშაბიშვილის ამასწინანდელ ნათქვამს იმეორებდა.

## 7. დაკმაყოფილებული პატივმოყვარეობა

მისწერა ხელმწიფეს, რომ ქუთაისიდან ტრაპიზონამდე, გაეკეთებინა გზა, ამისთვის, რომ იტყოდა, ანგლიჩანები ტრაპიზონიდგან გაკეთებენო გზას და ვაჭრობა სპარსეთისა იმათ დარჩებათო და აქ რო გაკეთდესო, ვაჭრობა ჩვენი იქნებაო!

**გ. ერისთავი, „ჩემი მოგზაურობა ევროპაში".**

ყავის ჩამოტარების დრო იყო, როცა სალონში გრიგოლ ზანდაროვი შემოვიდა. ქმრის მოულოდნელი გამოჩენით სახტად დარჩენილი მანანა გაოცებული წამოდგა სავარძლიდან.

განცვიფრებამ თვალიც დაუბურა და ენაც წაართვა.

მერე მკაფიოდ დაინახა წარმოსადეგი, არაჩვეულებრივად ლამაზი მამაკაცი, რომელსაც დენდის გემოვნებით ეცვა და არისტოკრატის ღირსებით ეჭირა თავი. ეს მისი ქმარი იყო, სჯულიერი მეუღლე. თვალის ერთმა, სწრაფმა შევლებამ მას სიამაყის გრძნობაც განაცდევინა და აღტაცებაც, მაგრამ სახეზე ეს არაფრით გამოხატა.

ზანდაროვი ყველას რანგის მიხედვით უკრავდა თავს და აღფრთოვანებული იმაზე ნეტარებით ფიქრობდა, თუ როგორი შარავანდედით მოსავდა მის სახელს, სადაც თვით მეფისნაცვალი იმყოფებოდა, დიდგვაროვანი თავადის ტურფა ასული, რომელიც მისი კანონიერი ცოლი იყო, მისი ოჯახის დიასახლისი, მისი უცილობელი საკუთრება.

მხოლოდ მეფისნაცვლის თანაყოფა უშლიდა ზანდაროვს თავი მაღლა ამაყად აეწია, როგორც ეს მან გამარჯვების განცდის ჟამს იცოდა ხოლმე.

ცოლს, მარგალიტივით ცივს და ბრწყინვალეს (ზანდაროვი ოქრომჭედლივით სდებდა ფასს მის ნაკლსა და ღირსებას) ლოყაზე ბაგე ოდნავ შეახო და ისე აკოცა, მეფისნაცვალს მდაბლად თავი დაუკრა, ხოლო ელიზავეტა ქსავერიევნას ხელზე ისეთი მოხდენილი ტაქტით ეამბორა, რომ თვით პირწავარდნილ არისტოკრატს შეშურდებოდა.

ვორონცოვმა მას თავაზიანად ჩამოართვა ხელი, თითქმის შინაურულად, მაგრამ მფარველობის ისეთი ღიმილით, რომ მის ხელმწიფურ ღირსებას ერთ მისხალსაც არ აკლებდა. გვერდით მოისვა და ჰკითხა:

— რა ამბებია კონსტანტინოპოლში, ბატონო ზანდაროვ?

— ჯერჯერობით მშვიდობა, თქვენო მაღალბრწყინვალებავ! — მიუგო ქვეშევრდომული აღმაფრენით, მაგრამ იმავე დროს დიდმნიშვნელოვანი ინტონაციით ზანდაროვმა, — პატივი მაქვს გადმოგცეთ ჩვენი კონსტანტინოპოლელი ელჩის ბატონ ალექსანდრე პეტრეს ძე ოზეროვის მოკითხვა.

— გმადლობთ. გმადლობთ. სხვას რაღას გვეტყვით?

— სამწუხაროდ, კარგ ვერაფერს, თქვენო მაღალბრწყინვალებავ! ინგლისელები და ფრანგები ძალიან გათამამდნენ. სულთნის დიდკაცებში აუარებელ ქრთამებს ხარჯავენ. ხელმწიფის ვაჭრებს გვდევნიან, გვავიწროებენ, საქონელს საბაჟოებში გვიჩერებენ, ყველგან ინგლისელთა აგენტები დაძრწიან

და რუსების სიძულვილს ქადაგებენ.

— ჰმ. ვიცი.

ვორონცოვი ჩაფიქრდა. ზანდაროვი დაახლოებით იმასვე ამბობდა, რასაც რუსეთის სტამბოლელი რეზიდენტები საიდუმლო ბარათებით პეტერბურგში იწერებოდნენ. იქ, სტამბოლში, რაღაც არაჩვეულებრივი რამ ხდებოდა. ამას რეზიდენტები დიდვეზირის და რეის ეფენდის საშუალებით გებულობდნენ. მაგრამ ჩანდა მოსალოდნელ ომზე კონსტანტინოპოლის ქუჩებშიც და მოედნებზეც ჩურჩულებდნენ. ამიტომ თადარიგის დაჭერა მართებდა რუსეთის სტამბოლელ ელჩსაც და კავკასიის მეფისნაცვალსაც. ოზეროვის მოკითხვის აზრის გაშიფვრა ვორონცოვს ახლა სულ ადვილად შეეძლო. ზანდაროვს წყალობის თვალით გადახედა, გაამხნევა:

— რუსეთის ვაჭრებს არვის დავაჩაგვრინებთ, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონო ზანდაროვ.

— მართალი ბრძანებაა, თქვენო მაღალბრწყინვალებავ მაგრამ ოსმალებს ინგლისელები და ფრანგები აქეზებენ. ჩემი დიდი მეგობარი, ტრაპეზუნდის გუბერნატორი მუხამედ ვასიფ-ფაშა როჲ არა, ოსმალეთიდან ერთ ჩხირსაც ვერ გამოვიტანდი.

— გზა, გზა უნდა გავიყვანოთ ქუთაისიდან ტრაპიზონამდე, — წამოიძახა მეფისნაცვალმა, — ინგლისს სპარსეთისაკენ მიმავალი გზა უნდა გადავუჭრათ, ოსმალეთიდანაც უნდა გავდევნოთ, დარდანელის გასაღები პეტერბურგში უნდა ჩამოვკიდოთ...

თავისი ძველი პროექტით ერთბაშად აღტაცებული ვორონცოვი უხერხულად გაჩუმდა, რაკი მოაგონდა, რომ დიდმნიშვნელოვან სახელმწიფო საქმეზე და მეტისმეტად დახლართულ აღმოსავლური საკითხის სასურველ პერსპექტივაზე ვაჭრის მეუღლის სალონში ლაპარაკობდა; აპილპილებამ სწრაფად გაუარა, თავს თავდაჭერილება უსაყვედურა და უსიამოვნოდ გაიფიქრა: „ჩანს დავბერდიო". ისევ ღმობიერად გაიღიმა და საუბარი სულ სხვა საგანზე გადაიტანა.

— ამ ზამთარს კონსტანტინოპოლში კარგი ბალ-მასკარადები გამართულა.

ზანდაროვმა პასუხი არ დააყოვნა:

— დიახ, თქვენო მაღალბრწყინვალებავ! — კარგი ბალ-მასკარადები გახლდათ. მე თვითონ არსად არაფერს დავკლებივარ, მაგრამ, სიმართლე უნდა მოგახსენოთ, თქვენო მაღალბრწყინვალებავ, არც თქვენი ბალები არის ნაკლები, უკეთესი თუ არა.

— ვითომ, ვითომ?! — ესიამოვნა ვორონცოვს.

— ჩვენი ელჩის ცოლს თქვენი ბალები რომ ავუწერე, განცვიფრებული დარჩა.

— ეგ პეტერბურგშიც უკვირთ. — თავი მოიწონა ვორონცოვმა.

— ელჩის ცოლმა ასე ბრძანა, მაშ თუ ეგ ეგრეა, პეტერბურგს, პარიჟს, ვენას და კონსტანტინოპოლს თბილისიც უნდა მივუმატოთო.

ვორონცოვი გაიბადრა.

— თქვენო მაღალბრწყინვალებავ! — მოაგონდა ზანდაროვს, — კონსტანტინოპოლში თბილისისკენ მომავალ მომღერლებს შევხვდი.

— მაშ, ისინი მალე ჩამოვლენ!

წამოიძახა გახარებულმა ვორონცოვმა. ელიზავეტა ქსავერიევნას სიამის ღიმმა გადაურბინა სახეზე. სხვებმა ყურები ცქვიტეს. ზანდაროვი ოპერის იტალიელ მომღერლებზე ლაპარაკობდა.

— აქტიორები აქლემების ძებნით იყვნენ გართულნი, — თავდაჭერილი სიცილით განაგრძო ზანდაროვმა, — ძლივს დავაჯერე, რომ ხომალდიდან გადმოსვლის შემდეგ თბილისში საფოსტო ეტლითაც შეიძლება ჩასვლა.

— ხა, ხა, ხა. იტალიელები ცუდად იცნობენ გეოგრაფიას თავიანთ ჩექმაში? — იხუმრა ვორონცოვმა.

— იმათი აქტრისებიც გავიცანი.

— სახელდობრ?

— ქალბატონი ვაზოლი და ქალბატონი რამონი.

ვორონცოვმა წარბები აწკიპა და ზანდაროვს თითი დაუქნია.

— მაშ სრული საფუძველი მაქვს თქვენი მშვენიერი მეუღლე გავაფრთხილო.

ქალბატონმა ზანდაროვმა მეფისნაცვლის ჩამოკრულ სიტყვაზე გაიღიმა, მაგრამ მალე ეჭვმა სახე დაუბნელა. თვალწინ ხან ელჩის ცოლი ედგა, ხან მომღერალი ქალები. ეს მისი პირველი ეჭვი იყო ქორწინების შემდეგ.

ვორონცოვი ყურადღებით მიაცქერდა ზანდაროვს. ზანდაროვიც, თავის მხრივ, თავდაჭერილი შეფრფვინვით უჭვრეტდა მის თეთრ ჯვარს (ნაპოლეონზე გამარჯვების ნიშანს). ვორონცოვი თავისდაუნებურად კმაყოფილი ღიმილით აქცევდა ყურადღებას იმას, თუ როგორ მოხდენილად ეჭირა ხელში მასპინძელს იაპონური ფაიფურის ფინჯანი. მის წინ პირწავარდნილი არისტოკრატი იჯდა.

სანთლების გამოცვლის დრო იყო, როცა სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ.

ზანდაროვმა ვორონცოვი ლანდომდე მიაცილა.

კნეინა მზეხათუნმა დამარტოხელებული ძმისწული გულდასმით შეათვალიერა და უთხრა:

— ძალიან ლამაზი ქმარი გყავს, სულო!

მანანამ ეს ქათინაურად მიიღო, დაამთქნარა, ბეჭდისოდენად დალებულ პირზე პირჯვარი გამოისახა და მამიდას გულგრილად ჰკითხა:

— მაგას რატომ მეუბნები?

— იმიტომ, რომ მაგისთანა ლამაზ ქმარს გაფრთხილება სჭირდება.

მანანამ უკმეხად მიუგო:

— მე უფრო ლამაზი ვარ.

— მართალი ხარ, სულო, მართალი, — მყისვე დაეთანხმა მზეხათუნი, — ძალიან ლამაზი, მეტისმეტად ლამაზი. დედაშენიც ეგრე ლამაზი იყო, მაგრამ იარალი სოფლის გომბიოებს დასდევდა.

მანანას შეშფოთება გამოეხატა სახეზე.

— არ ვიცი, ეგ რათ დაგჭირდა?

მზეხათუნმა ძმისწული ერთი წამით ისევ შეათვალიერა, წასასვლელად მომზადებულმა ღამემშვიდობისა უსურვა.

— ძილი ნებისა, სულო!

ქალბატონმა ზანდაროვმა ვერაფერი გაიგო. მამიდის ნათქვამს ასავალ-დასავალი ვერ მოუძებნა. მაგრამ იმ დღიდან ქმრის მიმართ უფრო მეტ ყურადღებას იჩენდა, ვიდრე აქამდე ამჟღავნებდა.

## კარი ოცდამეექვსე

### I. ოპერა ქარვასლაში

> ფიგარო აქა,
> ფიგარო იქა,
> ფიგარო ქვევით.
> ფიგარო ზევით,
>
> მოცარტე

თბილისის ოპერა „ლუჩია დე ლამერმურით“ გაიხსნა.

1851 წლის 9 ნოემბრიდან თბილელი არისტოკრატები და გამდიდრებული ვაჭრები ყოველ ღამე თამამშევის ქარვასლის თეატრში დაიარებოდნენ იტალიური ოპერების საყურებლად და მოსასმენად.

ზედიზედ მიდიოდა: „ერნანი“, „რიგოლეტო“, „ლუკრეცია ბორჯია“, „სომნაბულა“, „სევილიელი დალაქი“, ჯემმა და ვირჯი“, „ფურიეზო“, „ნორმა“, „რობერტი“, „ლომბარდი“, „ლა ფავორიტა“, „ლუჩია დე ლამერმური“, „პურიტანი“, „მონტეკი და კაპულეტი“, „ბეატრიჩე“, „ფილია და რეჯიმენტო“, „ელეონორა“, „დონ პასკუალე“.

იტალიური ოპერა!

მავრიტანულ დარბაზში უზარმაზარი პარიზული ჭაღი ჩახჩახებს.

პლაფონი და კედლები ოქროს, ვერცხლის, ფირუზის, ლალის და იაგუნდის ბაზი ფერებით არის მოხატული.

თვალს იპყრობენ და იტაცებენ აღმოსავლური კეკლუცი არშიები. ვაკარიჩს ერთმანეთში მოხდენილად ჩაუქსოვია ქართული ფრესკის სურნელება, ბიზანტიური მუქი სინათლე, როკოკოს ფუფუნება, მხიარული სპარსული ფერადოვნება, მკაცრი ოსმალური გეომეტრიული ფიგურები, ფაქიზი მავრიტანული ზოლები და სანახაობას დაქიმითებული ბურჟუას მყვირალა გემოვნება. ამიტომ იყო, რომ ევროპელები ერთდროულად ვენეციაშიც გრძნობდნენ თავს და აზიაშიც.

— თავი ხან პარიზში მგონია, ხან ვენეციაში. რაც შეეხება დარბაზს და მის დეკორს, ნაწილობრივ აზიაში ვიმყოფები. — ეუბნება ერთი მოგზაური მეორეს.

თეატრის მსხვილ გურზებიან ფარდაზეც აღმოსავლური ღირსშესანიშნაობანი დასავლურთან არის შერწყმული. ფარდის ერთ მხარეზე ქართლის პეიზაჟია გამოხატული: ქართველი ქალები და კაცები, პურის ძნები, ყურძნის მტევნები, ხმლები და შუბები, ზურნა, დაირა და დიპლიპიტო, ხოლო მეორე მხარეზე: ქვის ხიდები, ორთქმავლები, ქარვასლები და სასახლეები.

ფარდას არისტოფანის, ლოპე დე ვეგას, კალდერონის, მოლიერის და გოლდონის სურათები დაჰყურებენ.

მოოქროვილ ლოჟებში ულამაზესი ქალები სხედან.

მანდილოსნები კრიოლინებით, კნეინები ქართული გულისპირებით, თავადები კაბებით და ჩოხებით, დენდები, ბომონდები, ფრანტები, გენერლები, კონსულები და მოგზაურები ერთიმეორეში ირევიან და თეატრის დარბაზში უფრო ბალ-მასკარადის სტუმრებსა ჰგვანან, ვიდრე სპექტაკლის მაყურებლებს.

სამეფო ლოჟაში მეფისნაცვალი და დიდი მთავრები სხდებიან.

სპარსელი პრინცი ბეჰმენ მირზა თავისი ბრწყინვალე ამალით დაბრძანდება იტალიურ ოპერაში. სპარსეთის გენერალური კონსული კასიმ-ხანი დიპლომატიურ შეხვედრებს და მუსაიფს მართავს მის ლოჟაში.

ყოველ ღამე მოდის თეატრში საფრანგეთის კონსული სტეიერტი, დიდის გემოვნებით ჩაცმული და ხალისიანი ბონვივანი.

ოსმალეთის კონსული — კაპუჯი-ბაში ბეი ზოგჯერ მის ლოჟაში ჯდება და მასთან ერთად უსმენს „სევილიელ დალაქს“.

გაბშირებული ინგლისელი მოგზაურები პარტერით კმაყოფილდებიან, მაგრამ ყველაზე და ყველაფერზე ფხიზლად უჭირავთ თვალიც და ყურიც.

მეფისნაცვლის ლოჟაში რამდენჯერმე გამოჩნდა ახალგაზრდა ინგლისელი მოგზაური, რომელსაც შუაზელ დე გუფი ყველგან დაატარებდა და, როგორც შემდეგ გამოირკვა, არაბულად ინგლისურივით ლაპარაკობდა.

ანტრაქტებში შუახნის დარბაისელი მამაკაცები შამილთან ომზე საუბრობენ და ჩურჩულით აღნიშნავენ შავ ზღვაზე შავი ღრუბლების გამოჩენას.

ახალგაზრდა, სახეზე პუდრწაყრილ ფრანტებს ამნაირი საუბრებისათვის არა სცალიათ, პარტერის სავარძლების მწკრივებში მიმოფანტულნი ლოჟებში გამოფენილ ლამაზ ბანოვნებს ლორნეტმომარჯვებულნი გასცქერიან.

მოპირდაპირე ლოჟებიდან ერთმანეთს ათვალწუნებით უყურებენ მანანა ორბელიანი და მანანა ზანდაროვი.

სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანი თავის ლოჟაში დედოფლობს.

მას მუდამ თან ახლდა მისი და, ჯერ ისევ ლამაზი და მომხიბვლელი ქვრივი, ნინო ჭავჭავაძე.

მეზობელ ლოჟაში ბარონესა ნიკოლა ნებივრობს, ნინოს და ეკატერინეს უმცროსი და სოფიო — კამერ-იუნკერ ბარონ ნიკოლაის მეუღლე.

მრავალრიცხოვანი ლოჟებიდან თავმომწონედ გამოიყურებიან დამდიდრებული მდაბიონი, მათი ცოლები და ასულები. უთვალავი მარგალიტებით და ოქროს სამკაულებით დამძიმებული გუ-

შინდელი „ეზოს დედაკაცები“ ღირსეულად აირან გამოჭიმულნი ლოჟებში და სულ არ ეუცხოვებათ იტალიურ ოპერაში ყოფნა. პირიქით, დაწითლებულ სახეებს მარაოთი იგრილებენ და ამპარტავნობენ.

ლოჟების ამ რიგში ყელმოღერებული და მუდამ პირმომცინარე მაიკო კურტანიძე ქურდულად გრიგოლ ზანდაროვს უთვალთვალებს, მოსაჩვენებლად კი პარტერში ცელქი ღიმილით იცქირება, რადგან აღტაცებული „ხახვის ფრანტები“ მას თვალს არ აშორებენ. მის გვერდით ბართლომე კურტანიძე ზის. უსაქმოდ ის არც ოპერის ლოჟაში იმყოფება და თავჩაღუნული საფულეს თასმას უსწორებს. ხანდახან მაიკო კურტანიძისაკენ გრიგოლ ზანდაროვი თვალს აპარებს, მაგრამ მხოლოდ იმ დროს, როცა მანანა რამით არის გართულ-გატაცებული ან რომელიმე ლოჟაში ნაცნობს თავს უკრავს.

ზანდაროვებიც თითქმის ყოველ ღამეს ოპერის თეატრში ატარებენ. მათი მუდმივი ლოჟა სამეფო ლოჟის მახლობლად იყო.

უზომოდ ბედნიერი ქალბატონი ზანდაროვი მედიდურად იჯდა ლოჟაში. ალეწილ სახეს თეთრი ვეება მარაოთი იგრილებდა და პირმოკუმული სულ იმას ცდილობდა სხვების ყურადღების საგანი გამხდარიყო.

სოვდაგრის ნებიერი ცოლი უფრო მეტოქე ლამაზმანების ყურებით იყო გართული, ვიდრე ლაპარაკით.

სამეგრელოს დედოფლის უკვე საკმაოდ თვალსაჩინო ღაბაბი მას მხიარულ გუნებაზე აყენებდა, მანანა ორბელიანი და თვით ნინო ჭავჭავაძე დაბერებულად ეჩვენებოდა, ცქრიალა სოფიო ჭავჭავაძეს, მისი დაკვირვებით, სიყვითლე ეპარებოდა, მაიკო კურტანიძე კი აინუნში არ მოსდიოდა, რადგან თავის ტოლად არა თვლიდა. მეტსახელად მას „ბაზრის დედაკაცს“ უწოდებდა, თუმცა მისდამი ზოგიერთი თავადის, და მათ შორის, დავითის ყურადღება გულწრფელად აოცებდა. მას მხოლოდ კნეინა გოსტაშაბიშვილი აღელვებდა და იდუმალი შიში იპყრობდა იმის გამო, რომ მისი ქმრის ყოფილ საყვარელს სიბერე არ ეკარებოდა და თავის გოროზ გარეგნობასთან ერთად ახალგაზრდულ იერსაც ინარჩუნებდა. ამას საერთო ნაცნობები იმას მიაწერდნენ, რომ კნეინა გოსტაშაბიშვილი დედით სლავი იყო, ქართველი ქალები კი, ჩვეულებრივ, ადრე ბერდებოდნენ.

სიმდიდრით განებივრებულ და ლამაზი მამაკაცის ცოლს თავისი პირმშვენიერობის აზრი შეურყეველი რწმენით ჰქონდა განმტკიცებული. ამიტომ საკუთარი ასაკი არ ადარდებდა. ასაკოვან მზეთუნახავს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდიდა თბილისში ბალზაკის რომანებით გატაცება, სადაც სწორედ ოცდაათწლიანი დედაკაცები იყვნენ ხოტბაშესხმულნი.

ნორჩი და კეკლუცი ქალების მიმართ ქალბატონი ზანდაროვი მხოლოდ მფარველობით ყურადღებას იჩენდა. მას მოსწონდა ზღვისფერთვალება ანა კენტერაძე, მაგრამ აღშფოთებული იყო იმის გამო, რომ თავადის ასული გიორგი ერისთავის თეატრში თამაშობდა და ჩუმად, დედ-მამის გაუგებრად, აზნაურ ცალქალამანიძეზე დაქორწინებულიყო.

## 2. მაყურებლები

ისედაც მშვენიერ დარბაზს, მაყურებლები კიდევ უფრო მეტად ამშვენებენ.

**ალექსანდრე დიუმა, „მოგზაურობა კავკასიაში“**

იმ საღამოს თბილელი თეატრალები მეიერბერის „რობერტის“ საყურებლად მიეშურებოდნენ.

ქარვასლის წინ, მოედანზე, დიდი შადრევნის კიდესთან, ზანდაროვები გენერალმა ბებუთოვმა გააჩერა. დიდი ხნის უნახავ მანანას გადაეხვია, შუბლზე აკოცა და სიყვარულით მოიკითხა. ზანდაროვს ხელი ჩამოართვა და ქათინაურიც უთხრა.

ზანდაროვი ოდნავ განზე გადგა. თავი აღამემნონ კენტერაძეს დაუკრა. ტან-

წერწეტა თავადს ბურთივით დამრგვალებული ცოლი მკლავზე დაკიდებული მოჰყავდა. ზანდაროვმა უნებლიედ გაიწია მათკენ, რათა გამოლაპარაკებოდა და ქათინაური ეთქვა.

ალამემნონ კენტერაძეს და მის ცოლს ყველანი თავს უკრავდნენ, ხელს ართმევდნენ და დიდის ამბით ესალმებოდნენ ხოლმე. ზოგს „ჭორების ბოლინიასი“ ეშინოდა, ზოგს „ქაჩალ კრასავიცასი“. ამ უკანასკნელს სასახლის წინ ზოგჯერ იმ „ყვითელ ყუთთან“ ნახულობდნენ, რომელშიაც დამბეზღებლები მამხილებელ წერილებს ყრიდნენ. ვორონცოვის თითქმის ყველა კმაყოფილი იყო, მაგრამ მაინც ყველა ფრთხილობდა და ზედმეტ ლაპარაკს ერიდებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა ახლომახლო ესტატე ბერი და ალამემნონ კენტერაძე ტრიალებდნენ.

ზანდაროვს ჭორიკანა ცოლ-ქმარი არ უყვარდა, მაგრამ მათს საამებლად კარგი სალამი მუდამ პირზე ეკერა. ახლაც ისე მოიქცა, როგორც ჩვეულებრივ იქცეოდა.

— მაჭატას ვახლავართ, ფაცუნას გაუმარჯოს!

— უფალ გრიგოლს ვახლავართ.

კენტერაძეები ზანდაროვს შემოეხვივნენ.

ანახანუმის ვაჟმა ზანდაროვს მოურიდებლად მიმართა:

— სამმანეთიანი მასესხეთ, უფალო გრიგოლ, ფუჩეჩი ფული არა მაქვს, თვარა აქ როგორ შეგაწუხებდი!

ალამემნონ კენტერაძე ფულის სესხებით ყველას თავს აბეზრებდა და თუმცა ნასესხებს უკან არასდროს არ აბრუნებდა, უარს იშვიათად ეუბნებოდნენ. ოღონდ ნათხოვნ თანხას უნახევრებდნენ ან მხოლოდ რამდენიმე გროშს იმეტებდნენ მისთვის.

გრიგოლმა ჯიბიდან ქისა ამოიღო, თან ყასიდად დაატანა:

— ფული რათ გინდა, ფაცუნა?

— აქტრისებს ბუკეტი უნდა ვუყიდო, უფალო გრიგოლ.

მაჭატამ ქმარს ქოქოლა მიაყარა.

— ამ ოხერს ცოლისთვის და ქალისთვის ვერ მოუვლია და აქტრისებისთვის ირჯება!

— კარგი ერთი და, კნეინავ!

გამოექომაგა ალამემნონ კენტერაძეს გრიგოლი, რომელიც ულვაშებში იცინოდა.

კნეინა მაჭატა უარესად გაცხარდა.

— აი, მეხი კი დავაყარე მაგის მოტვლეპილ თავსა. მაგის ქალმა შეიდიში თეატრის წინ საქვეყნოდ გამოჰკიდა და თავი მოგვჭრა, ანახანუმმაც ისე დაუწყევლა, როგორც ეკადრებოდა, მეც თვალებიდან ცრემლები მაღვრევინა და, უყურეთ, თვითონ აქტრისებს ეკურკურება!

ქალიშვილის აქტრისობას კნეინა მაჭატა ხალხში მოთქმა-გოდებით აღნიშნავდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მუდამ თეატრის სალაროსთან იყო დარჭობილი, რათა ანას ჯამაგირი თვითონ აეღო და მერე აღარ გამოეჩინა.

— რა ვქნა, გრიგოლჯან, — თავი დაისაწყლა ალამემნონმა, — ჩემი და ანას ნაშოვნი ფული ჩემს ცოლს ქისით წელზე ჰკიდია და ამგვარად გოუბედურებულს გროში აღარ მაბადია, რომ სადმე პირი გევისველო.

კნეინა მაჭატა ქმრის ვალში დარჩენას არ აპირებდა, რაღაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ პირში წყალი ჩაიგუბა და ქალბატონ ზანდაროვის გაფითრებულ სახეს ცნობისმოყვარეობით დააშტერდა. იქვე ახლოს კნეინა გოსტაშაბიშვილმა გაიარა. ყველამ მას გააყოლა თვალი. მანანა აიმრიზა. რაღაცნაირად შეშურდა კნეინა გოსტაშაბიშვილის დედოფლური გავლა.

გენერალმა მანანა შვილივით დაარიგა:

— გაფრანცუზებულ კნეინებს ერიდე, ჩემო ტურფავ. ძაგათ სხვა თილისმები აქვთ და მორიდებითაც არაფერს ერიდებიან. ამას წინათ მთელი პეტერბურგი ნესელროდეს პარიჟში გაქცეულ რძალზე ლაპარაკობდა.

მანანამ ითაკილა. შეურაცხყოფილის სახე მიიღო. არ უყვარდა, როცა გა-

დაკრულად მასთან მისი ქმრის კნეინა გოსტაშაბიშვილთან ყოფილ ურთიერთობაზე ლაპარაკობდნენ.

ბებუთოვმა ნათქვამი ქათინაურებით გამოასწორა:

— მანანაჯან! შენი პირიმზეობის ამბავს პეტერბურგამდე მიუღწევია. ჩვენი სპარსეთელი ელჩი კნიაზი დოლგორუკოვი „ბოჟესტვენაია კრასავიცას“ გეძახის. აქაური ლამაზები ხომ შურით იხოცებიან!

მანანას ხოტბა ესიამოვნა, გენერალს ტკბილად გაუღიმა.

ცოტა ხნის შემდეგ, ქარვასლის მესამე სართულზე, თეატრის ვესტიბიულში გენერალი ბებუთოვი ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეებს შეეფეთა. დები დიდის ამბით მოიკითხა, ქათინაურების გუდას თავი მოხსნა.

— მზეთუნახავებო! თქვენი სიტურფე სალაპარაკო საგნად გამხდარა ზიმნი დვარეცში. ნინაჯან! გულახდილათ მითხარი, რამდენი შეყვარებულის ცოდო გადევს კისერზე? კატინკაჯან! ბოროტი ენები ამბობენ, მინგრელიის დედოფალი იმიტომ ჩამობრძანდა ზუგდიდის სასახლიდან, რომ ორი დუელი და სამი თავის მოკვლა მოახდინოსო.

დებმა ჯერ გადაიკისკისეს, მერე გენერალს მომხიბვლელად გაუღიმეს.

ამ დროს მათ თვალი შეასწრეს ქალბატონ ზანდაროვს და მის ქმარს, მაგრამ მყისვე პირი მოარიდეს. გენერალმა ეს შენიშნა, ნიაზით ჰკითხა:

— ლამაზებო, იარალის ქალთან გაბუტული ხომ არა ბრძანდებით?

— არა... არ ვიცი. ერთი სიტყვით, ერთმანეთს პირს ვარიდებთ. — უპასუხა უფრო თამამმა ეკატერინემ.

— რათა? რა არის მიზეზი?

— გენერალო, მიზეზი ალბათ თქვენც კარგად მოგეხსენებათ!

— ნამდვილად არ ვიცი, კატინკაჯან! მთაში შამილს დავსდევ და თბილისში ათასში ერთხელ ჩამოვდივარ.

— კეთილშობილნი შეგვარცხვინა თავისი ქორწინებითა! — ტუჩების აბზუებით წარმოთქვა სამეგრელოს დედოფალმა, როცა გენერლის გამომეტყველებაში ცნობისმოყვარე მიამიტობის გარდა სხვა ვერაფერი აღმოაჩინა.

ბებუთოვმა უცებ წარბი შეჰკრა. აქამდე ხუმარა და მხიარული რაღაცნაირად ჩაფიქრდა. ბოლოს თავისი აზრი სერიოზული კილოთი გამოხილა:

— ალექსანდრეს ქალებს ვერ დავუმალავ, რის თქმასაც სხვაგან ჭკუა არ მაძლევს. ხელმწიფეს ჩვენი ხმალი სჭირდება, ვაჭრის ფული და... დარდაწელი.

დები გენერალს გაკვირვებით მიაცქერდნენ.

— ჰო, ნამდვილად ისეა, როგორც გითხარით. რუსეთი ყველგან ვაჭრებისთვის ომობს.

— როგორ? — წამოიძახა აშკარად ნაწყენმა მთავრის ცოლმა, — მაშ, თქვენი აზრით, ერთი ყოფილა ვაჭრის ცოლიც და დედოფალიც?

—არა, დედოფალო! მე ეგ როდის მოგახსენეთ? — კინაღამ გაჯავრდა გენერალი, მაგრამ სერიოზულ ტონს მაინც არ გადაუხვია, — ვინ უარყოფს, რომ ჩვენ ვაჭრებზე მაღალნი ვართ, სისხლითა და უფლებით? საიდან სადაო? მე სულ სხვა რამ მაქვს აზრადა. თქვენ არ დაიჯერებთ, მაგრამ მე კი მჯერა, რომ რუსები ჩვენში ვაჭრებმა მოიყვანეს, თორემ ხელმწიფის სალდათებს მარტო ჩვენი მთები დააფრთხობდა. ამ სიშორეზე ტყუილად რათ წამოვიდოდნენ? წინ ვაჭარი მოდის, უკან სალდათი მოსდევს. შამილიც ანგლიჩანი ვაჭრების ფულით გვეომება და გვიმაგრდება. იმ ყაჩაღს ზურგს უკან ხონთქარი და ანგლია რომ არ ედგეს, მთიდან ფეხით ჩამოვათრევდი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ამალამ ბევრი ანგლიჩანი შპიონი ჩვენთან ერთად მოისმენს „რობერტს“ და აქტრისებს ტაშს დაუკრავს. პოლიტიკა ჩვენს დროში სოვდაგრების ფულით კეთდება. მახლას!

დებმა ერთმანეთს წარბების აწევით გადახედეს.

— ნინოს ღირსეული მეუღლე, —

ისევ სერიოზულად დასძინა ბებუთოვმა, — კომედიასაც წერდა და კომერციული კომპანიის პროექტსაც ადგენდა.

ნინო ჭავჭავაძეს შუბლზე ჩრდილმა გადაურბინა, სახეზე წყენა გამოეხატა. ალექსანდრე გრიბოედოვს ბებუთოვი რაღაცნაირად უკავშირებდა ზანდაროვს.

ბებუთოვმა სიტყვა ბანზე ააგდო.

— ორბელიანების მანანა დაბერებას არ აპირებს. უკაცრავად, ლამაზებო, კურკას ნათესავებიც უნდა ენახო.

დებს თავი დაუკრა და გატრიალდა. დებმა მას დამცინავი თვალები გააყოლეს. მათ სასაცილოდ არ ეყოთ გენერლის შეგონებანი.

— იჰ! დაბერებულა და ჭკუა გამოსცლია. — თქვა ნინომ.

— მაგისი ხელქვეითნი სულ დეკემბრელნი არიან. აი, მიზეზი მაგის ამგვარი ლაპარაკისა. — დასძინა ეკატერინემ.

— მერმე დეკემბრელნი ცუდნი არიან?

ნინოს ხმაში უკმაყოფილების კილო გაისმა.

დედოფალს მოაგონდა, რომ მისი და გრიბოედოვის ქვრივი იყო.

— არ ვიცი, როგორ გითხრა? — დაარღვია წამიერი დუმილი მან. — ევროპულად აღზრდილნი ვართ და ვიცით, რომ დეკემბრელნი ფრიად განათლებულნი იყვნენ. მაგრამ რა განიზრახეს? პარიჟმა თავზრუ დაახვია ულვაშკოკორა აფიცრებს. იაკობელნი შეიქმნენ, გვარისშვილობა დაივიწყეს და ცოფიანი რობესპიერის გილიოტინის დადგმა მოინდომეს სენატის მოედანზე. ღალატი ჩაიდინეს, მაგრამ ღმერთმა გვიხსნა და გადაგვარჩინა. იმპერატორს რომ სისუსტე გამოეჩინა იმპერიაში ლომები ტომრებსა ზიდავდნენ, მაგისთანანი კი...

დედოფალმა დას ბალუსტრადის სვეტთან მდგარი ზანდაროვის წარმოსადეგი ფიგურა დაანახვა.

— მაგითი რა გინდა სთქვა? — ჰკითხა ნინომ, — განა ეგ კაცი მუდამ სამეფო ლოჟის გვერდით არ ზის?

ბიბლიოთეკა

— ჰმ...

— იცი, კატინკა, მოდი ყველაფერს თავი დავანებოთ. გულზე ხელი დაიდე და ისე მითხარი. განა უფალი ზანდაროვი ლამაზი მამაკაცი არ არის?

— ლამაზია!

— და ძალიან შნოიანიც. ჩვენი წრის ქალი მაგის საყვარელი შეიძლება გახდეს, ცოლი კი არასოდეს.

— მონ დიე! — შეჰყვირა ეკატერინემ.

ნინომ დას კნეინა გოსტაბაშვილი მოაგონა.

ქვრივის ერთგული სიყვარულით განთქმულ ნინოს ეკატერინემ შეუბღვირა და დაუტატანა კიდეც:

— ნინო, ვის ადარებ შენს თავსა? თუ ეგრეა, ბარემ ნესელროდეს რძალს გაეჯიბრე.

ნინომ სერიოზულად დაუბრუნა:

— ამბობენ, რომ რუსეთის პრემიერის რძალი პარიჟში მარტო საყვარლების საძებნელად კი არ გაქცეულა, არამედ თავისუფლების საპოვნელადაც.

დედოფალმა გაბრაზებით უპასუხა:

— გოსტაშაბები და ნარიშკინები ადვილად აბერხებენ თავის გამართლებას. ტრფობა და სიძვა ერთი და იგივე არაა!

— გეთანხმები, მაგრამ თუ პრემიერის რძალმა და მოსკოვის გუბერნატორის ქალმა თავი აიწყვიტა, როგორღა უნდა გაეძლო კნეინა გოსტაშაბიშვილს ანდუყაფარისათვის? ამ კაცს ფეხები მტკვარში აქვს დასველებული, თავი კი მეთევზეების ნავზე დადებული.

— ჭკუა სადა ჰქონდა, როცა მაგისთანა კაცს ცოლად მიჰყვებოდა?

— ამბობენ, — ნაღვლიანად განაგრძო ნინო ჭავჭავაძემ, — რუსეთიდან პარიჟში ჩასული ქალები მეტი თავისუფლებით სარგებლობენ და იქ იმას პოულობენ, რაც სამშობლოში აკლიათ.

— რა დიდი ბედნიერება პარიჟში ზანდაროვის პოვნა!

— კნეინა გოსტაშაბიშვილი ჭკვიანი დედაკაცია. მაგის მსაჯულები ჩვენ ვერ ვიქნებით.

— კნეინა გოსტაშაბიშვილს ზანდაროვის საყვარლობა არ ეპატიება, მანანა გერმანოზიშვილს — ზანდაროვის ცოლობა.

— შეიძლება. მაგრამ, ჩემი აზრით, კნეინა გოსტაშაბიშვილი მანანაზე მაინც მაღლა დგას.

— არა მგონია. ერთგან ბიწიერებაა, მეორეგან ანგარიში.

— ვითომ? თუ ორგანვე მიზეზი ერთი და იგივეა?

— მაინც რა?

— სასოწარკვეთილება.

მთავრის ცოლს გაეცინა.

— ვერ დავიჯერებ. ასეთ დროს ყოველთვის შეიძლება გამოსავლის პოვნა, მტკვრის ხიდს არც ისეთი მაღალი მოაჯირი აქვს.

— ეგ ხომ სულმდაბლობაა!

— არაფერი მესმის შენი, ნინო, არაფერი. ასეთი აზრები რამ გაგიჩინა? — საყვედურით მიმართა დას ეკატერინემ. — ბებუთოვის ნათქვამმა ეგრე რათ აგაფორიაქა?

ნინოს სახე მოეღრუბლა, ამოიოხრა

— მე თვითონ გამოვიცვალე და სწორედ ეგა მწყინს.

— რამ გამოგცვალა, ნინო?

— სალონებმა გამომცვალეს.

— როგორ თუ სალონებმა?

— ფუქსავატობას და უშინაარსო ცხოვრებას ეხლა მეც ადვილად ვურიგდები, — განაგრძო დასევდიანებულმა ნინომ ისე, თითქოს თავის თავს ელაპარაკებაო, — ვგონებ, მაკმაყოფილებს კიდეც. კნეინა გოსტაშაბიშვილი კი, კარგად ვამჩნევ, ვერ ურიგდება ვერც გარეგნულ ბრწყინვალებას, ვერც შენიღბულ პირფერობას. ხანდისხან იმასაც ვფიქრობ, რომ ზანდაროვთან თითქმის აშკარა ტრფიალი ჩვენს გამოსაჯავრებლად დასჭირდა.

— რა სისულელეს არ იტყვის, კაცი! — მოურიდებლად დასცინა დამ.

— შეიძლება, შეიძლება ვცდები კიდეც. მაგრამ ის კი ცხადია ჩემთვის, რომ კნეინა გოსტაშაბიშვილი ბედნიერი ადამიანი არ არის.

— ჩემი დარდიც ეგ იყოს! — ეკატერინეს სამეგრელოს დედოფლობა დაავიწყდა და ქალაქელი ქალივით შესძახა, — თავში ქვა უხლია!

ნინოს ეწყინა.

— ვგონებ უსამართლოდ უნდა ექცეოდე კნეინა გოსტაშაბიშვილს, დედოფალო! მანანასთან ზანდაროვის დაქორწინების შემდეგ ეგ ქალი იმ კაცს ახლოს აღარ გაჰკარებია. განა ეს მის ღირსებაზე არ ლაპარაკობს?

დამ ვერაფერი უპასუხა.

— საოცარია, — განაგრძო ისევ გულდაღვლიანად ნინო ჭავჭავაძემ, — როკა მაგდას გულახდილობის სენი ერევა და ზოგჯერ ზოგ რამეს მეუნება, მე თვითონ მაგონდება, რომ ის აღარა ვარ, რაც წინათ ვიყავი. წინათ მეც მაფრთოვანებდა მაღალი აზრიც და მაღალი მისწრაფებაც. სხვანაირად გრიბოედოვს როგორ შევიყვარებდი? საწყალი ალექსანდრე? ჩემს ქმარს რომ ეცოცხლა, ალბათ ან დუელში მოჰკლავდნენ ან ციმბირში გადაასახლებდნენ. ნეტავი თუ გავყვებოდი თან დეკემბრელების ცოლებივითა? არ ვიცი... არ ვიცი. სადმე ჩაცკი რომ შემხვდეს, ვერაფრით ვანუგეშებდი. იმის გულისტკივილის მალამო არც ახლა იშოვება. ყველა ისეთნაირად დაყრუვდა და გაინაბა, რომ ლამის არის მეც მაგდასავით ადამიანური კეთილდღეობის რწმენა დავკარგო.

— რასაც შენ ლაპარაკობ, ეგ ქალის საღაღებელი არ არის. გაჩუმდი, გენაცვალე!

— კარგი, კარგი. მოდი ზალაში შევიდეთ.

გრიბოედოვის ქვრივმა სამეგრელოს დედოფალს მკლავში მკლავი გაუყარა და ლოჟაში შეიყვანა.

### 3. ფარდის ახდის წინ

ამ ქვეყანას სჭირდება არა ზურნა და დიპლიპიტო, არამედ როსინი და მეიერბერი.

3. სოლოგუბი, „ახალი თეატრი თბილისში“.

დარბაზი მაყურებლებით იყო გაჭედილი.

იტალიელი მომღერლები თბილისელების საყვარელ „რობერტს“ არდგენდნენ. თანაც ორი მოქიშპე მომღერალი ქალის სინორა ვაზოლის და სინორა რამონის პაექრობა უნდა გამართულიყო. ვაზოლისტები და რამონისტები მოუთმენლად მოელოდნენ ფარდის ახდას. ფოიეებში, ლოჟებში, პარტერში, იარუსებში, ქანდარაზე ცხარედ კამათობდნენ და წამდაუწუმ ახსენებდნენ საყვარელი მსახიობი ქალების სახელებს.

— ვეჟო, სინორა ვაზოლი რომ თქვენგან მოწონებულ სინორა რამონის სჯობიან, ამას კიდევ მტკიცება სჭირდება? მიკვირს, მამის სული ნუ წამიწყდება. — ხელების გაშლით ეუბნებოდა ძალზე წამოწითლებული ხნიერი თავადი დარბაისელ კნეინას, რომელიც ხელის წყნარი მოძრაობით ისწორებდა კავებს და აუღელვებლად მძიმე-მძიმედ ლაპარაკობდა:

— თქვენგან არ მიკვირს, კნიაზო? აბა ეგ რა სათქმელია? რა მოსატანია? სინორა რამონის გინდა ხმა, გინდა სახე, გინდა ტანი, გინდა გრაცია ერთ რამედ ღირს. ფრანცუზები და ნემენცები თურმე სულ მარგალიტებს აყრიდნენ თავზედა და ფეხებში ოქროებს უპნევდნენ, ოღონდ აქ დარჩი და აქ იმღერეო. წარმოიდგინეთ ვენეტიკიდან თურმე წიგნი წიგნზე მოსდის და დაბრუნებას ევედრებიან.

— როგორ გეკადრებათ, კნეინავ! — გაცხარდა თავადი, — ეგ ყველაფერი მტკნარი სიცრუეა, გულდანადობილობით ტყუილი სიმართლედ მიგიღიათ.

— ქრისტიანი ქალი ტყუილში გინდათ დამიჭიროთ, კნიაზო?

კნეინამ ტუჩები აიბზუა და თავადს ენა პირში ჩაუვარდა.

პარტერში:

— თქვენ ვინ უფრო მოგწონთ, მადმაზელ?

ეუბნება ყმაწვილი ოფიცერი კაფანდარა ქალწულს, რომელიც გაშლილი მარაოს ქვეშ ცბიერად იღიმება და ჟუჟუნა თვალებს უციმციმებს.

— მე? — კითხულობს ქალწული და მაცდურ ღიმილს ბაგედან არ იშორებს.

— იქნებ თქვენ, ძვირფასო ანნეტ, არჩევანი არც კი მოგიხდენიათ?

— მე... მე... რაღა თქმა უნდა, სინორა ვაზოლი მომწონს.

ვაჟს ბლოტის მაღაზიაში სინორა რამონისათვის ჰქონდა ვარდები ნაყიდი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, განცვიფრებულის აღტაცებით წამოიძახა:

— ოჰ, მადმაზელ! მეც ვაზოლისტი ვარ! ღმერთო ჩემო, ორივენი ერთი აზრისანი ვყოფილვართ. არ იცით, რას უნდა ნიშნავდეს ეს, მადმაზელ?

ვაჟი დეზიანი წაღის წვერით ქალწულის ფეხსაცმელს ფრთხილად ეხება. ქალწული წითლდება, მორცხვობს, თავს განზე აბრუნებს და ათრთოლებული, ჩურჩულით ამბობს:

— არ ვიცი...

იარუსზე:

გოლიათმა და ფაშფაშა დედაკაცმა გვერდით მჯდარ ჩია კაცს მკლავზე უჩქმიტა, მრისხანე თვალებით გადმოხედა და ბოხი ხმით დაემუქრა:

— გესმით, ბატონო ფეოკლიტ გავრილოვიჩ? მეორედ აღარ გაბედოთ სინორა რამონის დამდაბლება!

— ღმერთთანი! — შიშით წამოიკნავლა საბრალო სტოლ-ნაჩალნიკმა, — ეგ აზრადაც არ მომსვლია... ლიზავეტა ფეოდოროვნა... სინორა რამონი საუკეთესო მომღერალი ქალია...

— რატომ არ გრცხვენიათ ტყუილის? განა თქვენ ყვავილები იმ გომბიოსაგან არ იყიდეთ, რომელსაც კალათაში სინორა ვაზოლის სურათი ედო?

სტოლ-ნაჩალნიკი სკამზე საცოდავად მოიკუნტა, ცალი ყურიდან ხელის უხერხული მოძრაობით სათვალის დასამაგრებელი ჩამოუვარდა, გაწვრილე-

ბული კისერი საყელოში ჩაიძვრინა, ცოლს საწყალი ღიმილით ახედა და ქარხალივით გაწითლდა, რადგან მას ვაზოლიზე და რამონიზე უფრო მეტად ყვავილების გამყიდველი გოგონა მოსწონდა.

ლიზავეტა ფეოდოროვნამ ულმობელად დაიბუზღუნა:

— დაიხსომეთ, ფეოკლიტ გავრილოვიჩ, შინ რომ მივალთ, სილას გაგაწნავთ!

იქვე:

— მაშ, ხვალ თორმეტ საათზე.

ფიცხად უთხრა კავალერიის ახალგაზრდა ოფიცერმა პირტიტველა ფლიგელადიუტანტს. ამ უკანასკნელმა იმავე ტონით დაუბრუნა:

— დიახ, სრულ თორმეტზე. კოჯრის გზაზე, ხევში. ჩემი პისტოლეტის ტყვია დაგიმტკიცებთ, რომ სინორა ვაზოლი სჯობიან სინორა რამონის.

ქანდარაზე:

— გეო, შენ ვისკენა ხარ?

ლარიოკის რიკულზე იდაყვით დაყრდნობილი გეო, ფეხებიდან მოცვეთილი კინტო, თევზის თაბახით დამტარებელი, ცალი ხელით ლოყაზე დაგრეხილ ხალს აწვალებს, წყლიანი თვალები ლამაზ კნეინებზე რჩება, ეშმაკურად იღიმება და მეწვრილმანე საქულას, რომელიც ვაშლს ჩქარ-ჩქარა კბეჩს და მაიკო კურტანიძეს თვალებით სჭამს, დარდიმანდულად ეუბნება:

— მე იმისკენა ვარ, საქოჯან, ვინც ჩემსკენ არის.

— ვაჰ! ეგ პევიცები ავლაბრის გოგოებად გინდა გაიხადო?

— ვითომ რა მოხდება?

— „ლამაზი ქალი სანდო არ არის!“

— ეი, ვერან, ეგ ხომ ანტონ კათალიკოზმაც იცოდა? მაგისთვის უეჭველად „რიგოლეტო“ უნდა ნახო!

ქუჩაში:

მოხდენილი კინტო გრძელი სასწორით ვაშლს წონის და მუშტარს ეუბნება.

— გასპადინ, ერთი იმ კოპწია ქალს უყურე, სინორა ვაზოლივით არ მიიკლაკნება! ვაჰ! რა კარგი რამ არის, ეგ ვასიგლეჯი! ეი, ლამაზო, ჩქარა შინ წადი, თორემ წვიმა მოგისწრებს.

კინტოს ლამაზი ქალის გოგმანზე თვალი რჩება, „დოლჩე ამორეს“ ჰანგზე ღიღინებს და ამით გართულს სასწორის თეფში ხელიდან უვარდება. ვაშლები ფილაქანზე იბნევა. მუშტარი უარს ამბობს, ვაშლს აღარ ყიდულობს. ქუდმოხდილი კინტო თითქმის ყელის აწევით ეხვეწება:

— მაპატიე, გასპადინ. ემსაათში ახალს აგიწონი. სულ თურაშაულებს აგირჩევ!

— არ მინდა.

— ვაჰ, აღარ ყიდულობ?

— არა.

— ნეუჟელი?

— რა თავს იგდებ, ბიჭო!

— ვაჰ, ამაწონინე და აღარ მიგაქვს?

— მე სინორა რამონის თაყვანისმცემელი ვარ, შენ კი ჩემთან სინორა ვაზოლი აქე. მე ისიც მეყოფა... — მუშტარს თვალებში ცრემლი ერევა, — რომ თეატრში ბილეთი ვერ ვიშოვნე.

კინტომ ქოჩორზე ქუდი შეისწორა, იქვე, ანთებული ფარნის ძირში კურტანზე სულთანივით მოკალათებულ მეშას გადახედა და დაეკითხა·

— სიმონჯან! ავაფარო თუ ჩავაფარო?

ლოჟებში:

ქალბატონი ზანდაროვი მოპირდაპირე ლოჟაში მჯდარ მანანა ორბელიანს დროგამოშვებით უთვალთვალებს და გულში ამბობს:

— თუ მანანამ სინორა რამონის დაუკრა ტაში და ვარდები გადაუყარა, მე სინორა ვაზოლის დაუკრავ ტაშს და გვირგვინს მივართმევ მსახურების ხელით.

ქალბატონი ზანდაროვი ყურადღებად იყო გადაქცეული.

მეტოქე ქალებს გულდასმით ათვალიერებდა.

მისი დაკვირვებით, მანანა ორბელიანს ახალგაზრდა ანასტასია ორბელია-

ნის თანაყოფა და ლეკურის განთქმული მოცეკვავის დარია ბეგთაბეგიშვილის მეზობლობა აბერებდა. სამეგრელოს დედოფალი ბევრს აგებდა იმით, რომ გვერდით ავადმყოფობით პირწამხდარი და დაჩიავებული მთავარი ეჯდა. არც ბარონესა ნიკოლაი გამოიყურებოდა რიგიანად. მანანამ შორიდან შეამჩნია, რომ მას ჯერ ხვალება აუტყდა, მერე შიშით დაუწყო ხელსახოცს ყურება. მაიკო კურტანიძის გვერდით სასაცილო ბართლომე უფრო ეგდო, ვიდრე იჯდა, ხოლო კნეინა გოსტაშაბიშვილის ლოჟის სიღრმეში მიჩურთული, გრძელფულვაშებიანი ანდუყაფარი, ეტყობოდა, მთქნარების გუნებაზე ბრძანდებოდა ან, გაიფიქრა პირგამხიარულებულმა მანანამ, მტკვარზე თევზაობას ოცნებობდა.

სამაგიეროდ მის გვერდით ულამაზესი და უმდიდრესი მამაკაცი იჯდა.

თავისი უპირატესობის მთავარ ნიშნად მას სწორედ ეს მიაჩნდა.

მაშასადამე, თავისი ქმრით მას უფრო მეტად შეეძლო ეამაყა, ვიდრე ყველა მის მეტოქეს და მოქიშპეს.

ტკბილი ფიქრებისაგან ქალბატონი ზანდაროვი სამეფო ლოჟაში ვორონცოვის გამოჩენამ გამოარკვია. ქმარს მიუბრუნდა, ხელზე ხელი დაადო და ალერსიანად უთხრა:

— გრიგოლ, ამბობენ, რომ ვორონცოვი ვაზოლისტია.

— ელიზავეტა ქსავერიევნა კი რამონისტი.

ალერსითვე უპასუხა ქმარმა და თვალი მაიკო კურტანიძისაკენ გააპარა.

## 4. ვაზოლისტები და რამონისტები

უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს გაფურჩქვნილი იყო ორი პარტია და თითოეული მათგანი თავის პრიმადონას უჭერდა მხარს. ერთს უწოდებდნენ XXX ზისტებს, მეორეს XXX გისტებს.

**თ. დოსტოევსკი, „სხვისი ცოლი და ქმარი საწოლს ქვეშ“**

ამასობაში წარმოდგენაც დაიწყო. მაგრამ მაყურებლებს არც მუსიკა ესმოდათ, არც მსახიობების თამაშს უყურებდნენ. ისინი მოუთმენლად მოელოდნენ იმათ სცენაზე გამოსვლას, ვისთვისაც ოპერის თეატრისაკენ დილიდანვე მოისწრაფოდნენ.

რამონისტები აღტაცებით შეეგებნენ სინორა რამონის გამოჩენას.

ვაზოლისტები ტაშის გრიალით მიეგებნენ სინორა ვაზოლის.

— სინორა რამონი! — ყვიროდნენ ერთნი.

— ევივა... სინორა ვაზოლი! — ყიჟინებდნენ მეორენი.

— სინორა... სინორა... — ღრიალებდა ქანდარა.

მესამე მოქმედების ანტრაქტში ნამდვილი ომი გაიმართა ვარდებით.

მოქმედების დამთავრებისთანავე სცენის სხვადასხვა მხრიდან ორი მოქიშპე ქალი გამოვიდა. ყველანი ფეხზე წამოიშალნენ. ტაშის გრიალი გრგვინვასავით მოსწყდა. თეატრის დარბაზი ტაშით ზანზარებდა. სცენაზე ვარდის წვიმა მოდიოდა. ყველა ლოჟიდან და იარუსებიდან ვარდებს ისროდნენ. სცენის რამპასთან, მომღერალი ქალების ირგვლივ, ყვავილების ძნები ლაგდებოდა. თეატრის მსახურებს ზედიზედ შემოჰქონდათ დაფნის გვირგვინები და უზარმაზარი ყვავილებიანი კალათები. აღფრთოვანებით გაშმაგებული მაყურებლები ტაშის გრიალით და გამაყრუებელი ყიჟინით ეგებებოდნენ და აღტაცებული წამოძახილებით აჯილდოებდნენ სახელგანთქმულ პრიმადონებს: სინორა რამონის და სინორა ვაზოლის, რომელთაც არსად, არც მილანში, არც ვენაში და არც პარიზში ამგვარი ტრიუმფი არ ენახათ და არ განეცადათ. ისინი თავის მოხდენილი დაკვრით და მოკრძალებული რევერანსებით უხდიდნენ მადლობას მოჯადოებულ და თითქმის გონებადაკარგულ მაყურებლებს.

დარბაზი ტაშის გრიალით ზანზარებდა.

პარტერში ვაზოლისტები და რამონისტები ერთმანეთს აეშალნენ. იარუსების მოაჯირებზე მომდგარმა მაყუ-

რებლებმა ყელის სიმები ჩაიწყვიტეს და ხმაში ხრინწი გაუჩნდათ. ქანდარა გადმოვარდნაზე იყო და ისე ღრიალებდა, როგორც კვირა დღეს ბაზრის მოედანი. დარბაზში ტაშისა და ძახილის ქარიშხალი უფრო გამძაფრდა, როცა თეატრის დირექციის წარმომადგენელმა ორივე პრიმადონას საჩუქრად ოქროს საათები გამოუტანა.

— სინორა რამონი... სინორა ვაზოლი...

აყვირდა პარტერი.

— ევივა... ევივა...

ტაში დაჰკრეს ლოჟებმა.

— ბრავო... ბრავო...

გადმოჰქუხეს იარუსებმა.

— ევა... ევა.. სინორა... ბრავო ბისო... ბრავო ბისო...

ღრიალით აჰყვა პარტერს, ამფითეატრს, ლოჟებს და იარუსებს ქანდარა.

ქანდარის რომელიღაც რიგში სკამის ზურგზე შესკუპებულმა ერთმა ანგალმა „ვიენი ლა მია ვენდეტა“-ს ჰანგზე შეთხსძახა პოპულარული სიმღერა დამტვრეული იტალიურით და ჩახლეჩილი ხმით. მეწვრილმანე საქულამ „რიგოლეტოს“ ჰერცოგის არია წამოიწყო, ხოლო თევზით მოვაჭრე გეომ „აჰ პერკჰე ნონ პოსსო“.

საერთო აღფრთოვანების დროს, პირველი იარუსის მოაჯირთან, ერთი კოპწიად მოპრანჭული კოლეჟსკი ასესორი მრისხანე სახით მოუბრუნდა გვერდში მდგარ ფაქიზად გამოწყობილ კოლეჟსკი სეკრეტარს, შეუტია, სრულიად უნებლიედ მუნდირიდან ღილი ააგლიჯა, ცხვირის გარშემო დაუტრიალა და სეტყვასავით დააყარა:

— რამონი მზე არის ოპერისა, კარალევა აქტრისებისა, ბოღინია მუსიკისა, მშვენიერება სცენისა ანუ...

— საოცრება უნიჭოებისა!

დაასწრო კოლეჟსკი სეკრეტარმა და კოლეჟსკი ასესორის ღილს მისწვდა.

— რა ბრძანეთ? რა ბრძანეთ?

— სინორა რამონი არარაობაა, სიმონა ვაზოლი კარალევაა...

— დუუუურაკ!

— ბრავო.. ბრავო...

მოკამათეებმა პირი სცენისაკენ მიაბრუნეს და ტაში დაჰკრეს.

კოლეჟსკი ასესორმა დაიბუხუნა:

— სინორა რამონი, ბრავო!

კოლეჟსკი სეკრეტარმა დაისხავლა:

— სინორა ვაზოლი, ბრავო!

კვლავ ერთმანეთს მიუბრუნდნენ, მამლებივით აიფხორნენ და საჩხუბრად მოემზადნენ.

მთელი თეატრი ფეხზე იდგა. ტაშის გრიალი არ თავდებოდა.

### 5. აზნაურთა ქანდარა

თავად ერისთავის თაოსნობით თბილისში ახლახან შეიქმნა ქართველ მსახიობთა დასი.

**ვ. სოლოგუბი, „ახალი თეატრი თბილისში“.**

ქანდარის სკამებზე ერთად გამწკრივებული ქართული თეატრის მსახიობებს ქართლური სიდინჯე ხელს არ უშლით ალტაცებით გამოხატონ თავიანთი ვაზოლისტობა და რამონისტობა.

ეს გაღატაკებული აზნაურები ქართლის სოფლებში გიორგი ერისთავის მიერ არიან მოკრეფილნი და ჯერ ისევ სოფელში სამსახიობოდ ნავარჯიშევი.

მათგან ჩამოყალიბდა პირველი ქართული დასი.

ოპერის სცენაზე ხან ისინი თამაშობენ, ხან იტალიელი მომღერლები.

კონტრამარკები მათ ქანდარის დასაკავებლად ეძლევათ. მაგრამ მქუხარე ტაშის გრიალში ყველაზე მეტად ისინი ავლენენ აქტიორულ ტემპერამენტს.

აქტრისებიდან სინორა ვაზოლის ტაშს საკაძე და ტატიევი უკრავენ, სინორა რამონის ანტონოვა და ბაფეროვა. აქტიორებიდან სინორა რამონით მოხიბლული არიან ტატიევი, კიკნაძე და კორძაია, ვაზოლით დვანაძე და ელიოზოვი. მხოლოდ რჩეულოვი ზის ბონაპარტესავით გულხელდაკრეფილი და ბაგეზე ირონიული ღიმილი დასთამაშებს.

ანა კენეტრაძე, რომელიც ახლა ცალქალამანიძის გვარს ატარებს, ყურადღებად არის გადაქცეული და შეუმჩნევე-

ლი არ რჩება იტალიელი აქტრისების არც ერთი მოძრაობა, ინტონაცია, თამაშის მანერა და სცენური მოქმედების ყოველგვარი წვრილმანი. დროგამოშვებით თავის ზღვისფრად გაციმციმებული თვალებით ქმრისკენ იყურება და ეუბნება:

— კარგები არიან, შესანიშნავად თამაშობენ!

მუდამ სერიოზული და დინჯი როინ ცალქალამანიძე ცოლს თავის დაკვრით ეთანხმება და თავის მხრივ იტალიელი რეჟისორის მიზანსცენებს უკვირდება. სცენაზე მოუქნელი მსახიობი რეჟისურაში იჩენდა ფხას, სცენარიუსობდა, დეკორატორობდა, რეკვიზიტობდა და დრამატურგობდა კიდეც. მარჯვე და ფხიზელი ორგანიზატორი დასის ხელმძღვანელის, გიორგი ერისთავის მარჯვენა ხელად ითვლებოდა. დაუზარებელს და შორმისმოყვარეს თეატრი თავდავიწყებით უყვარდა. გიორგი ერისთავიც აფასებდა, მაგრამ თითქმის ზედიზედ დაწერილ პიესებს თვალის ერთი გადავლების შემდეგ, უკანვე უბრუნებდა. სამაგიეროდ ისიც და მაყურებელიც ანა ცალქალამანიძის ნიჭიერი თამაშით იყო აღტაცებული. ეს როინ ცალქალამანიძეს არც სწყინდა, არც შურდა, პირიქით, ცოლის წარმატებით იყო გახარებული და ყველგან, სადაც სიტყვა მოიტანდა; თავმომწონედ აღნიშნავდა, რომ ბუნებით წყნარი ანა ერთნაირი წარმატებით ასრულებდა როგორც ქარაფშუტა გოგოს, ისე ახალი აზრებით გატაცებული სერიოზული ქალის როლს.

ცოლ-ქმარი სინორა ვაზოლისაც უქრავდა ტაშს და სინორა რამონისაც.

ორთავენი თანაბრად მოსწონდათ.

— მამაშენი სინორა ვაზოლის უკრავს ტაშს, — თავდაჭერილი სიცილით უთხრა ცოლს როინმა და მესამე იარუსის რიგებში დედ-მამა დაანახვა, — დედაშენი კი სინორა რამონის.

ანამ გაიცინა.

— დედაჩემიც იმიტომ არის გაბუსხული, თუმცა ფაცუნასათვის მაინცადამაინც დროს არა ჰკარგავს. უყურე, ლამის ხელები გადაიგლიჯოს ტაშის ცემითა.

— შენ ვის ემხრობი, ანა? — ჰკითხა სერიოზული კილოთი ქმარმა.

— ხელოვნებას მიკერძოება არ სჭირდება, — სერიოზულადვე უპასუხა ცოლმა, — ერთიცა და მეორეც ერთნაირ ნეტარებას გვგვრის!

— მართალი ხარ. ვერცერთს ვერაფერს დაუწუნებ. მაგრამ იქნებ მაგათ მარტო აქ უკრავთ ტაშსა, იქ კი, ვთქვათ, ვენეტიკში ან პარიჟში, მაგათზე უნიჭონი ფართფაშებენ.

ცოლმა გაკვირვებით მოიხედა მისკენ.

ქმარმა დინჯად განუმარტა.

— ცხოვრების საკვირველებანი მსახიობებსაც გვეტყობა. რაღა შორს წავიდეთ? გიორგი ერისთავი მეტიჩარა რჩეულოვს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს, მართლა ნიჭიერი დვანაძე კი ჩრდილში ჰყავს დაყენებული.

ანა უკმაყოფილოდ შეიშმუშნა.

— დვანაძემ სიტყვის შებრუნება რომ არ იცოდეს, მეტს მოიგებდა.

— სამაგიეროდ რჩეულოვი უვარდება ფეხებში გიორგი ერისთავს, დვანაძე კი ისე მოითხოვს თამაშს, როგორც ესმის და გაეგება. ვინ არის მართალი და მტყუანი, ეგ მე მკითხე! განა რომელიმე მიზანსცენის გამო მეც არ მომდის დავა ერისთავთან?

— არ ვიცი რითა ხარ უკმაყოფილო, როინ. დვანაძე ან დუბლიორად არის ან ერთ კომედიაში სამ როლს ასრულებს. შენ კი მარტო შენი საქმე გეკითხება და პირნათლადაც უძღვები. ამიტომ გაფასებს გიორგი ერისთავი. შენ რომ მთელ დღეს არ დარბოდე, საღამოს წარმოდგენა არ შედგება.

როინმა ისევ დვანაძე ახსენა.

— სცენაზე რომ ღმერთს არ ვუქნივარ, ეგ მეც კარგად ვიცი. დვანაძეს რას ერჩის? ცხოვრებაშია ავყია, თორემ სცენაზე ყველას გვჯობნის.

— რჩეულოვს მაგისთანა აზრების გამო არ უყვარხარ, როინ.

— ეგ რჩეულოვი რომელ თახჩაზეც გინდა დადო, მაინც რჩეულოვი დარჩება. აბა დვანაძეს გზა გაუხსენით, მაშინ ვნახოთ ვინ არის ჩვენი ტრუპპის მთავარი აქტიორი. მაგრამ ეჰ! — ხელი ჩაიქნია როინ ცალქალამანიძემ, — ნიჭი რას გიშველის, თუ ხერხიანიც არა ხარ? დიდთავა დვანაძეს სწორედ ეგ აკლია! ცხოვრებაც ისეთნაირად არის მოწყობილი, რომ ნიჭზე უფრო ხერხი სჭრის.

ანამ გადაიკისკისა.

— ფაცუნასავით ლაპარაკობ, როინ! ისიც სულ ხერხიანობას ქადაგებს და ხერხიანად გცინცლავს აბაზიანებს და ორაბაზიანებს.

როინმა არ გაიცინა. ცოლი დაკვირვებით შეათვალიერა. სულ სხვა რამ უთხრა მას:

— თეატრმა სულ გამოგცვალა, ანა. წინათ ეგეთ კისკასს შენგან ვინ გაიგონებდა? კარგად მახსოვს, ან რა დამავიწყებს?

— ნუ გავიწყდება, რომ უკვე აქტრისა ვარ. სცენიდან ცხოვრებაში ზოგი რამ მაინც მოგვყვება. — სიცილით დაუბრუნა ანამ.

როინს რაღაც მოაგონდა, ცოლს აღტაცებით უთხრა:

— ამას წინათ შენი სცენაზე ცქრიალით გაკვირვებულმა გიორგი ერისთავმა მითხრა, თავში ქალაქური სცენები მიტრიალებს, თუ ოდესმე დავწერე, ანას ან ფრანცუჟენკა როზინას ვათამაშებ ან პოლშელ მარსელინასო.

— ნუთუ მართლა? — გაეხარდა ანას, მაგრამ მის წამოძახილში საყვედურიც გამოკრთა, — შენ კი დვანაძის გამო ემდურები გიორგი ერისთავს.

— ცხოვრების ავსა და კარგს თუ ვერ გავარჩევ, მაშინ ან თეატრი რათ მინდა ან ქვეყანაზე ყოფნა?

როინს ხმაში წყენა დაეტყო. ცოლმა ეს შეამჩნია, სწრაფად მოეხვია და მიუალერსა:

— ცხოვრების აზრს მეც მივაგენი და ბედნიერი სწორედ ამითა ვარ. ღმერთს მადლობას იმის გამოც ვწირავ, რომ შენ შეგხვდი და შეგიყვარე! განა შენს ცოლს სხვა აზრი შეიძლება ჰქონდეს?

როინმა აგრიალებულ ქანდარას გადახედა და რაკი გიორგი ერისთავის აქტრისებს და აქტიორებს მისთვის არ აცალოდათ, ცოლის ხელი თავის ხელში აიღო და ემბორა:

— რა კარგი ხარ, ანა!

— კარგი მაშინ ვიქნებით, თუ საზოგადოებას გამოვადექით.

— ჩვენი თეატრის და ამომავალი „ცისკრის“ აზრი განა ეგ არ არის?

— ეგ არის სწორედ. ცხოვრების ჩარხიც ისეთნაირად ტრიალებს, რომ ღღევანდელს გუშინდელი უთმობს გზას. ხალხი საღათის ძილიდან ერკვევა და მალე ცხოვრებაში თავისი წილის დადებას მოითხოვს.

„ბატონყმობა რომ გადავარდება“ — მოაგონდა ერისთავის კომედიიდან როინ ცალქალამანიძეს ის ფრაზა, რომელსაც ვაჭრის ოინბაზობით გამხიარულებულმა თავადებმა ჯერ ყურადღება არ მიაქციეს, მერე კი აღშფოთებით აყაყანდნენ. მოაგონდა და ცოლს ხმადაბლა უთხრა.

— ბატონყმობის გადავარდნას ბევრი აღარაფერი უკლია. თავადობასაც და აზნაურობასაც ძირი მოეშლება. აი, ნახავ, ცხოვრების დიდ სცენაზე გლეხი-კაცი და ქალაქის მუშა-ხელოსანი გამოჩნდება. საკმარისია სოფლის გზებს დააკვირდე და ქალაქის ქუჩებში გაიარო, რომ ეს დაიჯერო!

ანას მოკრიალებულ თვალებში ერთდროულად გაკვირვებამაც გაიელვა და იმ აღტაცებამაც, რომელსაც მას ყოველთვის სერიოზული და ცხოვრებაში ღრმად ჩახედული ქმარი ანიჭებდა. ქმრისკენ გადაიხარა, ბაგე ყურზე მიადო და ჩასჩურჩულა:

— ეგ, თითქმის ეგრე, სიტყვა-სიტყვით ვახტანგ ტაშირელმაცა სთქვა.

როინ ცალქალამანიძემ ულრმესი პატივისცემით წარმოთქვა:

— ჩინებული კაცია! პატიოსანი და განათლებული. „ცისკარსაც“ კარგად გამოადგება.

ცოლმა ქმარი პარტერში ჩაახედა და ბოლო სავარძლების რიგებში ქრისტინე მამრაძე და ვახტანგ ტაშირელი დაანახვა.

— მე მგონი, როინ, მთელ თეატრში მარტო ჩვენ და ეგენი არიან გარეშე ლაპარაკით გართულნი.

როინმა ხმამაღლა შესძახა:

— აბა სალაპარაკო მაგათ ექნებათ. სადაც არის უნდა დაქორწინდნენ.

— იცი, როინ, რომ მაგათ დაახლოებას კნეინა გოსტაშაბიშვილმაც გაჰკრა ხელი?

— ეგ ძალიან მიკვირს, ანა!

— საკვირველი ქალია! — თქვა უცებ დასევდიანებულმა ანამ, — ეგეთი მიუკარებელი რომ არ იყოს, გულით შევიყვარებდი.

— არ ვიცი, რა გითხრა. კარგს მაინცდამაინც არ ლაპარაკობენ მაგ ქალზე. — ჩაიდუდღუნა როინ ცალქალამანიძემ და თვალი ზანდაროვის ლოჟაზე დარჩა.

— ვიცი, რასაც ამბობენ. მერე რა ვუყოთ? ჭორიკნების ენას ვინ გააჩერებს?

— ეგ მართალია. რასაც კნეინა გოსტაშაბიშვილის შესახებ ლაპარაკობენ მართალი რომ იყოს, მაშინ ამ მანდილოსნის და ვახტანგ ტაშირელის მეგობრობას რითი და როგორ ავხსნით?

— განაჩენიც სწორედ მაგ კუთხიდან უნდა გამოვუტანოთ კნეინა გოსტაშაბიშვილს. — დასძინა ანამ.

ქმარი თავის დაკვრით დაეთანხმა.

— რა ღმერთი გაგიწყრათ?! აქ აგიტყდათ კურკური! — გაბრაზებით შემოსძახა მათ ბაფეროვამ, — ან სინორა ვაზოლის დაუკარით ტაში, ან სინორა რამონის.

ცოლ-ქმარმა ერთმანეთს შესცინა და ტაშის დასაკვრელად ხელები გაშალეს.

ცალქალამანიძეები სიცილით იხოცებოდნენ, როცა გახელებულ ბაფეროვას და ნერვიული კისკისით გაჭარხლებულ ანტონოვას ავლებდნენ თვალს.

იაფი წარმატების მაძიებელმა რჩეულოვმა, რომელმაც ბოლოსდაბოლოს „ქვრივის ლიმონების“ ავტორის ძმობით დაიგდო სახელი, ხმამაღლა დაიყვირა, რათა ყველას გაეგონა და ეს დასის ხელმძღვანელისათვის ეთქვათ:

— ვორონცოვი ასე გაცხარებით ტაშს მარტო გიორგი ერისთავს უკრავდა, როცა „გაყრა“ პირველად წარმოადგინეს.

ამაყად მიიხედ-მოიხედა, მაგრამ ტაშის გრიალში მისი ნათქვამი ვერავინ გაიგონა.

რჩეულოვმა ცხვირი ჩამოუშვა, თავისთვის ჩაიბუზღუნა:

— გოლდონი აქა ჰყავთ და ეგენი იტალიელი გომბიოებისათვის იფხრიწებიან.

ქართველ აქტრისებს და აქტიორებს შისთვის არა სცალოდათ, აგუგუნებულ დარბაზს ყურისწამღები ტაშით და ყვირილით ჰყვებოდნენ და მზად იყვნენ ქანდარიდან გადავარდნილიყვნენ, რათა სხვებზე მეტად გამოეხატათ თავიანთი ისედაც თავაწყვეტილი აღტაცება.

ბუდამ ქირქილა რჩეულოვმა ხელი უკმაყოფილოდ ჩაიქნია, სკამებს შორის გაძვრა, ქანდარიდან ბატონკაცურად გაბრძანდა და პატარა ფოიეში ვასეირნება მოინდომა.

ბოლთის ცემაზე ხელი აიღო და მყისვე ფანჯრებს მიაჩერდა.

ქარვასლის ფანჯრებში ელვა იკლაკნებოდა.

გარეთ კოკისპირულად წვიმდა.

რჩეულოვმა კმაყოფილებით გაიღიმა.

— შენი ჭირიმე, ღმერთო! — თითქმის ხმამაღლა შესძახა მან, — ფეხები ყველას წვიმაში დაუსველდება! მეფისნაცვალსაც, ელიზავეტა ქსავერიევნასაც, ყველა ვაჟბატონს და ქალბატონს და... იმ გომბიოებსაც!

კიბეებზე თავქუდმოგლეჯილი დაეშვა, რათა სადმე ქოლგა ეშოვა, გიორგი ერისთავისთვის მიეგებებინა და სახლამდე მიეცილებინა.

## 6. იოსების ლანდი

დაბრანძულ ხალათზე მას ძონძები ეკიდა, ფერხთ გარღვეული და დაგლეჯილი ფეხსაცმელები ეცვა.

ე. ვერდერევსკი, „პირაქეთა ურალიდან ამიერკავკასიამდე“

თბილისის ბნელ ქუჩებში კოკისპირულად წვიმდა.

ქარვასლის წინ ლანდოების, კარეტების და ეტლების გრძელი რიგი გაჩნდა.

კიბის ფოლორცებზე და შესასვლელებთან მსახურები გაშლილი ქოლგით უცდიდნენ თავიანთ ბატონებს.

მაყურებლების უსაზღვრო აღტაცება წარმოდგენის დასასრულს შედარებით მკრთალი გამოდგა. ამის მიზეზი საშინელი წვიმა იყო. ყველა თეატრიდან გასვლას ჩქარობდა, რადგან წვიმის დროს თბილისის ქუჩები თვალისდახამხამებაში ჰოჰდებოდა, ტალახისა და ლაფის გამო გაუვლელი ხდებოდა.

მსახურები გაშლილ ქოლგებს ქვეშ მიაცილებდნენ თავიანთ ქალბატონებსა და ბატონებს ეტლებამდე.

ფეხით მოსულნი გაწუწვას ერიდებოდნენ, ქარვასლის დერეფნებში ცხვირჩამოშვებულნი დაბორიალობდნენ და ყოველ გაელვებასა და ჭექა-ქუხილზე ერთმანეთს თავების ქნევით აცქერდებოდნენ. ისინი შურით ეყურებდნენ ეტლების მფლობელთ და უკმაყოფილოდ ბურტყუნებდნენ: „თვით ავდარში ბედნიერნი არიან მდიდარნიო“.

ქარვასლაში უწესრიგო სირბილი გაიმართა. ზოგი გარეთ გასვლას ჩქარობდა, ზოგი უკანვე შემორბოდა გალუმპული და გაჯავრებული. ზოგი კიბეებზე იდგა, ზოგი ფანჯრებთან და ყველა ამაოდ მოელოდა წვიმის გადაღებას.

ზანდაროვებს მეეტლემ და გრუმმა გაშლილი ქოლგები დაახვედრეს და კარეტამდე მიიყვანეს.

კარეტა მძიმედ დაიძრა ნიაღვარში.

თავსხმა წვიმაში უმოწყალოდ იწუწებოდა მეეტლე და კარეტის უკანა სადგომზე ჩამოკანტურებული გრუმი.

შავბნელ ზეცაში ელვა იკლაკნებოდა. ქუხდა. კარეტის პატარა სარკმელები ყოველ გაელვებაზე ნათდებოდა და მასში მსხდარ სახეებსაც ანათებდა. გრიგოლი დაფიქრებული იჯდა. მანანა ამთქნარებდა, ძვირფას მანტოში ჩაზბუნებულს თვალები ელულებოდა და დროგამოშვებით პირჯვარს ზარმაცად იწერდა.

წვიმდა.

წვიმდა.

წვიმდა.

ადიდებული სოლოლაკის ხევი ყურისწამღები ზათქით და ხმაურით იკვლევდა გზას მტკვრის მიმართულებით. წვიმდა. გადაუღებლად წვიმდა. იორღა ცხენები გაჭირვებით მიარღვევდნენ ნიაღვარს. გამოცდილ რუს მეეტლეს მაგრად ეჭირა აღვირები, ელვასა და ქუხილზე აღვირიანი ხელით პირჯვარს იწერდა და მთელი მისი ყურადღება იქითკენ იყო მიპყრობილი, რათა უკუნეთ ღამეში კარეტა არ გადაბრუნებოდა.

— უჰ! რა საძაგელი ღამეა. ძაღლი არ გაიგდება კარში! — თქვა მანანამ.

გრიგოლმა ხმა არ ამოიღო.

ცოლმა მის დუმილს ყურადღება არ მიაქცია, წვიმის წყალში დასველებულ ფეხსაცმელებს გადახედა და ფეხი შეინაცვლა.

უცებ მას ყრუ გმინვა მოესმა. გრიგოლმა ისევე დაიგმინა, როგორც ქორწინების ღამეს ტაძარში, ჯვარისწერის რიტუალის შესრულების დროს. მანანას ახლაც თვალები გაუფართოვდა, შეშინებულმა წამოიძახა:

— რა დაგემართა, გრიგოლ?

ქმარმა ხმა არ გასცა.

— გრიგოლ, რა გემართება, გრიგოლ?

ზანდაროვი დუმდა. ხმას არ იღებდა.

ელვის შუქზე ერთი წამით განათებული მისი სახე ისე იყო გაფითრებული, ისეთნაირად დატანჯული და განაწამები, რომ შეძრწუნებული მანანა უნებლიეთ კარეტის ზურგს მიეყრდნო და ერთხანს ვერც მან ამოიღო ხმა.

ზანდაროვი ცოლის თანაყოფას აღარ გრძნობდა. ჭექა-ქუხილმა და კოკისპირულმა წვიმამ მის მეხსიერებაში მას-

თვის სრულიად მოულოდნელად ის ავდრიანი ღამე აღადგინა, როცა მას, შიშით დაფრთხალსა და მშიერს, მიუსაფარს და უთვისტომოს მხრით მიჰყავდა გერმანოზიშვილების ასული მთავარმმართებლის სასახლისაკენ. ცოტა ხნის შემდეგ, უკვე გამოფხიზლებულს და დაწყნარებულს, თვითონვე უკვირდა, რომ მას არა მარტო მოაგონდა ის ღამე, არამედ ერთხელ კიდევ განიცადა იმღამინდელი ურვა და სიმძიმილი.

გაოცებულმა ხელის თითებით თვალეში მოიფშვნიტა.

ზანდაროვი ფხიზელი გონების ადამიანი იყო, დარდსა და ფიქრს ახლოს არ იკარებდა და უზრუნველი ცხოვრების ყველა იმ სიამით ტკბებოდა, რასაც მას მისი ახლანდელი მდგომარეობა, ფული და ფულის ძალა ანიჭებდა. მაგრამ ერთხელ განცდილი და მასთან დაკავშირებული მოგონება უფორ ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მისი ცივი სოვდაგრული ანგარიში. შეიძლება იმიტომ, რომ ცოლთან ერთად პირველად მოხვდა კოკისპირულ წვიმაში, ცოლთან, რომელიც იმ ავდრიან ღამეში მის მხარზე იყო მოკალათებული, ახლა კი კარეტაში თბილად იყო შეფუთნული და არ იცოდა ის, და ვერც ვერასოდეს გაიგებდა. რაც მხოლოდ ზანდაროვმა იცოდა. მაშინაც და ახლაც ერთი და იგივე ქალი იყო. იმ დროს მისი ბატონის ასული, ახლა მისი სჯულიერი მეუღლე. ამ საოცარი განსხვავების აზრს არ შეიძლებოდა რაღაც შინაგანი და შეუცნობელი ძალით არ შეერყია მისი რკინასავით დაუდრეკელი წონასწორობა, მტკიცე და ძლიერი ნებისყოფა. ყველაფერი ქვეშეცნეულად მოხდა, როგორც მაშინ ქორწინების ღამეს ტაძარში, მისი საღი აზრისა და ანგარიშიანი გონებისაგან დამოუკიდებლად. ამიტომ მან ვერაგზით ვერ გაიგო თავისი ანაზდეული შეძრწუნების ნამდვილი მიზეზი. მის მეხსიერებაში მხოლოდ ერთი წამით გაიელვა იოსების ლანდმა და... გაქრა.

— რა იყო, რა დაგემართა, გრიგოლ?

მოესმა მას შიშით აწრიალებული ცოლის გაბზარული ხმა.

ზანდაროვმა თავი მაღლა აიღო, გაკვირვებულმა იკითხა:

— არაფერი. არ ვიცი რაზე მეკითხები?

ქალბატონ ზანდაროვს შიში უარესად მოერია, ღამის წყვდიადში ქმრის სახის გარჩევა სცადა და რაკი ქმრის უცნაური ჭმიხვა ისევ ყურში ედგა, შეშინებულმა წამოიძახა:

— როგორ თუ არაფერი? კაცის ფერი არ გედო სახეზე!

ცოლის ამ შიშნარევ სიტყვებზე ზანდაროვის წინ ერთი წამით ისევ გაიელვა იოსების ლანდმა. უნებურად წამოსცდა:

— ჰო. ის ავდრიანი ღამე გამახსენდა და ჩავფიქრდი.

— რომელი ღამე?

— იმ ავდრიან ღამეს ისეთი რამ გადამხდა, რაც ამ ავდრიანმა ღამემ გამახსენა. იმ ღამესაც ასეთი ავდარი იყო.

— მერე? არ უნდა მითხრა რა გადაგხდა იმ ღამეს?

გონს მოსულმა ზანდაროვმა ცოლს ცალყბად მიუგო:

— სოვდაგარს სად არ სჭირდება ხეტიალი. შენთვის სულ არ არის საინტერესო.

სოვდაგრების თავგადასავალი გერმანოზიშვილების ასულს არ აინტერესებდა. წეღან არაჩვეულებრივად აფორიაქებულმა გახურებული შუბლი კარეტის სარკმლის მინას მიაყრდნო. მინაზე თქრიალით ჩამოდიოდა წვიმის წყალი.

წვიმდა.

წვიმდა.

წვიმდა.

წვიმდა როგორც იმ ღამეს.

იორღა ცხენები სოლოლაკის ქუჩების ნიაღვრებში დამძიმებულ კარეტას უფრო მიათრევდნენ, ვიდრე მიაგორებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კარი ოცდამეშვიდე

### 1. ეჭვი და შიში

ხან არას ვფიქრობ, ხან ჰოს.

**ჩარლზ დიკენსი, „ჩვენი საერთო მეგობარი"**

იმ წელს გაზაფხულიც და ზაფხულიც გვალვიანი გამოდგა.

ზაფხულის სიცხით განთქმული თბილისი გავარვარებულ მზეში იწვოდა და ცხელი მტვრის ბუღში იყო გახვეული.

ფეხმძიმე მანანას ქალაქში ყოფნა გაუჭირდა. ქმარმა ცოლი კოჯორში აიყვანა. მანანამ იქ მესამედ მოიმშობიარა და მესამედაც გოგო ეყოლა. თეთრმა ლიზამ ერთხელ კიდევ მიაყარა ქოქოლა რძალს. გრიგოლს პირი ისევ გაუყვითლდა. მაგრამ არც ახლა ამოიღო ხმა.

ცოლს ქმრის უსიტყვო საყვედური გულს განეწონა, დადარდიანდა და ჩაფიქრდა კიდეც.

დრო და ხანმა დარდიც დაავიწყა და ფიქრიც.

ქმარს არც უკმაყოფილება ეტყობოდა, არც გულგრილობა. ცოლს კვლავინდებურად ხელის გულზე ატარებდა, ყველა წადილს უსრულებდა.

ზანდაროვების ცხოვრება გარეგნულად აუღელვებლად მიმდინარეობდა.

ბატონი ქარვასლაში საქმობდა ან ფეხსაცმელების ფაბრიკის საძირკვლის გათხრას თავს დასტრიალებდა. ქალბატონი დილით ეკლესიებში ლოცულობდა, შუადღეს ბერ-მონაზვნებს შორის ატარებდა, საღამოზე სალონს უძღვებოდა.

განაპირებული თეთრი ლიზა გასაღების ჭუჭრუტანიდან უყურებდა ნაირ-ნაირ სტუმრებს. სადაც ვისმეს სადმე მოახელებდა, ყველას რძლის უმადურებას შესჩიოდა.

მალე ზანდაროვი მარსელში გაემგზავრა ფეხსაცმელების ფაბრიკის მანქანების ჩამოსატანად. მის საფრანგეთში წასვლას ქალაქში მითქმა-მოთქმა არ მოჰყოლია.

კნეინა გოსტაშაბიშვილს ზანდაროვი აღარ აგონდებოდა, მაგრამ ისე არსად გაივლიდა, რომ მის ზურგს უკან იმის სახელი არ ეხსენებინათ. მას ეს აინუნში არ მოსდიოდა. ქალბატონი ზანდაროვი კი იმრიზებოდა და გულში ქმრის ღალატის შიში უღვივდებოდა.

ეჭვი მას ნელ-ნელა შეაპარეს და თანდათან გაუცხოველეს.

„ჭორების ბოლინია" და ესტატე ბერი უკვე საკმაოდ გაღიზიანებულ მანანას სულის მოთქმას აღარ აცლიდნენ, ზედიზედ მოჰქონდათ მასთან ათას ადგილას გაგონილი ჭორი თუ ქარაგმულად ნათქვამი სიტყვა. არც ქალბატონი ზანდაროვი რჩებოდა ვალში. ორივეს გულუხვად აჯილდოვებდა. ამან კიდევ უფრო მეტად წააქეზა ჭორიკნები.

კუნკულებიან ბერ-მონაზონს ფულის სიხარებასთან ერთად კნეინა გოსტაშაბიშვილის გაკილვა იმისთვისაც სჭირდებოდა, რომ ის არასოდეს არ დადიოდა ეკლესიაში და არც მღვდლებს უშვებდა თავის სახლში აიაზმით გასანათლებლად. ეს არ მოსწონდათ არც მეფისნაცვლის ბობოლებს და არც ეგზარხოსის დეკანოზებს.

მაგდა გოსტაშაბიშვილს ზანდაროვთან ოდინდელი ურთიერთობა კარგი მასალა იყო იმისათვის, რათა ეკლესიის მსახურებს ამ თავნება და მიუკარებელი კნეინისათვის სახელი გაეტეხათ.

ამიტომ აღწევდა ქალბატონ ზანდაროვის ყურებამდე ცილიც და ჭორიც.

ესტატე ბერმა მარჯვედ გამოიყენა მისი მალემრწმენობა და ეჭვიანობით ისედაც დაზაფრულ ქალს კნეინა გოსტაშაბიშვილის სიძულვილი კიდევ უფრო გაუძლიერა.

ხელცარიელი არც ესტატე ბერი დარჩენილა, არც ეკლესია.

ქალბატონ ზანდაროვს ყურში ჯერ

ქმრის ხარჯზე ვერის ახალ უბანში ეკლესიის აშენების აზრი ჩააწვეთეს, მერე კი ამ აზრს აღარ მოეშვნენ და დღენიადაგ ლოცვებით გართული ქალი დაითანხმეს კიდეც. მის სახლში კიდევ უფრო გამრავლდნენ ბერ-მონაზვნები.

ქმრის უცხოეთში ყოფნის ჟამს ჭორიკნების ხელში დამარტოხელებული ქალბატონი ადვილად ჰყვებოდა მღელვარე ფიქრებს, თავის ტკივილები დასჩემდა და დასველებული ხილაბანდით თავწაკრულს უარესად შემოენთო ეჭვიც და შიშიც.

ისედაც ფიქრებაშლილი კიდევ უფრო ააფორიაქა მარსელიდან მიღებულმა ბარათმა. მოკლე და სახელდახელოდ დაწერილ ბარათში მის ქმარს მისი ასჯერ პირზე კოცნა არ ავიწყდებოდა, თეთრ ლიზასაც მოკითხვას უთვლიდა (მანანამ ზიზღით ასწია წარბები), დავიწყებული არც დავითი იყო, მაგრამ არც ერთ გოგოს არ ახსენებდა, თითქოს ისინი მისი შვილები არ ყოფილიყვნენ.

მანანას ბარათი ხელიდან გაუვარდა. მომავლის შიშმა პირველად გაჰკრა ფრთა. ქმრის დუმილის აზრი არავითარ ეჭვს არ იწვევდა. მის ბედნიერ და უზრუნველ ცხოვრებას უძეოდ გადაგება უქმნიდა საფრთხეს. შეძრწუნებულმა ეკლესიებში სიარულს მოუხშირა და მარჩიელებსაც მიმართა, რათა ან ლოცვა-ვედრებით ან მჩხიბავის ბალახ-ბულახით სანატრელი ძე გასჩენოდა.

ყოველ ცისმარ დღეს ღმერთს გულმხურვალედ ძეს ევედრებოდა.

უცხოეთიდან დაბრუნებულ ზანდაროვს თავის სახლის ზღურბლზევე ეცა საკმევლის სუნი. შუბლი უკმაყოფილოდ შეჭმუხნა. მაგრამ კიბეებზე თითქმის კისრისტეხით გამოგებებულ ცოლს მხიარული პირი უჩვენა, მოეხვია და ზილფ-ლაწვები დაუკოცნა.

ქალბატონს ცათაფრენა შეუდგა. მყისვე დაავიწყდა „ჭორების ბოლინიას“ და ესტატე ბერის ნათქვამ-ნალაპარაკევი. ყოველგვარი ეჭვი ერთბაშად გაუქარწყლდა. გახარებულს და თავდავიწყებულს შეუმჩნეველი დარჩა, რომ მისმა ქმარმა არც ახლა მოიკითხა შვილები და არც მათი ნახვა მოისურვა.

ნასადილევს მარტოდ დარჩენილი ცოლ-ქმრის ტკბილად დაწყებულ მუსაიფს უსიამოვნების პირველი ჩრდილი ძოეფინა.

ცოლმა ქმარს ვერის ახალ უბანში ეკლესიის აშენების თადარიგის დაჭერა სთხოვა. გამოცდილი ზანდაროვი მყისვე მიხვდა, თუ საიდან უტევდნენ მის ქონებას და სიმდიდრეს ეკლესიის მსახურნი. წარბი მაღლა ასწია, ერთხანს დაფიქრებული იჯდა. მერე ცოლს, პირველად ქორწინების შემდეგ, უკმეხად უთხრა:

— თუ ფრთხილად არ მოვიქცევით, ისინი ცარიელ-ტარიელზე დაგსვამენ.

— ვინ ისინი?

— შენი ბერ-მონაზნები.

მანანამ ითაკილა. ეწყინა.

— ღვთის კაცებსა და მხევლებს ანგარების ბრალსა სდებ?

ზანდაროვმა ჩაიცინა.

— თუ ეგენი კალთაში ჩაგვაფრინდნენ, თავიდან ველარ მოვიშორებთ.

მანანამ გერმანოზიშვილების ასულის ყველა ღირსება უკლებლივ დაიბრუნა, ფეხზე წამოდგა და ქმარს უკმაყოფილოდ გადმოუგდო:

— უფალო ზანდაროვ, ღმერთმა სანატრელად გამხდარი ვაჟი რომ მოგვცეს, ეკლესიის აშენება ყველაზე კარგი საშუალებაა.

ზანდაროვმა ცოლი ცნობისმოყვარეობით შეათვალიერა. ჩაფიქრდა. სდუმდა. ფიქრობდა და ანგარიშობდა. ბოლოს უკმეხ სახეზე ისევ სინათლე მოეფინა, მაგრამ გულის სიღრმეში ერთი გადაწყვეტილება მტკიცედ მიიღო. თუ საქმე მოითხოვდა, ცოლისთვის აღარ დაერიდო. საკმევლის სუნით გაყღენთილი სოვდაგარი საბოლოოდ დარწმუნდა — ცოლთან ძველებური დამოკიდებულება მას ხელს აღარ მისცემდა. მით უმეტეს, რომ ის ისეთ რამეში ერეოდა, სადაც მას არაფერი ესაქმებოდა.

დაკვირვებულმა ზანდაროვმა კარგად იცოდა, რომ მის სჯულიერ მეუღლეს ცხოვრების გამოცდილება აკლდა, არც ჭკუას ატანდა ძალას, არც ფხა ჰქონდა, არც გამჭრიახობა. ამიტომ მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი რჩებოდა. თუ აქამდე იგი ცოლს ემორჩილებოდა, ახლა ცოლი უნდა დამორჩილებოდა მას. ყოველ შემთხვევაში, მასზე ფხიზლად უნდა სჭეროდა თვალი, რათა მისი მიამიტობით სხვებს არ ესარგებლათ და თვითონ მას თავიდან სოვდაგრის ქუდი არ ჩამოვარდნოდა. ამ აზრმა მას მაიკო კურტანიძე მოაგონა და სიამით გაიღიმა.

ფეხზე წამოდგა, ცოლი ოდნავ დარბილებული ხმით დაარიგა:

— შენ იმათ ეკლესიის აშენების იმედს ნუ დაუკარგავ. დაპირდი, რა გენაღვლება! დანარჩენი მე ვიცი, ვიფიქრებ, კარგად ავწონ-დავწონი. ეგ საქმე როგორ ხელსაც მოგვცემს, ისე მოვიქცევით.

გერმანოზიშვილების ასულმა სოვდაგრული ანგარიშით გამოწვეული ზიზღის სახეზე ასახვა ვერ მოასწრო, რომ მისმა ქმარმა ქუდი დაიხურა და გარეთ კრინტის დაუძვრელად გავიდა.

— სად წავიდა?

გაიფიქრა შეშფოთებულმა მანანამ და ისევ აწრიალდა, ისევ შემოეპარა ეჭვი და შიში, ისევ გაახსენდა „ჭორების ბოლინია“ და ესტატე ბერი.

## 2. ალამემნონ კენტერაძის შეგონებანი

ფული, ფული, ფული, და ყველაფერი, რაც კი ცხოვრებაში ფულით კეთდება.
ჩარლზ დიკენსი, „ჩვენი საერთო მეგობარი“

ერთხელ, ქარვასლის კიბეებზე, აღამემნონ კენტერაძემ გრიგოლი განზე გაიყვანა და უთხრა:

— გრიგოლ ბატონო, უცხოეთში ხშირად მიდიხარ და მოდიხარ, ან იქ ან აქ უცხოელებთან ნამეტანი ნაცნობობა ხომ არა გაქვს?

— მაგას რაზე მეკითხები, ფაცუნა?

— იმიტომ, რომ შენს სახლში ესტატე ბერი ტრიალებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრიგოლმა გაიცინა.

— იქ ეხლა მონოზნებიც ბლომად ტრიალებენ.

ტანწერწეტა თავადმა კეფა მოიფხანა, თავისი აზრი გრიგოლს გადაკრულად გაანდო:

— მაგრამ ჯამაგირს ესტატე ბერი მეფისნაცვლისაგანაც იღებს და ეგზარხოსისაგანაც. დიდკაცებს თავიანთი მსტოვრები ჰყავთ, მაგრამ დიდკაცებსაც ხელმწიფის მსტოვრები უყურებენ. ცხოვრება ასთეა მოწყობილი, გრიგოლ ბატონო!

გრიგოლმა გაიკვირვა.

— მერე მე რა შუაში ვარ?

— თუ ესტატე ბერმა მეინდომა შუაში გაგრევს, გრიგოლ ბატონო!

— მერე ვინ დაუჯერებს?

— დოუჯერებენ, რახან დღე და ღამე შენს სახლში გდია.

გრიგოლს მოაგონდა, რომ აღამემნონ კენტერაძეს რაც უფრო ამჩატებულად მოჰქონდა თავი, ხოლო ესტატე ბერი რაც უფრო მეტს კურკურებდა და არშიყობდა, მით უფრო საშიშარნი იყვნენ.

ზანდაროვს პოლიტიკის არაფერი გაეგებოდა, მაგრამ ვაჭრობის გამო ათასნაირ უცხოელს ხვდებოდა, ელაპარაკებოდა და ურიგდებოდა. მათ შორის სულთნის მსტოვრებიც იყვნენ და ინგლისის მეფის და საფრანგეთის იმპერატორის ჯაშუშებიც. მარტო ეს საკმარისი იყო იმისათვის, რათა თვითონაც სიფრთხილე გამოეჩინა.

გარეგნულად თავის შეშფოთება გრიგოლმა არაფრით არ გამოხატა. კენტერაძეს ყასიდად ჰკითხა:

— მაინც როგორ გამრევს შუაში?

— სიტყვას დაატრიალებს, გრიგოლ ბატონო.

— მერე მაგით რას დამაკლებს?

— აჰ, დაკლებით რას დაგაკლებს, მარა იმდენ ხანს გატარებენ აქეთ-იქით, სანამ დაცარიელებულ ქისას არ დაგაბერტყინებენ.

სოვდაგრის ქისას ბევრი მტერი ჰყავდა. გრიგოლი ჩაფიქრდა. ესტატე ბერი მას ისედაც არ მოსდიოდა თვალში, თუმცა მისი ცოლთან კურკური სასაცილოდ არ ჰყოფნიდა. მაგრამ ბერი ისევე საშიშარი კაცი იყო, როგორც ალამემნონ კენტერაძე და მისგან შორს უნდა დაეჭირა თავი.

— ესტატე ბერს უბატონოდ ხმას ვერ გავცემ, გუდა-ნაბადს ვერ აუკრავ. — თქვა ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ გრიგოლმა.

— ჰო. ძლიერნი მფარველობენ ესტატე ბერს. მარა...

— მაგრამ?

— მაი არც ისე ძნელი საქმეა.

— ხუმრობ, ფაცუნა?

— არა, გრიგოლ ბატონო. ეგ სულ ადვილად მოხერხდება. ეგზარხოსის კანცელარიაში ზოგს იმდენს გოდოუგდებთ, რამდენსაც მეითხოვენ, მეც იმდენს გადმომიგდებ, რამდენიც ჩემისთანა გაღლეტილ თავადს ეკადრება და ესტატე ბერს მონასტრის გზას გოუყენებენ. აპა, ბერს რა უნდა ლამაზი ქალების სალონებში?

— რამდენი დასჭირდება?

— სამი მანათი? აჰ, მაი არ ეყოფა!

გააკრიალა კარგად მოვლილი კბილები თავადმა.

— ეგ შენი ჯიბის სახარჯო იყოს, ფაცუნა, — სიცილითვე დაუბრუნა გრიგოლმა, რომელიც სახელგატეხილ აღამემნონ კენტერაძეს სამ მანეთზე მეტს არასოდეს აძლევდა, — როცა ბერი საბეროში აღმოჩნდება, სამ მანეთზე მეტს მაშინ მიიღებ.

ივაჭრეს და შეთანხმდნენ.

### ვ. ჩამოშორებული მეტოქე

ათასი საშუალება არსებობს იმისათვის, რათა ადამიანებს და კანონებს გავექცეთ.

ჟორჟ ზანდი, „ლეონე ლეონი“

ერთ მშვენიერ დღეს ესტატე ბერი ერთი ბაყლის ცოლის სარეცლიდან წამოაყენეს და მკაცრად დატუქსეს. ისევ იმ მონასტერში დააბრუნეს, საიდანაც მოსული იყო. მეფისნაცვალსაც და ეგზარხოსსაც მისი შველა უნდოდათ, მაგრამ ამ განზრახვას დროებით გაერიდნენ. ოღონდ ის მაინც გააკეთეს, რომ ეს დევური აღნაგობის ბერი მონასტერში ერთ კრასოულზე და ხმელ პურზე არ დაესვათ და სასტიკად განკანონებული ლოცვებით ფერ-ხორცი არ დაეყრევინებინათ, რათა მას თავისი უნებლიედ შეწყვეტილი მოვალეობა უფრო ხსომებოდა, ვიდრე ჩადენილი ცოდვა.

ესტატე ბერმა იხტიბარი არ გაიტეხა, ყველა ნაცნობს ჩამოუარა და გამოეთხოვა. ქალბატონ ზანდაროვსაც წინ დაეყუდა, მონასტერში ხელახლად დაბრუნების მიზეზად თავის ღვთისმოსაობა დაასახელა და ერთხელ კიდევ გააფრთხილა:

— ვანარიდე ქმარი შენი სიძვის მაძიებლისაგან და ღმერთი არ დაგკარგავს.

პირჯვარი გადასწერა და წავიდა.

„ჭორების ბოლინიას“ ამარად დარჩენილმა მანანამ თავის ერთადერთ მსტოვარს გასამრჯელო მოუმატა. მაჰატასაც სწორედ ეს უნდოდა. მან ერთ ქისაში გამოჰკრა მომატებულიც და ისიც, რაც მისმა მოხერხებულმა ქმარმა ზანდაროვისაგან მიიღო. სამაგიეროდ თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდა.

მანანა მას ყველგან დაატარებდა, ყურმოკრული ამბების მოტანას ავალებდა. მაჰატამ ქმრის ღალატში დაეჭვებულ ცოლს ფეხი დააჭირა და ეჭვის ცეცხლი უარესად შეუკეთა.

„ჭორების ბოლინიას“ ხშირი მისვლა-მოსვლა გრიგოლს თვალში ეცა. მან ისიც შეამჩნია, რომ მაჰატას წასვლის შემდეგ მისი ცოლი გადაფითრებული გამოიყურებოდა. მყისვე თავისი საყვარლები გაახსენდა და „ჭორების ბოლინიას“ დაუსრულებელი ვიზიტები თავის საგულდაგულოდ შენიღბულ დროსტარებას დაუკავშირა. მაშასადამე, მას თვალს ადევნებდნენ და ზოგი რამ მისმა ცოლმა ალბათ უკვე იცოდა.

გერმანოზიშვილების ასული ძველებურად ამაყი იყო და ქმარს ღალატს არაგზით არ აპატიებდა. გრიგოლმა შუბლი მოისრისა. შეფიქრიანდა. თეთრი ლიზას ბუზღუნით მობეზრებულს, ცოლის საყვედურების მოსმენა და ოჯახში უნდობლობის გაძლიერება არ სურდა.

ვითარება სოვდაგრულად აწონ-დაწონა და სოვდაგრული გამოსავალი იპოვა.

ენის ტრიალს მან იმით მოუღო ბოლო, რომ „ჭორების ბოღანიას“ იმაზე მეტი მისცა, ვიდრე მისი ცოლი აძლევდა.

ახლა მაჭატა ეჭვიან ცოლს იმას უქარწყლებდა, რასაც წინათ ისეთნაირად თხზავდა, რასაც თვითონაც იჯერებდა და სოვდაგრის პირგამეხებულ ცოლსაც აჯერებდა. მისი არგუმენტი ძლიერიც იყო და დამარწმუნებელიც:

— მაშ, მაშ, ყველაფერი სულ ტყუილი ყოფილა, მანანაჯან! განა არ იცი, რომ კნეინა გოსტაშაბიშვილს თმაში თეთრი გამოერია და ფრთამოტეხილი დაბრძანდება? აბა იმას ჩვენი ლამაზი გრიგოლი როგორღა გაეკარება?

ამგვარი მტკიცებით გატაცებულ მაჭატას ავიწყდებოდა, რომ მანანას გიშრის თმებშიც რამდენიმე თეთრი ზოლი ბრწყინავდა.

ეს არც უზომოდ გახარებულ ქალბატონ ზანდაროვს მოჰგონებია.

მას კნეინას ნათქვამი ენიშნა, რადგან ამას სხვებიც ამბობდნენ.

მაგდა გოსტაშაბიშვილს თანდათან ემჩნეოდა დაუდევრობა ჩაცმა-დახურვაშიც, მიხვრა-მოხვრაშიც და, სახლში ჩაკეტილი, თითქმის არსად აღარ დადიოდა. ისედაც მიუკარებელი, კიდევ უფრო მიუკარებელი გამხდარიყო.

როცა მაჭატა კენტერაძე ამას ამბობდა, არ ტყუოდა და ენა მხოლოდ იმის გამო ებმოდა, რომ პირველად ლაპარაკობდა სიმართლეს.

თბილისის საზოგადოების მაღალ წრეში ერთბაშად ყველამ შეამჩნია, რომ კნეინა გოსტაშაბიშვილს ნაპიჯი გაუტყდა, სიარული და მოძრაობა დამძიმებული გაუხდა, ოდნავ დასქელებული, ძველ პეწსა კარგავდა და ტანსაცმელსაც ისე მოხდენილად აღარ ატარებდა, როგორც წინათ, როცა მასზე ყველას თვალი რჩებოდა.

ქალბატონმა ზანდაროვმა გამოიდარა.

ცოლ-ქმარს შორის ისევ დამყარდა ძველი ურთიერთობა. ოღონდ თუ წინათ ქმარი ჰყვებოდა ცოლს, ახლა ქმარს ცოლი თავის გზით მიჰყავდა, თანდათან აჩვევდა ცხოვრების ავანჩავანს და მალე იმას მიაღწია, რომ თვითონ ცოლმა დაუშალა ეკლესიის აშენება ვერის ახალ უბანში.

გერმანოზიშვილების ასული ნელ-ნელა ერკვეოდა ოქროს ფასში, ადამიანთა ურთიერთობის ასავალ-დასავალსაც ალღოს უღებდა, გაძუნწდა კიდეც და გრიგოლი იმედს არ კარგავდა, რომ ადრე თუ გვიან ის ქმრის ქონებას ისევე გადაეფაფრებოდა, როგორც მაიკო ბართლომე კურტანიძის ქონებაზე იყო გადაფაფრებული.

## 4. წვიმიანი ამინდის შიში

დავინახე როგორ უკანკალებდა მას ხელები.

**ონორე დე ბალზაკი, „წითელი სასტუმრო ოთახი“.**

სოვდაგრის სახლში ცხოვრებას თავისი უნდა გაეტანა.

თავადის ასულს თავადობა უნდა მოეშალა და სოვდაგრის ცოლობა დაეწყო.

ყველაფერი თავის რიგით მიდიოდა.

ყველა დავა გადაწყვეტილი იყო.

მაგრამ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდა.

ზანდაროვების ოჯახში ისევე მოულოდნელად გაავდრდა, როგორც მოულოდნელი იყო ნაიოსებარი გრიგოლის და ნაგერმანოზევი მანანას შეხვედრა, მათი ქორწინება და ერთად ცხოვრება.

სექტემბრის დამლევს ისეთი კოკისპირული წვიმა მოვარდა, რომ მთელი ქალაქი ფეხზე დააყენა.

ზანდაროვი განიერ სავარძელში არ-

ხეინალ იჯდა და თავის დავთარს ათვალიერებდა. ანგარიშობდა. მოსაგებს და წასაგებს ერთნაირად აკვირდებოდა. ტუჩზე წამდაუწუმ კმაყოფილი ღიმილი ენასკვებოდა. კმაყოფილების საბაბიც ჰქონდა და მიზეზიც.

ფეხსაცმელების ფაბრიკის მშენებლობაზე კალატოზებად არზრუმიდან გადმოხვეწილი სომეხი ხელოსნები ჩალის ფასად ჰყავდა დაყენებული. კალატოზთა ამქარს ვერც დროშების გაშლამ უშველა, ვერც არზრუმელი ხელოსნებისათვის ქვების დაშენამ. ამქრის ხალხის ღავღავზე ზანდაროვმა ყური არ გაიბერტყა და რათა მის კალატოზებს ხელი არ შეშლოდათ, ქისა გახსნა და პოლიციას გამოუძახა.

ცოლისძმამ გამჭრიახობა მოუწონა, ცოლმა ხასიათის სიმტკიცე.

დღევანდელი ნასლაათიც ცოლ-ქმარს შორის ამის გამო იყო გამართული.

ბატონი ზანდაროვი თავის დავთარს ჩაკირკიტებდა, ქალბატონი ზანდაროვი ტახტზე მოკეცილი იჯდა ხელებზე გადაშლილი „დავითნით“.

გარეთ ცის კიდეგანი ავდრის ღრუბლებით ივსებოდა, მზე ხან ერთი ღრუბლიდან იჭვრიტებოდა, ხან მეორე ღრუბელში იმალებოდა.

ბუხრის თავზე მოოქროვილი ფრანგული საათი, რომლის ბუდე მოცეკვავე მარკიზი ქალების და ვაჟების წრეში იდგა, საამურად ტიკტიკებდა.

ოთახის მყუდროებას დროდადრო ლოცვანის სტრიქონების ბუტბუტი და დავთრის ფურცლების შრიალი არღვევდა.

ქმარი დავთრით იყო გატაცებული, ცოლი „დავითნით“.

მათ არ შეუმჩნევიათ არც უეცარი ჩამობნელება ოთახში, არც წვიმის პირველი წინწკლების რაკა-რუკი გაუგონიათ.

როცა წვიმის ძლიერმა ჩქერმა მაღალი ფანჯრების მინები აახირალა, ქმარმა დავთრიდან აიღო თავი, ცოლმა „დავითნიდან“.

— ეტყობა მაგრად გაწვიმდება. — თქვა გრიგოლმა და ისევ თავის დავთარს მიუბრუნდა.

უცებ ცოლს იმ ავდრიანი ღამის თავგადასავალი მოაგონდა და ქმარს მიაცქერდა.

დიდხანს უყურა.

გრიგოლს იმდამინდელი ზნისა თუ საქციელის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

დამშვიდდა.

წვიმის ძლიერ ხმაურზე ინსტიქტურად გადაიწერა პირჯვარი და მთქნარება აუტყდა.

ამ დროს ქმრის ალერსიანი ხმა მოესმა:

— თუ წვიმის ხმაური გაწუხებს, სულო, ფანჯრებზე ფარდებს ჩამოუშვებ.

— როგორც გინდა, გრიგოლ. — ალერსიანადვე უპასუხა ცოლმა.

გრიგოლმა ჯერ საათს შეხედა, მერე ფანჯარასთან მივიდა, ქუჩაში გადაიხედა და ერთ ადგილზე გაქვავდა. გამოფხიზლებულმა ცოლმა კარგად შენიშნა, თუ როგორ აუტოკდა მხრები მის ქმარს.

— რა დაგემართა, გრიგოლ?

გაისმა ოთახში მანანას შიშნარევი წამოძახილი, მაგრამ მისმა ძახილმა გრიგოლის გონებამდე ვერ მიაღწია.

ერთხანს გაქვავებულს უცებ ისეთი კანკალი აუვარდა, რომ შეძრწუნებული მანანა ტახტიდან უფრო ჩამოცურდა, ვიდრე გადმოვიდა, ფეხზე ძლივს დადგა და ნაბიჯის გადადგმა ვერ მოახერხა.

— რა გემართება, გრიგოლ?

კვლავ გაისმა მისი ზარდაცემული ძახილი, მაგრამ ვერც ამან მიაღწია გრიგოლის გონებამდე.

ფანჯარასთან გახევებული იდგა, ცახცახებდა და ქუჩას გაშტერებული გასცქეროდა. მის თვალწინ, ქუჩაში, თავსხმა წვიმაში გზის გაგნებას ცდილობდა ხეიბარი გლახა, რომელიც ბრმა უნდა ყოფილიყო, რადგან ჯოხი ხელიდან გავარდნოდა და ერთ ადგილზე უმწეოდ ტორტმანობდა. ტორტმანობდა, დელგმაში ილუმპებოდა და უკვე

მუხლებამდე მომდგარი ქუჩის ნიაღვარი სადაც იყო წააქცევდა. როცა გლახამ ნიაღვარში ზღართანი მოადინა, ზანდაროვმა ისევე დაიგმინა, როგორც ქორწინების ღამეს ტაძარში და ოპერის დამთავრების შემდეგ კარეტაში. მის თვალწინ ისევ გაიელვა იოსების ლანდმა.

მანანამ შეჰყვირა.

— რა გემართება, გრიგოლ?!

ვერც ამ სასოწარკვეთილმა ძახილმა მიაღწია გრიგოლის გონებამდე.

მანანამ შეანჯღრია, გამოარკვია.

გრიგოლი მისკენ ანგარიშმიუცემლად მოტრიალდა. მანანა ისევ ძრწოლამ აიტანა. მის ქმარს ისეთი მტანჯველი ტკივილით ჰქონდა პირისახე დაგრეხილი და ისეთნაირად დამახინჯებული, რომ მასში ლამაზ მამაკაცს ვერავინ აღმოაჩენდა. უცებ ნაუცბათევმა ღიმილმა გაუხსნა ოფლიანი შუბლის შეკრული ნაოჭები. ეტყობოდა თანდათან ეწმინდებოდა გონება. მაგრამ მისი უადგილო ღიმილი ისე საწყალობელი იყო, რომ ყოველთვის თავდაჯერებულ მილიონერს ძალისა და ნების ნატამალიც არ შერჩენოდა. ასეთი გრიგოლ ზანდაროვი მის სჯულიერ მეუღლეს არასოდეს არ ენახა.

— რა დაგემართა, გრიგოლ? — გაიმეორა საშინლად გაოცებულმა მანანამ.

გრიგოლმა უნებლიედ შუბლზე ხელი მოისვა, ოფლის კოკრები მოიწმინდა. ფერწასულ ცოლს ისევ წელანდელი საწყალი ღიმილით გაუღიმა, თვალი ვეღარ გაუსწორა და თავი საცოდავად ჩაჰქინდრა. ასე გრიგოლ ზანდაროვი არასოდეს არ იქცეოდა. ქალბატონ ზანდაროვის წინ სულ სხვა კაცი იდგა.

— რა დაგემართა, გრიგოლ? — კვლავ წამოიძახა და ხმა ჩაეხლიჩა.

უკვე დაწყნარებულ ზანდაროვს წელანდელი უცნაური მოქმედება ხელების კანკალზეღა ეტყობოდა. ახლა გაოგნებული მანანა ამ ხელების ცახცახს უყურებდა და გაცრეცილ ბაგეებზე ერთიდაიგივე კითხვა ეკერა:

— რა გემართება, გრიგოლ?

მოსულიერებულ გრიგოლ ზანდაროვს ერთხელ კიდევ გაუკვირდა, რომ იმ ავდრიანი ღამის მოგონება უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მისი მუდამ ფხიზელი, ალმასივით გალესილი, წინდახედული და ანგარიშიანი ჭკუა-გონება.

აღარ იცოდა რა ეთქვა, რით ემართლებინა თავი.

გრძნობდა, რომ ყველა გზა მოჭრილი ჰქონდა. ვეღარაფერი უშველიდა და თავს ვერაგზით ვერ გაიმართლებდა.

თამამი და ნებიერი გრიგოლ ზანდაროვი ხაფანგში დაჭერილი ნადირივით იყო დამფრთხალი.

## 5. ტყუილი

ოჰ, ნუ მიყურებ ეგრე წარბშეკრული, მე ახლა ისე არაფრის არ მეშინიან, როგორც მაგ თვალების.

თომას მური, „ლალა რუკ".

როცა ცოლის ყრუ ქვითინი მოესმა, მან ნელა ასწია თავი და მყისვე განზე გაიხედა, ცოლს ცრემლები ახრჩობდა, მაგრამ მაინც მოახერხა თავისი დაუსრულებელი კითხვის გამეორება:

— რა დაგემართა, გრიგოლ?

გრიგოლმა გაკვირვება სცადა. ცოლს გაოცებული მიუბრუნდა:

— არ ვიცი... არ ვიცი რას ამბობ? რა უნდა დამმართნოდა?

— როგორ თუ არ იცი? კაცის ფერი არ გედო სახეზე, როგორც იმ დროს... ქორწინების ღამეს... კარეტაში... იმ საშინელს ავდარში...

გრიგოლი თავჩაქინდრული იდგა. არ იცოდა რა პასუხი გაეცა ცოლისათვის. ნამდვილი მიზეზის თქმა ოჯახს დაუნგრევდა და თვითონ მას ულმობელად დაბლა დაანარცხებდა და დაამხობდა, ტყუილი კი ვერ გაჭრიდა, რადგან მისი ცოლი მესამედ ხდებოდა მისი უცნაური ქცევის მოწმე.

გრიგოლმა შუბლი თითებით მოისრისა. ერთადერთ შესაძლებელ განმარტებას ჩაეჭიდა, მისი გამოყენება სცადა, ხმა დაირბილა და ცოლს ისე უთხრა:

— რათ გაგიკვირდა, სულო? ასეთი ავდრები ერთ რამეს მაგონებს და მტანჯველი ფიქრები მეშლება... აკი ერთხელ გითხარი, რომ სოვდაგრული ხეტიალის დროს...

ცოლმა ხელის აწევით შეაწყვეტინა.

— ისევ ეგ გინდა მოჩმახო? არა, ეგ არ არის შენი ტანჯვის მიზეზი. ისიც ვიცი, რომ ავზნიანი არა ხარ. არა! აქ სულ სხვა მიზეზია! წვიმიანი ამინდი გუნებას გვიფუჭებს, მაგრამ კაცის სახეს არ გვაკარგვინებს. ტყუილად გინდა მომატყუო?

— რატომ არა გჯერა, სულო? თუ შენ არ იცი, მე მკითხე, სოვდაგარს სად არ უხდება სიარული, სად რა ხიფათი ელის, სად ვინა მტრობს და ალარიბებს კიდეც. ყაჩაღები ფოშტის ეტლს ესხმიან თავს, ვაჭრის ქარავანს ვინ დაინდობს? რატომ არ გინდა წარმოიდგინო, რომ ერთხელ, ახალგაზრდობაში, ისეთნაირად გამიჭირდა, რომ გლახად გადაქცეული და მშიერი ასეთ ავდარში კარდაკარ დავწანწალებდი, მაგრამ კარს არავინ მიღებდა, როგორც იმ გლახას...

— ვინ გლახას?

შეაწყვეტინა ცოლმა და სახეზე ისევ ეჭვის ჩრდილმა გადაურბინა.

— ფანჯარაში გადაიხედე და დაინახავ.

მანანა ფანჯარასთან მივიდა, გულგრილად გადახედა ნიაღვრის ტლაპოში გართხმულ გლახას და ზიზღით წარმოთქვა:

— იჰ, დამთვრალა და ტალახში გაშოტილა!

გრიგოლი უსიამოვნოდ შეირხა, რადგან კვლავ მოელანდა ავდრიან ღამეში ადამიანებისაგან განწირული და მოუსაფარი იოსები. ოდნავ გაღიზიანებულმა ცოლს გაჯავრებით გადაუგდო:

— ერთხელ მეც ეგრე ვეგდე ტალახში.

— ეგრე ეგდე?

— ჰო. ეგრე. ეგ რომ მაგონდება, გონება მემღვრევა და ის მემართება, რაც შენ გიკვირს და მიზეზი ვერ გიპოვნია. მიზეზი ეს გახლავთ, კნეინავ!

— იფ! როგორ მოგწონთ? — წამოიძახა ერთი წამით გამხიარულებულმა მანანამ და სოფლურად დაამღერა, — იარალ გერმანოზიშვილის ასული ნაგლახარის ცოლადა?!

გერმანოზიშვილების ასულმა ისეთი სიმართლე თქვა, რომ გრიგოლმა გამომწვევ ლაპარაკს სიფრთხილე ამჯობინა, გაღიზიანებული ტონი ისევ ვედრების კილოთი შეცვალა.

— დამიჯერე, სულო!

ცოლი სწრაფად მოტრიალდა მისკენ.

— მაშ ტალახში ეგდე?

— ჰო. ტალახში ვეგდე.

— შენ? მილიონერი? ეგ არის დაგიჯერე!

— დამიჯერე, სულო!

— დაუჯერებელს როგორ დაგიჯერებ?!

— რომელი ხატი დავიფიცო?

— ფიცი რათ მინდა. საბუთი ხელთა მაქვს.

— რა საბუთი?

— აი თუნდაც ეს ავდარი.

— ჰო. — მყისვე ჩაეჭიდა მის ნათქვამს ქმარი. — ეს ავდარი და ის გლახა რომ არა, მე ისევ ჩემს დავთართან ვიჯდებოდი.

— მაშ, წვიმის შიში გქონია?

ქმარმა ვერაფერი უპასუხა.

ცოლმა თვალი თვალში გაუყარა და ისე განაგრძო:

— მაშ მარტო ავდარში გემართება ეგრე? სთქვი და დაგიჯერებ.

— მარტო ავდარში. — მცირე ყოყმანის შემდეგ უპასუხა ქმარმა.

ცოლმა დაუყოვნებლივ მიახალა:

— ჩვენი ქორწინების ღამეს არც წვიმა იყო, არც ავდარი.

გრიგოლს ენა დაება.

ისევ ნადირივით აღმოჩნდა ხაფანგში გაბმული.

ცოლმა ნიშნისმოგებით შეათვალიერა, დაფიწყებული მოაგონა:

— ერთი კვირა მექორწილენი შენს

უცნაურ საქციელზე ლაპარაკობდნენ. განა დაგავიწყდა?

მას მართლაც დავიწყებული ჰქონდა ის, რასაც ახლა ცოლი ეუბნებოდა. ალბათ იმიტომ, რომ ნათია უფრო იშვიათად აგონდებოდა, ვიდრე იოსები.

ერთი წამით დუმილი ჩამოვარდა.

გარეთ წვიმა ისევ ხმაურობდა.

ბუხრის თავზე საათმა ხუთჯერ დარეკა, მარკიზი ქალების და მარკიზი ვაჟების ფიგურებმა მრგვალ საათს გარშემო შემოუარეს და ისევ თავთავის ადგილზე გაჩერდნენ.

— შენი საქციელის მიზეზი სულ სხვა არი.

ძლივს მოესმა ცოლის მოულოდნელი საზრიანობით გაშტერებულ ქმარს.

— დამიჯერე, სულო!

უეცრად აღმოხდა მას და ხმა გაებზარა.

მანანას სული შეუგუბდა.

ჩვეულებრივ მისი ქმრის ხმა ზარივით რეკდა და ნაცნობებიც მას იმ იტალიელ ბარიტონს ამსგავსებდნენ, რომელიც რაღაც ავადმყოფობას გადაჰყვა და ახლა სოლოლაკში კათოლიკეთა ეკლესიის ეზოში განისვენებდა.

ქმრის გაბზარულ ხმაში ცოლმა ვედრებისა და პატიების კილო აღმოაჩინა.

სავსებით აშკარა იყო, რომ მას ქმარი რაღაცას უმალავდა და სიმართლის თქმას არაგზით არ აპირებდა. მის უცნაურ ქცევაში ქალს მხოლოდ ქალის მავნე გავლენა შეეძლო აღმოეჩინა. „განა ასე არ ემართებათ იმ კაცებს, — მოაგონდა ქალბატონ ზანდაროვს, — რომელთაც თათრის მოლის აღმოსავლურ წამლებს ასმევენ თავდავიწყებით შეყვარებული ქალები".

ძველი ეჭვი ისევ განუახლდა და ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ ქმარი მას კნეინა გოსტაშაბიშვილთან ღალატობდა. სახეზე სიბრალული გამოისახა და თანაგრძნობით წარმოთქვა:

— შენ ჯადოთი ხარ შეკრული, გრიგოლ!

გრიგოლს გაუკვირდა.

— რა ჯადო? რის ჯადო?

თავმოყვარეობამ გერმანოზიშვილების ასულს ნება არ მისცა ქმრის საყვარელი ეხსენებინა. ოღონდ ნათქვამს გაჯავრებულმა დასძინა:

— იმ ქალს უნდა, ჩემი თავი შეგაძულოს...

თავისი სიტყვების თვითონვე შერცხვა, სახეზე ხელები აიფარა და ოთახიდან გავარდა.

გრიგოლმა შვებით ამოისუნთქა.

მისი ცრუმორწმუნე ცოლი მის უცნაურობათა მიზეზს რაღაც რომანულ ამბებში ნახულობდა. მაგრამ გაკვირვებით ეს არ გაკვირვებია, რადგან ნამდვილ მიზეზს ვერც მისი ცოლი და ვერც სხვა ძეხორციელი ვერაგზით მიაგნებდა. ამიტომ მხოლოდ ასეთი სულელური ახსნისათვის რჩებოდა ადგილი. გრიგოლი წელში გაიმართა. გამოსავალი მას თვითონ ცოლმა აჩვენა და წეღანდელი შიშისა და მღელვარების ნატამალიც არ შერჩა.

დედაკაცისა და მამაკაცის ურთიერთობანი ადვილად მოსაგვარებელი იყო. საქმარისი იყო ქისიდან ერთი ოქროს თუმნიანის გადაგდება, რათა „ჟორჟის ბოლინიას" მისთვის „იმ ქალის" სახელი ეთქვა.

ავდარი გამოდარებას აპირებდა გარეთაც და ზანდაროვების ოჯახშიც.

ქარიშხალმა ერთხელ კიდევ ჩაიარა.

გრიგოლი დამშვიდდა, ისევ თავის დავთარს დასწვდა და ყურადღებით გადაშალა.

აფორიაქებული მანანა კი მოუთმენლად მოელოდა გათენებას, რათა სისხამ დილით წმ. ბარბარეს საყდარში გაქცეულიყო და ხატზე მარჩიელის შელოცვილი სამკაული ჩამოეკიდა. ამ სამკაულს კნეინა გოსტაშაბიშვილის ჯადო უნდა დაეშალა.

□ დასასრული იქნება □

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანა ჯერენაშვილი

# წუხილი

მოთხრობა

ცის ტატნობზე ძლივსღა ბჟუტავდა ჩამავალი მზე. უფორმო, სქელ ნისლს, რომელსაც არც თავი უჩანდა და არც ბოლო, თითქოს მთლიანად შთაენთქა მისი სხივები.

... ისინი მაგიდას უსხდნენ, იქვე კართან, კედლის გასწვრივ. ქალი ქმრის სამუშაო ხალათს აგვირისტებდა. კაცს სამი ჭიქა ქინძმარაული ჰქონდა გამოცლილი.

— შენ არა გშია? — ჰკითხა კაცმა.

ქალმა უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— შენ იცი, აბა! — უთხრა კაცმა, კვლავ შეივსო ჭიქა და მოწყურებულივით ერთბაშად გადაჰკრა. მერე ჭამა განაგრძო.

ქალი გაშტერდა.

— რაო, რას ამბობს ეგ შენი საკერებელი? — ჰკითხა კაცმა ისე, რომ ზედაც არ შეუხედავს — ვაითუ, ეს დახრილი თვალები აღიმართონ და მომაჩერდნენო; კაცს ოდნავი ღიმილი გადაჰკვროდა სველ ტუჩებზე.

ქალს მოეჩვენა, თითქოს ეს უცაბედად გადავლებული ღიმილი რაღაც ვერაგული განზრახვის მაუწყებელი იყო. სახე გაუქვავდა. მერე კაცს ალმაცერად გადახედა.

— შენ თუ სჭამ, ჭამე. მე ამ საქმეს მოვუვლი, — თქვა მერე ქალმა.

შენ, ვიცი, მოუვლი, — ღვარძლი გაურია უცებ კაცმა ხმაში, — სად მიბრძანდებოდი დილით.

ქალმა შენიშნა, რომ ამ სიტყვაში, ამ აგდებულ ტონში რაღაც გამოწვევა იხატებოდა. მაგრამ ამ გამოწვევის მიზეზს ჯერ ვერ ხვდებოდა. შეურვებით შეხედა ქმარს.

— ქალაქში, ინგიჩარო!

— რა დაგრჩენია, ნეტა, იმ ქალაქში, ფული გაწუხებდა? — ჯაჭვით დაბმული ძაღლივით დაიღრინა კაცმა.

— რა გულზე ცეცხლი მოგეკიდა, ალბათ დამრჩენია.

— შენ ეგრე ნუ იცი ლაპარაკი, თორე!...

კაცი მაგიდაზე დაწყობილ ახალ გაზეთებს გადასწვდა. იდაყვი ქალის მკლავზე მოუხვდა. მოღუშულმა გადაავლო თვალი სტრიქონებს, მაგრამ აზრები მთვრალივით ტორტმანებდნენ სიტყვებზე.

— როგორც ვიცი, არ მოგწონს?

— როგორ იცი და ეგრე, შეტევით. ეზო-ყურე რო გაგიღნიაშებია და დაგიტოვებია, ათასი საქონელი და ოხერი დადის.

— ემანდ, ოქროები არ მოგპარონ.

— ვიღას ეუბნები, არა გქონდა, არა, დედაჩემის ნაქონი ოქრო! რად გაყიდე?

— აბა, ვინძლო შემჭამო. ისე ჰაი-ჰარად გამახსენებ ხოლმე... მისხალ-მისხალ ჩაგაბარო ანგარიში? იმიტომ გავყიდე, რომ ოჯახს ფული სჭირდებოდა. აბა, შენ რა იცი, მაგისა. სახლს ათასი კუნჭული აქვს, სახლისა შენ რა გექითხება.

— ორთავე გაყიდე?

მიყუჩდა კაცი, ქალის მკაცრმა კილომ გაბზარა მისი შემტევი განწყობილება.

— ერთი. მეორე ი გასაქრობმა გოგომ არ დაკარგა?!

— სად დაკარგა?

— რა ვიცი, ნათლიჯალაბთან რომ იდგა, ფანჯარაზე დავდე და რო მოვბრუნდი, აღარ დამიხვდაო. ცილი როგორ დავწამო იმ მზებნელ ხალხს; არადა, ბეჭედი იმ ოჯახში დაიკარგა. ძველებური ოქრო იყო. შუბლის ქინძისთავი. შენ ხომ კარგად გენახვებოდა?

— ვნახე, დედაჩემის ნაქონი ძვირფასი იქნებოდა, მარა.

— როდის მოხვედი რო ქალაქიდან? — ჰკითხა კაცმა.

— შუადღე იყო. ისე მაქვს მოღლილი ჯანი... მთელი დღე ჩემი ფეხი არ ჩაიკრიფება; ან კი რა შეძლება მაქვს. სული ამომდის!

ქალს თეთრი კაბა ტანზე ხალვათად ადგა.

კაცმა ღიმილით შეათვალიერა. მერე ოდნავ გადაიხარა ქალისაკენ. უცნაური გრძნობის ჩრდილმა გადაურბინა მუქ, უნაოჭო სახეზე.

— იმიტომ ამოგდის სული, რომ, უთავბოლო საქმე იცი. აბა, ერთი, რას აკეთებდი დღეს?!

კაცი კარგად ხედავდა ქალის გარჯას, გულში ნანობდა კიდეც თავის სიტყვებს, მაგრამ ჯიუტი იყო და არა ტყდებოდა.

ქალს სახე აელანძა. ქმარს ნაღვლიანად შეხედა:

— ნეტა, ეგრე როგორ დაკარგე ცოდო-მადლი, რომ ვერაფერი დაგანახე და მოგაწონე. რას ვაკეთებდი და, — წამოიწყო ქალმა ნერვიულად, — დილას, სანამ ქალაქში წავიდოდი, ძროხა მოვწველე, გავაგდე ნახირში; მერე იყო, მოვედი ქალაქიდან და, რძე იყო ასადუღებელი, კარაქი შესადღვები, კერძი გასაკეთებელი. შე ცეცხლმოსაკიდებელო, ახლა რომ დაგხვდა ცხელი საჭმელი, კარგი იყო? „რას აკეთებდი?!“ აი, მაგას ვაკეთებდი, დაინახოს შენმა დასაბრმავებელმა თვალებმა. შენა გგონია, ყველაფერი ჰაერიდან მოდის? მარტო ჭამა უნდა! გაიხედ-გამოიხედე, საიდან რა მოდის, დაინახე; ახლა, რამდენი საქმეა, ყველაფერი ჩემმა ხელებმა უნდა გააკეთოს. ვინ არის მშველელი. რომ არც მიფასდება?!

— დაგიფასდება, — თქვა დინჯად კაცმა და გაიღიმა. ყოველი ნერვი უთრთოდა, მაინც ღიმილი მართებდა, რათა ცოლისათვის მხიარულად მოეჩვენებინა თავი.

— თვალი შენც დაგიდგა! შენ ყოველდღე ის მეძახე: რას აკეთებ, რას აკეთებდი და ძალიან დაფასებული გამოვალ. ერთ კვირას ავდგები და დავიკარგები. ერთი, რას იზამ, მგონი, ყველაფერი თავდაყირა დააყენო. მაშინ მიხვდები, რასაც ვაკეთებ. ჩემი მჭვალი აღარ დაგადგება.

კაცი გაოცებული იყო, როგორ ხსნიდა ცოლი მის ყოველ სიტყვას თავისებურად. ზოგჯერ მოეჩვენებოდა ხოლმე, რომ მართლაც არ იყო ისეთი, როგორიც ეგონა საკუთარი თავი და, რომ საერთოდ ვერ ამჩნევდა თავის ვერც ერთ უარყოფით მხარეს, რაშიც ახლა ცოლი ედავებოდა.

— რატომ გგონია, ვითომ! შენს სინაბარა ვყოფილვარ აი, ხელს არ ვანძრევ.

— არა, რო?!

— არა!..

კაცი გარეთ იყურებოდა. მსუბუქი ნიავი ოდნავ არხევდა ფანჯრის წინ მდგარი ხეების ტოტებს და კაცის „არა“ თითქოს ამ ხეებისადმი იყო მიმართული.

— აბა, ვნახოთ, თუ არ დავიკარგო.

მერე მომიგონებ. ჩვენებიანთ თეანასი არ იყოს, იმასაც ეგრე ადუხჭირებდა ქმარი და თვალიც დაუყენა. მიწამ კი უყოს პირი, აჰა! ვერ უქნა კარგად?! ახლა გაიგოს ცოლის ფასი. ცომი დაეკრას იმას, ყეენივით რომ დადიოდა, რა ეგონა.

ქალის კილოს გულუბრყვილობა ემჩნეოდა, მაგრამ ოდნავ გამოწვევაც იგრძნობოდა.

— რა ქნა, რო? — გაეღიმა კაცს.

— რა ქნა, და, გაექცა! როდემდის აეტანა მაგისთანა ფეთხუმის ღრძო ხასიათი. დასასრული არა ჰქონდა?

— სად ჯანდაბაში და დოზანაში წავა. ის აქედან წამსვლელი არ არის.

— ახლა, შენ იცი და მე აღარ ვიცი, მაშ! — დაუტატანა ქალმა, რომელმაც კარგად იცოდა, ძნელი იყო გაბზარული ოჯახური ცხოვრების შეკოწიწება და, ქმრისაგან არ ესწავლებოდა ეს.

— შენ რომ არ გამექცევი?! — თქვა შემპარავი ღიმილით კაცმა.

— აბა, ვნახოთ, თუ არ გაგექცევი, მეტსაც გიზამ. აი, ამ ეზო-ყურეს გაგიყოფ. ეგრე გავაკეთებ.

— ე ეზო-ყურე შენია. მეტი ვინლა მყავს. ი შვილები თავთავიანთვის ლავაბინავეთ. ამ ეზო-ყურეში ეხლა შენ უნდა გაიხარო!

— და, შენც არა?!

— მარაა! არ გინდა, ეგრე, რო...

— მე ის მინდა, რომ დამაფასო. შენ ეგ ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკი მოიშალე.

ქალმა კარგად იცოდა, რომ ქმრის სიტყვები, რომლებიც ზოგჯერ ჭეშმარიტებად მიაჩნდა, მხოლოდ ფერადი ბუშტები ყოფილა და ეს ბუშტები სკდებიან და არარაობად იქცევიან ხოლმე.

— პირში წყალს ჩავიგუბებ, არ გინდა!? — შეუღრინა კაცმა.

— მუგუზალო! კარგი. ალილო და ხვალეო. ვნახავ, რა დამფასებელიც გამოდგები.

კაცმა მუქი ცისფერი თვალებით ცერად გახედა ცოლს, მაგრამ პასუხი არ გაუცია. ცოლ-ქმრული ცხოვრების მრავალმა წელმა დიდიხანია დაარწმუნა, რომ ოჯახური სიმშვიდის შესანარჩუნებლად უკანასკნელი სიტყვა ყოველთვის ცოლს უნდა დარჩენოდა. გაზეთები აიღო და ხეებით დაჩრდილულ ეზოში ოდნავ მოხრილი გავიდა.

ქალმა, ქმარი რომ გაიგულა, წამოდგა და ფუჩუნით სუფრის ალაგებას შეუდგა:

— ემანდ, ბევრი რამე არ ისწავლო მაგ გაზეთებიდან. შენ მაინც ეგეთი მეყოლები, დაუნახავი, — და მერე: — ეხლა ისეთი ხანაა, რომ, არაფერი არ უნდა გიკვირდეს, წინათ სად იყო, ცოლ-ქმარი დამდურებოდა. ამას ჰგონია, თეანას ვამართლებ. ერთმანეთს შევყევით, თორემ, უწინამც დღე გამიქრეს, მე რომ შენ დაგცილდე. ან კი სად უნდა წავიდე, რო... ემანდ, ჩამობნელდა და ე თვალები არ გაგიფუჭდეს. შამოდი, შუქს აგინთებ.

ქალმა კარი გამოაღო და ქმარს ალერსშეპარული ხმით დაეძახა:

— რაღას ხედავ, რო!..

ქალის ხმაში ძალა და შემართება იგრძნობოდა, მაგრამ, თითქოს საკუთარი ხმისა შეეშინდაო, უმწეოდ დაიწყო აქეთ-იქით მზერა. მერე მისი თვალები შეხვდა ქმრის თვალებს, რომლებიც მშვიდად შეჰყურებდნენ.

— ვხედავ, ალბათ! — თქვა წყნარად კაცმა.

— ვინ თავმკვდარმა, ხმა ამოვიღო, მოდი და ხმამაღლა წაიკითხე. მეც მოგისმენ.

— მოვალ, დამაცა! — შემოუტია კაცმა და კვლავ გაზეთში ჩაჰყო ცხვირი.

ჰაერი ადრეული გაზაფხულის დამათრობელი სურნელით იყო გაჯერებული. კაცს სიამოვნებდა ეზოში ყოფნა. მერე ცაზე დაისის უკანასკნელი შუქიც გაქრა და საღამოს მსუბუქა სიგრილე დაეშვა მიწაზე.

კაცი წამოდგა. ნელი, მაგრამ მტკიცე ნაბიჯით შევიდა ოთახში. და მაშინვე,

სიმყუდროვის რაღაც სითბო და შვება იგრძნო.

...როცა ტანთ გაიხადა ქალმა და ლოგინში შეუწვა ქმარს, მიხვდა, დღეს თავის მესარეცლეს რაღაც აწყენინა, კერძოდ რა, თავი და ბოლო ვერ აება ამ ამბისათვის. ოღონდაც ეს კი იყო, რომ მოესურვილა, ქმარს ერთხელ კიდევ დალაპარაკებოდა. „ხვალ ეს სამუშაოზე წავა, მე კი მარტოკამ გული უნდა ვიხეთქო, რათ მოვექეცი ასე-მეთქი. ამ ხუმრობაში ცეცხლს არ ვეთამაშებოდე. ოჯახი მართლა არ გავანელო".

ქალს ნაღველი შემოაწვა გულზე. იგრძნო მარტოობა. ეშინოდა საკუთარ თავთან მარტოდ დარჩენის, რადგან, არ აინტერესებდა უფრო ახლოს გასცნობოდა თავის შინაგან მეს, რომელიც ისევე კაცთან მიიყვანდა, დღევანდელი დღის ბრალმდებად. ძალიან მოუნდა ახლა ქმრის ხმის გაგონება, ნუგეშად.

— ხვალ დილა არ გამითენდეს, თუ არა ვგრძნობდე, რომ გაწყენინე, — თქვა ქალმა, — ხომ არ მიწყრები კიდევ. კრიჭა ნუ შეგეკრა, ხმა ამოიღე.

ქალი სიბნელეში გადახრილიყო და ქმარს სახეში ჩასცქეროდა.

— ერთი შენც, მოგცლია! — თქვა კაცმა.

კაცს თვალებში უნდობლობის ჩრდილი ჩასდგომოდა. მაგრამ ქალი ამას ვერ ხედავდა. ის ისედაც გრძნობდა, რომ ამ ორიოდ სიტყვის ჟღერადობაში იჩქმალებოდა რაღაც საიდუმლოება და გარდუვალობა. თითქოს მასში მიმალულიყო ვიღაც იდუმალი, ყოვლისშემძლე არსება, რომლის ფხიზელ თვალს შეუმჩნეველი არ რჩებოდა ადამიანთა საქმენი. ქალი იწვა წყნარად, ბალიშში თავჩარგული. თვალდახუჭული. საბნის პირთან ისმოდა კაცის მშვიდი, თანაბარი ფშვინვა, თითქოს ამქვეყნიურ განცხრომას მოუცავსო. და ქალს ეჩვენებოდა, რომ კაცი სიზმარში რაღაცას უღიმოდა, მაგრამ რას, არ იცოდა ქალმა. არც სჯეროდა ამ ღიმილის სიწრფელე. მან რაღაც დააშავა. ამას კაცი არასდიდებით არ აპატიებდა. ქალს ვერ წარმოედგინა, რომ ეხლა, როცა ქმრის გვერდით იწვა, კაცი მის დღევანდელ რატრატს სერიოზულად მიიღებდა და გულში ჩაიჭრიდა მღრღნელ ჭიასავით.

„უკეთესის იმედი რომ არა, ცხოვრება ტანჯვად იქცეოდა", — გაიფიქრა ქალმა და ჩაფიქრდა. მას უყვარდა ქმარი, და ეხლა, არეული სულის დასაწყნარებლად ცდილობდა გაეხსენებინა ყველაფერი ის, კარგი, რაც ქმართან აკავშირებდა. მაგრამ ეს მოგონება ირეოდა და კვლავ ქრებოდა, როგორც კენჭების მოხაზულობა ნაკადულის ფსკერზე. ქალს ძილმა წაართვა თავი, მისი ფიქრის საგნები თითქოს ლეჩაქით დაიფარა და სადღაც, შორეულ სივრცეში ჩაინთქა.

გარეთ კი ღამის მყუდროება გამეფებულიყო. თვალშეუდგამი უკუნეთით მოცული ცის ქვეშ, ჩაბნელებულ დედამიწაზე ძილს მისცემოდა ადამიანთა მოდგმა, თავისი ამოუხსნელი ყველა გამოცანითა და საწადელით.

ეძინა ქალს და კაცს.

**გურამ პეტრიაშვილი**

# მოსვლა

და იყო ქვეყნად
ჰაერივით მსუბუქი კაცი,
მაღლა ცაში
იწვა ღრუბელზე
და თავისი ღრუბლის სიგრილით
                    და სიფაფუკით
ტკბებოდა მშვიდად.
ქარს დაჰყვებოდა აქეთ და იქით,
არა ჰქონდა საფიქრალი
და სადარდელი.
დიდი ქალაქის სახურავებზე
ითვლიდა კატებს
და ერთობოდა იმისი ცქერით —
აივნებზე
როგორ რწყავდნენ
ყვავილებს ფერადს,
ხეივანში
ვინ როგორ ძაღლს ასეირნებდა
და ქუჩაში
ვის როგორი ეხურა ქუდი.
ხან დაუკრავდა
          უცებ
               სალამურს
და კმაყოფილი იღიმებოდა
როცა ხედავდა,
გაოცებულნი
აქეთ-იქით რომ იყურებოდნენ
მოქალაქენი
და ვერ გაეგოთ
თუ საიდან მოდიოდა
                    ხმა საამური.
ხან ლამაზ ფოთოლს
ცითა და მზით გაფერადებულს
დაჰკიდებდა უხილავ ძაფზე,
ჩამოუშვებდა ქუჩაში სადმე
და უხაროდა
რომ იმ ფოთოლს
                    დასდევდა ხალხი.
ხ[illegible] კიდევ სარკეს ამოიღებდა
და [illegible]ის ათინათს
ახტუ[illegible]ავებდა
ქუჩიდან ქუჩად,
სახლიდან სახლზე,
ერთი ფანჯრიდან
სხვა ფანჯარაზე
და მზის სხივით
                    დასდევდა დიდხანს
ხიდან ხეზე მოხეტიალე
               ჩიტუნების გუნდებს...
მერე კი ვინმეს ამოირჩევდა
მარტოდ გარინდულს
ბაღის სკამზე,
               ან ფანჯარასთან
მიანათებდა სახეში უცებ
და თუმცა ხშირად
განათებულ წამწამებზე
კიაფობდა მარცვალი რაღაც,
ამაზე კაცი, ღრუბელზე მწოლი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ფიქრობდა,
ვერა ხვდებოდა ვერაფერს იგი,
განაგრძობდა
თამაშს ხალისით.
მერე ესეც მოსწყინდებოდა
და სარკეში იწყებდა ცქერას.
უღიმოდა თავის ორეულს,
თავისი ღრუბლით
და თავისი სიმსუბუქით
მოსწონდა თავი.
და კმაყოფილი იყო სრულიად:
მზე იყო ახლოს
ძირს კი სოფლების და ქალაქების
სახურავები ფერადფერადი,
გორაკები ყვავილიანი,
პეპლები ჭრელი,
და უამრავი
აყვავებული
ბაღი ალუბლის
ლაღობდა შორი მოთამაშე,
მხიარული
და უდარდელი.
ერთ დღეს კი
უცებ დანაღვლიანდა.
ვერც თვითონ მიხვდა
რის ბრალი იყო.
რა მოხდა ნეტავ,
რამ დააღონა?
ხომ არ
უცქირა

ვიოლინოს როგორ ჰყიდდა
ქუჩის კუთხეში აბუზული მევიოლინე?
ან სილის კოშკებს როგორ უნგრევდნენ
პატარა ბავშვებს?
ან ნახა იქნებ
თუ ცისფერ ველზე
ბაჭიას —
—მთრთოლავ
პაწია წერტილს
ყოველი მხრიდან
ნელა როგორ მიუახლოვდნენ
შემართული თოფებით ხელში?
ან იქნებ ცაზე მიმქროლავმა
დალანდა წამით
მოცახცახე გამხდარი მხრები
ბალახებში, მდინარის პირას,
მიტოვებული შიშველი ქალის?
ნაღვლობდა კაცი
და როდესაც დღე მიიწურა,
გადმოუგორდა წამწამზე ცრემლი,
ღამით დიდხანს აკვირდებოდა
ბნელში დაბნეულ სინათლის წინწკლებს
და ჩაეძინა ზეცაში გვიან.
არ გაუგია
თუ ღრუბელმა საით წაიღო.
ბორგავდა ძილში...
მერე ბნელში გამოეღვიძა.
აღარ იწვა ღრუბელზე უკვე,
ძირს მოფრინავდა ტრიალ-ტრიალით.
მოდიოდა
და გრძნობდა ამას:
უმძიმდებოდა თანდათან ტანი...
და ბოლოს სწრაფად დაეშვა უცებ,
დაეცა მიწას
და დედამიწა შეხვდა ტკივილით...
იწვა ბნელში,
სტკიოდა ტანი,
და როდესაც მზე ამოვიდა,
ასწია თავი,
წამოდგა მძიმედ,
მიმოიხედა
და დაინახა
დიდ ველზე იდგა,
ბიბინებდა ველზე ჯეჯილი.
ჩაფიქრდა კაცი,
ფიქრობდა დიდხანს
და ბოლოს თავის
ფიქრს გაუღიმა,
აიხედა და ბრიალა მზეს
ჩაუკრა თვალი:

მისი ღრუბელი
ამ ჯეჯილზე
მოვიდა წვიმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გაქცევა

სადილის ბოლოს დიდი საზამთრო შემოიტანეს.
და მაშინ ერთმა მოკამათემ
ქვეყნად არსთა განრიგებაზე საუბარი
შეწყვიტა უცებ,
აკრიფა თავის დანა-ჩანგალი,
გამოსჭრა ხვრელი საზამთროში აკურატულად,
სასწრაფოდ შეძვრა ტკბილ სიგრილეში....
და შემდეგ,
თუმცა
ბევრი უძახეს
ის საზამთროდან აღარასოდეს არ გამოსულა.

XXX

საღამოა...
რბილ სავარძელში
ზიხარ მთვლემარე
და ყურს არ უგდებ
ქალაქის ხმაურს.
ბინდდება ნელა...
ტკბები სიგრილით
და მყუდროებით.

უცებ ფრთხიალი გამოგაფხიზლებს:
შემოფრინდება შენს აივანზე,
ნამცეცებს ზედაც კი არ დახედავს
და თვალებში მოგაჩერდება
ზეცის სიშორით
შეშლილი
ჩიტი.

## ფისო—ყულაბა

ბოლოსდაბოლოს,
სიცოცხლის ერთი ნამდვილი წამიც
არგუნა ბედმა:
სანაგვეზე გადაისროლეს,
დარჩა მარტოდ
ვეება ცის ქვეშ,
და ჭუჭყიანი გროშების ნაცვლად
დიდი წვიმებით
აევსო თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მაყურებლები

ზოგმა იტირა,
ხოლო ზოგ-ზოგი
უკმაყოფილო წავიდა სახლში.
მთელი სპექტაკლი
ეს იყო მხოლოდ:
გაიხსნა ფარდა,
შუა სცენაზე
ამოვიდა
პაწაწინა ყვავილი ნაზი,
გაიფურჩქნა,
სურნელებას
აფრქვევდა
ერთხანს...
მერე დაჭკნა
და ჩაიფერფლა.

## მ ხ ა ტ ვ ა რ ი

უთხრეს:
„ეგ კარგი,
რომ ცოცხლდებიან
ცხენები შენი
და გადმოდიან სურათებიდან,
მაგრამ რბილი
რად არ ადგათო უნაგირები,
გახედნილნი რად არ არიან,
ფაფარგაშლილნი
წვიმიანი ველებისაკენ
რად ილტვიანო".

***

თუკი ქვეყნად
შეიძლება რომ იყოს შური,
მე მშურს
მხოლოდ
კალატოზების,
თან მუშაობენ —
— აკეთებენ თავის საქმეს
წყნარად და დინჯად —
და თან ნელ-ნელა
ცისკენ
მიდიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლო ტაბატაძე

# რად გაუჩინარდა მდინარე...

მოთხრობა

## 1. თავმჯდომარე

მდინარე, სოფელს როგორც კი შორდება, უცბად წყდება, ნაძრახ ტბასთან ყურყურით ეშვება ქვესკნელში და უჩინარდება.

— წადი, ჩემო ძმაო, თავი დამანებე, — მეუბნება თავმჯდომარე, — სამგზავრო ფულს მე მოგცემ.

შენ, ეი, ჩვენო თავმჯდომარევ, მართლა ხომ არ გგონია მდინარე გაქრა, ის ქვესკნელის სასახლეებში განაგრძობს სიცოცხლეს. აბა, მიწას ყური დაადე, ნახე, როგორ ფეთქავს დედამიწა, სუნთქავს, მდინარე სუნთქავს. დრო მოვა, ვინმე ჩაყვება ზვირთებს უჩინარ სასახლეებში და მაშინ ვნახოთ, გადაუშლის თუ არა ბუნება თავის საოცარ სანახებს.

შენ მეკითხები — რატომ შევაბი იასონზე გაპიროვნებული ხარები? იმიტომ, სოფლის მამამთავარო; რომ ჩვენი ხარები დაღლილები გახლდნენ, მთელი დღე ხნავდნენ, იასონის ხარები კი ისვენებდნენ; ისვენებდნენ მაშინ, როცა სოფელს უჭირდა, რატომ? მთიდან საკუთარი შეშა გქონდათ ჩამოსატანი. გწყინს სიმართლე?! მწარეა, რა თქმა უნდა, მწარეა! მაგრამ მე სხვანაირად არ შემიძლია.

— მეცოდები კი, შენი ხასიათის კაცი ვერსად ივარგებს! — თავმჯდომარე სიბრალულით აქნევს თავს, — ისე კი, ოქროს ხელი გაქვს, მენანები, სოფელს გამოადგებოდი.

მდინარეც ხომ არ გენანება, გამოგადგებოდა, კარგი კალმახი იცის, მიწასაც მორწყავდა. გახსოვს, შარშან, ორი თვე რომ მამუშავე საკუთარი სახლის მშენებლობაზე, სოფლის კანტორის შენობა კი დანგრევაზეა, მერე ისიც გავაახლოთო, გამაბრიყვე, გამოუცდელი ვიყავი. გასამრჯელოდ შრომადღეები წამიმატე, მაგრამ იმ წელიწადს თითქმის არაფერი გაგინაწილებიათ; მებაღეობა, არარენტაბელურია, მევენახეობას ბევრი მუშახელი სჭირდება — არარენტაბელურია, მეფუტკრეობა? რა საკითხავია?! მესაქონლეობა ხომ დადგენილია, რომ არარენტაბელურია. ბაბუაჩემს ერთი ძროხა ჰყავდა, ის იყო მისი დიდი ოჯახის სასმელიც, საჭმელიც და ჩაცმა-დახურვაც. ჩვენი კოლმეურნეობის ფერმას კი რა ღმერთი უწყრება, რატომ დაშრნენ ფურები, რატომ დალასლასებენ გაძვალტყავებული ძროხები.

— სოფლის მეურნეობისა შენ არაფერი გაგეგება, — ისევ დინჯად მეუბნება თავმჯდომარე, — წადი, დიდ ქალაქში უფრო ადვილია თავის გატანა, იქნებ ბედმაც გაგიღიმოს?!

ჩვენ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, თავმჯდომარევ, ცხოვრება ასე ყოფილა, ყველას თავისი გზა აქვს. შენ დოვლათიანი გზით მიდიხარ, ხვეტავ და ხვეტავ გზადაგზა. მე ჩემი გზით წავალ, ბევრი კი, ისეთი გზით წავიდა, უკან აღარ დაბრუნებულა!

მდინარეს თავისი გზა აქვს — მიწისქვეშა სასახლეებს აშენებს, გინახავს სტალაქტიტები? მდინარე ყრუდ მირაკრაკებს, წვეთავს სტალაქტიტები, გრილა და საოცარი სიმშვიდეა, შეგიძლია მეგობრებში ჩაჯდე და იქეიფო, ვერავინ შეგაწუხებს, ავ თვალსაც მიეფარები, მხოლოდ ეგაა, ჩასვლა გაგიჭირდება, ცხენიც ვეღარ გგუობს ამ ბოლო დროს.

— ჰო, კაცო, ძალიან გავსუქდი, — იხელება ღიპზე თავმჯდომარე, — განა არ ვმუშაობ, მაგრამ... როდის წახვალ, შეპირებულ თანხას მოგცემ.

გახსოვს, თავმჯდომარე, მდინარე ჯებირით რომ გადახერგე, არ დაგემორჩილა, როგორ განაწყენდი; გეგონა, ადამიანებივით ადვილი იყო მდინარის დამორჩილება. ყველას ხომ ვერ დაადებ პირზე კლიტეს, ადგნენ და შენი ავკარგი კრებაზე გამოააშკარავეს, მეცა ვთქვი სათქმელი. რა გალაპარაკებდა, ნათესაობა არ იციო, თქვენს ოჯახზე დიდი ღვაწლი მიმიძღვის და ასე მიხდიო, ინტრიგანიც მიწოდე.

— ჩემს ხელში გამოზრდილი ხარ, პირში გეტყვი, ლაპარაკი მართლაც არ იცი!! — შევატყვე, მოთმინება დაეკარგა თავმჯდომარეს: — იქ, ჯარში, შეიძლება საჭირო იყო პირდაპირ თქმა, აქ სოფელია, ყველა პირში მოგჩერებია! წადი, — დაუწია ხმას ისევ თავმჯდომარემ, — წონასწორობიდან ნუ გამომიყვან.

სავალდებულო სამსახურიდან რომ დავბრუნდი, გახსოვს, მდინარის პირას, კაკლებში, გაშალე სუფრა. ია-ვარდი ამოგდიოდა პირიდან, — ერთი მშრომელი კაცი მოგვემატა, საქმე წინ წავა, ასე ვიზამთ, ისე ვიზამთო. გვიან მივხვდი, პურმარილის მოყვარულს ღვინო გალაპარაკებდა. რაც იმ სუფრაზე ითქვა, მისხალიც არ გაგიკეთებია დღევანდლამდე. შარშან კოლმეურნეობა შეიცოდეს და სოფელს ვალი ჩამოაწერეს, წელს ისევ ამზადებ ქაღალდებს, ახალი ვალის ასაღებად.

— კაცო, შენ გადამრევ! — გაშალა ხელები თავმჯდომარემ: — ჩემთვის ხომ არ მინდა, ტრაქტორი უნდა ვიყიდო, ხომ შევთანხმდით პარტკრებაზე?!

შენ ისიც არ იცი, ვინ ჩაყარა მდინარეში კირი? იქნებ ის მაინც გახსოვს, კირი დროზე რომ ვეღარ მოიტანეთ და ვენახი ჭრაქმა დაკბილა. იმ წელიწადს ცუდი მოსავალი გვქონდა, გეგმა ვერ შევასრულეთ, კოლმეურნეებს დაერიე გაშმაგებული, ორმაგად ჩააბარებინე საკარმიდამოებიდან. მდინარეში ჩაყრილმა კირმა კი არ დაგვღუპა, უთავოპაშ. კირმა მდინარეში მოსპო სიცოცხლე. ხოლო იქ, ქვესკნელში, რა ცოდოც დატრიალდა, ვინ იცის. შენს ნამუსზე იყოს, თავმჯდომარე, იმ შვლის ცოდოც, გამგეობის სხდომის შემდეგ, რაიონიდან ამოსულ ხალხს რომ გაუმასპინძლდი.

— შენ წერას ხომ არ აუტანიხარ? — დამიბრიალა თვალები თავმჯდომარემ, — რა შველი, რის შველი?!

თვალების ბრიალს მიჩვეული ხარ, თუ ვინმემ სიმართლე გითხრა, არ გაახარებ. მუშა-კაცს ცხრა პირ ტყავს აძრობ, ზურგიანებისა კი გეშინია და გერიდება, მათი სიყვარულიცა გაქვს. გახსოვს, საკარმიდამოების აზომვა რომ მიმდინარეობდა, უსაქმურები და მედლეხვალიები უნდა მოვიშოროთ სოფლიდანო, ვის მოხვდა მაშინ შენი სახრე — იმათ, ვისაც ერეოდი, ვისი ჯინიცა გჭირდა, ვის გამწარებაზედაც ოცნებობდი, ჩვენც ჩამოგვაჭერი მაშინ მსხმოიარე ვენახი, ჭკუას ისწავლიო,

მერე ის ვაზი გააპარტახეთ, მანდვრად აქციეთ.

ხალხს მუშაობა აღარ უნდა, მხოლოდ ჯერ კიდევ იმიტომ ურტყამენ, თოხებს მიწას, რომ თავისი მიწა-წყალი უყვართ, უნდათ შეინარჩუნონ მამა-პაპური კუთხე-სამყოფელი, თითქმის ყველა ახალგაზრდა გაგექცა სოფლიდან, მე-ღა შემოგრჩი და...

— კაცო, ახლა, მე ნუ დამაბრალებ ყველაფერს, ზოგს სწავლა უნდა, ზოგს ქალაქური ცხოვრება იტაცებს! — მოიქექა თავი თავმჯდომარემ, — იცის ღმერთმა, შენი წასვლა არ მინდა, მაგრამ...

საუკუნეები გავიდა, რაც ჩვენი პატარა მდინარე ქვესკნელში ჩაძვრა, ერთი წუთითაც არ გაჩერებულა, შრომობს: ფუჭი ქანი გამოაქვს, პიტალოს ხეხავს, დარბაზებს აგებს. ვინ შეაჩერებს მდინარეს, ვინ შეუბოჭავს ხელებს, ვინ წაიყვანს აღმა, დაღმა მიმავალს?!

ვშრომობდი, რაც შემეძლო, ფერმა იყო დანგრეული და ავაშენე, სკოლის კარფანჯრები იყო გამოსაცვლელი და გამოვცვალე, კარგ ხელოსანს მეძახდი, ქვას ქვაზე დებ ისე, წინაპრებსაც კი შეშურდებოდათო, ხე გამოგყავს ისე, წუნს ვერ უპოვნის კაციო... აბა, მეტი რა გინდოდა, ვარსკვლავებს მე ვერ მოვწყვეტდი ცაში და ქვიშას ვერ დავითვლიდი მდინარეში, ვიდრე ხმას ამოვიღებდი, თვალში მოგიდიოდი, მერე და მერე ამითვალწუნე...

— კაცო, შენ, ახლა მე ნუ დამაბრალებ ყველაფერს, — გაიმეორა მობოდიშებით თავმჯდომარემ, — ცოტა შენს უცნაურ სიყვარულსაც მიუძღვის ბრალი.

## 2. დედა

— არ ვიცოდი, შვილო, ასე ძალიან თუ გიყვარდა, — მითხრა დედამ და თავი დახარა: — ვიფიქრე, ბავშვობის გატაცება გაუვლის-მეთქი.

გახსოვს, დედა, მდინარეზე ჩარბენა რომ მიყვარდა, შენ გადმოდგებოდი ხოლმე, აი, იქ, ჩვენს ბექობზე და მეძახდი; მდინარემ ჩათრევა იცისო, მდინარემ შეტყუება იცისო! ერთხელ, მართლაც კინაღამ დამახრჩო მდინარემ, მაშინ პატარა ვიყავი, უღონო და ვერ გავუმკლავდი მდინარის ტალღებს, მაგრამ მდინარესთან ჭიდილში, ძალა მომემატა, მერე და მერე, ჩვენი მდინარე აღარ მყოფნიდა საცურაოდ. სიყვარულიც მდინარემ მასწავლა, მე და ლალი ხშირად ვიყავით მდინარეზე, ის კაბით ჩამოდიოდა წყალში, სველი კაბა ტანზე შემოეტმასნებოდა ხოლმე და მერე დიდხანს ვიყავით მდინარის პირას, მზეს ვეფიცხებოდით.

არ ვიცოდი, ასე ძალიან თუ გიყვარდაო, იცოდი, დედა, შენ ყველაფერი კარგად იცოდი; შენს თვალს არაფერი გამოეპარება, შენ არ მოინდომე, დედა, თავნება და ახტაჯანა გოგოაო. ჩემი რძალი მორცხვი და წყნარი უნდა იყოსო, თუმცა მისი სიმღერა მოგწონდა. არ გაგიმართლა დედა, წყნარი და მორცხვი გოგოები გაურიგე ჩემს უფროს ძმებს, პირველსავე წელს ისეთი სიავე გამოიჩინეს, ვერცერთი ვერ იგუე.

— შენი ძმების ბრალი იყო, შვილო, ცოლები ნებას მიუშვეს, — გაიმართლა თავი დედამ.

აბა ნახე, დედა, რა დაემართება მდინარეს, თუ მას შეაჩერებ, შეტბორავ, გასასვლელი რომ არ ჰქონდეს არსაით. მდინარეს ხავსი მოედება, დაჭაობდება; ათასი გველი და ბაყაყი დაიბუდებს. ადამიანი თავისუფალი, მოძრავი და პირში მთქმელი უნდა იყოს, მეგობრებიც უნდა ჰყავდეს და

მტერიც. დაგუბებულ ბოღმას ერთბაშად რომ ამოანთხევს კაცი, ისაა ცუდი, თორემ, აბა, ის რა საშიშია, ვინც გულში სიავეს არ იდებს.

ნაშრომ-ნაჯაფი ხარ, დედა, გეთანხმები. ხუთი შვილის გაზრდა ხუმრობა არაა, ჩემი მომდევნოცა გყავს და მისი იმედი გაქვს, უმცროსი შვილია და მშობლებთან უნდა დარჩეს, მე მარტო ამისთვისაც უნდა წავიდე შინიდან, უმცროს ძმას ხელი არ შევუშალო, იქნებ მასაც უყვარს ვინმე. მე, ცოლის თხოვა რომ დავაპირე, გახსოვს, ერთი ამბავი ატყდა — რა დროს შენი ცოლიაო, ჯერ უფროსი და არ გაგითხოვებიაო, ძმას ცოლი არ მოუყვანიაო. მაშინ ლალი რომ მეთხოვა, არც არავინ არაფერს მოჰყორავდა და მეც მეყოლებოდა მეგობარი. მერე ჯარში წაველი, გთხოვე, ლალის ყურადღება მიაქციე, ხშირად შენთან იყოლიე-მეთქი. შენ კი, როგორ მოექეცი — ახლოს არ გაიკარე.

— ათას რამეს ამბობდნენ, შვილო, — ამოიოხრა დედამ, — ჯერ თემურთან იყოო, ახლა ბებურის ყვარობსო.

სოფელს დიდი პირი აქვს, დედა, ვერ დაახშობ, ვერ ამოქოლავ. როგორც ისაა მართალი — თემურთან იყოო, ისე ბებურის სიახლოვეა მართალი. ლალის ქომაგი სჭირდებოდა, ლალის მეგობარი და დამცველი სჭირდებოდა. ლამაზი და მოხდენილი გოგო იყო, მტერი ბევრი ჰყავდა. ბებურმა იმძლავრა, დაიმორჩილა უპატრონოდ მიტოვებული ლალი. ჩემი ძმები თურმე ხმას არ სცემდნენ, ქუჩაში უბრად ჩაუვლიდნენ ხოლმე. ლალი მწერდა: რა დავაშავე, არ ვიციო, იცის ღმერთმა, მიხარია მათი დანახვა, შენი ძმები ხომ ჩემი ახლობლებიც არიანო.

მოყვასის სიყვარულს გვასწავლიდი, შრომას ბავშვობიდანვე მივეჩვიეთ. მამაჩემი მთელს რაიონში განთქმული ხელოსანი იყო, მან შემასწავლა ხელობა, გვერდიდან არ ვშორდებოდი. ძალიან ვუყვარდი მამას, თავისი თავის განსახიერებას ხედავდა ჩემში, იცოდა, მის საქმეს გავაგრძელებდი. ვერცერთმა შვილმა ვერ შეითვისა ხელობა ისე, როგორც მე. ეს ეამაყებოდა მამაჩემს. იმ საბედისწერო დღის შემდეგ, მამაჩემი მშენებლობაზე რომ დაშავდა, მისი დაწყებული ყველა საქმე ხომ მე დავამთავრე, ბევრი ახალიც წამოვიწყე.

— ჩვენ ახლაც შენი იმედითა ვართ, შვილო, — შემათვალიერა დედის საყვარელმა თვალებმა, — თუ არ წახვალ, ჩვენც ეს გვინდა...

სულს და გონებას დროდადრო განწმენდა სჭირდება, რომ მოშორდები იმ ადგილებს, რაც შენს სიყვარულს, წარსულს გაგონებს, ჰმუნვა გაიფანტება და ყველაფერი დავიწყებას მიეცემა.

დრო ყველაფრის მკურნალია, მდინარეც იწმინდება, გზას რომ გაივლის, თუ ისევ ბალღამი არ გაერია. მაგრამ ერთი კია, გალმელ ფაციას ერთადერთი ვაჟიშვილი დაეკარგა ომში, დამწუხრებული დედა იჯდა და დღედაღამ გასცქეროდა გზას. მხოლოდ ახლახანს უპოვნეს უკრაინელმა პიონერებმა შვილის საფლავი, წაიყვანეს, უჩვენეს, უთხრეს: „აქ განისვენებს შენი შვილიო“. იტირა თურმე ფაციამ, სხვაც ბევრი იწვა მისი შვილის გვერდით, ყველა ერთად დაიტირა დედამ, მერე დაბრუნდა, კვლავ ამოჩემებულ ადგილას დაჯდა და გზას დაუწყო ცქერა, ვერ განკურნა დრომ და სინამდვილემ დედის გული.

ხშირად თავს ვიტყუებთ და გრძნობას ვმალავთ, შეგუბებული გრძნობა კი გულს ხეთქავს, გონებას აჩლუნგებს და ნერვებს აზიანებს. თავის მოტყუება ბრიყვების ხვედრია, კაცი შეუპოვარი და მოსიყვარულე უნდა იყოს, ალალი და გულღია.

— თვალს არ გაკლია და ყურს, ხელი არ დამიკლია და ფეხი, კაცური გული მოგეცი და შრომა გასწავლე, — დედა ფეხზე წამოდგა და დამაკვირდა, — სწავლა შენ თვითონ არ მოინდომე...

მართალია, დედა, მაგრამ ყველა უმაღლესი განათლებით ხომ არ იქნება, ჩემი ხელობის კაცი ყველგან საჭიროა,

იმდენია საშენებელი, მოწყენილი არასოდეს ვიქნები. ადამიანი მდინარეს უნდა ჰგავდეს, შრომობდეს დაუღალავად. აბა, მდინარის ნაპირას ქვიშა მოხაპეთ, გაზიდეთ ვაგონებით, ნახეთ ის ადგილი, მდინარემ მოკლე დროში თუ ისევ არ მოასწოროს ქვიშით.

ყველა ხელობა ერთნაირად უნდა ფასდებოდეს, ჩვენ დავივიწყეთ მჭედლის ფასი, სოფელს იგი აღარ სჭირდება, მაგრამ კარგი ელექტროტექნიკოსი ან მექანიკოსიც არა გვყავს. ჩვენს სოფელს არც მე ვუნდივარ, რადგან მძიმე ტვირთად ვაწვები, ხელოსანს პატივისცემა და ასპარეზი უნდა, ძვირი ჯდება კარგი ხელოსნის მოცდენა. ჩვენს დროში, დიდ მდინარეზე ჰიდროტექნიკური ნაგებობა რომ ააგო, წისქვილის ასაბრუნებლად, რა მოგებას მოგცემს? მდინარეზე ჰესი უნდა აავო, მერე ის ჰესი მრავალი წისქვილის დოლაბებს მოიყვანს მოძრაობაში, საქმეს ფასი ექნება, დახარჯულ შრომას კი ანაზღაურება.

ჩვენი სოფლის საქმე რიგზე რომ იყოს, დედა, იქნებ დავრჩენილიყავი კიდეც, ნაკვეთს გამომიყოფდნენ, სახლს ავაშენებდი, მერე ერთ გოგოს გამირიგებდნენ, და ოჯახს შევქმნიდი. სოფელსაც გამოვადგებოდი და მეც გავიხარებდი.

— კარგი იყო, შვილო, იცის ღმერთმა, შეთარჯული მყავს გოგოები, — გამიღიმა დედამ, — ოღონდ მოინდომე, ნაკვეთს თუ არ გამოგიყოფენ, აგერ, ეზოში დასახლდი...

მდინარე რომ ადიდდება, მოიქუფრება, აიმღვრევა და ნაპირებიდან გადმოვა, მერე მისი შეკავება ძნელია. ჯებირები მაშინ უნდა აავო, ვიდრე მდინარე მშვიდად მოედინება. ჩემი დარჩენა აღარ იქნება, გზას ვადგივარ, სხვა რომ არა იყოს რა, მარტო ცნობისმოყვარეობა და საკუთარი ძალის გამოცდა მეყოფა მეგზურად.

— მეშინია, შვილო, დიდ ქალაქში არ დამეკარგო, — ცრემლი მოადგა დედას თვალზე: — დალოცვილს გევლოს, ჭირსა და ლხინს ერთნაირად ვაჟკაცურად შეხვედროდე!

## ვ. ლალი

— რატომ მიდარაჯებ, — მსაყვედურობს ლალი, — გათხოვილი ვარ, ქმარი მყავს!

რამდენჯერ ვმდგარვართ მე და შენ, ლალი, მდინარის გაუჩინარების ადგილას, სოფელი ნაძრახ ტბას რომ ეძახის. ოცნება გიყვარდა, ვიდექით და გავყურებდით, როგორ ბუყბუყებდა წყალი, სად უჩინარდებოდა მდინარე. მკითხე მაშინ, ჩვენ დიდხანს გვეგონა, რომ ასე წყდებოდა ყველა მდინარე. გვიან გავიგეთ, მდინარეები ზღვებს და ოკეანეებს რომ უერთდებოდნენ. პატარები ვიყავით, ერთმანეთი გვიყვარდა, გახსოვს, სულ ერთად ვიყავით, ხშირად ვჩხუბობდით და მაინც ერთად ვიყავით, მერე, რომ წამოვიზარდეთ, მორცხვობა დაგჩემდა — მდინარეში აღარ ჩამოდიოდი ჩემთან ერთად, გაოცებული შევცქეროდი შენს ფერიცვალებას, წამოზრდილ ძუძუებს და ლამაზ კანჭებს, მერე თვალებში ჩაგიდგა მოკრძალება და სურვილი! დიდი ქალაქისაკენ გეჭირა თვალი, მსახიობობაზე ოცნებობდი, ექოს ეჯიბრებოდი ნაძრახი ტბის პირას:

აუუ!— ბუბუნებდა ყორნების კლდე. აუუ! — სიხარული გელვრებოდა თვალებში. კაკლის ხეები შრიალებდნენ ჭალაში, ოცნებით მივერეკებოდით შამბნარში შინდისფერ ცხენების რემას და ვამტვრევდით ლოტოსის ფოთლებს.

— ბავშვები ვიყავით, სულელები. —

ფვალებს ხრის ლალი, — მე გათხოვილი ვარ, გათხოვილი!

გახსოვს, ვოცნებობდით მდინარეს ჩავყოლოდით ქვესკნელში, გვინდოდა გაგვეგო, რად უჩინარდებოდა. შენ იძახდი, არ შეიძლება მდინარეს დასასრული არ ჰქონდესო. მდინარეს დასასრული არა აქვს, ლალი! მდინარე უსასრულოა, მოედინება, მოედინება და მაინც არ შრება! მაშინ მდინარეს ავყევით აღმა, დიდხანს ვიარეთ, ხან ლიპზე, ხანაც ქვიშნარზე, ვაბობღდებოდით ლოდებს და ტინებს. მდინარე თანდათან პატარავდებოდა, ხევი ღრმავდებოდა და ასწლოვანი ხეებით იბურებოდა. როცა ერთ პატარა, ანკარა ცივ წყაროს მივაღწიეთ, შენ გაოცებულმა შემომხედე და მკითხე: ნუთუ აქ იწყება მდინარეო.

მდინარეს სათავე მეტწილად ანკარა აქვს, მერე და მერე იმღვრევა, ემატება შმორი და ღვარძლი. ჩვენ ხომ მართლები და სპეტაკები ვიყავით ერთმანეთის წინაშე, გახსოვს, მაშინ მოგხვიე ხელი და გაკოცე პირველად. შენ შემკრთალმა, ლოყებაწითლებულმა, წავიდეთ აქედანო და თვალს მარიდებდი სოფლამდე. მე დამამუნჯა შენმა სიყვარულმა, ანკარა წყარომ და ჩემმა გამბედაობამ.

— ნუ მახსენებ იმას, რაც უკვე დიდიხანია დავივიწყე, — მეუბნება ლალი და ვგრძნობ, კიდევ უნდა რაღაც მითხრას, — წადი, თვალი არავინ მოგვკრას...

მეათეკლასელი ვიყავი, ყველამ იცოდა ერთმანეთი რომ გვიყვარდა, თვალი არავინ მოგვკრასო, განა ბოროტებას საზღვარი აქვს, ერთხელ მიშვებულ სიავეს ვერ დააოკებ, ვიდრე უბედურებას არ დაატრიალებს. როგორც კი თბილისში ჩამოვედი, შენს სახლს მოვაშურე, სხვაგან გზა არც მქონდა. ავისმქნელს ასი თვალი აქვს, ასი ყური და ასი ხელი, სიყვარული შროშანასავით ფაქიზია, ადვილად ჰკნება, გაფრთხილება უნდა, გაფრთხილება!

— შენ კი გაუფრთხილდი!! — შემომანათა ამღვრეული თვალი ლალიმ, — გამიშვი, წადი!...

რად არ დამელოდე, ბაბუაჩემი ორმოცდაერთში წაიყვანეს თურმე, ცოლი და სამი შვილი დატოვა, წავიდა და აღარ დაბრუნებულა. ბებიაჩემი ჩვენ მდინარესავით დაუღალავად შრომობდა, შვილები დაზარდა, დააბინავა, თან კარისკენ ეჭირა თვალი — ქმარს ელოდებოდა. შენ კი, ორი წელი ვერ დამელოდე ლალი, ორი წელი, მე ხომ აუცილებლად დავბრუნდებოდი! დასაწყისში ხშირად ვიღებდი შენგან წერილებს, მერე და მერე ათასში ერთხელ, ბოლოს სულ შესწყვიტე, გამაბოროტე და გამაავე. იცი რას ნიშნავდა ჯარისკაცისათვის წერილი შენი: მხნეობას, ძალას, ერთგულებას და იმედს! დღეები დაგრძელდნენ, საქმე დამძიმდა, შევცქეროდი კალენდრის ფურცლებს, ბოლმას ვიოკებდი — დღეს მარწუხებში ვატარებდი. ჩამოვედი, არაფერი არ შეცვლილა. მდინარე ისევ იმ გზით მიედინება, ნაძრახი ტბა კვლავ ბუყბუყებს წინანდებურად, მხოლოდ შენ დამხვდი გამოცვლილი, გადაკარგული. შენთან შეხვედრის იმედი რომ გადამეწურა, სოფლიდან გადმოვიხვეწე და გზად მ..ჰავალს დაგხვდი: რად უღალატე ჩვენს ფიცს, მარადიულ ადათს და წესს!

— მე ჩემი გზა მაქვს, თემურ, — კვლავ დახარა თვალი ლალიმ, — ძნელია იმის დაბრუნება, რაც დაიკარგა.

მდინარესაც ერთი გზა აქვს, მაგრამ ხშირად სტოვებს კალაპოტს და ახალი გზით მოედინება. ყველა გზა ხომ გზა არაა, სწორი გზის მოძებნა ძნელია, დაკარგვა კი ადვილი, რამ აიძულა მდინარე გაუჩინარებულიყო ქვესკნელში, რამ შეუცვალა გეზი. ადამიანები სულიერები ვართ, გონება წარმართავს ჩვენს საქციელს, რამ გაიძულა გემოქმედა სურვილის საწინააღმდეგოდ, გადაგედგა მცდარი ნაბიჯი. ვიცი, ბედნიერი არა ხარ, ლალი!

— რად მიმატოვე, რად არ მითხოვე დროზე? — წარმოთქვა ლალიმ და ტუჩზე იკბინა.

გახსოვს, თექვსმეტი წლისას, დედა რომ მოგიკვდა და მარტო დარჩი, ჩემზე ახლობელი, ნუგეშისმცემელი არავინ გყავდა. დეიდა ელენემაც შენი თავი მე დამიტოვა, შენი იმედი მაქვს, შვილო, თემურ, არავის დააჩაგვრინო ჩემი ლალი, იმეგობრეთ და იხარეთო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, სკოლა იმ წელიწადს დავამთავრე, მაგრამ, აბა, როგორ გითხოვდი, შენ ხომ მეცხრე კლასში იყავი, მერე მე უმაღლესში ველარ მოვეწყვე... ვმუშაობდი, იქნებ ორიოდ გროში მოვაგროვო, საკუთარი სახლი დავიდგა და დავოჯახდემეთქი. შენ მალე მეათეკლასელი გახდი. სულ შენს გვერდით ხომ არ ვიქნებოდი, სოფლად ვიყავი და ვმუშაობდი. ბებურთან შენმა მეგობრობამ მაშინვე გამოაცა, შენ რა გინდაო, მითხარი, ჯვარდაწერილები ხომ არ ვართ, რომ ყველაფერს მიშლიო, ვისთანაც მინდა, იმასთან ვიამხანაგებო. თუმცა თვალცრემლიანმა პირობა მომეცი, შენს მეტი არავინ მეყვარება და არც მინდაო, მალე ჯარმაც მომიწია.

ის დღე არ დამავიწყდება, სადგურზე რომ მაცილებდი, შენმა ჩაცმულობამ გამაკვირვა, მართალია, კოხტაობა ყოველთვის გიყვარდა, მაგრამ ის ახალთახალი კაბა, მოდური ფეხსაცმელები, ვინ გიყიდა ლალი, ვინ?! მინდოდა მეყვირა, მდუმარება ვარჩიე, შენ ჩემს გვერდით იყავი...

გახსოვს, მდინარე მოულოდნელად რომ ადიდდა, ნაძრახი ტბა დატბორდა და პალოზე მიბმული ხბო საწყალობლად ბღაოდა, ვერავინ გაბედა მორევში შესვლა, საიდუმლო ხვრელებში არ ჩაგვითრიოს მდინარემო, მე შევცურე მაშინ, ხბო ავუშვი და გადავარჩინე. ის ხბო შენი საყვარელი არსება იყო, შენ თვალები ცრემლით გქონდა ავსილი. არ მივატოვე განსაცდელში, განწირული, მდინარეს გამოვგლიჯე. შენ რად მიატოვე , ლალი, რად? რა იყო მიზეზი შენი ფერისცვალებისა, გულგრილობისა და განდგომისა?!

— ყველაფერს მე ნუ დამაბრალებ, თემურ, იცის ღმერთმა, მიყვარდი, — ლალის თვალი ცრემლით აევსო, ხელები აუკანკალდა, — წადი თემურ, წადი, თბილისი დიდია, ჩემზე გაცილებით უკეთესს შეხვდები!

## 4. მდინარე

* * *

ჩვენი სოფლის მდინარე, როგორც კი შორდება სოფელს, უცბად წყდება ნაძრახ ტბასთან, ყურყურით ეშვება ქვესკნელში და უჩინარდება.

გახსოვთ თქვენ ეს მდინარე, ბატონო ალმასხან, იცის თქვენმა შვილმა ამ მდინარის სახელი. ის იქვე, სოფლის მახლობლად მთაში იწყება და როგორც კი სოფელს სცილდება, უჩინარდება.

მდინარე ჩვენი არსებობაა, ვიდრე არსებობს, ჩვენც ვიარსებებთ, მდინარეს შესწავლა და ამოცნობა უნდა, მდინარეს სიყვარული უნდა.

— ძალიან მინდოდა ჩვენი მდინარის შესწავლა, — ჩაფიქრდა ალმასხანი, — მაგრამ იმდენი საინტერესო მდინარეა მსოფლიოში.

თქვენ, ბატონო ალმასხან, დიდი მეცნიერი ხართ, ინსტიტუტს ხელმძღვანელობთ. ამ საუკუნის დასაწყისში დაიბადეთ, სოფლიდან ადრე წამოხვედით, სწავლობდით, შრომობდით, იბრძოდით, გვიან დაოჯახდით, მერე ცნობილი მეცნიერი რომ გახდით, კაბინეტის კარი მიიხურეთ და თქვენი სამეცნიერო შრომებით შემოიფარგლეთ, დავიწყებას მიეცა სოფელი, პატარა, საოცარი მდინარე, თუმცა გამოკვლე-

ვები გაქვთ სხვა დიდ სოფლებზე, დიდ მდინარეებზე — ევროპის, აზიის, ამერიკის, აფრიკის კონტინენტებს რომ სერავენ. ირკვევთ ხალხთა მიგრაციებს, ეკონომიკას, სოციოლოგიას... მე, რომ გითხარით, სოფლიდან წამოვედი-მეთქი და დახმარება გთხოვეთ, გაოცდით — ახლა კაცი სოფელს მიატოვებსო?! ეს იყო და ეს, თქვენ დახმარების ხელი არ გამომიწოდეთ, არც გეცალათ ჩემთვის, იმუშავე და ჩაგწერენ ქალაქშიო, აღშფოთდით კიდეც, როცა გითხარით ჩაწერაში ფულს მთხოვენ-მეთქი, როგორ გეკადრებაო, რატომ სცხებ ჩირქს ქალაქის მმართველობას, ორგანოებსო. არ დამიჯერეთ, აქეთ დამადანაშაულეთ.

თქვენ, არ სარგებლობთ საზოგადოებრივი ტრანსპორტით, არ შედიხართ ბაზარში, მაღაზიებსა და სასადილოებში. მკურნალობთ თქვენთვის განკუთვნილ პოლიკლინიკასა თუ საავადმყოფოში, თვალს არ ადევნებთ მშენებლობებს, არ გაქვთ ურთიერთობა მშრომელებთან, ხალხთან, შეხვედრებსა თუ საღამოებზე ტაშს გიკრავენ და თქვენც საკუთარ შრომებზე ესაუბრებით მათ.

— არ მცალია, ყმაწვილო, — მეუბნებით თქვენ, — მე მეცნიერი ვარ, დაწვრილმანების უფლება არ მაქვს.

რამდენი ნიჭიერი რჩება სწავლის გარეშე, სამეცნიერო დაწესებულებები ავსებულია ნათესავ-მეგობრების ცოლებით, დებით, შვილებით, მეცნიერება შთამომავლობით გადადის მამიდან — შვილზე.

სად არის ის კაცი, ჩვენს მდინარეს რომ გამოირკვევს, სწერენ სამეცნიერო შრომებს და თაროებზე აწყობენ, ფურცლები იმტვერება და ყვითლდება, ნაშრომი თაროდან აღარ ჩამოდის — არავის იზიდავს.

რა ასაზრდოებს მდინარეს, სად მიდის, საიდან მოედინება ასე ულევად, ასე თანაბრად. იქნება მუდამ ანკარა, ცივი? ან რა მოელის წყლის ბინადართ, გამრავლდებიან თუ არა თევზები კვლავაც? გაიძვერა-ავისმქნელებს რომ მოიშორებენ, მდინარეს რომ დაწმენდენ. პასუხს თქვენ მოგთხოვენ ყველაფერზე, ბატონო ალმასხან, თქვენა ხართ ერის სინდის-ნამუსი, ერის გონება.

თქვენ გული მიგდით, აღარ მისმენთ, შედიხართ სამუშაო ოთახში და კარს იხურავთ. მეორე დღეს გაზეთში წავიკითხე, ბატონო ალმასხან, ამერიკაში მიგიწვიეს ლექციების წასაკითხავად, თქვენი გამოკვლევები მსოფლიოს საკუთრება გახდა. მოწიწებით თავს ვხრი თქვენს წინაშე, სულიერად კი იმ ნიჭიერ ახალგაზრდა მეცნიერს ვუმეგობრდები, ჩემსავით უბინაოდ რომაა, წვალობს და ჯაფით თუ მიაღწევს უკვდავ დიდებას, მერე ყველა ტაშს დაუკრავს, მერე ყველა გაალმერთებს. მე მშენებელი ვარ, მომეცით ასპარეზი ვაშენო უანგაროდ, ვაშენო წმინდად, ყველას რომ ჰქონდეს ბინა და ჭერი, ყველა რომ იყოს კმაყოფილი ჩემი შრომითა და ოფლით.

* * *

— შენი საქმე არ არის, — მეუბნება ინჟინერი, — მიდი იმუშავე.

შენ, ეი, ჩვენო ინჟინერო, მართლა ხომ არ გგონია მდინარე შედრკა, ან ხომ არ გგონია შენს ნება-სურვილს დაემორჩილება! შენ ჩვენი სოფლის თავმჯდომარეს ჩამოგავხარ, მასავით დოვლათიან გზაზე გიყვარს სიარული. ერთი წილი ყველას, სამი წილი შენ, მშენებლობა ჯერ არ დამთავრებულა და სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეჭმულია. ხუთი კაცი ვმუშაობთ თვიდან-თვემდე, თვის ბოლოს კი ოცდახუთი იღებს ჯამაგირს, ვინ არიან ეს ადამიანები, გწყინს, რომ გეკითხები?! შენი საქმე არ არისო, მაშ ჩემი საქმე მარტო მუშაობაა? რა დავაშავეთ ამ ხუთმა კაცმა. მემუქრები კიდეც, თბილისში ჩაწერილი არა ხარო. თბილისელი მოქალაქე რომ გახდე, უნდა დაიმსახურო, ყველა ქალაქელი ხომ არ ატარებს დამსახურებულ სახელს, ისეთიც ბევრია,

ვინც საერთოდ არ უნდა დადიოდეს ქვეყანაზე.

ჩვენი მდინარის გაუჩინარების ადგილს ნაძრახი ტბა ჰქვია, სოფელმა ოდითვე დამსახურებულად დაარქვა ეს სახელი, აბა, გაიარე ღამით იქ და ყური მიუგდე, რა ხმებს არ გაიგონებ, მდინარის გაუჩინარებაც ხომ საოცრებაა. ყოველგვარ ამოუცნობს და მიუწვდომელს ადამიანები ეშმაკეულად, ნაძრახად იხსენიებდნენ. შენი საქმიანობაც ეშმაკეულია, ჩვენო ინჟინერო, საძრახ საქმეს სჩადიხარ, ბოლო კარგი არ გექნება.

— მიდი საქმე გააკეთე, შენი... — კბილებს მილრჭიალებს ინჟინერი: — ორმაგ ჯამაგირს გაძლევ, მეტი რა გინდა?!

აბა, გახედე ქალაქს, რამდენი შრომაა ჩაქცეული, ვიდრე ბეტონი კედლებად იქცა, ვიდრე ხე კარ-ფანჯრებად დაირანდა, ვიდრე სახურავები დაედგა სახლებს... ყველა ეპოქას ჰყავდა სწორუპოვარი მშენებელი, საქმე იყო მათთვის მთავარი, ხუროთმოძღვრის სახელი. მარჯვენას არ შეირცხვენდა ქვით — ხურო, ხით — ხურო, სასოებით გამოჰყავდა ჩუქურთმა, ასე აშენდა ნარიყალა, ანჩისხატი, მეტეხი და ქაშვეთი, ასე შენდებოდა თბილისის ძველი უბნები, მშენებლის სახელი საფიცარი იყო ქართველი კაცისათვის. მათზე ნადირობდნენ თათრები, სპარსელები და მონღოლები... შენდებოდა სასახლეები, ტაძრები, ციხე-სიმაგრეები, ოფლს იწმენდნენ ხუროთმოძღვრები, სისხლს ღვრიდა ხურო ბედშავი... მერე იწყებოდა ომები: აქცევდნენ სასახლეებს, ბილწავდნენ ტაძრებს, მიწასთან ასწორებდნენ ციხე-სიმაგრეებს, ცეცხლში ბუგავდნენ ადამიანთა ნამოღვაწარს, ნაოფლარს, ნააზრევს და შორ გზას უყენებდნენ მარჯვენანაქებ ქვით — ხუროებს, ხით — ხუროებს...

მდინარე კი ქუხდა, მოედინებოდა და მოჰქონდა ქვიშა და ხრეში, ოქრო და ვერცხლი. ჩვენი მდინარის მიწისქვეშა სასახლეები მოფენილია თვალმარგალიტით, მდინარე შემოქმედია, უხსოვარ დროიდან მოაგორებდა, ჭარიალებდა ალმასს...

ერთი წელია შენს მშენებლობაზე ვმუშაობ, რაც აქ ვნახე და განვიცადე, მეყოფა საშვილიშვილოდ. თბილისელი მოქალაქე მინდა გავხდე, ჩემი ხელი უნდა ეტყობოდეს შენობას, ვინ ააშენა, რომ იკითხავს კაცი, თამამად უნდა შემეძლოს ჩემი სახელის წარმოთქმა. შენ კი, ჩვენო ინჟინერო, ყველაფერზე ხელს იქნევ, ოღონდ გეგმა შეასრულო, ფული გამოწერო და ჩაიჯიბო. არ დაეძებ ხარისხს, არ დაეძებ ლაზათს. ააშენო, ჩააბარო და თუგინდ მერე დანგრეულა, შენ იმას აღარ ნაღვლობ.

სამი თვეა, ჯამაგირი არ აგვიღია შენს შემყურე მუშებს. დილიდანვე ილანძღები, ნახაზებში ვერ ერკვევი. ბეტონის შემადგენლობას ვერ საზღვრავ, სად რა კონსტრუქცია დააყენო არ იცი, შენც წვალობ, ჩვენც გვაწვალებ... კაფე-რესტორნები გშველის ძალიან, ძმაკაცებში კარგ ბიჭს გეძახიან, ჩვენი ნაჯაფი ფულის ხარჯვა არ გენანება.

— რა სიკეთეც გაგიკეთე, ის დაგავიწყდა?! — გაკვირვებული მომჩერებია ინჟინერი, — სამუშაოდ არ უნდა მიმეღე!

შენთვის სულ ერთია ვის მიიღებ, მე თუ სხვას, კარგ ხელოსანს თუ ცუდს. მაგრამ ერთი კია, რაკი აშენებ, რაღაც ხომ უნდა აშენდეს, ვიღაცამ ხომ უნდა ააშენოს, ჰოდა, რამოდენიმე გამოცდილი კაცი ყოველთვის გჭირდება, შენს ბიჭებს ეძახი, ხმას არ გაიღებენ, იმას დაგჯერდებიან, რასაც მისცემ, ხანდახან ცოტასაც წაუმატებ — მოიმადლიერებ — რა გენაღვლება, ოღონდ აშენდეს! ბევრი კარგი ინჟინერი ჰყავს ქალაქს, ყველას შენსავით რომ ეშენებინა, სახლი აღარ იქნებოდა სახლის მსგავსი, ქუჩა-ქუჩის მსგავსი, ხიდი-ხიდის მსგავსი. ვინც ხმას არ იღებს, ის ხელს გიწყობს უნებურად, უნდა წავიდე, შენს მშენებლობაზე მე ვერ დავრჩები.

* * *

— ახლა, მეტი არა მაქვს ფული, რა გიყოთ! გვითხარი მაშინ, აფრასიონ ბატონო, — ხალხნი ვართ, მერე გამოიარეთ.

ხუთი თვე ვმუშაობდით მე და პეტრე შენი აგარაკის მშენებლობაზე ვაშლიჯვარში. გახსოვს, კოლმეურნეობის მოედანზე ვიდექი, უმუშევარი ვიყავი, ვიდექი და ველოდებოდი ღვთისნიერ კაცს, ვინც სამუშაოს მომცემდა, ვინც ქალაქში ჩამწერდა. შენ მოხვედი, გამომკითხე, თუ რა ხელობას ვიყავი დაუფლებული და რომ გაიგე, ვიცოდი კალატოზობა, დურგლობა, ვიცოდი ბეტონის ასავალ-დასავალი, შემეძლო ლესვა, ყველაფერს შემპირდი, ენად გაიკრიფე: ჩემთან ჩაგწერო, სამსახურშიც მოგაწყობო. ვენდე შენს სიტყვას, კაცურ გარეგნობას და თანამდებობას, დირექტორი იყავი მაშინ ფაბრიკის.

მდინარეც ენდობა ადამიანს, თავის საგანძურს გადაუშლის, მაგრამ ყველა ადამიანი ხომ ადამიანი არ არის, მდინარეში რომ შევა თავისი უწმინდური ფეხებით, მერე ან დინამიტსააფეთქებს, ან ქლორს ჩაყრის, ან დენით დამუხტავს — აამღვრევს და ააფორიაქებს.

ასე მოშივიდა მეც, მოგენდე, ვმუშაობდი თავგადადებულად, ისეთი სახლი წამოვჭიმეთ, ავ თვალს არ ენახებოდა. მაქებდი, მეფერებოდი, ვიდრე მუშაობას არ მოვრჩი, ვიდრე უკანასკნელი აგური არ დავდე. მერე კი ამითვალწუნე, ხელი ამიკარი, ჩაწერას და სამსახურში მოწყობას ვინ დაეძებდა, გასამრჯელო მოგეცა ნეტა ხეირიანად: დასაჭერი ხართ, ფინაგენტებს დაგახვევო!! რა დაგიშავე, რას მემართლებოდი?! ჩვენში, კაცი-კაცს სახლის მშენებლობაზე რომ დაეხმარებოდა, მერე ისინი საშვილიშვილოდ მეგობრობდნენ. ასე იყო ოდითგანვე, ასე უნდა იყოს ახლაც.

მდინარესაც ჰყავს ქვეწარმავალნი, მაგრამ მდინარეში გესლით ვერ ჩადიან, თქვენ კი რა გესლი გქლავთ, რა დაგემართათ?

გვიან გამოაშკარავდა შენი კარგი კაცობა...

— კარგი, თუ ძმა ხარ, შემეშვი, — ამბობ შენ, — ჩემი გაჭირვება მეყოფა.

კაცი თავის კაცობით და საქმიანობით უნდა ფასდებოდეს, ის რა კაცია, ვისაც, მთავრობა ფაბრიკას ანდობს, ის კი, საკუთარი გამდიდრებით გაცოფებული, მოყვასთ ფულს წაგლეჯს და მიწაში ჩაფლავს. ფლიდობით, გაიძვერობით, სხვათა მოტყუებით განძს დააგროვებს და იმასაც მიწაში ამოდებს. ცოლს მუშად გაასაღებს აგარაკის ადვილს აიღებს, სასახლეს აიშენებს და შიგ არ იცხოვრებს. ხელოსანს ამუშავებს და ფულს არ გადაუხდის!

მრცხვენია, ასეთთან რომ ვიმუშავე, ვფიქრობდი, კაცს ვასახლებ, სახლს ავუშენებ-მეთქი. არქიტექტორიც მონდომებული იყო, ისიც გააწბილე. სხვა ბევრი ავკაცობაც ჩაგიდენია, ყველაფრის ჩამოთვლა შეგზარავს, გუნებას წაგიხდენს, კაცს შეგაძულებს. რა ძალა გადგა, მიწას ფული რად შეაჭამე, რად გადამალე ოქრო და ვერცხლი, თვალმარგალიტი?!

* * *

— ჩემთან წამოდი, ვისაუბროთ, — მითხარი შენ, — ოქროს ხელი გაქვს...

შენს სახელოსნოში ავედით, მეათე სართულზე, გამაოცა იქაურობამ, ამდენი ნახაზი და ნახატი ერთად არასდროს მენახა. მე ისიც არ ვიცოდი, თუ არსებობდა თბილისის განაშენების გენერალური გეგმა, შენ ამ გეგმის ფოტოსურათი გქონდა. დიდხანს მიხსნიდი, თუ სად რა ქუჩამ უნდა გაიაროს, სად უნდა გაშენდეს ქალაქის ადმინისტრაციული ცენტრი, ახალი საცხოვრებელი უბნები, სად გადავიდეს ზოოპარკი, როგორ უნდა გადაკეთდეს მოედნები, გაშენდეს პარკები და ბოლოს მკითხე, თუ იცი, ვინ უნდა აშენოს ყოველივეო. მაშინ მე გაოცებული შემოგაჩერდი.

შენო, მითხარი, შენ და პეტრესთანა ხელხვავიანმა ხელოსნებმა, თქვენ უნდა ააშენოთ ახალი თბილისიო. მერე აივანზე გამიყვანე და იქვე, თოთხმეტსართულიანი შენობა რომ იყო აღმართული, ის დამანახვე, კარგად დაუკვირდიო. დიდად განსხვავდებოდა სინამდვილე ნახაზისაგან, იმ შენობის ფასადი შენს სახელოსნოში იყო გამოფენილი. აი, როგორ იცვლება მშენებლობისას ჩანაფიქრიო, მითხარი შენ, მცოდნე პატრიოტი ინჟინერი და ხელოსნის ხელია საჭირო, მშენებლობაზე კარგი მამულიშვილი უნდა ტრიალებდესო.

— იმდენი უხეირო, უსახო შენობა მომრავლდა თბილისში, — თქვი ჩაფიქრებულმა, — მრცხვენია, არქიტექტორი რომ ვარ!

მდინარეს გეზი სჭირდება, საითაც წაიყვან, იქით წავა, თუგინდ ამისათვის მთებში გვირაბების გაყვანა, ცათამბჯენი კაშხალების აგება დაგვჭირდეს. მთავარია მიზანი, თუ მიზანი არის, მდინარეს აღმაც აიყვან. რა უფრო საინტერესოა, როცა მდინარე ქვესკნელში ბუყბუყით უჩინარდება, თუ როცა ჩვეულებრივად მოედინება...

შენ დამისახე მიზანი და მომეცი გეზი, ამას იქით, ამ გზით ვივლი თუ საშუალება მომეცა, ამ გზით ივლიან ჩემი მეგობრები და ნაშიერი!

ძველ უბნებსაც უნდა მიხედვა, მცოდნე ხელი და მონდომებული კაცი, მარტო ფულზე არ უნდა ფიქრობდეს ძველ უბანში მომუშავე ხელოსანი, მას სიყვარული უნდა ახლდეს თან, ის სიყვარული, რამაც ააშენა, რამაც დაავგირისტა ჩუქურთმები. თბილისის ძველი უბნები, თავისი ხელმადლიანი ხელოსნებით, სირაჯხანებით, ეკლესიებით და აივნებით, ყარაჩოხელებით და ეტლებით, სიმღერებითა და ცეკვებით საქვეყნოდ უნდა ჰქუხდეს. ასეა, მითხარი მაშინ შენ, მსოფლიოს ბევრ ძველ ქალაქში, თბილისიც ხომ თხუთმეტ საუკუნეზე მეტს ითვლის.

ხუროთმოძღვარს ოდითგანვე უბედობა სდევდა, მისი შთანაფიქრი რომ განხორციელდეს, ვიღაცამ ფული უნდა გაიღოს, ვიღაცამ უნდა ააშენოს. თუ ფული გაიღეს და ისეთ კაცს ჩაუვარდა ხელში, რომელსაც შენი არც აწმყო აინტერესებს და არც წარსული, შენობა — შენობას არ ემგვანება, ფულიც განიავდება და უბანიც დასახიჩრდება. პატრიოტობა გვაკლია, სიყვარული გვაკლია, ტელეფონის ზარს უფრო დიდ პატივს ვცემთ, ვიდრე საკუთარ თავს, პროფესიას და პატიოსნებას, გუშინდელ დადგმულ ქანდაკებებს ალებით ვემუქრებით, უსახო შენობებს კი ჭადრებს ვაფარებთ.

— ჩვენ ყველას პასუხს მოგვთხოვენ, — თქვი დაბეჯითებით, — მოვა ახალი თაობა და განურჩევლად გაგვკიცხავს ყველას!

მდინარე თავისი სიცოცხლით, ბინადრებითაა ლამაზი: საკრეულა — კალმახით, ხრამი — ხრამულით, რიონი — კოლხური წვერათი, მტკვარი — ორაგულით. ღმერთმა ნუ ქნას, ეს სილამაზე დაკარგოს რომელიმე მათგანმა. ჩვენი სოფლის მდინარეში ტრიტონებიც ცხოვრობენ, ისინი ალამაზებენ მორევებს, ფასს ადებენ კალმახს.

ქალაქს თავისი ბინადრები უნდა აკეთილშობილებდნენ და სახელს უთქვამდნენ. ასჯერ გაკეთებული სიკეთე, ერთ ბიწიერებას შეუძლია წარხოცოს.

იმ საღამოს, გახსოვს, შენი მეგობარი ნინო მოვიდა, შენ „ვარციხე“ დადგი ტაბლაზე, ნინომ ყავა მოადუღა. ეს, ჩემთვის უჩვეულო საღამო, დიდხანს დამრჩება სამახსოვროდ. თქვენმა სიყვარულმა, ჩემი სიყვარული გამახსენა და საღერღელი ამიშალა, კონიაკს მივეძალე, რომ გაგითამამდით, ლალი ვახსენე, ჩემს მეგობრებად დაგსახეთ და დარდი გაგანდეთ, ლალის სიყვარულის გამო გადმოვიხვეწე თბილისში, ლალი კი განსაცდელშია-მეთქი. ნინოს თვალი ცრემლით აევსო, შენ ერთხანს გაოცებული შემომცქეროდი, მერე ფეხზე წამოდექი და დაბეჯითე-

ბით მირჩი: — სიყვარულისთვის ბრძოლაა საჭირო, ვისაც თავისი საქმე ვერ გაურკვევია, ის საქვეყნო საქმეს ვერ გააკეთებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 5. ბებური

— ვინა ხარ, შენი რომ შემეშინდეს?! — მითხარი, ყურიც არ მათხოვე და გზას ტორტმანით გაუყევი, — ეს უბანი ჩემია, ლალიც ჩემია, ათასობით ფული მაქვს ჩაყრილი...

ჩვენი სოფლის მდინარეც შენი ხომ არ გგონია, აბა, წინ დაუდექი, სცადე შეკავება, მრუდე გზით წაყვანა, პატარაა, მაგრამ თუ გაავდა, მოსკდა მთელი ძალით, ნახე რა დღესაც დაგაყრის, არაერთხელ უმსხვერპლია თავგასული რეგვენი.

კარგად იცოდი, ლალი რომ მიყვარდა, ჩემი სკოლის ამხანაგი იყავი, გოგო გენდობოდა, გულში ვინ ჩაგხედავდა, ვინ მიხვდებოდა, რა განზრახვა გქონდა. ჯერ მცირე საჩუქრებით შეაჩვიე ლალის თავი. მის წინაშე პირფერობდი, ფლიდობდი და ოინბაზობდი. გოგოს მეტი რა უნდა — არხს გაუჭრი და რუსავით წამოვა, მოგენდობა და აგყვება. ძვირფას ფეხსაცმელებზე, ნისიად რომ მიუტანე, უარი ვერ თქვა, შენი ვალი დაიდო, ფეხსაცმელს უცხოური საკაბე მოჰყვა, საკაბეს — შეკერვის ღირებულება. მალე, მე ჯარში წამიყვანეს და შენს განზრახვას ფრთები შეესხა, წვენების ქარხანაში მუშაობდი და ყველაფერს წვენს აღენდი; ქალის ადვილად დამყოლ ხასიათს ყოველი მხრიდან გზებს უჭრიდი, ვალსვალზე ადებდი, მერე ხმებიც გაუვრცელე, თითქოს შენზე იყო შეყვარებული — ვითომ ხვდებოდი, კოცნიდი და ეალერსებოდი. სოფელს მეტი არც უნდოდა, ჭორი ერთ-ორად იბერებოდა, ქუფრდებოდა და მძიმდებოდა. ლალი რამდენჯერმე აღუდგა წინ სატანას, მაგრამ უმალ ჩააჩუმე — ვალების გადახდა მოსთხოვე. ამას ისიც დაერთო, რომ ჭორებს აყოლილმა დედაჩემმა ლალი ახლოს არ გაიკარა და ის შენს ხელში აღმოჩნდა, დაიმორჩილე, თბილისში ჩამოიყვანე და მძიმე უღელი დაადგი.

— მეც მიყვარდა ლალი, — ამბობ ენის ბორძიკით, — შენ მიატოვე, მე კი თან გადავყევი, ყველა ოცნება ავუსრულე.

მდინარემაც იცის ოცნების ასრულება, ლამაზ კენჭებს ვეძებდით მე და ლალი მდინარის პირას. ვეძებდით და ვოცნებობდით, ხშირად ოცნება გვისრულდებოდა — ხატულა კენჭებს ვპოულობდით. გულწრფელად გვიხაროდა და ერთმანეთს თვალებში შევცქეროდით.

ოცნება ავუსრულეო — განა ისაა ოცნება, ქალი სულიერად გაქურდო, ოქრო-ვერცხლით აავსო და მხევლად დაისვა. ქალს ოჯახის მოვლა შეშვენის — შვილების აღზრდა. საზოგადოებაში ფასი და რიდი კიდევ მეტად ამშვენებს ქალის ღირსებას. ოცნება წაართვი ლალის, თავისუფლება მოუსპე და ფეხით გათელე. პირველივე დღეები, უზომოდ მთვრალმა, ჩხუბით და ლანძღვით დაიწყე. შენი დაგდებული ჭორი ბუმერანგივით რომ მოგიბრუნდა, შენვე გაგაცოფა, ისედაც ღვინის მოყვარული, სულ გაგალოთა. ეჭვებით აფორიაქებული, ათას უმსგავსობას სთხზავდი და ქალს თავს ახვევდი, შენც წვალობდი, მასაც აწვალებდი.

ჩემმა ჯარიდან დაბრუნებამ სულ წაგართვა მოსვენება, საკუთარი კაცობით შეშინებული, ქალს რისხვად დაატყდი თავს, ჩემთან შეხვედრას ერიდებოდი, დღედაღამ გოგიას დუქანში იყავი შეყუჟული და არყით იბრუჟებოდი.

მე ერთხანს გაგეცალე, ლალის თხოვნა შევასრულე, არ ვიცოდი, ხელი მოწერილი თუ არ გქონდათ, არ ვიცოდი, ასე თუ აწვალებდი ლალის, თუმცა ვხვდებოდი, ის ბედნიერი არ იყო. დიდხანს დავეხეტებოდი თბილისში ბე-

დის ანაბარად, ვიდრე მეგობრებს შევხვდი, ვიდრე ცხოვრებამ კარი გამიღო. კალაპოტიდან ამოვარდნილ მდინარეს ვგავდი, გაშლილ რიყეზე რომ მოედინება და ხან ერთ მხარეს აწყდება, ხანაც მეორეს. ჩვენი სოფლის მდინარეც დიდხანს ეძებდა კალაპოტს, მერე ნაპრალი ნახა და ყურყურით ქვესკნელში გაუჩინარდა.

რად წაგვართვი ოცნება, რად ჩადექი ჩვენს შორის? ცხოვრებით გაზულუქებულს სიბილწის ინსტინქტები გაგიცხოველდა. შენ ხომ ჩემი მეგობარი იყავი, გენდობოდი და კაცად გთვლიდი.

— მოდი, თითო დავლიოთ, — მთავაზობ შენ, — ეს ცხოვრება იმად არა ღირს, ერთმანეთს ვაწყენინოთ.

მდინარეს გუბურა რომ მოწყდება, მალე ხავსდება და შმორდება. შენ დალევას მთავაზობ, შენთვის სულერთია, ეს ცხოვრება ასე იქნება თუ ისე. შენს საქმეს აკეთებ, წუთითაც არ ჯავრობ, ტკივილები რომ მოგვაყენე.

ვიდრე ლალი დუმდა და ბოღმას იკლავდა, ბობოქრობდი, მერე და მერე ხმა რომ აიმაღლა, მოტყდი, იქამდეც მიხვედი, ფეხებში ჩაუვარდი, მაგრამ უკვე გვიან იყო, ლალიმ გარეთ გამოგაგდო, შენი ნაჩუქარი ნივთების ფუთაც შეგიკრა. შანტაჟს მიმართე, ქალს ქურდობა დასწამე, მაგრამ არავინ დაგიჯერა, ფულით მყავხარ ნაყიდიო, გაიძახოდი, ყველამ ზურგი შეგაქცია, მიხვდი, ხელი რომ მოგაცარა და ნაცად ხერხს მიმართე — მუდარაზე გადახვედი: ნუ მიმატოვებ, ლალი, ნუ დამტოვებ ამ გაჭირვების ჟამს, იმ ხანებში სამსახურშიც გამოვლინდა შენი ვაიკაცობა. ხელის მოწერას, ერთგულებას შეპირდი, უბიდან დასტა-დასტად ჰყრიდი არმად ნაშოვნ ფულს. მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა, არ მიგიკარა ლალიმ, არ მიიკარა მდინარემ გუბე. ძალადობაზე გადახვედი, მთვრალი უდარაჯებდი ლალის ქუჩა-ქუჩა, შეურაცხყოფას აყენებდი და ემუქრებოდი. იმ დღესაც ასე მოხდა, ლალი შინ ბრუნდებოდა, შენ მთვრალი იდექი სახლის კუთხესთან, ერთმა ღმერთმა იცის იმ დღეს რა მოხდებოდა, მე რომ განგებას იქ არ მოვეყვანე.

არც ისე ადვილია შენისთანა უჯიშო და უჯიგრო ხალხთან ბრძოლა, ბოღმით, შურით და შუღლით ავსილნი, ყველაფერზე მიდიხართ, პატიოსანი კაცის დანახვაც კი გზარავთ, თუმცა კარგად გახსოვს, ვერასოდეს ვერ მერეოდი. დანა იშიშვლე და ძალიან გაცვეთილი, ძველის-ძველი ფრაზა წამოისროლე — თუ მე არა, არც შენი და ლალის მიჯნური, დროზე შეგასწარი ხელი...

— მაპატიეთ, მთვრალი ვიყავი, — იკვეხები ახლა ნაცემ ძაღლივით: მე სხვა ბრალდებაც მეყოფა!

მზე რომ მაღლა აიწევდა და ფოთლებიდან დაბერტყილი სხივთა ათინათი მდინარის ტალღებზე დაფარფატებდა, მე და ლალი შხეფებს ვესროდით ერთმანეთს და იმ ცისარტყელას შევციცინებდით, ჩვენს შორის რკალად რომ იქმნებოდა, ეს მოგონება, ბავშვობისდროინდელი, დღესაც ნათლად წინ მეხატება და მე შევცქერი ლალის სახეს როგორც ღვთაებას, როგორც ქალღმერთს ტალღებიდან ამოცურებულს!

მაპატიეო, ამბობ შენ, ეს კი ნამდვილად შენი სახეა, წამოჩოქილი და საწყალობელი, საცოდავი და ავადმყოფური. ახლა ყველაფერს მოიმოქმედებ, ფეხებზე ემთხვევი, ფეხებს დაუკოცნი ვისაც გინდა, ოღონდ აცდე მართლმსაჯულებას, ოღონდ შეგრჩეს რაც ივაგლახე, საიდუმლოებით მოცული შენი ალქიმიკოსობა ყველამ გაიგო, ყველამ გაიგო როგორ ამზადებდით წვენებს უხილოდ, როგორ ღებავდი წყალს საღებავით.

მე და ლალი შეგროვილ ხალხს გავეცალეთ და ქუჩას უხმოდ დავადექით. მას არაფერი უკითხავს, მიხვდა, ძველისძველ პირობას რომ ვასრულებდი.

### ც. პეტრე

— თითო დავლიოთ, — მითხრა პეტრემ და ჭიქა-ჭიქაზე მომიჯახუნა, თან თვალი ეშმაკურად მოჭუტა, — შენ არ მოინდომე, თორემ ახლა თბილისელი იქნებოდი.

ეჰ, ჩემო პეტრე, რა ცუდად იცნობ ადამიანებს, უფრო სწორად, არ გქონია უკეთესებთან საქმე, სულ გაიძვერობ, გეშინია არავინ მოგატყუოს, შენც ყველას ატყუებ, ტყუილი გგონია ცხოვრების სიბრძნე, ასეთნაირი ჩამოგაყალიბა შენმა ცხოვრებამ, ასეთნაირ ადამიანებში მოხვდი თავიდან. გიკვირს, შენს ჭკუაზე რომ არ დავდივარ, ვიღაც, გაფუჭებულ ინსპექტორს ფული არ მივეცი ქალაქში ჩაწერისათვის, სხვანაირად ვინ ჩაგწერსო. შენ, ჩვენი სოფლის მდინარე არ გინახავს, მთაში იღებს სათავეს, ქარაფებზე მოედინება, მოქუხს, მოიმღერის, მაგრამ სოფელს როგორც კი შორდება, უცბად უჩინარდება. ეშმაკმა გაწყვიტა მდინარეო, ამბობენ სოფლელები. ზოგი იმასაც ამბობს, დევი იჯდა და ხვრეპდაო, ზოგიც, ქვედა სოფლელები დასაჯა ღმერთმაო, არც ერთია მართალი, მდინარე თვითონ გაუჩინარდა — ნახა ნაპრალი და ჩაიქცა.

თბილისში რომ ჩამოვედი, შენზე ახლობელი არავინ მყავდა, შენ შემიკედლე უსახლკარო, თუმცა შენც ვიწროდ ცხოვრობდი. კეთილი გულის პატრონი ხარ, ჩემო პეტრე. მაგრამ ცხოვრება ხელს არ გიწყობს, ისეთი ხალხი განაგებს შენს ბედს, შენს ფრჩხილადაც რომ არ ღირან, გატყუებენ, გგლეჯენ და შენც ამითვე პასუხობ, სხვანაირი ბრძოლა შენ არ იცი, ან უფრო სწორად — არ ძალგიძს. ოცი წელია თბილისში დავესახლეთ, აბა, ბინას ვინ მომაქვავებდა, გამოვედი ვეძისში, მოვძებნე თავისუფალი ადგილი, შემოვღობე, ვზიდე მშენებლობებიდან აგური, ცემენტი, კარი და ფანჯარა. მერე მოვიხმარე ბიჭები და ერთ ღამეში ავაშენეთ ქოხიო. მაშინ ქალაქი შორს იყო, ყურადღებას იმდენად არავინ გაქცევდათ, ინსპექტორებს კი ადვილად იბირებდით, ქალაქი მერე მოვიდა თქვენთან...

— მოვიდა, და ძაან შეგვავიწროვა, — ეღიმება პეტრეს, — ახლა ჩემი საკარმიდამო ოქროთი ფასობს, ყოველდღე მოდიან კოოპერატიულ ბინათმშენებლები.

რამდენი ბინადარი ჰყავს მდინარეს, ყველას საზრდო და თავშესაფარი უნდა, ღმერთმა ნუ ჰქნას, მდინარე დაშრეს... გინახავს დაწრეტილი ფშანი, როგორ ხტიან სველ ქვიშაზე თევზები, როგორ გარბიან კიბორჩხალები, ხტუნვით ეშურებიან მეზობელ მორევისაკენ დამფრთხალი ბაყაყები, ხოლო უამრავი წვრილმანი მწერი გატრუნული ელოდება განსაცდელს.

ქალაქი მოვიდა შენთან და კარს ურაზავ, რადგან ადრე ქალაქმა არ მიგილო, ნაპირზე გაგრიყა. მეც არ მიმილო ქალაქმა, ეს დიდისა და ძლიერის ჩვევაა, ზღვაც არ იღებს ადვილად მცირე მდინარეს. ახლა, ქალაქი თავის ფარგლებში აღარ ეტევა, შენი საკარმიდამო სჭირდება, შენ კი ცეცხლს უკიდებ, კანონებს იშველიებ, იგივე კანონებით რომ ემოქმედათ, არც შენ უნდა დასახლებულიყავი ქალაქის მიდამოებში. ზიხარ შენი სახლის ბანზე და შიშით შესცქერი, როგორ მოდის მრავალსართულიანი სახლებით ქალაქი შენსკენ, ვერ წარმოგიდგენია, როგორ იცხოვრო მეათე თუ მეთექვსმეტე სართულზე, ქალაქში ცხოვრება გინდა, თუმცა ვერც მიწას ელევი, სოფლიდან კი გამოიქეცი.

— გამომაქციეს, ჩემო თემურ, გამომაქციეს, — ოხრავს პეტრე, — ახლა ხომ უკვე თბილისელი ვარ, ოთხი შვილი მივეცი ქალაქს...

შვილებზე უნდა იფიქრო, პეტრე, ქოხებით ხომ არ აავსებ ქალაქს. უფროსი უკვე მოსწრებული გყავს, მალე დააოჯახებ... თუ ყველაფერი რიგზე

წავიდა, ისინიც ბინას მოგთხოვენ. შენ რად უნდა იწვალო, პეტრე, შვილებს მთავრობა მისცემს ბინას, მხოლოდ ისინი კაცებად დაზარდე, მშრომელ ადამიანებად, პატიოსნება ეწეროთ გულზე. შენც უნდა შეიცვალო გზა, ასე აღარ გარგებს, შენისთანა მშენებელი სჭირდება ქალაქს, შენ კი ფეხი აგიღია და გარე-გარე დადიხარ; ხან რუსეთში, ხანაც შუა აზიაში... ვიცი, იქ კარგად გიხდიან შრომაში, მაგრამ შენ თბილისელი ხარ და შენს ქალაქს უნდა ემსახურებოდე. კომპლექსური ბრიგადა უნდა ჩამოვაყალიბოთ, შენც ჩვენთან წამოდი. ბიჭები უკვე გადმოვიბირეთ საამშენებლო ტრესტიდან, ერთ დროს შენც იქ მუშაობდი, გოგი იქნება ჩვენი ბრიგადირი, გამომუშავებაზე ვიქნებით და საქმეც ხვავიანად წავა. წამოდი, პეტრე, ნუთუ არ მოგწყინდა ამდენი ხეტიალი.

— მომწყინდა, ძალიან მომწყინდა, — ხელებს შლის პეტრე, — დაგიჯერო ვითომ, ჩვენთან ხელოსნის ფასი არ იციან?!

სხვადასხვა დრო გამოიარა მდინარემ, ყველამ თავისი დაღი დაასვა; ზოგმა დააშრო და ამოხაპა, ზოგმაც აავსო და გადარია, მეწყერმა — დამეწყრა, ქუხილმა — დამეხა, ღვარცოფმა — აადიდა, კლდემ გზა არ მისცა — ლოდებით მოფინა, ქვაღორღით აავსო, სილით მოსილა. მაგრამ მდინარე მოდის და მოდის ისევ ანკარა, ისევ ცივი და მხიარული.

ფასი არ იციანო, შენ ამბობ, პეტრე, ეს ჩვენი ბრალია, ჩვენ თვითონ გავაუფასურეთ ჩვენი შრომა, არაკაცებს შევუწყეთ ხელი, ვდუმდით, როცა საქმიანობდნენ, როცა ვაგლახობდნენ, იქნებ ჩვენც გვარგონ ცოტაო, მაგრამ, როცა არავინ არაფერი გვარგო, უკვე გვიან იყო, ისინი მომძლავრდნენ, გადიდგულდნენ, მომრავლდნენ და შეგვავიწროვეს. ბევრი შენსავით გაეცალა, ბევრმაც თავი წახარა. ერთნიც მათ შეერივნენ. ახლა ძნელია მართლისა და მტყუანის განსჯა, ავისა და კარგის გარჩევა. ახლა შრომაა მთავარი, დაკარგულის აღდგენა, გაცდენილის შევსება. ჩვენ ის ხალხი ვართ, მე და შენ, პეტრე, ვის ზურგზედაც გადადის ყოველივე, უნდა ვზიდოთ კუთვნილი ტვირთი და უნებური შეცდომა გამოვასწოროთ. მე სხვა საზრუნავი არა მაქვს, პეტრე, შვილს ველი, იცი, ახალი სიცოცხლე უნდა მოევლინოს ქვეყანას, ახალი ფიქრი, ახალი გრძნობა, მას ადამიანებად უნდა დავხვდეთ, პეტრე, კაცურ-კაცებად. ის უცოდველი ადამიანი იყოს ჩვენი შემწე; ჩვენი წინამძღოლი და გამკითხავი.

## 7. ჟურნალისტი

— მომიყევით თქვენ თავზე ცოტა რამ, — მოხვალ ალბათ და მეტყვი, — ნარკვევი მინდა დავწერო.

გინახავს, ნანა, ჩვენი სოფლის მდინარე, როგორ უჩინარდება ნაპრალში, მამაშენი იმ მდინარეში დავაჟკაცდა, მერე წავიდა და დიდ გზას დაადგა, მდინარე აღარ გახსენებია, აღარც შენ გაგაცნო თავისი გამზრდელი მდინარე. მე კი იმ მდინარით ვცოცხლობ, ნანა, ისაა ჩემი სათავე, შენიც. მაგრამ მე ისევ იმ მდინარიდან ვღებულობ საზრდოს, შენ კი.. გახსოვს, თქვენთან რომ მოვედი, ბატონ ალმასხანს დახმარება ვთხოვე; შენ მაშინ ყურადღება არ მიამაქციე, წუთით თვალი შემავლე და ამხანაგებს მიუბრუნდი, აჩურჩულდით და აკისკისდით, ჩემი გაცნობა არ ისურვე, არაფრად ჩამაგდე. არ მოგეწონა ჩემი ჩაცმულობა, ჩემისთანა ახლობელი ალბათ არც გესიამოვნა ამხანაგებში გამოსაჩენად. მაშინ მეოთხე კურსის სტუდენტი იყავი, მაგრამ სულ დაივიწყე, რომ არსე-

ბობდა ის პატარა სოფელი მთებში, იქ შენი წინაპრები ცხოვრობდნენ, შრომობდნენ, იბრძოდნენ. პატარაობისას, მახსოვს, გიყვარდა სოფელში ყოფნა, მერე, რომ წამოიზარდე, სხვა ინტერესები გაგიჩნდა: ლენინგრადი, ზღვა, ბალტიისპირეთი, შუა აზია მოიარე, იყავი მარსელში, პარიზში, ლონდონში, ვარშავასა და ბერლინში...

ახალბედა ჟურნალისტი ხარ, მოწინავე მშენებლებზე გინდა ნარკვევი დაწერო, სახელი მოიხვეჭო და დამკვიდრდე, მე საიდან გაგახსენდი? გაზეთში წაიკითხე ალბათ ჩვენი ბრიგადის შესახებ. შენ აღარ გახსოვარ, მე კი ის დღე არ დამავიწყდება! ჩვენი მდინარე უნდა მოინახულო, ნანა, იმ მდინარეს უნდა ჩაჰყვე მიწისქვეშა სასახლეებში, შეისწავლო და შეიცნო, მაშინ შემიცნობ მეც, ჩემ მეგობრებსაც.

გუშინ თბილისის მცხოვრებთა რიცხვმა მილიონს მიაღწია, ამ დილით ჩემი ბიჭი დაიბადა. ის შეიძლება მილიონ მეერთეა, ან, შეიძლება მილიონ მეათე. ქალაქს მდინარე ასაზრდოებს, იზრდება, თავის ფარგლებში აღარ ეტევა, ქალაქს შენება სჭირდება, მშენებლები სჭირდება. ჩვენს შვილებს კეთილმოწყობილი ბინები უნდათ, ფართო ქუჩები, საბავშვო ბაღები, სკოლები, ინსტიტუტები...

ჩვენს კომპლექსურ ბრიგადაში ექვსი კაცია: ბრიგადირი — გოგი, პეტრე, რუბენა, მე, გენადი და ღურმიშხანი. თითომ ხუთი-ექვსი ხელობა იცის, რასაც ხელს მოჰკიდებენ, ჯიღას დაადგამენ, მეორე წელია ერთად ვმუშაობთ და ერთი საცხოვრებელი სახლი უკვე ჩავაბარეთ, ახლა მეორე დავიწყეთ, თუ მასალებით მოგვამარაგეს, იმასაც დროულად ჩავაბარებთ.

— სადაურები არიან თქვენი ბრიგადის წევრები? — შემეკითხები შენ და კალამს მოიმარჯვებ.

თბილისელები! ჩემსავით დაეხეტებოდნენ დიდხანს, ხან სად მუშაობდნენ, ხან სად, გოგი ბრიგადირმა მოგვიყარა თავი, ჩემი მეგობარი არქიტექტორიც დაგვეხმარა და კომპლექსური ბრიგადა ჩამოვაყალიბეთ, გეგმებს გადაჭარბებით ვასრულებთ, ხარისხიც საუცხოოა. წელს, უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად მოსამზადებელ განყოფილებაში ჩავირიცხე. ბინა ჯერ არ მაქვს, ისევ პეტრემ შემიკედლა ჩემი ცოლ-შვილით, ამ საცხოვრებელ სახლს რომ ავაშენებთ, ბინას მაშინ მომცემენ, ეს სახლი მშენებლებისაა, რაც მალე ავაშენებთ, მით უფრო კარგია. ბიჭები დალესილები არიან, დიდი ხანია ბინას ელოდებიან. ყველა დაოჯახებულია და შვილები ჰყავთ, მომავალი თბილისელი მშენებლები.

კაცი შრომით უნდა ფასდებოდეს, კაცი მდინარეს უნდა ჰგავდეს, მიედინებოდეს, შრომობდეს, არ ილლებოდეს. სულით მდიდარი, ანკარა და გულმართალი უნდა იყოს კაცი, საქმე უნდა უყვარდეს, თავისი ქალაქი და ქვეყანა. თავისი ადგილი უნდა იცოდეს ცხოვრებაში, პატივს უნდა სცემდეს უმცროსებს და უფროსებს, პატივს უნდა სცემდნენ მასაც, რადგან კაცია და გზას ადგია, გზა კი უსასრულოა და ეკალ-ბარდიანი, ვისაც გაკვალული, დოვლათიანი გზით უყვარს სიარული, მას დღე მოკლე აქვს, უღიმღამო და უსახელო. ჩემი ბიჭი თბილისში დაიბადა, მისი შვილები და შვილიშვილებიც თბილისში დაიბადებიან, ისინი ნაღდი თბილისელები იქნებიან, მათ პაპას საფუძველი უკვე ჩაყრილი აქვს, მერე ფესვებს გავიდგამთ და მოვმაგრდებით. ოღონდ მდინარე არ დაშრეს, ოღონდ მდინარე არ აიმღვრეს, ოღონდ მდინარემ იაროს იმ გზით, რომლითაც მიდიოდა წლების წინათ, საუკუნეების წინათ, მდინარეც ხომ დიდხანს ეძებდა თავის გზას, ეძებდა და იპოვნა, იპოვნა და გაუჩინარდა. შენ გმართებს, ნანა, მდინარის შესწავლა, შენ ჟურნალისტი ხარ, ცხოვრების ფერხულში უნდა იდგე, შენ უნდა გაარკვიო რად გაუჩინარდა მდინარე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

უილიამ შექსპირი

# ტროილოსი და კრესიდა

მოქმედება მესამე

სურათი I

ტროა. პრიამეს სასახლე.

/შემოდიან პანდაროსი და მსახური/

პანდაროსი

ჰეი, ძმობილო! გესმის? ერთი სიტყვა მითხარი, გეთაყვა: შენ ხომ არ მისდევ უკან ჭაბუკ უფლისწულ პარისს?

მსახური

დიახ, ბატონო, როცა ის ჩემს წინ მიდის.

პანდაროსი

იმას ემსახურები-მეთქი, გეკითხები.

მსახური

ბატონო, მე ჩემს უფალს ვემსახურები.

პანდაროსი

დიახაც, კეთილშობილ ბატონს ემსახურები. ის მართლაც რომ ქება-დიდების ღირსია.

მსახური

დიდება უფალს!

პანდაროსი

ხომ მიცნობ, განა არ იცი, ვინა ვარ?

მსახური

დიახ, ბატონო, ცოტათი გიცნობ.

პანდაროსი

ძმობილო, უკეთ უნდა გამიცნო. მე ბატონი პანდაროსი გახლავარ.

მსახური

იმედი მაქვს თქვენს პატიოსნებას უკეთ გავიცნობ.

პანდაროსი

დიახ, ეგაა ჩემი სურვილი.

---

გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ს ა ხ უ რ ი

თქვენ მოწყალება ბრძანდებით.

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

მოწყალებაო! არა ძმობილო, პატიოსნება და აღმატებულებაა ჩემი ხარისხები. /სცენის უკან მუსიკა ისმის/ ეს რა მუსიკაა?

მ ს ა ხ უ რ ი

ბევრი არაფერი ვიცი, ბატონო, მუსიკოსები კი ბევრია.

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

იცნობ ამ მუსიკოსებს?

მ ს ა ხ უ რ ი

სავსებით, ბატონო.

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

ვისთვის უკრავენ?

მ ს ა ხ უ რ ი

მსმენელთათვის, ბატონო.

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

ვის საამებლად-მეთქი, ძმობილო?

მ ს ა ხ უ რ ი

ჩემს საამებლად, ბატონო, და აგრეთვე იმათი, ვისაც მუსიკა უყვარს.

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

ვისი ბრძანებით უკრავენ-მეთქი, გეკითხები.

მ ს ა ხ უ რ ი

რა ბრძანებაა, ბატონო, მე ვის რას ვუბრძანებ?

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

ძმობილო, მე და შენ ერთმანეთისა არაფერი გვესმის. მე, ვგონებ, ძალზე ზრდილი ვარ და შენ კი ძალზე ცბიერი. გეკითხები, ვისი მოთხოვნით უკრავენ-მეთქი ეს მუსიკოსები?

მ ს ა ხ უ რ ი

ეს კი დიახაც გასაგებია, ბატონო. ჩემი ბატონის პარისის ბრძანებით უკრავენ. თვითონაც პირადად იქ ბრძანდება. მას თან ახლავს მოკვდავი ვენერა, სილამაზის მწვერვალი, სიყვარულის უხილავი სული.

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

რომელი, ჩემი დისწული კრესიდა?

მ ს ა ხ უ რ ი

არა, ბატონო, ელენე, განა ვერ მიხვდით ჩემი აღწერილობის მიხედვით?

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

გეტყობა, ყმაწვილო, ქალბატონი კრესიდა არ გინახავს. მე პარისთან სალაპარაკოდ გამომგზავნა ბატონიშვილმა ტროილოსმა. გადაუდებელი საქმე მაქვს, მოსალაპარაკებელი, გაიგე?

მ ს ა ხ უ რ ი

გადაუდებელი საქმე გქონიათ. ვგონებ, გავიგე თქვენი ნათქვამი.

/შემოდიან პარისი და ელენე ამალითურთ/

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

მოგესალმებით თქვენ, ბატონიშვილო, და მთელ თქვენს ბრწყინვალე საზოგადოებას! გისურვებთ ბრწყინვალე სურვილებს, მათ ბრწყინვალე აღსრულებას და ბრწყინვალედ წარმართვას! განსაკუთრებით თქვენ, მშვენიერო დედოფალო! ბრწყინვალე ფიქრები გქონოდეთ ბრწყინვალე ბალიშად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელენე

ბატონო ჩემო, თქვენ მთლად ბრწყინვალე სიტყვებად გადაქცეულხართ.

პანდაროსი

თქვენდა საამებლად, საყვარელო დედოფალო. ბატონიშვილო, რატომ შეწყდა ეს მშვენიერი მუსიკა?

პარისი

თქვენ თვითონ შეგვაწყვეტინეთ, ბიძაჩემო, და, გეფიცები, თქვენ თვითონ აღადგენთ მას, თანაც უთუოდ თქვენს საკუთარსაც შეთხზავთ რასმე. წელს ეს კაცი მთლად ჰარმონიითაა აღსავსე.

პანდაროსი

არა, ქალბატონო, მართალი არ გახლავთ.

ელენე

ნუთუ, ბატონო?

პანდაროსი

გაუთლელი ვარ, გეფიცებით, ძალიან გაუთლელი.

პარისი

კარგი ნათქვამია, ჩემო ბატონო, პირდაპირ შეწყობილი ნათქვამი.

პანდაროსი

პატარა საქმე მაქვს ბატონიშვილთან, საყვარელო დედოფალო. ბატონიშვილო, ნება მიბოძე ერთი სიტყვა მოგახსენო.

ელენე

არა, მაგით თავიდან ვერ მოგვიშორებ. ჯერ უნდა თქვენი სიმღერა მოგვასმენინოთ.

პანდაროსი

თქვენ მეხუმრებით, ტკბილო დედოფალო, მაგრამ, ბატონიშვილო, ჩემი ძვირფასი მეუფე და მეგობარი, შენი ძმა ტროილოსი...

ელენე

ბატონო პანდაროს, თაფლივით ტკბილო პანდაროს!..

პანდაროსი

კმარა, ტკბილო დედოფალო, კმარა (პარისს), დიდი სიყვარულით მოგმართავს და მავალებს მოგახსენო...

ელენე

არა, შენი სიმღერა არ მოგვაკლო, თორემ ჩვენი ნაღველი შენ დაგახრჩობს.

პანდაროსი

ტკბილო დედოფალო, ტკბილო დედოფალო. მართლაც რომ ტკბილი დედოფალი ხარ.

ელენე

და მერე ტკბილ ქალბატონს რომ აწყენინო, განა დიდი ცოდვა არ იქნება?

პანდაროსი

არა, მაგით ვერ მომთაფლავ, არა-მეთქი, ღმერთმანი, არა! მაგისთანა სიტყვებს არაფრად ვაგდებ. არა, არა, ბატონიშვილო, ტროილოსი გთხოვს, თუ ხელმწიფემ ვახშამზე მომიკითხა, შენ მი[illegible] ბოდიში.

ელენე

ჩემო პანდაროს...

პანდაროსი

რას მიბრძანებს ჩემი ტკბილი დედოფალი, ჩემი უტკბილესი დედოფალი?

პარისი

რა უდევს გუმანში? ამაღამ სად ვახშმობს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე ლ ე ნ ე

მაგრამ, ჩემო ბატონო პანდაროს...

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

რას მიბრძანებს ჩემი ტკბილი დედოფალი? /პარისს/ ჩემი დისწული გაგიწყრება. თვითონვე მოგეხსენება, სადაც ვახშმობს.

პ ა რ ი ს ი

სიცოცხლეს გეფიცები, იმ მაცდურ კრესიდასთან იქნება.

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

არა, არა, აგრე არ არის. სცდები. მაცდური ავადაა.

პ ა რ ი ს ი

კეთილი, ბოდიშს მოვხდი, რაღაცას ვიტყვი.

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

ძალიან კარგი, ბატონიშვილო, მაგრამ კრესიდა რამ მოგაგონა? არა, ის მაცდური ავადაა.

პ ა რ ი ს ი

ვხვდები.

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

რას ხვდები? ნეტავი, რას ხვდები? კეთილი, მომეცით საკრავი, აბა მიბრძანე, ტკბილო დედოფალო.

ე ლ ე ნ ე

აი, ეგ კი მომწონს.

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

ჩემი დისწული ერთ რაღაცაზე გიჟდება, რაც თქვენ გეკუთვნით, ტკბილო დედოფალო.

ე ლ ე ნ ე

ის მისი იქნება, ჩემო ბატონო, თუ ეს ჩემი მეუღლე პარისი არ არის.

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

ესა? არა, ის მაგის მუშტარი არ არის. ის სხვისი ტყუპის ცალია.

ე ლ ე ნ ე

მაგისთანა ტყუპისგან შეიძლება მესამეც გამოვიდეს.

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

კმარა, კმარა, ეგ არ გამაგონო. ახლა კი სიმღერას გიმღერებთ.

ე ლ ე ნ ე

შენი ჭირიმე, შენი, პანდაროს. გეფიცები, ნამდვილად მშვენიერი შუბლი გაქვს.

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

დიახ, შესაძლებელია, შესაძლებელია.

ე ლ ე ნ ე

ოღონდ სიყვარულზე იმღერე, ყველას რომ გვანადგურებს, ო, კუპიდონო, კუპიდონო, კუპიდონო!

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

სიყვარულზეო? კეთილი, სწორედ აგრე ვიზამ, გეფიცები.

პ ა რ ი ს ი

დიახ, სიყვარულზე, სიყვარულზე; მარტო სიყვარულზე!

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

გეფიცები, ესეც სწორედ ასე იწყება.

/მღერის/

სიყვარული, სიყვარული, მარტო სიყვარული!  
სიყვარულის ისრის ზუზუნს უნდა უგდო ყური;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთნაირად დაიჭრება ხარირემი, ფური,
იმითი კი არ გაკვირვებს, რომ ჭრილობას გიჩენს,
არამედ შიგ იარაში გიღიტინებს, თითებს.
მიჯნურებს რომ ყური უგდო, ყველა კვნესით კვდება,
სასიკვდილო ჭრილობაა, მართლაც გეგონება.
მაგრამ მალე სიცილი სცვლის იმათ ოხვრა-მოთქმას,
ჰა-ჰა-ჰა-ჰა ესმის შემდეგ მთელ ადამის მოდგმას.
ცოტა ოჰ-ოჰ-ს თან მოჰყვება ბევრი ჰა-ჰა-ჰა-ჰა,
ოჰ-ოჰ-ოჰ-ოჰ გადიქცევა მარტო ჰა-ჰა-ჰა-ჰად!
ჰეი-ჰო!

ელენე

შეყვარებულია, გეფიცებით, შეყვარებული ცხვირის წვერამდე.

პარისი

მტრედების მეტს არაფერს გიახლება, ჩემო სიყვარულო, და სწორედ ეგ უხურებს სისხლს; გახურებული სისხლი კი გახურებულ აზრებს ბადებს, გახურებული აზრები — გახურებულ საქმეებს და გახურებული საქმეც — სიყვარულია.

პანდაროსი

ეგ არის სიყვარულის ჩამომავლობა? გახურებული სისხლი, გახურებული აზრები და გახურებული საქმეები? ეგ ყველანი სულ გველებია და მაშ სიყვარულიც გველის ნაშობი ყოფილა, არა? უფალო ჩემო, ნეტავ ბრძოლის ველზე ვიღაა დღეს?

პარისი

ჰექტორი, დეიფობოსი, ჰელენოსი, ანტენორი და ტროის მთელი მხედრობა. მეც მინდოდა იქ ვყოფილიყავი, მაგრამ აი, ეს ჩემი ნელი არ მიშვებს. მაგრამ როგორ მოხდა, რომ არც ჩემი ძმა ტროილოსი წასულა?

ელენე

სადღაც გაეჭედა. შენ ეს კარგად მოგეხსენება, ბატონო პანდაროს.

პანდაროსი

არა ვიცი-რა, უტკბესო დედოფალო. მინდა გავიგო, დღეს რა მოხდა /პარისს/ ხომ არ დაგავიწყდება შენს ძმას ბოდიში მოხადო?

პარისი

ნუ გეფიქრება.

პანდაროსი

მშვიდობით, უტკბესო დედოფალო.

ელენე

შენს ძმისწულს მოკითხვა გადაეცი.

პანდაროსი

გადავცემ, უტკბესო დედოფალო. /გადის, ბრძოლის გაყრის საყვირი გაისმის/

პარისი

ბრძოლის ველიდან ბრუნდებიან!
პრიამეს დარბაზს ჩვენც მივაშუროთ, ღირსეულად შევხვდეთ მეომართ.
ტკბილო ელენე, მინდა გთხოვო ჰექტორს აბჯარი
შეხსნა ამ შენი მომხიბლავი ბროლის თითებით.
შესაკრავები მისი ურჩი შენს ბროლის თითებს
უფრო დაჰყვება, ვიდრე ფოლადს ან ბერძენთ ძალას,
შენ მეტი ძალგიძს, ვიდრე ყველა კუნძულის მეფეთ
ერთად აღებულთ. იარაღი აჰყარე ჰექტორს!

ელენე

მეამაყება კიდეც ვიყო მისი მსახური,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუკი მან ჩემი სამსახური არ დაიწუნა,
ეს ჩემს მშვენებას მიუმატებს კიდევ ერთ გვირგვინს
და ამით უფრო დაამშვენებს.

პარისი

როგორ მიყვარხარ, სატრფოვ, ფიქრით ვერც კი მიწვდები.

/გადიან/

სურათი II

იქვე პანდაროსის ბაღი
/სხვადასხვა მხრიდან შემოდიან პანდაროსი და ტროილოსი, მსახური ბიჭი/

პანდაროსი

რაო, სად არის შენი ბატონი? ალბათ ჩემს დისწულ კრესიდასთან, არა?

ბიჭი

არა, ბატონო, თქვენ გელოდებათ, რომ იქ მიიყვანოთ.

/შემოდის ტროილოსი/

პანდაროსი

აი, ისიც მოდის. რაო, რა ამბავია?

ტროილოსი

აბა, ახლა კი წადი. /ბიჭი გადის/

პანდაროსი

ჩემი დისწული ინახულე?

ტროილოსი

არა, პანდაროს, მისი კარის წინ ვიტრიალე,
ვით უცხო სულმა, გადაყვანას რომ ელოდება
სტიქსის ნაპირას შენ იყავი ჩემი ქარონი
და გამიყვანე საჩქაროზე გაღმა მინდვრებში,
რათა ზამბახის ყვავილებში ვიცურო ლაღად,
ღირსეულთათვის რომ ყვავიან! ჩემო პანდაროს,
კუპიდონის მხრებს ჩამოხსენი ფერადი ფრთები
და შენთან ერთად გამაფრინე კრესიდასაკენ.

პანდაროსი

შენ ბაღში დარჩი, მე წავალ და ახლავ მოვიყვან /გადის/

ტროილოსი

თავბრუ მეხვევა, მოლოდინი გონს მიტრიალებს.
სიყვარულის ხილვის წარმოდგენა ისევ ტკბილია.
რომ ცნობას მართმევს. რა იქნება, როდესაც მართლაც
დავეწაფები სიყვარულის უწმინდეს ნექტარს?
ვშიშობ, მოვკვდები, დავირღვევი, გრძნობას დავკარგავ,
ან ისეთ მაღალ ნეტარებას შევუერთდები,
შეუცნობელსა, დახვეწილსა და მიუღწეველს,
რაიც ამ უხეშ ჩემს ძალ-ღონეს აღემატება.
ვიშიშვი მეტად და ის კიდევ მაშინებს უფრო,
რომ ვერ გავარჩევ სიხარულში განცხრომის გრძნობას,
ვით ცხარე ომში გაქცეულ მტერს კეპავენ ხოლმე
და ვეღარაფერს ვეღარ გრძნობენ.

/შემოდის პანდაროსი/

პანდაროსი

ემზადება და ახლავე მოვა. ახლა გმართებს ჭკუა. ისე წამოწითლებულია და სუნთქვა უჭირს, თითქოს ტყის სულისგან იყოს შეშინებული. წავალ და მოვიყვან. ძალიან ლამაზი ვინმე კია. ისე ფართხალებს, როგორც ახლად დაჭერილი ბეღურა /გადის/.

ტროილოსი

აგრეთი გრძნობა ეუფლება სწორედ ჩემს გულსაც.
ციებ-ცხელებით შეპყრობილის მსგავსად სცემს მაჯა,
ღონე მერთმევა, ამრევია გრძნობა-გონება,
როგორც ქვეშევრდომს მოკრძალებულს, თავის ხელმწიფის
თვალთა შემყურეს.

/შემოდის პანდაროსი კრესიდასთან ერთად/

პანდაროსი

კარგი, კარგი, კმარა, რა გაწითლებს? სირცხვილი ბავშვობაა. /ტროილოსს/ აი, აქ არის. აბა, ერთი ახლა ამასაც შეპფიცე, რასაც მე მეფიცებოდი. /კრესიდას/ აბა, სად გარბიხარ? კაცს სულ თვალი უნდა ეჭიროს შენზე, სანამ არ მორჯულდები. გონს მოდი, გონს მოდი, უკანუკან ნუ იწევ თორემ, კალაპოტში ჩაგსვამთ. /ტროილოსს/ რას გაჩუმებულხარ, რატომ არაფერს ეუბნები. /კრესიდას/ ჩამოიხსენი ეგ ფარდა და დაგვანახვე შენი სურათი. ვაი რომ დღეა და ორივეს გეშინიათ დღის სინათლისა. აბა, ერთი ღამე იყოს. როგორ სასწრაფოდ დაუახლოვდებოდით ერთმანეთს. აგრე, აგრე, წინ წადექი და აკოცე ქალბატონს. კალატოზს სახლი ავაშენებინოთ. აქ კარგი ჰაერია. გულები ერთმანეთს შეუთანხმეთ, თორემ ახლავე გაგყრით. შევარდენი იმისია, რომ იხვებს დაუფრთხოს ძილი მდინარეში. აბა, დაიწყეთ, დაიწყეთ-მეთქი.

ტროილოსი

სიტყვა წამერთვა შენს შემხედვარეს, ქალბატონო.

პანდაროსი

სიტყვით ვალს ვერ გადაიხდი ,საქმეა საჭირო, საქმე, მაგრამ გიტყობა საქმის უნარიც წაგართვა მაგის შეხედვამ და ვაი თუ ვეღარაფერი მოახერხო. რაო, კიდევ ვერ მორიგდით? მე გიკარნახებთ, ვექსილში როგორ წერენ-ხოლმე: „იმის დასტურად, რომ ორივე მხარე ურთიერთშეთანხმებით“... შინ შედით, შინ შედით, მე კი წავალ და ცეცხლს დაგინთებთ! /გადის/

კრესიდა

შემობრძანდებით შინ, ბატონიშვილო?

ტროილოსი

ოჰ, კრესიდა, რამდენჯერ მინატრია ეგ!

კრესიდა

გინატრია, ბატონიშვილო ღმერთებმა გიწყალობონ, ო. ბატონიშვილო.

ტროილოსი

რა მიწყალობონ? რატომ აღარაფერს ამბობ, რა მომხიბლავად გაჩუმდი? ნალექი რამ ხომ არ შენიშნა ჩემმა საყვარელმა ჩვენი სიყვარულის წყაროში?

კრესიდა

ნალექი წყალზე მეტია, თუ ჩემს შიშს თვალი არ დაბრმავებია.

ტროილოსი

შიში ანგელოსს ეშმაკად მოგაჩვენებს, შიში ყოველთვის ბრმაა.

კრესიდა

ბრმა შიში, რომელსაც თვალხილული გონება მიუძღვის, უფრო უშიშარ გზას

მიაგნებს, ვიდრე ბრმა გონება, რომელიც უშიშრად მიაბიჯებს ბორძიკით. უარესის შიში ხშირად უარესისგან გიხსნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროილოსი

ო, ჩემს ქალბატონს შიში ნურაფრისა აქვს. კუპიდონის ამალაში საშინელი ურჩხული არ ურევია.

კრესიდა

და არც არაფერია საშინელი?

ტროილოსი

არაფერი, გარდა ჩვენივე სიტყვებისა, როდესაც ვიფიცავთ ცრემლის ზღვას დავღვრითო, ცეცხლში ჩავდგებითო, კლდეებს დავღეჭავთო, ვეფხვებს მოვარჯულებთო. ჩვენს ქალბატონს უფრო უჭირს რამე განსაცდელი გამოგვიგონოს, ვიდრე ჩვენ ამ განსაცდელის დაძლევა. აი, ეს არის სიყვარულის საშინელება, ქალბატონო, რომ ჩვენი ნება-სურვილი უსაზღვროა და ძალ-ღონე კი — შეზღუდული, წადილი — უსასრულო და საქმე კი შეუძლებელის მონა.

კრესიდა

ამბობენ, ყველა მიჯნური იმაზე მეტის ჩადენას ფიცულობს, რაც ნამდვილად შეუძლია, ათი კაცის საქმეს შევასრულებო — ამბობს, და იმის მეათედსაც არ ასრულებს, რაც ერთ კაცს ძალუძს. ვინც ლომის ხმით ლაპარაკობს და კურდღელივით იქცევა, განა საშინელება არ არის?

ტროილოსი

განა ეგეთები არიან? არა, ჩვენ არა ვართ ეგეთი. შეგვაქეთ, როგორც დავიმსახურებთ, დაგვაფასეთ, როგორც თავს გაჩვენებთ. თავშიშველი ვივლით, ვიდრე გვირგვინის ღირსი არ გავხდებით. ნუ გვაქებთ დღეს იმისათვის, რაც ხვალ უნდა ჩავიდინოთ, და როცა ჩავიდენთ, მცირე სახელით მოიხსენიეთ. ცოტას გეტყვი, მაგრამ გულწრფელად: ტროილოსი ისეთი იქნება კრესიდასათვის, რომ მარტო შური თუ დასცინებს მის სიმართლეს. რასაც სიმართლე იტყვის, ტროილოსის მართალ სიტყვაზე უფრო მართალი არ იქნება.

კრესიდა

შემობრძანდებით შინ, ბატონიშვილო?

/ბრუნდება პანდაროსი/

პანდაროსი

რაო, ჯერ კიდევ წითლდებით? ჯერ კიდევ ვერ მოილაპარაკეთ?

კრესიდა

იცი რა, ბიძაჩემო, რა სისულელესაც კი ჩავიდენ, ამიერიდან ყველაფერს შენ დაგაბრალებ.

პანდაროსი

დიდი მადლობა მომიხსენებია. თუ ბიჭი გამოგივიდათ, ჩემს კისერზე იყოს მისი გაზრდა. ბატონიშვილის ერთგული იყავი და თუ მაგან გიღალატა, ეგეც მე დამაბრალე.

ტროილოსი

ესეც შენი საწინდარი: ბიძაშენის სიტყვა და ჩემი მტკიცე ერთგულება.

პანდაროსი

მე ქალის თავდებიც ვიქნები. ჩვენი მოდგმის ქალები დიდხანს ჯიუტობენ, მაგრამ როცა გათხოვდებიან, ერთგულები ხდებიან ხოლმე. ერთი თუ მოგეწებნენ, მერე ვეღარ მოიცილებ.

კრესიდა

გამბედაობა დამიბრუნდა, მომეცა გული,
გამოგიტყდები, უფლისწულო: შენს სიყვარულში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალი ღამე თავზე თეთრად დამთენებია.

ტ რ ო ი ლ ო ს ი

მაშ რატომ იყო ესოდენ კუშტი ჩემი კრესიდა?

კ რ ე ს ი დ ა

კუშტს ვგავდი მხოლოდ, ნამდვილად კი მყის დაგემონე,
ოდეს პირველად შემომხედე. აწ მომიტევე:
თუ მეტისმეტად ბევრი გითხარ, ვშიშობ, ვაი თუ
ჩემსავ მჩაგვრელად და მტარვალად გადაგაქციო.
ძლიერ მიყვარხარ, ისე ძლიერ, რომ აღარ ძალმიძს
დავძლიო გრძნობა, მაგრამ არა, ვცრუობ ნამდვილად!
ჩემი ფიქრები აულაგმავ ბავშვებს მაგონებს,
სულ მინდა თავი მოვუყარო და ვერ ვახერხებ.
შემხედე სულელს — გავკრეფილვარ ცარიელ ენად!
ვინ გვიერთგულოს, აბა, მითხარ, თუკი ჩვენ თვითონ
ვართ საკუთარი საიდუმლოს ცუდად გამცემი?
მიყვარდი ძლიერ, შენს ნახვას კი არ დავეძებდი
ოღონდ ვნატრობდი — მამაკაცად ვეშვი განგებას,
ანდა ქალისთვის მიეცა მას კაცის უფლება
დაგვესწრო მათთვის სიყვარულის გამოცხადება.
მიბრძანე, სატრფოვ, დავაჭირო ამ ენას კბილი,
თორემ ვინ იცის, რა არა ვთქვა, რა წამოვროშო,
და მერე თვითვე გავიხადო სანანებელი.
აი, უყურე, ეგ მაცდური შენი დუმილი
  მე მაიძულებს არ დავმალო ჩემი სისუსტე;
და ჩემი სულის საიდუმლო გამოგიმჟღავნო —
ბატონიშვილო, დაადუმე ჩემი ბაგენი.

ტ რ ო ი ლ ო ს ი

სწორედ აგრე ვიქმ, თუმც მუსიკა გადმოჩქეფს მათგან.

/ჰკოცნის/

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

კარგია, კარგი.

კ რ ე ს ი დ ა

ბატონიშვილო, გევედრები, ეს მომიტევო,
სულ არ მინდოდა რომ მეთხოვნა, მაკოცე-მეთქი,
მრცხვენია! ღმერთო, ეს რა ვქენი, რა ჩავიდინე!
ბატონიშვილო, წავალ, აქ არ დამედგომება.

ტ რ ო ი ლ ო ს ი

რაო? წახვიდე, საყვარელო ჩემო კრესიდა?

პ ა ნ დ ა რ ო ს ი

წახვიდე? არა, ხვალ დილამდე ვეღარსად წახვალ.

კ რ ე ს ი დ ა

გემუდარები!

ტ რ ო ი ლ ო ს ი

რა გეწყინა, ჩემო კრესიდა?

კ რ ე ს ი დ ა

ჩემსავე თავთან დარჩენა მწყინს, ბატონიშვილო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტროილოსი

მერედა შენს თავს მაინც ვერსად ვერ გაექცევი.

კრესიდა

მე მაინც მინდა წავიდე და ვცადო გაქცევა.
ერთი ნაწილი ჩემი მაინც შენთან დარჩება,
რომელმაც უკვე მიმატოვა და შენ დაგიდგა
ყურმოჭრილ მონად. კარგი იყო წავსულიყავი.
ჭკუა დავკარგე, აღარ ვიცი, რაებსა ვროშავ.

ტროილოსი

ვინც ბრძნულად მსჯელობს, კარგად იცის მან, რასაც ამბობს.

კრესიდა

ბატონიშვილო, იქნებ ვცრუობ და მოხერხებით
მინდა დაგტყუო, რა აზრები გიწყვია გულში.
და ამ განზრახვით მოგახსენე ეს აღსარებაც.
მინდა შევიტყო, უგნური ხარ, თუ გონიერი,
ან თუ გიყვარვარ, რადგან სიბრძნე და სიყვარული
კაცის ძალ-ღონეს ჭარბობს ერთად, არც შეედრება
და მხოლოდ ღმერთებს გააჩნიათ ამის შეძლება.

ტროილოსი

ოჰ, რომ შეეძლოს ქალს თავისი ტრფიალის ალი,
გრძნობის სანთელი ენთოს მარად ჩაუქრობელი
და მიიტანოს სიყვარული და ერთგულება
სიჭაბუკიდან სიბერემდე, ან განაახლოს
მშვენიერება უფრო ადრე, ვიდრე მხურვალე
სისხლის დინება განელდება და გაგრილდება;
ან გული მაინც მარწმუნებდეს, რომ ჩემს სიმართლეს
და ერთგულებას, საყვარელო, ჩემსას შენდამი,
სიყვარულს ჩემსას, გულუბრყვილოს და უანგაროს
თავისი ზომით შეედრება გრძნობები შენი,
მე ფრთებშესხმული ავიწევდი მაღლა ზეცაში!
მაგრამ ვაგლახ, რომ მიამიტი ვარ, ვით სიბრიყვე,
ყმა სიმართლეზე უფრო მეტად გამოუცდელი.

კრესიდა

აი, მაგაში კი უთუოდ შეგედავები.

ტროილოსი

ეჰა, დავაო უფლებას და უფლებას შორის!
ვის უნდა ჰქონდეს ჩვენს ორს შორის მეტი უფლება!
დაე, იფიცოს ტროილოსის სახელი მარად
შთამომავლობამ და უმტკიცოს თავის სატრფოებს
დაუსრულებლად ერთგულება ამ შედარებით.
სთქვან, მართალი ვარ ფოლადივით, ვით მთვარის მიმართ
მცენარეული, ვით დღის მიმართ ნათელი მზისა,
მტრედის ერთგული, როგორც გვრიტი, და ანდამატის
ერთგული — რკინა, დედამიწა — ღერძის მორჩილი.
მაგრამ თუ მაინც შედარება შემოელია
და ერთგულების ეს სახება ვერ მოიგონა,
მარტო ესა სთქვას, „მართალი ვარ ტროილოსივით"

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ეს სიტყვები ყოველგვარი ერთგულების ფიცს
დააგვირგვინებს.

კრესიდა

ეგებ შენა ხარ წინასწარმთქმელი!
თუ გიღალატო და სიმართლეს გადავუხვიო,
დრო რომ გავა და ყოველივეს თვალს მოაფარებს,
როდესაც წვიმა დაშლის ტროის ციხე-გალავანს,
ბრმა დავიწყება ულმობელად შთანთქავს ქალაქებს
და მძლავრ სამეფოთ მტვრად აქცევს და წაშლის ერთიან,
დაე, იცოცხლოს მაშინ ჩემი ღალატის ხსოვნამ
სხვა მოღალატე ქალთა შორის კიდით კიდემდე,
რომ სთქვან, იყო კრესიდაო ისე ვერაგი,
როგორც ჰაერი, როგორც წყალი, ქარი და ქვიშა,
მელა და მგელი კრავისა თუ მცირე ხბოს მიმართ,
უწყალო როგორც ფურირემის მდევარი ჯიქი,
ან გერის მიმართ ულმობელი დედინაცვალი.
დიახ, ღალატის და სიცრუის აღსანიშნავად
სთქვან, „ცრუ არისო ვით კრესიდა".

პანდაროსი

ჰოდა, ეტყობა, მორჩნენ კიდეც! ბარემ ბეჭედიც დაარტყით, ბეჭედიც დაარტყით. მე მოწამე ვიქნები. ხელი მომეცი, ბატონიშვილო, შენც, ჩემო დისწულო. თუკი ოდესმე ერთმანეთს უღალატოთ, მას შემდეგ, რაც მე ამდენი ჯაფა გავწიე, რომ ერთად შემეყარეთ, მაშინ ყველა უბედურ მაჭანკალს სულ ჩემი სახელი აძახონ ქვეყნის აღსასრულამდე — ყველას პანდაროსი დაარქვან; ყველა ერთგულ მიჯნურს — ტროილოსი, ყველა მოღალატე ქალს — კრესიდა და ყველა მაჭანკალს — პანდაროსი. თქვით ამინ.

ტროილოსი

ამინ!

კრესიდა

ამინ!

პანდაროსი

ამინ. ახლა კი ერთ ოთახს გაჩვენებთ. იქ ერთი ტახტია, იმ ტახტმა რომ არაფერი ილაპარაკოს თქვენს მომხიბლავ შეჭიდებაზე, რაც შეგიძლიათ მაგრად დაწექით. აბა წავიდეთ!

დე, კუპიდონმა მოუვლინოს უენო ქალებს
ოთახიც, ტახტიც, მაჭანკალიც თქვენსავით მალე!
/გადიან/

თარგმნა ინგლისურიდან **გივი გაჩეჩილაძე**

☐ დასასრული შემდეგ ნომერში ☐

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი სანადირაძე

# ერთი მეხილესაც მოვკითხოთ

წარმოვიდგინოთ წამით: მიეცემოდა თუ არა დასაბამი დედამიწის მიზიდულობის კანონს, დიდ ნიუტონს ჩვენს დღეებში, ქარელის რაიონში რომ ეცხოვრა?

თქვენს სახეზე ირონიაშეპარულ ღიმილს ვხედავ. ნუ მერიდებით, სულის უხილავ ფორებში გაჩენილი გაკვირვება მაინც გამოჟონავს გარეთ, — სად ნიუტონი და სად ქარელიო, იტყვით, ალბათ. რას იზამ, ბუნებრივი რეაქციაა! მაგრამ მოდით, დიდსულოვნად ვაპატიოთ ავტორს კადნიერება და მაინც წარმოვიდგინოთ ასეთი რამ. დედამიწის მიზიდულობის კანონს ხომ შემთხვევით ჩამოვარდნილმა ვაშლმა ჩაუყარა საფუძველი! ეს მოხდა მეცნიერის მოცალეობის ჟამს, როცა მუშაობით გადაღლილი ვაშლის მსხმოიარე ბაღში სეირნობდა. და ვიდრე მას, ქარელის სანახებში დავასახლებდეთ, თავად შევიხედოთ საქართველოს ხეხილის ბეღელში. ხომ უნდა ვიცოდეთ, ვართ თუ არა მზად, ვიტვირთოთ ასეთი საპასუხისმგებლო მისია?

თუ რაიონის ადრინდელ მაჩვენებლებს გადავხედავთ — ასეთი სურათი წარმოგვიდგება — საზოგადოებრივი სექტორიდან გასულ ხუთწლედში სახელმწიფოს მიეყიდა 56.389 ტონა ხილი. ხოლო კერძო სექტორიდან — 40.882 ტონა. დიდი ეკონომიური განათლება არ გჭირდება მისახვედრად, რომ კერძო სექტორი თითქმის უტოლდება საზოგადოებრივს. უფრო მეტიც, გასულ წელს საზოგადოებრივმა მეურნეობებმა 8.543 ტონა ძლივს მიიღეს, როცა მოსახლეობამ მიმღებ პუნქტებში 9.609 ტონა ხილი მიზიდა. და ეს მაშინ როცა მოსახლეობისათვის განკუთვნილი ტერიტორია (ნაგებობებით) რაღაც სამიათას ჰექტარს შეადგენს. ხოლო საზოგადოებრივი სექტორი ბაღებს დაქვემდებარებული ფართობი რვაათას 712 ჰექტარს შეადგენს, რომელთაგან უმეტესი ნაწილი მოსავლიანია.

რაიონს ყველაზე კარგი მაჩვენებლები 1973-1974 წლებში ჰქონდა მხოლოდ (22.931 ტ. 25.529 ტ.); საზოგადოებრივმა სექტორმაც აშკარად დასჯაბნა მოსახლეობის მხარე.

თითქოს რაღაც მიღწევა იყო, თითქოს დაიძრა საქმე. მაგრამ, როგორც გასული წლის სტატისტიკამ გვიჩვენა, ნაადრევი თვითდამშვიდების ჩრდილში შეყუჟულ ხელმძღვანელებს უბრალო ჭეშმარიტება დაავიწყდათ — მიღწეულის შესანარჩუნებლად მეტი სიფხიზლე და პასუხისმგებლობა იყო საჭირო. სწორედ ამან განაპირობა, რომ საზოგადოებრივი სექტორიდან სახელმწიფოსათვის მიყიდული ხილის მხოლოდ 66 პროცენტი აღმოჩნდა ხარისხიანი, ხოლო მოსახლეობის ხილის ხარისხიანობამ 94(!) პროცენტს მიაღწია.

რა მოხდა? რამ გამოიწვია ასეთი უცნაური სხვაობა?

თუ სურათს უფრო ღრმად ჩავუკვირდებით, ასეთ ჭეშმარიტებასაც აღმოვაჩენთ: რაიონში თითქმის ყველა ღონისძიება საზოგადოებრივი სექტორის გასაძლიერებლადაა მიმართული. ხოლო კერძო ბაღის მფლობელი შაბიამნის გარდა (ისიც ძალზე უმნიშვნელო ნაწილი იყიდება „ცეკავშირის" მაღაზიებში), ბევრსაც რომ ეცადოს სხვა შესაწამლ ნივთიერებებს ვერსად იშოვის. ისე რომ, კერძო სექტორის მოვლა თითქმის სტიქიურად, აღალბედზე ხდება. არადა, ეს საგულისხმო ფაქტორი აქამდე შეუმჩნეველი და გაუთვალისწინებელია, სა-

ზოგადოებრივ მეურნეობათა თავკაცებს გახედვაც არ უნდათ კერძო სექტორისაკენ. ისინი იმასაც ვერ ამჩნევდნენ, რომ დეფიციტური შხამქიმიკატების უქონლობის დროსაც... კერძო ბაღები მაინც შეწამლული იყო.

საიდან იღებდა, ან იღებს მოსახლეობა ბაღების შესაწამლ ნივთიერებებს?

რა ფიცი-მტკიცი უნდა, — ცხადია, სახელმწიფო ბაღებისათვის განკუთვნილი საწყობებიდან. ამ მოვლენას საკუთარი ბაღების გადარჩენის სურვილის გარდა, სხვა აზრიც ეძლევა — ჩვენ, რომლებიც ასე თავდაუზოგავად ვიბრძვით ყოველგვარი მავნე ჩვევებისა და გადმონაშთების წინააღმდეგ, ხანდახან თურმე თავადვე უბიძგებთ ადამიანებს, არ ვაზვიადებ, დანაშაულისაკენ.

ვინ უნდა დაგმანოს დანაშაულისაკენ მიმავალი გზა?

რაიონის ახალმა პარტიულმა ხელმძღვანელობამ უკვე გადადგა პრაქტიკული ნაბიჯი.

—წელს სხვადასხვა დაავადება იყო მოსალოდნელი,— მითხრა პარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა ჰექტორ ხუციშვილმა. — მარტო საზოგადოებრივი სექტორის იზოლირება, რა შედეგსაც გამოიღებდა, თავადაც მიხვდებით. კერძო სექტორი ხომ გვერდითაა, რაღაც მეტრებით დაშორებული?! ავიღეთ და მინერალური ზეთებით ყველა ბაღი განურჩევლად შევწამლეთ. მოსახლეობამ იმედის თვალით შეგვხედა.

— ასე აპირებთ მომავალში?

— მომავალში? — ჩაფიქრდა ჰექტორი. — ცხადია. ეს ღონისძიება დიდ სულიერ შედეგს მოგვცემს. მაგრამ...

— გიშლით რაიმე ხელს?

— მალე ჩვენ გაგვიხდება შხამქიმიკატები მოსაპარავად — შემხედა, გაიღიმა. — ცხადია, ვხუმრობ. მაგრამ ამ ხუმრობაში მეტი წილი სიმართლეც არის. — და მისინაამბობიდან ასეთი სურათი წარმომიდგა:

აპრილის პირველი რიცხვებიდან მოყოლებული აგვისტოს შუა რიცხვებამდე ხეხილის ბაღებს ცხრა წამლობა უნდა ჩაუტარდეს. ფაქტიურად ეს ნორმა 5-6 წამლობამდეა დაყვანილი. კერძო სექტორში კი — სამამდე. სად უნდა ვეძებოთ, ასეთი უყურადღებობის მიზეზი? ისევ და ისევ შხამქიმიკატების უკმარობის პრობლემას მივადგებით. ის, რაც მოსახლეობისათვის სანთლით საძებარია, საზოგადოებრივ სექტორშიც ძალზე გაჭირვებით უყრიან თავს. ბაღების შესანარჩუნებლად კი (ეს დაწყებითი კლასების მოსწავლემაც იცის) წამლობა უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. რაიონის მესვეურთა გაანგარიშებით (მარტო საზოგადოებრივი სექტორია ნაგულისხმევი) ერთ სეზონზე ქარელისათვის აუცილებელია მინიმუმ 1.336 ტონა ძირითადი პრეპარატები. ეს მოთხოვნა „ზევით“ 849 ტონამდე დაიყვანეს. აქედან 321 ტონა მესამე და მეოთხე კვარტალშია გამოყოფილი, როცა ბაღებს არავითარი შეწამვლა აღარ სჭირდება.

რა უნდა ჰქნას ასეთი უმნიშვნელო შხამქიმიკატებით ამოდენა რაიონმა?

იყო ასეთი ფაქტი. ბრეთის საბჭოთა მეურნეობამ დაგეგმილ მოგებას 1.288.129 მანეთი დააკლო. მიღებული ხილი ძირითადად მესამე ხარისხისა იყო. ამან, ცხადია, დიდი გავლენა მოახდინა მეურნეობის მშრომელთა ეკონომიკაზე. მეურნეობის ხელმძღვანელობა კი ამის ერთ-ერთ მიზეზად შხამქიმიკატების უქონლობას ასახელებს. რატომ? ხეხილის ბაღებს დიდი ზიანი მიაყენა მენაღმე ჩრჩილმა. მისი გაჩენა რატომღაც შეუმჩნეველი დარჩა მეურნეობის მრავალრიცხოვან სპეციალისტებს. მავნებლის სალიკვიდაციოდ ოპერატიული ზომები იყო მისაღები. და იგი მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს(?), როცა მავნებელს ფოთოლი მთლიანად გაენადგურებინა და ბაღები, როგორც ზამთარში ხდება, ერთიანად გატიტვლდნენ აი, ეს ფერიცვალება კი არ გამოეპარა ბაღების მომვლელებს! ატყდა ერთი ფაცი-ფუცი და განგაში. მაგრამ მარტო განგაშით რას უშველი დაავადებულ ხეებს! წამლობა იყო საჭირო. მიაკითხეს „საქსოფლტექნიკის“ ბაზებს შხამქიმიკატებისათვის. ამაოდ. შესაფერისი შხამქიმიკატი ბაზებში არ აღმოჩნდა.

— აბა, რა უნდა ვქნათ? — იკითხეს მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შიშით შეპყრობილმა ბრეთელებმა.

— ამაზე ადრე უნდა გეზრუნათ! — იყო პასუხი.

— როგორ, თუ ადრე? — გაუკვირდათ მეურნეობის მუშაკებს. — ვინ იცოდა , რომ სწორედ მენაღმე ჩრჩილი დაგვატყდებოდა თავს?

— უნდა გცოდნოდათ და ქიმიკატებზე განაცხადი ჯერ კიდევ წინა წელში გაგეკეთებინათ!

პასუხიც ამას ჰქვია!

წარმოიდგინეთ, ჩვენი სააფთიაქო სამმართველოს მუშაკებმა „საქსოფტექნიკის“ მუშაობის მეთოდს რომ მიბაძონ, რა იქნება? მიიტანს ავადმყოფი რეცეპტს, აფთიაქარი კი ცივად მოგიხურავს სარკმელს, ეს წამალი არ შემოგვიტანია, რადგან განაცხადი ერთი წლით ადრე უნდა გაგეკეთებინათო.

ამაზე უკეთს მკურნალობას ვერც მოიფიქრებს კაცი!

ქარელის რაიონში ხშირად მესმოდა — რა შედეგი უნდა გამოიღოს ბაღმა, როცა მას კვალიფიცირებული გამსხვლელის ხელი აკლია?

ამ საქმეში ჩახედულ ადამიანთა ვარაუდით,

მთელ რაიონში ათიოდე კვალიფიცირებული მსხვლელი თუ მოიძებნება, რომელიც სეკატორთან ერთად კეთილსინდისიერებითა და პასუხისმგებლობით არის შეიარაღებული. ამ მუშამ არსებული ნორმის თანახმად სამი მანეთი და რაღაც კაპიკები რომ მიიღოს, ოცდასამი ხე უნდა გასხვლას...

— გულახდილად გითხრათ? — სადღაც, ჩემს მიღმა გაიხედა დიმიტრი აბაშიშვილმა. წლებით დაშძიმებულ დიმიტრის რაიონში ჩინებული მუშაკის სახელი აქვს.

რამ აღელვა იგი, როცა გასხვლაზე ჩამოვუგდე სიტყვა?

— არა მგონია, ერთი დღის მანძილზე ყველაზე გამოცდილმა გამსხვლელმა ხუთ ხეზე მეტი დაამუშაოს.[1] ჩვენი ბაღების გაჭირვების მიზეზი სწორედ აქ უნდა ვეძებოთ. ჩვენ ბევრს ვლაპარაკობთ მექანიზაციაზე, ათასგვარ ცინებზე, ბაღების ეფექტურ დაგეგმვაზე, მაგრამ გვავიწყდება უბრალო ჭეშმარიტება — მოსავლის ბედი მსხვლელის სეკატორზეცაა დამოკიდებული, დიახ, არ ვაჭარბებ, სამ მანეთში მოქცეული ნორმა საოცრად დიდია ამიტომ, როცა სეკატორიანი მუშა ხუთ ხეს ნამუსიანად შეუწმენდს პირს, მერე საშინლად დაღლილია. ამის მეტი რა ვიცი — გასხვლა შრომატევადი პროცესია.

დაქანცული კაცი კი ნორმის შესასრულებლად დანარჩენ ხეებს ზერელედ, გარედან „ჩაუვლის“ ხოლმე. ესეც თქვენი შეფარდება — ხუთი — თვრამეტზე.

— აბა, აღარ ყოფილა საშველი?

— როგორ არა, თუ ნორმებს შევამცირებთ, მერწმუნეთ, ეს არნახულად გაზრდის ბაღების ნაყოფიერებას.

— მაგრამ თუ რაიონში ათი კვალიფიცირებული გამსხვლელია, ნორმების შემცირება რას უშველის?

— სწორი ბრძანებაა, — წამოგვეშველა სოციალისტური შრომის გმირი სევასტი კოკოზაშვილი. იგი მაშინვე ვიცანი. მისი სურათი თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე მინახავს ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე ადამიანთა გვერდით. — როცა ნორმების გადასინჯვაზე ვლაპარაკობთ, ხვალინდელი დღე უნდა ვიგულისხმოთ[2].

იგი გაჩუმდა. როგორც შევატყვე, ეს პრობლემა ადრეც ყოფილა დღის წესრიგში. რაა საჭირო მის მოსაგვარებლად? თურმე მეტად უბრალო რამ, ვიდრე მომავალი გასხვლის ჟამი მოაღწევდეს, რაიონის საუკეთესო მსხვლელთა მეშვეობით, ამ საქმის სპეციალისტთა აღზრდაა საჭირო. ისე კი არა, ღონისძიების მისათვლელად, მოვალეობისათვის რომ აკეთებენ ხოლმე, არამედ მონდომებით, გულდაგულ. აი, რატომ არ განმარტა თავისი ნათქვამი სევასტი კოკოზაშვილმა. იქნებ მას მოეჩვენა, რომ ამქამადაც ამაოდ ილლიდა ენას?

რაიონის მთელ რიგ მეურნეობათა ხელმძღვანელები მარტო სეკატორით სხვლაში როდი ხედავენ ხსნას.

— საჭიროა სხვლის მექანიზაცია! — ამბობენ ისინი.

— სხვლა სათუთი პროცესია, — განაცხადეს მეხილეობის ტრესტში. — აბა, როგორ გინდა, რომ მანქანამ ზუსტად ის ტოტი მოჭრას, რომელიც ზედმეტად მიგაჩნია? არა გვგონია, ასეთმა მიდგომამ გაამართლოს.

— მაგრამ დონზე ხომ ამართლებს?

— ?!. მექანიზებული სხვლა ცუდ შედეგს მოგვცემს.

ამან კამათი გამოიწვია. ზოგმა დონის ბაღებში დელეგაციის გაგზავნაც მოითხოვა გამოცდილების გასაზიარებლად. რას იზამ, ასეთი ყოფილა ადამიანის ბუნება — ელემენტარული საკითხი ვერ მოგვიგვარებია და სხვლის მექანიზაციას დავადგით თვალი.

მე არ ვყოფილვარ დონზე. არ მინახავს მის სანახებში, როგორ ისხვლება ბაღები. მაგრამ ვიცი, რომ როსტოველთა ბაღების მოსავლიანობას დღესდღეობით ვერ ინატრებს ქართველი კაცი. დონელ მებაღეს შეუძლია ექსპერიმენტის უფლება მისცეს თავის თავს — მექანიზებულმა გასხვლამ იქნებ მართლა იხსნას ბაღების მესვეურნი ამ მეტად შრომატევადი პროცესისაგან. მაგრამ ეს მაინც მომავლის საქმეა. ვიდრე მექანიზებულ გამსხვლელს გაებატონებინათ თავიანთ ბაღებში, ქარელელებს მრავალი სადღეისო, გადაუდებელი პრობლემა აქვთ გადასაჭრელი. ერთი იმათგანი კი გასხვლის ნორმების მოწესრიგება იქნება. ქარელის ბაღების დამახინჯების უმთავრესი მიზეზიც აქ უნდა ვეძიოთ.

— გამოსავალი, ცხადია, არის, — თქვა მევენახეობისა და მეხილეობის ტრესტის მმართველის მოადგილემ ილია ანანიაშვილმა. — ისეთი ჯიშები უნდა გავაშენოთ, რომელიც ნაკლებ გასხვლას მოითხოვს.

— არის ასეთი ჯიშები? — დავინტერესდი მე.

— არა. — მოჭრა ბებნისის სანერგე მეურნეობის დირექტორმა, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატმა ნოდარ კვიჟინაძემ. — მე მაგალითად, მეხილეობის ხსნას მექანიზაციაში ვხედავ. ჩვენ ვახსენეთ დონის, კრასნოდარის სანახები, იქ მანქანებით სხლავენ, კრეფენ და ბაღებს აშენებენ კიდეც.

---

[1] მსხმოიარე ხეა ნაგულისხმევი.

[2] ეს ნარკვევი უკვე იბეჭდებოდა, როცა მივიღეთ სამწუხარო ცნობა სევასტი კოკოზაშვილის გარდაცვალების შესახებ.

— თქვენი ხილის ბაღებში რამდენი ცენტნერი მოგყავთ საშუალოთ? — ვიკითხე მე.

ბებნისის მეურნეობა თბილის-ხაშურის სატურისტო გზაზე საჩვენებელ მეურნეობადაა მიჩნეული.

— სამასი ცენტნერი მიგვიღია.

— საშუალოდ? — გავიმეორე ისევ.

— არა. ზოგ ფართობზე ასოცდახუთი ცენტნერი დიდ მოსავლად გვეთვლება.

— გამიგონია, ამერიკაში, იტალიაში, იუგოსლავიაში, ბულგარეთში და დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში 350-400 ცენტნერ ხილს იღებენ ჰექტარიდან. ასევე მოძმე რესპუბლიკებში, მოლდავეთში, ყირიმში, ჩრდილო კავკასიაში, ისეთ ბაღებს, სადაც საშუალო საჰექტარო მოსავალი ორას ცენტნერზე დაბალია, აღარ აჩერებენ...

— რას ამბობთ! ორას ცენტნერიანი ბაღი ჩვენს რაიონში სანთლით საძებარია. მაგ მეთოდით რომ ვიხემძღვანელოთ, მაშინ მთელი ბაღები გვექნებოდა ამოსაყრელი!

პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა შემაშფოთებელი ციფრები დამისახელა: რაიონის საშუალო საჰექტარო მოსავალი 49 ცენტნერია. საერთოდ კი 70 ცენტნერს არასოდეს აცილებია. და ეს მაშინ, როცა ქარელის მაჩვენებლები რესპუბლიკის მეხილეობის მეურნეობათა ფონზე არც თუ ცუდად გამოიყურება!

— ჩვენ არ გვეშინია ამ მწარე სიმართლის, — მითხრა ჰექტორ ხუციშვილმა. ამ ახალგაზრდა კაცს პარტიული მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. ქარელის რაიკომის პირველი მდივნის რწმუნებანი სულ რაღაც ათი თვის წინათ ანდეს. ამ მოკლე დროში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა მთელ რიგ მეურნეობებში. უპირველეს ყოვლისა კი, ფართო საზოგადოებას დაურიდებლად განემარტა, რომ არადამაკმაყოფილებელმა მუშაობამ განაპირობა ის დაბალი მაჩვენებლები, რითაც ქარელელებმა დაამთავრეს გასული წელი.

ჩვენ კი უფრო ღრმად ჩავიხედოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების დავთარში. რაიონის ცამეტი კოლმეურნეობიდან და საბჭოთა მეურნეობიდან შვიდმა მოგების ნაცვლად ზარალით დაამთავრა სამეურნეო წელი. რუისის საბჭოთა მეურნეობამ 450.700 მანეთის მოგების ნაცვლად 343 ათას 400 მანეთის ზარალი ჩაიწერა.

როგორც იტყვიან, მუშაობაც ამას ჰქვია!

თუ რაიონის საშუალო საჰექტარო მოსავალი — 49 ცენტერი საგანგაშოდ მივიჩნიეთ, ამ მეურნეობაში საშუალო საჰექტარო მოსავალმა შვიდ ცენტერსაც (?!) ვერ მიაღწია. მეურნეობას სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ედგა სათავეში. მართალია, იგი ახლა აღარ მუშაობს დასახელებულ მეურნეობაში, მაგრამ ამბობენ, ექსპერიმენტს ამაოდ არ ჩაუვლია — სულ არ გამიკვირდება, თუ ახლო ხანში რომელიმე სამეცნიერო საბჭო სადოქტორო დისერტაციას განიხილავს მეხილეობის არასწორი განვითარების გზებზე... იგივე რუისის მაგალითზე! — და მისი ავტორი ყოფილი დირექტორი იქნება!

მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდებია!

თუმცა, რა იცი, ა?!

რაკი ცოტათი სული მოვითქვით, ახლა ისიც ვიკითხოთ, რა მოხდა რაიონის ზარალიან მეურნეობებში?

პარტიის ახლადარჩეულმა რაიონული კომიტეტის ბიურომ თავისი მუშაობა სწორედ აქედან დაიწყო. აღმოჩნდა: ხელმძღვანელი მუშაკები მთელ რიგ შემთხვევებში ავლენდნენ მართვის ორგანიზაციის სუსტ ცოდნას, სულაც არ აღარდებდათ მინდობილ საწარმოთა ეკონომიური მდგომარეობა, ვერ მოეხერხებინათ შექმნილი მდგომარეობის საფუძვლიანი ანალიზი, ვერ ავლენდნენ ჩამორჩენის ძირეულ მიზეზებს... ხშირ შემთხვევაში ინერტულად გარდაქმნიდნენ მუშაობას, არ ეძებდნენ ადამიანებთან მუშაობის ახალ ფორმებსა და მეთოდებს. და ეს ცხადია, ქმნიდა ერთგვარ ბარიერს რიგით მუშაკებსა და ხელმძღვანელებს შორის. ამ უკანასკნელთათვის კი გაუგებარი იყო რიგითი მშრომელების მისწრაფებანი, ტკივილები, საყოფაცხოვრებო მდგომარეობა. მათ მხედველობიდან „გამორჩათ“ ყველაზე პრობლემატური საკითხი — მუშახელის სწორი დასაქმება. გასულ წელს ქარელის რაიონში შრომისუნარიანი მუშის მიერ გამომუშავებულია 150 კაცდღე. ყოველ კაცდღეზე ხელფასის სახით გაიცა 3 მანეთი და 59 კაპიკი. რამდენი გამოდის თვეში საშუალოდ? ორმოცდაათი მანეთი?

როგორც ხედავთ, „დიდებული“ პერსპექტივაა მშრომელი კაცის ეკონომიკის გასამაგრებლად. ხოლო როცა ანაზღაურება დაბალია, ორი გამოსავალი რჩება — ან საკარმიდამო ნაკვეთი, ანდა (მაპატიონ ქარელელებმა!) საზოგადოებრივი ქონების ხელყოფა.

ამ მხრივ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად რუისის საბჭოთა მეურნეობა გამოდგება, სადაც, როგორც აღვნიშნე, თითეული სრულმოსავლიანი ჰექტრიდან მიღებულმა მოსავალმა 620 კილოგრამი მოგვცა.

მართლაც, განა ყოველივე ეს არ არის სადოქტორო დისერტაციის თემა?!

გახსოვთ, ალბათ ცოტათი ზემოთ შხამქიმიკატების ნაკლებობაზე ვილაპარაკეთ. დიახ, რაიონს არა აქვს საკმაო შესაწამლი ნივთიერება, მაგრამ ერთი ისიც ვიკითხოთ, როგორ გამოიყენება ეს უმნიშვნელო რაოდენობა?

ბაღები სრულფასოვნად რომ დამუშავდეს,

საჭიროა 251 აპარატი. ხოლო აქვთ მარტო ასსამოცდახუთი. აქედან მეხუთედი ნაწილი სისტემატურად უმოქმედოა სათადარიგო ნაწილების უქონლობის გამო. აპრილის პირველი რიცხვებიდან მაისის დადგომამდე ზედიზედ სამი წამლობაა ჩასატარებელი (წყალთა მეურნეობის სამინისტროს მიზეზით — იმათ თავისი გრაფიკი ჰქონიათ!) არცერთ სარწყავ სისტემაში წყალი არ იპოება. ტრაქტორებს წყლის ასაღებად ათეულ კილომეტრზე უხდებათ წასვლა. ეს კი მთელ რიგ სიძნელეებს იწვევს.

როგორც ხედავთ, მიზეზთა მიზეზი არ ილევა:

მაგრამ ნათქვამია, ერთი თხისკენ, ერთიც — მგლისკენო. — თვით მეურეობებს, რომლებიც ასე თავგამოდებით უჩივიან შხამქიმიკატების ნაკლებობას, თითი თითზე არ დაუწენწებიათ ამ ისედაც მცირე რაოდენობის ნორმალურად შესამზადებლად. თითქმის არცერთ მეურნეობაში არ არის აუზები ანდა, რატომ უნდა შეიწუხონ თავი, როცა მდინარეებსა და არხისპირებში შეიძლება ამის გაკეთება?

ზოგიერთი მეურნეობის თავკაცმა თავის მართლებაც სცადა.

— აბა, რა უნდა ვქნათ, როცა შესაწამლი ბასეინების მშენებლობისათვის არც ლიმიტი გვაქვს და არც თანხა?

— მომავალი წლიდან ეს საკითხი უსათუოდ მოგვარდება. — „დამამშვიდეს“ ქარელის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოში.

მომავალ წლიდან... ვინ უწყის, რამდენი ასეთი აუცილებელი პრობლემაა გადატანილი გაისისათვის. მაგრამ შეიძლება განა რაღაც ლიმიტს ველოდოთ, არ ვაზვიადებ, ასეთ კატასტროფულ ჟამს? აბა, წამით დავფიქრდეთ, შეიძლება გააკეთოს მდინარესა და არხებში მიშვებულმა მომწამვლელმა ნივთიერებებმა, ეს ხომ სისხლის სამართლის დანაშაულია?.

არის ასეთი გამოთქმა — „ხის დგომა“.

ვაშლის ბაღების მდგომარეობას სწორედ ამ ტერმინით განსაზღვრავს ქართლელი კაცი. სიტყვა დგომას ან „ცუდს“ დაუმატებს, ან „კარგს“.

სადისკუსიო მრგვალ მაგიდასთან, რომელიც „მნათობისა“ და პარტიის ქარელის რაიონული კომიტეტის ინიციატივით მოეწყო, ხშირად ისმოდა ეს სიტყვა. ქარელის რაიონში მეხილეობაში არსებული ვითარებით გულდამძიმებული ადამიანები წარმოსთქვამდნენ ამ სიტყვას.

აქ იყვნენ რესპუბლიკის მეხილეობის ტრესტის წარმომადგენლები, სკრის მეხილეობის საცდელი სადგურის მესვეურები, რაიონის პარტიული და სამეურნეო ხელმძღვანელები, მეურნეობათა და კოლმეურნეობათა თავკაცები...

თითქმის აქსიომად მომეჩვენა: კერძო სექტორში ვაშლის ხეებს კარგი დგომა აქვს. რატომ? იკითხა ამ სტრიქონების ავტორმა.

ავადმყოფ და უნაყოფო ხეს საკუთარი ბაღის პატრონი ერთ წუთსაც არ აჩერებს. იგი ადვილად ადევნებს თვალს თავის პაწია ნაკვეთს. — იყო პასუხი.

თუ რატომ ხდება ეს, მეტნაკლებად, გამოჩნდა მრგვალ მაგიდასთან, რომლის თითოეული მონაწილის გამოსვლა ამ სტრიქონების ავტორმა თქვენს სამჯავროზე გამოიტანა.

მაშ, ასე, მოვუსმინოთ ჩვენი სადისკუსიო მაგიდის მონაწილეებს...

**ი. ანანიაშვილი:** კარგია, რომ თქვენი წერილის თემად ერთი რაიონი აიღეთ და სიმართლე რომ ითქვას, სხვა რაიონში შეხედვა არც არის საჭირო. იგივე სურათი დაგიხვდებათ. რისი ბრალია ეს? თქვენ გგონიათ, ამაზე არავის უფიქრია? ესაა, რომ მარტო სურვილით არ ეშველა საქმეს. როცა მიდგომა არაკვალიფიცირებულია, სხვანაირ შედეგს არც უნდა ველოდოთ. ეს მარტო მეხილეობაში არ ხდება... მეხილეობის განვითარების პრობლემა მარტო ჩვენი, აქ დამსწრეთა სატკივარი როდია, იგი ჩვენი საზოგადოების ფართო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს...

**პ. ხუციშვილი.** როგორც ხედავთ, ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი დიდი ჟურნალი სწორედ ამ პრობლემით დაინტერესდა. ეს შემთხვევითი არ გახლავთ. დღეს, როცა ხილი ადამიანის კვების აუცილებელ რაციონად იქცა, მეხილეობას თითქმის სტრატეგიული მნიშვნელობა ენიჭება. ცნობილია, რომ ადამიანის კვების რაციონი ერთი წლის მანძილზე ას ცამეტი კილოგრამი ხილით იზომება. ეს, რაც აუცილებელია. მაგრამ თუ ამ მოთხოვნებით მივუდგებით ჩვენს რაიონს და მის მონაცემებს საერთო რესპუბლიკურ მონაცემებს შევუფარდებთ, ამ მოთხოვნათა დაკმაყოფილებისაგან ჯერ კიდევ შორსა ვართ.

**ი. ანანიაშვილი:** ხუთწლედის ბოლოს ჩვენმა რესპუბლიკამ ხილის წარმოება 650 ათას ტონამდე უნდა გაზარდოს...

**ავტორი:** მაშასადამე, წლევანდელთან შედარებით ორმაგად?

**ი. ანანიაშვილი:** დიახ, ორმაგად...

**ავტორი:** როცა ასეთი გეგმა დგება, ალბათ, პერსპექტივებს ითვალისწინებენ...

**ი. ანანიაშვილი** (დუმილის შემდეგ) პერსპექტივები უხვადაა. მაგრამ მათ ხორცშესასხამად მკლავებდაკაპიწებული მუშაობაა საჭირო. აგერ არსებული მიწების გამოყენების საკითხი ავიღოთ. დღემდე მოუგვარებელია ეს საქმე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიწათმოქმედების კულტურა დაბალია. ასეთ მეურნეობებში გეგმიური მაჩვენებელი არსებულს არ შეესაბამება. მეხილეობის უმთავრესი ხელისშემშლელი პირობა კვალიფიკაციის უქონლობაა. ჩვენი ინს-

ტიტულდამთავრებულები ქარელში ჩამოსვლის შემდეგ თითქმის თავიდან იწყებენ სოფლის მეურნეობის ანბანის შესწავლას. ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება. ვიდრე აქ შევიკრიბებოდით, გასხვლის პრობლემაზე ჩამოგვიგდეს სიტყვა. არ ვიცი, რას ფიქრობენ ამის თაობაზე სხვები, მე კი მგონია, რომ ნორმები მართლაც გადასასინჯია. ზოგ ხეს შეიძლება ნახევარი დღე დასჭირდეს გასასხვლელად... სინამდვილეში კი ერთი კაცი 100-120 ხეს სხლავს ერთი დღის მანძილზე. ეს სერიოზული დანაშაულია, რადგან ასეთი მეთოდით მუშაობა კარგს არას გვიქადის.

**რეპლიკა:** სხვლას მოევლება... მაგრამ რა ვუყოთ ბაღების დასამუშავებელ მანქანებს?

**შ. ხუციშვილი:** მექანიზაცია სანახევროდაც არ გვყოფნის. ბაღებს ისეთი ტრაქტორებით ვამუშავებთ, რომელთა ვიწლის ხესთან მიყვანა მავნებლობას უტოლდება. მაგრამ რა უნდა ვქნათ? ერთ ტრაქტორს საშუალოდ 50 ჰექტარი თუ აქვს დასამუშავებელი, ჩვენთან 100 და 120 ჰექტარი გამოუდის.

**ი. ანანიაშვილი:** სწორედ რომ ეგრეა. აქ ლიეფური პირობების გამო ყველა ტრაქტორი ვერ გამოდგება. აქედან არის უკმარობაც.

**შ. ხუციშვილი:** ბაღის სპეციფიკურ ტრაქტორებს რომ თავი დავანებოთ, ჩვენს რაიონს სჭირდება ასსამოცდაათი „ტ-54" მარკის ტრაქტორი. სინამდვილეში კი ორმოცამდე გვაქვს...

**ი. ანანიაშვილი:** ადრე, ტექნიკაზე ტრესტი ზრუნავდა, ახლა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უშუალოდ „საქსოფლტექნიკასთან" არიან დაკავშირებულნი, ამან თავისებური სირთულეები წარმოშვა.

**რ. ირემაძე:** (ბრეთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი) ახლა დირექტორები მომმარაგებლების როლში აღმოვჩნდით. რა დასამალია, ყველამ იცის, ეს შეთავსებული თანამდებობა ზოგჯერ რას არ ჩაგვადენინებს, რომ დროულად მიიღო ტრაქტორი და თუ გნებავთ, შხამქიმიკატიც...

**ი. ანანიაშვილი:** სწორედ რომ ეგრეა. აქ შხამქიმიკატები ახსენეს, ჩვენს ბაღებში ნებისმიერი წამლობა ოთხ-ხუთ დღეში უნდა დამთავრდეს. მაგრამ მეურნეობებს ამის საშუალება არა აქვს და ხშირად ოც დღესაც ანდომებენ...

**რეპლიკა:** ეს იმიტომ, რომ აპარატები არ გვყოფნის...

**ი. ანანიაშვილი:** გორის რაიონში ასეთი პრაქტიკა დაინერგა — ბაღებს ღამითაც წამლავენ.

**რეპლიკა:** ეგეც ხომ დანაშაულია?

**ი. ანანიაშვილი:** მეც იმიტომ ვთქვი, რომ მსგავსი რეციდივი ქარელის რაიონშიც შეინიშნებოდა. ამის გაკეთება კი ყოვლად დაუშვებელია. დროა რესპუბლიკის სათანადო ორგანოებმა შესაწამლ აპარატებზე იზრუნონ და საკმარო რაოდენობის შხამქიმიკატებ[illegible] დონ. არა გვაქვს სასუქების შე[illegible]ბი, უფრო მეტიც, წლების მანძილზე მეურნეობებს ღია ცის ქვეშ უხდებათ ხილის გადამუშავება. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ დღემდე ბაღები შენდებოდა ზეპირად, ვისაც როგორ მოეპრიანებოდა. თბილისიდან მოყოლებული — ქარელამდე, ბაღები ისეა გაშენებული, არცერთ პროექტს არ ეფარდება.

**ავტორი:** რესპუბლიკას აქვს ბაღების გაშენების გეგმა, რომლის გარკვეული წილი ქარელზეც მოდის. ბევრ მეურნეობაში ეჭვის თვალით უყურებენ ამ გეგმას, რადგან წყალი არა აქვთ.

**რეპლიკა:** — მაგრამ დავალება ხომ უნდა შესრულდეს? გეგმის ჩაგდების უფლებას ვინ მოგვცემს!

**ი. ანანიაშვილი:** ე. ი. მეხილეობის განვითარების ეს ანბანი ჩვენს რესპუბლიკაში ჯერჯერობით მოგვარებული არ არის. წყალი არა გვაქვს და მაინც ვაშენებთ. ეს კი მეჩხერიანობას იწვევს. არც ერთ მეურნეობას არ გაჩნია საკუთარი სანერგე, გავრცელდა შემთხვევითი ჯიშები. ქართლელ კაცს მეხილეობის მდიდარი გამოცდილება აქვს...

**ნ. კვიჟინაძე:** გვაქვს მეცნიერებაც.

**ი. ანანიაშვილი:** გულდასაწყვეტია, რომ ჩვენთან უფრო მასობრივად იკიდებს ფეხს კეხურა, ქართული სინაპი, როზმარინე. ესენი ადრიან გვიან შედიან მსხმოიარობაში, ევროპაში თითქმის არ იპოება გვიან მსხმოიარე ბაღები. ჩვენში კი პირიქითაა. ბოლო ხანებში ხშირად მიხდება სანერგე მეურნეობებში მისვლა. ცელილებები ხელშესახებია, კარგია. ასე თუ გაგრძელდა, შედეგი არ დააყოვნებს.

**რეპლიკა:** და მაინც, კერძო სექტორი გვჯობნის.

**ი. ანანიაშვილი:** გლეხის ბაღი უფრო ინტენსიურია და იმიტომ, დაინტერესებაც მეტია. გარდა ამისა, წლების მანძილზე საზოგადო ბაღებში არ შეუტანიათ ის წამლები, რომლებიც გეგმით იყო გათვალისწინებული.

**ავტორი:** რას ნიშნავს, გეგმით იყო გათვალისწინებული?

**ი. ანანიაშვილი:** ნაჩვენებია, რომ შეწამლეს, სინამდვილეში კი ასეთი სამუშაო არ ჩატარებულა.

**ავტორი** — ასეთ პროცედურას მიწერა არ ჰქვია?

**შ. ხუციშვილი:** მართალი ბრძანდებით. ამგვარმა თვალისახვევამ სავალალო შედეგამდე მიგვიყვანა. როგორც წესი, არა გვაქვს კულტივატორები, ახლომხვნელები, ფრეზერები... დიდია ხელით შესრულებული სამუშაოს ხვედრითი წონა; ეს ზრდის თვითღირებულებას...

**რეპლიკა:** მაინც რომელმა ტრაქტორმა უნდა იმუშაოს ბაღში?

**მ. ხუციშვილი:** დაახლოებით ათი წლის წინათ იყო დაბალი ტრაქტორი ,რომელიც, როგორც აღვნიშნე, უკვე თითქმის აღარსადაა. შეწყდა მისი გამოშვება. მათ ნაცვლად მაღალი და შედარებით მძიმე ტრაქტორები გამოჩნდა. მაგალითად, დტ-75. ის კი არღვევს ნიადაგის სტრუქტურას... ვინ უნდა მიხედოს ამას? ხომ უნდა დაგვადგეს ოდესმე საშველი? მე მსმენია, რომ მოლდავეთში ყველა ჩვეულებრივ ტრაქტორს ადგილზე ისეთნაირად გადააკეთებენ ხოლმე, რომ უკეთესს ვერც ინატრებ...

**რეპლიკა:** ჩვენი მექანიზატორების იმედით შორს ვერ წავალთ...

**ავტორი:** რატომ, არის მექანიზაციის ინსტიტუტი... შეგიძლიათ მათ მიმართოთ...

**ქ. სამნიაშვილი:** (სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი) მივმართეთ... მაგრამ ჯერჯერობით დაპირებების გარდა მათგან არაფერი მიგვიღია. და საერთოდ, უნდა აღვნიშნოთ, რომ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები რატომღაც შორს დგანან მეხილეობის რაიონებისაგან. აგერ, მაგალითისათვის, სკრის მეხილეობის ჯიშთაგამოცდის სახელმწიფო საცდელი სადგური ავიღოთ... ხომ გვერდითაა, მეზობლად, მაგრამ რატომღაც ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ საჭირო დახმარებას ვერ გვიწევს.

**რ. კვაჭანტირაძე** (სკრის საცდელ სადგურის ხელმძღვანელი) სამწუხაროდ, ეს ასეა. უნდა ითქვას, რომ ჩვენმა ურთიერთობამ ვერ მიიღო სათანადო დონე. მაგრამ ეს იმითაც აიხსნება, რომ ახლანდელი ბაღების მდგომარეობა, ჩემი აზრით, ვერავითარ მეცნიერულ ჩარევას ვერ აიტანს... როცა ელემენტარულ აგროწესებს არ ასრულებენ ბაღებში, რა მეცნიერების დანერგვაზე უნდა ვილაპარაკოთ? არსებობს აგროწესების მთელი სისტემა. ამ სისტემას ზუსტი დაცვა უნდა, ბევრ მეურნეობაში ისეთი ჯიშებია დამკვიდრებული, რომლებსაც მეცნიერება არ იცნობს. რატომ? იმიტომ რომ ჩვენ გარეშე, შეუმოწმებლად კეთდება ყველაფერი. ხეხილის ბაღებისათვის კი შემოწმებული, დადგენილი ნარგაობაა საჭირო. საჭიროა ძველი ბაღების რეკონსტრუქცია. მაგრამ ესეც ხომ ჯერჯერობით სურვილია? როდის მოვკიდებთ ხელს საქმეს? ან ვიცით კი, საიდან უნდა დავიწყოთ? ალბათ, იმ ანბანიდან, პატივცემულმა ილიამ რომ ბრძანა. არავითარ შემთხვევაში არ უნდა უარვყოთ ის, რაც ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს. მართლაც, ვისაც უნდა, ისე აშენებს ბაღებს! აშენებს და არ ითვალისწინებს ქარსაცავ ზოლს, სარწყავ სისტემას, ნიადაგს, არ იყენებენ ნაკელს, სასუქებს...

**რეპლიკა:** ფოთში მზადდება დამუშავებული ტორფი, რომელიც პირდაპირ მისწრებაა ბაღებისათვის...

**ავტორი** მე მინახავს ტორფის დამამზადებელი კარაერები. იქ დიდძალი ტორფი იპოვება.

**ი. ანანიაშვილი:** არა მგონია, ისინი იხვეწებოდნენ თავიანთი პროდუქციის წაღებას...

**ავტორი:** იხვეწებიან.

**ი. ანანიაშვილი:** მაგალითად, ბრეთსა და რუისს ტორფის საკმაოდ დიდი რაოდენობა ჰქონდათ დაკვეთილი, მაგრამ არ მიუღიათ. ხოლო სხვა მეურნეობებმა რომ მიიღეს, დაუმუშავებელი იყო, უხარისხო, ამ ბოლო დროს შემუშავდა ამონიუმით გამდიდრებული ტორფი. მაგრამ, როგორც ვიცით, მათი შემოზიდვის პრობლემა ჯერ კიდევ გადასაწყვეტია.

**რ. კვაჭანტირაძე:** ამგვარი პრობლემა საცდელი სადგურის წინაშეც დგას. ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, თუ საცდელი სადგური ასეთ უყურადღებობას განიცდის, ჩვეულებრივ მეურნეობებს რა დაემართება?! სიტყვამ მოიტანა და, ტექნიკა ჩვენც გვაკლია. ჩვენ კი სწორედ ის ნერგები უნდა დავამკვიდროთ, რომელიც ქართლის მომავალი ბაღების ბედს უკავშირდება. არავითარი კონტროლი არ არის ვირუსულ დაავადებებზე. სპეციალისტი არ გვყავს. დიახ, სპეციალისტი არ გვყავს, რომ ესა თუ ის დაავადება განსაზღვროს... ყველაფერი ბრმად ხდება. შემთხვევით ამოირჩევს რომელიღაც ჯიშს და მთელ მასივებს ამრავლებს... აქედან იღებს სათავეს ის რგოლი, რასაც ბაღების მოვლის სუსტი ღონისძიება ჰქვია. ნერგის ხელაღებით დარგვა ყოვლად დაუშვებელია. მან ჯერ სათანადო გამოცდა უნდა გაიაროს.

**მ. ხუციშვილი** — გაქვთ მერე ის აპრობირებული ჯიშები?

**რ. კვაჭანტირაძე** — არა.

**მ. ხუციშვილი** — ასეთი ჯიშები არც ინსტიტუტს აქვს. მაშ, რა ვქნათ? წელს ჩვენ გეგმით 27.700 ტონა ხილი უნდა მივყიდოთ სახელმწიფოს...

**რ. კვაჭანტირაძე** — ცდები დაწყებული გვაქვს!

**რეპლიკა** — ამისთვისაც მადლობა.

**ნ. კვიჟინაძე** — ცდები ჩვენც დავიწყეთ. ვარჩევთ ისეთ ჯიშებს, რომელიც მალე შევა მსხმოიარობაში...

**რ. კვაჭანტირაძე** — როდის მერე დაიწყეთ ასეთი ცდები?

**დ. კვიჟინაძე** — გასული წლიდან...

**რ. კვაჭანტირაძე** — ჩვენც შარშან დავიწყეთ...

**ნ. კვიჟინაძე** — ეს ცუდი პარალელიზმია.

**რ. კვაჭანტირაძე** — მაშ, დაგველოდეთ. თქვენ ხომ წარმოება ხართ?

**ნ. კვიჟინაძე** — ვერ დაგელოდებით...

**რ. კვაჭანტირაძე.** ქარელელებს გაქვთ ამის

შესაძლებლობა. თქვენთან ბევრი(?) კარგი სპეციალისტი მოღვაწეობს. ჩვენც დაგეხმარებით.

**ავტორი:** პირადად თქვენ, რა მიგაჩნიათ ქარელში დაბალი მოსავლის მიზეზად?

**რ. კვაჰანტირაძე:** ნარგაობა.

**ი. ანანიაშვილი:** როცა ადრე მსხმოიარე ჯიშებზე ვლაპარაკობთ, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომელ საძირეზე გაშენებული გაუძლებს ადგილობრივ პირობებს...

არა, დისკუსია არ დამთავრებულა. როგორც მკითხველი მიხვდა, უაღრესად პრინციპული და საქმიანია იგი. თავს ნებას ვაძლევ ცოტათი შევასვენოთ და თითქმის ანეკდოტური შემთხვევა შემოგთავაზოთ.

ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენს რესპუბლიკაში უნგრეთის სოფლის მეურნეობის სპეციალისტები იმყოფებოდნენ სტუმრად. ჩვენი დედაქალაქის ღირსშესანიშნაობათა გაცნობის შემდეგ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ხეხილის ბაღების დათვალიერება ისურვეს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროში ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა ოპერატიული ჯგუფი შედგა, რომელიც ქართლის რაიონების დასაზვერად დაიძრა. ნაკლებშეჩხერიანი ნაკვეთის ძებნაში ჯგუფმა თითქმის ყველა საბჭოთა მეურნეობა მოიარა. ნაკვეთი, რომელსაც ისინი ეძებდნენ, სხვა კულტურებით არ უნდა ყოფილიყო შეთესილი, და, რაც მთავარია, დაავადებათა ნიშანიც არ უნდა ჰქონოდა.

როგორც იქნა, — „ამ ნაკვეთის ჩვენება კი შეიძლებაო ჩვენი სტუმრებისათვისო“, დაასკვნა ავტორიტეტულმა „კომისიამ“ და ახლა ახალი სადავიდარაბო შეექმნათ — როგორ მიეყვანათ სტუმრები შეგულებულ ნაკვეთამდე, რათა სხვა ნაკვეთებისათვის არ მოეკრათ თვალი. ბევრი ფიქრის შემდეგ ეს პრობლემაც დადებითად გადაწყდა.

და აი, მიხვეულ-მოხვეული გზებით, ათასნაირი ბოდიშებისა და ღიმილის ლაბირინთების გავლით, სტუმრები მათთვის შერჩეულ ნაკვეთში აღმოჩნდნენ.

სტუმრებს შორის მეხილეებიც იყვნენ. გაიარ-გამოიარეს იმ მეხილეებმა ბაღში, სპეციალისტის თვალით გაზომეს ხეები და უცნაურად გადააქნიეს თავი, რადგან: მავნებლებით დაზიანებული და დაავადებული ხეები აღმოაჩინეს! მაგრამ მასპინძლების საამებლად თქვეს: „ჩვენმა მეგობრებმა შედარებით ცუდი ბაღი განგებ გვიჩვენეს, რადგან უკეთესი ბოლოსთვისა აქვთ შენახულიო“.

არ ვიცი, რას გრძნობდნენ იმ წუთს სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელები და სპეციალისტები, მაგრამ, მერწმუნეთ, მათ ადგილას არ ვისურვებდი ყოფნას.

ახლა კი ისევ დავუბრუნდეთ ჩვენს სადისკუსიო მაგიდას, რომლის მონაწილეთა შორის, ადვილი შესაძლებელია, ამ კურიოზული შემთხვევის მოწმეც იმყოფებოდეს.

**ნ. კვიციანაძე:** (ბებნისის სანერგე მეურნეობის დირექტორი) პატივცემულმა ჰექტორმა ადამიანის კვების რაციონში სავალდებულო 113 კგ. ახსენა. რა დასამალია, ჩვენი წილი მეტად უმნიშვნელოა ამ დიდ საქმეში. აქ ბევრი ხელისშემშლელი მიზეზი იყო ჩამოთვლილი. მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ წლების მანძილზე ცუდად ვმუშაობდით.

**პ. ხუციშვილი:** თანაც იმდენი ვიძახეთ, კლასიკური მეხილეობა გვაქვსო, ახლა მთელს კავშირში ყველაზე ცუდად გვაქვს საქმე. ვენახი ვაშლზე უფრო სათუთი მოსავლელია. მაგრამ ერთი შეიხედეთ კახეთის ზვრებში, რა მოვლილი და ნალოლიავებია იქაურობა! ეს ტრადიციიდან მოდის. კახელმა კაცმა შემთხვევით სხვისი ვენახი წაქცეული რომ ნახოს, არ იკითხავს, — ვისიაო, — მივა და წამოაყენებს...

**რეპლიკა:** თუ მევენახეობაში ქართველ კაცს მზამზარეულად დახვდა შვიდასი ჯიში, მებაღეობაში ამ მხრივ ცუდი სურათია.

**დ. ნადირაძე:** (პარტიის ქარელის რაიკომის მეორე მდივანი) ჩვენი სელექციონერები მეტად ნელა მუშაობენ. თითქმის ათეული წლები უნდება რომელიმე ჯიშის მიღებას... გვაქვს „ივერია“...

**რეპლიკა:** „ივერია“ ფაქტიურად გაუმჯობესებული „კეხურა“ და გაფუჭებული „ბანანია“. ამ ჯიშმა ოქროს მედალიც კი მიიღო, მაგრამ რად გინდა ასეთი მედალოსანი, თუ მასობრივად ვერ დანერგავ წარმოებაში?!...

**დ. ნადირაძე:** არადა, ჯიშები თითებზე ჩამოსათვლელად გვაქვს. თუ გოგებაშვილის ქართლი გახსოვთ, იმ ქართლთან შედარებით, დღეს თითქოს სულ სხვა კუთხესთან გვაქვს საქმე, რამ გამოიწვია ასეთი სახეცვლილება? ცხადია, დიდ ეპოქალურ ძვრებს, ვაშლისა და, საერთოდ, მეხილეობის განვითარებამაც შეუწყო ხელი.

**ავტორი:** დიახ, მეხილეობამ ძლიერად მოიკიდა ფეხი. თვით ქართლი თითქოს ძირითადად მებაღეობის მხარეა, მაგრამ მეურნეობები რომ დაიაროთ, ნახავთ კარგად მოვლილ ხახვს, ნიორს, ქარხალს... ხეხილის ბაღები კი განადგურებამდეა მისული.

**დ. ნადირაძე:** ეს იმიტომ, რომ თავიდან ჯიშების შერჩევა სტიქიურად მოხდა. სამრეწველო მეხილეობამ დიდძალი ნერგი მოითხოვა, ამიტომ ჯიშები უპირატესად საზღვარგარეთიდან შემოვზიდეთ. ბოლოს ეს ჯიშები დაიხვეწა, სახე იცვალა, შეეგუა გარემოს და, ჩვენდა საუბედუროდ, ცუდ ჯიშებად ჩამოყალიბდა. ასე გაჩნდა კეხურა, ქართული სინაპი, რენე-

ტი. აქედან, როგორც ამხანაგმა ჰექტორმა ბრძანა, სავალალო შედეგიც — 29-30 ცენტნერი ჰექტარზე.

**რეპლიკა:** აქ კიდევ არა უშავს, სხვა რაიონებში (ხონში, მახარაძეში) სამი ცენტნერია.

**ავტორი:** თბილისში არის შესანიშნავი ინსტიტუტი, რომელიც მეხილეობის პრობლემებს ამუშავებს. პატივცემული ილია წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ამ ინსტიტუტს, როგორ მოხდა, რომ მათ თვალწინ ასე დაკნინდა ქართლის ბაღები?..

**ი ანანიაშვილი:** უნდა ვაღიარო, რომ ინსტიტუტს თითქმის არაფერი გაუკეთებია მეხილეობის განვითარებაში. მე პრაქტიკულ, ქმედით დახმარებას ვგულისხმობ... დღეს შეიძლება ვინმემ ჩამოთვალოს კიდეც დისერტაციები, სამეცნიერო კონფერენციები და, მებაღეობისადმი მიძღვნილი სემინარები, მაგრამ რა გამოვიდა აქედან?

**ავტორი:** ინსტიტუტი, ალბათ, სხვა, უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებითაა დაკავებული.

**ი. ანანიაშვილი:** პრობლემები, ცხადია, ბევრია. მაგრამ ისე ნუ გამიგებთ, თითქოს ინსტიტუტი, საერთოდ, არაფერს აკეთებდეს. არა. სოფლის მეურნეობის წარმატებებში ჩვენს მეცნიერთა და სპეციალისტთა დიდი წვლილიც არის...

**ავტორი:** აქ მებაღეობაზეა ლაპარაკი.

**ი. ანანიაშვილი:** (დუმს).

**ი. გამგებელი:** (რუისის საბჭოთა მეურნეობის მთავარი აგრონომი). იგივე ითქმის მექანიზაციის ინსტიტუტზეც. მე წარმოდგენაც არა მაქვს, რისთვის არსებობს ეს ინსტიტუტი... ჩვენი ბაღებისთვის ტექნიკის შერჩევა მათი სასხლხორცეული საქმეა. სინამდვილეში კი რა გამოდის... ახლავე ფაქტს მოგახსენებთ: გვჭირდება სამმეტრიანი ბაღების დასამუშავებელი აგრეგატები. ჩამოდიან ინსტიტუტის თანამშრომლები, პრაქტიკულად გვიჩვენებენ და გვესაუბრებიან 10 მეტრიანი ბაღების დასამუშავებელ მანქანებზე! რა ჰქვია ამას?

**ნ. კვიჟინაძე:** მოლდავეთში სერიული მანქანები გამოიყენება ბაღების დასამუშავებლად მაგრამ ყველა მეურნეობაში ეს მანქანები ისეა გადაკეთებულ-მორგებული, რომ ვერ იცნობ... ამას მექანიზაციის ინსტიტუტი ხელმძღვანელობს. პატივცემულ ილიას და მე გვქონდა ასეთი მანქანების ნახვის ბედნიერება. მოლდავეთში, ადგილებზე ამ რეკონსტრუირებულ მანქანებსაც გვიჩვენებდნენ და მათ ავტორებსაც... აი, სწორედ ასეთ დახმარებას ვსაჭიროებთ მექანიზაციის ინსტიტუტის კოლექტივისაგან...

**ი. გამგებელი:** მომავალი წლის კვირტების ჩასახვა ახლა, ივლისში ხდება. მაგრამ არა გვაქვს საჭირო აგროტექნიკა, სასუქები, მერე კი, როცა ნერგს კვირტი არ გამოაქვს, რატომ მოხდა ასეო, ხან რას ვაბრალებთ და ხან რას.

**რ. კვაჭანტირაძე:** მეჩხერიანობაზე ლაპარაკი დღეს სამარცხვინოც კია. მაგრამ რა უნდა ჰქნა, ეს ჩვენი ყველაზე ურთულესი პრობლემაა.

**ნ. კვიჟინაძე:** მართალია, რეზო! ბულგარეთში, მაგალითად, მეჩხერიანობაზე დღეს აღარავინ იცავს დისერტაციას. ეს დიდი ხნის წინათ გავლილი გზაა.

**ჰ. ხუციშვილი:** ჩვენს რაიონში მეჩხერიანობა 19,6 პროცენტს შეადგენს. მაგრამ უკვე გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯი.

**ქ. სამნიაშვილი:** (სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსი) 76-77 წლები მეჩხერიანობის ლიკვიდაციის წლებია.

**ჰ. ხუციშვილი:** ფართობი გვაქვს, მაგრამ როგორ მივიღოთ ორმაგი მოსავალი?

**ნ. კვიჟინაძე:** პარადისზე გაშენებით.

**ი. ანანიაშვილი:** პარადისზე გაშენებული ხეხილის ბაღი საშიშია. ჩვენთან უთოვლო ზამთარი იცის, მიწა იყინება. ასეთი მაგალითი უკვე გვქონდა ბრეთის მიდამოებში...

**ჰ. ხუციშვილი:** მაშ, რა ვუყოთ 1980 წლის გეგმას?

პარტიის რაიკომის პირველი მდივნის შეშფოთებულმა წამოძახილმა სხვა პრობლემებისაკენ გამახედა. ის, რაც მრგვალ მაგიდასთან ითქვა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, სამართლიანი და გულისგულიდან ამოღებული ტკივილის ნაყოფი გახლდათ. მაგრამ იგი მაინც არსებული მდგომარეობიდან იღებს სათავეს... აქ არ ყოფილა ლაპარაკი კონკრეტულ გზებზე. კონკრეტული გზები უფრო ადრე დაისახა პარტიის ქარელის რაიკომის ბიუროზე. კერძოდ, გაზაფხულზე, ბოლო წლების პრაქტიკაში პირველად, ხეხილის ბაღებში გამოირგო 51 ათასი ძირი ნერგი. ხოლო წლის ბოლოსათვის ეს ციფრი 250 ათასს მიაღწევს. ხუთწლედის სამ წელიწადში არსებული ბაღების რეკონსტრუქციისათვის დაირგვება რვაასი ათასი ნერგი... ეს კი საშუალებას მისცემს საზოგადოებრივ სექტორს ორჯერ და უფრო მეტჯერ გაიზარდოს საჰექტრო მოსავლიანობა.

დიახ, რაიკომის თავკაცებმა იციან, რომ ხუთწლედის დავალებათა შესასრულებლად თადარიგის დაჭერა აქედანვეა საჭირო. გავიხსენოთ გასული წლის მოსავალი: 18 152 ტონა! ოთხი წლის შემდეგ ამ ციფრმა 57 ათასი ტონა უნდა შეადგინოს.

მკითხველი შენიშნავდა, რომ ჩვენი მრგვალი მაგიდის მონაწილენი ნერგების უხარისხობას უჩიოდნენ. დიახ, ჯერ კიდევ მართლაც გადაუწყვეტელია, რომელი ნერგი (სუსტი საძირე, საშუალო თუ ძლიერი საძირე) გადასწყვეტს მოსავლის ბედს. მაგრამ არის კიდევ არანაკლებ წონადი ვითარებაც: რა უყონ იმ ბაღებს, ნიადაგისა და კლიმატის გაუთვალისწინებლად რომ გაშენდა?

ასეთი ბაღი კეხიჯვრის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე (ახალსოფლის უბანი) ვნახე. ჩაკრუნჩხული, დაჩიავებული ხეები...

— რამდენი წლისაა ეს ბაღი?

— ექვსის.

— როდის უნდა მოისხას ნაყოფი?

— წესით, თუ ისე?

— წესით.

— 78 წელს, ნაწილობრივ მაინც.

— ხოლო სინამდვილეში?

— 85 წლისთვისაც არაფერი ეშველება.

— ეს თქვენი აზრია?

— ჩვენიცა და სპეციალისტებისაც! — იყო პასუხი.

— მიზეზი!

— ვერა ხედავთ, ჭაობიანი მიწაა ირგვლივ.

ამ მეურნეობაში ექვსი წლის მანძილზე ოთხი დირექტორი შეიცვალა. მაგრამ ასე მცდარად დაგეგმილ ბაღებს ხელმძღვანელის გამოცვლა უშველის?

ასეა რუისში, ფცაში... ფცას 60 ჰექტარი ფიზიკურად არარსებული ბაღები ერიცხება. ხოლო დედოფლის საბჭოთა მეურნეობაში? ბაღების რეკონსტრუქციებისათვის ნარგავები შეიძინეს... ქაღალდზე. სინამდვილეში კი არაფერი არ გამოურგავთ. გასულ წელს რაიონში შემოიტანეს (ბეჰნისის მეურნეობა) 140 ათასი ნერგი და დაამყნეს ძლიერ საძირეზე. რატომ მაინცდამაინც ძლიერ საძირეზე? იმიტომ, რომ ხელთ მხოლოდ ასეთი მასალა ჰქონდათ. სინამდვილეში კი არავინ უწყის, რა შედეგს მოგვცემს ამგვარი ექსპერიმენტი. მეურნეობა წარმოებაა და არა ჯიშთაგამოცდის სადგური. ხოლო, როცა შესაფერისი რეკომენდაცია არ არსებობს, მეურნეობა რისკზე მიდის... უფრო მეტიც, რამდენიმე წლის შემდეგ, როცა, ვთქვათ, ასეთი ექსპერიმენტი გაამართლებს (ღმერთმა ჰქნას!), და მეურნეობას რაღაც შედეგი ექნება, ჩამოივლიან მეცნიერები, ისინი, ვისაც უშუალოდ ეხება ეს საქმე, და აპრობაციას მეურნეობის მესვეურებს მოსთხოვენ.

რატომ ვამბობ ასე?

იყო ამის შემთხვევები...

მე ვესაუბრე მოხისის საბჭოთა მეურნეობის თავკაცს კ. მამულაშვილს.

— როგორ ფიქრობთ, მივიღებთ 1980 წლისთვის 57 ათას ტონა ხილს?

— თუ ხილის გეგმასთან ერთად სხვა კულტურების გეგმაც გაიზრდება, ძნელი იქნება დავალების შესრულება.

იგივე გაკვირვება. იგივე კითხვა: რატომ...

— ჩვენი მეურნეობა ოცდათორმეტ კულტურას აწარმოებს. რომელზე გავამახვილოთ ყურადღება? სახელმწიფო ყველას ერთნაირად გვთხოვს. ვერ წარმოიდგენთ, რა დღეში ჩავვარდო აბრეშუმის ჭიამ. ჩვენ საამისო არც ბაზა გვაქვს და არც საშუალება. აქ ყველაზე მეტი მუშახელია დასაქმებული. და გვეკითხებით, რად გვინდა ასეთი აბრეშუმის [illegible] ლის გამოსაკვებად აჭარის სანაპირო [illegible] ლაბანში გვიხდება მანქანების გაგზავნა? არადა, რაც დრო გადის, სულ უფრო მძლავრად ისმის სიტყვა — „სპეციალიზაცია“. მეხილეობას რომ მივხედოთ, პარალელურად სხვა დარგების გეგმები უნდა შევამციროთ.

არასწორი დაგეგმარებით შეწუხებული არიან ·სოფლის მეურნეობის სამმართველოშიც. როცა ხუთწლიანი დავალებები ნაწილდებოდა, როგორც ჩანს, არავითარი სპეციალიზაცია არ ყოფილა გათვალისწინებული. გეგმა ზევიდან მოდის, რაიონის ხელმძღვანელებს მათი კორექტირების უფლებაც არა აქვთ.

— მაგალითად? — ვეკითხები ქეთევან სამნიაშვილს.

— მიმდინარე ხუთწლედში 280 ჰექტარი ვენახის გაშენება დაგვავალეს, როცა ამის არც საშუალება გვაქვს და არც საჭირო ნიადაგი.

— მაშ, რა უნდა ქნათ?

— შეიძლება გავაშენოთ კიდეც. მაგრამ არავითარი შედეგი არ ექნება.

ხომ არ ჰგავს ეს წყალში გადაყრილ შრომას? დასკვნის გამოტანა მკითხველისთვის მიგვინდვია. მაგრამ თუ მკითხველი მაინც იკითხავს, თუ რატომ ხდება ასე, ისევ ქ. სამნიაშვილის სიტყვები მოვიშველიოთ:

— ჩვენი როლი დაგეგმარების საკითხში ნულს უტოლდება...

ახლა დავინტერესდეთ, რა აზრის არიან ამის თაობაზე მეურნეობათა ხელმძღვანელები.

ს. წოწოლაშვილი: (ფცის მეურნეობის დირექტორი) ჩვენ არავინ გვეკითხება გეგმებს. გვთხოვენ მხოლოდ. წელს ჩვენმა მეურნეობამ რვა ათასი ცენტნერი ხილი უნდა აწარმოოს. კეთილი და პატიოსანი. მიუხედავად რთული პირობებისა, როგორმე შევძლებთ ამას... მაგრამ რა ვუყოთ გაისის გეგმას? ამ ზემოდან დაშვებული გეგმის თანახმად, მომავალ წელს—20 ათასი, გესმით, ოცი ათასი ცენტნერი ხილი უნდა დავამზადო. სად არის ლოგიკა?

ფცის მეურნეობის დირექტორის ნაამბობმა ბავშვობისდროინდელი სოფელი გამახსენა. ომის შემდეგ თითქმის ყველა ოჯახს უჭირდა. უჭირდა სოფელსაც. ზაფხულობით სოფელში ჩასულ ბავშვებს ბებია გვიწევდა კონტროლს. სხვა ბევრ აკრძალვათა შორის ერთ-ერთი უმთავრესი პუნქტი დერგში ხელის მოფათურება გახლდათ.

— რაა, ბებო, არ გემეტება ჩვენთვის ყველი? — იკითხავდნენ ბავშვები.

— როგორ არ მემეტება, — სწყინდა მოხუცს, — მაგრამ მე უკეთესად ვიცი, ვის რამდენი მოვუტეხო, ხოლო თუ ყველამ დაიწყო შიგ ხელის ფათური, ხვავი დაეკარგება...

ჭეშმარიტად ბრძნული გაკვეთილია!

იშველება ვითომ ქარელის მეხილეობას რამე?! — წამოიძახებს ამდენი ხელისშემშლელი მიზეზით შეწუხებული მკითხველი. ალბათ, ეშველება. ქარელელ მებაღეებს ამის უმთავრეს პირობად ნაკვეთებიდან შაქრის ჭარხლის, ბოსტნეულისა და სხვა კულტურების გატანა მიაჩნიათ. დიდი ხანია ამაზე კამათობენ. არსებობს 1974 წლის 15 იანვრით დათარიღებული დადგენილებაც. ამ დადგენილებით საქართველოს მინისტრთა საბჭო ხეხილის ბაღებში კრძალავს სიმინდისა და სხვა მარცვლოვანი კულტურების თესვას. სხვა კულტურების თესვის ამკრძალავი ღონისძიებები ჯერჯერობით დამუშავების პროცესშია.

ორსართულიანი ხეხილის ბაღი — დაბლა შაქრის ჭარხალი ან ბოსტნეული, და მაღლა — ვაშლი. ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ინტენსიფიკაციასა და მიწის გონივრულად გამოყენებას. სწორედ მაშინ, როცა ერთწლიან კულტურებს სხვა აგროღონისძიება სჭირდება (ვთქვათ, შეწამლვა, მორწყვა, ან სხვა), ბაღისთვის ეს საზიანოა. ეს ყველა მეხილემ იცის, იცის და ხმას არ იღებს: ხეხილზე არანაკლებ იგი პასუხს აგებს ბოსტნეულისა და შაქრის ჭარხლის მოსავალზეც.

მიწა კი იფიტება, ნარგაობა უძლურდება, კარგავს ფორმას და ზოგ შემთხვევაში, როგორც ზემოთ ვნახეთ, თხუთმეტი წლის შემდეგ ძლივს იძლევა მოსავალს...

— ამას წინათ ჩვენს რაიონში მეცნიერები ჩამოვიდნენ. — მითხრა ჰექტორ ხუციშვილმა. — გაგვეხარდა მათი სტუმრობა. მაგრამ სიხარული გაცრუებულმა იმედმა შეცვალა. ისეთი რამ გვირჩიეს, თმა ყალყზე დაგვიდგა. ბაღებში კორდები მოაწყვეთო (ამერიკაში ყოფილა თურმე ასე!). გვაქვს ჩვენ ამის პირობები? იცით, რამდენი შაქრის ჭარხალი უნდა ავიღოთ ხეხილის ბაღებიდან?.. აი, რას ნიშნავს, როცა, მაპატიეთ ამ გამოთქმისთვის, მეცნიერება და ცხოვრება სხვადასხვა ტოტებზეა განლაგებული.

დაახლოებით იგივე აზრი განავითარა დიმიტრი აბაშიშვილმაც.

— მუშაკაცი ვერ აუდის ოცდაორ კულტურას. ამიტომაა, რომ ვერცერთ საქმეს წესიერად ვერ ადგამს თავს. აგერ, საგაზაფხულო სამუშაოები ავიღოთ. როცა ბაღების ბარვას ვიწყებთ, მაშინ ჭარხალიცაა დასამუშავებელი, აქეთ ხახვი მოგვჩერებია, იქით — მარცვლეული... რომელ ერთს უნდა მიხედო?

ცალკე საკითხია გადაბერებული, როგორც სპეციალისტები უწოდებენ, ამორტიზებული ბაღების საკითხი. რაღაც საოცარი ბარიერი იქმნება: ბაღი კარგახანია არ „მუშაობს", მისი ამოძირკვის და ახალი ბაღის გაშენების უფლება მეურნეობას არა აქვს და „ზემოდან" ბრძანების მიღებამდე აწერია მსხმოიარე ბაღებს ამდენი „უსაქმური". მე ბრეთის მაგალითს დავასახელებ მხოლოდ: სამასი ჰექტარი უნაყოფო ნაკვეთი წლობით ხელუხლებელი დგას და მეურნეობას სრულ მოსავლიანი ბაღების ბალანსზე ეთვლება.

საინტერესოა, ვის აძლევს ხელს, ასეთი ბალანსი?

ასევე გადასასინჯია ხილის დამზადების საკითხი. ზოგ მეურნეობაში ტექნიკის უქონლობის გამო ხილის კრეფა სამ თვესაც გრძელდება... ვერცერთ მეურნეობაში ვერ ნახავთ ხილის დასახარისხებელ ფარდულებს. არადა, ღია ცისქვეშ დახარისხებული ხილი რაც არის, ჩვენზე უკეთ მოეხსენებათ ამ საქმეში ჩახედულ ადამიანებს. მართლაც, როგორ შეიძლება ასობით ტონა ხილი კრიფო და არ გაგაჩნდეს ტექნიკური ბაზა?

ადვილი შესაძლებელია, სწორედ ამან წარმოშვა ხილის დაუცველობის პრობლემა. ეს მეტად მწვავე პრობლემაა. რაიონის მასშტაბით 15-20 პროცენტი ხილი სწორედ დაუცველობის გამო აკლდება სახელმწიფო გეგმას.

გინახავთ გაზაფხულზე ვაშლის აყვავებული ბაღი? დამეთანხმებით, ლამაზი, ზღაპრული სანახაობაა. რაც უფრო თეთრად გადაპენტილია ბაღი, მით უფრო კარგი მოსავალი იქნება! — ფიქრობს მიწას გაჯიბრებული კაცი. და გაფაციცებული ადევნებს თვალყურს ...ფუტკრის მუშაობას.

დიახ, კარგია გაზაფხულის თაფლი! მაგრამ მებაღისათვის ფუტკარი მარტო თაფლი როდია. ფუტკარი მისი მარჯვენა ხელია, არანაკლებ თავგამოდებით რომ ილწვის ბაღის კეთილდღეობისათვის. და დასტრიალებს ეს უწყინარი მწერი შამპანურის ვენეტსა და ზამთრის ბანანს, ქართულ სინაპსა და სამეფო ვაშლს... ერთი ყვავილიდან მეორე ყვავილზე გადააქვს მტვერი...

მაშასადამე, სადაც მებაღეობაა, იქ მეფუტკრეობაცაა, — იტყვით თქვენ.

დიახ, და ჩვენც სწორედ ამის გასაგებად მივმართეთ რაიონის ხელმძღვანელებს...

— ფუტკარი? — (გაოცებით შეგვხედეს სოფლის მეურნეობის სამმართველოში.) ცხადია, არის... ათას ოთხასამდე ოჯახია რაიონში...

— ეს საკმარისია განა ბაღების დასამტვერავად? — ვიკითხეთ ავტორიტეტულად, რადგან უკვე ვიცოდით, რომ ყოველ ჰექტარს ორი ოჯახი სჭირდება...

ასეთია უბრალო ანგარიში. მაგრამ ამოდენა რაიონის მასშტაბით? თურმე, სულ ცოტა, თოთხმეტი ათასი ოჯახია საჭირო, თუკი, შესაბამისად, მოსახლეობაც გამოიჩენს ფხას...

მოსახლეობა კი პრინციპულად არ აშენებს ფუტკარს. უმნიშვნელო შედეგს იღებენ საბ-

ქოთა მეურნეობებიც. რაშია საქმე? სპეციალისტების მტკიცებით, სხვადასხვა მომწამვლელი ნივთიერებები ანადგურებენ ფუტკარს...

— თქვენი აზრი? — ვკითხე რ. კვაჰანტირაძეს.

— ფუტკარი ბაღებიდან დაახლოებით შვიდი კილომეტრის დაშორებით უნდა იყოს...

მევენახეობისა და მეხილეობის ტრესტის მმართველის მოადგილემ კი წინადადება წამოაყენა:

— უცხოეთში ასეთი პრაქტიკაა, —სკები ერთგვარ ფურგონებზე აქვთ განლაგებული თითქმის სამ იარუსად... ეს ფურგონები სისტემატურად მოძრაობენ და ფუტკარი არასოდეს არ ხვდება შეწამლულ ზონაში...

ასე მოაგვარა ტრესტის ხელმძღვანელობამ ეს ურთულესი საკითხი. მაგრამ ეს ჯერჯერობით მხოლოდ სურვილებია... ხომ უნდა მიხედოს ვიღაცამ ამ რთულ უბანს?

როგორც ხედავთ, ქარელის რაიონის მეხილეობის დღევანდელმა დონემ იმდენი სირთულე და გადაუდებელი პრობლემები წარმოაჩინა, არიადნეს ძაფი გჭირდება, რომ შექმნილ ლაბირინთებიდან მშვიდობიანად დააღწიო თავი. იპოვა პარტიის რაიონულმა კომიტეტმა და მისმა აქტივმა ეს ძაფი? ამას მომავალი დაგვანახებს. მაგრამ მათ მონდომებას, უძილო ღამეებს, მკლავებგადაკაპიწებულ შრომას არავითარი ფასი არ ექნება, თუ უახლოეს ხანში არ მოგვარდა ერთი ყველაზე ძირეული საკითხი.

თუ ახლანდელ არსებულ არხებში წყლის დებეტმა ერთი-ორად არ იმატა, ჩათვალეთ, რომ ზემოთ ნათქვამი დარჩა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა.

ეს საკითხი კი დიდი სახელმწიფოებრივი სიმაღლიდან უნდა გადაისინჯოს.

ჩვენ კი ეს წერილი იმით დავამთავროთ, რითაც დავიწყეთ. ჩაეყრებოდა თუ არა საფუძველი დედამიწის მიზიდულობის კანონს, ნიუტონს ქარელში რომ ეცხოვრა? ეს კითხვა ცოტა აბსურდულად ჩანს ამ მეტად სერიოზული პრობლემების ფონზე. მაგრამ იმ მეთოდით მუშაობა — ელოდე, როდის დაგეცემა თავზე ვაშლი და როდის განათდება გონება, მოძველებული მეთოდიც კია. როგორც ამ წერილიდან შეიტყვეთ, ქარელის ბაღებში ჯერჯერობით ამდენი ჩამოსავარდნი ვაშლიც არ ყოფილა თურმე.

ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა ფორჩხიძე

# ილო მოსაშვილის პოეზია

დაბადებიდან 80 წლისთავის გამო

ქვეყანაზე ყველას და ყველაფერს თავისი საწყისი აქვს, თავისი გაჩენის მიზეზი... და როგორც ცოცხალ არსებას, ლექსსაც აქვს თავისი ბედნიერი თუ უბედური დაბადების საათი, ლექსსაც თავისი სიცოცხლისა და სიკვდილის ჟამი უწერია. არიან უკვდავებიც, მაგრამ მათი გაჩენა ისევე საიდუმლოებითაა მოცული, როგორც თვით უკვდავება. ცხადი ერთია: ლექსიც ბრძოლისა და მოქმედებისათვის ჩნდება ქვეყნად... როგორც ცოცხალ არსებას, ლექსსაც გაჩენის დღიდანვე თან ახლავს თავისი სახიერება, იღბალი. არიან ლექსები. თხზულებანი, რომელთა გარეგნული თუ შინაგანი სინათლე იმთავითვე შესამჩნევი ხდება და გზას იოლად იკაფავენ მკითხველთა გულისაკენ. ერთხანს ხალისიანად ცოცხლობენ კიდეც. დიდი პოპულარობითაც სარგებლობენ, მერე კი ნაწილი ამგვარი ლირიკული თუ ეპიკური თხზულებებისა თანდათან, შეუმჩნევლად კარგავს სიცოცხლის უნარს: ან სრულ დავიწყებას ეძლევიან, ან მეტად უღიმღამოდ ბჟუტავენ ჩვენს მეხსიერებაში.

არიან ისეთებიც, რომელთა მშვენიერების თუ ღირებულების აღქმას მეტი დრო სჭირდება, მეტ ყურადღებას მოითხოვს, რადგან შიგ მეტი იდუმალებაა ჩაქსოვილი, სიცოცხლის მეტი ფარული ენერგიაა ჩაღვრილი. ეს იმაზეა დამოკიდებული თუ ლექსის, თხზულებას სახება — სხეული, ამ შემთხვევაში ცოცხალი არსება, რა ღირებულების იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრითაა შექმნილი, როგორი შუქ-ჩრდილებითაა შემოსილი, რა ღირებულების ვნებებითა და აზრებითაა დატვირთული და, ბოლოს როგორი ფერებითაა განსპეტაკებული.

ქვეყანაზე უამრავი ფერია, რომელთა უკლებლივ ხილვა-შეგრძნება ყველას არ შეუძლია, საჭიროც რომ იყოს, შეუძლებელიცაა ამიტომ არის პოეზია უკვდავი, ამოუწურავი...

დასაბამიდან დღემდე კულტურულმა კაცობრიობამ აუარებელი პოეტური საოცრებანი დაგროვა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, პოეზიას, კერძოდ ლირიკას, როგორც თვით ბუნებას. ადამიანის სულის კვლავაც ახალი, ჯერაც უხილავი კონტინენტები არ გააჩნდეს. ამიტომაც ყოველი შემოქმედი იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც იგი სწორედ ამ ახალი, სხვისთვის მიუკვლეველი კონტინენტების აღმოჩენისათვის ისწრაფის, იმ ახალი პოლიტიკური და სულიერი მოძრაობის გამოსახატავად, რომელსაც მას თავისი დრო უყენებს. ხოლო პოეზიაში ახალი კონტინენტების მიკვლევა შეუძლებელია, პოეტური აზროვნებისა და ფორმის სიახლესთან ერთად, ცხოვრებისეული მწვავე საკითხების, ყოველდღიურ ცხოვრებასთან გულწრფელი, განუწყვეტელი, მჭიდრო კავშირის დაუმყარებლად. ამდენად, შემოქმედის საზოგადოებრივი მნიშვნელობა იმდენად უფრო დიდია, რამდენადაც იგი თავისი დროის სულიერ მოთხოვნილებებს სრულყოფილად, დამაჯერებლად გამოხატავს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ახალი პოეტური გამომსახველობითი საშუალებებით.

როცა ამ თვალსაზრისით თანამედროვე ქართული ლიტერატურის შესანიშნავ ოსტატებს

ვიხსენებთ, მათ შორის ამაყად გამოიყურება მეტად თავისებური კოლორიტული ფიგურა — ილო მოსაშვილი, როგორც უნაზესი გრძნობების ჭეშმარიტი პოეტი — ლირიკოსი, პოეტი — დრამატურგი, პოეტი — ტრიბუნი, რომელიც სამშობლოს, ქართულ ეროვნულ სიტყვას უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ისე ემსახურა, როგორც ამას მისი მშობელი ხალხის აწმყო და უკეთესი მომავალი მოითხოვდა.

ილო მოსაშვილი მხოლოდ ბრძოლისა და მოქმედებისათვის იყო გაჩენილი. იგი სიყრმიდანვე ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა, სწორი საზოგადოებრივი, სახალხო, ეროვნული აზრის ჩამოყალიბებისათვის მუდამ წინა ხაზზე იბრძოდა საქმითა და სიტყვით, ამიტომაც, პოეტის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე რომ სწორი, შეუმცდარი წარმოდგენა გვქონდეს, ვიდრე მის მაღალმხატვრულ შემოქმედებაზე ვიტყოდეთ რამეს, საჭიროდ მიგვაჩნია გავიხსენოთ მისი ბიოგრაფიის ზოგიერთი მთავარი მომენტი მაინც.

ილო მოსაშვილი დაიბადა 1896 წლის 7 იანვარს, ფშავში, სოფელ ჩარგალში, იმ მიწაზე, იმ გარემოში, სადაც ვაჟა-ფშაველა იშვა და აღიზარდა. ილო მოსაშვილიც სწორედ პოეზიის ამ იდუმალებით მოცულ, ჯადოსნურ მხარეში იზრდებოდა ცხრა წლამდე. აქ ისწავლა თავისი მამისაგან წერა-კითხვა, აქ გაიგონა მაღალი მთებიდან მორღვეული ზვავების ყრუ ბუბუნი, ქარაფებზე რომ მოგორავდნენ და ხევებში შემზარავი ზრიალით შვავდებოდნენ. აქ გაიგონა ფშაველი დინჯი სახალხო მთქმელების სხარტი კაფიებიცა და დიდი ვაჟა ფშაველას გრძნეული სტრიქონებიც. ამ მადლიან მიწაზე დაადგა პოეტმა პირველად ფეხი, აქ იხილა მზით განათებული თოვლიანი მწვერვალების სისპეტაკე, ვარსკვლავებით მოჭედილი ცა. ავდრიანი დღეების ჯანღიანობა, პირქუში მთების შეუვალობა და გაზაფხულის მომხიბვლელი ხავერდოვანი ფერების სილბო და მშვენიერება, რაც მერე, გვიან სიჭაბუკეში, მეტად ხელშესახები მეტყველი ფერებით აისახა პოეტის შემოქმედებაში.

ილო მოსაშვილის მამა — ონისიმე წლების მანძილზე ფშავში, ვაჟა-ფშაველას მამასთან, მღვდელ პავლე რაზიკაშვილთან მთავარდიაკვნად მსახურობდა. აქ მან ცოლად შეირთო ვაჟას მამის ბიძაშვილის ქავთარ რაზიკაშვილის ასული და ამით კიდევ უფრო დაუახლოვდა რაზიკაშვილების ოჯახს. საერთოდ, პავლე და ონისიმე თავიდანვე კარგ განწყობილებაში ყოფილან. ბუნებრივია, პატარა ილო რაზიკაშვილების ოჯახში ტრიალებდა და როცა 1905 წელს ცხრა წლისა თელავის სასულიერო სასწავლებელში მიაბარეს, მას თან გამოჰყვა დედულეთიდან სამყაროს პირველ ხილვისას მიღებული მდიდარი შთაბეჭდილებები, რამაც სიმწიფის ასაკში მისი შინაგანი პოეტური მრწამსის ფორმირებაში უთუოდ დიდი როლი ითამაშა და ახალგაზრდობის წლებშივე გაუღვიძა სახალხო, საზოგადოებრივი ინტერესები.

ილო მოსაშვილს 1909 წელს, თელავის სასულიერო სასწავლებელს რომ ამთავრებდა, მოულოდნელად გარდაეცვალა მამა, რომელიც უკვე 1905 წლიდან ქიზიყში, მშობლიურ სოფელ ვაქირში ცხოვრობდა თავისი მრავალრიცხოვანი ოჯახით (მას შვიდი შვილი ჰყოლია — ოთხი ქალი და სამი ვაჟი). მაგრამ მზრუნველი, მოსიყვარულე დედის — მოქრისის მეოხებით იგი მაინც ახერხებს სწავლის გაგრძელებას თბილისის სასულიერო სემინარიაში. ამ პერიოდში, ეტყობა, მას დიდ დახმარებას უწევს თავისი დიდი ბიძა ვაჟა-ფშაველა, რომელიც, როგორც ახლო ნათესავი, ხშირი სტუმარი ყოფილა მომავალი პოეტის ოჯახისა ქიზიყში. „....ვაჟა-ფშაველას დახმარებით ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდან სტიპენდია დამენიშნა“, — ვკითხულობთ პოეტის მიერ დაწერილ მოკლე ბიოგრაფიაში და ჩვენთვის ნათელი ხდება, თუ რა დიდ გულისხმიერებას იჩენდა დიდი მწერალი ახალგაზრდა ილოს მიმართ. ბუნებრივია, ჭეშმარიტად სახალხო პოეტი და საზოგადო მოღვაწე — ვაჟა-ფშაველა, რომელიც ქართველი ხალხის უკეთეს მომავალს ახალგაზრდობის მოწინავე, კეთილშობილური იდეებით აღზრდაში ხედავდა, არა მარტო მის ეკონომიურ მდგომარეობაზე, არამედ მის შინაგან, სულიერ სიმდიდრესა და სიწმინდეზეც ზრუნავდა, რისთვისაც იგი სემინარიის კედლებს შორისაც ხშირად აკითხავდა მომავალ პოეტს და, რაღა თქმა უნდა, ალბათ, საჭირო რჩევა-დარიგებასაც აძლევდა.

ილო მოსაშვილის პირველი „ლიტერატურული ნათლობა“ 1910 წელს მოხდა, გაზეთ „სინათლეში“, რომლის რედაქტორი ცნობილი საზოგადო მოღვაწე ივანე როსტომაშვილი იყო. ამის შემდეგ ახალგაზრდა პოეტი ხშირად ჰგზავნიდა თავის ლექსებს მაშინდელ საყმაწვილო ჟურნალებში — „ჯეჯილსა“ და „ნაკადულში“. 1913 წელს კი სემინარიის კურსდამთავრებული განათლების მისაღებად მიემგზავრება პეტერბურგში, სადაც უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მაგრამ იქ დიდხანს არ დარჩენილა. მასზე ცუდად იმოქმედა პეტერბურგის სუსხიანმა ჰავამ და 1914 წელს ხარკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადადის სწავლის გასაგრძელებლად იმავე სპეციალობით; იქ 1917 წლამდე რჩება. სტუდენტობის პერიოდში (1913-1917) ილო საქართველოში მხოლოდ საზაფხულო არდადეგებზე ჩამოდიოდა და დროს მახლობელთა შორის ატარებდა. 1914 წლის ზაფხულში, როცა იგი

თავის ხოფელში ისვენებდა, ცოლად შეირთო სოფელ მაღაროს მთავარდიაკვნის ვლადიმერ მესტიაშვილის ასული თამარი, რომელიც მისი საკმაოდ ბობოქარი და მღელვარე ცხოვრების სამუდამო ერთგული მეგობარი გახდა.

ხარკოვის უნივერსიტეტის სრული კურსი ილო მოსაშვილმა 1917 წელს დაასრულა. მაგრამ უსახსრობის გამო სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება ვეღარ მოახერხა და საქართველოში დაბრუნდა.

სამშობლოში დაბრუნებისთანავე, 1917 წელს, ქართულ ჟურნალ-გაზეთებში — „თეატრი და ცხოვრება", „ხმა კახეთისა" — ზედიზედ აქვეყნებს ლექსებს, პატარა მოთხრობებს, ფელეტონებს, წერს პიესებს და გატაცებით მონაწილეობს სცენისმოყვარეთა მიერ გამართულ სპექტაკლებში სიღნაღსა და თელავში. ამავე დროს მუშაობს სიღნაღის სხვადასხვა დაწესებულებებში. მაგრამ საქართველოში მენშევიკების ბატონობის წლებში პოეტის მაძიებელი სული ამაოდ ეძებს სიმშვიდეს, ვერ პოულობს შემოქმედებით ატმოსფეროს, რის გამოც გვიან თავის მოკლე ავტობიოგრაფიაში სინანულით წერს: „ჩემთვის დრო 1918 წლიდან 1921 წლის თებერვლამდე — სრული აბნეულობის პერიოდია". საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ილო მოსაშვილი, მისთვის ჩვეული მგზნებარე ტემპერამენტითა და პათოსით, მყისვე უყოყმანოდ ჩაება ახალი ცხოვრების მშენებლობაში და, რასაკვირველია, პოეტის შინაგანმა შემოქმედებითმა ენერგიამაც ფართო გასაქანი ჰპოვა: „...იმ დღიდან მე სავსებით გულწრფელად და პატიოსნად შევუდექი მუშაობას", — წერს პოეტი.

1926 წლიდან ილო მოსაშვილი საცხოვრებლად თბილისში გადმოდის და თავდავიწყებით ეძლევა ლიტერატურულ მუშაობას. პოეტი ჯერ რესპუბლიკური ჟურნალის „სინათლის" პასუხისმგებელ მდივნად ინიშნება, მერე ცენტრალური კომიტეტის გაზეთ „ახალი სოფლის" რედაქციაში მუშაობს და, ამავე დროს, მეტად აქტიურად თანამშრომლობს მაშინდელ ჟურნალ-გაზეთებში: „კომუნისტი", „მშრომელი ქალი", „ლიტერატურული საქართველო", „დროშა", „მნათობი" და სხვ.

1927 წელს ილო მოსაშვილი, მეგობარ ქართველ მწერლებთან ერთად, ადგენს ლიტერატურულ დაჯგუფებას „არიფიონი", რომელშიც გაერთიანებული იყვნენ. მიხეილ ჯავახიშვილი, შალვა დადიანი, გალაკტიონ ტაბიძე, გერონტი ქიქოძე, ლეო ქიაჩელი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, ვასო გორგაძე, კონსტანტინე კაპანელი, დავით სულიაშვილი, პეტრე ქავთარაძე, იოსებ ტატიშვილი, სანდრო შანშიაშვილი და ლევან მეტრეველი. ილო მოსაშვილი 1927 წელს „არიფიონელების" პირველ კრებულშივე ათავსებს ლექსს „უღელტეხილზე", რომელსაც ილია ჭავჭავაძის უკვდავი სტრიქონები აქვს წამძღვარებული: „ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს". და ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ იმ დროისათვის ილო მოსაშვილს ნათლად აქვს ჩამოყალიბებული თავისი ლიტერატურული შეხედულებები და მტკიცედ იბრძვის ქართული ლიტერატურის განახლებისა და განვითარებისათვის, ქართველი ხალხის ეკონომიური და კულტურული ყოფის ამაღლებისათვის. ილო მოსაშვილი იმთავითვე ქართული კლასიკური პოეზიის ტრადიციებს გაჰყვა და ჯანსაღი, პათეტიკური სამოქალაქო პოეზიის ბევრი საუკეთესო ნიმუში შექმნა. ილო მოსაშვილი მუდამ წინააღმდეგი იყო ლიტერატურაში მოჩვენებითი დეკადენტურ-ფორმალური ძიებებისა. მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს იგი უგულვებელჰყოფდა პოეზიაში სიახლეს და მოდერნიზმს. პირიქით, მისი პოეტური ენის ფენომენი მუდამ სიახლის დიდი გრძნობითა აღბეჭდილი, მაგრამ ამას იგი, წინააღმდეგ ხელოვნური ფორმალიზმისა, შინაგანი პოეტური აზროვნების სიახლით აღწევს, და ეს არის პოეტის ჭეშმარიტი გამარჯვება. ამ პრინციპითა შექმნილი როგორც მისი ლირიკული ლექსები ისე მისი პოემებიც, მოთხრობებიცა და დრამატული ნაწარმოებებიც. მაგრამ ვიდრე მის ლიტერატურულ თავისებურებაზე ვიტყოდეთ რამეს, ჯერ მის ლირიკულ ქმნილებებზე შევჩერდებით...

ვისაც პოეზიაზე ხშირად უფიქრია, დამერწმუნება: არის ხოლმე წუთი, რაღაც მიზეზითა თუ უმიზეზოდ გაგახსენდება რომელიმე პოეტის სტრიქონები და მორჩა... სადაც არ უნდა იყო, რასაც არ უნდა აკეთებდე, იმეორებ გულში ჩუმად და აღარ გავიწყდება; საშველს აღარ გაძლევს ცოცხალი პოეტური სახეები, ფრთიანი გამოთქმები. ერთს იტყვი და მეორე გაგახსენდება, მეორეს იტყვი და მესამე... თვალწინ გაიელვებს პოეტის სახება. მერე მის ცხოვრებაზე ფიქრი აგეკვიატება, მის პოეზიას აკვირდები, მეხსიერებაში განვლილი დღეები ცოცხლდებიან და ახლა მგზნებარე სტრიქონებში თანდათან უფრო მთელი სიცხადით ჩნდება პოეტის ნამდვილი სახე; მისი გულის ფეთქვა გესმის, მის სევდასა და სიხარულს განიცდი. უფრო ის სტრიქონები გაგონდება, რომლებშიც პოეტის მეტი ცეცხლი, მეტი სულიერი სიმდიდრე, მეტი ფიქრი და სინათლე ჩაგუღლება. მოუსვენრობა გიპყრობს, ცხოვრებას აკვირდები, მეგობრებს აკვირდები, შენ თავსაც აკვირდები და გიხარია, რომ პოეტის სახება კვლავ შენთანაა, არ გშორდება, არც თავს გავიწყებს, შემოქმედებისათვის ალ-

გაგზნებს, სიკეთისათვის განგაწყობს. ეს არის პოეზიის მადლი, პოეტის უკვდავება...

ჩვენი წარმოდგენით პოეტური შემოქმედების შეფასების ერთ-ერთი ზუსტი და უტყუარი საზომი მაინც ის არის, თუ პოეტის ნალვაწი, ნახელავი, სევდით თუ სიხარულით ნაძერწი სტრიქონები რამდენად ეხმიანება, ეხმარება ადამიანის სულს, შეჭირვებისა თუ სიხარულის ჟამს, რამდენადაა იგი ჩვენს მეხსიერებაში აღბეჭდილი, როგორ ფიქრსა და ზრახვებს აღგვიძრავს, როცა კი გაგვახსენდება პოეტის ლირიკული ქმნილებები; რა პოეტური სიმძაფრითა და ძალით განგვაცდევინებს ლექსის ლირიკულ ჩანაფიქრს: როგორი ფორმითა და პოეტური ტაქტით გადმოგვცემს, გვაწვდის თავის განწყობილებებს, რა უცხო პოეტური სანახაობითა და ხილვებით ალავსებს ჩვენს სულს და, ბოლოს, რა ფასეულობის იდეურ-მხატვრული აზროვნებითა და შთაბეჭდილებებით ამდიდრებს ჩვენს მეხსიერებას. ამიტომაც მინდა გავიხსენო ერთი შემთხვევა...

კახეთში მივდიოდით, ღრუბლიანი დღე იდგა, ცოტას ჟინჟღლავდა კიდეც. გავიარეთ ლოჭინი, პატარძეული, ნინოწმინდა, კაკაბეთი და, ის იყო, მელაანში შევედით, წვიმამაც იმატა, შევწუხდით. სღნაღის გადასახედიდან გვსურდა გვეხილა ზვიადი ალაზნის ველი, მაგრამ ამინდს პირი არ უჩანდა...

გომბორის მხრიდან კიდევ უფრო ჩამობნელდა ცა; მარცხნივ გავუხვიეთ. გზაზე გაწუწული ჯაგი და თრიმლის ბუჩქები მიგვაცილებდა. ფართო გზატკეცილით შევედით ტყეში. ჩავიარეთ ჩაღამებული ბარჯისხევი. ჩავაკებულში შევჩერდით წყაროსთან. კოკისპირული მსხვილი წვიმა კიდევ უფრო მაგრად უთხლაშუნებდა მუხის ფოთლებსა და მანქანის სახურავს. გზაზე, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, რა არ გავიხსენეთ, რა არა ვთქვით და ბოლოს ისევ პოეზიაზე ჩამოვაგდეთ საუბარი...

ჩამობნელებულ ხეობას გავხედე, უნებლიეთ სულში ილო მოსაშვილის სტრიქონებმა შეიფრთხიალეს, ისე როგორც უღრან ტყეში შეიფრთხიალებს ხოლმე დამფრთხალი ფრინველი:

ტყე უღრანი და ტყე ულახველი,
ჩაბნელებული ტევრში კიდური,
თითქო უძირო ქაში ჩახველი,
თმებით ტოტებზე ჩამოკიდული.

მიჰყვები უღრანს, ჩუმად მიჰყვები,
ფოთოლი ფოთოლს ტირილით სტოვებს,
უცებ შუღგები და ბილიკები
ირმის რქებივით გაშლიან შტოებს.

საით წახვიდე, ბალახს ეკვრები
და ყნოსავ მიწას ნადირის გეშით,
ვინ იცის, რომელ ხეს შეეყრები,
რომ მეგზურივით გაგიძღვეს ტყეში.

იქნებ ეს სტრიქონები სწორედ ამ ბარჯისხევში თქვა პირველად პოეტმა, გავიფიქრე და მყისვე თვალწინ დამიდგა წარმოსადეგი, ქორის თვალებით დინჯად გამომზირალი, ქარმაგი ვაჟკაცი, რომლის ამაყი სული სიყრმიდანვე იყო დაღაღული ქართველი ხალხისა და სამშობლოს სიყვარულით...

მძღოლმა მოტორი აამოძრავა, აქოთქოთებული მანქანა დაბალ დვრინზე გადავიდა და სწრაფად გასრიალდა.

მე ისევ ილოს ლექსი გამახსენდა, სადაც პოეტი სინანულით ეთხოვება მშობლიურ სოფელს და გულისშემძვრელი ლირიკული ხმით უმღერის იქ გატარებულ ბავშვობის დღეებს, დაუვიწყარი ფერებით ხატავს საქართველოს უმშვენიერეს მხარეს — კახეთს:

მიდის ქვეყანა ურმის, კამეჩის,
ღირღიტა გუთნის, მეხრის ალოსი,
ვისლა შეხვდება შუაღამეში
ზვინების გვერდით თელემა კალოზე...

თვალი შორიდან შენს ქედებს იჭერს,
ფიქრში მიჰქრიან ლასტის ქოხები,
ვხედავ მომავალ ნიშნობის ბიჭებს
ნუშის გულების ახალოხებით.

ვამბობ ამ სტრიქონებს და ვგრძნობ, ყველას ერთნაირად გვივლის ტანში ჟრუანტელი. მერე კი თითქოს ყელში გვაწვება რაღაც და სუნთქვა გვეკვრის, როცა ჩემი მეგობარი ამ ლექსის ბოლო სტროფს დაგუდული ხმით წარმოთქვამს:

ვიცი, მიდარდებს ერთგული ძაღლი,
ის ჩვენი სახლის ბებერი მნათე,
თვალებს შარაზე ცქერაში დაღლის,
გადააფარებს დაკბენილ თათებს.

ყველანი აღტაცებულნი ვართ...

შიდა კახეთში შევდივართ. ვგრძნობთ: პოეზიის სურნელით ისეა ახლა ჩვენი სული გაჟღენთილი, როგორც ეს მადლიანი მიწა ამ კოკასპირული წვიმით...

ჩვენ კამათსა და საუბარში წვიმამ თანდათანობით იკლო, მერე სულ შეწყდა. ბაკურციხეში რომ გაველით, სასწაული ვიხილეთ: ალაზნის ველზე მზე ბდღვრიალებდა, გომბორის მხარეს შავი ღრუბლები გამქრალიყო. ლურჯად დაფენილ ვენახებსა და ხოდაბუნებს რძისფერი ოხშივარი ასდიოდა. შორს კავკასიონის კალთები თეთრი ნისლებით ჩამოძენძილიყო.

ჩვენი მანქანა წინანდლისაკენ მიჰქროდა. გზადაგზა ეზოებში ახლად შეთვალებული ბლის წითელი კუნწულები ელავდნენ ფოთლებში. ხალხი ზვრებსა და მინდვრებს მოსდებოდა:

რწყავდნენ, მარგლიდნენ, თიბავდნენ... ყველაფერი ეს პოეზია იყო და ალბათ ამიტომაც არ გვასვენებდა ილო მოსაშვილის ლექსი:

ისევ სოფელი,
ჩალა,
ყავარი,
შეყვარებული გულით ნახული...
აქ არის
ჩემი ნაბინავარი,
ახლა მდუმარე, მობალახული...

უნებლიეთ უკან მოვიხედე. ვინანე: შორს იყო მისი ვაქირი, მისი სახლი და ეზო. სამაგიეროდ თვითონ იყო ჩვენთან. თითქოს პოეტის ორეული გვერდით გვიჯდა და სევდამორეული ხმით გვაწვეთებდა სულში:

ჯერ ისევ ბავშვი ვიყავი მაშინ,
გულს მოგონება დღესაც ანაზებს,
სად იყო სევდა სიმღერის ხმაში,
ყველა მიყვარდა ამ ქვეყანაზე.
ძლივს გადავურჩი
იღბალს დაცერილს,
ეხლა ლექსებში სულ სხვა გულია,
დედი, ხომ ატყობ სახეს დასერილს,
ტყეზე ქარიშხალს გადაუვლია!

მეგობრები სდუმან. მე ისევ ილოს ადრინდელ ლექსებზე ვფიქრობ. ვხედავ მის „ჩალურ ქოხებს", საიდანაც ხან მოწყენილი ყვითელი ჩიტივით იმზირება სევდა, ხან ბობოქარი ქარიშხლები ამორბიან, ასე უღმერთოდ რომ უწეწავს სულს პოეტს თავისი სიჭაბუკის ადრიან გაზაფხულზე; ვხედავ მის უზრუნველ ბავშვობის დღეებს, როცა „დედის გამთბარ უბეში ჰქონდა ლოყები ნაამბორები" და მიკვირს, როგორი სიწრფოებით გადმოგვცემს ყოველივე ამას, როგორი უბრალოებითა და უშუალობით ხატავს: „როს შუაღამე მხრებზე მეხურა და ქოხს გრიგალი კვნესით ზარავდა, დედას ვეკვროდი როგორც ბელურა, მეგონა, ვინმე მომიპარავდა".

ბავშვობაში განცდილი სულიერი მღელვარების ასეთი ზუსტი ჩანაწერი, ალბათ, იშვიათია პოეზიაში.

მანქანა ისევ მისრიალებს ლარივით გაჭიმულ გზაზე. გვეჩვენება, თითქოს ჩვენც პოეტთან ერთად ვეთხოვებით ბავშვობას, სიჭაბუკეს, რევოლუციის მშფოთვარე წლებს და შორიდან გვესმის:

ალარც ბიჭები ფეხშიშველები,
ალარც ხბორები,
ალარც თოლია,
მოვიდა გმირი რკინის ხელებით
და თავის გზაზე გამიყოლია...

დიახ, ეს გმირი ჩვენი ახალი, სისხლმოჭარბებული ცხოვრების შემოქმედია. მაგრამ ყოველივე ეს თავისთავად არ მოსულა: იყო ბრძოლები, გაორება, ეჭვი, მსხვერპლი. მაგრამ ყველაფერი ეს ცხოვრებისეული იყო. ყველაფერს ჰქონდა თავისი რომანტიკა, გამართლება, რის გამოც 1928 წელს გულწრფელად წერდა ილო მოსაშვილი:

უიმედობის ჯვარზე გაკრული,
გაუვალ გზებზე ბევრჯერ დავეცი.
ბევრჯერ მქონია გული ნაკლული
და ბევრჯერ განცდა უუკვდავესი
მაგრამ რა არის ისე ცხოვრება,
არ ჰქონდეს ქინი მოუსვენარი!
გადვიქცეოდით მაშინ მძორებად
და გამოგვხრავდა მიწა ვერანი.
ეშხი იქ არის, სადაც ქარია,
ქარი, რომ მკერდი მკერდზე გვიგალოს,
სიცოცხლეც, გულიც, ლექსიც მკვდარია,
უქარიშხალო და უგრიგალო.

წინანდალში მივედით. ჭავჭავაძისეულ ბაღში ნაწვიმარი მიწისა და ყვავილების რაღაც მათრობელა სურნელი ჩაგუბებულიყო. დაბურული ცაცხვის, მუხისა თუ ათასნაირი უცხო ჯიშის ხეების ფოთლებში ჩიტები დაფართქალებდნენ. თითქოს თოვდაო, ისე დაფარფატებდა ჰაერში ყვავილთა დაცვენილი ფურცელი. ახლა ილოს „მონადირული" გაგვახსენდა:

ჩამოვარდა ბუდიდან დათოვლილი ბელურა,
გომბორისკენ შრიალით გაიარეს ღრუბლებმა,
გუშინ ქალის ქიუხში შავი ღამე გვეხურა,
ეხლა მწყემსის ჩონგური ცეცხლთან გვესაუბრება.

კლდეზე დასალუპავად გადამდგარან ვერხვები,
ქარი ტირის ტოტებში მონადირის ცოლივით.
შუა ცეცხლი ავარდა და ნაბდებში ვეხვევით,
ბიჭები და მუხები ერთად წამოწოლილნი.

ამ ლექსის რომანტიკული განწყობილება, მკვეთრი, თავისებური ინტონაცია საოცარი ბუნებრივობით გაისმა წინანდლის ბაღში, სადაც, ალბათ, მეგობართა შორის არაერთხელ გაუვლია პოეტს, არაერთხელ უცქერია გახარებული თვალებით ბუნების ამ ხორცშესხმული მშვენიერებისათვის. ჩვენებურს უოცნებია პოეზიაზე და მასაც თავისი საყვარელი პოეტის ლექსები უთქვამს. და თუ ეს ასე იყო, მას, ალბათ, აქ ვაჟა ფშაველას ცალთვალა ლანდი ედგა თვალწინ და ისე ალიქვამდა პირქუში კავკასიონის უტეხობას და ალაზნის ველზე მოსული ბალახის სილბოს. მით უმეტეს, რომ ილო ფშავში დაიბადა, იქვე იგრძნო მშობლი-

ური ქართული ანბანის სინატიფე, მისი განუმეორებელი მოხაზულობის მშვენიერება: „ა — ნამგალს ჰგავდა, ბ — ვერცხლის სურას“ — წერდა პოეტი გვიან, სიჭარმაგეში, და განსაცვიფრებელი ხელოვნებით ხატავდა რუსთაველისა და ვაჟა-ფშაველას ღვთაებრივ პოეტურ სახეებს. ვაჟას სინათლით სავსე ქოხსა და „ვეფხისტყაოსნის“ ჯადოსნურ „გრძელ სტრიქონებს“.

ილო მოსაშვილის ეს ლექსი — „მოგონება“ ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებაა მთელ ქართულ საბჭოთა პოეზიაში. აქ დიდი შემოქმედებითი ტაქტითაა გახსნილი ვაჟა-ფშაველას პოეტური სულის იდუმალება, „ვეფხისტყაოსნის“ განუზომელი მოქმედების ძალა, რვა საუკუნის მანძილზე მოქმედი ვულკანივით რომ არყევდა ქართველი კაცის გულს, მოსვენებას არ აძლევდა გონებაგახსნილ მკითხველს. პოეტი მკვეთრი ფიგურალური თქმით გვაცნობს, რუსთაველის გენიის ნაყოფს როგორ ალაგზნებდა და წვავდა ნათელმხილველ ვაჟა-ფშაველას:

რა დაემართა... დაავდო წიგნი,
ერთად დახუჭა ორთავე თვალი...
რქებზე წკარუნით ჩამოწყდა შიბნი
და ბუხრის თავზე შეირხა ხმალი,
გვიან წამოდგა და მკერდზე — შიგნით
თუნგით ისხურა არაგვის წყალი.

ასე ლაკონურად წერა მხოლოდ სიტყვაბედნიერი პოეტების ხვედრია!

ახლა ილო მოსაშვილის პოეტიკაზე ჩამოვაგდეთ საუბარი და გახარებულნი იმით, რომ მის პოეზიაში ვერ შევნიშნეთ შორეული ლიტერატურული რემინისცენციების ნასახიც კი, ვერ აღმოვაჩინეთ სხვის მიერ განცდილისა და ნაგრძნობის კვალი, ჩვენს თვალში კიდევ უფრო მეტი ხიბლი და მშვენება შეემატა პოეტის ლირიკულ ქმნილებებს, კიდევ უფრო მეტი ემოციურობით მოქმედებდა ჩვენს სულზე მისი მოულოდნელი, ცოცხალი, შთამბეჭდავი პოეტური სახეები, უზადო ქართულით შესრულებული თუ ამღერებული სტრიქონები, მოხდენილი, ხატოვანი თქმები, დინჯი, ენერგიული, ჯაშიანი სიტყვა, სწორედ იმ მხარეში, იმ ადგილას, სადაც ასწლოვან ხეებს, ალბათ, ახლაც ახსოვთ ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილიასი და აკაკის კურთხეულ ბაგეთაგან წარმოთქმული სტრიქონები. და როცა მეოცე საუკუნის სხვა გამოჩენილი პოეტების ლირიკული ხმებიც გავიხსენეთ, უმალ 1922 წელს დაწერილი ილო მოსაშვილის სონეტი მოვიგონეთ, რამაც ერთხელ კიდევ გვაგრძნობინა პოეტის ძალა და თავისთავადობა:

ვარ კალმახივით გაქანგული არაგვის
ქვეშით,
დღეს ალაზანმა ცხელი მკერდი
გადამილამა,
ბედი შემება და წაქცევა ჩემი ილამა,
მაგრამ მთებისკენ მიმაქანებს ამაყი ჯიში.
შეუპოვარი მყავდა მამა და დედა მწყემსი,
ეხლაც ბუხართან მეგონება ცოლი დევისა,
ბევრი მიზიდავს მეც ღრუბელი ლეკის
მთებისა
და ღამე ნაბდის ნავლეჯივით მგდებია
მხრებზე.

ფშავსა და ქიზიყს ვაქორწინებ, როგორც
ჯილაგებს,
როცა დოლიდან საქართველოს მოვუტან
ბაღდადს,
ჩემი დროების სიხარული გულს
გამილაღებს.

ამ გზას მივენდე, ვთქვი სიმღერა მზის
ჰანგებიდან,
და თუ მოვტყუვდი ან გულისთქმა არ
გამინაღდდა,
უფსკრულებისკენ, გაფრენილი
უზანგებიდან...

შუადღე გადავიდა. დავტოვეთ წინანდალი, ახლა ყვარლისაკენ ავიღეთ გეზი. მანქანა სწრაფად მიდიოდა. მძღოლი გავაფრთხილეთ, ნელა ევლო. თვალს იტაცებდა ალაზნის ველზე გადაჭიმული ხორბლისა და სიმინდის ნათესები, ახლად შეწამლული ვენახის უზარმაზარი ფართობები, მწვანეში ჩაფლული სოფლები, წითელი აგურით კოხტად ნაშენი ორსართულიანი საცხოვრებელი სახლები. აღტაცებას ვეღარ ვფარავდით, ყველანი უბის წიგნაკში რაღაცას ვინიშნავდით, გზაზე შეხვედრილ გლეხებთან ვჩერდებოდით, ათას რამეს ვეკითხებოდით: ჯერჯერობით ყველაფერს კარგი პირი უჩანსო, გვპასუხობდნენ... და ასე დავდიოდით აღმა-დაღმა ალაზნის ჭალებში მთელი დღე. შემოვიარეთ ყვარლის შემოგარენი, ვინახულეთ დიდებული ალავერდი და შუამთის მონასტერი, საღამო ხანად თელავის მიდამოებიც მოვიარეთ და თბილისისაკენ გამოვწიეთ გომბორის გზით.

თეთრ წყლებში რომ გამოვდიოდით, უეცრად მანქანა ლიაში ჩაგვეფლო, ძლივს, ვაივაგლახით გავაღწიეთ სამშვიდობოს, მაგრამ მანქანა გაფუჭდა, რაღაც გატყდა. მძღოლმა გვითხრა, ამაღამ ვეღარსად წავალთო... გულწრფელად უნდა ვთქვა, ისეთი საღამო იდგა, იმნაირ ხასიათზე ვიყავით, არცა მწყენია. მეგობრებს შევხედე, ყველას სახეზე გაოცება შევნიშნე, მაგრამ სინანული არც ერთისათვის შემიმჩნევია. ერთხანს დაბნეულები ვიდექით, ვერაფერს ვახერხებდით. მხოლოდ მძღოლი უვ-

ლიდა მანქანას გარს და მეტი არაფერი. ვიღაცამ გამომწვევად დაიძახა: — რას უდგეხართ, ფიჩხია საჭირო, კოცონი უნდა დავანთოთ...

გავაჩაღეთ ცეცხლი, მწვანე ბალახზე გავშალეთ სუფრა. რამდენჯერმე ჩამოვატარეთ სავსე ფიალა, გავხალისდით. ტყიდან ღამეული ჩიტების სტვენა ისმოდა, სადღაც ღელე ჩხრიალებდა. მალე სავსე მთვარე დაემხო თავზე გომბორს და ვიღაცამ გიორგი ლეონიძის ლექსი თქვა: „მთვარე გომბორზე წაიქცა, რძით გავსებული ტაგანი“ და მყისვე ტიციანის სტრიქონები მიაყოლა: „გამოვა წამით გომბორზე მთვარე და გორგასალი ხმალით გადაწევს“. მერე წამოვარდა და ცეცხლზე ფიჩხის რამდენიმე კონა ერთად დააყარა. თითქოს ცას მისწვდა კოცონი... იმ ღამეს სიცოცხლის ყოველი წუთი საუკუნედ გვიღირდა. ვეყარეთ ღია ცისქვეშ, მიწაზე, მწვანე ბალახში და გვინდოდა გვეგრძნო მიწის ჩურჩული, გვეწოვა ბალახის რძიანი ღეროები, გაგვეგო ფრინველთა ენა, ამოგვეცნო ცისა და მიწის იდუმალება. მეგობრებმა ლექსის თქმა ვთხოვე. დამეთანხმნენ, თანაც დასძინეს: ისეთი რამე გვითხარი, ეს ღამე სამუდამოდ დაგვამახსოვრდესო, და როგორც კი ვახსენე ილო მოსაშვილის ლექსი „ღამე გომბორზე“, ყველანი სულგანაბულნი შემომაცქერდნენ:

საღამო მოდის, როგორც მთაში მგზავრი ურჯულო,
შავი ნაბადით და ყაბალახით,
მინდა ამ ღამეს მიწა ვიგრძნო და ვეჩურჩულო,
ვწოვო ბალახი.

მთები დამსხდარან, როგორც კარის დარბაისლები,
და გვიგზავნიან თეთრ ანგელოსებს.
შემოხვევია გომბორს ნისლი,
ჩვენ — ოცნება საქართველოზე.

დღეს ჩვენც ვიყავით ვაჟასავით მონადირენი,
ეხლა კი ვყრივართ ცის ქვეშ, კალოზე,
თუ სადმე ყვირის ნატყვიარი მკერდით ირემი,
ღმერთო, დალოცე!

მწვადი იწვება, შესევიან ცეცხლს შამფურები,
ღვინით სავსე მოდის მათარა.
მთვარეა — როგორც გატენილი ძროხის ცურები,
ცა კი — პატარა.

დაჟაძირავად გვემუქრება უნაპირობა,
და ტანს გვიმძიმებს ნაბადივით ღამის ბეწვები,
განშორებისას გული თითქოს ფარულ ტიროდა:
მშვიდობით, ძმებო, ვერ დაგვეწევით,
მინდორში ვყრივართ მუხლმოჭრილი მონადირენი,
ხოხბის ბუდობას გადასძახა სადღაც მამალმა...
ღმერთო, უშველე, თუ დაჭრილი სადმე ირემი
ღამემ დამალა!

კითხვა დავამთავრე და მეგობრებს გადავხედე: ჭეშმარიტი პოეზიის უნაზეს მშვენიერებას და უზენაეს ძალას მთელი არსებით განიცდიდნენ. მე ამ ლექსის შინაგან სინათლეზე, მის უაღრესად დახვეწილ ფორმასა და ინდივიდუალური პოეტური ნახატის თაობაზე არაფერი მითქვამს. არაფერი მითქვამს პოეტის მდიდარ ასოციაციებსა და პოეტური წარმოსახვების თავისებურებაზე, არ ვცდილვარ სტრიქონსა და სტრიქონს შუა მოთავსებული ქვეტექსტების გახსნასა და ამოკითხვას.

საჭიროდ არ მიმიჩნევია ილო მოსაშვილის ლირიკული ქმნილებების მშვენიერებაზე საუბარი, უბრალოდ ვთქვი: მოჩანს თუ არა პოეტის ლექსებში მისი დიდი კეთილშობილება და ფართო გული, ამდენ ადამიანურ სიკეთეს, რომ იტევს და სიხარულს გვანიჭებს?.. და გათამამებულმა იმით, რომ ყველანი უსიტყვოდ მეთანხმებოდნენ, ისევ პოეტის უბადლო სტრიქონები მოვიშველიე:

გავშალოთ ნაბდები, ქვეყანა დიდია,
დიდება მტრედისფერ განთიადს.
დიდება ზეცაში რამდენიც ჩიტია,
რამდენი ვარსკვლავიც ანთია.

დიდება, რამდენიც უყივის არწივი
ბუნების გულსა და სიკეთეს,
დადგება ბეღურა პატარა კაცივით
და ტოტზე ბუმბულის სასახლეს იკეთებს.

დადგება ტოროლა და როგორც მეკარე,
ყოველდღე შეაღებს ალიონს,
რომ ბალახს შეახოს ნისკარტის ეკალი
და ცვარი პირველმა დალიოს.

მოვიდეს მნათობი, ცას ღამის ნახშირი,
ცას შავი სარქველი ახადოს,
და როგორც მხატვარმა სურათი წაშლილი
ქვეყანა მეორედ დახატოს.

ამ ლექსით კიდევ უფრო მძაფრად ვიგრძენით მოსაშვილის ლირიკული ხმის თავისებურება, დახვეწილი პოეტური აზრის სიზუსტე, სიტყვის უაღრესი ეკონომია და მოხდენილი მხატვრული თემის, სათქმელის მომეტებული ლაკონურობა, ბუნების იდუმალების „მინდია-

სეული“ ალქმის დიდი უნარი, ცოცხალი პოეტური ფრაზის სიმჭიდროვე და ნაქედობა, რაც, როგორც ზემოთ დავრწმუნდით, ოდითგანვე ახასიათებს პოეტს.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი ჩანავლულ კოცონს ჩავცქეროდით. მთელ დღეს პოეზიაზე საუბრით გატაცებულნი, რაღას არ ვიხსენებდით, რას აღარ ვწვდებოდით გუმანით. დაღლას არ დაგიდევდით, ღამეს ჭიუტად ვტეხდით. ვფხიზლობდით, თითქოსდაც მიწა გვეგრძნო, ცა გვეგრძნო, სიცოხლე გვეგრძნო და სიცოცხლის სიყვარულით ავევსო სული. მართლა რა იქნებოდა ჩვენი ცხოვრება, რომ ქვეყანაზე პოეზია არ ყოფილიყო, არ ყოფილიყო პოეტური მშვენიერება. სილამაზე და განგებას ადამიანისათვის არ მიეცა ყოველივე ამის განცდის, შემჩნევისა და შეგრძნების უნარი!...

ხშირი ვარსკვლავები გაუჩინარდნენ ცაზე. ჩვენი კოცონის ფერფლისფერი მთვარე მთების მიღმა ჩაიწურა გალეული. შორს კავკასიონის მწვერვალები აკიაფდნენ სივრცეში თეთრად. სადღაც შაშვმა გაღაიჭახჭახა, ტოტიდან ტოტზე ჩიტი გადაფრინდა და გათენდა...

მძღოლმა ძრავი ახადა. ერთხანს რაღაცას ჩაკირკიტებდა, მერე საბურავები შეათვალიერა: — წავედით, ტყუილად გაგათევინეთ მინდორში ღამე. სანთლები იყო თურმე შესაცვლელი და ღამეში ვერ მივხვდი, — წაიბუტბუტა დარცხვენით და საჭეს მიუჯდა.

ჩვენ ბალახზე გაფენილი სუფრა ავალაგეთ. დოქებში ჩარჩენილი ღვინო მადლიან მიწაზე მოვამცვრიეთ და ჩავსხედით თუ არა, მყისვე თბილისისაკენ დავიძარით. გზაზე აღარაფერი გვითქვამს. მანქანის გაბმულ რწევაში იმ ღამითა და წინადღით განცდილისა და ნაგრძნობის მოგონებებით ბურანში წასულებს, პოეზიაზე საუბრით დაღლილებს და გომბორის ერთი დაუვიწყარი ღამის თეთრად გამთენებელთ, თურმე, ისე მაგრად ჩაგვეძინა, თბილისში შემოსვლაც არ გაგვიგია.

ილო მოსაშვილი, ზემომოტანილ საუკეთესო ლექსებთან ერთად, პოეტური აზრისა და განცდის ზედმიწევნით კონდენსირებასა და სიმჭიდროვეს. პოეტური ფრაზის უაღრეს დახვეწილობას დიდი ოსტატობით აღწევს 1933 წელს დაწერილი ლექსების ციკლში, რომელთა ლირიკულ ჩანაფიქრს კარგად გამოხატავს საერთო სათაური — „უბის წიგნიდან“. ეს ლექსები გახლავთ: „აბდურახმან“, „შეხვედრა მყინვარებში“, „ლეკის ქალი“, „წყევლა ჯიხვისა“, „მტირალი ქალი“, „ქალი წყაროსთან“, „მამალი ხოხობი“, „გველი და არწივი“, „მეტივეები მთვარიან ღამით“, „მოხუცი მეჩონგურე“ და სხვ. ამ ციკლში გაერთიანებული ორ-სამსტროფიანი ლექსები, როგორც პოეტის ბევრი სხვა ლირიკული ნაწარმოები, ფაქიზი გემოვნებით დაწერილი ნოველებია, რომელთა სტრიქონებში მუდამ ზომიერად ანთია ჭეშმარიტი პოეზიის ცეცხლი, რითაც ასე კეთილადაა განათებული ამ ლექსებში დახატულ ადამიანთა სახეები, მათი სოციალური ყოფა, ვნება და სიხარული, მწუხარება და მისწრაფებანი. სანიმუშოდ მოვიტანთ ორ პატარა ლექსს:

გრიგალი ღრუბლებს კლდეებში ურევს,
ღრუბელი მინდვრებს შორიდან ხედავს,
ქვრივი ქალი მიჰყვება ურემს
და თავდახრილი მისტირის ცხედარს.
ქვრივი ქალის ცრემლის ბადია —
ნიაღვრიანი წელიწადია.
ყოველ საღამოს დაიდებს ჩოხას,
ხანჯალს და რაც კი ვაჟის ლანდს იწვევს,
ჯერ მარილიან ცრემლებით პოხავს,
მერე ქმარივით ლოგინში იწვენს.
. . . . . . .
ატამსა კრეფს, აკიდოებს ატანს,
ტოტზე ლატანს გადახრის და ტოკავს,
ხან მოსწყვეტს და ბუსუსიან ატამს
დააკონებს აწითლებულ ლოყას.
ძირს მოზვერი მიწას ტორებს არტყამს
და ზმუილით მარილის ქვას ლოკავს.

მოზვერს მწყემსი სამარილეს უვსებს,
ბარძაყები უგავს მუხის ბოძებს,
ხან ატამზე გაწოლილ ქალს უმზერს,
ხან უაზროდ ამტერდება მოზვერს.

აქ უსათუოდ არის ხილვა პირველყოფილი სიწმინდისა, შეგრძნება მიწისა, ტკივილიცა და სიხარულიც, ადამიანის ყოფას რომ ამშვენებს და ფერს მატებს, სიცოცხლეს აზრს აძლევს...

თქმა არ უნდა, პოეტური სიტყვის თავისებურება, ინტიმი, საოცარი სიცხადით გამოსჭვივის ილო მოსაშვილის ლექსებში. მაგრამ დღეს ჩემზე განსაკუთრებული ცხოველმყოფელობით მოქმედებს და წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს 1928 წელს პოეტის მიერ არსენა ოძელაშვილისადმი მიძღვნილი ლექსი: „ჩემი ნაბადივით დაეშვება სალამო შავად, თითქოს ქვეყანა ქოხია ჩალური, ალგეთს გადაივლის და თრიალეთს ჩავა მთვარე ჩვენებური და ბორჩალური“. ეს ბოლო წლები სულ ამ მიდამოებში დავდივარ, ვტრიალებ და თითქმის ყოველთვის მახსენდება ეს სტრიქონები, თვალწინ მიდგა უკუღმართი ცხოვრებით განაწამები ვაჟკაცი და გული მიკვდება, როცა ვკითხულობ:

მარაბდაში ხმალი გამიჭედია,
დამაქროლებს არაბული უბელო,
ცასქვეშ ვეგდო — ვატყობ, ჩემი ბედია,
და მხრებზე შენ მეხვეოდე, ღრუბელო.

. . . . . . . .

მეგობარი — მარტო გულში იარა,
მარტო ქვა და ერთი კუბოს ფიცარი,
საწამლავით ავსებული ფიალა
და ძვლებამდე ჩამტვრეული ისარი

მართლაც რომ ძვლებამდე ატანს ამ ლექსის წალვლიანი კილო, მაგრამ მართალი პოეტური სახის სრულყოფით სიხარულს ანიჭებს ადამიანს — ეს არის პოეტის დიდი გამარჯვება. ეტყობა, პოეტი უზომო სიხარულს განიცდიდა, ოდეს არსენას ათქმევინებდა:

ეს ანდერძი მითქვამს ქვეყნის წინაშე,
სიყვარულით გავეყარე საწუთროს,
ვინც მაჯობოს ხელდახელ თუ რკინაში,
ჩემი ხმალი იმან დაისაკუთროს.

ეს სტრიქონები უეჭველად შვენის ილო მოსაშვილის ძლიერ პიროვნებას. პოეტს განგებისაგან ჰქონდა მინიჭებული მებრძოლი, გმირული სულის ადამიანის პოეტურად ხატვის უნარი და მისი დახვეწილი პოეტური ქმნილებები დღესაც პირველქმნილი ცხოველმყოფელობით მოქმედებენ ჩვენზე. მისი სამოქალაქო-საზოგადოებრივ მოტივებზე შექმნილი ლექსების კითხვისას ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს აგერ, ახლახან იყოს დაწერილი. ამით იმის თქმა მსურს, რომ, მიუხედავად იმისა, ოცი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც იგი ჩვენგან წავიდა, თავისი პოეტური მრწამსით, საქმითა და სიტყვით კვლავაც ჩვენს შორის დგას და დღევანდელობას ისეთივე მგზნებარებით ეხმაურება, როგორც ყოველი ჩვენთაგანი.

ოცდაათიან წლებში თანამედროვე ცხოვრებისეულ მოვლენებზე მან შექმნა მთელი რიგი ლირიკული ქმნილებები, ეს ლექსები გახლავთ: „ფოთლების, გულისა და ლექსების შესახებ“, „პირველი ქუხილი“, „ესეც ზღვა არის“, „ზაჰეს, შენ გიმღერ“, „ლექსები ალაზანზე“, „მინდვრები ეძახიან პოეტს“, „დამკვრელი ბამბაში“ და ბევრი სხვა.

ილო მოსაშვილს არასოდეს არ აკმაყოფილებდა ცხოვრებისეული ფაქტებისა და გრანდიოზული მოვლენების ეგრეთწოდებული პოეტური ღწერა. მან იცოდა, რომ პოეზია კიდევ „რაღაცას“ გულისხმობს, გარდა ლამაზი რითმებისა და მოხდენილი ფრთიანი გამოთქმებისა. ამიტომ იგი მხატვრულ სიტყვას მუდამ დიდი გულისხმიერებით ეკიდებოდა და შემოქმედებით წუთებში ალბათ უფრო მეტ ენერგიას ამ „რაღაცის“ ძიებაში ხარჯავდა, რომ მხატვრული სახისათვის მეტი ფერი და იდუმალება მიენიჭებინა, პოეტური აზრისათვის — მეტი განათება.

ამიტომ არის, რომ თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ დაწერილი მისი ლექსები ასე ცოცხლად და ცხოველმყოფელად გამოხატავენ თანამედროვე ცხოვრების მშენებელი ადამიანის ვნებებსა და მისწრაფებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძმაო პოეტო,
ქალაქიდან ლექსებს რომ გვესვრი,
აქ მოდი, ჩვენთან —
გახდი ჩვენი შრომის ნაცვალი,
ვინ იცის, შენ რომ ჩააგდო თესლი,
თაფლისა ჰქონდეს თავთავს მარცვალი.

აქ მოდი, ჩვენთან, —
მეძახიან ერთად მინდვრები,
მოვდივარ, ძმებო,
ძველი სევდა გულს არ მილონებს.
ეხლა დაბრუნდა მზის ამინდები
და ყვავილების სისხლით დავწერ ახალ
სტრიქონებს.

ვკითხულობ ამ ლექსს და თვალწინ მეხატება ჩემი სამშობლო, ამერ-იმერის მზით გაბრწყინებული მინდვრები, მსხმოიარე ბაღ-ვენახები, ქართლის უზარმაზარი ველები, ალგეთისა და ხრამის ნაყოფიერი მიდამოები და ფიქრში კვლავ ალაზნის პირას ვდგავარ. შევყურებ ბროწეულის ყვავილებითა და ასკილის ტოტებით წითლად აალებულ კორდებსა და ბილიკებს, კავკასიონის თეთრ მწვერვალებს, გომბორის მთებს და მეხსიერებაში ახლა პოეტის სხვა სტრიქონები ილვიძებენ: „თითქო დაქროლი სარკმელთან ვწევარ, ცაში ღრუბლები ქარმა დახია, ცაში მწევარი მიჰკივის მწევარს, წინ სხვა ღრუბელი — თეთრი ტახია“, ვიმეორებ ჩემთვის ჩუმად და ისევ მეგობრებთან ვარ, ისევ წინანდლის გზაზე მივქრივარ, უკან გვრჩება ილო მოსაშვილის სახლი, მისი მშობლიური სოფელი ვაქირი... პოეტი კი კვლავ ჩვენთან არის, ვხედავ მის ჭარმაგ, ძლიერ ფიგურას, პოეზიის ცეცხლით ანთებულ გულს, არწივის ცხვირითა და ქორის თვალებით დამშვენებულ სახეს და გული მწყდება: რატომ არ გამახსენდა, მეგობრებისათვის მეთქვა პოეტის უკანასკნელი ლექსი „დაიცადეთ“:

რარიგ სწრაფად მიფრინავენ დღენი,
დაიცადეთ, ვინ აბრუნებს ჯარას!
როგორა სჭამს ამ დალეულ შარას,
ძმებო, ჩემი ფეთიანი ცხენი!
დაიცადეთ, გავიხედო უკან,
გზა იყო თუ ელვა იყო ერთი!
ვინ მოხაზა ეს პატარა რუკა?
ან სად არის ქვეყანაზე ღმერთი! —
ვინც დაბადა, რად დასტოვა უკან
სიჭაბუკის აელეთილი მკერდი!
ცოტაც კიდევ, ბურანში ვარ ჯერაც,
მიჰქრის ცხენი და ვერ შევაჩერე!
ავყოლივარ ვარსკვლავების ცქერას,
კაცის გზას რომ ალალბედზე სწერენ...
დაიცადეთ, დაეხსენით წერას,
ჩემ სიმღერებს ვინ იმღერებს მერე!

მე როცა ამ ლექსს ბოლომდე ჩავიკითხავ ხოლმე, რაღაც გაურკვეველი შიშის გრძნობა მიპყრობს: მაკვირვებს სინათლისა და სიცოცხლის გაყრის გარდუვალობის, ყოველ წამს მოსალოდნელი სიკვდილის წინასწარ შეგრძნებითა და განცდის საშინელებით შთაგონებული ლექსის მშვენიერება. აქ ჩაუტანებია პოეტს ყველაზე მეტად სტრიქონსა და სტრიქონს შუა ნაღველი, ამ სტრიქონებიდან გამოსჭვივის ყველაზე მეტად სინანული იმის გამო, რომ ასე სწრაფად მიფრინავენ დღენი და ხელსა და ხელს შუა შეუმჩნევლად გვიქრება სიცოცხლე. არ შეიძლება ამ ლექსმა მკითხველი არ ჩააფიქროს, არ შეარხიოს და შეხძრას, ადამიანური ტკივილი არ განაცდევინოს. ამ ლექსში სწორედ ყოველი ჩვენთაგანის ფიქრი და ზრახვაა ქვეშეცნეულად გამჟღავნებული. წუთისოფლის დალეულ შარაზე ჩვენც ხომ თავგამეტებით მიგვაქროლებს ფეთიანი ცხენი, ჩვენც ხომ სიყრმიდანვე აყოლილი ვართ შორეული ვარსკვლავების ცქერას, კაცის გზას რომ ალალბედზე სწერენ...

ილო მოსაშვილი ფრიად თავისებური, დაფიქრებული პოეტია. მისი სული, ცხოვრებისეულ დიდ სიხარულსა და აღტაცებასთან ერთად, ბევრ ადამიანურ ტკივილსა და მწუხარებას იტევდა უთუოდ. ამიტომ პოეტის ლირიკული ქმნილებების, სიხარულითა და ნაღველით დამუხტული სტრიქონების იდუმალების ამოცნობა და პოეტური სახეების ამოხსნა, სრულყოფილად აქმა ყოვლად წარმოუდგენლად მიგვაჩნია მისი პოემებისა და დრამატული ნაწარმოებების, მოთხრობების, ნარკვევების და მისი ადრეული პუბლიცისტური თუ ლიტერატურული წერილების გაუთვალისწინებლად...

1940 წელს ილო მოსაშვილმა გამოაქვეყნა ვრცელი პოემა „ბაზალეთის ტბა“, რომელშიც მაღალმხატვრული პოეტური ხელოვნებითაა ასახული, ერთი მხრივ, საქართველოში მენშევიკური მთავრობის ბატონობის ხანა, კერძოდ, ჟორდანიას რაზმების თავაშვებული თარეში, მეორე მხრივ, ქართველი პატიოსანი მშრომელი ხალხის, მწყემსებისა და მიწის მუშების შეჭირვებული ცხოვრება, ხალხის წიაღიდან გამოსული თავდადებული ადამიანების გმირული ბრძოლა ძალმომრეობისა და უსამართლობის წინააღმდეგ.

პოემა იწყება მოგონებით, როცა ჯერ კიდევ რევოლუციამდე, 1918 წელს, დიდი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვაჟა-ფშაველა მიწას ეძებდა მთაში მცხოვრები ხელმოკლე, ღარიბი ხალხის ბარში, შირაქის ველზე ჩამოსასვლელად. დაუვიწყარია პოემის შესავალში ახალგაზრდა ილოსა და ვაჟა-ფშაველას შეხვედრა:

ჰო, დილა იყო თეთრი, რძიანი,
ლექსის სტრიქონზე მითრთოდა მაჯა,
უეცრად დადგა ცხენის თქრიალი
და შემოვარდა ეზოში ვაჟა.

„ბიჭო, სადა ხართ! —
დაჰკრა ეზოზე,
პირაღლო, ამ დროს როგორა გძინავს!“
შემოეკვალთა ჩოხა თეძოზე
და ფეხით ლეწდა უზანგის რკინას.

წინ შევეგებე,
გაშალა მხარი,
ხელი სწორსავით გამომიწოდა.
ფშავის მთებიდან მყვირალი ხარი
რას გადმოეგდო,
არვინ იცოდა.

ასევე დაუვიწყარია ვაჟა-ფშაველას გასაუბრება პოეტის დედასთან. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ მთელი პოემა მეტად ცოცხლად და შთამბეჭდავად არის დაწერილი, რომლის ოსტატურად ჩამოსხმული სიუჟეტის მოქნილობასა და მოძრაობაში ოსტატურად იკვეთება ნაწარმოების მთავარი იდეა. პოეტი პოემის შესავალშივე მოსწრებულად, მხატვრული სიტყვისა და პოეტური აზრის უაღრესი ლაკონიურობით გვამცნობს სოციალური უსამართლობისა და ჩაგვრის ხანაში მშრომელი ადამიანის უნუგეშო ყოფას, რასაც მწირი მთებიდან ბარში ჩამოსახლებამაც ვერ უშველა და ერთიანად მწარე იყო მისი ცხოვრება მთაშიც და ბარშიც, ვიდრე მოწინავე იდეებით აღჭურვილი გამორჩენილი ერისკაცების მეთაურობით ხალხი არ აღსდგა და თვით არ მოიშორა საუკუნეების მანძილზე ოფლითა და წვით ნატარები მონობის მძიმე უღელი:

მთაში არაგვი მთის ღობე-ყორეს
სიხრიდა, მოსთქვამდა კაცივით მწყრალი,
ბარში ურმულით მიმავალ ურემს
ცრემლად მისდევდა ალაზნის წყალი.

. . . . . . . .

შემოსეოდა ხეობის პირებს
ხალხი, ჭირში და ლხინში გამტანი...
და ბაზალეთზე შეფიცულ გმირებს
წინ მოუძღოდათ ოქროს აკვანი...
მოდის ლანქერად. ფეხზე ამდგარი
ყველა მთიელი, ყველა ბარელი, —
ვისაც კი დღემდე, როგორც ავდარი,
სდევდა ცხოვრება გაუხარელი.
ლევა? — ვინ იცის, რამდენი ლევა,
შურისძიების ჟინით აღძრული!
მოდის, საქვეყნო რისხვას და დელგმას
არც პირი უჩანს, არც დასასრული.
მოდის, რომ ქართლშიც დადგეს სიმართლე
და საბჭოების დიდი ზაფხული.

როგორც ვხედავთ, ილო მოსაშვილის ვრცელი პოემა „ბაზალეთის ტბა“ ერთ-ერთი პირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი ეპიკური ნაწარმოებია, რომელშიც მაღალ-მხატვრული პოეტური ფერებითაა გადმოცემული ხალხის რჩეული ადამიანებისა და მშრომელთა ფართო მასების თავგანწირული ბრძოლა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. პოემა სავსეა პლასტიკური ყოფითი სურათებით, მოკვეთილი მეტაფორული გამოთქმებით და ამიტომაც ბოლომდე შეუნელებელი ინტერესით იკითხება. პოემა დაწერილია სადა, უბრალო, სასაუბრო ხატოვანი ენით, მაგრამ, ამავე დროს, მასში იგრძნობა მომეტებულად მაღალმხატვრული, დახვეწილი პოეტური სტილი და ეს კიდევ უფრო აძლიერებს და ცხოველმყოფელს ხდის პოეტის ლირიკულ ჩანაფიქრსა და პოემის ემოციურ ძალას: ასევე წმინდა, დახვეწილი, ნატიფი სტილითა და ოსტატობით შექმნა პოეტმა რამდენიმე საბავშვო პოემა, რითაც დიდად შეუწყო ხელი ქართული საბავშვო საბჭოთა ლიტერატურის განვითარებას. ეს პოემები გახლავთ: „რომზგა ჩაფარი“, „უცნაური ცხოველი“, „სამი მონადირე“, „კიკნას თავგადასავალი“ და „ერთად“.

ყველა ამ ნაწარმოებს კარგად იცნობს ქართველი მკითხველი და მათ შინაარსობრივ გარჩევასაც აქ არ შევუდგებით. მხოლოდ ვიტყვით, რომ ეს პოემები ჩვენთვის მით უფრო საინტერესონი არიან, რომ მათ ერთნაირი გულისხმიერებით კითხულობენ როგორც მოზარდი თაობა და ახალგაზრდობა, ისე ქარმაგი და ხანდაზმული ადამიანები. რასაკვირველია, ამ პოემების ამგვარი გამარჯვება გაპირობებულია მათი შემოქმედის დიდი პოეტური ხელოვნებით.

ილო მოსაშვილი ამ მხრივაც ღირსეულად აგრძელებს ჩვენი დიდი კლასიკოსების — ილიას, აკაკისა და ვაჟას ლიტერატურულ ტრადიციებს. მართლაცდა, დღემდე ხომ ინტერესით კითხულობენ პატარებიცა და დიდებიც აკაკის საბავშვო ლექსებს, ვაჟას „შვლის ნუკრის ნაამბობს“. კითხულობენ და როგორც პატარები, ისევე დიდებიც ერთნაირად ტკბებიან და სიამოვნებენ ცინცხალი, გაუხუნარი ფერებითა და უბერებელი პოეტური აზრით. ილო მოსაშვილი აქაც ხელბედნიერი პოეტია, ხოლო ყოველივე ამის საუკეთესო საბუთი მისი საბავშვო პოემებია.

ილო მოსაშვილს დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული საბჭოთა დრამატურგიის განვითარების საქმეშიც. როგორც მისი ბიოგრაფიიდან ვიცით, იგი სიჭაბუკიდანვე გატაცებული იყო თეატრალური ხელოვნებით. პოეტი ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში წერდა პიესებს, რომელთა სცენაზე განხორციელებას თვით ხელმძღვანელობდა, სიღნაღისა და თელავის თეატრებში, როგორც ნიჭიერი რეჟისორი და აქტიორი...

1930 წელს პოეტმა გამოაქვეყნა თავისი ვრცელი დრამატული ნაწარმოები „ორი ნაპირი“, რომელშიც დიდი პოლიტიკური სიმახვილითა და გამჭრიახობით არის ასახული ქართველი ხალხის ყოფითი სურათები, მისი თავდადებული ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის; ხოლო ორმოცდაათიან წლებში მან ზედიზედ გამოაქვეყნა. „მისი ვარსკვლავი“, სადგურის უფროსი“, „ჩაძირული ქვები“ და „გზა მშვიდობისა“, რითაც ერთბაშად მიიპყრო ქართული მწერლობისა და საზოგადოების ყურადღება, როგორც დრამატული ხელოვნების გამოჩენილმა ოსტატმა. ყველა ეს პიესა შექმნილია დიდი პატრიოტული მგზნებარებით და ამიტომაც სიყვარულით მიიღო მაყურებელმა. გარდა ამისა, პოეტმა შექმნა საოპერო ლიბრეტო „დიადი გზა“, რამდენიმე კინო-მოთხრობა, საინტერესო მოთხრობები და ნარკვევები, ლიტერატურული წერილები და სხვა, რითაც მხურვალედ ეხმაურებოდა თანამედროვე აქტუალურ, ცხოვრებისეულ საკითხებსა და მოვლენებს.

ილო მოსაშვილი დიდი გულისხმიერებითა და გემოვნებით თარგმნიდა მშობლიურ ენაზე, როგორც გამოჩენილი რუსი და უკრაინელი პოეტების ლირიკულ ქმნილებებს, ისე სხვა მოძმე რესპუბლიკების პოეტების ნაწარმოებებს. მის მიერაა თარგმნილი ა. ნავოის — „ფარხადი და შირინი“ (ნაწყვეტი), „დავით სასუნცი“ (სომხური ეპოსი), რომლებიც დღესაც ინტერესით იკითხება, ხოლო პოეტის მიერ შესრულებული ი. ფრანკოს „თავისუფალი სონეტების“ თარგმანი უეჭველად ლირიკული ლექსების თარგმნის ნიმუშებად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

ილო მოსაშვილი 1938 წელს არჩეული იქნა საქართველოს სსრ პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, ხოლო შემდეგ, გარდაცვალებამდე, იგი საქართველოს უმაღლესი საბჭოს ყველა მოწვევის უცვლელი დეპუტატი იყო. ამასთან ერთად, მას ჰქონდა მიღებული მთავრობის რამდენიმე ჯილდო, იყო საქართველოს მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე.

ილო მოსაშვილს წელს დაბადებიდან ოთხმოცი წელი შეუსრულდა, ხოლო გარდაცვალებიდან ოცდაორი, მაგრამ გვეჩვენება, რომ პოეტი თავისი მაღალმხატვრული შემოქმედებით დღესაც ჩვენ შორის დგას და გაუბზარავი ომახიანი ხმითა და თავისებური ვაჟკაცური შემართებით კვლავაც ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის იბრძვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროკოფი რატიანი

# ალექსანდრე წულუკიძე როგორც მოაზროვნე

(ეროვნული საკითხი მის ნაშრომებში)

## I

მიმდინარე წლის ნოემბერში 100 წელი სრულდება გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერის, საქართველოსა და ამიერკავკასიაში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების ერთ-ერთი ფუძემდებლის ალექსანდრე (საშა) გრიგოლის ძე წულუკიძის დაბადებიდან.

ალექსანდრე წულუკიძემ წარუშლელი კვალი დატოვა ქართველი ხალხის ისტორიაში არა მარტო როგორც მუშათა კლასის ინტერესებისათვის შეუდრეკელმა მებრძოლმა — პრაქტიკოსმა, არამედ, აგრეთვე, როგორც შესანიშნავმა თეორეტიკოსმა და მოაზროვნემ, რომელმაც ჯერ კიდევ რუსეთის პირველი რევოლუციის გარიჟრაჟზე შესძლო მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ღრმად შესწავლა და, რაც მთავარია, მასზე დაყრდნობით — საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა მეცნიერული გააზრება.

ალექსანდრე წულუკიძის ნაშრომები მოწინავე ქართული აზროვნების ნამდვილი თვალმარგალიტებია; მათ დღესაც არ დაუკარგავთ მნიშვნელობა და, ალბათ, არც არასდროს დაკარგავენ. ალ. წულუკიძის დამსახურება განსაკუთრებით დიდია პოლიტიკური ეკონომიის დარგში. მისი „ნაწყვეტები პოლიტიკური ეკონომიიდან" ამ ჟანრის ლიტერატურის ნამდვილი შედევრია. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს მის ფილოსოფიურსა და პარტიულ-პოლიტიკურ პრობლემებზე დაწერილ გამოკვლევებს („ოცნება და სინამდვილე" და სხვ), აგრეთვე, ლიტერატურულ-კრიტიკულ ნაშრომებს („ახალი ტიპი ჩვენს ცხოვრებაში" და სხვ.), რომლებმაც თვალსაჩინო ადგილი დაიჭირეს ქართული აზროვნებისა და კრიტიკის ისტორიაში.

ალ. წულუკიძე ძალიან თავისებური, თითქმის განუმეორებელი პიროვნებაა, ახალი ტიპის მოღვაწეა, რომელსაც იმდროინდელ საქართველოში (ი. სტალინის გარდა) ბადალი არა ჰყავს. მასში მეცნიერისა და თეორეტიკოსის დიდი ნიჭი ბედნიერად არის შეხამებული პრაქტიკოს-რევოლუციონერის მტკიცე ნებისყოფასთან. ა. წულუკიძე ერთი მთლიანი, მონოლითური მოღვაწეა, მტრებთან შეუდრეკელი და უკომპრომისო მებრძოლია, ამავე დროს, იგი ყოველთვის, თვით უძნელეს პირობებშიც კი, ახერხებს ადამიანებთან გულთბილი დამოკიდებულების შენარჩუნებას. „მე (კ. მარქსის) „კაპიტალი" მხოლოდ სახელმძღვანელოდ, გზის მაჩვენებლად, ლამპრად მინდა, დანარჩენი კი ისევ ადამიანთა თანაგრძნობით უნდა განხორციელდესო", — ამბობს იგი და ამ სიტყვებით მთელი მისი ხასიათია გადმოცემული.

ალ. წულუკიძის იშვიათი ნიჭი და ვაჟკაცობა, უპირველეს ყოვლისა, თვით იმ ფაქტში გამოჩნდა, რომ მან, მდიდარი თავადის შვილმა, სრულიად ახალგაზრდამ, თავისი ნებით უარყო უზრუნველყოფილი ცხოვრება და შეგნებულად დაადგა მშრომელი ხალხის, დაჩაგრული პროლეტარიატის განთავისუფლებისათვის ბრძოლის ხიფათიან გზას. ამ ფაქტს განსაკუთ-

რებულ, შეიძლება ითქვას, ისტორიულ მნიშვნელობას ანიჭებს ის გარემოება, რომ ალ. წულუკიძეს, ვიდრე იგი ცხოვრების გზას აირჩევდა, არც ევროპაში უცხოვრია და არც რუსეთში. მარქსიზმთან ის მიიყვანა თვით საქართველოს ცხოვრებამ, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარების შინაგანმა ლოგიკამ.

ბავშვობა და ყრმობა საშამ დაბა ხონში გაატარა. ხონი მის დროს აქტიურად იყო ჩაბმული სავაჭრო-სამრეწველო საქმიანობაში და ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობის განვითარებაზე დაკვირვების კარგ საშუალებას იძლეოდა. ხონიდან დიდი ბუნებრივი ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდა ქუთაისში გადავიდა და ერთხანს იქაურ გიმნაზიაში სწავლობდა. სწორედ ქუთაისში, ქართული კულტურის ამ შესანიშნავ ცენტრში, შეისისხლხორცა ალ. წულუკიძემ მოწინავე ქართული საზოგადოებრივი აზრის დიდი მონაპოვრები და აირჩია ცხოვრების გზა, რომელიც ამ მონაპოვრების შემდგომი განვითარებისა და ყველაზე პროგრესულ მოძღვრებასთან მათი შეერთებისაკენ მიდიოდა. შემთხვევითი როდი იყო, რომ ქუთაისიდან საშა თბილისში გადმოვიდა და მუშაობა ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიაში“ დაიწყო. ახალგაზრდა პუბლიცისტი და რევოლუციონერი უდიდესი გულისყურით აკვირდებოდა მშობლიური ქვეყნის საზოგადოებრივ მოვლენათა განვითარებას და მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი ცხოვრების მიზანი საბოლოოდ გამოირკვა, მან გადაწყვიტა გამგზავრებულიყო რუსეთს, რათა სამშობლოში შეძენილი ცოდნა გაეღრმავებინა და მარქსისტული აზროვნების ნამდვილ მწვერვალებს დაუფლებოდა.

იმ იდეური წყაროების დასადგენად, რომლებმაც ალ. წულუკიძის მარქსისტული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყვეს, უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ერთ მის პირად წერილს მეგობრისადმი, გამოგზავნილს მოსკოვიდან 1897 წლის 18 ნოემბერს. ამ წერილში ავტორი პირდაპირ მიუთითებს იმ განსაკუთრებულ როლზე, რომელიც მისი მსოფლმხედველობის ფორმირებაში ქართველი სამოციანელების რევოლუციურ-დემოკრატიულმა იდეებმა შეასრულეს. წერილში ნათქვამია:

„ჩემი წარსული ცხოვრება შენ კარგად იცი... გავიდა ხანი და ზოგიერთი გარემოების გამო (ამას, თუ საჭირო იქნება, რომ გნახავ მაშინ გეტყვი) არარაობა ამნაირი ცხოვრებისა მე შევიგენ ცოტად, თუ ბევრად და ამის შედეგი იყო თვითგანვითარების ხელის მოკიდება. როგორც წინაალმდეგობას, პირდაპირ კონტრასტს ჩემი ცხოვრებისას ყოველ ახალ აზრს წიგნში ამოკითხულს, *ს ა მ ო ც ი ა ნ ე ლ ე ბ ი ს ი დ ე ა ლ ე ბ ს* (განსაკუთრებით) *გ ა ტ ა ც ე ბ ი თ ვ ე ძ ლ ე ო დ ი* (ხაზი ჩემია, პ. რ.) და ამ გზით, ამნაირად დღემდე მოვდივარ და ამ გზითვე მინდა მომავლისაკენ გზა გავიკაფო“.1

გამოჩენილი ქართველი მარქსისტის ეს განცხადება უძვირფასესი საბუთია იმ აზრის საილუსტრაციოდ, რომ საქართველოში (ისევე როგორც რუსეთში) სოციალ-დემოკრატიის წინამორბედნი, პირველ რიგში, იყვნენ სწორედ სამოციანელები, რომელთა საზოგადოებრივი იდეები და იდეალები ყველაზე ახლოს იდგა მარქსისტულ მოძღვრებასთან. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ქართველ სამოციანელთა ანუ თერგდალეულთა იდეების შემდგომი განვითარება მხოლოდ მარქსიზმის აღიარებით და მარქსისტული აზროვნების შეთვისებით იყო შესაძლებელი.

თერგდალეულებმა გზა გაუკაფეს ჩვენში მარქსისტულ აზროვნებას და მოამზადეს პირობები ნამდვილი, რევოლუციური მარქსიზმის გამარჯვებისათვის.

ალექსანდრე წულუკიძის, როგორც მოაზროვნის, განსაკუთრებულ დამსახურებად ჩვენ მარტო ის გარემოება კი არ მიგვაჩნია, რომ მან ზედმიწევნით კარგად შეისწავლა კ. მარქსის ნაშრომები, არამედ ის, რომ მან პირველმა შესძლო მარქსის მოძღვრების თვალთახედვით საქართველოს ისტორიის, კერძოდ კი ეკონომიური ისტორიის ურთულეს მოვლენათა ღრმად შესწავლა და მთელი რიგი საკვანძო საკითხების მეცნიერული გაშუქება. ამ უძნელესი ამოცანის გადაწყვეტა მან მოახერხა, ერთი მხრივ, თეორიული ცოდნის გაღრმავებისათვის შეუპოვარი ბრძოლით, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს ცხოვრების მოვლენებზე უშუალო დაკვირვებით.

მოკლე დროში, სულ რამდენიმე წლის მანძილზე, ალ. წულუკიძემ მოასწრო მთელი საქართველოს და ამიერკავკასიის ცხოვრების მაჯისცემის საფუძვლიანი გაცნობა. ხონი, ქუთაისი, ჭიათურა, თბილისი, ბათუმი, სოხუმი, ბაქო, — აი ის ქალაქები, სადაც იგი მოღვაწეობდა და უშუალოდ აკვირდებოდა ცხოვრების მოვლენებს. გარდა ამისა, ჩვენთვის ცნობილია, რომ საშა გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს ჭიათურის შავიქვის მწარმოებელთა საბჭოს საქმიანობას, ქუთაისისა და თბილისის სათავადაზნაურო ბანკების ირგვლივ გაჩაღებულ ბრძოლას, საქართველოს სხვადასხვა პროვინციებში დაარსებული ამხანაგობების მუშაობას და ა. შ. ერთი სიტყვით, იგი ტრიალებდა თავისი ქვეყნის ცხოვრების შიგ შუაგულში, ბეჯითად და სერიოზულად სწავლობდა ხალხის ჭირ-ვარამს და მოუწოდებდა მშრომელებს ცხოვრების ძირფესვიანი გარდაქმნისაკენ.

ამგვარმა დაუღალავმა მოღვაწეობამ, თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების შეერთებამ, ალ. წულუკიძეს საშუალება მისცა გამოეთქვა ფრიად საყურადღებო აზრები და გაეკეთებინა დიდმნიშვნელოვანი დასკვნები თავისი ქვეყნის ისტორიის საკითხებზე. მართალია, ალ. წულუკიძეს სპეციალური ისტორიული ნაშრომი არ დაუწერია, მაგრამ მისი შეხედულებები საქართველოს ისტორიის საკვანძო საკითხებზე უხვად არის გაბნეული მის გამოკვლევებსა და წერილებში.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით ცოტად თუ ბევრად დაწვრილებით გავაცნოთ მკითხველს ა. წულუკიძის შეხედულებები ეროვნულ საკითხზე, მაგრამ მანამდე საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მაინც შევეხოთ იმ მეთოდს, რომლითაც ა. წულუკიძე საზოგადოებრივი მოვლენების კვლევისას ხელმძღვანელობდა.

## II

ალ. წულუკიძე, ისევე როგორც ყოველი მარქსისტი, რომელიც საზოგადოებრივ მოვლენებს იკვლევს, რა თქმა უნდა, ისტორიის მატერიალისტური გაგების მეთოდით ხელმძღვანელობს, მაგრამ საქმე ისაა, რომ, ბევრი მისი თანამებრძოლისაგან განსხვავებით, იგი ზედმიწევნით კარგად ფლობს ამ მეთოდს და აქტიურად იყენებს მას ურთულესი ისტორიული მოვლენების ასახსნელად. იმისათვის, რომ მკითხველმა წარმოიდგინოს, რა ნათლად და გარკვევით მსჯელობს ა. წულუკიძე ისტორიის მატერიალისტური გაგების მეთოდზე და რა ღრმად აქვს შეთვისებული ამ მეთოდიდან გამომდინარე სახელმძღვანელო პრინციპები, კერძოდ კი ისტორიზმის პრინციპი, თავს ნებას მივცემთ მოვიტანოთ სათანადო ამონაწერები მისი ნაშრომებიდან.

სტატიაში „საუბარი მკითხველთან“, რომელიც ანტონიო ლაბრიოლას ცნობილი წიგნის გარჩევას ეძღვნება, აგრეთვე მთელ რიგ სხვა სტატიებში, ა. წულუკიძე მკაცრად აკრიტიკებს სხვადასხვა ჯურის სოციოლოგთა სუბიექტურ-იდეალისტურ შეხედულებებს და დაწვრილებით განმარტავს ისტორიის მატერიალისტური (მონისტური) გაგების მეთოდს; ავტორი განსაკუთრებით უსვამს ხაზს, ერთი მხრივ, ისტორიზმის პრინციპს, ხოლო, მეორე მხრივ, ეკონომიური ფაქტორის გადამწყვეტ როლს. ამასთან, ავტორი საგანგებოდ აფრთხილებს მკითხველს, რომ ისტორიაში ეკონომიური ფაქტორის გადამწყვეტი როლის აღიარება არ ნიშნავს, როგორც ამას მარქსიზმის ვულგარიზატორები ფიქრობდნენ, თითქოს ყოველი ისტორიული მოვლენა და ყოველი ადამიანური საქმე უთუოდ ეკონომიური პირობებით ავხსნათ.

გავეცნოთ ავტორის მსჯელობის ზოგიერთ დამახასიათებელ მაგალითს.

„ღვთის მეტყველების წარმოდგენით კაცობრიობის ისტორიას წინდაწინ განსაზღვრული გეგმა ჰქონდა; იურისტები, რომელთაც შენიშნეს სხვადასხვა დაწესებულების ფორმების ცვლა, რთული სოციალური განწყობილების მიზეზად გონებას რაცხდნენ; პოლიტიკოსები, რომელთა აზრით სახელმწიფოს მმართველთ შეუძლიათ დაისახონ მიზანი და კიდეც განახორციელონ, ფიქრობდნენ, რომ მთელი ისტორია მთავრობის სურვილების, პროექტების და გეგმების ნაყოფია. ჩვენი აზრით კი, ადამიანის მოქმედება წინათ განზრახული ნების და გეგმის ნაყოფი როდია; ისტორიას თუმცა ადამიანის მოქმედება ქმნის, მაგრამ იგი არ არის კრიტიკული აზრის ანუ ცნობიერი ნების ნაყოფი“.[2]

შემდეგ:

„ყოველი გენიოსი მხოლოდ მაშინ გენიოსობს, როცა სოციალური პირობები ეთანხმება მის მოქმედებას, მისწრაფებას, ხელს უწყობს მისი აზრის განხორციელებას. ეს კი მაშინ შეიძლება, თუ გენიოსის აზრი თვით ცხოვრების აზრია, ე. ი. თუ მისი იდეალი თანამედროვე ცხოვრების პირობების აუცილებელი შედეგია; დიად ნიჭს შეუძლია მხოლოდ აცნოს საზოგადოებას მისი ნამდვილი გზა და კვალი, გამოურკვიოს იმ ელემენტების ვითარება, რომელიც აუცილებლად განსაზღვრულ მომავლისაკენ მიისწრაფვის, თვითონ სამეცნიერო ნავით გაჰყვეს ცხოვრების ძლიერ ტალღებს და ეს განსაზღვრული მიმართულება თვით საზოგადოებისათვის სასარგებლოდ გამოიყენოს... ამრიგად, სოციალური პირობები შობს გენიოსებს, ჰქმნის მეცნიერებას და ზრდის ადამიანის გონებას“.[3]

შემდეგ:

„ყოველგან და ყოველთვის ასე იყო. მეცნიერება ცხოვრებასთან ერთად იზრდებოდა. მეცნიერებას თვით ცხოვრება ჰქმნიდა და არა მეცნიერება ცხოვრებას. თავისი ხანგრძლივი განვითარების დროს გონებამ მრავალი მიმართულება და თეორიები შექმნა, რომელნიც ერთ ჯაჭვს შეადგენენ კაცობრიობის გონების განვითარებისას. მათ შორის განუწყვეტელი კავშირია ისე, როგორც თვით ისტორიული ცხოვრების სხვადასხვა ეპოქები, რომელნიც სხვადასხვა თეორიების მშობელია, ერთმანეთზე გადაბმული არიან და ერთ მთელ გრძელ ისტორიას წარმოადგენენ.

წარსული აწმყოს მშობელი იყო; მხოლოდ აწმყოში უთუოდ მომავალია ჩასახული, აი ამიტომ შეუძლია ადამიანს წარსულის და აწმყოს ცოდნა მომავლის მოსაგვარებლად გამოიყენოს და სწორედ ამ გზით შექმნა ადამიანმა მეცნიერება“.[4]

მაგრამ როგორ უნდა აღმოაჩინოს მეცნიერებამ ის კანონები, რომლის მეოხებითაც წარსული აწმყოს შობს, ხოლო აწმყო მომავალს? ამ კითხვაზე ავტორი ასეთ შესანიშნავ პასუხს გვაძლევს:

„ამისათვის საკმაო არ არის მარტო ისტორიული ფაქტების ცოდნა, მათი მწყობრად და ლამაზად მზობა. საჭიროა მეცნიერული მეთოდი, რომელიც ამ ფაქტებს რაიმე გარკვეულ ხასიათს მისცემს, მოვლენათა კავშირს იპოვის... საჭიროა კვლევის მეთოდი, რომელმაც უნდა ჩამოასხას, ააგოს მრავალგვარი ისტორიული ფაქტები ერთ მძივზე და საზოგადოებრივი განვითარების კანონი გვამცნოს. მრავალი შრომისა და ცდომის შემდეგ ეს საკითხი, ჩვენი აზრით, გადაწყვიტა პრინციპიალურად ისტორიის მატერიალისტურმა გაგებამ“.[5]

შემდეგ:

„ეკონომიურმა კანონებმა სამუდამოდ დაამარცხეს ყოველნაირი ილუზიები და სოციალურ მოვლენათა ხელმძღვანელნი გახდნენ. დიდმა სამრეწველო რევოლუციამ ყველასთვის ცხადჰყო, რომ საზოგადოებრივი კლასები და მათი ურთიერთშორის დამოკიდებულება უბრალო შემთხვევის, ანუ ვისიმე სურვილის ნაყოფი როდია; ის ისტორიულად და სოციალურად წარმოების განსაზღვრული მატერიალისტური პირობების წარმოშობილია...

რა თქმა უნდა, მხოლოდ სრულიად უვიცს შეუძლია წარმოიდგინოს, რომ ინდივიდუალური ზნეობა თვითეული ადამიანისა შეეფერება მის ეკონომიურ მდგომარეობას; არავინ არ ცხოვრობს თავის კლასში კარჩაკეტილი, ყველა კლასებს გავლენა აქვთ ერთმანეთზე. წრისა და ტრადიციის გავლენა ისე მჭიდროდ არის ერთმანეთში ჩართული, რომ შეუძლებელია ყოველი ადამიანის განვითარება კლასის განწყობილებასა და საზოგადო ცხოვრებას შეედრებოდეს“.[6]

დაბოლოს, მოვიტანთ კიდევ ერთ საინტერესო ამონაწერს, საიდანაც მშვენივრად ჩანს, რომ ალ. წულუკიძე თვით ისტორიის მატერიალისტური გაგების თეორიას განიხილავს როგორც გარკვეული ისტორიული ვითარების პროდუქტს, როგორც პროლეტარიატის ეპოქის კანონზომიერ მოვლენას.

„აზრთა და შეხედულებათა შეცვლა ნელნელა და თანდათანობით ხდება. ცხადია, მარქსსა და ენგელსსაც ჰყავდათ ისტორიაში თავისი წარმომადგენელნი, თუმცა პირველად ამ ორმა მეცნიერმა დაასაბუთა მონისტური თეორია... ახალი მოძღვრების ნამდვილი წინამორბედნი თანამედროვე ისტორიის ფაქტები იყო: ეს ფაქტები უფრო, თვალსაჩინო შეიქმნა მას შემდეგ, რაც ინგლისმა განვლო მე-18 საუკუნის ბოლო დიდი სამრეწველო რევოლუცია, მხოლოდ საფრანგეთში მოხდა დიადი სოციალური ცვლილება. ისტორიის მატერიალისტური გაგება განსაზღვრული ისტორიული პირობებიდან წარმოიშვა: ეს როდი იყო ორი მწერლის აზრთა შეჯახება, არამედ მთელი მეცნიერების გამარჯვება, რომელიც ახალმა ცხოვრებამ შვა. ეს ცხოვრება — პროლეტარიატის ცხოვრებაა. ეს მოძღვრება ამ დროისა და ადგილის შექმნილია და შემცდარი ვიქნებით, ბიც ცხადჰყოფდნენ, თუ რა ღრმად და ყოველთვის შეიძლებოდა იგივე მომხდარიყო. მაშინ რატომ არ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, რომ ძველი საბერძნეთის ქალაქი, სადაც მონობა სუფევდა, მასთან ერთად თანამედროვე ტექნიკას განავითარებდა? რატომ არ ვიფიქროთ, რომ არისტოტელეს შეეძლო დაეწერა კომუნისტური პარტიის მანიფესტი, ან, რომ თანამედროვე გამოგონებანი შეიძლებოდა ყოველი დროისა და ადგილის კაცს მოსვლოდა თავში, რომ ამ გამოგონებათათვის არც განსაზღვრული პირობა იყო საჭირო, არც მოთხოვნილება, არც მრავალჯერ განმეორებული გამოცდილება“.[7]

ასე შესანიშნავად მსჯელობდა ალ. წულუკიძე ისტორიის მატერიალისტური გაგების თვალსაზრისზე. შეგვეძლო მისი ნაწერებიდან მოგვეტანა კიდევ ბევრი ამონაწერი, რომლებიც ცხადჰყოფდნენ, თუ რა ღრმა და ყოველმხრივ ჰქონდა მას შეთვისებული ისტორიულ მოვლენათა კვლევის ყველაზე მოწინავე თეორია, მაგრამ ეს ზედმეტად მიგვაჩნია. ვფიქრობთ, ყოველი ავტორის კვლევის მეთოდზე ნამდვილი წარმოდგენა უნდა მოგვცეს არა მისმა მსჯელობამ ამ მეთოდის ირგვლივ, არამედ მისმა გამოკვლევებმა.

ალექსანდრე წულუკიძის ნაწერებიდან მშვენივრად ჩანს, რომ მათი ავტორი არა მარტო სწორად მსჯელობდა ისტორიის მატერიალისტური გაგების მეთოდზე, არამედ ოსტატურადაც იყენებდა ხსენებულ მეთოდს საქართველოს ისტორიის ურთულეს მოვლენათა გასარკვევად.

ამ აზრის საილუსტრაციოდ საკმარისია გავეცნოთ მის ნაწერებს ეროვნულ საკითხზე, რომელიც მის დროს ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე საჭირბოროტო და თანაც თეორიულად შედარებით ნაკლებად დამუშავებული საკითხი იყო.

### III

ალექსანდრე წულუკიძის ნაწერები საკუთრივ ეროვნულ საკითხზე მოცულობით შედარებით მცირეა, მაგრამ მათში ჩაქსოვილი აზრები იმდენად ღრმა და ორიგინალურია, რომ მათ ავტორს არ შეიძლება დიდი მოაზროვნის სახელი სამუდამოდ არ დაუმკვიდრდეს.

ეროვნულ საკითხისადმი მიძღვნილი თავისი პირველი ნაშრომი, სათაურით „ნაციონალიზმი და სოციალიზმი“, ა. წულუკიძემ 1901 წელს, გაზეთ „ბრძოლაში“ (№2-3) გამოაქვეყნა. თუ იმ გარემოებას გავითვალისწინებთ, რომ იმ დროს ლენინიზმის იდეოლოგიისა და პოლიტიკის გამომუშავება ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო, ხოლო მეორე ინტერნაციონალიზმის ბელადებმა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ფუძემდებლური დებულებები ეროვნულ საკითხზე საბოლოოდ დაივიწყეს, არ შეიძლება არ გაგვაკვირვოს ა. წულუკიძის სოიცარმა გამჭრიახობამ და ღრმად მეცნიერულმა დაკვირვებებმა ეროვნული საკითხის ურთულეს თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემებზე. ემყარება და ოსტატურად იყენებს რა მატერიალისტური დიალექტიკის მეთოდს, ალ. წულუკიძე ეროვნულ საკითხს იხილავს არა როგორც ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ და ყველა დროისათვის ერთნაირი მნიშვნელობის მქონე საკითხს, არამედ როგორც ისტორიულად ცვალებად მოვლენას, რომლის როლისა და მნიშვნელობის განსაკუთრებული ზრდა მთელ მსოფლიოში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებასა და დამკვიდრებასთანაა დაკავშირებული. ალ. წულუკიძემ მშვენივრად იცის, რომ ერი ეთნიკური კატეგორია კი არაა, როგორც ამას სხვადასხვა ჯურის იდეალისტები და ოპორტუნისტები ფიქრობდნენ, არამედ ისტორიული კატეგორიაა და, მაშასადამე, ეროვნული საკითხიც ისტორიული ვითარების ნაყოფია; მან მშვენივრად იცის, აგრეთვე, რომ ეროვნული საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალურ საკითხთან, სახელდობრ, ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების არტახებიდან ხალხის განთავისუფლების საკითხთან; მან მშვენივრად იცის, დაბოლოს, რომ ნაციონალურ იდეას ფესვები თვით ხალხში აქვს გადგმული და ამის გამო ეროვნული საკითხის გადაწყვეტით დაინტერესებულია (განსაკუთრებით ეროვნული მოძრაობის პირველ ეტაპზე) არა მარტო ბურჟუაზია, არამედ, აგრეთვე, ჰშრომელი ხალხი — მუშები და გლეხები.

იმისათვის, რომ მკითხველმა თვალნათლივ დაინახოს, რა მკაფიოდ და საფუძვლიანად მსჯელობს ალ. წულუკიძე ამ საკითხზე, თავს ნებას მივცემთ მოვიტანოთ ვრცელი ამონაწერები მისი შესანიშნავი სტატიიდან „ნაციონალიზმი და სოციალიზმი“:

„ჩვენ ვიცით, რომ ნაციონალურ იდეას ისეთი ფართო გამოყენება არა ჰქონდა საშუალო საუკუნეების ცხოვრებაში, როდესაც მეფობდა ნატურალური მეურნეობა, როგორც დღევანდელ კაპიტალისტურ წყობილებაში. მაშინდელი ევროპა, დაყოფილი უთვალავ სამთავროებად, არ იყო ნაყოფიერი ნიადაგი ნაციონალურ იდეის განსავითარებლად. მაშინდელი საზოგადოებრივი წყობილება ხელს უშლიდა მიეღო ამ იდეას ისეთი სახე, როგორი სახეც აქვს დღეს — კაპიტალისტურ წყობილებაში. მაშინ გლეხის ინტერესები თავის სოფლის იქით აღარ მიდიოდა: იქ ხნავდა, იქ თესავდა და იქვე მოჰყავდა ყველაფერი თავისთვის საჭირო. ფეოდალები არხეინად გრძნობდნენ თავს: მათ გარშემოვლებული ჰქონდათ „თავისი“ სოფლები და „თავისი“ გლეხებიდან იღებდნენ ყველაფერს თავისი განებივრებული ცხოვრებისათვის...

სულ სხვაგვარად შეიცვალა გარემოება, როდესაც ცხოვრების მოედანზე გამოვიდა მრეწველი. ეს ვაჭბატონი ქმნის ცხოვრებისათვის საჭირო საგნებს თავის მოსახმარად კი არა — გასაცვლელად სხვა საგნებზე (ფულზე). მას სურს, თუ თავის სოფელში (ან ქალაქში) ვერ უშოვა თავის საქონელს მუშტარი, სხვაგან უშოვოს, თუ თავის თემის მუშტარი არა ყოფნის, სხვა თემის ბაზარიც მოიპოვოს. აი ამ მრეწველთა კლასის წარმოშობით ძირეულად შეიცვალა პოლიტიკური წყობილება და აქედან ნაციონალური იდეის გავრცელებაც. ცენტრალურ მმართველობას საზრუნველად ჰაუხდა მოუპოვოს თავის ქვეყნის მრეწველთა კლასს რაც შეიძლება ფართო ბაზარი, თუნდ მთელ ქვეყანაზედაც. აუცილებელ საჭიროდ გახდა ალაგმვა ფეოდალების თვითნებობისა (პარტიკულარიზმისა) და პოლიტიკური ძალის ცენტრალურ მართველობაში მოკრებისა. საჭირო შეიქმნა ძლიერი ჯარი, ფლოტი, მდიდარი ხაზინა“.[8]

როგორც ვხედავთ, ავტორი სავსებით ლოგიკურად და საფუძვლიანად ასაბუთებს არა მარტო იმ აზრს, რომ ნაციონალური იდეა ისტორიული კატეგორიაა და რომ მისი მნიშვნელობის ზრდა საზოგადოების გარკვეულ საფეხურთანაა დაკავშირებული, არამედ იმ აზრსაც, რომ ეროვნული იდეის მნიშვნელობის ზრდა პირდაპირაა დამოკიდებული სოციალური ურთიერთობის განვითარებასთან; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ავტორი ნათლად ხედავს, რომ ეროვნული საკითხი უაღრესად მჭიდროდაა გადახლართულ-გადანასკვული სოციალურ საკითხთან და მისი მნიშვნელობაც ამ უკანასკნელის განვითარების დონითაა განპირობებული. ემყარება რა ამ უდავოდ სწორ მეცნიერულ დებულებებს, ავტორი პირდაპირ ასახელებს იმ კლასს, რომელიც, თავისი კლასობრივი ინტერესების გამო, ყველაზე მეტადაა დაინტერესებული შუასაუკუნეების კარჩაკეტილი მეურნეობის მოსპობით და ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნით.

ის ამბობს:

„სხვადასხვა ეროვნების მრეწველ-ვაჭართა

შორის მალე ჩნდება დაუცხრომელი ქიშპობა, და გამარჯვებაც იმისია, ვინც თავის სახელმწიფოს მართველობაში ძლიერ დახმარებას იპოვის. მხოლოდ ძლიერ სახელმწიფოს შეუძლია მოიპოვოს თავის მრეწველ ვაჭრებისათვის სასარგებლო სავაჭრო ხელშეკრულებანი და თავის „სამშობლო ნაწარმოებს" გაუკაფოს გზა მსოფლიო ბაზარზე. ამის შემდეგ გასაკვირველი აღარ არის, რომ მსხვილი ბურჟუაზია ყველგან და ყოველთვის მომხრეა ძლიერი „ნაციონალური პოლიტიკისა" და ნაციონალური იდეაც სხვას ვერ იპოვის ისეთ თავგამოდებულ მომხრეს და დამცველს, როგორც ბურჟუაზიას. ბურჟუაზიისათვის ძლიერი ნაციონალური სახელმწიფო ნიშნავს დიდ მოგებას".9

მაგრამ ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების მოსპობით და ძლიერი ეროვნული გაერთიანებით დაინტერესებული იყო არა მარტო ბურჟუაზია, არამედ ექსპლუატირებული კლასებიც. განაგრძობს რა ისტორიული პროცესის მარქსისტულ ანალიზს, ა. წულუკიძე დამაჯერებლად ასაბუთებს, თუ რატომ არიან დაინტერესებულნი მუშები და გლეხები ძველი (ფეოდალური) წეს-წყობილების მოსპობით და ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს შექმნით.

„არ უნდა დავივიწყოთ ის გარემოებაც, — ამბობს იგი, — რომ კაპიტალიზმის პირველ საფეხურზე მუშათა კლასიც დაინტერესებულია ძლიერი ნაციონალური სახელმწიფოთი, რამდენადაც ეს ძლიერება ნიშნავს ფეოდალების უფლებების შეზღუდვას და ნაციონალურ გაერთიანებას, რადგან ერთის მხრივ, შეზღუდვა ფეოდალების უფლებებისა და, მეორე მხრივ, ნაციონალური გაერთიანება ხელს უწყობს „მწარმოებელი" კლასის განვითარებას. ნაციონალური გაერთიანება მუშისათვის ნიშნავს გაძლიერებულ მრეწველობას, მაშასადამე, დიდ სამუშაო ქირასაც, ნიშნავს აგრეთვე თავისუფლებას ერთი ადგილიდან მეორეში გადასვლისას, მაშასადამე, თავისი საქონლის, სამუშაო ძალის უფრო სარფიანად გაყიდვას".10

რაც შეეხება გლეხობას, მის შესახებ ალ. წულუკიძე ამბობს:

„კაპიტალისტურ წყობილებაში თვით გლეხიც კი დაინტერესებულია მრეწველობა-ვაჭრობის განვითარებით, საქონლის შინაურ ბაზარზე გაცვლის თავისუფლებით, საქონლის სხვა ქვეყნებში გატანის აწევით, სავაჭრო ხელშეკრულებათა სარგებლობით და სხვ. მაშასადამე, — ნაციონალურ გაერთიანებით, ნაციონალურ ძლიერებით. ამ გარემოებათა წყალობით ნაციონალურ იდეას უჩნდება ნიადაგი თვით ხალხში და სწორედ ეს შეადგენს ჩვენი დროის ნაციონალიზმის განსაკუთრებულ დამახასიათებელ მხარეს".11

რაკი ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს შექმნით არა მარტო ბურჟუაზია, არამედ თვით ხალხიც იყო დაინტერესებული, ცხადია, ეროვნული მოძრაობა მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული სოციალურ მოძრაობასთან. შუა საუკუნეების არტახებიდან ხალხის განთავისუფლებასთან, რასაც შედეგად ძლიერი და დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შექმნა უნდა მოჰყოლოდა. ა. წულუკიძემ მშვენივრად იცის, რომ ევროპისა და აზიის დიდი ეროვნული სახელმწიფოები სწორედ ამ გზით შეიქმნა. აი როგორ მსჯელობს იგი ამის შესახებ:

„რადგან ნაციონალურ იდეას ფესვი მოკიდებული ჰქონდა თვით ხალხის ინტერესებში, მისი მოძრაობაც მტკიცედ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ხალხისავე ინტერესებთან და თითქმის ყველა საზოგადოებრივ მოძრაობას, ყველა რევოლუციას XIX საუკუნეში სახეში ჰქონდათ უმთავრესად ორი მიზანი, ერთის მხრივ, საერთო განმათავისუფლებელი ინტერესები, განთავისუფლება ადამიანის პიროვნებისა იმ ბორკილებიდან, რომლითაც მიჯაჭვული იყო საშუალო საუკუნეებში და რომელიც ხელს უშლიდა მრეწველობის განვითარებას და, მეორე მხრივ, ეროვნული გაერთიანება, ეროვნული გაძლიერება. ამის შემდევ ჩვენთვის ადვილი გასაგებია ეროვნებათა ის აღორძინება, რომელიც XIX საუკუნემ გვაჩვენა. შეერთება იტალიისა, გერმანიისა, ნაციონალური მოძრაობა ვენგრიაში, აღორძინება სლავიანთა ერებისა, შეერთება იაპონიისა — აი ფაქტები, რომლებიც არა ერთსა და ორს ეჩვენა გასაკვირველად.

ნაციონალური იდეის განვითარება აქამდე მხარდამხარ მიდიოდა საერთო განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, რომელსაც ბურჟუაზია ხელმძღვანელობდა".12

მაგრამ ყოველივე ეს ხდებოდა კაპიტალიზმის განვითარების პირველ საფეხურზე, როცა ბურჟუაზია ჯერ კიდევ აღმავალი კლასი იყო და პროგრესულ როლს თამაშობდა; შემდეგში კი ვითარება არსებითად შეიცვალა. ალ. წულუკიძე ლოგიკურად მიჰყვება ისტორიულ მოვლენათა განვითარების კანონზომიერებას და თვალნათლივ გვიჩვენებს, როგორ გადაიქცა ნაციონალური იდეა, დიდი კაპიტალისტური სახელმწიფოს ხელში, პატარა ერების ჩაგვრისა და დამონების იარაღად. აქ ალ. წულუკიძე პირდაპირ აყალიბებს ეროვნული საკითხის ლენინური თეორიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკვანძო დებულებას, სახელდობრ დებულებას იმ არსებითი განსხვავების შესახებ, რომელიც გაბატონებული და დაჩაგრული ერების ნაციონალიზმს შორის არსებობს. მოვუსმინოთ:

„ნუ დავივიწყებთ, რომ ეს გამარჯვება (დი-

დი სახელმწიფოებისა, პ. რ.) მოხდა ბ რ ძ ო ლ ი თ: — რომ ეროვნული განვითარება ერთი რომელიმე სახელმწიფოსი, ერთი რომელიმე ეროვნებისა ნიშნავს დაჩაგვრას, დამონებას და განადგურებასაც მეორე სახელმწიფოს და ეროვნებისა. და ყველა თანამედროვე სახელმწიფოს ძლიერება დამყარებულია მრავალ ერთა დაჩაგვრა-დამონებაზე. აი ეს გარემოება აუცილებლად ხდის ნაციონალიზმის ორად გაყოფას. თანამედროვე ცხოვრებაში ჩვენ ვხედავთ ნაციონალიზმს გაბატონებული ნაციებისა და ნაციონალიზმს დაჩაგრული ნაციებისას. და აქ შორდებიან ერთმანეთს პროლეტარიატის და ბურჟუაზიის გზებიც ნაციონალიზმის კითხვაში".13

ეს დებულება ჩვენ მიგვაჩნია ქართული მარქსისტულ-ლენინური აზროვნების შესანიშნავ ნიმუშად. აქედან ცხადია, რა მაღალ თეორიულ დონეზე აიყვანა ალექსანდრე წულუკიძემ ეროვნული საკითხის მეცნიერული გაგება.

ცნობილია, რომ ვ. ი. ლენინი ყოველთვის განსაკუთრებით ხაზს უსვამდა და ბოლშევიკური პარტიის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნევდა სწორედ იმ განსხვავების დანახვას და გათვალისწინებას, რომელიც არსებობდა დიდი და პატარა ერების, დამჩაგვრელი და დაჩაგრული ერების ნაციონალიზმს შორის. აი, მაგალითად, რას ამბობდა ლენინი თავის მოხსენებაში კომინტერნის II კონგრესზე, ნაციონალურ და კოლონიურ საკითხზე შედგენილი თეზისების განხილვისას:

„რა არის ჩვენი თეზისების ყველაზე მნიშვნელოვანი, ძირითადი იდეა? განსხვავება ჩაგრულ და მჩაგვრელ ხალხებს შორის... ეს იდეა ხალხთა განსხვავებისა, მათი დაყოფისა მჩაგვრელ და ჩაგრულ ხალხებად — გატარებულია ყველა თეზისში".

ამ აზრს ვ. ი. ლენინი არაერთხელ იმეორებდა. მაგალითად, ცნობილ ჩანაწერში, რომელიც უშუალოდ საქართველოს ამბებისადმია მიძღვნილი, ვკითხულობთ:

„ნაციონალურ საკითხზე დაწერილ ჩემს ნაწარმოებებში მე უკვე ვწერდი, რომ არაფრად არ ვარგა აბსტრაქტულად საკითხის დაყენება ნაციონალიზმზე საერთოდ. აუცილებელია განვასხვავოთ ნაციონალიზმი მჩაგვრელი ერისა და ნაციონალიზმი დაჩაგრული ერისა, ნაციონალიზმი დიდი ერისა და ნაციონალიზმი პატარა ერისა".14

აქედან დღესავით ნათელია, რა შესანიშნავად აყენებდა და სწყვეტდა ალ. წულუკიძე, ჯერ კიდევ რევოლუციის გარიჟრაჟზე, ლენინური ეროვნული პოლიტიკის ურთულეს თეორიულ პრობლემებს. მაგრამ მივყვეთ ქვემოთ.

განაგრძობს რა ისტორიული პროცესის მეცნიერულ ანალიზს, ა. წულუკიძე ააშკარავებს დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების მტაცებლურ ბუნებას, ძალმომრეობაზე დამყარებულ მათს პოლიტიკას და გვიჩვენებს იმ მიზეზებს, რომლებიც პატარა ერებში ნაციონალურ მოძრაობას იწვევენ. ის ამბობს:

„წინანდელი სახელმწიფო არ იყო ნაციონალური იმ აზრით, როგორც ეხლა გვესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა, ის კმაყოფილდებოდა დამორჩილებული ხალხის მხოლოდ გარეგანი შემოერთებით და არ ერეოდა ამ ხალხის შინაურ ცხოვრებაში. მაშინდელი სახელმწიფო ხშირად შესდგებოდა მრავალი ეროვნების შეერთებით, რომლებიც ერთი-ერთმანეთისაგან განირჩეოდნენ ენითაც, სარწმუნოებითაც, ზნე-ჩვეულებითაც და შინაური ცხოვრების მართვა-გამგეობითაც.

სულ სხვაა დღევანდელი ნაციონალური სახელმწიფო. ის თავით ბოლომდე ცენტრალისტური მიდრეკილებებით არის გამსჭვალული; ის ცდილობს ძალით მოახვიოს თავისი ენა, თავისი კულტურა ყველა მცხოვრებთ, ცდილობს სრულიად მოსპოს ეროვნების ინდივიდუალური განსხვავება და ყოველიფერზე სურს თავის საკუთარი ინდივიდუალური ბეჭედი დაასვას თუნდაც დამორჩილებული ერით ეკონომიურად ვერ სარგებლობდეს... ამ ნაციონალურმა ჩაგვრამ, შევიწროებამ შექმნა ნაციონალური მოძრაობა იმგვარ ნაციებშიც კი, სადაც უამისოდ ადგილი არ ექნებოდა ამ მოძრაობას".15

დაჩაგრულ ერთა ეს ეროვნული მოძრაობა ალ. წულუკიძეს სრულიად ბუნებრივ მოვლენად მიაჩნდა და მთელი თავისი სიმპათიები მის მხარეზე იყო, მაგრამ დიდი რევოლუციონერი და მოაზროვნე მარტო სიმპათიებით როდი კმაყოფილდება; იგი მეცნიერული სიზუსტით განსაზღვრავს პროლეტარიატისა და მისი იდეოლოგიის დამოკიდებულებას ჩაგრულ ერთა ეროვნული მოძრაობისადმი; იგი მოითხოვს, რომ პროლეტარიატმა მხარი დაუჭიროს ჩაგრულ ერთა ბრძოლას დიდი ერების მხრით ძალმომრეობისა და შევიწროების წინააღმდეგ.

„ხომ იმაზე ბუნებრივი არა იქნება რა, რომ დაჩაგვრისაგან დაიცვა დედაენა, შენი საუკუნოებით გადმოცემული ჩვეულებანი, რომლებსაც სიყრმიდანვე შეეზარდე? განსაკუთრებით ეს დაცვა ბუნებრივია ჩვენს დროში, როცა ხალხის ძალამ გაიღვიძა, როცა ხალხი დგება ყოველგვარი შევიწროების წინააღმდეგ. ნაციონალური შევიწროებაც ვერ ასცდებოდა ამ ბედს... რამდენადაც ნაციონალური ბრძოლა მიმართულია წინააღმდეგ ნაციონალური შევიწროებისა, წინააღმდეგ ძალად გაგერმანელებისა, გარუსებისა და სხვ. სოციალიზმი თანაუგრძნობს მას. ნაციონალური თავისუფლება არის ერთი მხარეთაგანი პიროვნული და საზოგადოებრივი თავისუფლებისა და ამიტომ ნა-

ციონალური თავისუფლება განუყრელად შედის პროლეტარიატის საერთო დემოკრატიულ პროგრამაში".[16]

ამრიგად, ა. წულუკიძის სამართლიანი აზრით, მას შემდეგ, რაც შეიქმნა დიდი ეროვნული სახელმწიფოები, რომლებიც პატარა ერების ჩაგვრის, შევიწროებისა და სრულიად მოსპობის პოლიტიკას ახორციელებდნენ, მას შემდეგ რაც „ხალხის ძალამ გაიღვიძა" და „ხალხი დგება ყოველგვარი შევიწროების წინაალმდეგ", მუშათა კლასს და მის პარტიას არ შეუძლიათ მხარი არ დაუჭირონ დაჩაგრულ ერთა სამართლიან ბრძოლას ძალმომრეობისა და შევიწროების წინაალმდეგ. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ ალ. წულუკიძე მომხრეა მუშათა კლასმა მხარი დაუჭიროს პატარა და დაჩაგრული ერების ნაციონალურ მოძრაობას უპირობად და ყოველგვარ ვითარებაში? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხომ არ აიდეალებს ა. წულუკიძე ჩაგრულ ერთა ნაციონალურ მოძრაობას და ხომ არ აყენებს მას საერთო დემოკრატიულ მოძრაობაზე მაღლა?

სრულიადაც არა! ალ. წულუკიძემ მშვენივრად იცის, რომ ნაციონალიზმი ბურჟუაზიული მოძრაობაა და მაშინაც კი, როცა საქმე ეხება პატარა და დაჩაგრული ერის ნაციონალიზმს, რომელიც მოსახლეობის ფართო ფენების ბუნებრივ ინტერესებს გამოხატავს, ხშირად ხდება ხოლმე, რომ დაჩაგრული ერის ნაციონალიზმი დამჩაგვრელი ერის ნაციონალიზმად გადაიქცევა; ა. წულუკიძემ მშვენივრად იცის აგრეთვე, რომ ნაციონალური თავისუფლება საერთო-დემოკრატიული თავისუფლების ნაწილია და, როგორც ასეთი, მას უნდა დაექვემდებაროს.

ეს უკანასკნელი საკითხი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანია, ამიტომ გავეცნოთ მას უფრო ახლოს.

## IV

ზემოთ ჩვენ უკვე დავინახეთ, რომ ალექსანდრე წულუკიძის თვალსაზრისით სოციალური და ეროვნული საკითხები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი და გადანასკვულნი, რამდენადაც ეროვნული საკითხი ნაყოფია სოციალურ ურთიერთობათა განვითარების გარკვეული (ბურჟუაზიული) ეტაპისა. ზემოთ დავინახეთ, აგრეთვე, რომ, ალ. წულუკიძის აზრით, ნაციონალური იდეა (ნაციონალიზმი) ბურჟუაზიის ხელში იქცევა ჩაგვრისა და ძალადობის იარაღად, ე. ი. ნამდვილი დემოკრატიზმის მტრად; ზემოთ ჩვენ დავინახეთ, დაბოლოს, რომ ალ. წულუკიძის აზრით, მუშათა კლასი და მისი პარტია მართალია მხარს უნდა უჭერდნენ დაჩაგრული ერების ნაციონალურ მოძრაობას, მაგრამ არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ გარკვეულ პირობებში.

ბუნებრივად ისმება კითხვა: როგორია ის პირობები, როცა მეცნიერული სოციალიზმის თვალსაზრისით, მუშათა კლასმა მხარი უნდა დაუჭიროს ჩაგრულ ხალხთა ნაციონალურ მოძრაობას? ან, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორი ურთიერთდამოკიდებულება არსებობს მუშათა დემოკრატიასა (სოციალიზმსა) და დაჩაგრული ერის ნაციონალიზმს შორის?

ა. წულუკიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ უაღრესად რთული პრობლემის გაგებაშიც იგი მთლიანად ლენინური მოძღვრების სიმაღლეზე დგას და ნათლად გადმოგვცემს ბოლშევიკური პარტიის სოციალური და ეროვნული პოლიტიკის ურთიერთობის თეორიულ საფუძვლებს.

გავეცნოთ მისი მსჯელობის რამდენიმე ნიმუშს.

„გასაკვირველი არ არის, როცა სოციალისტური პარტია სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას უწევს შემავიწროებელთა ნაციონალიზმს, მაგრამ რატომ სოციალისტური პარტია *აუცილებლად* არ უჭერს მხარს მებრძოლ შევიწროებულ ერებს? ჩვენ ვთქვით, რომ ნაციონალური თავისუფლება განუყრელად შედის პროლეტარიატის საერთო დემოკრატიულ პროგრამაში. ეს სიტყვებივე გვაძლევენ გადაჭრილ პასუხს ჩვენ კითხვაზედ: ნაციონალური თავისუფლება გამოდის როგორც *ნაწილი* დემოკრატიული თავისუფლებისა და, მაშასადამე, მას, ნაციონალურ თავისუფლებას, არ შეუძლია დაიმორჩილოს *მთელი* საერთო-დემოკრატიული თავისუფლება, და ამიტომ ყოველთვის, როდესაც კი ნაციონალური და საერთო-დემოკრატიული ინტერესები ერთმანეთს უკავშირდებიან, ნაციონალურმა ინტერესებმა უნდა დაუთმონ. აი ის შეხედულება, რომელზედაც დგას შეგნებული პროლეტარიატი და რომელსაც არასოდეს არ თანაუგრძნობს ბურჟუაზია. უკანასკნელი, წინაალმდეგ, იმ აზრისა არის, რომ ყველა ინტერესები უნდა დაუქვემდებაროს, დაუმორჩილოს ნაციონალურ ინტერესებს".[17]

მაგრამ რატომ არის ნაციონალური თავისუფლება საერთო დემოკრატიული თავისუფლების ნაწილი და, მაშასადამე, რატომაა აუცილებელი, რომ მან, — ნაციონალურმა თავისუფლებამ, დაუთმოს საერთო დემოკრატიულ თავისუფლებას? სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, განა ცოტაა ისტორიაში იმის მაგალითები, როცა სხვადასხვა კლასთა ინტერესები ერთიანდებიან და ამის შედეგად ერის საერთო ინტერესები ცალკე კლასების ინტერესებზე მაღლა დგებიან?!

ამ კითხვაზე ალ. წულუკიძე ასეთ, მეცნიერუ-

ლად სავსებით დასაბუთებულ პასუხს გვაძლევს:

„ჩვენ ვამტკიცებთ, რომ თუ შეიძლება სხვადასხვა კლასების ინტერესების ერთიანობაზე ლაპარაკი, რომ თუ ისტორიაში დგებიან ისეთი მომენტები, როდესაც საერთო ინტერესები მაღლა დგებიან კერძო კლასობრივ ინტერესებზე, — ესევე მომენტები ვერასგზით უარს ვერ გახდიან, ვერ მოსპობენ ინტერესების იმ ძირეულ წინააღმდეგობას, რომელიც დღითიდღე ვითარდება თვით ეკონომიური პროცესით იმ საზოგადოებაში, რომელიც დაფუძნებულია კერძო საკუთრებაზე და ადამიანისაგან ადამიანის დამონებაზე. ინტერესების წინააღმდეგობა, — წესია, მათი (ინტერესების) შეთანხმება კი — დროებითი მოვლენაა, გამონაკლისია. ასეთია, ჩვენი აზრით, დამოუკიდებლობა ნაციონალიზმისა და კლასობრივი ბრძოლისა“.18

ემყარება რა ასეთ სწორ თვალსაზრისს და იშველიებს რა ევროპის (სახელდობრ საფრანგეთის) ისტორიის მაგალითებს, ალ. წულუკიძე გვიხატავს ბურჟუაზიის მიერ ნაციონალური დროშის საფარით, „პატრიოტიზმზე“ და „სამშობლოზე“ ხმამაღლა ყვირილით, ხალხის დემოკრატიული უფლებების შევიწროების, მისი ფეხქვეშ გათელვის დამაჯერებელ სურათს; ამასთან ის არკვევს იმ მიზეზებს, რომელთა გამო მუშათა სოციალ-დემოკრატია იძულებულია ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს ბრძოლა გამოუცხადოს.

„ნაციონალური იდეა, თავისთავად რომ ავიღოთ, „ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი ი დ ე ა ა, დემოკრატიზმთან კი მას მხოლოდ დროებითი კავშირი აქვს შეკრული და შეუძლია ყოველ წუთს გასწყვიტოს ეს კავშირი. შეიძლება ვთქვათ, რომ ბურჟუაზიისათვის აუცილებელია ცოტა რამ დემოკრატობა... მაგრამ მისი დემოკრატობა განსაზღვრულია, მას დემოკრატიზმიდან ცოტა რამ ნაწილი უნდა და არა დემოკრატიის ს რ უ ლ ი გამარჯვება... ისტორიას არა ერთი მაგალითით დაუმტკიცებია ბურჟუაზიის და სრული დემოკრატიული იდეის შორი-შორობა. ხშირად დაჩაგრული ერების ნაციონალიზმი დამჩაგვრელთა ნაციონალიზმად შეიცვლება ხოლმე, როგორც, მაგალითად, ვენგრიაში ვხედავთ“.19

მაშასადამე, ა. წულუკიძის სამართლიანი დასკვნით, ისტორია გვიმოწმებს, რომ ბურჟუაზიული ნაციონალიზმი და ნამდვილი დემოკრატია ერთმანეთისაგან შორიშორს დგანან და ხშირად თვით დაჩაგრული ერის ნაციონალიზმიც კი არ გამოდგება ნამდვილი დემოკრატიის საიმედო მოკავშირედ.

მაგრამ ამას გარდა არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც აუცილებელს ხდის, რომ პროლეტარიატმა სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადოს ბურჟუაზიულ ნაციონალიზმს; საქმე ისაა, რომ ნაციონალურ იდეას ბურჟუაზია იყენებს პროლეტარიატის წინააღმდეგ, მის მოსატყუებლად, — იყენებს იმისათვის, რომ მუშათა მოძრაობა ბურჟუაზიის ინტერესებს დაუქვემდებაროს. ამასთან დაკავშირებით ალ. წულუკიძე ამბობს:

„ნაციონალური იდეა ბურჟუაზიისათვის შესანიშნავი იარაღია პროლეტარიატის წინააღმდეგ; სოციალიზმი ასწავლის პროლეტარიატს, რომ მასი ინტერესები პირდაპირ წინააღმდეგნი არიან ბურჟუაზიის ინტერესებისა, რომ ის უნდა ეწეოდეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას, რომ მისმა გამარჯვებამ აუცილებლად ბურჟუაზიის საფლავზედ უნდა გადაიაროს... აბა ამის შემდეგ როგორ არ მოებღაუჭოს ბურჟუაზია ნაციონალურ იდეას, რომელიც ეუბნება: პროლეტარიატს და ბურჟუაზიას აქვთ საერთო „ნაციონალური“ ინტერესები, რომ ამ „წმინდა ნაციონალურ“ ინტერესების გულისათვის პროლეტარიატმა (დროებით ან სამუდამოდ) უნდა უარჰყოს კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიასთან, დემოკრატიისათვის და სოციალიზმისათვის ბრძოლა“.20

სტატიას „ნაციონალიზმი და სოციალიზმი“ ალ. წულუკიძე ამთავრებს ასეთი ყოვლმხრივ შესანიშნავი და საყურადღებო დასკვნით:

„ჩვენ ვხედავთ, რომ ნაციონალური იდეა თავის განვითარებაში უარყოფს ყოველგვარ დემოკრატიზმს, რომ ნაციონალიზმი დაჩაგრული ერებისაც კი გადადის დამჩაგვრელთა ნაციონალიზმზე, როდესაც კი ბურჟუაზიის ინტერესები წამოჰყოფენ თავს. ვხედავთ, რომ მსოფლიო ნაციონალიზმი ჰბადებს იმ საშინელ მოვლენას, როგორიც არის იმპერიალიზმი... და გამოგვყავს დასკვნა, რომ პროლეტარიატისათვის ნაციონალური იდეა თავისთავად მოწინააღმდეგე, მტრული იდეაა... პროლეტარიატს საკმაო ისტორიული გამოცდილება აქვს, რომ აშკარად აღარ ენდოს ბურჟუაზიას, თუნდ მის დემოკრატიულ ნაწილსაც, მის დემოკრატიულ სიმტკიცეში. პროლეტარიატს აღარა სურს, რომ ის მხოლოდ ბრმა იარაღად გამოდიოდეს ბურჟუაზიის ინტერესების დასაცავად. მას სურს ნამდვილი დემოკრატია და არა მისი აჩრდილი და ამგვარი დემოკრატიის დამპყრობელი კი მხოლოდ პროლეტარიატია. აქედან დასკვნა ცხადია: ვისაც სურსისარგებლოს ამ დემოკრატიით, ვინც მის მოპოვებაში დაინტერესებულია, უნდა გ ა ჰ ყ ვ ე ს პროლეტარიატს და არა პროლეტარიატი მათ. პროლეტარიატის დემოკრატიული პროგრამა სავსებით შეიცავს დაჩაგრულ ერების ინტერესებს, ეროვნულ თავისუფლებას და ამ ერებს სრული ნდობით შეუძლიათ გაჰყვნენ პროლეტარიატს დემოკრატიისათვის ბრძოლაში: ის არ მოატყუებს მათ, როგორც ატყუებდა მათ

ბურჟუაზია ყველა განმათავისუფლებელ ბრძოლაში“.21

ასე ნათლად და გარკვევით აყალიბებდა ალ. წულუკიძე, ჯერ კიდევ 1901 წელს, მუშათა კლასისა და მისი პარტიის პოლიტიკას ეროვნულ საკითხში. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ მითითება პროლეტარიატის დემოკრატიულ პროგრამაზე, რომელიც „სავსებით შეიცავს დაჩაგრული ერების ინტერესებს, ეროვნულ თავისუფლებას“, ჰგულისხმობს ერთა თვითგამორკვევის პრინციპს, რომელიც ბოლშევიკური პარტიის ეროვნული პოლიტიკის ნამდვილ ქვაკუთხედს წარმოადგენს.

ალექსანდრე წულუკიძეს ღრმად სწამდა, რომ ეროვნული საკითხის ნამდვილი და საბოლოო გადაჭრა შეეძლო მხოლოდ მუშათა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას, რომელსაც თავის ხელში უნდა აეღო, და აიღო კიდევაც, მშრომელთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელმძღვანელობა; იგი მიხვედრილი იყო იმ დიდ აზრს, რომ მუშათა კლასის ბრძოლა სოციალიზმისათვის შეესაბამებოდა და გამოხატავდა არა მარტო საკუთრივ მის კლასობრივ ინტერესებს, არამედ აგრეთვე, ყველა დაჩაგრული ადამიანისა და ყველა დაჩაგრული ერის სასიცოცხლო ინტერესებს.

## V

ზემოთ დავინახეთ, რომ ალ. წულუკიძემ ძირითადად ჯერ კიდევ პარტიის II ყრილობამდე შესძლო ეროვნული საკითხის გადაწყვეტის სწორი, მარქსისტულ-ლენინური პრინციპების შემუშავება. შემდგომში, დაეყრდნო რა ამ პრინციპებს, აგრეთვე საქართველოს იმდროინდელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარების დიალექტიკურ-მატერიალისტურ ანალიზს, მან გადამწყვეტი როლი შეასრულა ქართული ბურჟუაზიის იდეოლოგიის განადგურების საქმეში.

როგორც ცნობილია, სოციალ-ფედერალისტთა ბურჟუაზიულმა პარტიამ და მისმა ბელადმა არჩილ ჯორჯაძემ დიდი შრომა და ენერგია დახარჯეს იმისათვის, რომ საქართველოს მშრომელთა რევოლუციური მოძრაობა ბურჟუაზიის სამსახურში ჩაეყენებინათ; სწორედ ამ ამოცანას ისახავდა მიზნად ა. ჯორჯაძის ცნობილი „საერთო ნიადაგის“ თეორიაც და ე. წ. „ეროვნული ავტონომიის“ მოთხოვნაც, რომელიც 1903 წელს გაზეთ „საქართველოს“ (პარიზი) ფურცლებზე იყო წამოყენებული.

ა. წულუკიძემ ა. ჯორჯაძის შეხედულებათა კრიტიკას მიუძღვნა კაპიტალური ნაშრომი „ოცნება და სინამდვილე“, რომლითაც პირდაპირ გაანადგურა „საერთო ნიადაგის“ ბურჟუაზიული თეორია. რაც შეეხება ეროვნული ავტონომიის მოთხოვნას, ამ საკითხზე ა. წულუკიძემ ჟურნალ „მოგზაურში“ 1905 წელს გამოაქვეყნა ორი უაღრესად საყურადღებო სტატია, რომლებშიც დიდი დამაჯერებლობით დაასაბუთა მუშათა კლასის ინტერესებთან იმ დროს ავტონომიის მოთხოვნის შეუთავსებლობა.

ბიბლიოთეკა

გავეცნოთ ამ სტატიების შინაარს.

პირველი სტატია, რომლის სათაურია „ეროვნული ავტონომია და მისი მოტრფიალენი“, დაიბეჭდა „მოგზაურის“ მე-15 ნომერში, ხოლო მეორე — „ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები“, იმავე ჟურნალის მე-17 ნომერში. მათი შინაარსი მოწმობს, რომ ავტორი სრულიადაც არ გამოდის ავტონომიის, როგორც ასეთის, პრინციპულ მოწინააღმდეგედ; იგი მხოლოდ იმ გარემოებას უსვამს ხაზს, რომ აღებულ მომენტში, ე. ი. 1905 წლის მღელვარე ეპოქაში, როცა რევოლუციის გამარჯვებისათვის აუცილებელი იყო მთელი რუსეთის მუშათა კლასის ერთიანობა, ავტონომია სარგებლობას მოუტანდა არა მუშათა კლასს, არამედ ბურჟუაზიას.

როგორ ასაბუთებს ამ აზრს ალ. წულუკიძე? სტატიაში „ეროვნული ავტონომია და მისი მოტრფიალენი“ ავტორი უპირველეს ყოვლისა აშკარავებს ეროვნული ავტონომიით ბურჟუაზიის დაინტერესების ნამდვილ მიზეზებს და ჩამოთვლის იმ მოტივებს, რომელთა საშუალებით ლიბერალებს ხალხის მოტყუება სურდათ. ის ამბობს:

„ჩვენი ბურჟუაზია, როგორც სუსტი და განუვითარებელი, ვერ ბედავს აშკარად და თამამად თავის სახის გამოჩენას, აშკარად, დაუფარავად მშრომელი ხალხისათვის ბრძოლის გამოცხადებას. მას არ შესწევს ძალა თავის ინტერესების თავისით დაცვის, მას ესაჭიროება დახმარება ხალხის, და ამიტომ თავის დროშაზე აწერს მაღალ ფრაზებს: „ეროვნული ავტონომია“, და ეს ავტონომია უნდა ხალხის სახელით გაასაღოს, დაჩაგრული ერის ვითომდა მფარველობა გამოიჩინოს.

ხალხს მთავრობა ამით ახლო ეყოლება, საკუთარი პარლამენტი ექნება, საკუთარი კანონების გამომცემელი ქართველი ხალხისათვის, და თუმცა ის ბურჟუაზიული იქნება, მარა ხალხის ინტერესებს მაინც უკეთ დაიცავს, ვინემ სადღაც შორს, პეტერბურგში გადაკარგული პარლამენტი, სადაც ქართველებს 15-მდე დეპუტატი თუ ეყოლება. ეს არის დედა ძარღვი ეროვნული ავტონომიის. ამან უნდა გვიხსნას სხვადასხვა შევიწროებისაგან, დაამყაროს ერთა შორის სოლიდარული მოქმედება და სხვ. ასე ღიღინებენ ტკბილ ხმაზე ჩვენი ლიბერალები, ნაციონალ-დემოკრატები, ფედერალისტ-სოციალისტები და ძმანი მათნი“22.

ამის შემდეგ ავტორი მიუთითებს ქართველი ერის ანტაგონისტურ კლასებად დაყოფის ფაქტზე, ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის არსებულ შეურიგებელ წინააღმდეგობა-

ზე და დაწვრილებით განუმარტავს მკითხველს, თუ რატომ იყო ეროვნული ავტონომია იმ დროს მუშათა კლასის საქმისათვის მიუღებელი.

„ეროვნული ავტონომია ნიშნავს, უწინარეს ყოვლისა, ერთი ერის მეორისაგან ჩამოშორებას, და ამით მათი ერთიმეორისაკენ დაპირისპირებას... მუშა ხალხი, რომელი ეროვნებისაც უნდა იყოს იგი, ერთსა და იმავე ტაფაში იწვის, ერთსა და იმავე კაპიტალის ბატონობას ებრძვის. მასში კაპიტალი ხედავს არა ეროვნების წარმომადგენელს, არამედ მხოლოდ სამუშაო ძალის მატარებელს, და რადგან ამ მხრივ ყველა ერის შვილი თანასწორია, ისიც თანასწორად ყვლეფს და სარგებლობს ყველას ძალღონით, განურჩევლად მათი ეროვნებისა. მაშ რა აქვთ სხვადასხვა ერთა მუშა ხალხს ერთმანეთში გასაყოფი, გარდა გასაჭირისა? რა აქვთ მათ ისეთი, რომლის გამო საჭირო ხდებოდეს მათი ერთმანეთის ჩამოშორება და განცალკევება? არაფერი. პირიქით, მათი ინტერესი თხოულობს, ეროვნების მიუხედავად ყველას შეერთებას, შეკავშირებას და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საერთო ძალით გალაშქრებას“...23

ასე მსჯელობს ალ. წულუკიძე სტატიაში „ეროვნული ავტონომია და მისი მოტრფიალენი“, რომელსაც ლიბერალთა ბანაკში დიდი შეშფოთება გამოუწვევია. „ცნობის ფურცელი“ დაუყოვნებლივ გამოეხმაურა ალ. წულუკიძის სტატიას და დაბეჭდა მის წინააღმდეგ ს. ფირცხალავას („კალამი“) და გ. ლასხიშვილის („განი“) სტატიები. ეროვნული ავტონომიის საკითხი უაღრესად მწვავე და თანაც შეუსწავლელი საკითხი იყო, ამით აიხსნება, რომ ალ. წულუკიძე კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს და სტატიაში „ავტონომია და პროლეტარიატის ინტერესები“ კიდევ უფრო გულდასმით, დაწვრილებით და დამაჯერებლად დაასაბუთა მუშათა კლასის ინტერესებისათვის იმდროინდელ ვითარებაში ავტონომიის მიუღებლობა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ალ. წულუკიძე არ შეუშინდა თვით კ. კაუცკის დიდ ავტორიტეტსაც კი, რომლის საშუალებით მოწინააღმდეგენი მის ჩაჩუმებას ცდილობდნენ, და ეროვნული ავტონომიის ავკარგის შეფასებისას მთავარი როლი მიაკუთვნა არა კ. კაუცკის მიერ ევროპაში გამოთქმულ შეხედულებებს, არამედ ადგილობრივი ვითარების, ჩვენი ცხოვრების სპეციფიკური პირობების გათვალისწინებას.

„ბ. განი, — ამბობს იგი, — კაუცკის სახელით გვაშინებს და გვარცხვენს: ეს როგორ არ იცითო? რატომ ჰგონია ბ. განს, რომ „პრავდაში“ კაუცკის წერილს ჩვენ ვერ წავიკითხავდით, ეს რა ისეთი უხილავი დოკუმენტია? ვაუწყებთ ბ. განს, რომ კაუცკის მოყვანილი ადგილი სრულიად არ არღვევს ჩვენსას სულ უბრალო მოსაზრებით: ის ჩვენს ავტონომიაზე და აქაურ პირობებზე არ ლაპარაკობს. ჩვენ არ ვიცით, რას იტყვის კაუცკი ამის შესახებ (გვგონია, რომ თქვენ არ დაგეთანხმებათ), მხოლოდ ჩვენ არც ისეთი ბრმა თაყვანისმცემლები გახლავართ ავტორიტეტების, რომ, თუ ევროპაში კაუცკიმ თქვა, უკრიტიკოდ გავიმეოროთ. ჩვენთვის ავტონომია და ფედერაცია დღევანდელ პირობებში მავნებელია — აი მოკლედ ჩვენი აზრი და ამ აზრის დასარღვევად ავტორიტეტებსაც საბუთს მოვთხოვთ“.24

ალ. წულუკიძის ზემოთ განხილული სტატიები, ისევე როგორც ყველა მისი ნაწერი და ნაფიქრ-ნააზრი, გამსჭვალულია მშრომელი ხალხისადმი სიყვარულით, საქართველოს, ამიერკავკასიისა და მთელი რუსეთის ყველა ერის ძმობა-მეგობრობის სულისკვეთებით. ალ. წულუკიძე აღფრთოვანებულია იმ ფაქტით, რომ 1905 წელს „დადგა სასიხარულო დრო, როცა კავკასიაში ეროვნებათა შორის შური და შუღლი მოისპო, მივაღწიეთ ისეთ ჟამს, როცა ქართველი და სომეხი, რუსი და ებრაელი, თათარი და პოლონელი ძმურად, ამხანაგურად ხელიხელ ჩაკიდებულნი, ერთი ინტერესით გამსჭვალულნი, საერთო იარაღით აღჭურვილნი კავკასიის ყოველ კუთხეში პროლეტარიატის იდეალისაკენ მიისწრაფიან და მათ შორის უთანხმოებისა და უნდობლობის პირობები დღითი-დღე ისპობა“25.

დიდი რევოლუციონერი და მოაზროვნე არაჩვეულებრივი სიმტკიცით, თანმიმდევრობით და ოსტატობით აყალიბებს მუშათა კლასისა და მისი პარტიის საბრძოლო ამოცანებს, დაუღალავად ქადაგებს მშრომელი ხალხისა და დაჩაგრული ერების შეკავშირების აუცილებლობას.

„შეგნებული ერთობა — აი პროლეტარიატის საბრძოლველი იარაღი, მტრის საწინააღმდეგო ძალა.. მხოლოდ მუშების პარტიას შეუძლია შესაფერისი წინააღმდეგობა გაუწიოს მჭიდროდ შეკრულ კაპიტალისტების ძალას; აი ამ ძალის განმტკიცებას ცდილობს დღეს ქართველი და სომეხი, რუსი და ებრაელი, ერთი სიტყვით, ყველა მუშა განურჩევლად ეროვნებისა. ამას ეუბნება მათი ინტერესები. ეს ძალა იკვრის და მასში მონაწილეობა ქართველებსაც გვიდევს. და აი სწორედ ახლა, როცა მას მეტი სიმტკიცე, ერთობა ესაჭიროება, გვეუბნებიან: განცალკევდითო; დღეს, როცა საერთო იერიშით ციხე შენძრეულია, მხოლოდ არ დანგრეულა, გვირჩევენ: დაიშალენითო; სწორედ მაშინ, როცა იმის ზრუნვაში ვართ, რომ გავიმაგროთ მომავალი პოზიცია, ნანგრევებზე მეტი ძალა და გავლენა მოვიპოვოთ, სწორედ მაშინ ამ ძალისა და გავ-

ლენის მქონე ერთეულს არწმუნებს: „დაიქსაქსენითო“.26

ალექსანდრე წულუკიძე მხურვალედ მოუწოდებს მუშებსა და ყველა მშრომელს, თავი არ მოიტყუონ და არ აჰყვნენ ბურჟუაზიის მსახურთა დემაგოგიას, ხოლო ლიბერალებს ურჩევს, ტყუილად ნუ შეიწუხებენ თავს ჩვენი ერისთვის საჭირო კანონებზე, მის სპეციფიკურ საჭიროებებზე და დედაენის დაცვაზე ლაპარაკით, რადგან არც ერთი ამ საკითხის გადაწყვეტა მათ არ შეუძლიათ და არც სურთ,

„ვის საჭიროებაზე ლაპარაკობთ, ვის შესაფერ კანონებზე ზრუნავთ, რომელ დედაენაზე ლაპარაკობთ?

იმ საჭიროებაზე, რომელზედაც მთელი რუსეთის პროლეტარიატი ზრუნავს, იმ კანონებზე, რომელიც ყველა მუშისათვის ერთნაირად საზრუნავი და საბრძოლველია, იმ დედაენაზე რომელზედაც ჩვენი პროლეტარიატი ლაპარაკობს, კითხულობს, გონებრივად ვითარდება და თავის კლასობრივ ინტერესებს იგებს? თუ ამაებზე ზრუნავთ, ტყუილა შეწუხებულხართ ავტონომიის გამოგონებით“.27 —

მაგრამ კიდევაც რომ მოხდეს სასწაული, რუსეთის მეფემ ჩვენი ლიბერალების ღაღადისი შეიწყნაროს და ავტონომია უბოძოს, აქედან სრულებით არაფერი გამოვა და ქართველი ხალხი ვერავითარ თავისუფლებას ვერ მოიპოვებს, თუ რუსეთის წეს-წყობილება ძირიანად არ შეიცვალაო, ამტკიცებს ალ. წულუკიძე. —

„რა გარანტია აქვთ ჩვენს ავტონომისტებს ავტონომიის დაცვისა, ძალდატანებიდან თავის დაღწევის? გაიხსენეთ ფინლანდია. რა იქნა მისი „თავისუფლება?“ თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რა იქნა და რად გაიქელა. აქედან ცხადია, თავი და თავი საზრუნავი ის უნდა იყოს, რომ რუსეთის სახელმწიფო დემოკრატიულ საფუძველზე აშენდეს და ყველაფერი ის, რაც ამის განხორციელებას ხელს უშლის დღეს, უარყოფილ იქნას“.28

ამრიგად არა კუდმოკვეცილი ავტონომია, არა ბურჟუაზიის იდეოლოგთაგან გამოგონილი ე. წ. „საერთო ნიადაგის“ ყალბი თეორია, არამედ მუშათა კლასის შეკავშირება და მასი გმირული ბრძოლა დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის — აი ის გზა, რომელიც ქართველ ხალხს მოუტანს ნამდვილ განთავისუფლებას, როგორც სოციალური, ისე ეროვნული ჩაგვრისაგან.

ალექსანდრე წულუკიძის უდიდეს დამსახურებად ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში სამუდამოდ დარჩება იმ ფაქტის დადგენა, რომ კაპიტალიზმის განვითარებას საქართველოში, ევროპასთან შედარებით, არსებითი თავისებურებანი ახასიათებდა და ამის გამო პროგრესის სათავეში ჩვენში იდგა არა ბურჟუაზია და მისი იდეოლოგები, არამედ მშრომელი ხალხი და მისი იდეოლოგები. ეს იყო უდიდესი აღმოჩენა და ჭეშმარიტად ოქროს ასოებით არის ისტორიაში ჩასაწერი ალექსანდრე წულუკიძის უკვდავი სიტყვები:

„თუ ევროპაში ბურჟუაზია იყო ერის სულიერი სიმდიდრის განმავითარებელი, ჩვენში საზოგადოების მეორე კლასი იქნება — ეს კლასია მატერიალურად ხელმოკლე და გონებრივად ახლად აღორძინებული მშრომელი ხალხი. მძიმე ტვირთი აწევს მას კისერზე, მხოლოდ მისი დასავლეთელი თანამოძმეების ისტორია, წარსული ცხოვრების მაგალითები, თანამედროვე პირობების აუტანელი სიმძიმე საუკეთესო განმავითარებელი სკოლაა მისთვის და ის ამ შეძენილ ცოდნას მთელი ერის საკეთილდღეოდ გამოიყენებს. ის უნდა გახდეს ცხოვრების წინსვლის მებაირახტრე და მან უნდა გააკეთოს დიადი „საერთო“ საქმე!“29.

## VI

ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ ზემოთ მოტანილი შესანიშნავი დებულებიდან თავისთავად გამომდინარეობს წარსულის მემკვიდრეობისადმი მუშათა კლასის დამოკიდებულების საკითხის სწორი გადაწყვეტა. რაკი ა. წულუკიძემ ქართველი ხალხის სულიერი კულტურის გამამდიდრებლად მშრომელი ხალხი, პირველ რიგში მუშათა კლასი აღიარა; რაკი მან სწორედ მშრომელ ხალხს დააკისრა დიადი „საერო“ ამოცანა: შეისწავლოს მისი დასავლეთელი თანამოძმეების ისტორია, საკუთარი წარსული ცხოვრების მაგალითები, თანამედროვე ვითარება და მთელი ეს ცოდნა „ერის საკეთილდღეოდ გამოიყენოს“; რაკი ერთი სიტყვით, მან პროგრესის მებაირახტრედ, ბურჟუაზიის ნაცვლად, მშრომელი ხალხი მიიჩნია, თავისთავად ცხადია, რომ, მისი აზრით, იგივე მშრომელი ხალხია მემკვიდრე და განმავითარებელი წარსულში შექმნილი დიდი სულიერი კულტურისა, — ყოველივე კარგისა, რაც ქართველ ერს საუკუნეთა განმავლობაში შეუქმნია.

ეს იყო მემკვიდრეობის პრობლემის სწორი, მარქსისტულ-ლენინური გადაწყვეტა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო ქართული კულტურის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, არამედ მუშათა მოძრაობის წარმატებისა და გაძლიერების, მის მხარეზე დემოკრატიული ინტელიგენციის გადასვლის თვალსაზრისითაც.

აქ ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ ალ. წულუკიძის დროს (და გაცილებით უფრო გვიანაც) საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მოღვაწეთა ერთ ნაწილს არასწორად, ყალბად და ნიჰილისტურად ესმოდა

ეროვნული კულტურის, ენისა და ზნეჩვეულებების მიმართ მარქსისტების დამოკიდებულება. ისეთი გამოჩენილი ბოლშევიკიც კი, როგორიც ფ. მახარაძე იყო, 1917 წელს ამბობდა: „ჩვენთვის ნაციონალური კულტურა არ არსებობს. ნაციონალურ ენას მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა აქვს; რაც შეეხება ნაციონალურ ზნეჩვეულებებს, ესენი მხოლოდ კონსერვატორობის გამომხატველია“.30

აქედან აშკარაა, რაოდენ ღრმად იყო ფესვებგადგმული ნიჰილისტური შეხედულებები სოციალ-დემოკრატ მოღვაწეთა ერთ ნაწილში; აქედან აშკარაა, აგრეთვე, რა დიდი და ღრმა მოაზროვნე იყო ალ. წულუკიძე, რომელმაც ჯერ კიდევ რევოლუციის გარიჟრაჟზე სწორად გაიგო ბოლშევიკური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.

წინააღმდეგ მარქსიზმ-ლენინიზმის ვულგარიზატორებისა, ალ. წულუკიძე უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ეროვნულ კულტურას, ენას, ზნეჩვეულებებს. მისი აზრით, ქართული ენა აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენდა ქართველი ბურჟუაზიისათვის, თორემ ქართველი ხალხისათვის, — მუშებისა და გლეხებისათვის იგი არსებობის აუცილებელი პირობა იყო. ამიტომ ფიქრობდა ალ. წულუკიძე, რომ ქართული ენის დაცვისა და შემდგომი განვითარების ამოცანა, ბურჟუაზიის ნაცვლად მშრომელ ხალხს უნდა ეკისრა. აი, როგორ მსჯელობს იგი ამ საკითხზე:

„ჩვენი ხალხი ქართულ ენაზე ღებულობს პირველდაწყებით საზრდოს გონებისას, ამ ენაზე უზიარებს თანამოძმეებს თავის ჭირვარამს, მის ოჯახში (რამდენადაც ამას ოჯახი ეწოდება თანამედროვე კაპიტალისტური წარმოების დროს) ქართული ენაა გამეფებული, ის აწყდება თეატრის კარებს ქართული წარმოდგენების დროს, სულგანაბული ყურს უგდებს ქართველ „ლექტორს“ და ამიტომ „სახალხო მოღვაწეობაც“ თავიდანვე ხალხის საქმედ ხდება ჩვენში. სახალხო კითხვები, სახალხო თეატრი და სხვა მსგავსი დაწესებულებანი თავიდანვე განმსაზღვრულ სახეს ღებულობს, გამორკვეულ ნიადაგზე მყარდება: ხალხის თვითცნობიერების გასაღვივებლად არის იგი ქვეყნად მოვლენილი, თუ ამ თვითცნობიერების დასახშობად, ჯგუფთა ინტერესების დასაფარავად, ჩასაფუჩეჩებლად. პირველი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მოქმედებს თვით ხალხი, მხოლოდ მეორისათვის — ბურჟუაზია“.31

ალ. წულუკიძე სასტიკად დასცინის და ამათრახებს გადაგვარებულ ქართველებს, რომლებმაც იმდენად დაივიწყეს დედაენა, რომ მას ოჯახშიც კი აღარ ხმარობდნენ; ამასთან ერთად დიდი მოაზროვნე ააშკარავებს ამ მოვლენის სოციალურ-კლასობრივ სარჩულს. ის ამბობს:

„ქართველი ბურჟუაზიისათვის ქართული ენა აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს: მართლმსაჯულებას იგი სხვა ენაზე დაეძებს, მეცნიერებას სხვაგან ეწაფება, უბრალო სავაჭრო რეკლამებსაც კი სხვა ენაზე სწერს, მისი ოჯახიდან ქართული ენა სრულიად განდევნილია, ვით „არა დილკაცური“ ენა, მის ბავშვებს ევროპიელი „გუვერნანტკები“ თავს ევლებიან; მხოლოდ საქველმოქმედო მიზნით თუ იწერენ რომელიმე ქართულ გაზეთს; ისიც ხშირად გაუხსნელი დევს საწერ მაგიდაზე, და როგორც ერთმა ქუთათურმა „ინტელიგენტმა“ აღიარა რამდენიმე წლის წინათ ერთ კრებაზე, „შაბათობით თავის შესაქცევად“ თუ წაიკითხება. ერთი სიტყვით, ქართული მათვის ფუფუნებას შეადგენს და ხშირად რომელიმე —ძის ქალიშვილი, რომელიც ბავშვობისას ჩვენ ხოფლებში შეიძლება ფეხშიშველი ღობე-ყორეს ედებოდა, დღეს პრანჭიაობით ეკითხება“ კავალერს“: „а что такое джинчари?“

ეს ნაღველნარევი სტრიქონები აშკარად მეტყველებენ არა მარტო იმას, თუ რა უსაზღვროდ უყვარდა ალექსანდრე წულუკიძეს თავისი მშობლიური ენა, არამედ იმასაც, თუ რა დიდ გულისწყრომას იწვევდა მასში დედაენის უგულებელყოფა, მის მიმართ ნიჰილისტური დამოკიდებულება.

დედაენის დასაცავად ხმა ა. წულუკიძემ ჯერ კიდევ 1895 წელს აღიმაღლა. მან გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა საგანგებო წერილი, რომელშიც სასტიკად გააკრიტიკა ქართული სკოლებიდან მშობლიური ენის განდევნის რუსიფიკატორული პოლიტიკა. სწორედ ამ პოლიტიკის ნაყოფი იყო სკოლებში სწავლების ისეთი მახინჯი ფორმების დანერგვა, როგორიც იყო, მაგალითად, ე. წ. ლევიცკის „ბუნებრივი მეთოდი“, რომელიც ისე იყო დაშორებული პედაგოგიური მეცნიერებისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან.

„მწუხარებით ვაუწყებთ ქართველ საზოგადოებას, — წერდა ალ. წულუკიძე ზემოთ ხსენებულ წერილში, — რომ დაბა ხონშიაც (ჩვენდა საუბედუროდ სხვაგანაც შემოუღიათ ეს მეთოდი), მთელი გროვა ახალგაზრდა მანდილოსნებისა იქელვება ამ ყოვლივე პედაგოგიურს მოსაზრებას მოკლებული მეთოდით, რომელსაც ავტორმა „ბუნებითი“ უწოდა და რომელიც განათლების მაგიერ აჩლუნგებს, ხრწნის ბავშვის მკვირცხლსა და მშვენიერ ნიჭს. აბა რა სარგებლობა უნდა მისცეს ქართველს და რა ცოდნით აღჭურვილი შვილები უნდა დაუბრუნოს მშობლებს იმ სკოლამ, სადაც ქართული გაკვეთილი კვირაში მხოლოდ ორჯერ არის, დანარჩენ დროს კი იმ საოცარ

მეთოდს ანდომებენ!... განა ასეთ პირობებში ჩაყენებული სახალხო სკოლა როდისმე გაახარებს მშობლის დაიმედებულს გულს? არა! ის ჭეშმარიტება, რომ უდედაენოდ რიგიანი ცოდნის შეძენა შეუძლებელი არის, კარგა ხანია, რაც კაცობრიობამ შეიგრძნო და დაამტკიცა".[33]

ნათქვამიდან ცხადია, რომ ნამდვილი ლენინელებისათვის დედაენას არასოდეს არ ჰქონია და არც შეიძლება, რომ ჰქონდეს „მხოლოდ პირობითი და წარმავალი მნიშვნელობა". იგივე უნდა ითქვას, ცხადია, მშობლიურ ლიტერატურაზეც.

ალ. წულუკიძის უახლოესი მეგობრების, მუშა-რევოლუციონერების მოგონებებიდან ირკვევა, რომ დიდი რევოლუციონერი და მოაზროვნე ყოველთვის განსაკუთრებული პატივისცემით და სიყვარულით ეპყრობოდა ქართული ლიტერატურის კლასიკოსებს, კერძოდ კი შოთა რუსთველსა და ილია ჭავჭავაძეს. ბათუმის რევოლუციურ მუზეუმში ინახება კოწია კანდელაკის მოგონება, საიდანაც ჩანს, რომ ალ. წულუკიძის საგანგებო მითითებით ბათუმის მუშათა შორის, პროკლამაციებთან ერთად, ავრცელებდნენ ქართული ლიტერატურის კლასიკოსების — ილია ჭავჭავაძის, ეგნატე ნინოშვილის, ალ. ყაზბეგისა და სხვა ნაწერებს.

იმავე მუზეუმში ინახება კაპიტონ გოგოლაძის მოგონება,[34] რომელშიც ნათქვამია:

„ერთხელ „ვეფხისტყაოსანზე" ჩამოვარდა ლაპარაკი. ერთმა ნიჰილისტურად განწყობილმა ამხანაგმა წამოიძახა:

— რას წარმოადგენს ეს „ვეფხისტყაოსანი"? უდიდესი აბდა-უბდაა და მეტი არაფერი.

საშას თან გული მოუვიდა და თან სიცილი აუტყდა, — „ვეფხისტყაოსანი", — თქვა მან, — უდიდესი ნაწარმოებია არა მარტო ქართულ მწერლობაში, არამედ მსოფლიო ნაწარმოებთა შორისაც... რაც მეტჯერ კითხულობ, მით უფრო მეტ მარგალიტებს ჰპოულობ მასში".

აქედან ცხადია, თუ რამდენად განსხვავდებოდა ალექსანდრე წულუკიძე იმ ვულგარულად მოაზროვნე მარქსისტებისაგან, რომლებიც ქართული ლიტერატურის კლასიკოსებს აბუჩად იგდებდნენ და თვით დიდი რუსთველის გენიალურ პოემასაც კი თავადაზნაურობის გასართობად დაწერილ „სალაღობო ნაწარმოებად" სთვლიდნენ.

ალექსანდრე წულუკიძისათვის უცხო იყო ყოველგვარი ნიჰილიზმი, ის აღსავსე იყო ოპტიმიზმით, ცხოვრებისა და სილამაზის სიყვარულით. „ბევრი ახალი ამბავი მომდის მაქედან, — წერდა იგი 1897 წელს მოსკოვიდან თავის მეგობარს ელენე ჰიჰინაძეს — ქართული ჟურნალ-გაზეთების „ფერისცვალების" გამო. სწორედ აღტაცებაში მოვდივარ, პესიმისტობა არ შემიძლია, რადგან მწამს უკეთესი მომავალი, მწამს პროგრესი".[35]

ალექსანდრე წულუკიძის, როგორც დიდი მოქალაქისა და პატრიოტის დასახასიათებლად, აგრეთვე მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის მიზანდასახულებისა და მრავალფეროვნების გასაგებად, ვფიქრობთ, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მის წერილს პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილისადმი, რომელიც 1900 წლის 4 იანვარსაა დაწერილი. ჩვენი აზრით, ამ წერილში, როგორც სარკეში, ასახულია ალექსანდრე წულუკიძის მთელი პიროვნება, — მისი ფაქიზი ადამიანური ბუნება და გულწრფელი პატრიოტიზმი, მისი უსაზღვრო სიყვარული კულტურისადმი.

აი ეს წერილიც (მოგვაქვს მთლიანად):

„ბატონო ალექსანდრე!

თბილისის რამდენიმე მასწავლებელმა ქალმა განიზრახა საბავშვო წიგნების გამოცემა. შეადგინა წრე აქტიური ინტელიგენტებისაგან, მოიპოვა მცირეოდენი მატერიალური ღონე და საქმეს განახორციელებს ახლო მომავალში, თუ თქვენი ყურადღება მოიპოვა. მე დამავალეს შემდეგის თხოვნით მომემართა თქვენთვის: თქვენ გქონიათ შეკრებილი ბევრი ქართული ზღაპარი. რადგან ამ წრემ გადაწყვიტა ზღაპრების გამოცემით დაიწყოს თავისი მოქმედება, ამიტომ მოგმართავთ თქვენ და გთხოვთ მოგვაწვდინოთ თქვენ მიერ შეკრებილი ზღაპრები და თან ნებაც დაგვრთოთ ბავშვებისათვის საყურადღებო ზღაპრები ამოვარჩიოთ და გამოვცეთ. თუ თქვენი სურვილი იქნება, გამოვაცხადებთ, რომ ეს ზღაპრები თქვენ მიერ შეკრებილია. დარწმუნებული ვართ, როგორც ყოველთვის, ამ კეთილს საქმეს ხელს გაუმართავთ და ამ მოკლე ხანში გამოგვიგზავნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, იმედია, გვაცნობებთ მაინც, რომ ეს თქვენთვის შეუძლებელია და ჩვენც რამე სხვა ღონეს ვიხმართ, თუმცა ჩვენთვის ეს ძლიერ გასაჭირი იქნება, რადგან ორიგინალური ჩვენში ძნელი მოსაპოვებელია, მხოლოდ თარგმანებით გამოცემის დაწყება კი არ არის სასურველი. საჭიროდ ვსცნობთ აგრეთვე გაცნობოთ, რომ ზღაპრები გამოცემული იქნება სურათებით; ჩვენი აზრია სურათები რაც შეიძლება კარგად შესრულებული იქნეს და წიგნი გარეგნობით იზიდავდეს ბავშვის, და საზოგადოდ ყველას, ყურადღებას. შეიძლება შეუძლებლობის გამო ეს ზღაპრები ნაწილ-ნაწილად გამოვცეთ, რომ მცირე ფასი დავადოთ თვითონ წიგნაკს და მით ადვილ მისაწვდომი გავხადოთ ყველასთვის. გთხოვთ თქვენი რჩევა და აზრი ხშირ-ხშირად მოგვაწოდოთ და ცოდნით და გამოცდილებით ხელი შეუწყოთ ამ ახალს, მაგრამ სასარგებლო ქართულ საქმეს.

თქვენი მარად პატივისცემის მსურველი,

ალექსანდრე წულუკიძე

გთხოვთ პასუხი „კვალის" რედაქციაში გამოგზავნოთ".[36]

როგორც ვხედავთ, ეს წერილი უაღრესად დიდი ადამიანური დოკუმენტია!

ძნელი შესამჩნევი არ არის: რომ გამოჩენილი რევოლუციონერის ასეთი განსაკუთრებული ზრუნვა საბავშვო წიგნებისა და ქართული ზღაპრების სანიმუშო გამოცემისათვის იმ დროს, როცა მას, ერთი მხრივ, მეფის ჟანდარმები სდევნიდნენ, ხოლო, მეორე მხრივ, საშინელი სენი (ტუბერკულოზი) სულს უხუთავდა, მხოლოდ განსაკუთრებულ ადამიანს, თავისი ქვეყნის დიდ პატრიოტსა და მოქალაქეს შეეძლო გამოეჩინა.

აი ამის გამო ვამბობთ ჩვენ, რომ ალექსანდრე (საშა) წულუკიძე იყო განსაკუთრებული ადამიანი, — საქართველოს მუშათა კლასისა და ქართველი ერის ღირსეული შვილი, რომლის ფასდაუდებელი მემკვიდრეობა დღესაც ინარჩუნებს თავის მეცნიერულ ღირებულებას და აქტიურად ემსახურება ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეს.

## შენიშვნები

1 ა. წულუკიძე, თხზულებანი, 1967, გვ. 386.
2 იქვე, გვ. 37.
3 იქვე, გვ. 52-53.
4 იქვე, გვ. 32-33.
5 იქვე, გვ. 33-34.
6 იქვე, გვ. 38-39-40.
7 იქვე, გვ. 38.
8 ა. წულუკიძე, თხზულებანი, 1967, გვ. 84-85.
9 იქვე, გვ. 85.
10 იქვე, გვ. 86.
11 იქვე.
12 იქვე.
13 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 31, გვ. 285-286.
14 ვ. ი. ლენინი, ნაციონალური საკითხის შესახებ, მოსკოვი, 1956 წ. გვ. 548 (რუს. ენაზე).
15 ა. წულუკიძე, თხზულებები, გვ. 87.
16 იქვე, 87-88.
17 იქვე, გვ. 88-89.
18 იქვე, გვ. 92-93.
19 იქვე, გვ. 89.
20 იქვე, გვ. 90.
21 იქვე. გვ. 93.
22 ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი", 1972, № 1, გვ. 60.
23 იქვე, გვ. 60-61.
24 ა. წულუკიძე, თხზულებები, 1967, გვ. 453.
25 იქვე, გვ. 350.
26 იქვე, გვ. 348.
27 იქვე გვ. 351-352.
28 იქვე, გვ. 349.
29 იქვე, გვ. 170.
30 ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტ. IV, გვ. 121-124.
31 ა. წულუკიძე, თხზულებანი, 1976, გვ. 170-171.
32 იქვე, გვ. 169-170.
33 იქვე, გვ. 359.
34 ფონდი № 5, საქმე 69/67, გვ. 14.
35 თხზულებანი, გვ. 378.
36 იქვე, გვ. 392-393.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლუიზა გოჩკოვა

# პოეზია ნამდვილი ცხოვრებისა

## არჩილ სულაკაურის მოთხრობები

იგი გულმართალ მოწმესავით მოგითხრობთ და არ კისრულობს მოსამართლის როლს, მაგრამ ხანდახან მოსამართლეზე უფრო მკაცრია თავისი მორალური მრწამსით.

ყოველი მოთხრობა აძლიერებს ძვირფასსა და საჭირო განწყობილებას, — მხნეობისა და სიყვარულის განწყობილებას. პირველივე მოთხრობა — „ტალღები ნაპირისაკენ მიისწრაფიან" მტკიცე და გამოცდილი ხელითაა მოხაზული. ესაა ბალადა ადამიანის სევდიან ფიქრზე, ნაღვლიან ოცნებაზე, ამასთან, ხალხის ცხოვრებაზეც, ზნეობის წესებზეც.

მწერალს თითქოს შუამავლობა აუღია ისტორიასა და თანამედროვეობას შორის. იგი წარმოსახავს ცხოვრებას, აღადგენს, არჩევს იმას, რაც საჭიროა სრული, გაცოცხლებული და ერთიანი სურათისათვის. ამბები, ხასიათები, მდგომარეობანი გადმოცემულია ისე, რომ ნათლად და სრულად გამოითქვას იდეები და გრძნობები, რომლებიც ასე ძლიერად აღელვებენ ავტორს.

არ. სულაკაურის ჯარისკაცს და ზემდეგს სახელები არა აქვთ. განა ყველა საკუთარი სახელი ომში ზოგადი არ არის? ჯარისკაცსაც, ზემდეგსაც, ქალიშვილსაც თითქოს დიდი ხანია იცნობთ, დიდხანს ცხოვრობდით მათს ახლოს.

რა არის ამის მიზეზი?

ესაა პოეზია ნამდვილი ცხოვრებისა, ახლო ნაცნობი ცხოვრებისა. ამ ადამიანებს შინაგანად აკავშირებთ საერთო ზნეობრივი ინტერესები, მსგავსი შეხედულებანი, ამასთან, თავიანთი ღირსებებისადმი ურთიერთპატივისცემა.

ჯარისკაცისა და ზემდეგის აზრებში დაინახავთ სინამდვილის ფაქტის დახასიათებას, ისე, როგორც ეს ფაქტი იყო, მთელი მისი ავ-კარგით, რომელსაც იგი შეიცავდა. ადამიანი აქ მთლიანად არის, მთელი მისი ცხოვრებით, წარსულით, აწმყოთი და მომავლით. ყველა ეს სურათი, გამოგონილი კი არ არის, გრძნობითაა მიხვედრილი.

სად უნახავს ის სახეები, სად გაუგონია ის ამბები, რომლებსაც მწერალი აღწერს? ასეთი სინამდვილე შეიძლება შექმნას მხოლოდ მდიდარმა ფანტაზიამ, ღრმა წარმოსახვამ. ამიტომ ეს ხასიათები ნამდვილია, თანაბარი, მტკიცე! კვანძები, მოთხრობის განვითარება — უცნაური და ამავე დროს ბუნებრივი.

ჯარისკაცი სიკვდილის წინაშეც არ ღალატობს თავის თავს... მღერის ლიად დარჩენილ საფლავებზე, გარდაცვლილ ქალზე, რომლის სასიკვდილო სარეცელი ჰაერში გაწვდილი ორი მკლავი იყო... მღერის ზღვაზე, რომელიც ადამიანებს იპარავდა... მღერის შურისძიებაზე...

ესაა გრძნობათა ჭეშმარიტება, მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის! აქ საუცხოო აზრებია: „-რა საოცარია ცხოვრება. ქვეყნის მომავალი გვერქვა, დღეს მეომრები ვართ და სხვა თაობის მომავალს ვიცავთ."

მოთხრობის გმირები ფიქრობენ პოეტური ენით. მათი ხასიათების საშუალებით შეიძლება გაიცნოთ ის ქვეყანა, რომელმაც ისინი წარმოშვა. „მე ვიძიებ შურს ლიად დარჩენილი საფლავებისათვის, — წარმოთქვა ჩურჩულით ზემდეგმა, — თითქოს ლოცულობდა."

იმისათვის, რომ უფრო სრულად და გარკვეულად გამოვხატოთ ა. სულაკაურის რომანტიკის არსი და ხასიათი, თვალი გადავავლოთ კიდევ მის ზოგიერთ მოთხრობას. ღრმად სევდიანი, მაგრამ, ამასთან, დიდებულად მშვიდი პოეტური კოლორიტია აღბეჭდილი — „წყალდიდობაში".

ადამიანი ამაყობს თავისი მაღალი დანიშნუ-

ლებით. მისთვის სიცოცხლე მოქმედებაა. უყვარს ჭეშმარიტება და სიკეთე არა ჯილდოსათვის, არამედ, ჭეშმარიტებისა და სიკეთისათვის. კეთილ საქმეს აიძულებს არა სიკეთისაგან სარგებლობა, არამედ თვით სიკეთე. „-შენ კეთილიცა ხარ... ყველაზე კეთილი, მტკვარივით კეთილი“ — ჩურჩულებს მეთევზის ცოლი. მწერალი მშვენივრად სწვდება ასეთ ადამიანურ სახეებს.

ყველაფრისათვის ფასი დაუდიათ ამქვეყნად. კაცობისათვის, პატიოსნებისათვის, ლვაწლისათვის, სილამაზისათვისაც დიდი ფასი დაუდიათ. ყველაფერი ძვირად ფასობს, უფრო მეტად ღირს... ქალის სილამაზე მამაკაცის სიყვარულზე ძვირი არ უნდა ღირდეს, ფიქრობს მეთევზე ლადო. და მთელი ეს ფიქრები, ეს სულიერი განწყობილებები ნათლად მეტყველებენ მის ზნეობრივ უპირატესობაზე.

დეტალები? ლექსიკური აქსესუარი?! — რამდენი სიღრმე, ჭეშმარიტება და, ამასთან რა სისადავეა ყველაფერში!

მეთევზე აღძრავს მკითხველის ღრმა თანაგრძნობას. მისი სევდა სათუთია, მაგრამ სუსტი არსების გრძნობა არ არის. ის არ დაწვრილმანებულა სევდიან გრძნობაში. ეს გრძნობა ა. სულაკაურის მოთხრობებში ყოველთვის ჟღერს, მაგრამ ისე, რომ სულის სხვა ბგერათა ჰარმონიას არ ახშობს: „-მე ვიცოდი წახვიდოდი და აღარ დაბრუნდებოდი“... იულიამ უეცრად იგრძნო — დაკარგა ის, რაც მისთვის ყველაზე ძვირფასი იყო, თანაც დაკარგა სამუდამოდ. ისინი ცივად დაშორდნენ ერთმანეთს, სიძულვილის გარეშე, მაგრამ სიყვარულის გარეშეც.

სიყვარულის წმინდა გრძნობას მრავალი რამ ელობება წინ. ლადოს უნდოდა მხოლოდ ერთხელ შეეხედა თავის ოთახში, უკანასკნელად მოევლო თვალი იქაურობისათვის... იგი წააგავს შებორკილ ადამიანს, რომელსაც შოლტით აიძულებენ გაიქცეს საკუთარი სახლიდან.

მდუმარე აზრი მეტყველებს მოთხრობაში. რა აზრია ეს? — ეს არის ტკივილები და ტანჯვა, რასაც იწვევს დანახვა იმ ადამიანური ღირსებისა, რომელსაც არ ცნობენ და რომელიც შეურაცხყოფილია განზრახ.

აქვეა მეწისქვილე, რომელიც სიკეთეს აკეთებს ანგარებით, სარგებლობისათვის. არ ერიდება ბოროტებას, როცა ეს მისთვის სასარგებლოა.

დიალოგებში არაფერია განყენებული, საქმის შეუსაბამო. ეს მშრალი, განყენებული, სქოლასტიკური დისპუტი კი არ არის, ცოცხალი დრამატული კამათია, სადაც ყოველი მოქმედი პირი თავს ამჟღავნებს როგორც ადამიანი და ხასიათი, იცავს თავის ზნეობრივ არსებობას.

ა. სულაკაურის პოეზიის ქვეყანა უბრალო ხალხის ქვეყანაა, ავტორმა იცის მათი აზრები, გრძნობები, მათი შინაური და საზოგადოებრივი ცხოვრება, მათი ჩვეულებები, ადათები, დამოკიდებულებანი; ფრაზები შერჩეულია აზრას და გრძნობის გამოსახატავად: „აი, მე ბევრი დამინგრევია, წლობით ნაშენი ერთ დღეს დამინგრევია... მაგრამ, რაც მე დავანგრიე, ველარ ავაშენე. დანგრევით ნუ დაიწყებ ცხოვრებას, ვაითუ დაგებედოს... მე მაშინ მივხვდი, ძია ლადო ცხოვრებაში ყოველგვარ წვრილმანს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.“

რაღაც იდუმალი კავშირია „წყალდიდობასა“ და „მტრედებს“ შორის. შესაძლოა, ეს იდუმალება თბილისის ლირიკული კოლორიტიდან მომდინარეობდეს. ავტორი არც ამ მოთხრობაში გვღლის მოსაწყენი წვრილმანებით; თითოეული ხაზი, სახე ზუსტად თავის ადგილზეა, რაც გვარწმუნებს, რომ ა. სულაკაური ცხოვრებას უცქერის გამჭვრეტი თვალით, ყურადღებით სწავლობს მას, ბევრი რამ უნახავს, ბევრი შეუმჩნევია. ცხოვრების ღრმა ჭეშმარიტება და სისწორე ჩანს როგორც მთლიანობაში, ისე ნაწილებსა და წვრილმანებში.

„მტრედები“ ეპიზოდია მთელი ხალხის ცხოვრების ეპოპეასი, სადაც ფაქტები სიტყვებზე ხმამაღლა მეტყველებენ. ავტორი მოხარულია გამოამზეოს ყველაფერი, რაც ლამაზია, ადამიანურია ცხოვრებაში და ოდნავადაც არ მალავს მის სიმახინჯეს.

ა. სულაკაურმა ომის იმ საშინელ დღეებშიც დაინახა პოეტურობა, იპოვა ადამიანური გრძნობა, რომელიც ამოძრავებს და აცოცხლებს მის გმირებს.

ლევანისა და ნანის კეთილი ჩვევები და თვისებები ისეთ ნიუანსებშია გამომჟღავნებული, რომ მათი მიხედვით შეიძლება ცნობა ერისა და არა მხოლოდ ადამიანისა, ინდივიდუუმისა.

ბევრი რამ არის ასეთი გასაოცარი სისწორით დანახული. მეტადრე იქ, სადაც თვით ფაქტების პოეზიაა: „ლევანი მხარზე გრძნობდა პაწაწინა, მსუბუქსა და თბილ ხელს და უხაროდა. ამ ხელიდან მის სხეულში ილვრებოდა უცხო და უცნაური, ჯერ კიდევ განუცდელი ჟრუანტელი. ეს პაწაწინა, მსუბუქი ხელი იმედივით იყო.“ აა, რას ნიშნავს სიტუაციის ბუნებრივი გრძნობის სისწორე.

ლევანმა სულში რაღაც უჩვეულო იგრძნო!.. ჩნდება მოლოდინი, რომ იგი სიყვარულზე ალაპარაკდება. ვითარება მართლაც მაცდუნებელია, ახსნა კი არ ჩანს. ახსნას მწერალი მკითხველს ანდობს. ეს თავშეკავება, მხატვრის ასეთი ტაქტი განა ნათლად არ მეტყველებს შემოქმედის ზუსტ შინაგან კონტროლზე?

ძირითადი აზრი აქ ჭეშმარიტი და კეთილშობილურია, ოცნებებისადმი ერთგულება — წმინდა, გრძნობიერება — უტყუარი.

როგორი თხრობაა: ენერგიული, მძლავრი!

კიდევ უფრო მეტად მსუბუქი, ნათელი სევდით და პოეტური ჩაფიქრებითაა სავსე „ბიჭი და ძაღლი“. ბიჭი აზროვნებს გრძნობით. ღრმა და ადამიანურია მისი გაგება. თანასწორივით

ესაუბრება ქუჩაში ნაპოვნ ძაღლს, რომლის „ძაღლური წუხილი“ არავინ გაიზიარა. ძაღლს კი გააჩნია არა მარტო ინსტინქტი, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „სათნოებაც“, ადამიანისადმი ერთგულება და გულმოდრეკილება, რაც ადამიანისათვის სიცოცხლის გასაწირავად მზადყოფნამდეც მიდის.

უბრალოება, გულუბრყვილობა, ღირსება, სითბო და სიწრფელე განსახიერებული ბიჭის სიტყვასა და მოქმედებაში. ერთგულია იგი ძაღლისა და თავის თავისა. რამდენიმე საათით დააგვიანდა ბიჭს ნომრის შოვნა. ძაღლი დაიჭირეს „მამაკაცური, დიდი ნაბიჯებით მიდიოდა პატარა, შავგვრემანი ბიჭი, რომელსაც მაგრად ჩაებღუჯა ხელში მრგვალი ნაჭერი.“ (ნომერზეა ლაპარაკი).

ბიჭი სდუმს, მაგრამ მჭევრმეტყველურია მისი დუმილი. რა საოცარ მხატვრულ ფუნქციას ასრულებს ა. სულაკაურის შემოქმედებაში ეს დუმილი, რა სადა და თავისი კეთილშობილური სისადავით, ძლიერი გამოხატულებაა ტანჯვისა!

„აბელის დაბრუნება“ კი მოთხრობაა — თქვენზე, ჩემზე, მეტნაკლებად თითოეულ ჩვენგანზე. აბელი ბრუნდება, დიდი ხნის შემდეგ და მასში ნელნელა, თითქოს ზმორებით იღვიძებენ თანდაყოლილი, მაგრამ მერე მივიწყებული გრძნობები. იღვიძებენ ჩვევები, რომლებიც აქამდე აკრძალული ეგონა.

აბელში ხედავთ რწმენის გმირს, უმაღლეს ზეშთაგონებათა გამო წამებულ არსებას... რა მაღლა დგას იგი იმ საძაგელ წრეზე, რომლის გულისთვის ოჯახს მოწყდა. მას ფიქრიც დანაშაული ეგონა, რადგან დაეჯერეს, რომ ორპირი და გამყიდველი იყო...

როდესაც აბელს ყურს უგდებთ, არ შეიძლება არ გჯეროდეთ, რომ ადამიანი, რომელიც ამდენი ძალით ავსებულა, შეუძლებელია მაღალი ღირსებისა არ იყოს, არ იყოს ადამიანობის დამცირების გამო ღრმა სევდით მოცული.

„— რისთვის ისჯებიან ადამიანები, აბელ?

— ზოგი დანაშაულისათვის...

— ზოგი?

— სიმართლისათვის.

— მაშ, სამართალი არ ყოფილა ქვეყანაზე, აბელ?

— სამართალი რომ არ ყოფილიყო, მე ისევ იქ ვიქნებოდი და შენც არ აგითრთოლდებოდა ასე ხმა.“

ენერგიული, აღშფოთებით სავსე ხმაა! კეთილშობილური პათოსით გამსჭვალული სიტყვაა! მთელი ძალით იტაცებს სულს ეს საბრალმდებო სიტყვა, რომელიც ჰქუხს და საშინელი სამსჯავროთი იმუქრება.

გავიდა დრო. აბელი ზის გაჩირაღდნებულ დიდ დარბაზში... „მართლმსაჯულებამ მიიწვია და დასვა ყველაზე მაღალ სკამზე, რათა დაენახა ყველას, როგორია სიმართლე.“

ესაა განაჩენი არა რომელიმე ჯგუფისა, არამედ საერთოდ ადამიანური არსებობის მიმართაც.

პოეზიის რა სიმდიდრეა, მაგალითად, ამ სტრიქონებში: „ძველ ტკივილებს როგორც ბრძოლაში დაჭრილ მეგობრებს ისე უვლიდა“.

„ის კაცი არ ესწრაფვის ფუფუნებას, ყველაფერს პატიოსნება ურჩევნია“ — ამბობს „ოქროს თევზის“ ერთ-ერთი გმირი, და თქვენ გრძნობთ, მწერალი რა გულშემატკივრად და მხნედ უღიმის მკითხველს.

მწერალმა მხატვრის თვალით ჩაიხედა ოჯახის საიდუმლოებაში, რათა გარეგანი მოვლენა გაეპალა შინაგანის გამოხატულებად, სინამდვილის ფაქტში აღმოეჩინა საერთო კანონი, მოვლენაში — აზრი.

არ შეიძლება არ გაგაოცოთ იმ სისადავემ, რომლითაც სწვდება მწერალი მირიანის ცხოვრების ყველაზე დამახასიათებელ ნიშნებს. მაგადანიდან დაბრუნების შემდეგ მირიანს თითქოს არაფერი აღარ აინტერესებდა, განდეგილივით ცხოვრობდა, თითქოს უარს ამბობდა ყველა ამქვეყნიურ სიამოვნებაზე. მირიანი არ იყო არც გულცივი, არც გულქვა, არც მშრალი. მის სულში დასადგურებული იყო პოეზია და საერთოდ იგი არ ეკუთვნოდა ჩვეულებრივ, უბრალო ადამიანთა რიცხვს.

მირიანს სულ ჰგონია, სიცოცხლე იმად არა ღირს, რომ მისთვის წვალობდე, ამავე დროს კიდეც ცოცხლობს, იტანჯება, კიდეც უყვარს, კიდეც ესწრაფვის, კიდეც სურს; მირიანი ძილში ბორგავდა, მას ხუთი ჭრილობის ტკივილი კი არ აწვალებდა, აწვალებდა მოგონებანი წარსულისა; ის მიისწრაფვის ადამიანებისაკენ და, ამავე დროს, თავზარდაცემული გაურბის მათ. აქ არის მუდმივი ბრძოლა ზოგადისა კერძოსთან, გონებისა — ავტორიტეტთან, ადამიანური ღირსებისა — საზოგადოებრივ ბარბაროსობასთან; როგორც ყოველ მაღალ არსებაში, მირიანში არის ნებისყოფის ძალა, გულის გაშლილობა, სიღრმე.

ხასიათების გამოკვეთილობით, ოსტატური განლაგებით, პათოსის ძალით, სისადავითა და დასრულებულობით „ოქროს თევზი“ თვით ა. სულაკაურის შემოქმედებაშიც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს. სიტყვა მოქცეულია ისეთ ფორმაში, გულუბრყვილობამდე რომ აღწევს. ეს ფორმა კიდევ უფრო აძლიერებს აზრს. მწერალმა გამოიმუშავა თავისი შეხედულება გარკვეულ წრეზე და მასზე მაღლა დადგა. იმ სიმაღლიდან აშუქებს ამ წრის მოწყენილობას, შეუსაბამობას, ჩვევებს, მთელ მის ქაოსს.

გააშუქო ცხოვრების მოვლენა, ნიშნავს — მიუყენო მას უმაღლესი სამართლიანობის საზომი. ა. სულაკაურს ეს შეუძლია.

მირიანის ძმის, დათოს პიროვნებაში იგრძნობა ტკივილი მგრძნობიარე და სათუთი სუ-

ლისა, რომელსაც სინათლე და სიწმინდე სწყურია, სურს ადამიანთა სიყვარული, უნდა ისეთი საქმე დაიწყოს, რომელსაც დაამთავრებინებენ.

გულისმომკვლელია იმ წრის დანახვა, რომელშიც ღათოს უსდება ყოფნა, სადაც ყოველივე კეთილშობილს და ნიჭიერს სამარცხვინო უმოქმედობის დაღი ამჩნევია. ყველაფერი აქ ძირითადი იდეის შესაბამისია, ყველაფერი მას უკავშირდება, კვანძის შეკვრა და გახსნა თავისუფლად გამომდინარეობს თვით შინაარსის არსიდან. მწერალი აგნებს გმირს მთელი მისი ჭეშმარიტი სახით, ყველა სახე ჩინებულად არის მოხაზული, განსაკუთრებით მამის — პლატონ ბარამიძის სახე. პლატონი ისე მარჯვედ ასრულებს თავის როლს, რომ არც ცოლი, არც შვილები არ დაეჭვებულან, რომ ეს ცრუმარქვია უპატიოსნო გზით მდიდრდებოდა. პლატონის მოუხეშავ ჭკუას ვერც წარმოუდგენია, რომ ღათოს ბუნებაში არის ფაქიზი და სათუთი სიმები, რომელთაც ფრთხილად უნდა მოეპყრას, რათა ადამიანი უბედური არ გახდეს.

მწერალმა შეძლო გაეტარებინა სინამდვილის მოვლენები საკუთარ ფანტაზიაში, შთაებერა მათთვის სიცოცხლე. იგი გონებით ჩაწვდა საქმის შინაგან არსს, გამოიცნო ფარული სულიერი მიზეზები, რომლებმაც ეს ადამიანები აიძულეს ასე ემოქმედათ.

„ლუკა" უფრო მეტად, ვიდრე „ოქროს თევზი", აუსრულებელ სურვილებზე, მისწრაფებებზე, გატაცებებზე, გრძნობებზე, იმედებზე მეტყველებს. მასში მწერლის მთელი სული და გული ხმიანობს, მაგრამ ამით არ ამოიწურება მისი ღირსება...

ლუკას არსებაში, როგორც ყოველ ადამიანში, არის უსასრულობის გრძნობა. ის მისი სულის საფუძველია და მისადმი მისწრაფება ყოველგვარი სულიერი მოღვაწეობის მამოძრავებელი ძალაა.

ლუკა თავისი ოცნებების ერთგული იყო... ესეც ცოტა ნუგეში როდია!

ღრმად და სწორად გაზომა მწერალმა სიცარიელე იმ ადამიანებისა, რომელთა არარაობას იგი გმობს, ამათრახებს. მათ დაჰკარგეს სახე და მსგავსება ადამიანისა; გონება, გრძნობა, სინდისი, პატიოსნება შესცვალეს პირობითი ზრდილობით. ნართაული თქმები, რომლითაც მოთხრობა მთავრდება, კიდევ უფრო აძლიერებს მკითხველის ინტერესს. ფინალი იმდენად მრავალუცნობიანია, რამდენადაც მარტივი. ეს იგივეობა მოითხოვს მკითხველის მომზადებას — შინაგან ნათელ ჭვრეტას, წინათგრძნობას. ბოლომდე არაა გახსნილი სიუჟეტი, მაგრამ ხელოვნებაც ხომ ესაა: თქვა მხოლოდ ზოგი რამ, და ამით ყველაფერი გასაგები გახადო.

ა. სულაკაური ბუნებით რომანტიკოსია და მოთხრობაშიც გვხვდება როგორც რომანტიკული სულისკვეთებით გაულენთილი მშვენიერი ადგილები, ასევე საინტერესო ფილოსოფიური მსჯელობანი. იგრძნობა პოეზიაც და ჭკვიანი ადამიანის აზრები და განცდებიც.

ხელოვნების, პოეზიის მარადიული წყაროა ცხოვრება და ფანტაზია. მწერალი იღებს მას, რასაც არ შეუძლია მისი კოლექციის ჰარმონია დაარღვიოს.

მწერალმა შეუფარდა თავისი ძალა მიზანს!

ზნეჩვეულებების მხატვრული ქრონიკა, გარკვეული წრის ადამიანთა და საზოგადოების გესლიანი დაცინვა, გრძნობათა ფაქიზი გამჟღავნება აირეკლა მოთხრობებში: „გაბო", „ჟამი დასვენებისა", „ხიდი", „დიდთოვლობისას", „ზევით და ქვევით", „ძველი ამბავი". ხასიათები აქ იმდენად განსხვავებული და მრავალმხრივია, რომ ძნელია ერთი თარგის ქვეშ მათ თავი მოუყარო. თითოეული — ესაა სამყარო მინიატურაში, სადაც წარმოსახულია ადამიანის ბედის მოკლე ეპიზოდები, ხასიათების ესკიზები. ესაა არა მთელი ცხოვრება, არამედ ნაწყვეტები ადამიანის ცხოვრებიდან.

ახალგაზრდა პოეტის სევდა დაკარგული ჭაბუკობის გამო, გულგატეხილობა, სისხლის დუღილი სულიერი სიცივის პირობებში, მოქმედების წყურვილი ჩანს მოთხრობაში „ღამე ყაბაზე".

ეს მოთხრობა არ არის დაწერილი. ა. სულაკაურისათვის დამახასიათებელი სტილით, უფრო იხრება ბიოგრაფიული ჟანრისაკენ. მასში ოდნავ შენელებული ჩანს მოვლენების პოეტური განცდა და სიტყვიერი სიფაქიზე, ადამიანებისა და საგნებისადმი ის ლირიკული დამოკიდებულება, რომელიც დამახასიათებელია ა. სულაკაურის მოთხრობებისათვის. მართალია, გვხვდება ალაგ-ალაგ მწერლისათვის ტიპიური პოეტური შედარებები, სულიერი ამაღლებულობა, მაგრამ ავტორმა მაინც თავი ვერ დააღწია მთლიანად ფაქტობრივ მასალას.

მწერლის მთელ შემოქმედებაში მკითხველი ნათლად გრძნობს ნამდვილ ცხოვრებას, მოსიყვარულე გულის ნაღვლიანი ღიმილით რომ არის განათებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ. კოტეტიშვილი

# ჰუმანიზმისა და ადამიანის ხელშეუვალობის იდეალი

აღიარებული და უკვე ტრადიციადქცეული მოსაზრება, რომ ალექსანდრე ყაზბეგმა გვიჩვენა თემური ყოფის რღვევა და ამ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტი-ტრაგედია გმირებისა, შინაარსობლივი თვალსაზრისით სწორია — ალ. ყაზბეგის თხზულებებში მოთხრობილი ამბავი მართლაც თემური ყოფის ფონზე ვითარდება და გმირთა თავგადასავალიც გამუდმებით სიმწვავე-დრამატულობას ამ ნიადაგზე იღებს, მაგრამ თუ ალ. ყაზბეგის ლიტერატურულ მემკვიდრეობას მეორე, სიღრმისეული ასპექტიდან გავიზიარებთ, ზემოთხსენებული ტრადიციული მოსაზრება მთლად სრული არ აღმოჩნდება.

თანამედროვე ლიტერატურამცოდნეობის დონისათვის კი ბუნებრივი იქნებოდა განსაკუთრებული ყურადღება მიგვექცია იმ შინაგანი მხატვრული ამოცანებისათვის, რომელთა წარმოსახვასაც ნაწარმოები ემსახურება. ცხადია, „ორი პლანი“ ამა თუ იმ ქმნილებისა ურთულესი რამ არის და ხშირად უპირველესი მნიშვნელობა სწორედ იმ შინაგან, თვალში ნაკლებად საცემ და მაინც მუდმივად თანამდევ, არსებითად თითოეული დეტალის წარმმართავ მოტივს აკისრია; ამიტომ მისი წარმოჩინება უნდა იქცეს კვლევა-ძიების უმთავრეს ამოცანად...

ყოველი ღირსეული ძეგლი თავისი ეპოქის პირმშოა და ამ ეპოქის ტკივილებითა თუ მწვავე საზრუნავით არის ნასაზრდოები; ამიტომ აუცილებელია მხატვრული ნაწარმოების ღრმა ჩანაფიქრისა და მისი პოტენციური შესაძლებლობის გასაგებად იმ დროის შინაგანი ჭიდილის, დრტვინვისა თუ საფიქრალის გათვალისწინება, რის გარეშეც ნაწარმოების მასულდგმულებელი პრობლემატიკა სრულფასოვნად ვერ იქნება მიგნებულ-დანახული.

რა ჰქმნიდა XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და, განსაკუთრებით, 70-80-ანი წლების სულისკვეთებას, რით იწრთობოდა, რა აკავებდა და რაგვარ მოვლენათა ურთიერთშენაცვლება აჩქარებდა დროის მაჯისცემას? რას შეჰყურებდა, რას ელტვოდა ახალგაზრდობა?

ეს იყო პერიოდი ახალი, მებრძოლი თაობის გამოსვლისა, დიდი ძვრებისა და რაინდული გამბედაობისა, კატორღაგამოვლილი დოსტოევსკის რთული კოლიზიებით აღსავსე ქმნილებებისა, ჩერნიშევსკის დაპატიმრება-გადასახლებისა, „ნაროდნაია ვოლიას“ განადგურებისა, დაუნდობელი რეპრესიებისა, ადამიანის თავისუფლებისმოყვარე სულის ყოველმხრივი დევნა-შევიწროებისა, საიდუმლო აგენტურის სრული პარპაშისა.

ხალხი აღშფოთებული იყო ხელისუფალთა თვითნებობით; ჭაბუკები აწყობდნენ ჩერნიშევსკის განთავისუფლების თამამ ოპერაციებს; რეპრესიები, მრავალრიცხოვანი დაპატიმრებანი. გახმაურებული, სენატის საგანგებო მეთვალყურეობით წარმართული პროცესები, მსჯავრდებულთა კატორღებში გადასახლება მძაფრ პროტესტს იწვევდა და ახალ-ახალ თავგამოდებულ მებრძოლებს ჰბადებდა ფართო მასებში... გასამართლებულებს მიუძღვნეს პოპულარული ლექსები ნ. ნეკრასოვმა („დადუმდნენ პატიოსნად, კეთილშობილად დაცემულნი“...), ი. პოლონსკიმ („ტყვე ქალი“) და სხვებმა.–

აი როგორი ამბების ექო გუგუნებდა მოსკოვში, აი რა ისმოდა პეტერბურგიდან, აი, რა ხდებოდა ქვეყნად! და უაღრესად მგრძნობიარე

ჭაბუკი ალექსანდრე ყაზბეგისათვის ეს სულისშემხუთავი ატმოსფერო, შეუცნობელი ვერ დარჩებოდა, ვინაიდან თვით ის პერიოდიც კი, როდესაც ალ. ყაზბეგი მოსკოვში სწავლობდა (1867-1870 წ.წ.), პირდაპირ შემამზადებელი და დამმუხტავი იყო მომდევნო წლების დიდი მოვლენებისა. საფიქრებელია, რომ მისი თვალთახედვა არსებითად ამ გარემოებებმა (მ. ბაკუნინის, ი. ლავროვის, ნ. მიხაილოვსკისა და სხვათა „ხალხში გასვლის“, „ხალხისათვის თავდადების“ მოწოდებებთან ერთად) გამოკვეთა, ხოლო ხალხში ტრიალის, ხალხის ჭირ-ვარამის თანაზიარობის, დაუკმაყოფილებელი ძიების, დაუმორჩილებლობის ხასიათი უთუოდ მოსკოვში სწავლის წლებში გამოენასკვა მის დაუდეგარ სულს.

სტუდენტობა ყოველთვის დიდი გულისხმიერებითა და ინტერესით ეკიდება ყველაფერს, რაც ირგვლივ ხდება, სწრაფ რეაგირებას ახდენს და, ხშირ შემთხვევაში, მოვლენის თანამონაწილედაც კი იქცევა. ახალგაზრდები უმალ იგებენ მომხდარ ამა თუ იმ ამბავს, გულისფანცქალით ელიან შედეგს, უშუალოდ შეიგრძნობენ ყველა წვრილმანსაც კი და მორალური თუ საქმიანი მხარდაჭერით ავლენენ თავიანთ დამოკიდებულებას. აკი სწორედ ამ აზრს გამოხატავდა მქსოველი პეტრე ალექსეევი — „მუშა ხალხს იმედი მხოლოდ საკუთარი თავისა და ჩვენი ინტელიგენტი ახალგაზრდობის უნდა ჰქონდეს, მან ერთმა, როგორც კეთილმა მეგობარმა, ძმურად გამოგვიწოდა ჩვენ თავისი ხელი და წრფელი გულით სურს ამოგვიყვანოს მორევიდან“. ახალგაზრდები მწვავედ განიცდიან ადამიანის უფლებათა შელახვას, პიროვნების შევიწროებასა და ჩაგვრას; მით უფრო, რომ ეს იყო საერთო დრტვინვა და ბორგვა საზოგადოებისა. დროის ეს საჭირბოროტო წუხილი ეპოქალურ მსოფლიო პრობლემად იქცა და ადამიანის ღირსების პატივისცემა, მისი დაცვა კეთილშობილურ მისწრაფებათა გამოხატულებას წარმოადგენდა...

ვისაც კი სწამდა კაცობრიობის სანეტარო იდეალები, ვისაც მაღალი მიზნები გააჩნდა, გულგრილი ვერ დარჩებოდა ხალხის ტანჯვისადმი და მოწინავე ინტელიგენციაც მთელი არსებით თანაეზიარა ქვეყნის მკაცრ ხვედრს, კისრად იდო წამებისა და ბრძოლის მძიმე ტვირთი, კანონიერებას ამოფარებული უკანონობის ვითარებაში საგანგებო მნიშვნელობა შეიძინა და გამკვეთრდა გმირობისა და მოქალაქეობრიობის ნათელი იდეა („იყავი გმირი და მოქალაქე“).

მოყვასისათვის თავდადება, მხარში ამოდგომა, ჩაგრულთა ქომაგობა შინაგანად ასაზრდოებდა ყოველივეს და იმ დროს, როცა მესამე განყოფილება ყველას სულში უძვრებოდა, ადამიანთა პიროვნულ უფლებას არაფრად აგდებდა, მათზე „საქმეებსა“ ქმნიდა და „ყოვლისმხილველი“ კადნიერებით მათი გულის კუნჭულებში იქექებოდა, ალ. ყაზბეგის მოხუცი ფარემა ლოზუნგივით აცხადებს: „კაცს გული დახურული იმად აქვს, რომ შიგ ყველამ ვერ ჩაიხედოსო“, და ეს წარმოითქვა 80-იან წლებში, როცა იხედებოდნენ კი არა, ცინიკური დაურიდებლობით აფათურებდნენ სისხლში გასვრილ ხელებს.

თავისი შემოქმედების ამ ერთ უმთავრეს ლეიტმოტივს რომანისტი უზადო კომპოზიციურ განფენას აძლევს: სიყვარულისაგან გონარეული ონისე არაბული გადაწყვეტს გაყიდოს სარჩოსაბადებელი და სატრფოსთან ერთად სხვაგან გადაიკარგოს, დათმოს მამა-პაპათა საძვალე-სავანენი, მშობლიური მიდამო და აღმზრდელმახლობელნი.

თანასოფლელთა მიერ ამბის შეტყობა და თემის შეშფოთება უფრო ამწვავებს ვითარებას; სახალხო შეყრა მეტ ემოციურ დატვირთვას იღებს — თავისი წევრის ჭირ-ვარამის გულმხურვალედ თანაზიარი მოხევენი კარგად გრძნობენ, რომ რაღაც წარმოუდგენელი უბედურება უნდა დასტეხოდა მეზობელს, რომ თუნდაც გაეფიქრა ასეთი რამ.

უფრო თვალნათელი რომ გაეხადა საოცარი მოწიწება ინდივიდის პიროვნული ცხოვრებისადმი,[1] ავტორმა გვაუწყა: ონისეს მოსვლით სრული სიჩუმე ჩამოვარდა; საგონებელს მიცემული მეზობლები, რომლებსაც ორიოდე წუთის წინ „გახურებული სჯა ჰქონდათ“, „ისხდნენ ჩაფიქრებულნი, თავჩაკიდულნი და იმ მწუხარე გამომეტყველებით სახეზე, რომელიც მგლოვიარე, მოსამძიმრე გულს დაეტყობა ხოლმე“ (ტ. II. 411). მაგრამ, გულის ამ წვა-დაგვას მიუხედავად, როგორც კი ყრილობა საქმეს შეუდგა, მკაცრი წესრიგით შეკრული თემობას „ძლევამოსილი დიდებულების“ ფონზე იწყება რიგითი წევრის ჩაკითხვა-შეგონება და ამ საერთო შეუვალობის გარემოში განსაკუთრებული ელვარებით იკვეთება ის საგანგებო სითბო-მზრუნველობა და კდემამოსილება ადამიანის ღირსებისადმი, რაც თავიდათავია ალ. ყაზბეგის ლიტერატურული მემკვიდრეობისა და რასაც უთუოდ საოცარი გულისძახილი, რეზონანსი მოჰყვებოდა, განსაკუთრებით მისი შექმნა-გამომზეურების ხანაში.

თემობა სთხოვს ონისეს გადაუხსნას გულის ვარამი, გაუმხილოს თანამოძმეებს თავისი ფიქრი, ის დიდი უბედურება, რომლის გამოც ასეთ საბედისწერო ნაბიჯსა დგამს; ხალხის წადილი ძლიერია, მაგრამ მისი ჩაციება უმალვე აღიკვეთება, როგორც კი კაცი ალალად განაცხადებს, რომ არ შეუძლია მი-

---

1 თემობის მიერ ინდივიდის უფლებათა პატივისცემა კარგად შენიშნა ვახ. კოტეტიშვილმა ჯერ კიდევ 1924 წელს გამოცემულ წიგნში „ალ. ყაზბეგი და მისი ავტორობის საკითხი“.

ზეზის დასახელება. მოხუცი თავკაცის ნათქვამი — „კაცს გული დახურული იმადა აქვს, რომ შიგ ყველამ ვერ ჩაიხედოს“ — საერთო სულისკვეთებად ისმის და ამიტომ „ხალხმა გადასწყვიტა, რომ ონისეს გზა მისცენ და ჩამოეხსნან, რადგანაც უეჭველი იყო, რომ ამ მოულოდნელობისათვის მეტად მძიმე მიზეზები უნდა ჰქონოდა“ (ტ. 11, 414).

ადამიანის უფლებამოსილების, მისი ხელშეუხებლობის ამ მონოლითურ ძეგლს ერთგვარი წინასწარი „შემზადება-გახსნა“ ეძლევა ონისესა და მწყემსი ბიჭების შეხვედრის სცენაში: პატარა მწყემსებმა პირველად შეიტყვეს ონისეს გადაწყვეტილება და სულის კაწკაწით უნდოდათ მიზეზის გაგება, მაგრამ „კ ა ც ი ს  ს უ ლ ი ს  ს ა ძ ი რ კ ვ ე ლ შ ი  ჩ ა ხ ე დ ვ ა,  გ ა ქ ე ქ ვ ა  ვ ე რ  ე კ ი ს რ ა თ“ (ტ. 11, 408).

80-იანი წლების მძიმე ვითარებაში მწერალი ხან ქვეტექსტით და ხანაც პირდაპირ ამცნობს და შთააგონებს მკითხველს, რომ არავის არა აქვს უფლება ადამიანის მეობაში დაურიდებლად იფათუროს. პიროვნების შეუვალობის ამ მრავლისმეტყველი ზეიმის შთამაგონებელი სურათით ინაკვება გარკვეული აზრი: ხალხმა ადამიანს არ შეუბღალა კაცური თავმოყვარეობა, განზე გადგა, გზა მისცა, მაგრამ მაინც მოვალედ ჩათვალა თავისი წევრისათვის სითბო და მზრუნველობა მარადიული საგზალივით ვაეტანებინა, ვინ იცის, რა სავალზე დამდგარისათვის „ონისევ, მიდიხარ და ჩვენი გული კვნესით გესალმების! გახსოვდეს, რომ... შენ მოძმეთ გული სიხარულით შეინძრევა, თუ კიდევ დაბრუნდი, თუ შენი სიახლოვე იგრძნო“. (ტ. 11, 414).

მწერლის რწმენით, საზოგადოების ვალდებულებრივი დამოკიდებულება თავისი წევრის მიმართ ყოველ ნაბიჯზე უნდა ჩანდეს, თითოეულის ტკივილს სისხლხორცეულად გრძნობდეს და, რაც მთავარია, საჭიროების შემთხვევაში მოსარჩლედ აღდგეს: სწორედ ცხოვრებისაგან განწირულთა დაცვა-ქომაგობის საერთო მოწოდებად ისმის კაცობის უფლებათა ამ მომნუსხავი სცენის წინ ჩაწნული ავტორისეული კომენტარი:

„თემობას თავის საზოგადოება ერთს ოჯახად მიაჩნდა და ყოველი თ ვ ი თ ო ე უ ლ ი ს  წ ე ვ რ ი ს  უ ბ ე დ უ რ ე ბ ა  საერთო ზარალად, ს ა ე რ თ ო  დ ა ს ა კ ლ ი ს ა დ  მ ი ი ღ ე ბ ო დ ა. მაშინ თემობა თავს მოვალედ ხდიდა — დაეცვა სარგებლობა თვითეულის წევრისა, ეზრუნა მისთვის და ყოველ შემთხვევაში გამოსარჩლებოდა. თემი თვითოეულს წევრს ისე უყურებდა, როგორც შემადგენელ ნაწილს მთელის ერთობისას და მის ტკივილში საერთო ტკივილი გამოითქმოდა... მის მფარველობის ქვეშ მყოფი კი დაჩაგრული არავისგან დარჩებოდა. ყველა წევრმა იცოდა, რომ მის მოსარჩლედ მთელი თემოდა იყო. მისი შეურაცხყოფა — მთელის თემობის შეურაცხყოფა იყო, და ამისათვის გ უ ლ ი  ა მ ა ყ დ ე ბ ო დ ა,  ძ ა ლ ა  თ ა ვ ს  ვ ე ღ ა რ  ა ხ რ ე ვ ი ნ ე ბ დ ა“ (ტ. II, 409).

აი, რა არის უმთავრესი სათქმელი — ადამიანი ამაყად წელგამართული უნდა დადიოდეს ამ ქვეყნად, ძალადობას თავს არ უნდა უხრიდეს; თითქოს შემოქმედი მიანიშნებს ხალხს თავის თანადროულ მწარე სინამდვილეზე და ევედრება, — მიხედეთ ადამიანს, ნუ აქელინებთ, ნუ აჩაგვრინებთ, გამოესარჩლეთ და დაიცავით თავგამოდებით! ეს არის მისი ნაწარმოებების შინაგანი, სიღრმისეული მაჯისცემა, ამას ექვემდებარება ყველაფერი.

საყურადღებოა, რომ რომანისტი ლირიკულ ჩანართს აქაც ისევე, როგორც სხვაგან, სისტემატურად, დროის გარემოებით იწყებს: „იმ დროში...“ „მაშინ...“ და ეს შემთხვევით არ არის! (ხომ უამისოდაც, ამბის მსვლელობითაც, თავისთავად ნათელია, როდის ხდება ყოველივე); ესაა მისი მწუხარე ამოკვნესა. ამ მრავალგზის საგულისხმო მინიშნებით ალ. ყაზბეგი გულისტკივილით მოაგონებს, თითქოსდა უსაყვედურებს ქვეყანას; აი, რა გვჭირდება დღეს აუცილებლად. და მაშინ, როცა საზოგადოების საუკეთესო ნაწილი კატორღებში, — ციხეებში, ციმბირის მაღაროებში ბორკილდადებულია, როცა ხვრეტენ და სახრჩობელაზე ჰკიდებენ „უგონოთ გამბედავებს“, — ალ. ყაზბეგის ნატვრა, რომ პატიოსანმა ადამიანმა, შუბლგახსნილმა, ამაყად წელგამართულმა, შეუშფოთებლად განვლოს წუთისოფელი — ლეიტმოტივად ისმის, ვინაიდან მისთვის კეთილსინდისიერი კაცურკაცობა სასიქადულო რამ არის. მწერალს საზოგადოებისა და ინდივიდის ურთიერთობა ამ ურთიერთდამოკიდებულებით სწამს — მისი აზრით, კოლექტივი ყოველ წუთს მზად უნდა იყოს გამოექომაგოს, ზურგი გაუმაგროს, ხელი შეუწყოს პიროვნების შინაგანი ღირსების ამაღლება-გაძლიერებას.

ალ. ყაზბეგის შემოქმედების ამ უმთავრესმა ასპექტმა, ამ შინაგანად მბორგავმა აზრმა დაიბვია და წარმართა ათეული წლების წინანდელი ამბები და ვრცელ მონათხრობთა სიუჟეტში ა რ ს ე ბ ი თ ა დ  უ ა ღ რ ე ს ა დ  თ ა ნ ა დ რ ო უ ლ ი,  ე პ ო ქ ა ლ უ რ ი  ს ა ტ კ ი ვ ა რ ი  გ ა ა ც ხ ო ვ ე ლ მ ყ ო ფ ე ლ ა. იმის მკაფიო მაგალითად, რომ 80-იან წლებში ალ. ყაზბეგისათვის (ისევე, როგორც მთლიანად ქართული ლიტერატურისათვის) საუკუნის დასაწყისის ამბებიც უკვე პრობლემად კი არა, არამედ თანადროულობის მანკიერებათა მხილების საშუალებად იქცა — ისიც კმარა, რომ მწერალმა ალექსანდრე ბატონიშვილის გზა რეალურად ქვეყნის დაღუპვად მიიჩნია და სვიმონ ჩოლოყაშვილის პირით უარყო და დაგმო მისი საქციელი. ბატონიშვილის გამომწვევი მოქმედებისათვის გონიერი, კეთილშობილი პატრიოტის სვიმონ ჩოლოყაშვილის შეპირისპირება ფაქტიურად მე-

ფის ძის დამარცხებაა; კონტრასტი განსაკუთრებულ მხატვრულ სიმკვეთრეს იძენს სვიმონის მოქალაქეობრივი სახის ჩვენებითაც...

უთუოდ უშუალო განცდით არის გამოწვეული მწერლის დაუოკებელი სიძულვილი ჩინოვნიკობისადმი: მონური, მსახურული ატმოსფერო. გარდა იმისა, რომ თავისთავად არის უბადრუკობა, განსაკუთრებით დამღუპველია იმიტომაც, რომ მისი ყველაზე მძიმე შედეგი ხალხისა და საზოგადოებისათვის — ადამიანებზე გამარწნელი ზემოქმედებაა. ალ. ყაზბეგი ყველა მომენტში საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას იმ გარემოებაზე, რომ ხშირად ადრე არც თუ უწესო კაცი, ჩინოვნიკობის წრეში ტრიალითა და „ზაკონ-პრავილების" წუმპეში განბანილი, გადაგვარების მოლიპულ გზაზე ეშვება. და ესეც ხომ თავს გადახდენილ-ნანახის, თანადროული ვითარების უშუალო გამოსხივებაა. უთუოდ მწერალი კარგად იცნობდა ამ წრეს, როგორც მოსკოვში სწავლის პერიოდიდან, ისე მეცხვარეობაში გატარებული მძიმე წლებითაც. მის მიერ დახატული ჩინოვნიკების ქცევა-მანერა, მათი ხასიათის ზნე და ნიშატი გარემომცველი ცხოვრების პალიტრიდან აღებული ფერებით არის გაცოცხლებული და მათ კიდევ დიდხანს არ მოაკლდებათ მამხილებლური ძალა, ხოლო კარიერისტული სულით აღზევებულთა იმდაგვარი მსჯავრდება, როგორიც არის — „...როდესაც კაცი უსამართლოდ ძალას მოიპოვებს, მაშინ ამგვარი ცხოვრება სრულიად აბრიყვებს კაცს და ავიწყებს სხვის პირადობას" — კიდევ დიდხანს არ დაკარგავს თავის აფორისტულობას...

ეპოქის შინაგანი მოთხოვნიდან მომდინარე მეორე არსებითი პრობლემა მოძღვრის პრობლემაა. როგორი უნდა იყოს მოძღვარი, შთამაგონებელი, ზნეობრივი აღმზრდელი ხალხისა — ის, ვისიც სჯერათ, ვისთანაც რჩევისათვის მიდიან სულიერი ტანჯვა- განსაცდელის ჟამსაც კი? ხელოვნებისათვის ოდითგანვე საინტერესო ეს სახე XIX ს. 60-იანი წლებიდან კვლავ აქტუალური გახდა და, ერთი მხრივ, დიდი ჰუმანისტის ვიქტორ ჰიუგოს მირიელის, ხოლო, მეორე მხრივ, რთული მხატვრის თ. დოსტოევსკის ზოსიმის სახით გამოიკვეთა. ჩვენში პრობლემა ჯერ ი. ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობსა", აკ. წერეთლის „გამზრდელში" და შემდეგ — ალ. ყაზბეგის „მოძღვარში" დაისვა.

ალ. ყაზბეგის მოძღვარი ხალხზე მზრუნველი, მის სატკივართა მკურნალი მოძღვარია და არა ლოცვა- ვედრებებში მიმტკნარებული; ის თავისი ბრგე აგებულებითაც ამ წუთისოფლის სატანჯველში გამოწრთობილი კაცია. ნაწარმოებში ონოფრეს პირველივე გამოჩენა თითქოს მისი რაობის სიმბოლური განსახიერებაა: წინა დღეს მოსული დიდი თოვლისაგან ჩახერგილ მდუმარე მიდამოზე აისახება სპეტაკწვერიანი, დაძარღვული მოხუცი, რომელიც ნიჩბით წმენდს თოვლით გადალესილ ბილიკს და ქარბუქით დაფარული გზის გაკვლევა-გასუფთავებაში წააწყდება სიცოცხლისაგან გარიყულ, ყველასაგან განწირულ, ყინვისაგან გათოშილ, ჩაჩუმქრულ ადამიანს.

მხატვარი იმთავითვე მიგვანიშნებს, გვიქმნის სურათოვან შთაბეჭდილებას, და შთაგვაგონებს რომ ყველა ჩვენთაგანი (და განსაკუთრებით მოძღვარ-წინამძღოლი) უნდა წმენდდეს გზაკვალს, პრაქტიკულად უნდა იბრძოდეს, ჩაწიხლულ-წაქცეულს შველოდეს და გათოშილს, გულის სითბოთი ალხობდეს.

ამ თავისთავად ფერწერულად დილებული სურათის ქვეცნობიერი არსი ორი უმთავრესი კონტრაპუნქტით ძლიერდება: ბუნების გამაბრუებელ მეჯლისში, სიცოცხლის დაუოკებელ ზეიმში, სიმღერად გადმოღვრილ არსთა აღტაცება-თავდავიწყებაში (საერთო ჰანგად რომ ისმის — „სიცოცხლეა გაზაფხული") — ვიღაც გულდათუთქული კვნესის და მისი ვაება წუთისოფლისაგან გარიყულთა მარადიულ სამდურავად ჟღერს:

წუთის სოფელო! უფალმა
შეგამკო ათასგვარადა,
ერთი რო კარგად მოაწყე,
ცხოს რად არ აგდებ ფარადა!..

აი ადამიანთა მოდგმის საუკუნოვანი, დაუყუჩებელი ტკივილი და ბოლმაში ნალესი კითხვა: ერთი რო კარგად მოაწყე სხვას რად არ აგდებ ფარადა! ერთნი აღტყინებულნი შესციცინებენ სამყაროს სიკეთე-სიმშვენიერეს, მეორენი კი ქვა-ლოდს ეფარებიან და დაუნდობელი სისასტიკისაგან ცრემლად იღვრებიან.

სწორედ ბედისაგან გადათქერილთა ფეხზე წამომყენებელი, მზრუნველი, ცხოვრებისაგან განაპირებულის ცხოვრებაში ადგილის მიმჩენი, სხვის შეცდომა-დანაშაულთა რაინდულად მტვირთველი, ტანჯულთათვის მალამოს შემამზადებელია მოძღვარი ონოფრე.

მეორე მხრივ, აყვავებულ-გაფურჩქნულ ბუნებაში კვნესა-ვაება ისმის და ყოველი ადამიანის წმინდა მოვალეობაა მარჯვე ხელით სავალი გაასუფთაოს, ჩაჩუმქრულ-გათოშილი წამოაყენოს, ხელი მისცეს, გაათბოს, ხალხის სასარგებლო საქმე აკეთებინოს, სხვის ბოლმა-ვარამთა თანაზიარად აქციოს.

ონოფრეს გულისტკივილის უმთავრესი ამონაკვნესი: „რატომ არ ძალმიძს ყველა გავაბედნიერო, ყველას განსაცდელი ავაცდინო?!" უთუოდ თვით ალ. ყაზბეგის (რომელსაც ხევის ფარს ეძახდნენ) სულისწრაფვის გამომხატველიც არის: თითოეული ჩვენთაგანის უპირველესი მოვალეობაა თავდაუზოგავად იღვაწოს, რომ მეორეს

განსაცდელი აცდინოს, ქვეყნად ყველა ბედნიერჭყოს...

მოძღვარ ონოფრეს პიროვნებაში ალ. ყაზბეგის ესთეტიკური თვალსაზრისი როგორც მისი მაღალკეთილშობილური, კაცთმოყვარე ხასიათით, ასევე გარე სამყაროს, ბუნების სიმშვენიერესთან დამოკიდებულებითაც გამოვლინდა. მისთვის ბუნების „*საერთო მშვენიერების*" შეგრძნება ისე ძვირფასია, რომ ცოდვადა სთვლის არა მხოლოდ იმას, რომ „გაუჭირვებლად სიცოცხლე მოუსპოს" რომელიმე არსებას, არამედ ოდნავადაც არის დააზიანოს, შნო და ლაზათი დაუკარგოს თუნდაც გზაზე გადმოშვერილ ტოტსაც კი.

მოძღვარი ბუნების „*ჰარმონიულ სიმშვენიერეს*" ესთეტიკური თვალითაც უყურებს და არა მარტო ადამიანთა შორის ცდილობს კაცთმოყვარეობის დანერგვას, არამედ სამყაროშიც ურთიერთშეხამებულობა-შეხმატკბილებას, სიმშვენიერე-სილამაზეს ხედავს, შეიცნობს და შესტრფის; არავინ უხეშად არ უნდა შეეხოს არამცთუ ადამიანს, თვით მცენარეთ, ხეთა შტოებსა თუ ნაზ კვირტებს:

„ის მიდიოდა წყნარად, დაფიქრებული, და გზიდან ფრთხილად იშორებდა კეკლუცად გადმოზნექილს გაფოთლილს ტოტებს. მოძღვარი ცდილობდა, რომ შტოების გაწევის დროს, უცაბედი მოძრაობითაც კი, გაფურჩქვნილის ფოთლებისათვის არა ევნო-რა და მით საღემო *მშვენიერების ჰარმონია* არ დაერღვია"

„*ქვეყნის საერთო მშვენიერება*" ონოფრესათვის საღვთოიავები რამ არის და ამიტომაც ასწავლის უბირ მთიელს, რომ ცოდვის ჩადენაა „ქვეყნის ლაზათის მიმცემი სიცოცხლის" მოსპობა; და ის ვინც „აკლებს ქვეყანას ლაზათს მშვენიერის ხის მოჭრით", „კეკლუცად ამართულ ხესა სჭრის და ამით დამშვენებულს ადგილს საუკეთესო სურათს აკლებს", — მხოლოდ და მხოლოდ ეგოისტური თვალით უყურებს სამყაროს და არაფრად აგდებს ქვეყნის მომავალს, მის საჭიროებას.

იმჟამად ეგზომ გავრცელებული ვიწრო პრაქტიციზმის აშკარა დაგმობასთან ერთად, ალ. ყაზბეგი მოძღვრის, თითქოსდა ერთი შეხედვით, ამ არაცხოვრებისეულ იდილიას ცხოვრების წინსვლის, ქვეყნის მომავლისათვის ზრუნვის აუცილებელ დებულებას უკავშირებს. ონოფრე გაახსენებს მოსაუბრეს, რომ მარტო ამ წუთიერით არ შემოისაზღვროს და შვილებზეც იფიქროს, ეცადოს თავისი საქციელით მათ შრომა უფრო არ გაუძნელოს. და, რაც მთავარია, შეაგნებინა მას, რომ „ამგვარი შეუნანებლად და*უზოგველობა ქვეყნის სიმდიდრისა*, მართლა, ცოდვა არის" (ტ. 11, 428).

ონოფრე თავისი ჩაგონებით („...შეშად რად სჭრი მაგას, როდესაც ღმერთს მაგისთვისაც უზრუნვია?.. ტყისათვისაც ხარკი არ აუცდენია... ტყე ხმელ შეშას გიმზადებს და წაიღე რამდენიც გინდა") და ბუნებასთან ფაქიზი დამოკიდებულებით ვაჟას მინდიას უფროსი ძმა და წინამორბედია ქართულ ლიტერატურაში.

ონოფრე-მოძღვარის ხალხისეულობა მწერალმა, გარდა მისი ხასიათის მთელი ისტორიისა, ერთი საყურადღებო კომპოზიციური ხერხითაც აშკარა გახდა: ონოფრეს პირველ გამოჩენამდე მკაფიოდ გაიელვებს შუახნის მწყემსი ქალის ჯათიას კოლორიტული სახე. მისი შინაგანი მხატვრული ფუნქციაა მკითხველში სწორედ ის კაცთმოყვარული სითბო დააკვეხოს, რომელიც შემდეგ მოძღვრის პიროვნებაში სრული მოცულობით უნდა გაღვივდეს. ჯათიას ტანჯავს ერთი მხრით თემის ადათ-წესების ძვალრბილში გამჯდარი რწმენისა და მეორე მხრით, ადამიანობის მაღალი გრძნობის ჭიდილი. მაგრამ შრომაში გამოძეძკილი, ცხოვრების უთვალავ ჭირ-ვარამთა თუ სივერაგეს გამოვლილი ალალმართალი მწყემსი ქალი (რომლის გვარშიაც ვაების სიმბოლოდ *ობლისშვილობა* არის ჩაკერებული) უნუგეშოდ დაშთენილის შველას ამჯობინებს, რაოდენ გულწრფელია მისი აღსარებასავით ნათქვამი: „*უფალო, გული საშველად მერჯის*, და, თუ ცოდოს ჩავდივარ, შენ მაპატიე!".

ჯათიას ამ მუდარაში ყოველი ჭეშმარიტი კაცის მოწოდებაა — გული საშველად უნდა ერჯოდეს განწირულისადმი. ჰუმანიზმის კანონთაკანონისათვის უპირატესობის მინიჭება გლეხის ქალისაგან უთუოდ იმ გამორჩეული მორალის ძიებაც არის, რაც ალ. ყაზბეგმა ონოფრეში წარმოსახა...

ალ. ყაზბეგის შემოქმედება თავისი ამაღლებული კაცთმოყვარეობით, დაჩაგრულ-შევიწროებულისადმი თანაგრძნობით, მართალი პიროვნებისადმი სიყვარულით, კაცის ღირსების შემლახავი უხეშობისადმი შეურიგებლობით მკითხველს გაბატონებული სიბოროტისადმი წინააღმდეგობის გაწევისა და შურისძიების გრძნობით ავსებდა, ყოველგვარი (მათ შორის, რა თქმა უნდა, სახელმწიფოებრივი) ძალმომრეობისადმი საბრძოლველად განაწყობდა. ყოველივე ამითაც ალ. ყაზბეგი რევოლუციის წინაპერიოდის დამუხტულ სულისკვეთებას გამოხატავდა.

სწორედ ეს შინაგანი ბიძგი, ზარის მძლავრი გუგუნივით რომ გასდევს მის ყოველ სტრიქონს, უთუოდ არის ერთი დიდი დამსახურება ცხოვრების წინსვლისათვის ქმედობის გზაზე თანაც მისი გმირების ჭიდილი ძალმომრეობასთან მძაფრი, დაუნდობელი, თავგანწირული და უკომპრომისოა.

მკითხველთა ფართო ფენების ამდაგვარი განცდით აღჭურვა თავისთავად აკაჟებდა, ენერგიას სძენდა უსამართლობის დასამხობად შემართულთ, ვინაიდან, თურმე, ყველა და ყველაფერი სულის ამოსვლამდის იბრძვის თავისი არ-

სობის შეუბღალავად შენარჩუნებისათვის და ძალადობას კი მხოლოდ და მხოლოდ ბრძოლას უპირისპირებს: „*აქ თქვენა ხედავთ ძალას, ტირილს, კვნესას, მუქარას, ღრიალს, ბრძოლას ერთმანეთში არეულს და იქამდისინ მიჰყევხართ, რომ რაღაც გულის კანკალით თითქოს თქვენვე გინდათ ჩაერიოთ ამ უცნაურ ბრძოლაში!*

კარგა ხანი იყო, რაც მზე ჩავიდა და მთვარემ მოჰფინა ნაზის სხივით მთის წვერები, მაგრამ მოუსვენარი გაჭიბრებული ყურო და თერგი ისევ ერთმანეთს ებრძოდნენ, თითქოს ეს ორი ძალა ვერ მოთავსებულიყვნენ, ჩვენი მგზავრები გაუდგნენ თავის გზას, გავიდნენ ზედ ყუროს წვერზედაც, საიდანაც გულისძგერით უკანასკნელად გადმოხედეს თავის ქვეყანას, უკანასკნელად გაიგონეს ხსენებულ მდინარეთ ბრძოლის ხმა, რომელიც თითქოს უძახდა: „*ძალას — ბრძოლა!*"

ძალადობისადმი შეუდრეკელი ნებისყოფის დაპირისპირება — ბრძოლისაკენ მოძახილია 80-90-იან წლების დაძაბულ ეპოქაში ალ. ყაზბეგის ნაწარმოებთა წარუშლელი შთაგონება.

„ალ. ყაზბეგის შემოქმედება ერთი მთლიანი რომანია, ერთი დიდი ტილო, სადაც მეტად თამამი ყალმით დახატულია", ერთი მხრით, პიროვნული ღირსების, ამაღლებული კაცურკაცობის და, მეორე მხრით, „ზაკონ-პრავილების" დამცველთა ხიშტებზე, უდიერ ძალმომრეობაზე დამყარებული წყობილების მძაფრი შეჯახება. ამ გამწარებული ჰიდილის ჩვენებით მკითხველის შეგნებაში იკვერება მძლავრი რწმენა — ძალადობას წინ უნდა აღუდგე, უნდა ებრძოლო! ეს ბრძოლა მრავალ მსხვერპლს მოითხოვს, მაგრამ ხალხის ხსოვნაც ნათელი შარავანდედით მოსავს საქვეყნო სიკეთისათვის დაღუპულთა სახელებს.

ის გარემოება, რომ ყაზბეგის ყველა გმირის ტრაგიკული დასასრულიც კი ვაჟკაცობის, გამბედაობის, რაინდული თავგანწირულების ზეიმად ელერს-თავისთავად ნათელი ადამიანობის გამარჯვებაა. და რაც არ უნდა სვე-გამწარებული იყოს ამა თუ იმ ინდივიდის პიროვნული ცხოვრება — ირგვლივ ყველაფერი, თვით სამყაროც კი, ალ. ყაზბეგის მხატვრული მსოფლგანჭვრეტით სიცოცხლის ზეიმად იფრქვევა.

ბუნება ყველაფერში შინაგანად ადამიანურობის, ადამიანის არსობის გამომხატველია. ადამიანის, როგორც დიადის, ამაღლებულის სახეობას ხშირად ბუნება ისე შეექსოვის, რომ ისინი ერთ არსებად აღიქმებიან. უამრავზე უამრავი სურათებიდან თუნდაც თერგისა და ყუროს სცენა, ანდა ჯიხვთა ცნობილი ჰიდილი გავიხსენოთ, რომელიც ესოდენ ზუსტად შეეფერება გმირთა მეობას. მდინარეთა ბორგვა და ადამიანთა სულის მოძრაობა, მათი მიზანსწრაფვის თითოეული ნიუანსიც კი მთლიანად ერთ ლარზეა ასხმულ-აგებული. ალ. ყაზბეგის აზრით ხომ „ბუნება კარგია მხოლოდ მაშინ, როდესაც შიგ სიცოცხლე ტრიალებს და ბრუნავს, ბრუნავს იმ სიტკბო-სიმწარე შერეულის ძალით, რომელიც ადამიანის თვითცხოვრებას შეადგენს"...

შინაგანად მართალი ადამიანობის დაუშრეტელი ჰიმნია ალ. ყაზბეგის თითოეული სტრიქონი. ალ. ყაზბეგის პირწმინდა რაინდი ვაჟკაცნი გოეთეს *მშვენიერ ადამიანს*, ილიას *კაცურ-კაცს* ვაჟას *დიდებულ ადამიანს* შეეფარდებიან და ამითაც ეხმაურებიან მომავალ ეპოქებს.

ამდაგვარი კაცობის საერთოობა, საყოველთაო ხასიათი იმითაც არის გაპირობებული, რომ ალ. ყაზბეგი თანაბარი სიფაქიზით ძერწავს მოხევესაც და ჩეჩენსაც, მთიულსაც და ინგუშსაც; შემოქმედის გული ერთნაირად ეტრფის მაჰმადიანსა თუ ქრისტიან ვაჟკაცებს და ამიტომაც ელგუჯა და ფარჩო, კობა და ელბერდი, ვაჟია და სულთი, ანზორი და გოჩა ღირსეული ადამიანის ერთი მონუმენტის სხვადასხვა წახნაგად ჩანან ინდივიდუალური ნიშნებით დაწნული თითოეული მათგანის ხასიათის ისტორია[1] თანაესიტყვება ერთი-მეორეს და ქმნის *სრულღირსებიანი კაცის ერთიანი ხასიათის ისტორიას*...

ეპოქალურ პრობლემათა და იდეალთა მხატვრულ ხორცშესხმას ემატება: ასევე ფრიად ნიშნეულ, ტიპოლოგიურ სახე-მოვლენათა ლოკალიც. მრავალ საყურადღებო მიკროსახეთა გარდა საგულისხმოა გაზაფხულის *მაკრო — სახის გახსნა*.

გაზაფხული მწერლისათვის ცხოვრების დასაბამი, მისი საწყისი, აღმავლობა-გაფურჩქვნა და ამით თვით სიცოცხლის, როგორც ამ ქვეყნის უდიადესი ფაქტორის, გამოვლენა-ანალოგისა. მჭმუნვარებანარევი გაზაფხულის „სიცოცხლის სიტკბოება" თუმცა გაურკვეველი წადილით არის აღსავსე, მაგრამ არსთა სიცოცხლის ამფერდებელი და სიტკბოებით აღმავსებელია; „გაზაფხულობით ყველა მხიარულობდა, ყველა ხარობდა, ბუნების მშვენიერებით აღძრული გული მოუსვენრად ფართხალებდა". გადმოსაფრქვევად გამზადებულ დაუოკებელ ენერგიასთან შერწყმული კრძალვა-რიდი მიამიტ მომხიბვლელობას აძლევს, კდემამოსილებას ჰფენს მთელ სამყაროს. სწორედ ეს ორი, თითქოსდა დიამეტრულად განსხვავებულ მოვლენა-ხასიათის — აბობოქრებულ-აზავთებული ძა-

---

1 საგულისხმოა, რომ მწერლის საჩივარი თანადროული კრიტიკოსისადმი — „*ხასიათს ვერ გაარჩევთო*" იდენტურია ბალზაკის ცნობილი გამოთქმისა „ხასიათის ისტორია წოდებული რომანად". ალ. ყაზბეგი იმავე სტატიის ვრცელ ვარიანტში წერს: (მწერალმა უნდა) „...*გამოხატოს ხასიათი*".

ლისა და სინაზის შეერთება ჰბადებს სიცოცხლის უმშვენიერეს სურათს.

ერთი მხრივ, „ნამით გალვიძებული ყვავილები მზის შუქს ეკრძალვებოდა“, „ყვავილის კოკრებს, ახლადგამონასკულებს, ოდნავ გადაეხადათ მწვანე პირბადე და გალიმებული სახე მორცხვად გამოეჩინათ“. და მეორე მხრივ „ყველგან მოძრაობა, ყველგან გრძნობა თავისი არსებობისა; ყველგან სიცოცხლის ნიშნად აღშფოთებული მოუსვენრობა და დაუცხრომლობა!.. სიტკბოების მჭუნვარება, შერეული გამოურკვეველს წადილს, ყველგან ისე აფერადებდა სიცოცხლეს და იმდენის სიტკბოებით ავსებდა!“ სიცოცხლის ძალა განუზომელია, უნაზეს იას შეუძლია პიტალო გამოანგრიოს, ძეძვ-ეკალბარდში ამოანათოს, გვიან შემორჩენილ თოვლყინვასაც შეუპირისპირდეს და ამიტომაც არის, რომ გაზაფხული სიცოცხლის ხმაწეულ სიმღერად იფრქვევა.

ალ. ყაზბეგი ბუნების დიად მეჭლისს ადამიანის უშუალო თანამონაწილეობით გვიხატავს. ალტყინებულ-ალტაცებული კაცთა მოდგმა შერთულ-შესულია დაუოკებელ ზეიმში[1]. იგი სიცოცხლის დღესასწაულის გვირგვინია. ალ. ყაზბეგის ბრწყინვალე პანორამებში ყველგან და ყოველთვის ადამიანი დგას ცენტრში და უპირველესი ხმაც მას ეკუთვნის...

თანადროულობის აქტუალურ, ზოგადადამიანურ პრობლემათა შეგრძნება და მაღალმხატვრული წარმოსახვა ერთ-ერთი ძვირფასი ნიშანთვისებაა ქართული კულტურის მაგისტრალური გზისა. ამა თუ იმ ეტაპზე კაცობრიობისათვის მტკივნეული, ეპოქალური საკითხები ამაღლებდა მის მხატვრულ დიაპაზონს და ამ ასპექტში ჩაირთავდა თვითარსებობის ოდესაც. ეს ჰქმნიდა ქართული კულტურის განვითარებადობის მძლავრ სტიმულს და მისი სათანადოდ შეცნობა მხოლოდ და მხოლოდ ამ უცვალებელი კანონის დადგენით შეიძლება.

ალ. ყაზბეგისა და ვაჟას შემოქმედება (ისევე, როგორც XX ს. დასაწყისის ლიტერატურა) დროის მიერ ნაკარნახევ ზოგადკაცობრიულ პრობლემებს სპეციფიკური კოლორიტით სჭრის. მწერლის შემოქმედების ჯეროვანი შეცნობისათვის კი აუცილებელია დავაკვირდეთ არა მხოლოდ იმას, რასაც ავტორი მოთხრობილი ამბით გადმოგვცემს, არამედ შემოქმედების უპირატეს ღირსებას — რასაც ის თავიაი არსით გვაძლევს, გვინერგავს, რასაც გვასწავლის, რასაც გვიწინამძღვრებს...

როგორია ალ. ყაზბეგის რომანთა პრობლემატიკის არე, რა ადგილი უჭირავს ამ პრობლემებს ქართულსა და, საერთოდ იმ პერიოდის ლიტერატურაში, ანუ არის თუ არა ეს პრობლემები ქართული მწერლობისათვის ნიშანდობლივი და ეპოქალური?

თუ კი ამ ასპექტით გავაანალიზებთ — ჩვენს ლიტერატურას, აშკარა გახდება, რომ ალ. ყაზბეგის რომანთა შინაგანი მხატვრული ამოცანა XIX ს. მეორე ნახევრის მწერლობის წამყვან პრობლემებს განეკუთვნება. ილიას „ოთარაანთ ქვრივის“ ერთი საყრდენი ხომ პიროვნების ღირსების, მისი შეუვალობის, ხელუხლებლობის, მორალური სიწმინდის გამოვლენა და მისი აუცილებელი პატივისცემაა: ოთარაანთ ქვრივის, გიორგის სახეში ამაყად მზირალი ქედ წაუხრელობა, ალალმართლობა, ამაღლებული ადამიანობის იდეალთა განსახება თავისთავად ოთხმოციანი წლების გარემო ვითარების საპირისპირო სამყაროც არის უთუოდ. მისლიანად ნაწარმოებში კი სრული (კაცურ-კაცური) ადამიანობის საჭირბოროტო პრობლემაც დგას...

ვაჟას ალუდაც ხომ ადამიანის ღირსების დაფასება-პატივისცემით არის აღვსილი და ამ ღირსების შეულახაობის, მისადმი მოწიწების, მქადაგებელია! შეუდრეკელი ივანე კოტორაშვილი ალუდასავით კაცის (თუნდაც მოწინააღმდეგის) უდიერად დამცირებას, წამებას ვერ ჰგუობს; ჯოყოლა კაცურ-პიროვნულის შეგრძნებით აღზევდა მოჯარული თემის წინააღმდეგ და „კაცობის ქელვა“ ვერ იგუა, არ დათმო...

საერთო ტონით, მხატვრული შემოქმედების ტიპოლოგიური არსით 80-90-იანი წლების ჩვენი ლიტერატურა (პირველ ყოვლისა, ილია, ყაზბეგი, ვაჟა) ადამიანის ნიველირება-გათქვეფის, „წეს კანონით“ დამონების წინააღმდეგ არის მიმართული და მის საპირისპიროდ რაინდულად ამაღლებულ, თავგამეტებულ ვაჟკაცთა მონუმენტს ჰქმნის... ხოლო უანგარო, სულით სპეტაკი, სხვისი ვაების არა მარტო განყენებულად თანაზიარი, არამედ გაწირულის მხარში ამომდგომი, ქმედითად დამხმარე მოძღვრის კეთილშობილური სახე, ადამიანური არსებობის განახლებისაკენ ლტოლვა, მისი გაზაფხულის მაკრო სახედ წარმოსახვა — ჰუმანიზმის ყოვლთამომცველ, საკაცობრიო სულისკვეთებას ერწყმის.

80-90-იანი წლების ქართული ლიტერატურა პრობლემათა უაღრესი აქტუალობითა და მხატვრული დიაპაზონით, თავისი მრავალმხრივ საყურადღებო პოეტიკით თვალს უსწორებს ეპოქის უპირველეს საკაცობრიო იდეალებს, დიდი ილიას სიტყვები რომ გამოვიყენოთ — „მის სრულს სიგრძე-სიგანესა და სიღრმე-სიმაღლეზე“ თვალის გადასავლებად სწორედ ამ „უშველებელი სარკმლიდან“ დანახვაგანსჯაა საჭირო და აუცილებელი, და არა „პატარა ჭურჭუტანიდან სინჯვა“.

---

1 შეადარე — ბუნება „გვითრევს თავის ფერხულში“ (გოეთე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერგი დურმიშიძე

# საპატიო პრეზიდენტის პირველი დღე აკადემიაში

**1972** წლის 8 მაისს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება უჩვეულო განწყობილებას მოეცვა. ბატონმა ნიკომ უარი თქვა ახალი ვადით არჩევაზე და პრეზიდენტის პოსტზე ასარჩევად ილია ვეკუა წარმოადგინა. აკადემიის ახალი ხელმძღვანელი ერთხმად იქნა არჩეული.

ამავე დღიდან ნიკო მუსხელიშვილი აკადემიის პირველი საპატიო პრეზიდენტია.

4 მაისს ბატონი ნიკო დილიდანვე თავის სამუშაო ოთახში იმყოფებოდა. ახლაც, როგორც ყოველთვის, თანაბარი ნაბიჯით სცემდა ბოლთას, მხნედ და ჩვეული იუმორით საუბრობდა. რას არ იგონებდა... ყველას და ყველაფერს გონების თვალით ჰჭვრეტდა და აფასებდა. ურყევი რწმენით შეჰყურებდა აკადემიის ხვალინდელ დღეს, ქართული მეცნიერების მომავალს.

საუბარში გართულს შევბედე:

— ბატონო ნიკო, იქნებ ბრძანოთ, ისეთი რა ფიქრები მოგეძალათ ამ დღეებში, რომელნიც ადრე თქვენთან იშვიათად დაისადგურებდნენ ხოლმე, — პასუხი კითხვას დაუყოვნებლივ არ მოჰყვა.

იგი მხატვარ გიორგი თოთიბაძის მიერ შესრულებულ საკუთარ პორტრეტს შესცქეროდა, გეგონებოდათ — პირველად ხედავდა.

ცოტა მოგვიანებით დინჯად და დამარცვლით წარმოთქვა:

— მცირე, ძალზე მცირე გავაკეთე. შემეძლო გაცილებით მეტი შემექმნა, დამეწერა.

როგორ თუ მცირე?! განა მისი საყოველთაოდ აღიარებული მონოგრაფიები, მსოფლიოს მრავალ ენაზე რომ არის გადათარგმნილი, მცირეა?! მისი მეთაურობით შექმნილი მათემატიკური სკოლა პატარა მოვლენაა?! მეცნიერების ორგანიზაცია?!

და მაინც მეცნიერული ნაყოფიერების თითქოსდა ერთგვარი უკმარისობა აშკარად აწუხებდა მას.

— ახლა, ახლა რას აპირებთ, როგორია თქვენი გულის სურვილები-მეთქი, — მოკრძალებით შევაპარე კიდევ ერთი კითხვა.

— საკმაოდ საჭირო წიგნის დაწერა მაქვს განზრახული, იქნებ მოვახერხო კიდეც, მაგრამ ვაი თუ საკუთარი თავისადმი მოთხოვნამ მიღალატოს, ძველებურად მკაცრი აღარ ვიქნე და ახალი მონოგრაფია ჩემებური აღარ გამოვიდეს.

...ერთი დღის განმავლობაში ორ გვერდზე მეტი არასოდეს დამიწერია, ყოველ ფრაზაზე დიდხანს ვფიქრობდი, ახლაც მგონია, ჩემს მეცნიერულ ნახელში ნახევარზე მეტი წერის სტილსა და მანერას უნდა მიეწეროს, — დაასრულა პასუხი მან.

გაისმა ტელეფონის ზმა.

— ილიკო მოდის, — გვაუწყა. თითქოს მოემზადა კიდეც შესახვედრად. თამბაქოს წევას უმატა.

დიდხანს, დიდხანს საუბრობდა ორი პრეზიდენტი ბატონ ნიკოს ძველ, ტრადიციულ სამფლობელოში.

ნაშუადღევი იყო, რომ ბატონ ნიკოს წინა დღეების ზოგიერთ დოკუმენტზე ხელმოწერა ვთხოვე. ყველა საქმიან წერილს იგი ყოველთვის დიდი გულდასმით კითხულობდა და ზოგჯერ საფუძვლიანადაც ასწორებდა მათ. არ მეგონა, თუ დღესაც ასევე მოიქცეოდა!

— ამ უკანასკნელ „სიგელ-გუჯრებში" 23 გვერდია, კარგად გვიშრომია! ნეტავ რამდენი

იყო ჩვენს პირველ საერთო ოქმშიო, — ღიმილით იკითხა. გაუკვირდა, როდესაც გაიგო, რომ 16 წლის წინათაც ოქმები თითქმის ასევე იწერებოდა.

— როგორც ჩანს, მე და თქვენ ყოველთვის „დიდი მდივანმწიგნობარი“ ვყოფილვართო, — იხუმრა.

ბატონი ნიკოს ურყევმა ბუნებამ მაინც თავისი გაიტანა: ერთი გვერდი ადრინდელი საქმიანი ქაღალდიდან ხელახლა გადავბეჭდეთ!

საწერი მაგიდის შუა უჯრიდან სხვადასხვა ქაღალდი ამოალაგა, აჩარისხებდა. როდესაც თავისი ხელნაწერი საქაღალდე კალათისაკენ წაიღო, შევაჩერე, ვთხოვე ჩემთვის გადმოეცა. გაუკვირდა, რათ გინდა, ჩემი ერთ-ერთი სიტყვის ტექსტიაო! ქართული ასოები ისე ლამაზად იყო გამოყვანილი შავი მელნით, რომ ძველთაძველ ხელრთვას ჰგავდა. მას არ უყვარდა მანქანაზე ნაბეჭდი ქართული ტექსტების წაკითხვა. საჯარო გამოსვლის წინ თავის სიტყვას ყოველთვის თვითონვე გადაწერდა ხოლმე.

— ამ წესს ბატონი ივანეს შეგონებით შევეთვისე. თქვენ ახლა რას წარმოიდგენთ, რა ძნელი იყო ჩვენთვის, პეტროგრადში უმაღლესდამთავრებულთათვის, იმ დროს, სპეციალურ საგნებში ქართულად ლექციების კითხვა. ჩვენ უნივერსიტეტში ლექციებს ქართულ ენაზე ივანე ჯავახიშვილის რჩევით ვკითხულობდითო, — მოიგონა მან.

პირველი პრეზიდენტის წასვლამ ყველა დაასევდიანა. განსაკუთრებით კი ამ ამბავმა მისი პირადი მდივანი სესილი ლუარსამიძე დაალონა. იგი სამათეულ წელზე მეტია მასთან მუშაობს და დაშორება როგორი ასატანი იქნება!

— სესილის შესახებ მე ილიკოს ველაპარაკე, ვთხოვე, რომ იმავე თანამდებობაზე დატოვოს. ხომ იცი, როგორი კეთილი ადამიანია, სიცოცხლე ძმისშვილების გაზრდას შეალია, ეხლა მთელი ოჯახი მაგის ამარაა, ხანიც შემოეპარა, ლუკმა პურს ნუ გამოულევთო, — ამ დღესაც შემაგონა ბატონმა ნიკომ.

სესილიმ ამის შესახებ არაფერი იცოდა. პირველი პრეზიდენტი მას მხოლოდ ეხუმრებოდა:

— შენ თუ პრეზიდენტის მდივნობიდან გადაგაყენეს, მე საპატიო პრეზიდენტობაზე განვაცხადებ უარსო.

ბატონ ნიკოს პატარები ეწვივნენ, ყვავილების დღესასწაული მოულოცეს, გარს შემოერტყნენ, მის ირგვლივ ფუსფუსებდნენ, ეალერსებოდნენ, ეფერებოდნენ, ეჩურჩულებოდნენ... ლურჯთვალება გოგონამ მას ყვავილები მიართვა. მხცოვან მეცნიერს განსაკუთრებით მოეწონა მინდვრის ყვავილების თაიგული.

— ეს ყვავილები ჩემი დედულეთის, მაწევანის ველ-მინდვრების მობინადრეებია, ჩემი ბავშვობის მეგობრებიაო, — ებაასებოდა იგი ცელქებს.

ბავშვების წასვლის შემდეგაც ძია ნიკო კარგახანს დასცქეროდა „მაწევანელ“ მინდვრის დედოფლებს...

...ომის დამთავრებიდან ერთი წელიც არ იყო გასული, რომ საბჭოთა მთავრობამ, სახელმწიფო ხარჯზე დაიწყო აკადემიკოსებისათვის აგარაკების მშენებლობა. ნიკო მუსხელიშვილმა სააგარაკოდ მანგლისი აირჩია. საჭირო გახდა შესაფერისი ნაკვეთის გამოყოფა. მშენებლები ისეთ უბნებს ეტანებოდნენ, სადაც საყოფაცხოვრებო პირობები უკეთესი იქნებოდა. ბატონმა ნიკომ კი ხელი ისეთ ადგილს დაადო, სადაც არც წყალი, არც გზა, არც განათება, არც მაღაზიები არ იყო. მანგლისელებს ვერ გაეგოთ მეცნიერის არჩევანი, ფიქრობდნენ — ალბათ ხალხს განერიდაო.

ნიკო მუსხელიშვილმა საიდუმლო ახლო მეგობრებსაც კი მოგვიანებით გაანდო:

— აბა, ერთი გახედეთ, რა შესანიშნავად ჩანს აქედან მაწევანის მინდვრები, ტყეები და ველები. ეს ჩემთვის ყველაფერია! ბავშვობა მე აქა მაქვს გატარებული. ამ ადგილიდან მე ყოველთვის შემიძლია ჩემი ბავშვობის „სამეფოში“ გადავსახლდე, ოცნებას წინ რა დაუდგება! — პაპაჩემის, ალექსანდრე საგინაშვილის ნასახლარზე ძველებურად ჯირითსა და ნავარდს ვინ დამიშლისო.

გვთხოვა, თაიგული თუ შეიძლება სახლში გამიგზავნეთ, მინდვრის ყვავილებს ჩემი მეუღლეც დიდ პატივსა სცემსო.

ოთახში მათემატიკოსები შემოვიდნენ. ბატონი ნიკო კიდევ უფრო გახალისდა. ახლაც, ისე როგორც მრავალჯერ სხვა დროს, მისი სამუშაო ოთახი მისმა მრავალრიცხოვანმა მოწაფეებმა დაიპყრეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოეტის პირველი წიგნი

ანზორ სალუქვაძის ლექსებს პირველად „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე გავეცანით. მას შემდეგ პოეტის ნაწარმოებები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენი ჟურნალ-გაზეთის ფურცლებზე. და აი ახლა პოეზიის მოყვარულებმა ეს ლექსები კრებულად შეკონილი მიიღეს („მერანი“, 1973). პოეტის ლექსების პირველი წიგნი, გასაგებია, რომ მუდამ ღრმა ინტერესს იწვევს. აქ ეცნობი ავტორის მთელ შინაგან სამყაროს, რა უყვარს მას, რა იტაცებს. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ სალუქვაძის ლექსების წიგნი ამართლებს მკითხველის მოლოდინს — ავტორის შინაგანი სამყარო მდიდარია, აქ არის ფერები, სახეები, რომლებიც მეტყველებენ პოეტის თავისებურ ხმაზე, სამყაროს თავისებურ შეგრძნებაზე. აი, მაგალითად, მისი ლექსი „სიყმაწვილევ ზღაპრულო“. ეს ფრიად საინტერესო ნაწარმოებია, შეიძლება ითქვას, იგი ტიპიურია ანზორ სალუქვაძის შემოქმედებისათვის. მისი თემაა — ღრუბელი. „სიყრმის ღრუბელი“, „ფიქრთა ჩემთა ღრუბელი“, რომელიც აქ განასახიერებს ყრმობის ოცნებებს, სიჭაბუკის მისწრაფებებს, რომანტიკულ ლტოლვას. ეს არ არის ახალი თემა „გადამავალო ღრუბელო, გადამიყოლე თანაო“, ნათქვამია ერთ ხალხურ ლექსში, სადაც სამშობლოდან შორს მყოფი მოლექსე ღრუბელს სატრფოსთან მოკითხვას აბარებს. საერთოდ, ამ თემაზე მრავალი ლექსია დაწერილი, მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ ანზორ სალუქვაძემ მაინც თავისებური კუთხე მოუძებნა მას და ამიტომ თითქოს ნაცნობი თემა ახლებურად აჟღერდა. აი, მოვუსმინოთ პოეტს: „მხნე და დაუღუპველი, ხარ ლამაზი ღრუბელი! თუმც მკრთალი და უფერო, მაგრამ თავისუფალი, ვით ნამდვილი ღრუბელი!“ შემდეგ ეს მხატვრული სახე თანდათან ფართოვდება, იტევს ყველაფერს, რასაც შესტრფის პოეტის გული: „არევ თავისუფალო, პირით შენსკენ ვბრუნდები, პირით შენსკენ ვბრუნდები, შენი ხილვით ვბრუვდები, შენთან რონინს ვუნდები, უკან ველარ ვბრუნდები, ჩემო სახლო, უბანო, ჩემო ვერის უბანო, სიყმაწვილევ ზღაპრულო, სიყვარულით დამთვრალო, ელდით გადაზაფრულო, ვერცხლის, ვერცხლის ზამთარო, ოქროს, ოქროს ზაფხულო“.

კითხულობთ ლექსს ბოლომდე და ხედავთ: სულ ახალი და ახალი ფერები ემატება სურათს: „ნელ წვიმებში ჩართულო, ძილისპირა ფიქრებო, ღვთაებრივი ქართულით მოჩურჩულე წიგნებო! მთვარის ახლოს შობილო, ლექსთა ჩემთა მფარველო, ჩემო თეთრო ფარვანავ, ჩემო სუსტო ღობილო“.

აქვეა პირველი სიყვარულის ნაღვლიანი გახსენებაც: „ან შენ, ჩემო შავთვალავ, მე რომ ჩემად ჩაგთვალე, მე რომ ჩემად ჩაგთვალე, — შენ რომ სხვისად წახვედი.. შენ რომ სხვისად წახვედი და მე ამის მნახველი, ო, მე ამის მნახველი კიდევ დიდხანს გელოდი... კიდევ დიდხანს გელოდი, იმედით და ნაღველით! იმედით და ნაღველით მუდამ შენზე ვმღეროდი... მუდამ შენზე ვმღეროდი, ყრმობის ლანდო გრძნეულო, ჟამით ვერ დაძლეულო, მუდამ შენზე ვმღეროდი, ხედვის ღრუბლად ქცეული... ცრემლად ვერ დაქცეულო, მუდამ შენზე ვმღეროდი“...

თავდება ლექსი მართლაც რომ ფრთიანი სტრიქონებით:

ყრმობის ჩემის მზუგველი,
უშუბო და უფარო,
მშვენიერი ღრუბელი,
დაიფარე უფალო!

ანზორ სალუქვაძეს ემარჯვება თანადროულობის მოთხოვნილებათა სისავსით გამოხატვა, რაზეც მეტყველებს მისივე გულწრფელი ლექსის სტრიქონები: „მოვდივარ, ჰაერი ტკბილია თაფლივით.. მოვდივარ... სიცოცხლეს ვამღერებ! მოვდივარ, მხარდამხარ მომყვება აპრილი, აღმართიც მგონია დაღმართი“. ამ ხასიათის ნაწარმოებებს მიეკუთვნებიან პირველი განყოფილების („იასამნები“) ლექსები: „გაზაფხულია“, „იარე ჩქარა“, „ავტოპორტრეტი“ და სხვ.

მეორე განყოფილებაში ყურადღებას იპყრობს ლექსები „აუზის ახლოს“, „თუთა“, „გზად მიდის ბავშვი“ — ეს არის ბავშვობის ულამაზესი დღეების გახსენება.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლექსების ციკლი „მთები“. პირველი ლექსი აქ ასე იწყება: „ბილიკები... მთები თითქოს მათრახებით უცემიათ — რას ერჩოდნენ ამ უწყინარ დევს? მწვერვალებზე მაინც თოვლი დევს“. შესანიშნავი სახეა, დახატული ოსტატის ხელით. საერთოდ, ამ ციკლში მკვეთრად არის შეგრძნობილი მთის კოლორიტი, ავტორი გვაძლევს საქართველოს მთიანეთის წარმტაც სურათებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ლექსები და ბალადები „ფიროსმანის ბაღი“, „ცივი პეიზაჟი“, „მაღალი მოთქმა სისხლიანი გვირილების გამო“, „ანბანთქება“ (დასანანია, რომ ამ ბალადის სათაურში შეცდომა გაპარულა — დაბეჭდილია „ბანთქება“).

წიგნში შეტანილი დრამატული პოემა „ნანილი“ თუშეთის წარსულის ფონზე იშლება.

პოემაში შესანიშნავი მხატვრული სახეები და შედარებები გვხვდება. ავტორი კარგად იყენებს ქართულ ფოლკლორს: „დაღამდა, დაცხრა ნათელი, დღე მოკვდა ვაჟკაცივითა, საგზალს მიუსხდნენ მწყემსები, ნაბდები — ორბებივითა; მეტწილად ახალუხლები წვრილწვრილი ლერწმებივითა: მათშუა ცეცხლი ლაღდება, კოხტაობს ქალწულივითა, ცეცხლშუა კრთება ნანილი, ნაფიქრი ნამდვილივითა, იმის მაცქერი ბიჭები თვრებიან ნასვამივითა... ნდომით უქებენ თვალტანსა, ხუმრობენ მართალივითა“. ამის შემდეგ იწყება მწყემსების გაშაირება: „ჩუ, რა ხმა ისმის, რასა ჰგავ, ქარის არა ჰგავს შრიალსა, არც ნაპერწკალის ხმასა ჰგავ, არცა ნაღვერდლის ბრიალსა?! არცა მდინარის ჩქამსა ჰგავ, არცა მორევის ბრიალსა და არც კლდისპირსა შლასა ჰგავს, არცა ქვიშისა ჩხრიალსა, არც ნადირთა კვლასა ჰგავ, არცა ფრინველთა ფრთხიალსა?! იქნება კაცის ხმასა ჰგავ, კაცის კვნესას და ხრიალსა“. ეს შემაზრზენი და უბედურების მომასწავებელი ხმა ულრანი ტყიდან ისმის. ქვეყნის ამწიოკებელ ლეკ რაჯბადინს გამოქცევია შავბედითი ტყვე. იგი ჰყვება თავის მძიმე თავგადასავალს, თავს უყრის მამულისშვილებს და მათ კიდევ ერთხელ შთააგონებს — თუშები და მთელი საქრისტიანო ადგილება როგორ იხსნან და გადაარჩინონ ურჯულოთაგან, მათი რბევისა და აწიოკებისაგან...

ფოლკლორული მოტივების მოდერნიზაცია, გამოყენება აქ მაღალი ოსტაობით არის შესრულებული: „გეტყვი, გულს ნუ დაენდობი, გული მრავალის მთქმელია, ნურცა რა თოფს დაენდობი, თოფი ეშმაკის ცხენია, ნურცა რა ხმალს დაენდობი, ხმალი მშიერი მგელია, სადღეოდ გულის მკვეთელი, სახვალოდ ლიბუს მთხრელია, ნურცა რა მკლავს დაენდობი, ხმალი სხვასაიც ბრტყელია“.

გულის დამწველია ტყვედქმნილი ქალიშვილებისა და მათი დედების მოთქმა. ბრძოლა კიდევ უფრო მწვავე და მძაფრი ხდება. შედარებით ნორმალური საარსებო პირობების შესაქმნელად მებრძოლ ადამიანებს დიდი მსხვერპლის გაღება უხდებათ.

ეს წერილი ანზორ სალუქვაძის პოემის ეპილოგის სტრიქონებით მინდა დავამთავრო:

„სულთა ხევს, სულთა მდინარეს სულთა ნისლები დიანო, როს სულ შეწყდება მზის სხივი, ე, მაშინ გამოდიანო. ადგილის დედას მიუვლენ, მის ფერხთით დასხდებიანო, ცა — ქვეყნის ამბავს ჰყვებიან, დილამდე დარჩებიანო, დილისპირს გაიყრებიან, ვარსკვლავებს გაჰყვებიანო, ყოველ ბედნიერ დღეებში საკლავებს მიელიანო. უცდიან მოკეთეებსა, სანთლებივითა თრთიანო, უხარით, როცა ცოცხლები ხატის კარს გროვდებიანო, ნათესავთ მონატრულები მოსულთ წინ უხდებიანო. თუმც მკვდარს რით იგრძნობს ცოცხალი? ამიტომ ღონდებიანო, იციან, ერთ ფიქრს ჰკარგავენ, ერთ წადილს უნდებიანო, აბჯარს უკრავენ სამშობლოს, დიდ მტრობას მოელიანო“.

მდიდარი, ლაღი ფანტაზიაა, ორიგინალური სახეების სიუხვე, დრამატული სიმძაფრე და ისტორიის ღრმად ჩაწვდენა — აი რა ახასიათებს ამ შესანიშნავს პოემას.

კ. აროშიძე

ფასი 80 კაპ.

ИНДЕКС
76128

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# „МНАТОБИ"

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ